

F749
1999

F

ᠮᠤᠰᠤᠨᠪᠠᠭᠤᠨᠠᠨᠢ



1-2

1999

საუნჯე

1999/1-2

იანვარი
აპრილი



ეროვნული
ბიბლიოთეკა



შინაარსი

პროზა, პოეზია

უილიამ ფოლკნერი, მოთხრობები, ინგლისურიდან თარგმნა
ეთერ მოიხწრაფიშვილმა 3

მისაილ გულგაკოვი, საბედისწერო კვერცხები, მოთხრობა, თარგმნა
გივი კიკილაშვილმა 53

ჰამელა ვენსფორდ ჯონსონი, განსაკუთრებული ნიში, რომანი, გაგრძელება,
ინგლისურიდან თარგმნა ვალენტინა ტატიშვილმა 110

რუსული პოეზია, თარგმნა ლელა მეტრეველმა 159

უილიამ კენედი, რკინის უამბი, რომანი, დასაწყისი, თარგმნა
მედეა ზუბადალაშვილმა 171

ვატლავ კაველი, მერნისაჟი, პიესა, თარგმნა ლილი მჭედლიშვილმა 228

ესე, კუბლისტიკა, ლიტერატურული მემკვიდრეობა

დალი ფანჯიკიძე, ქართული მხატვრული თარგმანი 224

გენაროზი გელინსკისა და ნიკოლაი გოგოლის მიმოწერა, შეარჩია და თარგმნა
ლევან აბულაძემ 260

ზურაბ გემაზაშვილი, უილიამ შექსპირის ტრაგედია „კამლეტის“ ზოგიერთი
დეტალი და მათი ქართულად თარგმნის ინტერპრეტაციები 308

მანანა ქართველიშვილი, უოლტერ რალი — უილიამ შექსპირი? 317

საქართველოს მშენებლის კავშირი
მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური მუხრანალი

ბიზნისიუმეკა

1999, № 1—2

მთავარი რედაქტორი
შოთა ნიშნიანიძე

ნანა დარჩია-ბოლჭვაძე
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)

ხარედაქციო კოლეგია:
ჯემალ აჯიაშვილი
მზია ბაჭრაძე
ბაჩანა ბრეგვაძე
გურამ გოგიაშვილი
ნოდარ გურუშიძე
მაგალი თოდუა
ნოდარ ქაკაბაძე
რენე კალანდია
დალი ფანჯიკიძე
გივი ძნელაძე
დავით შერედიანი.

ტექნიკური რედაქტორი
ნანა ბართაია

ჩვენს მისამართს: თბილისი, 380026, ლესელიძის ქ. № 4. ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 93-47-31. მთ. რედაქტორის მოადგილე 99-60-22. განყოფილებათა გამგეები — 72-26-30

გად. წარმ. 18.09.99 წ., ხელმოწ. დასაბეჭდად 20.04.99 წ., ქაღალდის ზომა 70X106¹/₁₆, სააღრ. თ. 20. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 20 ფ. ტირ. 300. შეკვ. № 370.

შპსი მ ლარი

გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა.
თბილისი, მ. კოსტავას 14.



ინგლისურიდან

თარგმნა ეთარ მონიჭრაჭიშვიდმა

პარდი ემილისათვის


1

მის ემილი გრიდსონი რომ გარდაიცვალა, მთელი ქალაქი დაიძრა მის დაკრძალვაზე დასასწრებლად: მამაკაცები — პატივისცემის ნიშნად, ასე ვთქვათ, დამხობილი ძეგლისადმი, ქალები — უფრო ცნობისწადილის გამო, ახლა მაინც რომ შეეღწიათ იმ სახლში, სადაც აგერ უკვე ათი წელია არავინ დაუნახავთ შესული გარდა ერთი მოხუცი ზანგი მსახურისა, რომელიც მებაღეც იყო და მზარეულიც.

ეს უზარმაზარი, ოთხკუთხა, კომპურებით შემკული და ოდესღაც თეორად შებათქაშებული შპალებით აშენებული სახლი ჩვეული კიბეებით სამოცდაათიანი წლებისთვის ჩვეული მძიმე, მაგრამ დახვეწილი სტილის ნაგებობა იყო. იგი იმ ქუჩაზე იდგა, ერთ დროს ყველაზე გამოირჩეულ ქუჩად რომ ითვლებოდა მთელ ქალაქში. მაგრამ ავტოფარეხებმა და ბამბის საწმენდმა ფაბრიკებმა იძალეს და წაშალეს ირგვლივ კეთილშობილ ოჯახთა სახელებიც კი. მხოლოდ მის ემილის სახლი შემორჩა, რომელზედაც უდრეკად და კეკლუცად აღმართა ბამბის ფურცონებსა და ბუნხინის ტუმბოებს შორის თავისი დროგადასული სიმახინჯე და პა, მის ემილიც გარდავიდა ამა ქვეყნიდან, რათა შეერთებოდა იმ კეთილშობილ გვართა წარმომადგენლებს, რომელნიც მუხის ხეებით დაბურულ სასაფლაოზე განისვენებდნენ ჯეფერსონთან ბრძოლაში დაღუპულ სამხრეთისა თუ ჩრდილოეთის უცნობ ჯარისკაცთა საფლავებს შორის.

სიცოცხლეში მის ემილი ჩვენში ტრადიციად, საყოველთაო მოვალეობად და ზრუნვის საგნად იქცა, ასე ვთქვათ, მემკვიდრეობით ნარგუნებ ვალდებულებად ჯერ კიდევ 1894 წლიდან, როდესაც ქალაქის მაშინდელმა მერმა, პოლკოვნიკმა სარტორისმა — სწორედ მან, ვისი განკარგულებითაც არც ერთ ზანგ ქალს არ ეძლეოდა უფლება ქუჩაში უწინსაფროდ გაეველი — სამუდამოდ გაანთავისუფლა იგი გადასახადებისაგან მამის გარდაცვალების შემდეგ. ცხადია, მის ემილი არ დათანხმდებოდა ასეთ მოწყალებაზე, რომ არა პოლკოვნიკ სარტორისის შეთხზული მონაჩმახი, თითქოსდა მის ემილის მამამ თავის დროზე ქალაქს ფული ასესხა, ქალაქის თავმა კი, როგორც საქმე მოითხოვდა, გადახდის ამგვარი გზა ირჩია. მხოლოდ პოლკოვნიკ სარტორისის თაობისა და საზრიანობის კაცს შეეძლო ასეთი რამ მოეგონებინა და მხოლოდ ქალს შეეძლო ეს დაეჯერებინა.

Handwritten number 26892



როდესაც უფრო თანამედროვე იდეებით აღჭურვილი ახალი თაობა მოვიდა ქალაქის მუნიციპალიტეტში, ამ გადაწყვეტილებამ ერთგვარი უკმაყოფილება გამოიწვია. ახალი წლისათვის მათ ქალს საგადასახადო უწყება გაუგზავნეს. დაღვა თებერვალი, პასუხი კი არ ჩანდა. მაშინ ოფიციალურად მისწერეს, რომ მისთვის ხელსაყრელ დროს შერიფთან გამოცხადებულიყო. ერთი კვირის შემდეგ მერმა თავად მისწერა, რომ თვით ეწვეოდა, რა თქმაობა? მანქანას გაუგზავნიდა. პასუხად ამჟამინდელი დროის ქალაქმთავრის მიერ შედგენილი მენიუს წერილად ნაწერი ბარათი მიიღო, სადაც ქალი ამცნობდა, რომ სახლიდან საერთოდ არ გამოდიოდა; შიგვე იღო საგადასახადო უწყებაც ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე.

ქალაქის მუნიციპალიტეტის წევრებმა საგანგებო კოლეგიის სხდომა მოიწვიეს, რის შემდეგაც დელეგაცია გაუგზავნეს იმ სახლში, სადაც არა სტუმარს არ შეუდგამს ფეხი მას აქეთ, რაც რვა თუ ათი წლის წინათ ქალმა შეწყვიტა ფაიფურზე ხატვის გაკვეთილები. მოხუცი ზანგი შეუძლვა მათ ჩაბნელებულ პოლში, საიდანაც კიბე კიდევ უფრო ჩაბნელებულ სართულზე აღიოდა. ირგულივ მტვრის, გაუკაცრიელების და შმორის სუნი იდგა. ზანგმა ისინი სასტუმრო ოთახში შეიყვანა, სადაც ტყავალაკრული უხეში ავეჯი იდგა. როდესაც ზანგმა ერთ-ერთი ფანჯრის დარაბა გამოაღო, დაინახეს, რომ ტყავი სულ დამსკდარი იყო, ხოლო როცა დასხდნენ მტვერი ნელა, მსუბუქად წამოიზლაზნა, ზედ გადაეველოთ და მზის ერთადერთ სხივში ქულა-ქულა დატრიალდა. ბუხრის წინ ერთ დროს ოქროთი მოვარაყებული, ახლა კი ფერგადასული მოლბერტი იდგა, მის ემილის მამის ფერადი ფანქრებით ნახატი პორტრეტი.

ყველანი წამოდგნენ, როცა ოთახში შავით მოსილი, ტანმორჩილი, ჩასუქებული მის ემილი შემოვიდა ოქროს წვრილი ძეწკვი წელამდე ჩასდევდა და სადღაც ქამარში უჩინარდებოდა; უკვე გამჭრქალეებულ ოქროს ბუნიკიან ებანოზის ხის ჯიხს დაყრდნობოდა. ძვალწვრილი ქალი ეყო და ამიტომაც არათუ ჩასუქებული, გაფიფვინებულიც კი ჩანდა, როგორც მღვარ წყალში დიდხანს ნამყოფი დამხრჩვალის გვაში ისეთივე მკვდრისფერსახიანი. მსუქან ნაოჭებში ჩაკარგული თვალეები ცომის ნაჭერში ჩარჭობილ ორი პატარა ნახშირის ნატეხივით ხან ერთ, ხან მეორე სახეს მიაჩერდებოდა, როცა სტუმრები თავის მოთხოვნებს ამცნობდნენ.

დასხედითო, ქალს მათთვის არ შეუთავაზებია. იდგა კარებში და გაუნძრევლად უსმენდა, ვიდრე მოსაუბრე ბორძიკ-ბორძიკით ჩაათავებდა სათქმელს. შემდეგ ჩამოვარდნილ სიჩუმეში უჩინარი საათის წიკწიკი მოესმათ ოქროს ძეწკვის ბოლიდან.

— მე არავითარ გადასახადს არ ვიხდი ჯეფერსონში, — მშრალად და ცივად თქვა ქალმა, — პოლკოვნიკმა სარტორისმა ასე ამიხსნა. რომელიმე თქვენგანს შეუძლია ქალაქის არქივს ჩახედოს და დარწმუნდეს.

— უკვე შევამოწმეთ, მის ემილი, ჩვენ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები ვართ. ხომ მიიღეთ შერიფის უწყება მისივე ხელმოწერით?

— დიახ, რაღაც ქალაქი მივიღე. არ ვიცი, შესაძლოა თავი შერიფი კგონია... ოღონდაც მე გადასახადი არ მეკისრება ჯეფერსონში.

— იცით, საბუთები არსად არ ამტკიცებს ამას; ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ...

— პოლკოვნიკ სარტორისს მოელაპარაკეთ. მე გადასახადებს არ ვიხდი ჯეფერსონში.

— მაგრამ, მის ემილი...

— მოელაპარაკეთ პოლკოვნიკ სარტორისს (პოლკოვნიკი სარტორისი უკვე ათი წლის ვარდაცვლილი იყო). მე გადასახადებს არ ვიხდი. ტომ! — კარებში ზანგი გამოჩნდა. — გააცილე ეს ჯენტლმენები.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

II

ასე დაამარცხა ქალმა ისინი, როგორც ამ ოცდაათი წლის წინ მათი მამები დაამარცხეს. სუნის ამბავი კი მამამისის ვარდაცვალებიდან ორი წლის მერე მოხდა, ხოლო რაც შეეყარებულმა მიატოვა — ვისაც გვეგონა მითხოვდებოდა — სულ ცოტა ხნის შემდეგ. მამამისის სიკვდილის შემდგომ გარეთ იშვიათად გამოდიოდა, ხოლო შეეყარებულმაც რომ მიატოვა, გარეთ გამოსული თითქმის აღარ უნახავთ. რამდენიმე მანდილოსანმა სცადა მასთან შეეღწია, მაგრამ არც ისინი მიიღო. იქაურობის სიცოცხლის ერთადერთი ნიშანწყალი ზანგი მსახური იყო — მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა — ბაზრის კალათით ხელში რომ ხედავდნენ სახლიდან გამოსულს თუ შესულს.

— სად გაგონილა კაცმა თავიანად შეძლოს სამზარეულოს გაძლოდა, ვინც არ უნდა იყოს იგი, — აღშფოთებით ამბობდნენ ქალები; ჰოდა, არც ვაკვირვებით, როცა ერთ დღეს რაღაც უსიამო სუნი დატრიალდა, კიდევ ერთი დამადასტურებელი საბუთი იმისა, რომ ესდენ მალლამდგომ გრირსონებზედაც მეუფებდა ამ უხეში ხორციელი სამყაროს ძალა.

მეზობულმა ქალმა მერს შესჩივლა ამის თაობაზე. მერი ოთხმოცი წლის მოსამართლე სტივენსი გახლდათ.

— კი მაგრამ, მე რა ვიღონო, მადამ? — ჰკითხა მან.

— როგორ რა იღონოთ? შეუთვალეთ, რომ ეს უმსგავსობა მოაშოროს იქაურობას, — უთხრა ქალმა, — განა ასეთი კანონი აღარ არსებობს?

— დარწმუნებული ვარ, საჭირო არ იქნება, — მიუგო მოსამართლემ. — ზანგმა აღბათ ეზოში გველი ან ეერთხა მოკლა. მე მოველაპარაკები.

მეორე დღეს კიდევ ორი მომჩივანი გამოეცხადათ. ერთმა მოკრძალებით გამოხატა თავისი უკმაყოფილება:

— მართლაც რაღაც უნდა ვიღონოთ, მოსამართლევ. მე არც კი შევაწუხებდი მის ემილის, მაგრამ რაღაც მაინც უნდა ვიღონოთ.

იმავ საღამოს მუნიციპალიტეტის საბჭო შედგა — სამი მხტოვნისა და ერთი ახალგაზრდა ახალი თაობის წარმომადგენლისგან.

— ამაზე უბრალო არაფერია, — თქვა მან. — შეუთვალეთ, რომ ამა და ამ დროისათვის მოაწესრიგოს ყველაფერი, ხოლო თუ არ შეასრულებს...

— ეშმაკმა დალაზროს, სერ, — უთხრა მოსამართლემ, — თქვენ რა, პირში გინდათ უთხრათ ქალს, რომ ცუდი სუნი ასდის?

ასე, რომ, მეორე ღამით, უკვე ნაშუადღევს, ოთხმა კაცმა ფრთხილად გადაიარა მის ემილის გაზონი, ქურდებივით ფეხაკრეფით შემოუარეს სახლს, დაყნოსეს აგურის საძირკველი და სარდაფის ხვრელები, ხოლო მზარზე ჩამოკიდებული ჩანთიდან კი ერთი მათგანი მთესველივით რაღაცას ყრიდა. მეორე შეანგრის სარდაფის კარი და ყველგან კირი მოაბნიეს შიგ თუ გარეთ. როდესაც კვლავ გადმოიარეს გაზონი, ადრე ჩაბნელებული ფანჯარა განათდა და მის ემილის ღანდი გამოჩნდა. შუქი უკნიდან სცემდა — იგი კერპივით გაუჩნდრევლად იჯდა. მათ ფრთხილად გადაიარეს გაზონი და აკაციების ჩრდილში

ვაუჩინარდნენ, მწკრივად რომ გასდევდა ქუჩას. ერთი-ორი კვირის შემდეგ სუნი გაქრა.

მას აქეთ შეებრაღა ხალხს მის ემილი. ჩვენში ახსოვდათ მის უაიეთი — ემილის პაპიდა, სიბერეში რომ მთლად გადავიდა ჭკუიდან. ყველას მიაჩნდა, კრიოსონები მეტისმეტად ამპარტავნობენ, თუშცა სინამდვილეში არაფერს წარმოადგენენო და არც მის ემილის საკადრისი ყმაწველეს მკაცრებნათ აქ.

მთელი წლების მანძილზე ასედაც წარმოგვედგინა, გუნათებულ კარებში მდგარი ფეხებგაბობიკებული, მათრახმომარჯვებული მამამისი, ხოლო მის უკან თეთრებში გამოწყობილი ტანწერილი მის ემილი. ჰოდა, როდესაც ოცდაათისა გახდა და ისევ გაუთხოვარი დარჩა, ვერ ვიტყვი, ნიშნისმოგების გრძნობამ აგვავესო-თქო, არა, უბრალოდ ვიცოდით, ასედაც რომ იქნებოდა. კი, ბატონო, სულით სნეული პაპიდა ჰყავდა, მაგრამ მის ემილი ხომ არც ისეთი გიჟი იყო, საკუთარი ცხოვრება ვერ მოეწყო. მაშასადამე, არც არავინ ახევედა კალთებს.

როცა მამა გარდაეცვალა, აღმოჩნდა, რომ სახლის გარდა არაფერი დაუტოვებია თავისი ასულისათვის; ხალხი თითქოს გაახარა კიდევ ამ ამბავმა. ბოლოს და ბოლოს ახლა მაინც შეიძლებოდა შეებრაღებინათ ეს ამაჟი მის ემილი, მარტოდ-მარტო დარჩენილი და გაღატაკებული, ახლა მაინც სხვებივით მასაც შეაწუხებდა თუ გაახარებდა საცოდავი ცენტების ქონება თუ არქონება.

მამის გარდაცვალების მეორე დღეს ჩვენი ქალბატონები ეწვივნენ სახლში, რომ თანაგრძნობა გამოეხატათ და თან დახმარებაც შეეთავაზებინათ, როგორც წესად გახლავთ. მის ემილი მათ კარებში შეხვდა, ჩვეულებრივად ჩაცმული, სახეზე მწუხარების კვალიც არ ეტყობოდა: ასე განუცხადა, მამა არ მომკვდარაო. მთელი სამი დღე ამას უმეორებდა მღვდლებსაც და ექიმებსაც, მის დაყოლიებას რომ ცდილობდნენ ნეშტის მიწისთვის მისაბარებლად. მაგრამ, როცა გადაწყვიტეს კანონისთვის მიემართათ, ქალი მოტყდა და ნეშტიც სასწრაფოდ დაკრძალეს.

მამის ჯერ კიდევ არ გვეგონა, რომ შეიშალა, ჩვენ გვესმოდა მისი, კარგად გვახსოვდა, რამდენი ყმაწვილკაცი დაუფრთხო მამამისმა, ისიც ვიცოდით, უსახსროდ დარჩენილი მაინც იმ ხელს ეჭიდებოდა, რომელმაც ცარიელზე დატოვა, როგორც ხდება ხოლმე.

III

მას შემდეგ დიდხანს ავადმყოფობდა. როცა ხელახლა მოეკარით თვალი, თმა პატარა გოგოსავით მოკლედ შეკრეჭილი ჰქონდა და ცოტა არ იყოს ტამბრას ვიტრაჟების ანგელოსებს მოგავდა ოღნავ სევდიანი და მშვიდი იერით.

ქალაქის მმართველებმა ხელშეკრულება დადეს ტროტუარების დაგების თაობაზე. იმავე ზაფხულს, როცა მამამისი გარდაიცვალა მუშაობაც დაიწყო. სამშენებლო ბრიგადა ზანგების, ჯორების შემადგენლობით და მანქანებით აღჭურვილი ჩამოვიდა. მათი უფროსი, სახელად ჰომერ ბერონი, ბრგე, ჯმუხი, ჯან-ღონით სავსე იანკი იყო, ომახიანი ხმა ჰქონდა, თვალები კი — უფრო ნათელი, ვიდრე სახე. ბიჭბუჭები ჯგუფ-ჯგუფად დასდევდნენ იმის მოსასმენად, რა შავ დღეს აყრიდა ზანგებს, ან როგორ ხმაშეწყობით მღეროდნენ დროდადრო ისინი წერაქვების დარტყმისას. მალე ქალაქში ყველას გაეცნო და თუ სადმე მოედანზე ხორხოცს გაიგონებდით, მაშასადამე, იქ უთუოდ ჰომერ ბერონი იმყოფებოდა. მერე კი ყოველ კვირას, ნაშუადღევს, მის ემილისთან ერთად დაი-

წყო სეირნობა ორბორბლიანი და ყვითელმანებიანი დაქირავებული ეტლით, რომელშიც ორი წაბლა ცხენი ება.

თავდაპირველად გაგვიხარდა კიდეც, რომ მის ემილის ცხოვრებაში ინტერესი გაუჩნდა, თუმცაღა ქალები კი ამბობდნენ, რა თქმა უნდა, გრირსონთა ასული სერიოზულად არ მოეკიდება ამ ჩრდილოელსა და თანაც დღიურ მუშასო. მაგრამ იყვნენ ისეთებიც, უფრო ხანდაზმულები, რომელთაც კი არ უნდა აიძულოს ჭკუშპარიტი ლედი დაივიწყოს, *ჩასაწყ მიხსილასი oblige,*¹ — თუმცა სიტყვასიტყვით ასე არ ამბობდნენ, უბრალოდ ოხრავდნენ: „საწყალი ემილი. არა, მისი ახლობლები უნდა ჩამოვიდნენ“.

მას მართლაც ჰყავდა ნათესავები ალაბამაში, მაგრამ მამამისი დიდი ხნის წინ ჩამოშორდა მათ მის უაიეთის, ამ სულით ავადმყოფი ქალის მემკვიდრეობის გამო. მას შემდეგ იმ ორ ოჯახს შორის შეწყდა ყოველგვარი ურთიერთობა, დაკრძალვასაც კი მათგან არავინ დასწრებია.

როგორც კი ხანდაზმულებმა თქვეს: „საწყალი ემილი“, ქალაქში მიოქმა-მოთქმა შეიქნა: „როგორ ფიქრობთ, ნუთუ მართალია? რა თქმა უნდა, თორემ სხვანაირად... — ჩურჩულებდნენ პირზე ხელმიფარებულნი და აბრეშუმისა თუ ატლასის კრინოლინების შრიალ-შრიალით ნაშუადღევის მზის გამო ჩამოშვებულ ფარდებიდან კისერწაგრძელებულნი უჭვრეტდნენ, წაბლა ცხენები როგორ მიაჩაქჩაქებდნენ ეტლს: — საწყალი ემილი.“

მის ემილის თავი მაინც მაღლა ეჭირა, მაშინაც კი, როცა დავიჯერეთ, იგი მოტყდა და დანებდაო. ახლა უფრო მეტ პატივისცემას მოითხოვდა, როგორც გრირსონთა უკანასკნელი შთამომავალი — თითქოსდა ეს ამბავი აკლდა, რომ კიდეც უფრო ამალლებულიყო. ასე იყო საქმე, როცა თავის საწამლავი, დარიშხანი იყიდა. ეს მოხდა ერთი წლის შემდეგ, რაც „საწყალი ემილი“ თქვეს მასზე ქალაქში. მაშინ ორი მისი ბიძაშვილი გოგო სტუმრობდა მასთან.

— რაღაც საწამლავი მჭირდება, — უთხრა მან მეაფთიაქეს. მაშინ უკვე ოცდაათს გადაცილებული იყო, ისევ ისეთი ტანთხელი, თუმცა ჩვეულებრივზე ოდნავ უფრო გამხდარი, შავი თვალები ცივად, ზვიადად იმზირებოდნენ, საფეთქლებთან და უბეების ირგვლივ კანი მოჭმუჭვნოდა, ალბათ ასე აქვთ ხოლმე შუქურათა ზედამხედველებს. — საწამლავი მჭირდება, — უთხრა მან.

— კეთილი, მის ემილი. რომელს ისურვებთ? მღრღნელებისათვის? ოღონდ გირჩევდით...

— ყველაზე საუკეთესო მჭირდება, რაც კი მოგეძევათ; სულ ერთია, რომელი იქნება.

მეაფთიაქემ რამდენიმე ჩამოუთვალა.

— სპილოსაც კი გააგორებენ. ოღონდ გირჩევდით...

— დარიშხანი, — უთხრა მის ემილიმ. — ის ხომ კარგად მოქმედებს?

— დარიშხანი? რა თქმა უნდა, მის ემილი. ოღონდ გირჩევდით...

— მე დარიშხანი მინდა.

მეაფთიაქემ სახეში შეხედა. ქალმა შეუდრეკელი მხერა შეაგება. თავი ამართულ დროშასავით ეჭირა.

— რატომაც არა, — მიუგო მეაფთიაქემ, — რაკი ასე ვნებავთ. მაგრამ უნდა განაცხადოთ, რისთვის გჭირდებათ, კანონი ასეთია.

მის ემილი ჯიქურ მიჩერებოდა, თავი ოდნავ უკან გადაეწია. მეაფთიაქემ

1 მოვლეობა ავალებს (ფრანგ.).

ვერ გაუძლო ამ მზერას და დარიშხანის შესახვევად გავიდა. ზანგმა ბიჭმა გამოუტანა პაკეტი, მეაფთიაქე აღარ გამოჩენილა. როცა შინ პაკეტი გახსნა, ყუთზე თავის ქალისა და ძვლების ქვეშ მიწერილი იყო: „ვირთხებისათვის“.

IV



„ნამდვილად თავს მოიწამლავს“, — ვამბობდით ყველა შემოქმედს ისიც კი ითქვა, მისთვის ეს ყველაზე კარგი გამოსავალი იქნებოდა. როცა შირველაად პომერ ბერონთან დავინახეთ, „უეჭველად ცოლად გაჰყვებაო“, ვთქვით ყველამ. მოგვიანებით კი — „მაინც მოტეხავს ამ კაცსო“, რადგან შევიტყვეთ, რომ პომერი (მას კაცებთან ყოფნა უფრო მოსწონდა და დომბების კლუბში ყმაწვილებთან უყვარდა მოლხენა) დახლთან იკვებნიდა, ცოლს არასოდეს მოვიყვანო.

შემდეგ კი, უფრო მოგვიანებით მხოლოდ ვიხსენებდით: „საწყალი ემილი“, როცა ფანჯრებიდან ვუჭკრეტდით, კვირა დღეს როგორ ჩაისეირნებდნენ ხოლმე გალაქული ეტლით — მის ემილი ამაყად ყელმოღერებული, პომერ ბერონს კი შლაპა გვერდზე მოეგდო, კბილებში სიგარა გაეჩარა, სადავე და მათრახი კი ყვითელთათმანიან ხელში მოემწყვდია.

ქალებმა ერთი ამბავი ატეხეს, ეს ქალაქის შეურაცხყოფაა და ახალგაზრდებისთვისაც ცუდი მაგალითი. მამაკაცებს არ სურდათ ამ საქმეში ჩარევა, მაგრამ ქალებმა მაინც იძალეს და ბაპტიისტი პასტორი მიუგზავნეს — მის ემილის გვარში ოდიოგანუვ ყველანი პროტესტანტები იყვნენ. პასტორს არასოდეს გაუხმაურებია, რა მოხდა მათ შორის, ეს კია, გადაჭრით უარი განაცხადა მეორედ სწვეოდა მის ემილის. მაგრამ დაღვა კვირა და ეტლმა ისევ ჩაიარა ქალაქის ქუჩებში; მეორე დღეს პასტორის ცოლმა მის ემილის ნათესაებს წერილი გაუგზავნა ალაბამაში.

ახლა მის ემილის ჭერქვეშ ახლობლებმა დაიდეს ბინა. ყველა ველოდით, რა მოხდებოდა შემდგომ. თავდაპირველად არც არაფერი მომხდარა. შემდგომ დავრწმუნდით, რომ ქორწინება მართლა შედგებოდა. როგორც შევიტყვეთ, მის ემილი ოქრომჭედელთან ყოფილა და მამაკაცისათვის ვერცხლის ნაკეთობანი შეუკვეთავს ზედ ამოტვიფრული ასოებით პ. ბ. ორი დღის შემდეგ ხმა დაირხა, მამაკაცის ტანსაცმლის მთელი კომპლექტი იყიდაო ღამის პერანგის ჩათვლით, მაშინ კი დავასკვნით: „მათ უკვე იქორწინეს“. მართლა გაგვეხარდა ყველას, გაგვეხარდა იმიტომ, რომ მის ემილის ორი ბიძაშვილი გოგო, ღვთის მადლით, აქაურობას მოშორდებოდა, რადგან მის ემილიზე უარესი გრირსონები გამოდგნენ.

ასე რომ, არც გაგვეკვირვებია, როცა პომერ ბერონი ქუჩის სამუშაოების დამთავრებისთანავე ქალაქიდან გაემგზავრა. ცოტა კი გვეწყინა, ზეიმი რომ არ შეღვა, მაგრამ ჩავთვალეთ, ალბათ იმ მიზნით წავიდა, მის ემილის ჩასვლას იქ დალოდებოდა, ამასობაში კი ქალი ბიძაშვილებსაც გაისტუმრებდა (იმხანად ჩვენ ყველანი მის ემილის მხარეზე ვიყავით მათ წინააღმდეგ). ასედაც მოხდა, ერთი კვირის შემდეგ მართლაც წაბრძანდნენ. სამი დღის მერე კი პომერ ბერონიც დაბრუნდა. მეზობელმა ქალმა თვალი მოჰკრა, როგორ შეუძღვა ზანგი მსახური უკანა კარიდან მზის ჩასვლის შემდეგ.

მას აქეთ პომერ ბერონი ჩვენში აღარაყის უნახავს. ერთხანს არც მის ემილი გამოჩენილა. ზანგი მსახური კალათით ხელში შედიოდა და გამოდიოდა სახლიდან, საღარბაზო კარი კი მუდამ დაკეტილი იყო. დროდადრო ფანჯარაში მის ემილის ღანღი გაკრთებოდა, როგორც იმ ღამეს, როცა კირი მოუბნიეს ეზოში, მაგრამ ქუჩაში თითქმის ექვსი თვე არ გასულა. ვიცოდით,

რომ ასეც იყო მოსალოდნელი, ესეც პამისგან მოსდგამდა, ვისმა ღვარძლმა და ქედმაღლობამ ბევრჯერ დაუნგრია ცხოვრება, მოვეხსენებათ, კვიცი გვარზე ხტისო.

როცა კვლავ ვიხილეთ მის ემილი, უკვე გასუქებულიყო და თმაც შევერცხლოდა. მერე და მერე წლებს თავისი გაჰქონდა და თმაც უფრო და უფრო უჭარავედებოდა, ვიდრე მარილში შერეულ პილპილისფრად არ ექცეოდა. ვიდრე დარჩა გარდაცვალებამდე, ანუ ვიდრე სამოცდათოთხმეტისა გახდებოდა, მისი უმეცხულ საქმოსან კაცების დარად თმა ვერცხლისფრად უბზინავდა.

მას შემდეგ სადარბაზო აღარც გაუღიათ, თუ არ ჩავთვლით იმ ექვს-შვიდ წელს, როცა დაახლოებით ორმოცი წლის ასაკში ფაიფურზე მოხატვის გაკვეთილები წამოიწყო. სახელოსნო პირველი სართულის ერთ-ერთ ოთახში ჰქონდა, სადაც პოლკოვნიკ სარტორისის თანატოლთა ასულებსა და შვილის-შვილებს უნდა ევლოთ, როგორც საკვირაო სკოლაში დადიოდნენ ხოლმე უცილობლივ და ღვთისმოსავთა საკადრისად, და აქაც თეფშზე ოცდახუთი ცენტი დაედოთ თითოეულს შესაწირად, როგორც ეკლესიაში დებდნენ ხოლმე. სწორედ მაშინ გაათავისუფლეს მის ემილი გადასახადებისაგან.

შემდეგ ახალი თაობა გახდა ქალაქის მამოძრავებელი და სულისჩამღვმელი; მხატვარი გოგოებიც წამოიზარდნენ და თანდათან გაუჩინარდნენ. ახლა აღარავინ უგზავნიდა თავის ასულს მის ემილის საღებავების ყუთით, აბეზარი ფუნჯებითა და ქალთა ჟურნალებიდან ამოჭრილი სურათებით. სულ ბოლო მოწაფემ რომ გამოიხურა სადარბაზო კარი, მას შემდეგ აღარც გახსნილა, როცა ქალაქში უფასო საფოსტო მომსახურება შემოიღეს, მხოლოდ მის ემილი იუარა რკინის ნომრები და საფოსტო ყუთი მიემაგრებინათ მის კარზე, არც კი ინება მათი მოსმენა.

გადიოდა დღეები, თვეები, წლები, ვხედავდით, როგორ ჭაღარავდებოდა თანდათანობით ზანგი მსახური, როგორ იხრებოდა წელში ბაზრის კალათით ხელში სახლიდან გამოსული თუ შესული. ყოველი წლის დეკემბერში გადასახადის ქვითარი ეგზავნებოდა, რომელიც ერთი კვირის შემდეგ ფოსტით უკანვე ბრუნდებოდა უპასუხოდ. შიგადაშიგ ქვედა სართულის რომელიმე ფანჯარაში გაკრთებოდა ხოლმე იგი ქვის სქელი კერპით, ვერ გაარჩევდი, გიყურებდა თუ სულაც ვერ განჩნევდა. სახლის ზედა სართული ალბათ გამოკეტილი ჰქონდა. ასე გადადიოდა ერთი თაობიდან მეორეში — ვით ძვირფასი, მოუცილებელი, შეუვალი და ბედდამახინჯებული ჩვენი მემკვიდრეობა.

და ასეც გარდაიცვალა — ლოგინად ჩავარდნილი იმ მტვრიან, აჩრდილებით სავსე სახლში ერთადერთი გადაბერებული ზანგის ამარა, სხვა მოძველები არავინ ჰყავდა. ჩვენ არც ვიცოდით, ლოგინად თუ ჩავარდა; უკვე დიდი ხანია აღარც გვიცდია რაიმე ვაგვეგო მისი ზანგისგან — იგი არავის ელაპარაკებოდა, ალბათ არც მის ემილისაც, ამიტომაც ხმა უსიამოვნო და თითქოს ჩაუანგებული გახდომოდა.

მის ემილი ქვედა სართულის ერთ-ერთ ოთახში მიიცივალა მასიური კაკლის მიჩიგდანიან ხის საწოლზე. შევერცხლილი თავი სიძველისაგან გაყვითლებულ და აშმორებულ ბალიშზე გადაეგდო, იქ ხომ მზის სხივი ვერც აღწევდა.

V

ჩვენს ქალბატონთა პირველ წყებას ზანგი სადარბაზო კართან შეეგება და სახლში შეუძღვა. ვინემ ისინი სისინ-ჩურჩულით ერთმანეთს დერეფანში ელა-

პარაკებოდნენ და ცნობისმოყვარეობით ათვალეზებდნენ იქაურობას, ზანგმა გაიარა სახლი, გავიდა გარეთ და მას შემდეგ აღარც არავის უნახავს.

ორი ბიძაშვილი ალაბამიდან მაშინვე ჩამოვიდა. დაკრძალვა მეორე დღესვე შედგა. მთელი ქალაქი დაიძრა მის ემილის სანახავად, ნაყიდ ყვავილების ზღვაში რომ ესვენა. ფანქრით ნახატი სურათიდან კუბოს ზემოდან დაჰყურებდა მის ემილის მამა. ქალები დეარძლიანად ჩურჩულებდნენ, ყველანაირი საკოვანი კაცები — ზოგი ფუნჯებიან ფედერალურ ფორმაში გამოსწორებულ ტერასაზე და გაზონზე სეირნობდნენ და მის ემილიზე საუბრობდნენ, თანაც ისე, ვითომ მისი თანატოლნი ყოფილიყვნენ, ვისთანაც ვითომ ერთ დროს ეცეკვათ, ვისაც ვითომ გაარშიყებიან კიდევ. და როგორც მოხუცებს სჩვევიათ ხოლმე, ისე ურევდნენ დროს, თითქოს წარსული არათუ ბოლოში დავიწროებული განვლილი გზა იყო, არამედ ერთი დიდი მდელი, რომელზეც ზამთარი ჯერ არ დაძვარა და რომელიც აშორებდათ ბოთლის ყელივით ვიწრო უკანასკნელ ათწლეულს.

ჩვენ უკვე ვიცოდით, რომ ზედა სართულზე იყო კიდევ ერთი ოთახი, სადაც აგერ უკვე ორმოცი წელია არავინ შესულა, არც გასაღები ჩანდა მისი სადმე. კარი მაშინ შეანგრის, როცა, როგორც წეს არს, ნეშტი მიწას მიაბარეს.

კარი რომ შეამტვრიეს, მთელი ოთახი უმაღლესტვრით აივსო. მტვერი თხელ სუდარასავით დაჰფენოდა ოთახს, ახალდატორწინებულთათვის მორთულს რომ ჰგავდა: გამოხუნებულ ფურჩალებიან ვარდისფერ ფარდებს, ვარდისფერაბაჟურიან ლამპებს, ტუალეტის მაგიდაზე ლამაზად დაწყობილ ბროლისა და მამაკაცის სატუალეტო ვერცხლის ნივთებს, რომლებიც ისე ჩაშაყებულყვნენ, მონოგრამებს ვერც გაარჩევდი. იქვე ეგდო ჰალსტუხიანი საყელი, თითქოს ეს ეს არის მოხსნილი, თუმცა როცა აიღეს, მტვრიან ზედაპირზე ნამგალა მთვარის დარი კვალი დარჩა მის ადგილზე. სკამზე გულდაგულ დაკეცილი კოსტიუმი ეფინა, იატაკზე უხმო სტატისტიკებით ორი წაღა და წინდები ჩანდა.

თვით მამაკაცი კი საწოლში იწვა.

დიღხანს ვიდექით, ვიდექით და დაეჩერებოდით ამ უხორცო კბილებდაკრეჭილ საშინელებას. სხეულს აშკარად შერჩენოდა სასიყვარულო პოზა, მაგრამ მარადიულ ძილს, სიყვარულზე უფრო ხანგრძლივს და უფრო უძლეველს — პატარძალი მისი მკლავებიდან გამოეტაცნა, ხოლო რაც საქმროსგან დარჩენილიყო, იქ გახრწნილიყო, ღამის პერანგი რომ ერქვა, და ზეწრის ნეშტს შერთვოდა. საბანსაც ზემოდან თანაბრად დაფენოდა ყოვლის ამტანი მტვერი.

მერე ისიც შევამჩნიეთ, რომ მეორე ბალიშს თავის დანადები აჩნდა. ერთ-ერთი ჩვენგანი დაიხარა და რაღაც აიღო, როცა ირგვლივ შემოვეხვიეთ, თუმცა კი ვცდილობდით მშრალი, ყელის ჩამხოკი წვრილი მტვერი არ ჩავვესუნოთქა, დავინახეთ, ეს ჭაღარა, გრძელი კულული იყო.

თ მ ა

I

ის გოგო, სიუზენ რიდჰ, ობოლი იყო. ბერჩეტების ოჯახში ცხოვრობდა, რომელთაც ორი თუ სამი თავისიც ჰყავდათ. ამბობდნენ, მათი ძმისშვილი, ბიძაშვილი თუ ვიღაცააო. სხვები კი, როგორც ხდება ხოლმე, კაცმა არ იცის, რას ჩმახავდნენ მისტერ ბერჩეტსა და, წარმოიდგინეთ, მისის ბერჩეტზეც. მეტადრე ქალები, ხომ იცით მაგათი ამბავი.

ხუთიოდ წლისა იქნებოდა გოგო, როცა ჰოქში პირველად გამოჩნდა ჩვენს ქალაქში. იმ ზაფხულს, მისი ბერჩეტმა რომ სიუზენი მოიყვანა მაქსის სადალაქოში, იგი პირველად იდგა სავარძლის უკან. მაქსი მიყვებოდა, მთელი სადალაქოს თვალწინ სამი დღე როგორ ცდილობდა ქალი სიუზენი სადალაქოში შეეტრია. იმხანად ერთი კნაჭა გოგო იყო, დიდრონი დამფრთხალი თვალები და სწორი ხშირი თმა ჰქონდა, რომელზეც ვერ იტყოდით, რა ფერის ჰქონდა მუქი. ჰოდა, მაქსიმ მიაშბო, ბოლოს და ბოლოს როგორ გავიდა და თითქმის მთელი თხუთმეტი წუთი ელაპარაკა გოგოს, ვიდრე სადალაქოში შემოიყვანდა და თავის სავარძელში ჩასვამდა — იმ ჰოქშიმ, ვისაც მთელ ქალაქში კაციშვილთან სიტყვა არ დასცდენია „დიახ“-ისა და „არა“-ს გარდა.

— დალახვროს ეშმაკმა, თითქოს სწორედ ამ გოგოს ელოდა ჰოქში, — მიიხრა მაქსმა.

ასე გაკრიჭეს პირველად გოგო, თანაც ჰოქშოს წყალობით. დამფრთხალი კურდღელივით იჯდა ზეწარმიფარებული. ექვსი თვის შემდეგ უკვე მარტო მოდიოდა სადალაქოში თმის გასაკრეჭად, ასევე პატარა კურდღელივით დამფრთხალი, დიდრონი თვალებითა და ისეთივე თმით, რომელზეც ვერ იტყოდით, რა ფერისა იყო თეთრ ნაჭერზე დაფენილი. თუ ჰოქშოს არ ეცალა ამბობდა მაქსი, შემოვიდოდა, დასკუპდებოდა მოსაცდელ სკამზე ჰოქშოს სავარძლის ახლოს, ფეხებს წინ გაიშვერდა და ასე ელოდებოდა, ვიდრე ჰოქში დაამთავრებდა. მაქსი ამბობდა, ყველა ჰოქშოს კლიენტად თვლიდა იმათ მსგავსად, ყოველ შაბათს გასაპარსად რომ მოდიოდნენ მასთან. როცა ერთმა დალაქმა, მეთ ფოქსმა. გოგოს თავისი სამსახური შესთავაზა, — ჰოქში დაკავებული იყო — ჰოქში საშინლად განრისხდა.

— ახლავე დავამთავრებ, — უთქვამს, — და თავად მოვემსახურები.

მაქსი მიყვებოდა, ჰოქში მასთან თითქმის მთელი წელი მუშაობდა, მაგრამ აქამდე ვისმესთვის პირში ბურთი ჩაეჩაროს, არავის ენახა.

იმ შემოდგომაზე გოგო სკოლაში წავიდა. ყოველ დილასა და ნაშუადღევს სადალაქოსთან უნდა ჩამოეველო. ისევე უკარება იყო, როგორც ყველა პატარა გოგო, ისევე სწრაფად ჩაიქროლებდა ხოლმე სადალაქოს ფანჯრის მიღმა იმ თავისი მოყვითალო-მოყავისფრო კინკრიხოთი, თითქოს ციგურებზე იდგას. თავიდან მარტო დადიოდა, მაგრამ მალე უკვე სხვა თავებს შორის მისი თავიც გაიფლავებდა. ყველანი ერთად ჭახჭახებდნენ, ფანჯრისკენ არც იხედებოდნენ, ჰოქში კი იდგა და ქუჩას გასცქეროდა. მაქსი ჰყვებოდა, მას და მეთის სულაც არ სჭირდებოდათ საათის შეხედვა, ვინაიდან ჰოქშოს მიხედვით ხედებოდნენ, როდის აკლდა ხუთი წუთი რვას და როდის სამს, როგორც ეტყობა, მისდა უნებურად და შეუცნობლად მიიწევდა ფანჯრისკენ სწორედ იმ დროს, როცა ქუჩაში მოსწავლეებს უნდა გაეველოთ. გოგო რომ სადალაქოში მოდიოდა თმის შესაკრეჭად, ჰოქში მას ორ-სამ ცალ პიტნის საწუნჩავს ახვედრებდა, სხვა ბავშვებს კი თითო-ერთი ცალს ურიგებდაო, მიყვებოდა მაქსი.

თუმცა არა, ეს მეორე დალაქმა, მეთ ფოქსმა მიაშბო. სწორედ მან მიიხრა იმ თოჯინის ამბავი, ჰოქშიმ შობის უქმეზე რომ აჩუქა გოგოს. თვითონ საიდან შეიტყო, არ ვიცი. ჰოქშოს მისთვის არაფერი უთქვამს, მაგრამ საიდანღაც მაინც გაიგო. მან უფრო მეტი იცოდა ჰოქშიზე, ვიდრე — მაქსიმ. თვითონ ცოლიანი კა-

1. ტ. ტვილორის ერთ-ერთი პიესის „ბილეთი მგზავრისათვის“ (XIX ს.) გმირი, დეტექტივი, შემდგომ რომ იქცა დეტექტივთა დამცინავ სახელად.

ხალხმა ყველაფერი გაიგო, როცა ყველა ამ გოგოზე აღაპარაკდა, ერთიც არ მო-
აძებნა, ჰოქშოსთან ამის თაობაზე კრინტი დაეძრა. ალბათ ფიქრობდნენ, ჰოქშომ
ისეღაც იცისო, მასაც ვაგონილი ექნებათ ეს ჭორები. სადალაქოშიაც მხოლოდ
მაშინ საუბრობდნენ ამ გოგოზე, როცა ჰოქშო იქ არ იყო. სხვა მამაკაცებაც ასე
იქცეოდნენ, რადგან კაცი არ იყო ქალაქში, ვისაც არ ენახა, ფანჯარასთან მიმ-
დგარი ჰოქშო როგორ უჭვრეტდა გოგოს, როცა იგი ფანჯარას ჩაუვლიდა, არც
ქუჩაში აცილებდა თვალს კინოთეატრთან სწორედ იმ დროს მისულებს, როცა ხალ-
ხთან ერთად გოგოც ვიღაც ბიჭის თანხლებით გამოდიოდა — ეს თითხმეტიოდე
წლის გოგო უკვე ბიჭებთან დადიოდა. ხალხი იმასაც ჰყვებოდა, როგორ იპარებო-
და იგი შინიდან ბიჭებთან შესახვედრად და ისევ ჩუმად შეიპარებოდა ხოლმე
სახლში. მისის ბერჩეტს კი ეგონა, მეგობარ გოგოსთან დადისო.

ჰოქშოსთან მის სახელს არავინ ახსენებდა. ელოდნენ, ვიდრე სასადილოში
გავიდოდა ან კიდევ ორი კვირით აპრილში შვებულებით გაემგზავრებოდა, თუმცა
სად და რა მიზნით, არავინ უწყობდა. მაგრამ როგორც კი გაემგზავრებოდა, ხე-
დავდნენ, აღმა-დაღმა როგორ დაჰქროდა გოგო, ცეცხლს ეთამაშებოდა და ადრე
თუ გვიან კისერსაც წაიტეხდა, თუნდაც ბერჩეტებისთვის მანამდე არავის არა-
ფერი ჩაეყაჭა. ერთი წელი სკოლაში ცხვირი არ შეუყვია. ბერჩეტებს ეგონათ,
ყოველდღე სკოლაში დადისო, მაშინ როცა შენობაშიც არ შეუხედავს. ვიღაცას
— შესაძლო ერთ-ერთ უფროსლასველ ბიჭს, მან ხომ გარჩევა არ იცოდა,
სკოლის ბიჭები იქნებოდნენ, ცოლიანი კაცები თუ სხვები — ყოველ თვე მოჰქონ-
და მისთვის სასწავლო ტაბელი, თავისი ხელით რომ ავსებდა და მერე მისის ბერ-
ჩეტთან მიჰქონდა ხელმოსაწერად. ეშმაკმა უწყის, რად ასულელებინებენ ხოლმე
კაცები თავს იმ ქალს, რომელიც უყვართ.

მერმე მან სკოლა მიატოვა და მაღაზიაში დაიწყო მუშაობა. კვლავაც მოდი-
ოდა ხოლმე თმის შესაკრეჭად, სულ ერთიანად შეთითხნილ-შეთხიპნილი, იაფ-
ფასიანი ჭრელჭრულა კაბა ტანზე შემოტმასნოდა, თან მფრთხალი, თან თავ-
ხედური და თან დამორცხვებით მზირალი, რაღაცით გაწეპილი თმა და კულუ-
ლები ლოყებზე მიკროდა. მაგრამ საღებავიც კი ვერ უცვლიდა მის თმას მოყვი-
თალო-მოყავისფრო ფერს. ჰოქშოსთან ახლა ყოველთვის როდი ჯდებოდა. მაში-
ნაც კი, თუ მისი სკამი თავისუფალი იყო, გოგო რომელიმე სხვა სკამს ირჩევდა
და დალაქს ელაქლაქებოდა. მთელ სადალაქოს მისი კისკისი და სუნამოს სურ-
სელი ავსებდა, ზეწრიდან ფეხები კარგა წინ გამოშვეროდა. ჰოქშო მისკენ არც
იქურებოდა. გინდაც უსაქმოდ ყოფილიყო, იერი მაინც საქმიანი კაცისა ჰქონდა:
განზრახ ძირს იცქირებოდა საქმით გართული კაცივით, რათა არაფერი შემჩნე-
ოდა.

ასე იყო საქმე, როცა იგი აპრილის თვეში ორი კვირით შვებულებით გაემ-
გზავრა, ხოლო თუ სად, ათი წელია აღარავინ ეკითხებოდა. ჯეფერსონში რომ
ნავედი და საპარიკმახეროში შევიარე, უკვე ორი დღის წასული იყო; ისინი ჰოქ-
შოსა და იმ გოგოზე ლაპარაკობდნენ.

— საშობაოდ ისევ ასაჩუქრებს ხოლმე? — ვიკითხე მე.

— ორი წლის წინ სამოცდოლარიანი მაჯის საათი უყიდა, — მითხრა მეთ
ფოქსმა.

მაქსი კლიენტს პარსაუდა, მაგრამ შეწყვიტა და გაქაფული სამართებელი
ხელში შეაცივდა.

— მეხი დამეცეს, თუ... — თქვა მან, — მაშ, გამოდის... ეგ პირველი იყო...
პირველი, რომელმაც...

მეთს არც მოუხედავს.

— საათი ჯერ არ უჩუქებია, — თქვა.

— მეხიმც დასცემია მაგის ძუნწ თავს, — თქვა მაქსიმ. — ბებერი, ვინც პატარა გოგოს გაახულელებს, ნაძირაღაა, ხოლო თუ ამასთან მოატყუებს კიდევ... მეთმა ახლა კი მოიხედა, ისიც კლიენტს პარსაუდა.

— რას იტყვოდი, რომ ვაგეგო, მხოლოდ იშითომ არ მოსცეხუქერი, რომ მისი ფიქრით პატარა გოგოს ძვირფასი ნივთი მარტო ნათესაუნდასაქუქონ...

— შენ გგონია, პოქშომ არაფერი იცის? არ იცის, რაც მთელ ქალაქში ბერ-ხეტების გარდა აგერ უკვე სამი წელია ყველამ იცის?

მეთი თავის საქმეს მიუბრუნდა, იდაყვს თანაბრად ამოძრავებდა, სამართებულს — ბიძგებ-ბიძგებით.

— საიდან უნდა სცოდნოდა? ქალის გარდა აბა ვინ ეტყოდა? ის კი ქალებიდან მისის ქოუენის მეტს არავის იცნობს. იმას კა ალბათ ჰგონია, პოქშოს დიდი ხანია უკვე ყველაფერი ჩაუკაკლესო.

— ეგეც მართალია, — თქვა მაქსიმ.

აი, როგორ იყო საქმე, როცა პოქშო ორი კვირით შვებულებაში წავიდა. ჯეფერსონში ორ დღეში მოვათავე საქმეები, შემდეგ კი გზა განვაგრძე. შუა კვირაში დივიუენში ჩავედი. არ ვჩქარობდი. არ მინდოდა მოულოდნელად თავს წავდგომოდი მას. ოთხშაბათს ჩავედი იქ.

II

თუკი ოდესმე ვინმე ჰყვარებია, შეიძლებოდა გეთქვა, პოქშომ იგი პირწმინდად დაივიწყაო — სიყვარულს ვგულისხმობ, რა თქმა უნდა, როცა პირველად ამ ცამეტი წლის წინათ (ის იყო მოგზაურობას შეუუღეჯი მისისიპსა და ალაბამაში სამუშაო ხალათებისა და კომბინიზონების გასასაღებლად) და ფორტერფილდის სადალაქოში სავარძლის უკან მდგარი დავინახე, ჩემთვის ვთქვი: აი ვის უწერია უცოლოდ დაბერება, ვინ მოვლენია ქვეყნიერებას ორმოცი წლის ბერბიჭად-ბეთქი.

ტანმორჩილი კაცი გახლდათ მიწისფერი სახისა, თუმცა მის სახეს ვერ დაიმახსოვრებდი, ათი წუთის შემდეგ კი ვერც გაიხსენებდი; ლურჯი სარჯის კოსტიუმი ეცვა და შავი ბაბთა-ჰალსტუხი ეკეთა. უკან რომ იკრავენ და ასევე შეკრული იყიდება მაღაზიაში. მაქსიმ მითხრა, ისევე ეგ სარჯის კოსტიუმი ეცვა თავისი ბაბთით, როდესაც ჯეფერსონში სამხრეთისკენ მიმავალ მატარებელს ჩამოჰყვა შარშან, ხელში კი მუყაოს ჩემოდანი ეჭირაო. და როცა მომდევნო წელს ვიხილე ჯეფერსონში მაქსის სადალაქოში, სავარძლის უკან რომ არ მდგარიყო, ალბათ ვერც ვიცნობდი — იგივე სახე, იგივე ბაბთა — ეშმაკმა დალახვროს, გეგონებოდა, თავისი სკამით, კლიენტითა და სხვა ყველაფრით, აიღეს და აქ, სამოცი პილის მოშორებით ისე გადმოსვეს, თავადაც ვერ შეამჩნიაო. ფანჯრიდანაც კი გავხლე მოედანს. ფორტერფილდში ხომ არ ვიმყოფები და თანაც შარშანდელ წელს-მეთქი. მაშინ კი გამახსენდა, რომ ექვსი კვირის წინ ფორტერფილდში ყოფნისას მისთვის თვალი არ მომიკრავს.

კიდევ სამმა წელმა განვლო, ვიდრე ისევე გადავეყარე. ხუთ წელიწადში ერთხელ მაინც ჩავდიოდი ხოლმე დივიუენში — ეს გახლდათ პატარა დაბა, მისისიპისა და ალაბამის სასაზღვრო ზოლზე, სადაც მხოლოდ ერთი მაღაზია, ოთხი-ხუთი სახლი და ხე-ტყის სახერხი ქარხანა იდგა. ერთ სახლს დავადგი თვალი. კარგი სახლი იყო — ყველაზე უკეთესი, მაგრამ მუდამ დაკეტილი მხვდებოდა.

როცა დივიჯენში გვიან გაზაფხულზე ან ადრეან ზაფხულში ჩავიდოდი, სახლის ირგვლივ ეზო გაწმენდილი მხვდებოდა, ყვავილების ბუჩქები — მოვლილი, ღობე და სახურავი — შეკეთებული. მაგრამ თუ შემოდგომაზე ან ზამთარში მოვხვდებოდი დივიჯენში, ეზო ისევ ბალახებით იყო დაფარული და მესრის ფიცარიც აქა-იქ გამქრალი, ალბათ შეზობლები აძრობდნენ თავიანთი მესრების შესაკეთებლად თუ შეშად. სახლი კი მუდამ დაკეტილი ჩანდა. სამზარეულოდან კვამლი არასოდეს ამოდებოდა. ჰოდა, ერთ დღეს დუქნის პატრონს ვკითხე, ამ სახლის ამბავი და მანაც მიამბო.

თავის დროზე ის თურმე ერთ კაცს, გვარად სტარნსს ეკუთვნოდა, მაგრამ ოჯახის წევრებიდან აღარავინ დარჩენილიყო. ისინი აქ ყველაზე შეძლებულ ოჯახად ითვლებოდნენ, თუმცა მიწები კი დაგირავეებული ჰქონდათ. მისტერ სტარნსი იმ ზარმაცთა რიცხვს ეკუთვნოდა, თავის მიწაზე კუტივით რომ ზის და ოღონდაც საჭმელი და ცოტაოდენი თამბაქო არ შემოაკლდეს, სხვა არაფერი უნდა. მათ ერთადერთი ასული ჰყავდათ, რომელიც ადგა და ერთ ჭაბუკზე — მოიჯარე ფერმერის ვაჟზე დაინიშნა. დედა წინააღმდეგი იყო, მაგრამ თავად მისტერ სტარნსს საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა. იქნებ იმიტომ, რომ ბიჭი (გვარად სტრიბლინგი) დიდი მშრომელი ვინმე გახლდათ ან იქნებ დაეზარა წინააღმდეგობის გაწევა. ასე იყო თუ ისე, ისინი მაინც დაინიშნენ. სტრიბლინგმა ფული დააგროვა და ბირმინგემში გაემგზავრა დალაქის ხელობის შესასწავლად. ხან შემჩვედრ ფურგონს დაემგზავრებოდა, ხან ფეხით მიდიოდა. ამგვარადვე ბრუნდებოდა ხოლმე ყოველ ზაფხულს თავისი დანიშნულის სანახავად.

ერთ დღესაც სტარნსი გარდაიცვალა, გარდაიცვალა თავის ვერანდაზე, თავისსავე სავარძელში. იქაურები ამბობდნენ, იმდენად ზარმაცი იყო, სუნთქვაც კი დაეზარა და იმიტომ მოკვდაო. ეს ამბავი სტრიბლინგს აცნობეს. როგორც მითხრეს, ბირმინგემის სადალაქოში საქმე კარგად მისდიოდა და უკვე ფულიც დაგროვებოდა. თქვეს, ბინაც შეიგულა, ავეჯისთვისაც პირველი შესატანი გადაიხადა და დაქორწინებას იმ ზაფხულს აპირებდაო. ჰოდა, ისიც ჩამოვიდა. ერთადერთი, რაც სტარნსს დარჩა, დაგირავეებული მიწები იყო; ასე რომ, დაკრძალვის ხარჯები სტრიბლინგმა გაიღო; მართალია, იმაზე მეტი დაუჯდა, ვიდრე სტარნსი იმსახურებდა, მაგრამ მისის სტარნსის გული ხომ უნდა მოეგო? ისე რომ, სტრიბლინგი იძულებული გახდა კვლავ შედგომოდა ფულის დაგროვებას.

ის იყო ბინა დაიქირავა, ავეჯის ფულიც გადაიხადა, საქორწინო ბეჭდებიც იყიდა, ქორწინების უფლებაც მიიღო, რომ კვლავ სასწრაფოდ გამოიძახეს. საცოლეს ციებ-ცხელება შეჰყროდა. ხომ იცით, როგორც ავადმყოფობენ ამ ჩვენს ბივარდნილ კუთხეებში ადამიანები. არც ექიმს, არც ვეტერინარს არ დაუძახებენ, იქ რომც ყოფილიყვნენ. არც ჭრილობა და არც ნატყვიარი მათთვის არაფერია, ხოლო თუ სურდო შეეყარათ, ან გადარჩებიან ან არადა, ორი დღის შემდეგ ქოლერით დაიხოცებიან, როცა სტრიბლინგი ჩამოვიდა, გოგო უკვე ბოდავდა. იძულებული გახდნენ თმა შემოეჭრათ. ეს სტრიბლინგმა ითავა, როგორც ამ საქმის ოსტატმა და თანაც შინაურმა ოსტატმა. ასე მითხრეს, კნაჭა, სუსტი გოგო იყო; თმა კი სქელი, სწორი ჰქონია, მოყავისფრო-მოყვითალო ფერისა.

მან ვერც იცნო სტრიბლინგი, არც გაუგია, ვინ შეჭრა თმა, არც ის, რომ კვდებოდა. ოღონდ სულ ამას იმეორებდა: „დედას მიხედეთ: გირაოსაც. მამას ეწყინება, გადასახადი თუ არ იქნება შეტანილი. ჰენრი ჩამოიყვანეთ. (ღიახ, ღიახ, ჰენრი სტრიბლინგი ჰოქშო გახლავთ. მომდევნო წელს შევხვდი ჯეფერსონში. „მამ, თქვენ ხართ ჰენრი სტრიბლინგი?“ — ვუთხარი ასე.) „გირაო. დედას მიმი-

ხედეთ. ჰენრის აცნობეთ. გირაო. ჰენრი გამოიძახეთ“. ამ სიტყვებით დალია სული. მას მხოლოდ ერთადერთი სურათი დარჩა. ჰოქშომ ის სურათი და მისი მოჭრილი თმა იმ მისამართზე გაგზავნა, ფერმერების ჟურნალში რომ ამოიკითხა, რათა ამ თმისგან სურათის ჩარჩო გაეკეთებინათ. მაგრამ ორივე, ^{ტმბც} და სურათიც, ფოსტაში გაეხნათ. არც ერთი მათგანი უკან აღარ დაბრუნებია.

მან დაკრძალა გოგო, ხოლო მომდევნო წელს (მას ბირმინგემში დაბრუნება ჰოუხდა, სადაც დაქირავებული ბინა უკანვე ჩააბარა, ავეჯი და ^{ფორმული} კვლავ შეუდგა ფულის დაგროვებას) საფლავის ქვაც დაადო. შემდეგ ისევ უკან გაემგზავრა. მერე ხმა დაირხა, ბირმინგემის სადალაქოდანაც წავიდაო. მიატოვა თურმე ყველაფერი და გაუჩინარდა. როგორც თქვეს, კადევ ცოტა და უკვე შეძლებდა სადალაქოს მუპატრონეც გამხდარიყო. გაზაფხულზე კი, აპრილში, სწორედ საცოლის წლისთავისთვის, კვლავ ჩამოვიდა მისის სტარანსის სანახავად და ორ კვირაში ისევ უკან გაემგზავრა.

მისი წასვლის შემდეგ გაიგეს, რომ იქაურ ბანკში მისულა და საარენდო თანხის პროცენტი გადაუხდია. ასე აკეთებდა ყოველ წელს, ვიდრე მისის სტარანსი არ გარდაიცვალა, გარდაიცვალა სწორედ მისი ჩამოსვლის დროს. ის ხომ ყოველ წელს ჩამოდიოდა ორი კვირით, დაასუფთაებდა კარმიდამოს, ყველაფერს ისე შეაკეთებდა, რომ მომავალ წლამდე ქალს საზრუნავი არაფერი ჰქონოდა. მისის სტარანსიც სულგრძელად რთავდა ამის ნებას, ვინაიდან თავს ამ ბიჭზე მალლა მდგომად თვლიდა, როგორც წარმოშობით მდაბიო ეინძემზე. შემდეგ ისიც გარდაიცვალა. „ხომ გახსოვს, სოფიმ რა დაგიბარა იმ გირაოს თაობაზე, — ეუბნებოდა ქალი, — მისტერ სტარანსი პირველად სწორედ ამას მკითხავს, როცა შევხვდები“.

ამკვარად ისიც მან დაასაფლავა, კადევ ერთი საფლავის ქვა იყიდა მისთვის პატივის მისაგებად. შემდეგ საგირავნო პროცენტების გადახდას შეუდგა. სტარანსებს ალაბამაში ნათესავები ჰყავდათ. დივიჯენში ხალხი ფიქრობდა, ნათესავები ჩამოვლენ და იქაურობას დაეპატრონებიანო. მაგრამ ნათესავები არ ჩქარობდნენ, ელოდნენ, სანამ ჰოქშომ საგირავნო პროცენტებს არ დაფარავდა. იგი ყოველ წელს ჩამოდიოდა, ბანკში ფული შეჰქონდა, შემდეგ ეზო-კარს ასუფთაებდა. ამბობდნენ, სახლსაც ქალივით ალაგებს, რეცხავს და ხეხავსო. საამისოდ კი აპრილის ორი კვირა ესაჭიროებოდა. შემდეგ ისევ მიემგზავრებოდა, მაგრამ სად, არავინ უწყობდა. ყოველ აპრილს კი კვლავ ბრუნდებოდა ბანკში ფულის შესატანად და იმ სახლის დასასუფთაებლად, რომელიც მისი არასოდეს ყოფილა.

ასე გავიდა ხუთი წელი, ვიდრე ჯეფერსონში მაქსის სადალაქოში შევხვდებოდით სწორედ ერთი წლის თავზე, რაც ფორტერფილდის სადალაქოში ვნახე. იგივე სარყის კოსტიუმში ეცვა და ყელზე ბაბთა ეკეთა. მაქსიმ მითხრა, ასე ჩაცმული ჩამოვიდა მატარებლიდან და ხელშიც ისევ ის მუყაოს ჩემოდანი ეჭირაო. ორი დღე თურმე უთვალთვალეობდნენ. როგორ დაეხეტებოდა მოედანზე: ეტყობოდა, აქ არავის იცნობდა, არც საქმე ჰქონდა რაიმე და არც სადმე ეჩქარებოდა; უბრალოდ, დადიოდა და იქაურობას სწავლობდა.

კლუბის ეზოში ბიჭები დოლარების ფლანგვით ერთობოდნენ იმის მოლოდინში. აკისკისებული გოგოები, სუნამოს რომ აფრქვევდნენ უხვად, თეძოების რხევა-რხევით როდის ჩაივლიდნენ კიოსკში სოდიანი შუშხუნა წყლის დასალევად და მერე ფოსტისკენ წავიდოდნენ. სწორედ იმ ბიჭებმა შეარქვეს ჰოქშომ. ამბობდნენ, იგი პოლიციის აგენტი არისო, ალბათ იმიტომ რომ სულაც არ ჰგავდა აგენტს. ჰოდა, ჰოქშომც ამიტომ შეარქვეს და ეს სახელი შერჩა მთელი თორ-

მეტი წელი, რაც ჯეფერსონში გაატარა მაქსის სადალაქოს სავარძლის უკან მდგარმა. მას უთქვამს თურმე მაქსისთვის, ალაბამიდან ვარო.

— რომელი კუთხიდან? — უკითხავს მაქსის. — ალაბამა დიდია, ბირმინგემიდან? — ჩასძიებია მაქსი, ვინაიდან ჰოქშოს შემხედვარე იფიქრებდი, ყველა-ყველა და არა ბირმინგემიდანო.

— ჰო, ბირმინგემიდან, — უთქვამს ჰოქშოს.

სულ ეს იყო, რაც მისგან გაიგეს, სანამ შემთხვევით არ მხოტურობდა მაქსის სადალაქოში სავარძლის უკან მდგარს და არ მომაგონდა, ფორტერფილდში რომ ვნახე.

— ფორტერფილდში? — აღმოხდა მაქსის. — ის სადალაქო ხომ ჩემს სიძეს ეკუთვნის. შენ გინდა თქვა, რომ შარშან ფორტერფილდში მუშაობდი?

— ჰო, — უთხრა ჰოქშომ, — იქ ვიყავი.

მაქსიმ მიაშბო მისი შვებულების ამბავი. თურმე ზაფხულობით შვებულებაში არ მიდიოდა, ამბობდა, სანაცვლოდ აპრილში წავალ ორი კვირით, მაგრამ არასოდეს უთქვამს, რატომ და რისთვის. მაქსიმ მითხრა, რომ აპრილში მუდამ ბევრი სამუშაო ჰქონდათ. ჰოდა, ჰოქშომაც განუცხადა, მაშინ აპრილამდე ვიმუშავებ, მერე კი სულ წავალ აქედანო.

— ნუთუ აქედან წასვლა გინდა? — ჰკითხა მაქსიმ.

ეს მოხდა ზაფხულში, მას შემდეგ, რაც მისის ბერჩეტმა სიუზენ რიდი პირველად მიიყვანა სადალაქოში.

— არა, — მიუგო ჰოქშომ. — მომწონს იქაურობა. თღონდაც ორი კვირა მჭირდება აპრილის თვეში.

— შენი საქმისთვის? — ჰკითხა მაქსიმ.

— ჩემი საქმისთვის, — უპასუხა ჰოქშომ.

როდესაც მაქსი შვებულებას იღებდა, ფორტერფილდში მიემგზავრებოდა თავის სიძესთან, ალბათ იქ მის კლიენტებს პარსავდა, მეზღვაურისა არ იყოს, შვებულების დროს გუბურაზე ნიჩბიანი ნავით რომ დასეირნობს. სწორედ სიძემ უთხრა, ჰოქშო რომ მართლაც მუშაობდა მის სადალაქოში, აპრილამდე შვებულებაში არ მიდიოდა, აპრილში კი წავიდა და აღარც დაბრუნებულაო.

— შენც ასევე მიგატოვებს, — უთქვამს სიძეს. — ადრე ბოლივარში მუშაობდა, ტენესის შტატში, მერე ფლორენციაშიც, ალაბამის შტატში — თითო-თითო წლით, და იქიდანაც ისევე წამოვიდა. ასე რომ, აღარც შენთან დაბრუნდება. აი ნახე, თუ არა.

მაქსიმ მიაშბო, შინ დაბრუნებისას მანამდე არ მოეშვა ჰოქშოს, სანამ არ ათქმევინა, როგორ მუშაობდა თითო-თითო წელს ექვს თუ რვა სხვადასხვა ქალაქში ალაბამასა, ტენესისა და მისისიპის შტატებში.

— კი მაგრამ, რატომ წამოხვედი იქიდან? — უთქვამს მაქსის. — შენ ხომ კარგი დალაქი ხარ — ბაუმშვებისა კი მართლა უბადლო. რა იყო მიზეზი?

— უბრალოდ არჩევანს ვაკეთებდი, — უთქვამს ჰოქშოს.

აპრილი რომ დადგა, თავისი ორკვირიანი შვებულება აიღო. გაიპარსა, მუცაოს ჩემოდანი ჩაალაგა და ჩრდილოეთის მატარებელს გაჰყვა.

— სტუმრად მიემგზავრები, არა? — უკითხავს მაქსის.

— ცოტას გავივლი, გულს გადავალოლებ, — უთქვამს ჰოქშოს.

ჰოდა, გაემგზავრა კიდევ, ისევ ის კოსტუმი ეცვა და ყელზეც ისევ ის შავი ბაბთა ეკეთა. მაქსიმ მიაშბო, როგორც ორი დღის შემდეგ გაირკვა, ჰოქშონ თურმე ბანკიდან მთელი წლის დანახოვი გამოეტანა. იგი მისის ქოუენტან იღვა

ბინად, მეტწილად ეკლესიაში დადიოდა, გროშსაც არ ხარჯავდა, სიგარეტსაც არ ეწეოდა. ამიტომაც მაქსი, მეტი და ალბათ ყველანი ჯეფერსონში ფიქრობდნენ, ძთელი წელი თავს იკავებს, რომ მერე თავისუფალი დრო მემფისის სამეძავოებში გაატაროსო. მიჩი უნგმა, რკინიგზის დეპოს ექსპედიტორმა, ისიც მისი ქოუ-ესთან ცხოვრობდა, თქვა, ჰოქსომ ბილეთი მხოლოდ საკვანძო სადგურამდე აიღო.

— იქიდან უნდა მემფისში, უნდა ბირმინგემში, უნდა ბასტონეტში გაემგზავრება, — თქვა მიჩმა.

— ჰო, სადაც არ უნდა გაემგზავროს, — უთქვამს მაქსის, — დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვები, მაგ ბიჭს ამ ქალაქში ვეღარ იხილავთ.

ასედაც ფიქრობდა ყველა, სანამ იმ ორმა კვირამ არ განვლო. მეტხუთმეტე დღეს ჰოქსო ჩვეულ დროს სადალაქოში შემოვიდა, თითქოს ქალაქიდან არც გასულიყოს, პიჯაკი გაიხადა და სამართებლების ლესვას შეუდგა. ხოლო სად იყო, არავისთვის უთქვამს, თვალს წყალი დააღუვიანა, მორჩა და გათავდა.

ზოგჯერ ერთი სული მქონდა მათთვის ყველაფერი შეამბნა. როცა არ უნდა ჩამოესულიყავ ჯეფერსონში, სადალაქოში სავარძლის უკან მდგარი მხვდებოდა, ისევ ისეთი, ასაკიც კი არ დასტყობოდა, არც სახის ფერი შესცვლოდა, როგორც ამ გოგოს თმას, რანაირი საღებავითაც არ უნდა შეეღებოდა. დაუმთავრდებოდა შვებულება ანუ „გასეირნება“ და ისევ ფულის დაგროვებას იწყებდა შემდეგი წლისთვის; კვირაობით ეკლესიაში მიდიოდა, ხელში პიტნის კანფეტების შეკვრა ეკავა ბავშვებისათვის, მასთან რომ გასაკრეჭად მოდიოდნენ; ამასობაში ისევ დგებოდა გამგზავრების დრო, იღებდა თავის მუყაოს ჩემოდანს, ბანკში მთელი წლის დაგროვილ თანხას და დივიდენში მიემართებოდა, რათა იქ საგირავნო პროცენტები შეეტანა და სახლიც დაესუფთავებინა.

ზოგჯერ ჯეფერსონში ჩასვლისას ის უკვე წასული მხვდებოდა; მაქსი მიყვებოდა, როგორ კრეჭდა თმას რიდის გოგოს, უსწორებდა და უსწორებდა გაუთავებელივ, თან ისე ეჭირა სარკე, გოგოსაც დაენახა, თითქოსდა მსახიობი ყოფილიყო.

— თანაც არაფერს ახდუენებდა, — მითხრა მეტ ფოქსმა, — საღაროში თვითონ დებს ოცდახუთ ცენტს.

— მერე რა, ეს მისი საქმეა, — თქვა მაქსიმ. — მე ჩემი წილი მომცეს და სულაც არ მენალვლება, საიდან.

ხუთი წლის შემდეგ შესაძლოა მეოქვა კიდევაც: „იქნებ გოგო აძენს ფახობს-მეთქი“. ვინაიდან იმ დროისათვის კიდეც წაიტეხა კისერი. ყოველ შემთხვევაში, ქალაქში ასე ფიქრობდნენ; არ ვიცი, მართალი იყო თუ არა; ხშირად გოგოებსა თუ ქალებს, ჭორებს რომ ავრცელებენ, ეს შურითა და სიავით მოსდის ხოლმე, სწორედ მათ, ვისაც ძალიანაც უნდა, მაგრამ ვერ გაუბედავს შესცოდოს. როცა ერთხელაც აპრილის თვეში ჰოქსო ჩვეულებისამებრ გაემგზავრა, ხმა დაირხა, გოგო ბოლოს და ბოლოს ხიფათს გადაეყარა, სკიპიდარი დალია და ცუდადააო.

ასე იყო თუ ისე, დაახლოებით სამი თვე გოგო ქუჩაში არ გამოჩენილა. ზოგნი ამბობდნენ, მემფისის საავადმყოფოშიაო. როცა კვლავ სადალაქოში გამოჩნდა, მეთის სკამზე დაჯდა, თუმცა ჰოქსოს სკამი იმ დროს თავისუფალი იყო; მსგავსი ოინი ადრეც ჩაუდენია, ალბათ მის გასაბრაზებლად. მაქსიმ თქვა, დახატულ მოჩვენებას ჰგავდაო, გამჭლეული, გაავებული — იმ თავისი ჭრელჭრულა კაბითა და მოკაზმულობით, იჯდა მეთის სკამზე და მთელ სადალაქოს დაქლაქითა და კისკი-

ით იკლებდა; სუნამოს სურნელს უხედად აფრქვევდა, გრძელი, შიშველი ფეხები წინ გამოეშვირა, თითქოსდა მის გარდა იქ არავინ იყო. ჰოქშო კი ცდილობდა თავი ისე დაეჭირა, ვითომცდა ძალიან იყო საქმეში გართული იმ თავის ცარიელ სავარძელთან.

ზოგჯერ მინდოდა მეთქვა ბიჭებისთვის ყველაფერი. მაგრამ არავისთვის არაფერი მითქვამს, გარდა გევის სტივენსისა. იგი იმ მხარის ადვოკატებს უნდოდა გამჭრიახი ვინმე — იმ კანონების ჭია სასამართლოს მოხელეებს. ჰარვარდის უნივერსიტეტი დაამთავრა. როცა მე ჯანმა მიმტყუნა (მაშინ გორდონ-ვილის ბანკში ბუღალტრად ვმუშაობდი და იქ დაავადდი, შემთხვევით სტივენსს გადავეყარე მემფისის მატარებელში, როცა საავადმყოფოდან შინ ვბრუნდებოდი), სწორედ მან შემომთავაზა კომიუნიკატორად მემუშავა და იმ ფირმაში მომაწყო, სადაც დღემდე ვმუშაობ. ეს ამბავი მას ორი წლის წინ ვუამბე.

— ახლა კი გოგომ, დახეთ, რა ოინი გამოატყვრინა. არადა, კაცი უკვე ხანშია შესული იმისათვის, რომ სხვა გაიჩინოს ან კიდევ ეს გოგო გამოზარდოს, — ვუთხარი მე, — ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს, როცა იმ სახლის ვალებს გაისტუმრებს, ალაბამელი სტარნსები ჩამობრძანდებიან და ყველაფერს დაისაკუთრებენ. მით დამთავრდება ყველაფერი. მერე რას იზამს, როგორ ფიქრობთ?

— არ ვიცი, — მიპასუხა სტივენსმა.

— ალბათ გაეცლება აქაურობას, სადღაც სადმე ჩაკვდება, — ვუთხარი მე.

— ალბათ ასეც იქნება, — თქვა სტივენსმა.

— ჰო, ის პირველი არ იქნება, ქარის წისქვილებთან ბრძოლას რომ შეეწირება.

— და არც პირველი გამოესალმება ამისთვის სიცოცხლეს, — თქვა სტივენსმა.

III

ჰოდა, გასულ კვირას დივივენს მავადექი. ოთხშაბათს ჩავედი. სახლს რომ შევხედე, ახლად შეღებილი იყო. მედუქნემ მითხრა, ჰოქშომ ბოლოს და ბოლოს გამოისყიდა იქაურობა, სტარნსების სავარაუდო ვალა მთლიანად გაასწორაო.

— ახლა კი შეუძლიათ იმ სტარნსებს ალაბამადან ჩამობრძანდნენ, — თქვა მან.

— ყოველ შემთხვევაში, ჰოქშომ პირობა შეასრულა, როგორც მისის სტარნსს აღუთქვა, — ვუთხარი მე.

— ჰოქშო? — გაიკვირვა მან. — მამ ასე ეძახით თქვენში? მართლა? ჰოქშოო. აბა უყურე.

ჯეფერსონში სამი თვის შემდეგ მოვხვდი. როცა სადალაქოსთან ჩავიარე და შევიხედე, შევამჩნიე, ჰოქშოს სავარძელთან სხვა ყმაწვილი იდგა. „ნეტა ჰოქშომ პიტნის კანფეტების შეკვრა თუ დატოვა, — გავიფიქრე ჩემთვის. იქ აღარ შეკვდი. — მაშასადამე, მაინც წასულა-მეთქი“. მაინტერესებდა, ნეტა რას იზამდა, როცა სიბერე მოუკაკუნებდა და სიარულს ვეღარ შეძლებდა, ნუთუ სადმე მივარდნილი სოფლის სამკაცრიანი სადალაქოს სკამის უკან ჩაკვდებოდა იმ თავის ბაბთიანი პერანგითა და სარჯის შარვლით.

მე გზა განვაგრძე, ჩემს კლიენტებს მივაკითხე და ვისადილე; მოგვიანებით კი სტივენსის ოფისში შევიარე.

— ვნახე, ახალი დალაქი გყოლიათ ქალაქში, — ვუთხარი მე.

— დიახ, — მითხრა სტივენსმა. მერე დამაცქერდა და მითხრა: — რა, არ გავიგიათ?

— რა უნდა გამეგო? — ვკითხე მე. მან თვალი ამარიდა.

— თქვენი წერილი მივიღე, — მითხრა მან, — ჰოქშომ რომ საგირავნო ვალი გადაიხადა და სახლი შეღება. აბა მიაბებთ დაწვრილებით.

მეც ვუამბე, როგორ მოეხვდი დივიჯენში ოთხშაბათ დღეს, ჰოქშო კი იქიდან სამშაბათს წასულა; იქაურები მალაზიის წინ თავმოყრილები დაშვდნენ, არჩევდნენ, როდის ჩამოვიდოდნენ ალაბამელი სტარნსები იქეურობებს დასაბატონებლად; ჰოქშომ სახლი თურმე თვითონ შეღება და ორჯერ საფლავეც გაასუფთავა; მისტერ სტარნსის საფლავესთვის კი ხელი არ უხლია, ალბათ იმიტომ, არ შეეაწუხო. საფლავეები მოეინახულე. ჰოქშოს საფლავეს ქვებიც კი გაუწმენდია; გოგოს საფლავეზე ვაშლის ხე დაურგავს. ის უკვე ყვაოდა. იქაურები იმდენს ლაპარაკობდნენ ჰოქშოზე, რომ ცნობისმოყვარეობამ შემიპყრო და სახლის დათვალიერება მომინდა. გასაღები მეღუქნეს ჰქონდა. ასე თქვა, ჰოქშოს ალბათ საწინააღმდეგო არაფერი ექნებაო.

შიგნით ისეთი სისუფთავე იყო, თავი სააეადმყოფოში გეგონებოდა. ღუმელს კრიალი გაუდიოდა, შეშის კალათა პირთამდე იყო სავსე. მეღუქნემ მითხრა, ყოველ წელიწადს ასე ავსებულს ტოვებსო.

— მისი ალაბამელი ნათესავები ძალზე დაუფასებენ ასეთ საქციელს, — მივუბე მე. სასტუმრო ოთახისაკენ წავედით. კუთხეში ფისგარმონია იდგა, მაგიდაზე ლამპა და ბიბლია იდო. ლამპა კრიალებდა, ნავთის სუნსაც ვერ იგრძნობდი. ქორწინების ნებართვა ჩარჩოში ჩასმული სურათივით ბუხრის თავზე ეკიდა, 1905 წლის 4 აპრილით დათარიღებული.

— აი, აქ იწერდა საგირავნო ანგარიშსწორებებს, — მითხრა მეღუქნემ (გვარად ბიდუელი იყო), მაგიდისკენ წავიდა და ბიბლია გადაშალა. პირველ გვერდზე ორ სვეტად დაბადებისა და გარდაცვალების წლები იყო ჩამოწერილი. გოგოს სოფა პრქმევია — მისი სახელი დაბადების სვეტში მოეძებნე; გარდაცვალების სვეტში კი ბოლოს წინაზე ეწერა. ეს მისის სტარნსს ჩაეწერა. ალბათ ათი წუთი მაინც მოუნდა ამის ჩაწერას, და ასე იკითხებოდა:

სოფი სტარნსი გარდაიცვალა 1905 წლის 16 აპრილს.

ბოლო კი თვითონ ჰოქშოს მიეწერა, მკაფიოდ და ლამაზად. ნამდვილი ბუღალტრის ხელნაწერს ჰგავდა:

მისის უილ სტარნსი. 1916 წლის 23 აპრილი.

— ანგარიშსწორების აღრიცხვა უკანა გვერდზე იქნება, — მითხრა ბიდუელმა.

უკანა გვერდსაც ჩავხედეთ. ჰოქშოს ხელით ერთ სვეტად იყო ჩამოწერილი. პირველი შესატანი — 1917 წლის 16 აპრილს — 200 დოლარი, შემდეგი — 1918 წლის 16 აპრილს — 200 დოლარი, შემდეგი — 1919 წლის 16 აპრილს — 200 დოლარი, შემდეგი — 1920 წ. 16 აპრილს — 200 დოლარი, ასე გრძელდებოდა სულ ბოლო ჩანაწერამდე. 1930 წ. 16 აპრილს — 200 დოლარი. სვეტის ქვეშ კი ხაზი გაესვა და დაეწერა:

ვალი მთლიანად გადახდილია. 1930 წ. 16 აპრილს.

სწორედ ასეთი ხელწერით, როგორც ძველად კოლეჯებში ასწავლიდნენ საქმის წარმოებისთვის. თითქოს კალამმა თვითონ ჩამოაგვირისტა ასოები მისდა უკითხავად, თითქოსდა თავმოსაწონებლად კი არ დაეწერა ასე, არამედ კალმის წვერმა ერთი მოსმით მისდათავად გამოიყვანა ასოები, მან კი ვერ მოასწრო მისი შეჩერება.

— ასე რომ, მისი სტარსისთვის მიცემული პირობა შეასრულა, — თქვა სტივენსმა.

— მეც ეს ვუთხარი ბილს, — ვთქვი მე.

თითქოს ჩემი სიტყვები არ გაუგონიათ, ისე განაგრძო სტივენსმა:

— ასე რომ, მოხუც ქალს შეუძლია მშვიდად განისვენოს. ვფიქრობ, სწორედ ამის თქმას ესწრაფოდა ქალმა მის ხელში: ამიერიდან ქალბატონს შეუძლია მშვიდად იძინოს, არადა, თავად ორმოცდახუთზე მეტი არც იქნებოდა მისი ბევრად მეტი. მაგრამ როცა დაწერა „ვალის მთლიანად გადახდილია“-ის იმ სექტის ბოლოს, დროისა და სასოწარკვეთის მთელი სიმძიმე უკან მოიტოვა, თითქოს პირტიტველა ბიჭი ან უგვარტომო გოგო ყოფილიყო.

— არადა, იმ გოგომ კი ასეთი ოინი უყო, — ვთქვი მე. — ორმოცდახუთი წლის ასაკში უკვე გვიანაა ახლის ძებნას შეუდგეს. ამასობაში ორმოცდაათსაც გადააბიჯებს.

მაშინ კი შემომხედა სტივენსმა.

— ალბათ ჯერ არაფერი გაგივიათ, — მითხრა ასე.

— არა, — ეუბასუხე მე. — სადალაქოში კი შევიხედე, მაგრამ ვიცოდი, წასული იქნებოდა. ყოველთვის ვიცოდი, როგორც კი ვალს დაფარავდა, იქ წამითაც არ გაჩერდებოდა. თუმცა შეიძლება იმ გოგოს ამბებზე არაფერი იცოდა. ასედაც შეიძლება იყოს. უფრო სწორია, რომ იცოდა და აინუნში არ აგდებდა.

— გგონიათ, რომ არაფერი იცოდა?

— ვერ წარმომიდგენია, როგორ შეიძლება არ სცოდნოდა. თუმცა დანამდვილებით ვერ ვიტყვი. თქვენ კი რას ფიქრობთ?

— არ ვიცი და არც მაინტერესებს. მე ბევრად უფრო საინტერესო რამ ვიცი.

— რა იცით? — ვკითხე მე. მან ისევ შემომხედა. — ამბობთ, ახალი ამბავი არ იცით. ნეტა რა არ ვიცი?

— გოგოს თაობაზე მოგახსენებთ, — მითხრა სტივენსმა. თან თვალს არ მამორებდა. — იმ დამით, როცა პოქში ბოლო შეკრებებიდან დაბრუნდა, ისინი დაქორწინდნენ. და ამჯერად თან წაიყვანა.

გულსაბნევი

ტელეფონის ხარმა გამოაღვიძა. ვაჟი სწრაფად წამოდგა, სიბნელეში ხელების ცეცებით ხალათსა და ფლოსტებს დაუწყო ძებნა. ჯერ კიდევ გაღვიძებამდე იცოდა, რომ მის გვერდით საწოლი კვლავაც ცარიელი იყო. ტელეფონი ქვედა სართულზე იდგა, სწორედ იმ კარის პირდაპირ, რომლის მიღმაც დედა აგერ ხუთი წელია საწოლში ბალიშებზე მიწოლილი წევს. ვაჟმა უკვე იცოდა, რომ უთუოდ დააკვირდებოდა, რადგანაც დედა, როგორც ყოველთვის, ხარისხმას მაშინვე გაიგონებდა. მას ხომ ყველაფერი ესმოდა, რაც კი სახლში დღისით თუ ღამით ხდებოდა.

ქალი ქვრივი იყო, ყმაწვილი — მისი ერთადერთი ვაჟი. როდესაც ბიჭი კოლეჯში სასწავლებლად გაემგზავრა, დედაც თან გაჰყვა, ქალმა სახლი დაიქირავა შარლოტსვილში, ვირჯინიის შტატში, ოთხი წლის განმავლობაში იქ ცხოვრობდა, სანამ ბიჭი კოლეჯს დაამთავრებდა. იგი ერთი შეძლებული ვაჭრის ასული გახლდათ. მისი მეუღლე კომივოიაჟერი ყოფილა, რომელიც ერთ ზაფხულს ქალაქში ჩამოსულა სარეკომენდაციო წერილებით: ერთი — მღვდლის, მეორე — ქალის მამის სახელზე დაწერილი. სამი თვის შემდეგ კომივოიაჟერი და ქალიშვილი დაქორწინდნენ. კაცი გვარად ბოილი იყო. საქმე-

ები ერთ წელიწადში მოაგვარა და სამსახურიდან გადადგა, მეუღლის სახლში გადავიდა საცხოვრებლად და მთელ დღეებს სასტუმროს წინ იურიისტებსა და ბაშბის პლანტატორებთან ატარებდა, ეს შავგვრემანი მამაკაცი ერთობ თავაზიანად უხდიდა ცილინდრს ქალბატონებს. ერთი წლის შემდეგ მათ ვაჟი შეეძინათ. ექვსი თვის შემდეგ კი ბოიდი წავიდა, მხოლოდ ერთი ბარათი დაუტოვა მეუღლეს, სადაც წერდა, რომ ველარ აიტანა ღამლამობით, კლუგნიდან იმის ცქერა, როგორ ახვევდა ქალი ცარიელ კოჭებზე ძალაზე შეწყვეტილიდან დარჩენილ შესაკრავ ბაწრებს. მას შემდეგ ქალს აღარაფერი სმენია ქმარზე, თუმცა მამას უარი განუცხადა ქორწინების გაუქმებასა და ვაჟის გვარის შეცვლაზე.

შემდეგ ვაჭარი გარდაიცვალა, მთელი ქონება თავის ასულსა და შვილიშვილს დაუტოვა. შვიდ თუ რვა წლამდე ბიჭს ფაუნტლეროის¹ კოსტიუმს აცმევდნენ, თორმეტი წლიდან კი ჩვეულებრივ დღეებში ისეთი ტანსაცმელი ეცვა, ბავშვის იერს რომ უკარგავდა და კაცუნას უფრო ამსგავსებდა, ალბათ სხვა ბავშვებთან ურთიერთობასაც ვერ შესძლებდა, დედას რომც ნება მიეცა. ქალმა დროულად მიაგნო ყმაწვილთათვის შესაფერის სკოლას, სადაც ბიჭს თავისუფლად შეეძლო ჩაეცვა ფრაკისმაგვარი პიჯაკი და დაეხურა ცილინდრი, თუმცა მას შემდეგ, რაც შარლოტსვილში გადავიდნენ და იქ გაატარეს შემდგომი ოთხი წელი, ვაჟი სულაც არ ჰგავდა ლილიპუტს. იგი უკვე დანტეს ერთ-ერთ გმირს მოგავსებდათ. ტანად ცოტა უფრო თხელი იყო, ვიდრე მამამისი, მაგრამ მამის იღუმალის მომხიბვლელობისა კი რაღაც გამოჰყოლოდა, მეთხუთმეტე საუკუნის ალუგორიული სურათისეულ ყრმა ბერისა თუ ანგელოზის იერით, პირმხიბვლელი, ჩქარი ნაბიჯით ჩაუვლიდა ხოლმე გოგოებს, მაშინაც კი, როცა დედა თან არ ახლდა, ჩაუვლიდა არა მარტო შარლოტსვილის ქუჩებში, არამედ პატარა და მივარდნილ მისისიპის დაბაშიაც, სადაც მალე დაბრუნდნენ. შემდეგ დედას დამბლა დაეცა. არ გასულა დიდი ხანი, რომ ავადმყოფ ქალს ცუდი ამბებიც მოუტანეს, თუმცა გული მუდამ უგრძნობდა, რომ მის ვაჟს სწორედ ასეთნაირი გოგო დაახვევდა თავბრუს და სწორედ ასეთნაირზე იქორწინებდა.

მას ემის ეძახდნენ. მამამისი რკინიგზაზე მატარებლის გამცილებელი ყოფილა; კატასტროფაში დაღუპულა. ახლა ემი თავის დეიდასთან ცხოვრობდა, რომელიც პანსიონს განაგებდა. ემი ერთობ მზიარული, მეტისმეტად ცოცხალი გოგო იყო, მოგვიანებით ფუქსავატი გოგოს სახელიც გაითქვა თავისი დამთხვეული საქციელის გამო, ალბათ იმიტომ, რომ ძალზე უნდოდა სამხრეთის პატარა ქალაქის კასტური ჩარჩოებიდან თავის დაღწევა. მისი საქციელი უფრო თავისუფალი გოგოსი გახლდათ, ვიდრე — უზნეოსი. მასზედ შეიძლება თქმულიყო, არც ისე წვიმს, როგორც ჰქუხსო; და მაინც ემის მუდამ იწვევდნენ საცეკვაო საღამოებზე. მისი სახელი პირზე ეკერა ყველას, განსაკუთრებით ხანდაზმულ ქალბატონებსა და ისეთივე გაღატაკებული ძველი ოჯახების ასულებს, როგორიც მისი მომავალი ქმრის ოჯახი იყო.

ბოლო ხანებში ვაჟი მიეჩვია სახლში უხმაუროდ შესულიყო და იმ კართან ფეხაკრეფით ჩაევილო, რომლის მადმაც დედა საწოდში წამომჯდარი ეგულდებოდა. ასევე ფეხაკრეფით აჰყვებოდა ხოლმე სიბნელეში კიბეს თავისი ოთახისაკენ. მაგრამ ერთ ღამეს კი ველარ მოახერხა. როდესაც სახლში შევიდა,

1 ფ. ე. ბერნეტის საბავშვო წიგნის „პატარა ლორდ ფაუნტლეროის“ გმირი.

დედის ოთახის კარის ზედა ღრიჭოდან ჩვეულებრივსამებრ სინათლე აღარ გამოდიოდა. მაგრამ თუნდაც ვანათებული ყოფილიყო, ჰოუარდს საიდან ეცოდინებოდა, რომ სწორედ იმ ნაშუადღევს დაურეკეს დედას მეგობრებმა და ემის ამბები ამცნეს, რომ დედამისი აგერ უკვე ხუთი საათია, საწოლში წამოძვარა, უხილავ კარს გაუნძრევლად მისჩერებია სიბნელეში. ვაჟი, როგორც ყოველთვის, ფეხაკრეფით შევიდა, ფეხსაცმელები ხელში ეჭირა. ვერცხვარბაზო კარი არ მიეხურა, რომ დედამ ხმადაბლა უხმო:

— ჰოუარდ.

ვაჟმა კარი შეაღო. ქალმა იქვე საწოლთან მაგიდაზე მდგარი ლამპა აანთო. იქვე იდო საათი, რომელიც ვერ კიდევ ორი წლის წინათ გააჩერა, როცა ლამპლის შემდეგ პირველად შეძლო ხელის ამოძრავება. ვაჟი მიუახლოვდა საწოლს, საიდანაც დედა მიჩერებოდა — ეს იყო მსუქანი სანთელივით ჩაყვითლებული, მუჭი ფერის თვალეზიანი ქალი, არც გუგები და არც ფერადი გარსი არ უჩანდა. თმაც მთლიანად გათეთრებოდა.

— რა? ავად ხომ არ ხარ? — ჰკითხა ვაჟმა.

— ახლოს მოდი, — უთხრა დედამ. ვაჟი მიუახლოვდა. მათ ერთმანეთს შეხედეს. ეტყობა, ვაჟი მიხვდა ყველაფერს, ეს ერთი ხანია ელოდა კიდევ ამას.

— ვიცო, ვინც გეტყოდა, — უთხრა მან. — ის წყვეული აფთრები, მძორს რომ დაეძებენ.

— მოხარული ვარ, მძორი რომ უწოდე, — თქვა ქალმა. — ახლა შემიძლია მშვიდად ვიყო. ჩვენს სახლში აღარ შემოიყვან.

— ანუ შენს სახლში.

— ამას არა აქვს მნიშვნელობა. ნებისმიერ სახლში, სადაც წესიერი ქალი ცხოვრობს. — მათი თვალეზი კვლავ შეხვდა ერთმანეთს. ლამპის შუქი საავადმყოფოს შუქივით ბუტბუტადა. — შენ მაშაკაცი ხარ. ვერ გაგამტყუნებ. არც მათეებს ეს ამბავი. მხოლოდ მინდა გაგაფრთხილო, თავი სასაცილოდ არ გაიხადო. სახლი თავლა არ გეგონოს.

— რაო, თავლაო? — ჩაეკითხა ვაჟი, უკან დაიხია და მამამისივით ხელის არტისტული მოქნევით გააღო კარი. — მაპატიეთ, — თქვა მან და კარი არც კი მოხურა. ქალი ბალიშზე მიწოლილი დარჩა, ბნელ დერეფანს მიჩერებული. გაიგონა, როგორ მიუახლოვდა მისი ვაჟი ტელეფონს, იმ გოგოს დაურეკა და სთხოვა, ხვალ ცოლად გამომყევით. შემდეგ ისევ კართან გამოჩნდა.

— მაპატიეთ, — და კვლავ მამამისივით არტისტულად მიხურა კარი. ცოტა ხნის შემდეგ ქალმა ლამპა ჩააქრო. ოთახში უკვე დღის სინათლე შემოჭრილიყო.

და მაინც მეორე დღეს მათ არ უქორწინიათ.

— ო, რა ძალიან მეშინია, — უთხრა ელიმ. — დედაშენისა მეშინია. რას ამბობს ჩემზე?

— არ ვიცი. ამ თემაზე არ გვილაპარაკია.

— არც ის გითქვამს, რომ გიყვარვარ?

— ამას რა მნიშვნელობა აქვს? მოდი ვიქორწინოთ.

— და მასთან ერთად ვიცხოვროთ? — მათ ერთმანეთს შეხედეს. — ეგებ მუშაობა დაგეწყო და ჩვენთვის სახლი გვექირავა?

— რისთვის? მე სახლიც მაქვს და საკმარისი ფულიც.

— ერთ მშვენიერ დღეს იგი ჩვენი გახდება, ძვირფასო.

— აბა, მოდი ისევ ვცადოთ ცეკვა. — ეს ხდებოდა პანსიონის დარბაზში,

სადაც გოგო ცდილობდა მისთვის ცეკვა ესწავლებინა, მაგრამ ამოდ. მუსიკა ვაჟს ხელს უშლიდა, ქალის შეხება წონასწორობას აკარგვინებდა. ვაჟს იგი ქალაქგარეთ საცეკვაო კლუბშიც დაჰყავდა. ყველამ იცოდა, რომ დანიშნულები იყვნენ. მაგრამ გოგო სხვა მამაკაცებთან გარბოდა, იქვე, გაზონებთან გაჩერებულ მანქანებისკენ. ვაჟი საყვედურობდა როგორც ამაზე, ისე იმაზე, რომ ემი სვამდა.

ერწინწილი

— სჯობს ისევ ჩემთან ერთად დალიო, — უთხრა ჰოუარდმა.
 — ჩვენ დანიშნულები ვართ, შენთან დაღვევა კი სულაც არ მაწყობს.
 — ჰო, — თქვა ვაჟმა ჩვეული მორჩილებით. შემდეგ უეცრად შედგა და გოგოს სახეში ჩახედა. — ჩემთან რატომ არ გაწყობს? — გოგო ოდნავ უკან გადაიხარა, როცა ვაჟმა მხარში ხელი ჩააქო. — რატომ არ გაწყობს?

— ოჰ, მტკივა! — შეყვირა გოგომ.

— ვიცი. რატომ არ გაწყობს-მეთქი ჩემთან?

ვიღაც ქალ-ვაჟმა ახლოს ჩაურბინათ და ვაჟმა ხელი უშვა. ერთი საათის შემდეგ ჰოუარდმა ჩაბნელებული მანქანიდან ძალით გამოიყვანა გოგო, რომელმაც წინააღმდეგობის გაწევა და კივილიც სცადა, თითქმის დაცარიელებულ საცეკვაო მოედანზე გადაათრია, სადაც მხოლოდ გოგონების მხლებელი ქალები ჩამომსხდარიყვნენ თეატრის მაყურებლებივით, სკამი გამოსწია, მუხლებზე გადააწვინა და კარგად გატყიპა. მეორე დღეს კი მანქანით ოთხი მილი გაიარეს მუზობელ ქალაქამდე და იქ იქორწინეს.

იმ დღით ემიმ ქალბატონ ბოიდს პირველად და უკანასკნელად დაუძახა „დედა“ (თუ არ ჩავთვლით კიდევ ერთ შემთხვევას, როცა თითქმის გარცეხულსა თუ აღტაცებულს წამოსცდა ეს). იმავე დღეს მისის ბოიდმა ემი გულსაბნევით დაასაჩუქრა — ძველებური, უხეშად ნახელავი, მაგრამ ძვირფასი ნივთით. ემიმ იგი თავის ოთახში აიტანა, ვაჟი უთვალთვალებდა, როგორ იდგა და დასცქეროდა საჩუქარს ცივი და ამოუცნობი გამომეტყველებით. შემდეგ უჯრა გამოაღო და, ვიდრე ჩააგდებდა, ერთხანს ორი თითით ეჭირა, მერე კი ჩააგდო. და ის ორი თითი კაბაზე შეიწმინდა.

— ზოგჯერ მოგიწევს მისი გაკეთება, — უთხრა ვაჟმა.

— ჰო, რა თქმა უნდა. ხომ უნდა გამოეხატო ჩემი მადლიერება. ნუ გეშინია. — მალე ჰოუარდმა შეამჩნია, რომ ემის გულსაბნევის გაკეთება თითქოს სიამოვნებდა, რადგან საკმაოდ ხშირად ებნია მკერდზე. მაგრამ მალე კი მიხვდა, რომ ეს სიამოვნება კი არა, შურისგება იყო; ერთხელ მთელი კვირა წინსაფრის შესაკრავადაც ხმარობდა. მკერდზე მაშინ იბნეედა, როცა მისის ბოიდს შეეძლო მისთვის თვალი მოეკრა, ან მაშინ, როცა ჰოუარდთან ერთად სასეირნოდ გადიოდა და ავადმყოფის ოთახის კართან ჩერდებოდნენ დასამშვიდობებლად.

ცოლ-ქმარი ზედა სართულზე ცხოვრობდა. სწორედ აქ შეეძინათ შვილი. იგი მისის ბოიდს ჩამოუყვანეს საჩვენებლად. ქალმა სულ ერთი წამით დახედა ბავშვს.

— ჰო, რამდენადაც მახსოვს, ემის მამა არასოდეს მინახავს. თუმცა სად ვნახავდი, არც ისე ხშირად მიმგზავრია, — თქვა ქალმა.

— ეგ ბებერი... ეგ ბებერი ევა... — ქვითინებდა ემი და თან აცაბცაბებული ეკვროდა ჰოუარდს. — ასე რატომ ვეჯავრები? რა დავუშავე? მოდი გადავიდეთ აქედან. შენ ხომ შეგიძლია იმუშაო.

— არა. იგი ხომ მუდამ არ ივკოცხლებს.

— იცოცხლებს! მუდამ იცოცხლებს, თუნდაც იმიტომ, რომ სიცოცხლე ჩამიმწაროს.

— არა, — მიუგო ჰოუარდმა.

ერთი წლის თავზე ბავშვი გარდაიცვალა. ემი კვლავ ეცადა ქმარი და სახლიდან გადაეყვანა.

— ჩემთვის სულ ერთია სად, სულ არ მადარდებს, რით ვიცხოვრებულა!

— არა. ვერ მივატოვებ ლოგინად ჩავარდნილსა და უმწეულს მუხრანის მხარეში ცეკვაოდ ივლი ალბათ. ჰოდა, ისე აღარ გაგიჭირდება.

— ჰო, — განაცხადა ემიმ უკვე მშვიდად. — უნდა ვიარო. თორემ ვერ გავძლებ.

ერთი ამბობდა „შენ“, მეორე — „მე“, არც ერთი არ ამბობდა „ჩვენ“, ჰოდა, ყოველ შაბათ ღამეს ემი მოირთვებოდა, ჰოუარდიც მოიხვევდა ყელსახვევს, მოიცვამდა პალტოს, ზოგჯერ პირდაპირ პერანგზე, ორივენი დაუყვებოდნენ კიბეს, შეჩერდებოდნენ მისის ბოიდის კართან გამოსამშვიდობებლად, მერე ჰოუარდი ჩასვამდა ემის მხეჩანაში და უცქერდა, ვიდრე თვალს მიეფარებოდა. შემდეგ შინ შებრუნდებოდა, ფეხსაცმელებით ხელში აივლიდა კიბეს, სწორედ ისე, როგორც ქორწინებამდე, აუვლიდა განათებულ კარის ღრიჭოს. შუალამისას კი ისევ ყელსახვევით და პალტოთი მოსილი კიბეზე ჩაიპარებოდა, კვლავ ჩაუვლიდა ისევ განათებულ ღრიჭოს და წინკარში ელოდა ემის დაბრუნებას. შემდეგ შედიოდნენ სახლში, შეიხდავდნენ მისის ბოიდთან და ძილი ნებისას ეხურობდნენ.

ერთ ღამეს ქალი პირველ საათზე დაბრუნდა შინ. ჰოუარდი ფლოსტებში ფეხწაყრილი და პიჟამიანი წინკარში მთელი ერთი საათი ელოდა. ნოემბერი იდგა. მისის ბოიდის კარის ღრიჭო ჩაბნელებული იყო. და ისინიც არ შეჩერებულან.

— ვიღაც ცუდლუტებს საათის ისარი უკან გადაუწევიათ, — თქვა ემიმ, ჰოუარდისთვის არც შეუხედავს, თან ტანთ იხდიდა. გულსახვევი თავის დანარჩენ სამკაულებთან ერთად მაგიდაზე მიაგდო. — არ მეგონა, თუ ასეთი სულელი იქნებოდი და გარეთ ამ სიცხეში დამელოდებოდი.

— შემდეგში თუ კიდევ გადასწევენ საათის ისარს, აღარ დაგელოდები.

ქალი მყის გაირინდა, მხარზემოდან გადმოიხედა:

— მართლა ამბობ, თუ...?

ვაჟი არ უყურებდა, მხოლოდ გაიგონა, იგრძნო, როგორ მოუახლოვდა ქალი და მის გვერდით დადგა. მერე მხარზე შეეხო:

— ჰოუარდ!

ვაჟი არც შერხეულა. ქალი მიეკრა, მუხლებზე დაუჯდა.

— რა გვემართება? — ატირდა სასოწარკვეთილი, — რა გვემართება, რა?!

ვაჟი არ შერხეულა. ხოლო როცა თავთავიანთ საწოლებში ჩაწვნენ (მათ უკვე ცალ-ცალკე საწოლები ჰქონდათ), ვაჟმა გაიგონა და შემდეგ იგრძნო კიდევაც, როგორ ადგა ემი, საწოლებშია გამოიარა და მსწრაფლ შეუწვა. სიბნელებში პატარა ბავშვივით შეშინებული ეხვეოდა და ჩურჩულებდა:

— უნდა დამიჯერო, ჰოუარდ! დამიჯერო, უნდა დამიჯერო!

— ჰო, — მიუგო ვაჟმა. — გიჯერებ, ჰო.

ემის შემდეგ ისარი თორმეტს რომ მიუახლოვდებოდა, ვაჟი იცვამდა თავის პალტოს, შემოიხვევდა ყელსახვევს, ფეხაკრეფით ჩაივლიდა კიბეს, ჩაუვლიდა განათებულ კარის ღრიჭოს, ხმაურით გააღებდა და დახურავდა სადარ-

ბაზო კარს, შემდეგ შეაღებდა დედის ოთახის კარს, სადაც ქალი ბალიშებზე მიწოლილი მუხლებზე გადაშლილ წიგნს ჩასცქეროდა.

- უკვე დაბრუნდით? — ჰკითხავდა მისის ბოიდი.
- ჰო, ემი უკვე ზევით ავიდა, ხომ არაფერს ისურვებ?
- არა, ღამე ნებისა.
- ღამე ნებისა.



შემდეგ ავიდოდა ზედა სართულზე და დაწევებოდა. ზოგჯერ მაშინვე ჩაიძინებდა. ზოგჯერ ძილის წინ ან ძილში თავის თავს ეუბნებოდა — ეს იყო უძილო გონების უსასლო პესიმიზმი — „შეუძლებელია ასე გაგრძელდეს. ერთ ღამეს უთუოდ რაღაც მოხდება. დედაჩემი ემის გამოიჭერს და ვიცი, რასაც იზამს. მაგრამ მე კი რას ვიზამ მაშინ?“ ეგონა, რომ იცოდა. უფრო სწორად, ნაწილი მისი ცნობიერებისა არწმუნებდა, იცოდა, მაგრამ თვითონ კი ორჭოფობდა და გონებაც ისევ ჩასძახოდა: საშველი არაა, გაიქცე. განა იცის კი ვინმემ, რას მოიმოქმედებს ამა თუ იმ შემთხვევაში ან გარემოებაში? მხოლოდ ბრძენს ძალუძს გამოიცნოს, ლოგიკურად დაასაბუთოს ყველაფერი წინასწარ. შენ კი ეს არ ძალგიძს... მაგრამ დილით საწოლში ემის რომ დაინახავდა, დღის სინათლეზე უკვე ყველაფერი დავიწყებას იძლეოდა. მაგრამ დროდადრო დღისითაც ამოუტივტივებოდა ხოლმე ეს ფიქრი გონებაში და მაშინ თითქოს შორიდან ჭვრეტდა თავის ცხოვრებას, მთლიანად — მანკიერს, იმ მესამესაც, ორთავემ რომ გააჩინეს და რომლის დანაკლისსაც ველარასოდეს შეივსებენ. პოდა, თავს ეუბნებოდა: კი, ვიცი, რასაც მოიმოქმედებს, ისიც ვიცი, რის გაკეთებასაც მომთხოვს ემი, ისიც ვიცი, რომ არ გავაკეთებ. მაგრამ მაინც რას ვიზამ მაშინ? ოღონდ ეს დიდხანს არ გრძელდებოდა, მალე თავს არწმუნებდა, ჯერ არაფერი მომხდარა, შაბათამდე ჯერ კიდევ გრძელი დღეაო, თუმცა ეს არ იყო გონების ხმა, ეს იყო უძღურების ხმა.

II

ისევ ტელეფონის ყურისწამლებმა ზარმა გამოაღვიძა.

პოუარდმა უკვე იცოდა, საწოლი რომ მის გვერდით კვლავაც ცარიელი იყო. პოდა, რადგან ეს იცოდა, აზრი არ ჰქონდა, სწრაფად მივიდოდა თუ არა ტელეფონთან, რადგან მაინც ვერ მიასწრებდა. ფლოსტების ძებნაც არ დაუწყია, ისე ჩაირბინა გაყინული კიბის საფეხურები და დაინახა, დედის ოთახის კარის ღრიჭო განათებული იყო. მივიდა ტელეფონთან და ყურმილი აიღო:

— ოჰ, ღვთის გულისთვის, მაპატიე, პოუარდ, მართა ვარ. ბოდიში, რომ გაწუხებ, მაგრამ ვიცი, ემი უთუოდ იღელვებს. უთხარი, შინ რომ მოვაცილეთ, მერე ვიპოვე მანქანაში.

- ჰო... მანქანაში... — უპასუხა მან.
- ჩვენს მანქანაში. თავისი მანქანის გასაღები დაკარგა და სახლამდე ჩვენ მოვაცილეთ... ვთხოვეთ, ჩვენთან წამოსულიყო, მაშხსა და კვერცხზე დაგვეწვეოდა, მაგრამ...

აქ ხმა გაწყდა. ვაჟს ცივი ყურმილი ეჭირა და სადენის მეორე ბოლოში ჩამომდგარ სიჩუმეს უსმენდა, რომელშიც შიში იგრძნობოდა, თითქოს იქ ქვეშეცნეულად სუნთქვა შეიკრესო. სუფთა ქალურად, თავდასაცავად. სინამდვილეში ეს პაუზასაც არ ჰგავდა.

თითქმის მაშინვე ისევ ვაისმა ხმა. ახლა უკვე სრულიად შეცვლილი, რბილი და ფრთხილი:

- ალბათ ემის უკვე სძინავს.

— ჰო, სძინავს.

— ოჰ, ძალიან ვწუხვარ, რომ ვაგაღვიძე. მაგრამ ვიცოდი, როგორ იღვლებდი ამაზე, ის ხომ დედაშენის ოჯახური რელიქვიაა. მაგრამ თუ ემის ჯერ არ მოუკითხავს, ნუ შეაწუხებ, რომ დაგირეკე ან რამე გითხარი... ტელეფონში ზუზუნი გაისმა, ზაზი დაიძაბა. — ალო, ჰოუარდ!

— კარგი, არ შევაწუხებ. დილით დაურეკე, — მიუგო ვაჟმა.

— დავრეკავ. მაპატიე შეწუხებისათვის. იმედია, დედაშენი არ ვაგაღვიძე.

ყურმილი დალო. სიცივემ აიტანა. გრძნობდა, როგორ ეკრუნჩხებოდა შიშველი ფეხის თითები გაყინულ იატაკზე. და მაინც იღვა და კარს უყურებდა, რომლის მიღმა ბალიშებზე მიწოლილი დედაშენი იჯდა სანთელივით ჩაყვითლებული, გამოუცნობლად მზირალი. თმა, როგორც ემი ამბობდა, კვლავაც დაბურღულ ბამბას უგავდა. გვერდით საათი ედო, რომლის ისრებიც თვითონ გაახერა ამ ხუთი წლის წინათ ნაშუადღევს, ოთხს რომ ათი აკლდა, როდესაც პირველად შეძლო ხელების ამოძრავება. ვაჟმა რომ კარი შეაღო, ზუსტად ის სურათი დაინახა, როგორც წარმოედგინა. დედას ხელებიც ზუსტად ისე ეწყო.

— იგი შინ არაა, — უთხრა მისის ბოილმა.

— არა, მას სძინავს. შენ ხომ იცი, როდის მოვედით. მართა როსმა დარეკა. ემის ბეჭედი დარჩენია ამ საღამოს მასთან.

მაგრამ ქალი, ცხადია, არ უსმენდა.

— შეგიძლია დაიფიცო, რომ ემი ამ წუთში შინაა?

— ჰო, რა თქმა უნდა. ხომ გითხარი, სძინავს-მეთქი.

— მაშინ უთხარი, ჩამოვიდეს და დამე ნებისა მისურვოს.

— რა სისულელეა. ამას არ ვაგაკეთებ.

საწოლის თავზემოდან ერთმანეთს თვალი თვალში გაუყარეს.

— უარზე ხარ?

— ჰო.

ერთხანს კიდევ უმზერდნენ ერთმანეთს. მერე ვაჟმა შებრუნება დააპირა, თუმცა გრძნობდა, დედა თვალს არ აცილებდა.

— მითხარი, ემიმ გულსაბნევი დაკარგა, ხომ?

ვაჟმა არც ამაზე უპასუხა, მხოლოდ თვალი შეავლო კარის მიხურვისას: ამ წუთს საოცრად ჰგავდნენ ერთმანეთს — შეურიგებელი, დაუნდობელი მტრები, ერთი სისხლისანი, ასე ძლიერად რომ სძულდათ ერთმანეთი. ვაჟი გავიდა.

თავის ოთახში შესულმა შუქი აანთო, მოძებნა ფლოსტები, მივიდა ცეცხლთან, ნალვერდალს ნახშირი ჩაუმატა. ბუხრის თაროზე საათს შეხედა — პირველს ოცი წუთი აკლდა. უეცრად ცეცხლი ააღდა და ჰოუარდს ცახცახმაც გაუარა. საწოლისკენ გასწია, შუქი ჩააქრო, მხოლოდ აღის ათინათი ელვარებდა შიგადაშიგ ავეჯზე, ფლაკონებსა და ტუალეტის მაგიდის სარკვებთან ერთად იმ პატარა სარკვებზე კომოდის თავზე, სადაც სამი სურათი იდგა ევრცხლის ჩარჩოში. ორი, უფრო მოზრდილი, მისი და ემის სურათები იყო, პატარა კი — ცარიელი. ვაჟი ლოგინში ჩაწვა. აღარაფერზე ფიქრობდა. მხოლოდ ერთხელ გაიფიქრა, ისიც მშვიდად: „ეს ეც ასე. ახლა კი ალბათ გავიგებ... ალბათ მივხვდები, რის გაკეთებასაც ვაპირებ“. სულ ეს იყო. სხვა არაფერი.

ისევ ყურისწამლებად გახმაურდა თითქოს ტელეფონის ზარი მთელ სახლში. შემდეგ ბუხარზე დადგმული საათის ცივი წიკწიკი მოესმა. შუქი აანთო და იქვე, მისი ბალიშის გვერდით მაგიდიდან წიგნი აიღო მაგრამ მიხვდა რომ სიტყვებს

უაზროდ კითხულობდა საათის წიკწიკის გამო. მაშინ ადგა და ბუხართან მივიდა.

ისრები სამის ნახევარზე იდგა. საათი გააჩერა და კედლისკენ შეაბრუნა, მერე ბუხართან დაჯდა ახლა შეეძლო გონება დაემორჩილებინა, როდესაც უკვე აღარ შეუძლიდა ხელს კითხვაში. ძნელი სათქმელი იყო, როდის მიხვდა, კითხვა რომ შეწყვიტა, და თავი ასწია. ჩქამიც არ გაუგია, მაგრამ უკვე იცოდა, ემი რომ სახლში იყო, თუმცა ვერ იტყოდა, საიდან. იჯდა ბაჟის სუნიტვაშეკრული, უძრავად, მშვიდად ეჭირა წიგნი და ელოდა. შემდეგ ემის ხმა შემოესმა:

— მე ვარ, დედა.

ემიმ „დედა“-ო, უთხრა, — გაიფიქრა ვაჟმა, არ განძრეულა. — ისევ „დედა“ დაუძახა. ახლა კი შეტოკდა, ფრთხილად დაღო წიგნი, თან ადგილიც მოინიშნა, ოთახში უკვე ჩვეულებრივ გაიარა, არც უცდია ფეხაკრეფით ეარა, კარი გამოაღო და დაინახა, მისის ბოიდის ოთახიდან გამოსული ემი კიბეს მოჰყვებოდა. ისიც თავისუფლად მოაბიჯებდა. წვეტიანი ქუსლების კაკუნი არაბუნებრივი ხშიანობით ისმოდა ბნელით მოცულ სახლში. გაიფიქრა, ალბათ წინდების ამარა მოიპარებოდა, მაგრამ დედამ რომ დაუძახა, ისევ ჩაიცვა ფეხსაცმელიო. ემი ხელა ამოდიოდა, ქმარს ჯერ ვერ ხედავდა. ჩაბნელებულ კიბეზე მისი სახე ყვავილის ფურცელივით სჭვიოდა ბეწვის ქურქის საყელოდან და მოუარდისფრო ბროლივით ასხივებდა. თან სუსხიანი ღამის სურნელიც მოჰყვებოდა. მერე, როცა ვაჟს კიბის თავში მოჰკრა თვალი, მხოლოდ წამით, სულ ერთი წამით შეჩერდა, თითქოს წაბორძიკდაო, და ისევ აუყვა კიბეს. გვერდით რომ ჩაუარა (ვაჟი განზე გადავა) და ოთახში შევიდა, უთხრა:

— ძალიან გვიანია? როსებთან ვიყავი. მოსახვევამდე მომაცილეს. ჩემი მანქანის გასაღები კლუბის ეზოში დაკარგე. მანქანის ხმამ ხომ არ გააღვიძა დედა?

— არა. უკვე ეღვიძა. ტელეფონის ზარმა გააღვიძა.

ქალი ცეცხლთან მივიდა და ხელები ისე მიაფიცხა, ქურქი არ გაუხდია. ქმრის ნათქვამი თითქოს არც გაუგონია, ცეცხლის ალზე მის სახეს კვლავ ვარდისფერი გადაჰფენოდა. კვლავ ყინვის, სუსხის სურნელს აფრქევდა.

— ჰო, შუქი უკვე ენთო მის ოთახში. როგორც კი შემოვედი, მაშინვე მივხვდი, რომ ჩაეჭურით. ზღურბლზე არც გადმოძებნიხარ, როცა დამიძახა: „ემი!“ და მეც ვუპასუხე: „მე ვარ, დედა“, მან კი მითხრა: „ჩემთან შემოდი, თუ შეიძლება“. იწვა თვალებუგუგებო, თმა ბამბის ძველ ნაგლეჯებს უგავდა, მარშანდელი ბამბის ბურღანადინ გამობღვნილს — მითხრა: „ალბათ ხედები, დაუყოვნებლივ რომ უნდა დატოვო ეს სახლი! დამე ნებისა“.

— ჰო, პირველის ნახევარზე გაეღვიძა. სხვა რა გზა მქონდა, მოვატყუე, სძინავს-მეთქი. მეგონა, გადავრჩებოდიო.

— შენ გინდა თქვა, რომ მოთელი ღამე არ ეძინა?

— არა. ტელეფონმა გამოაღვიძა, ხომ ვითხარი. დაახლოებით პირველის ნახევარი იქნებოდა.

ხელები ისევ ცეცხლზე ჰქონდა მიფიცხებული, როცა თავი მოაბრუნა და ქურქის ზემოდან ვაჟს გადმოხედა — სახე ვარდისფრად უღუოდა, თვალები უპრიალეებდა, ქუთუთოები დამძიმებოდა, როგორც სიამოვნებით გამძლარსა და გულმოსუყებულ ქალს — გადმოხედა უგულისყურო თანაგრძნობით,

— ტელეფონმა დარეკა? პირველის ნახევარზე? რა უგუნურებაა... თუმცა არა უშავს.

ემი შემობრუნდა, თითქოს უკვე გათბაო. მდიდრული ქურქი გადახსნოდა

და ოდნავ მბზინავი კაბა მოუჩანდა. ახლა მართლაც მშვენიერი იყო, — არა, სახით არა, ასეთი სახე ღამის ათასობით ჟურნალის გარეკანიდან შემოგვცქერის, არც აღნაგობით, რომლის ზომებიც ცელულოდის უამრავ ფირს სტანდარტად უქცევია ქვეყნის ყველა კუთხეში. მშვენიერი იყო იმ განუმეორებელი, ათადან-ბაბადან მოყოლებული წმინდა ქალური თავდაჯერებით და დაუნდობლობით.

ერეკენული

— ჰო, იქნებ ჩვენდა საბედნიეროდაც იყოს! — მიუახლოვდნენ უკვე მტკვარ-გაშლილი და მიეხუტა. მხოლოდ ოდნავ უკან გადაიხარა, მისთვის თვალეში რომ ჩაეხედა, სახე მოხეიმე ჰქონდა, სურნელი — თბილი, ქალური, სუსხის სურნელი უკვე გამქრალიყო.

— ასე მითხრა, დაუყოვნებლივო. ასე რომ, შეგვიძლია წავიდეთ, გესმის? ხომ გესმის? ჩვენ შეგვიძლია ახლავე წავიდეთ. მიეცი მთელი ფული, დაე, მთლიანად მას ჰქონდეს. ჩვენ არ გვჭირდება. შენ სამუშაოს იშოვი. ჩემთვის სულერთია, სად და როგორ ვიცხოვრებ, ახლა შეგვიძლია დატოვო. თვითონვე — როგორ ამბობ ხოლმე? თვითონვე დაუსვა ყველაფერს ჯვარი. ოდნოდაც მანქანის გასაღები დავკარგე; მაგრამ არა უშავს, ფეხით წავიდეთ. მისი არაფერი გვინდა, ისე წავიდეთ.

— ახლა? ამ ღამით? — ჰკითხა ვაჟმა.

— ჰო! აკი თქვა, დაუყოვნებლივო. მაშასადამე, ამ ღამით.

— არა, — ჰოუარდს არც განუმარტავს, რომელ კითხვაზე უპასუხა, რომელს დაეთანხმა და ან არ დაეთანხმა. მაგრამ აღარც იყო საჭირო, ქალს კვლავ თავის მკლავებში ჰყავდა მოქცეული, მხოლოდ სახეში რაღაც ჩაუქრა, რაღაც ეცვალა: მართალია, შიში ჯერ არ დატყობია, მაგრამ თითქოს უნდობლობა გამოეხატა, ბავშვური უნდობლობა.

— მაშ, არც ახლა წახვალ? არც ახლა მიატოვებ? მხოლოდ მე წამიყვან სასტუმროში ამ ღამით, ხვალ კი ისევ დაბრუნდები? არც კი დარჩები იქ ჩემთან? წამიყვან და დამტოვებ, შენ კი... — ქალი კვლავ ეხეოდა, თვალეში ჩასცქეროდა. — მოიცა, მოიცა, რაღაც მიზეზი უნდა იყოს, რაღაც... მოიცა, მოიცა, — წამოიყვირა მან, — მოიცა! შენ თქვი, ტელეფონმა დარეკაო პირველის ნახევარზე? — ქალი თვალს არ აშორებდა. ვაჟს მთელი ძალით ჩასჭიდებოდა, თვალის გუგები ნემსებივით გაუხდა, სახე გაუსასტიკდა. — აი თურმე რა! ეს არის მიზეზი, ხომ? ვინ დაგირეკა და რა გითხრა ჩემზე? თქვი და აგახსნი ყველაფერს, ყველაფერს აგახსნი. თქვი-მეთქი!

— მართა როსმა დარეკა. მითხრა, ახლახან სახლთან ჩამოვსვით.

— ცრუობს! — უმაღ იყვირა ქალმა, როგორც კი სახელი ჩასწვდა ყურში.

— ცრუობს! მათ მართლაც მომიყვანეს სახლამდე, მაგრამ ჯერ ადრე იყო და გადავწყვიტე სახლში გავყოლოდი, კვერცხიან ლორზე დავწვეოდი. ჰოდა, სანამ ფრენკი ნანქანას მოაბრუნებდა, დავუძახე და გავყევი. ფრენკი ამას დამიმოწმებს! მართამ იცრუა! ეს-ეს არის სახლთან ჩამომსვეს.

ქალმა ჰოუარდს შეხედა. ასე გარინდებულნი მიჩერებოდნენ ერთმანეთს რამდენიმე ხანს. შემდეგ ვაჟმა ჰკითხა:

— მაშ გულსაბნევი სად არის?

— გულსაბნევი? — იკითხა ქალმა. — რა გულსაბნევი?

მაგრამ ვაჟმა უკვე შეამჩნია, როგორ შეაცურა ხელი ემომ ქურქში ყელისკენ. სახე დაემანჭა, პირი დააღო, მერე ბავშვივით მორთო ტირილი, სასოწარკვეთილი ზღუქუნებდა და თან მორჩილად იძეორებდა:

— კო, ჰოუარდ არ მინდოდა ამის გაკეთება! ამას არ ჩავიდენდი! არ მინდოდა არა.

— კარგი, დაწყნარდი ახლა. დაწყნარდი, დედა გაიგებს.

— ჰო, ჰო, აღარ ვიტყვებ, — მაგრამ ქმარს თვალს მაინც არ ამორებდა. გამტკნარებული, დამანჭული სახე ერთიანად ცრემლით მორწყოდა, თითქოს ცრემლები მარტო თვალებიდან კი არა, მთელი სახიდან სდრეოდებოდა. პირდაპირ და მოკლე-მოკლედ ლაპარაკობდა, არც თავს იცავდა და არც სხვებს.

— ეს რომ არ გაგეგო, წამოხვიდოდი ჩემთან ერთად?

— არა. მაშინაც არა. დედას ვერ მივატოვებ, ხანამ ცოცხალია. არც ამ სახლს... არა, არ შემიძლია. მე...

ქალმა თვალი თვალში გაუყარა, თითქოს მის გუგებში საკუთარ თავს კი არა, იმ ქალის სანთელივით ყვითელ სახეს ხედავდა, კიბის ქვევით რომ იწვა თმაგაბურძგნული, სასტიკი, უღმობელი, — მისი ანარეკლი კი გაუჩინარდა. მაგრამ არა იმიტომ, თვალის ჩინმა უღალატა, იმიტომ, რომ თავიდანვე ასე იყო განგებისაგან დადგენილი და გადაწყვეტილი.

— ჰო, — თქვა ემიმ, და საიდანღაც აბრეშუმის ნაკუწი ამოაძვრინა, ფრთხილად, მსუბუქად შეიწმინდა თვალები, ახლაც კი ქვეშეცნულად ფრთხილობდა შეღებილი წამწამები არ გათხაპნოდა. — მან დაგვამარცხა. წევს საწოლიდან ვერ დგება და მაინც დაგვამარცხა. — ემი შებრუნდა და საკუჭნაოდან ჩანთა გამოიტანა, ტუმბოდან თავისი პარფიუმერიის შუშის ბოთლები ჩააღაგა, მერე უჯრაც გამოაღო. — ყველაფერს ამაღამ ვერ წავიღებ. ალბათ ისევ მომიწევს...

ჰოუარდი ბოლთას სცემდა. მერე საფულედან, კომოდზე რომ იდო სურათის ცარიელ ჩარჩოსთან, ფული ამოიღო, მობრუნდა და ქალს ხელში ჩაუდო.

— აქ ბევრი არაა, მაგრამ ხვალამდე გეყოფა.

— ჰო, — თქვა ემიმ. — დანარჩენი ბარგი ხვალ შეგიძლია გამომიგზავნო.

— ჰო, — უთხრა ვაჟმა. ემიმ ფული თითებით გაკეცა და დაჭმუჭნა. ქმარს არ უყურებდა. ვაჟმა არ იცოდა, რას უყურებდა, ოღონდაც ფულს არა. — საფულე თუ გაქვს, რომ ჩადო?

— კი, — თქვა ემიმ. ფულს ისევ ჭმუჭნიდა. ახლაც არ დაუხედავს მისთვის, თითქოს არ იცოდა, რა ეჭირა. თითქოს შემთხვევით გამოართვა, არც იცოდა, რა იყო. — ჰო, განაგრძო ქალმა, — დაგვამარცხა. წევს იქ თავისთვის საწოლში და ასე იწვება, ვიდრე ერთ მშვენიერ დღეს აქედან არ გაიტანენ, და მაინც გვაჯობა, იმ გულსაბნევით დაგვამარცხა... ჩემი პაწია, — თქვა მან, — ჩემი ბიჭი.

მაგრამ ვაჟს აღარ უთქვამს, დაწყნარდიო. ელოდა, როდის შეიმშრალებდა თვალებს. ემი უეცრად გამოფხიზლდა, ღიმილიანი თვალები შეაელო ქმარს. საღამოსთვის გულმიოდგინედ დახატული სახე ახლა ცრემლების ნაკვალევით დაღაროდა. ტირილით მოქანცული, მშვიდად სუნთქავდა.

— რაც არის, არის. უკვე გვიანაა. — ემი დაიხარა, მაგრამ ჰოუარდმა დაასწრო და ჩანთას დასწვდა. ერთად ჩაიარეს კიბე. მისის ბოიდის კარის ღრიჭოდან სინათლე გამოდიოდა.

— ცუდია, მანქანა რომ არ არის, — უთხრა ჰოუარდმა.

— ჰო. გასაღები კლებში დაგვარგე, მაგრამ ფარეხში დაურეკე და გასაღებს დილით მოიტანენ.

ისინი პოლში შეჩერდნენ. პოლარდმა ტელეფონით ტაქსი გამოიძახა. შემდეგ ერთად ელოდნენ, მშვიდად ლაპარაკობდნენ.

— სუბს მისვლისთანავე დაწვე.

— პო. ძალიან დავიღალე, ბევრი ვიცეკვე.

— კარგი მუსიკა იყო?

— მგონი, არ ვიცი. თითქოს კარგი იყო. როცა ცეკვა, ჩვეულებრივად ვიწვევდი, მუსიკა უკრავს თუ არა.

— პო. მეც ასე მგონია. — მალე მანქანაც მოვიდა. ისინი გარეთ გავიდნენ. პოლარდს პიკამაზე ხალათი მოეცვა. მიწა გაყინული იყო, ცა — სუსხიანი და კრიალა. ვაჟი ქალს ჩაჯდომაში დაეხმარა.

— ახლა სახლში გაიქეცი, — უთხრა ემიმ. — პალტო არც მოგიხურავს.

— პო. შენს ბარგს ადრინად მოგიტან სასტუმროში.

— ძალიან ადრეც არ ვინდა. აბა გაიქეცი.

ემი უკვე მანქანაში იჯდა მძღოლის უკან, ქურქში გახვეული. ვაჟმა ადრევე, საწოლ ოთახშივე შეამჩნია, ქალის თბილი სურნელით როგორ გაიჟლინთა იქაურობა, და ახლაც ისევ ის მსუბუქი, მსუსხავი სურნელი შეეფრქვა, ნაზი, მყიფე და სევდისმომგვრელი. მანქანა დაიძრა. პოლარდს უკან არ მოუხედავს. შესასვლელ კარს რომ კეტავდა, დედამ უხმო, მაგრამ არ შეჩერებულა, არც კარისკენ მოუბრუნებია თავი. პირდაპირ კიბეს აუყვა, გაეტალა ამ მკვდარ ერთფეროვან, ნიადაგ ფხიზლად მყოფ მბრძანებლურ ხმას. ცეცხლი უკვე მინავლებულიყო. მისი მოვარდისფრო თბილი და წყნარი ათინათი ირუკლებოდა სარკესა და პრიალა ხის ავეჯზე. წიგნი ისევ იდო სკამზე. აიღო, საწოლებს შუა მდგარ მაგიდისკენ წავიდა. იქ მოძებნა და იპოვა კიდევ ცელოფანის კონვერტი, რომელშიც ერთ დროს ჩიბუხის საწმენდები ეწყო, ახლა კი წიგნის სანიშნებლად ხმარობდა. ადგილი ჩაინიშნა და წიგნი დაკეცა. ეს იყო „თანამედროვე ბიბლიოთეკის“ ჯიბის სერიის გამოცემა „მწვანე სახლები“. ჯერაც ყრმობის ასაკში აღმოაჩინა იგი. მას შემდეგ ხშირად კითხულობდა, ოღონდაც მხოლოდ იმ ნაწილს, სადაც სამი ადამიანის მოგზაურობა იყო მოთხრობილი არაარსებული რიოლამას საძებნელად. გადაშლიდა ამ ადგილს და ჩუმად კითხულობდა. როგორც ჩვეულებრივ პატარა ბიჭი კითხულობს ხოლმე ერთიკულ და უხამს ადგილებს. რიმასთან ერთად გამოქვამულისკენ მიუყვებოდა ხრიოკ მთებს — მაშინ არც კი უწყოდა, რომ სიმბოლურ თავშესაფარს ეძიებდა. დაბოლოს სირბილით მოჰყვებოდა ხოლმე იქიდან რიმას. ქალი გაუნძრევლად იდგა და არც ფიქრობდა მასზე. იდგა მთვარის ცივ, უსულგულო შუქზე, სანთლის ალივით მოციმციმე და სუსტი. მაშინ ჯერ კიდევ შეურყვნელს მთელი გულითა და სულით სჯეროდა, რომ რიმას იღუმალება იღუმალება როდი იყო, რამდენადაც იგი ფიზიკურ სფეროს განეკუთვნოდა, რომ იგი ხორციელად მიუწვდომელი და არასრულყოფილი იყო. მორჩილი უსახობით ამართლებდა თავის უძალიობას (რამდენადაც მისი აზრით მას ბრალი არ მიუძღვოდა) წიგნებიდან მაგალითების მოშველიებით, როგორც ყველა ახალგაზრდას მოსდგამს ხოლმე. მაგრამ ქორწინების შემდეგ ის წიგნი აღარ წაუკითხავს, ვიდრე ბავშვი არ დაედგა. შაბათის საღამოებს უკვე მარტო ატარებდა. ახლა რიოლამაში მოგზაურობაზე აღარ კითხულობდა წინანდელივით. მხოლოდ იმ ადგილებს კითხულობდა, სადაც აბელი (ერთადერთი ადამიანი დედამიწაზე, რომელმაც იცოდა, რომ მარტოსული იყო) დაეხეტებოდა ფრინველთა ფრიამულით ავსებულ უღრან და იღუმალ ტყეში, ტყეში, მას რომ არ იღებდა.



საქართველოს
საბავშვო ლიტერატურის
საქართველოს
საბავშვო ლიტერატურის

შემდეგ კვლავ კომოდს მიუახლოვდა, უჯრა გაძოადო, სადაც საფულეს ინახავდა, და წუთით შედგა. ხელი უჯრის კიდეზე ჩამოდა.

— ჰო... — თქვა ღინჯად და ხმამაღლა, — ასედაც არის. მუდამ ვაპირებდი ამის გაკეთებას.

სახლზე მოგვიანებით მიშენებული სააბაზანო დერეფნის ბოლოში იყო. იქ თბილოდა, რადგანაც ემისთვის ანთებული ელექტროქურა, ჩართულზე დარჩენოდა. სწორედ აქ მალაუდა ჰოუარდი ვისკისაც. სმა მაშინ დაიწყო, როცა დედას დამბლა დაეცა. თავდაპირველად, ეგონა, ახლა მაინც გაეთავისუფლდით. ხოლო ბავშვის დაღუპვის შემდეგ ორგანონიანი კასრით ჰქონდა ხორბლის ვისკა სააბაზანოში გადამალული. თუმცა სააბაზანო მოშორებული იყო სახლის მთვარი ნაწილიდან, მეტადრე დედის ოთახიდან, მაინც გულდაგულ ამოქოლა პირსახოცებით კარის ღრიტოები. შემდეგ ისევ გამოაძრო ისინი, საწოლში დაბრუნდა, ემის ლოგინს ბუმბულის საბანი ააცალა, ისევ სააბაზანოში გაბრუნდა, ისევ ამოქოლა პირსახოცებით კარის ღრიტოები და საბანიც ზედ ჩამოაფარა. მაგრამ ამანაც არ დააკმაყოფილა. ოდნავ ჩასუქებული (რაც ცეკვის სწავლას თავი ანება, აღარც უვარჯიშნია, განუწყვეტელი სმისაგან ყრმა იტალიელ მორჩილს უკვე აღარ ჰგავდა), იდგა და ფიქრობდა, დამკვებულ ხელში რევოლვერი ეჭირა. იქაურობას თვალი მოაველო. მზერა ფეხსაწმენდზე შეაჩერა, აბაზანის კიდეზე რომ იდო დაკეცილი. რევოლვერიან ხელზე შემოიხვია, დაუმიზნა უკანა კედელს და გაისროლა. გასროლის ხმა ყრუდ გაისმა, მაგრამ ნერვებზე მაინც იმოქმედა. ერთხანს მაინც იდგა და თითქმის შორიდან მის ნახმევს ელოდა. მაგრამ არაფერი გაუგონია, მაშინაც კი, როცა კარის ღრიტოებიდან პირსახოცები გამოიღო და ფეხაკრეფით გაემართა დერეფნისკენ. შემდეგ კიბეზე დაეშვა. დედის ოთახის კარის ღრიტო ჩაბნელებული იყო. მაგრამ არ შეჩერებულა, ისევ ჩუმად აუყვა კიბეს. ესმოდა, მაგრამ არ უსმენდა გონების ცივსა და უძალო ხმას: როგორც ჩანს, მაშაშენივით არც შენ შეგიძლია იცხოვრო მათ გვერდით, მაგრამ მაშაშენისგან განსხვავებით არც მათ გარეშე შეგიძლია. და თავისთვის ჩაილაპარაკა: „ჰო, ასე გამოდის, ეტყობა, ჩემზე უკეთ გვიცნობ ყველას“. ჰოდა ისევ ჩაკეტა სააბაზანოს კარი, გულდაგულ ამოქოლა პირსახოცებით ღრიტოები, მაგრამ ამჯერად კარზე საბანი აღარ ჩამოაფარა, თვითონ წამოისხა, ჩაცუცქდა, რევოლვერის ლულა ჩიბუხივით მოიქცია კბილებში, საბანი სქლად შემოიხვია თავზე ჩქარ-ჩქარა და სწრაფად, რადგანაც უკვე სული ეხუთებოდა.

ჩაბი დიდელა მილარდი

ეს სწორედ ვახშობის შემდეგ ხდებოდა, ისევ სუფრას რომ ვუსხედით. თავიდან, როცა ცნობა მოვიდა, იანკეშმა მეშფისი აიღესო, ეს კიდეც სამი ღამე გამეორდა. მერე, როცა სულ უფრო გავიწაფეთ ამ საქმიანობაში, დიდელა კვირაში ერთხელ გვაკმარებდა ხოლმე ამას. მას შემდეგ კი, როცა ჩემმა ბიძაშვილმა მელისანდრმა ბოლოს და ბოლოს მეშფისიდან გამოაღწია და საცხოვრებლად ჩვენთან ჩამოვიდა, ამ წვრთნას თვეში ერთხელ გავდიოდით. ხოლო პოლკმა რომ ვირჯინიაში არჩევნებზე მამას პოლკოვნიკის წოდება ჩამოართვა, სახლში დაბრუნდა და სამი თვე შინ დარჩა — მოსავალი აიღო, უკვე დამშვიდებულმა ცხენოსანთა რაზმი შეკრიბა გენერალ ფორესტის მეთაურობით — ჩვენც შევეშვიით

ამ საქმიანობას. თუმცა ერთხელ კიდევ გაუაკეთეთ, როცა ისიც გვიცქერდა. იმ დამით კი მე და რინგომ ყური მოვკარით, როგორ ხარხარებდა მამა ბიბლიოთეკაში — ეს პირველად იყო მას შემდეგ, რაც შინ დაბრუნდა. დაახლოებით ერთი წუთის შემდეგ იქიდან დიდუდა გამოვიდა კალთებწამოწეული და კიბეს აუყვია. პოდა, მას შემდეგ არც გავვიძეორებია, სანამ მამამ რაზმი არ შეკრიბა და ისევ არ გაემგზავრა.

— გასწი, ჯობისა და ლუციუსს დამიძახე, — ისე ეტყოდა ხოლმე დიდუდა, მისი სკამის უკან მდგომ რინგოს, თავსაც არ მოაბრუნებდა. და ხელსახოცს დაკეტავდა.

და რინგოც გაბრუნდებოდა, სამზარეულოს ისე გაივლიდა, იქ არც შეჩერდებოდა, ლუციუსს ერთს გადაულაპარაკებდა, ზურგშექცეული რომ იდგა: „აბა, მოემზადე“-ო და უკანა ეზოში ქონისკენ გაემართებოდა. იქიდან კი არა მარტო ჯობისა და ლუციუსის თანხლებითა და ანთებული ფარნით ბრუნდებოდა, არამედ ფილადელფიასთან ერთადაც, თუმცაღა ფილადელფიას არაფერი ევალებოდა, მხოლოდ უნდა ეთვალთვალა, შემდეგ ხილის ბაღში გაგვეყოლოდა და ისევ უკან გამოგვეყოლოდა, სანამ დიდუდა არ ეტყოდა, დღეს ყველა საქმეს მოვრჩით და შენ და ლუციუსს შეგიძლიათ დასაძინებლად წახვიდეთო. ჩვენ კი ერთ დიდ სკივრს ჩამოვათრევდით ხოლმე სხეუნიდან (ამის გაკეთება კი ისე ხშირად გვიხდებოდა, ფარანი აღარც გვჭირდებოდა სხვენზე ასასვლელად და სკივრის ჩამოსატანად), იმ სკივრის ბოქლომის გაბოხვაც ყოველ ორშაბათს მე მევალებოდა ქათმის ქონში ამოვლებული ფრთით, ლუციუსს სამზარეულოდან გამოვიდოდა იდლიაში ამოდებული ვახშმისას ნახმარ ვერცხლეულით სავსე თასით, მეორე იდლიის ქვეშ სამზარეულოს საათი ჰქონდა, დადებდა საათსა და თასს მაგვიდაზე, წინსაფრის ჯიბიდან დიდუდას დაგორგლილ წინდებს ამოიღებდა და მიაწოდებდა, ისიც გაშლიდა წინდებს, ერთ-ერთში ჩატენილ ჩვრიდან სკივრის გასაღებს ამოაძრობდა, მერე მკერდიდან საათს მოიხსნიდა, იმ ჩვარში გაახვევდა და ისევ წინდაში ჩატენიდა, მერე წინდას დაგორგლავდა და მასაც სკივრში ჩაუშვებდა. დაბოლოს ამ ყოველივეს მოწმე მელისანდრისა და ფილადელფიას თვალწინ — იმჯერად მამაც იქ იყო, — საათის წინ დადგებოდა, ხელებს დაახლოებით რვა დიუმის სიგანეზე გაშლიდა, თავს ისე ჩაღუნავდა, სათვალის ზემოდან ციფერბლატიხთვის ეცქირა, თუ როდის მიუახლოვდებოდა დიდი ისარი უახლოეს ციფრს.

დანარჩენები კი მის ხელებს მივჩერებოდით. იგი არაფერს ამბობდა. და არც იყო საჭირო. როცა ისარი უახლოეს საათის აღმნიშვნელ ციფრს გაუსწორდებოდა, ტაშს მსუბუქად და მკაფიოდ შემოჰკრაუდა, ზოგჯერ მანამდეც აემოძრავდებოდით. ეიდრე ხელებს შემოჰკრაუდა, ფილადელფიას გამოკლებით, რადგან ლუციუსის გამო ნებას არ რთავდა ფილადელფიას დაგვხმარებოდა, თუმცაღა ლუციუსმა თითქმის მარტომ ამოთხარა ორმო და თითქმის მარტო მიათრევდა ხოლმე სკივრს. მაგრამ ფილადელფია მაინც იქ უნდა ყოფილიყო. „მინდა ყველა თავისუფალი კაცის ცოლიც აქ იყოს, — ამბობდა ხოლმე, — მინდა ყველა თავისუფალმა აღამიანმა ნახოს, რის გაკეთება გვიწევს ჩვენ, დანარჩენებს, ისევ იმად რომ დაურჩით, რანიც ვართ“.

ეს ამბავი დაახლოებით რვა თვის წინ დაიწყო. ერთ მშვენიერ დღეს მივხვდი, რომ ლუციუსის თავს რაღაც ხდებოდა. შემდეგ შევიტყვე, თურმე რინგოს ჩემზე ადრე შეუმჩნევია, რაც ხდებოდა. ასე რომ, როცა ბოლოს და ბოლოს ლუციუსმა მოვიდა და დიდუდაჩემს ყველაფერი უამბო, არა იმითომ რომ ლუციუსმა აიძულა ამაზე დედამისი, უბრალოდ უნდოდა დიდუდას ვილაცისგან გა-

ეგო ყველაფერი, სულ ერთია ეისგან. მას ეს არაერთხელ განუცხადებია, პირველად ალბათ იმ დამით თავისიანებს გამოუცხადა ქოხში, მერე სხვაგან, სხვა ხალხთან, მეზობელი პლანტაციის ზანგებთანც კი ამბობდა. მაშინ შემფისი უკვე დაუთმეთ, ახალი ორლეანიც, ერთადერთი ვიქსბერგილა შემოგვრჩა. თუმცაღა იმასაც რომ დიდხანს ვერ შევინარჩუნებდით, მაშინ მართლაც არ გვეჯეროდა. ერთ დილით ლუვიინია ამ დროს მოვიდა, როცა დიდება მამაჩემის გამონაცვალ სამხედრო შარვალს მიკეთებდა, მაშინ უთხრა დიდებამ: „ლუციუსი ამბობს, მალე იანკები მთელ მისისიპსა და იოკნაპატოფას ოლქს ხელთ იგდებენ და ზანგები თავისუფლები გახდებიან, მე კი, როცა ეს მოხდება, უკვე დიდი ხნის წასული ვიქნები აქედანო. იმ დილით ლუციუსი ბაღში მუშაობდა. დიდება უკანა კერანდაზე გავიდა, ხელში ისევ შარვალი და ნემსი ეჭირა. სათვალეც კი არ აუწევია შუბლზე. ერთი დაიძახა: „ჰეი, ლუციუს!“ და ლუციუსიც ბაღიდან გამოვიდა თოხით ხელში, დიდება კი სათვალის ზემოდან გადმოჰყურებდა, როგორც სჩვეოდა ხოლმე, რაც არ უნდა ეკეთებინა: წერდა, კერავდა თუ საათის ციფერბლატს უცქერდა იმ წამის მოლოდინში, ვერცხლეულის ჩაფლვის დრო როდის დადგებოდა.

— ახლაც შეგიძლია წახვიდე, — უთხრა ასე. — სულაც არაა საჭირო იანკების ლოდინი.

— წავიდე? — ჰკითხა ლუციუსმა, — მე ხომ თავისუფალი არა ვარ.

— უკვე სამი წუთი გავიდა, რაც თავისუფალი ხარ, — უთხრა დიდებამ. — პოდა, გასწი აქედან.

ლუციუსი იმდენ ხანს დუმდა, ათამდე დათვლას მოასწრებდა კაცი.

— სად უნდა წავიდე? — ჰკითხა მან.

— ვერ გეტყვი, — უთხრა დიდებამ. — მე ხომ თავისუფალი არა ვარ. ახლა ყველაფერი იანკებისაა. წარმომიდგენია, ფეხქვეშ როგორ გაგეგებიან.

ლუციუსმა ერთხანს ახამხამა თვალები.

— სულ ეს არის? — იკითხა ისე, დიდებასთვის აღარ შეუხედავს.

— დიახ, — მიუგო დიდებამ.

ლუციუსი ბაღში გაბრუნდა. მას შემდეგ თავისუფლება არც უხსენებია. ხოლო თუ ამაზე სიტყვა დასცდებოდა, ლუვიინიაც საჭიროდ აღარ თვლიდა დედაჩემის ამ ამბებით შეწუხებას. დიდება თვითონ შეახსენებდა ხოლმე, მეტწილად ფილადელფიას და მეტწილად დამით, როცა ჩვენ, ბარიერებთან დოლის ცხენებივით მდგარნი, დიდებას ხელების შემოკვრას ველოდით.

ჩვენ ყველამ ვიცოდით, ვის რა გვევალებოდა. მე ზედა სართულზე უნდა ამერბინა დიდებას გულის ქინძისთავის, ვერცხლისბუნჯიანი ქოლგისა და საკვარაო ფრთებიანი შლაპის ჩამოსატანად, — თავისი საყურეები და გულსაბნევი უკვე რინმონდში გააგზავნა დიდი ხნის წინ — მერე მამაჩემის ოთახში შეედიოდი ვერცხლში ჩასმული ჯაგრისებისთვის, მელისანდრის ოთახში — მას შემდეგ რაც ჩვენთან ჩამოვიდა საცხოვრებლად — მისი ნივთებისათვის. ვინაიდან, როცა ერთხელ დიდებამ მელისანდრას ნება დართო დახმარებოდა, მთელი თავისი კაბები ჩამოზიდა ძირს. რინგო სასტუმრო ოთახში მიდიოდა შანდლების, დიდებას ციმბალისა და მამაჩემის დედის მედალიონის მოსატანად, კაროლინიდან რომ იყო. მერე სასადილო ოთახში გავრბოდით, სადაც ლუვიინიას და ლუციუსს თითქმის მთლიანად დაეცარიელებინათ ჭურჭლის კარადა, დიდება კი იქვე იდგა ტაშის შემოსაკრავად ხელებშომარჯვებული და საათის ციფერბლატსა და სკივრს თვალს არ ამორებდა. მერე ტკაცანზე მე და რინგო სარდაფში გავრბოდით ბარების წამოსაღებად და ბალისკენ მივიჩქაროდით, ტოტებს, ბალახსა და ერთმა-

ნეთში გადახლართულ ჯოხებს ვაცლიდით ორძოს და სხვების მოსვლას ველოდით. წინ ლუვინია მოდიოდა ხოლმე ფარნით, მერე ჯობი და ლუციუსი სკივრით, გვერდით დიდუდა მოჰყვებოდათ, ბოლოს მელისანდრი და ფილადელფია (ერთხელ სიცილ-სიცილით მამაჩემიც გამოგვეყვა). პირველ ღამეს სამზარეულოს საათი სკივრში არ იღო. დიდუდას თავად მოჰქონდა, ლუვინია კი ფარანს ისე უნათებდა, დიდუდას საათის ისრები რომ დაენახა. დიდუდა სკივრს ორმოში გააშვებინებდა, მიწას მიგვაყრევინებდა და, როცა ზედაპირს მოგვასწორებდნენ, ტოტებითა და ბალახით გვაფარებინებდა, მერე ისევ ამოგვათხრევინებდა სკივრს კვლავაც სახლისკენ წასათრევად. ერთ ღამეს ისე გვეჩვენა, თითქოსდა მთელი ზამთარი და მთელი ზაფხული ასე გაუთავებლივ ვათრევდით ამ სკივრს ჯერ სხვენიდან, მერე შიგ ვერცხლეულს ვაწყობდით, მერე ორმოსკენ მივაქანებდით, ორძოს თავს ვხდიდით, ისევ ვაფარებდით ზედ ტოტებს, სკივრიანად სახლისკენ ებრუნდებოდით და ამოლაგებულ ვერცხლეულს ისევ თავის ადგილას ვაწყობდით. ასე გვეჩვენა იმ ღამეს, ოღონდ არც ვიცო, პირველად ვის მოუვიდა ეს თავში, შესაძლოა ყველას ერთად. მაგრამ ასე იყო თუ ისე, საათის ისარმა ოთხი ციფრი გაიარა, ვიდრე დიდუდას ხელები მე და რინგოს ნიშანს მოგვეცემდა გავქცეულიყავით და ორძო გავკეხსნა. როცა ისინი სკივრით ზელში მოვიდნენ, მე და რინგოს არც გვიცდია ფიჩხის ბოლო კონა ძირს დაგვედო, რათა ზედმეტად ისევ აღარ წამოგვეკრიფა, ლუციუსმა კი სკივრის თავისი კიდე მიწაზე არ დაუშვა იმავე მიზეზით. მკონი, მარტო ლუვინიამ იცოდა, რა უნდა მოჰყოლოდა ამას, ვინაიდან მე და რინგოს არ დაგვინახავს, სამზარეულოს საათი თუ ჯერ კიდევ სასადილო მაგიდაზე იღო.

მაშინ დიდუდამ პირველად თქვა, — სხვა დროს არც გესმენია რაძე ეთქვას მას შემდეგ, რაც რინგოს უბრძანებდა „გასწი, ჯობირა და ლუციუსს ღამიძახე“, მერე კი ოცდაათი წუთის შემდეგ ორივეს გვეტყოდა: „ფეხები დაიბანეთ და დასაძინებლად წადით“ — ახლა კი ხმადაბლა და მოკლედ მხოლოდ ორი სიტყვა თქვა: „აბა, ჩაფალით“. ჩვენც ჩაუშვით სკივრი ორმოში და ჯობიმ და ლუციუსმა ზედ მიწა გადააყარეს, მაგრამ არც მე და არც რინგო არ გავნძრულვართ, ვიდრე დიდუდამ ისევ ხმადაბლა არ გვითხრა: „აბა დაფარეთ ორძო?!“. ჩვენც დაფარეთ იგი ტოტებით, მერე კი დიდუდამ გვითხრა: „აბა ამოთხარეთ“. ჩვენ ისევ ამოვთხარეთ სკივრი, სახლისკენ გავაქანეთ და ყველაფერი ისევ თავის ადგილას დავალაგეთ. მაშინლა შევამჩნიეთ, რომ სამზარეულოს საათი ისევ სასადილო მაგიდაზე იდგა. ჩვენ კი ვიდექით და დიდუდას ხელებს მივჩერებოდით როდის შემოჰკრავდა ტაშს. მერე ისევ ავაკეთ სკივრი, ისევ გავათრიეთ ბაღში და კიდევ უფრო სწრაფად ჩაუფალით, ვიდრე მანამდე ჩავვიფლავს.

II

მაგრამ როცა მართლა საჭირო გახდა ის ვერცხლეული ჩავვიფლა, მაშინ კი დავაგვიანეთ. ყველაფერი რომ დასრულდა და ჩემმა ბიძაშვილმა მელისანდრმა ფილიპზე იქორწინა, ხოლო მამამაც სიცილით გული იჯერა, მან ასე თქვა, ყოველთვის ასე ხდება ხოლმე, როცა ერთმანეთისგან განსხვავებული ადამიანების ჭრელ ბრბოს ერთმანეთს დააკავშირებს ერთი მარტივი პირველყოფილი სწრაფვა დაუსჯელობისა და თავისუფლებისკენ, იგი ბრძოლას უცხადებს ტირანიის მთელ მექანიზმს. მან თქვა, რომ ისინი პირველ ბრძოლებში მუდამგზის მარცხდებიან, ხოლო თუ მოწინააღმდეგე რიცხოვრივადაც და ძალითაც გაცილებით სჭარბობს, გარედან მაცქერალს ეგონება, ყველა დანარჩენ ბრძოლასაც წააგებე-

ნო. მაგრამ ასე არ ხდება. ისინი არ მარცხდებიან, თუკი მათ ასე ძლიერ, ასე გულ-
 ლით სწადიათ ეს თავისუფლება, მზად არიან მისთვის ყველაფერი გასწირონ —
 მყუდროება და კეთილდღეობა, სულის სიმშვიდე და საერთოდ ყველაფერი, იმით
 კმაყოფილდებიან, რაც შემორჩენიათ, თუნდაც სულ მცირედი იყოს ეს — სწო-
 რედ თვით თავისუფლება დაამხოვს საბოლოოდ ტირანიას, როგორც ბოროტ
 ძალას — გვალვას ან კიდევ წყალდიდობას ძალუძს მისი მოშობა. უფრო მოგ-
 ვიანებითაც კი, ორი წლის შემდეგ, როცა ვიცოდით, ომის უწყვეტი გეგმიური გეგმონ-
 და, ისევ ამას იმეორებდა. ასე ამბობდა: „მე ვერ მოვესწრებო, მსგავსი ტყვენი ხომ
 ნახავთ. ნახავთ ამას შემდგომ თუ სხვა მომავალ ომებში, სადაც ამერიკას მოუხ-
 დება ბრძოლა, რომ ყველა ბრძოლაში წინა ხაზზე მუდამ სამხრეთელები იქნე-
 ბიან, ზოგჯერ გაუძლევიან კიდევ სხვებს, გაუძლევიანო მათ, ვინც ჩვენ დაგ-
 ვამარცხა, გაუძლევიან სწორედ იმ თავისუფლების დასაცავად, რომელიც მათი
 აზრით წავგართვეს“. და ასედაც მოხდა: ოცდაათი წლის შემდეგ გენერალი უი-
 ლერი, მამაჩემი მოლაღატედ რომ მონათლავდა, კუბაში ჯარს მეთაურობდა. მო-
 ხუცმა გენერალმა ერლიმ კი არათუ მოლაღატე, მამისმკვლელიც უწოდა მას რიჩ-
 მონდელი რედაქტორის კაბინეტში. „მინდოდა ისე მეცხოვრა, — თქვა მან, —
 სიკვდილის შემდეგ ისევ შევხვედროდი რობერტ ლის. მაგრამ რაკი ისე ვერ
 ვიცხოვრე, ძალიან მინდა იმის ნახვით მაინც დავტკბე, როგორ გაახვევს ცეცხ-
 ლის აღში სატანა ჯო უილერს იმ თავის ლურჯ მუნდირიანად“.

ჩვენ ვერ მოვასწარი. ისიც კი არ ვიცოდით, იანკები რომ უკვე ჯეფერ-
 სონში იყვნენ, თანაც სარტორისიდან ერთი მილის მოშორებით. ბევრნი არც იყ-
 ვნენ ხოლმე, მაშინ რკინიგზა ჯერ კიდევ არ გადიოდა ჩვენთან, არც დიდი მდინარე
 იყო ახლომახლო გემის მისადგომად და არც მსგავსი რამ, ჯეფერსონს რომ მო-
 ახლოებოდნენ, ეს ხომ მანამდე მოხდა, ვიდრე მამაჩემი მათ თავსატეხს გაუჩენდა
 და გენერალი გრანტიც ბრძანებას გამოსცემდა, სადაც ჯილდოს აღუთქვამდა
 ყველას მამაჩემის დაჭერისათვის. ჩვენ უკვე მივეჩვიეთ ომს, ისე ვუყურებდით,
 როგორც მუდმივსა და დაწესებულს, განმტკიცებულს, როგორც რკინიგზაა ან
 კიდევ მდინარე. ომი მოემართებოდა მემფისიდან აღმოსავლეთით რკინიგზის გას-
 წვრივ, სამხრეთით კი მისისიპის გაყოლებით ვიქსბერგისაკენ. ჩვენამდე აღწევ-
 და ხმები, როგორ მარცვავენ თურმე იანკები, ჯეფერსონის შემოგარენში რო-
 გორ ემზადებოდა ხალხი სასწრაფოდ გადაემალათ თავიანთი ვერცხლეული, თუ-
 მცადა არა მგონია ჩვენსავით ვინმე ყოფილიყო გაწაფული ამ საქმეში, თუმცა
 ვისაც კი ვიცნობდით, არავის ჰყოლია ისეთი ნათესავები, ვინც გაძარცვეს, ამი-
 ტომაც მგონია, რომ იმ დღემდე არც ლუციუსს ჰქონია იანკების მოხელის
 იმედი.

დიდის თერთმეტი საათი სრულდებოდა. სუფრა უკვე გაშლილი იყო და
 ყველანი გაყურებდნენ ვიყავით, რათა არ გამოგვპაროდა, ლუვინია როდის გა-
 მოვიდოდა უკანა ვერანდაზე და სადილის ხარს შემოჰკრავდა, როცა უეცრად
 ებ სნოუფსმა როგორც ყოველთვის სხვისი ცხენი შემოაჭენა. იგი მამაჩემის რა-
 ზმში მსახურობდა, მაგრამ არა როგორც მეზობელი, არამედ, მისი თქმით, რო-
 გორც „ცხენოსანთა კაპიტანი“ — კაცმა არ იცის, ამაში რას გულისხმობდა. და
 თუმცა ამაზე ჩვენი აზრი გეგმონდა, არც ერთმა არ ვიცოდით, რას აკეთებდა იგი
 ჯეფერსონში, როცა რაზმი ტენესში უნდა ყოფილიყო გენერალ ბრაგთან. და
 მით უმეტეს არც ის იცოდა ვინმემ, თუ სად იშოვა მან ეს ცხენი, ეზოში რომ
 შემოაჭენა ცხენი, დიდუდას ყვავილნარს გადაუარა, ალბათ ეგონა, ესოდენ მნიშ-
 ვნელოვანი ცნობის მომტანს უფლებაც ჰქონდა ასე მოქცეულიყო და უკანა პარ-
 ძალს მოადგა, ვინაიდან იცოდა, რა მნიშვნელოვანი ამბავიც არ უნდა მოეტანა,
 მისთვის მაინც სჯობდა დიდუდას სადარბაზოს არ გაკარებოდა, თანაც ასეთი

ყვირილით და თანაც, კაცმა არ იცის, რა გაურკვეველ ვითარებაში მოპოვებულ ცხენზე ამხედრებული, რომელზედაც შეერთებული შტატების არმიის დამლა სამასი იარღიდანაც კი შეიმჩნეოდა. პოდა, დიდუდას შესძახა, გენერალი ფორესტი ჯეფერსონშია, ხოლო იანკების კავალერიის მთელი პოლკი აქედან ჩახვევარ მიღზე უფრო ახლოს დგასო.

აი სწორედ მაშინ დავაგვიანეთ. მამამ თქვა მერე, დიდუდა სტრატეგისა და ტაქტიკაში კი არ შეცდა, გინდაც ამაში ვინმესთვის მიებაძა, მისი სიტყვებით, კარგა დიდი ხანია, რაც ორიგინალობა სამხედრო წარმატების საწინდრად აღარ ითვლება, უბრალოდ, ყველაფერი მეტიმეტად სწრაფად მოხდაო. მე ჯობისა და ფილადელფიას გასაფრთხილებლად წავედი, რადგანაც დიდუდამ რინგო გზაზე გაგზავნა, რათა ნიშანი მოეცა და ჩაის ტილო აუფრიალებინა, თუკი იანკები გამოჩნდებოდნენ. შემდეგ წინა ფანჯარასთან დამაყენა, საიდანაც შემეძლო რინგოს თვალთვალი. როდესაც ებ სნოუფსი ჩვენთან დაბრუნდა იანკებთან ნაშოვნე ცხენის გადამაღვის შემდეგ, შემოგვთავაზა, ზედა სართულიდან ბარგს ჩამოვიტანო. არადა, დიდუდა სულ გვაფრთხილებდა, ებ სნოუფსისთვის ნება არ მიგვეცა სახლში მარტოს ებორიალა. ასე ამბობდა, ამას სჯობს იანკები შემოგვეჭრნენ სახლში დაუპატიჟებლად, ისინი უფრო ტაქტიკაში არიან, სხვა თუ არაფერი, იმის ჭკუა მაინც აქვთ, კოვზი ან შანდალი არ მოიპარონ და მერე ჩვენივე მეზობელს არ მიჰყიდონ, როგორც უთუოდ ებ სნოუფსი ჩაიდენსო. ამიტომაც დიდუდამ პასუხიც არ გასცა. ერთი ეს თქვა: „იმ კართან დადექ და ჩუმად იყავი“. ისე რომ, ბოლოს და ბოლოს მეღისანდრი ავიდა ზედა სართულზე, დიდუდა და ფილადელფია კი — თუმცაღა ის თავისუფალი იყო — სასტუმრო ოთახში წავიდნენ შანდლების, მეღალიონისა და ციმბალის წამოსაღებად. მაგრამ დიდუდამ საათის გამოყენებაც კი ვერ მოასწრო.

ყველაფერი მოულოდნელად მოხდა. ეს წუთია რინგო ჭიშკრის თავზე იჯდა და გზას გასცქეროდა, რომ მეორე წუთს უკვე ზედ იდგა და ჩაის ტილოს აფრიალებდა, მე უკვე სასადილო ოთახისკენ გავრბოდი, ყვირილ-ყვირილით. მახსოვს, როგორ აუელვარდათ ჯობის, ლუციუსსა და ფილადელფიას თვალის თეთრონები; მახსოვს, ჩემი ბიძაშვილის მეღისანდრის თვალებიც, როცა ჭურჭლის კარადას მიეყრდნო პირზე ხელუკულმა აფარებული. დიდუდა, ლუვინია და ებ სნოუფსი ერთმანეთს მიჩერებოდნენ სკივრის ზეჰოდან და გავიგონე, როგორ იყვირა ლუვინიამ ჩემზე ხმამაღლა:

— მიზ ქომსონ! მიზ ქომსონ!

— რაო?! — შესძახა დიდუდამ. — რა თქვი? მისის ქომსონს სად ხედავ?

და მაშინ ყველას გაგვახსენდა, რაც ამ ერთი წლის წინ მოხდა, როცა იანკების პირველი მზვერავეები გამოჩნდნენ ჯეფერსონში. მაშინ ომი ახალი დაწყებული იყო. როგორც ჩანს, გენერალი ქომფსონი ერთადერთი სამხედრო გახლდათ ჯეფერსონში, ვისზეც იანკებს რაღაც სძენოდათ. ასე იყო თუ ისე, მათმა ოფიცერმა ვილაცას ჰკითხა მოედანზე, გენერალი ქომფსონი სად ცხოვრობსო. მოხუცმა ექიმმა პოლსტონმა კი ზანგი ბიჭი გაგზავნა უკანა ეზოებით, დროზე რომ გაეფრთხილებინათ მისის ქომფსონი. მერე ჰყვებოდნენ, როგორ შეაგზავნა ოფიცერმა რამდენიმე ჯარისკაცი ცარიელი სახლის დასაკავებლად. თვითონ კი ცხენიდან არც გადმოსულა, ისე შემოუარა უკანა მხრიდან სახლს. ჩემის წინ მოხუცი დეიდა როქსანა დაინახა, ხოლო შიგნით თურმე მისის ქომფსონი იყო ჩაკეტილი — ჩაცმულ-დახურული, შლაპითა და ქოლგითაც კი ხელში. იგი მოწონულსახურავიან კალათაზე იჯდა, სადაც თუფშები და ვერცხლეული ეწყო. „მისიზ იქ არის, — უთხრა როქსანამ. — თქვენ კი სადაც დგახართ, მანდ იდექით!“

ამბობდნენ, ოფიცერმა თითქოსდა თქვა ბოდიშს ვიხდით, შლაპა თავაზიანად მოიხადა, ცხენი რამდენიმე ნაბიჯით უკან დახია, მერე შეატრიალა, თავის ჯარისკაცებს უხმო და იქაურობა დატოვა.

— ეშმაკმა დალახვროს, მიზ მილარდ! — შეჰყვირა სნოუფსმა, მაგრამ დიდუდას არაფერი უთქვამს, თითქოს ვერ გაიგონა, თუმცაღა ჯიქურ მიჩერებოდა. თითქოს ყურადაც არ იღო, თითქოს მასაც შეეძლო იგივე უთქვა. ამიტომც ჩანს, რადღეში ვიყავით: დრო აღარაფრისთვის გვრჩებოდა.

— ჩეჩმა! — იყვირა დიდუდამ.

— ეშმაკმა დალახვროს! — შესძახა ებ სნოუფსმა. — ჩრდილოეთ მისისიპში ყველამ იცის ეს ამბავი. აქედან შემფისამდე ერთ ლედისაც ვერ ნახავთ, ამ წუთს რომ ჩეჩმაში არ იჯდეს თავისი ვერცხლეულით გატენილ ჩანთაზე!

— ჰოდა, ნუღარ დავაგვიანებთ, — თქვა დიდუდამ. — აბა სწრაფად!

— დაიცათ! — თქვა ებ სნოუფსმა. — დაიცათ! ახლა მათაც კი იციან უკვე ეს ამბავი!

— მაშინ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ აქ სხვა იანკები მოვლენ, — თქვა დიდუდამ, — აბა ჩქარა-მეთქი!

— დაიცათ, მიზ მილარდ! — შესძახა ისევ ებ სნოუფსმა. — დაიცათ-მეთქი!

მაგრამ ამ დროს ჭიშკრიდან რინგოს დრიალი მოგვესმა. მახსოვს, ჯობი, ლუციუსი, ფილაღელფაა, ლუვინია და ჩემი ბიძაშვილი მელისანდრი — კაბებ-აფრიალებულები — როგორ გარბოდნენ უკანა ეზოსკენ სკივრიანად. მახსოვს, როგორ შეაგდეს ჯიბი და ლუციუსმა სკივრი საყარაულოსავით მაღალ, მაგრამ ვიწრო და მორყეულ ჯიხურში, ხოლო ლუვინიამ მელისანდრიც მუჯღუგუნით შეტენა შიგ და კარი მოიჯახუნა. მახსოვს, რინგოს დრიალი სახლამდეც რომ აღწევდა, მერე მე ისევ წინა ფანჯარასთან ავიტუჯე და დავინახე, როგორ შემოუქროლა სახლს ცხენებით ექვსმა ლურჯებში გამოწყობილმა ჯარისკაცმა. ჩქარა კი მოდიოდნენ, მაგრამ ისე უცნაურად, თითქოსდა არა პარტო წყვილ-წყვილად იყვნენ შებმულნი, არამედ რალაცასაც ერთად მოათრევდნენ. რინგო კი ფეხით მოსდევდათ, მაგრამ უკვე აღარ ყვიროდა. ყველაზე ბოლოს მეშვიდე მხედარი მოდიოდა, თავშიშველი, უზანგებზე შემდგარი, და ხმაღს იქნევდა. მერე ისევ უკანა ვერანდაზე ამოყვავი თავი, დიდუდას გვერდით და იმ ცხენებისა და კაცების ხროვას გადაყურებდი ეზოში. თურმე დიდუდაჩემიც შეცდა. თურმე ისინი არათუ იგივენი იყვნენ, შარშან რომ მისის ქომფსონს მიადგნენ, არამედ ვიდაცამ ზუსტადაც მიანიშნათ, სად იდგა ჩვენი ჩეჩმა. თურმე წყვილად შებმული ცხენები ფურგონს კი არა, ძელს მოათრევდნენ, უფრო სწორად, ოცი ფუტის სიგრძის მორს, რომელიც წყვილ-წყვილ უნაგირზე ჩამოებათ. მახსოვს მათი გაუპარსავი, დაქანცული სახეები. ჩვენთვის მათ ყურადღება არც მოუქცევიათ, მხოლოდ წამით ღვარძლიანად შემოგვაფეთეს თვალები, ვინემ ცხენედან ჩამოსტებოდნენ, მერე ცხენები გვერდზე გაიყვანეს, ორივე მხრიდან მორს სამ-სამად შეუღვნენ და სწრაფად გაუყვნენ ეზოს, სწორედ იმ დროს, როცა რუხ-მუნდირიანმა ბოლო მხედარმა სახლს შემოუარა (ეს ოფიცერი ჩემი ბიძაშვილი ფილიპი იყო, თუმცა მაშინ ჩვენ ჯერ კიდევ არაფერი ვიცოდით ამაზე, არც ის ვიცოდით, რომ კარგა დიდი ორომტრიალის შემდეგ ჩვენი ბიძაშვილი ვახდებოდა) ხმაღშეშართულმა, უზანგებზე შემდგარმა კი არადა, ლამის ცხენის კისერზე გაწოლილმა. იმ ექვს იანკის იგი არ შეუმჩნევია. ჩვენ ხშირად ვიყავით მოწმენი, როგორ ავარჯიშებდა მამა თავის რაზმს მინდორზე, როგორ აქცევდა ხოლმე გაჭენებულ მხედართა კოლონას ზეაუად, მისი ხმა ბრძანებათა გაცემისას ცხენების ფლოქვების თქარათქურსაც კი ფარავდა. მაგრამ ახლა დიდუდაჩემის ხმაც

არა ნაკლები ძალით გაისმა: „იქ ქალია!“ თუმცა ეს იანკებს აღარ გაუგონიათ და არც ჩემი ბიძაშვილი ფილიპი შეუმჩნევიათ; მთელი ხროვა, ექვსივე ჯარისკაცი, ძელით მომარჯვებულები გარბოდნენ, მათ თან ცხენზე ამხედრებული ფილიპი მისდევდა ხმლის ქნევით. ასე გადაირბინეს მთელი ეზო, ვიდრე ძელს ერთი ბოლო ჩეჩმის კარს არ მიეხეთქა, რომელიც არათუ წამოემხო, ერთი გრუხუნი გაიღო. ერთი წამის წინ — მაღალი, ვიწრო და მორყეული, წამის შემდეგ აღარ არსებობდა, მის ადგილზე ლურჯმუნდირიანები ღრიალით ფრუღნიდნენ ცდილობდნენ როგორმე თავი დაეღწიათ ფილიპის ცხენის ფლოქვებისა და მისი ძოლაპლაპე ხმლისაგან, ვიდრე დრო არ იხელთეს და არ გაიქცნენ. დარჩა მხოლოდ ფიცრები და ყავრები, რომელთა შუა გულში ჩემი ბიძაშვილი მელისანდრი იჯდა სკივრზე, თვალები დაეხუჭა, პირი დაეღო და კიოდა და კიოდა, ცოტა ხნის მერე კი დედედან პისტოლეტების ისეთი სუსტი ტკაცანი მოისმა, გვეგონებოდა, ბიჭები ომობანას თამაშობენო.

— ხომ გეუბნებოდით, მოიცადეთ-მეთქი! — წარმოთქვა ებ სნოუფსმა ჩვენ ზურგს უკან, — ხომ გეუბნებოდით, იანკებმა ჩაკვალეს-მეთქი!

მე, ჯობმა, ლუციუსმა და რინვომ სკივრი ორმოში რომ ჩავმარხეთ და ბარის ახალი ნაკვალევიც წავშალეთ, ჩემს ბიძაშვილ ფილიპს მივაკითხე ტალავერში. ხმალი თავისი სარტყელით იქვე მიეყუდებინა, მაგრამ, მგონი, არც იცოდა, სად გაქრა მისი შლაპა. ქურთუკი გაეხადა და ცხვირსახოციც წმენდდა, თან ცალ თვალს კარის ჭუჭრუტანისკენ აპარებდა. როდესაც შევედი, წამოიმართა. ჯერ მეგონა, მე მიყურებს-მეთქი, მერე კი ვერ გავარკვიე, რას უყურებდა.

— რა მზეთუნახავია, — წაილაპარაკა, — წადი, სავარცხელი მომიტანე.

— შინ გელოდებიან, — ვუთხარი მე. — დიდედას აინტერესებს, რა მოხდა.

ჩემი ბიძაშვილი მელისანდრი უკვე კარგად გრძნობდა თავს. მისი სახლში წაყვანა ლუვინიამ და ფილადელფიამ ითავეს, მაგრამ დიდედას დახმარებაც გახდა საჭირო. ლუვინიამ დაასწრო დიდედას ანწლის ყვაუილის ნაყენის მოტანა, ვინემ ამას დაავალდებდნენ. ახლა ჩემი ბიძაშვილი მელისანდრი და დიდედა სასტუმრო ოთახში გველოდნენ.

— შენი და... — მითხრა ფილიპმა. — ჰო, სარკვეც მოაყოლე.

— არა, სერ, — მიუგე მე, — იგი ჩემი მემფისელი ბიძაშვილია. დიდედამ თქვა... — თუმცა ის ხომ დიდედაჩემს არ იცნობდა, არ იცოდა, ლოდინი რომ წუთითაც არ შეეძლო. მაგრამ ამის თქმა ვინ დაგაცადა.

— რა მშვენიერი და ნაზი გოგოა, — თქვა მან. — ზანგიც გამომიგზავნე, ტაშტი, წყალი და პირსახოცი მომიტანოს. — მე სახლისკენ წავედი. უკან რომ მოვიხედე, მისი თვალი კარის ჭუჭრუტანიდან დაეინახე, — ტანსაცმლის ჯაგრისიც! — მომაძახა მან.

დიდედა არც ელოდა მას. სადარბაზოს კართან იდგა.

— კიდევ რაო? — მკითხა. მეც ვუამბე. — იმ ყმაწვილს ხომ არ ჰგონია, ჩვენ აქ დღისით-მზისით მეჯლისს ვმართავთ? უთხარი, აქ მოვიდეს და უკანა კერანდაზე დაიბანოს ჩვენსავით. ლუვინია ახლავე მოიტანს სადილს, ისედაც ვიგვიანებთ. — მაგრამ არც დიდედა იცნობდა ფილიპს. მე ხელახლა ვუამბე ყველაფერი. მან შემომხედა.

— რაო, რა თქვა? — მკითხა მან.

— არაფერიც არ თქვა, — ვუპასუხე. — მართო ეს თქვა, რა მზეთუნახავიაო.

— მეც იგივე მითხრა, — თქვა რინვომ. — არც გამიგია, როგორ შემოვიდა, საპონი და წყალით, და კიდევ „რა მზეთუნახავიაო“.

— ამას რომ გეუბნებოდა, სახეში თუ გიყურებდა? — ვკითხე მე.

— არა, — მითხრა რინგომ. — თავიდან მეგონა მხოლოდ, მიყურებს-მეთქი. დიდუდამ მე და რინგოს გადმოვუხედა.

— აჰა! — აღმოხდა. ეს რომ წამოვიზარდე, მერეღა მივხედი, რომ დიდუდამ უკვე იცოდა, რაც და ვინც იყო ფილიპი, რომ საჭმარისი იყო ერთი მათგანი ენახა და უკვე ყველაფერი სცოდნოდა ყველა ბიძაშვილ მელისანდრსა და ყველა ბიძაშვილ ფილიპზე ამქვეყნად მათ უნახავდაც. — ზოგჯერ მგონია, რომ ტყვია ყველაზე ნაკლებ სახიფათო რამაა იმათ შორის, რაც კი ჰაერში დაფრინებს, მეტადრე, ომის დროს. კეთილი, — თქვა ბოლოს. — წაუღე საპიონი და წყალი. ოღონდ სწრაფად.

ჩვენც ასე მოვიქცეთ. ამჯერად არა მარტო თქვა, „რა მზეთუნახავიაო“, ორჯერაც გაიმეორა, მერე მუნდირი გაიხალა და რინგოს მიაწოდა.

— კარგად გამიწმინდე, — უთხრა. — ჩემი დააო, ასე თქვი მგონი...

— არა, ეგ არ მითქვამს, — ვუთხარი მე.

— არა უშავს, — თქვა მან. — ყვავილების თაიგულიც მომიტანე.

— ეგ დიდუდას ყვავილებია, — მივუგე მე.

— არა უშავს, — მან სახელოები აიკეცა და დაბანა დაიწყო. — სულ პატარა თაიგული, ათიოდე ყვავილი. ვარდისფრები დაკრიფე.

წავედი და დავკრიფე. არ ვიცი, დიდუდა ისევ სადარბაზოსთან იდგა თუ არა, შეიძლება აღარც იდგა. ყოველ შემთხვევაში, არაფერი უთქვამს. ებ სნოუფსის ახალმა, იანკების ცხენმა რომ გათელა, ის ყვავილები ავკრიფე, ჭუჭყი გაეცალე, გავასწორე და ტალავერში დავბრუნდი. იქ რინგოს სარკე ეჭირა ხელში, ფილიპი კი თმას ივარცხნიდა. შემდეგ თავისი მუნდირი ჩაიცვა, ხმალი ისევ შემთირტყა წელზე და ჯერ ერთი, მერე მეორე ფეხი რინგოს გაუშვირა, პირსახოციტ ჩექმები რომ გაეწმინდა. სწორედ მაშინ შეამჩნია ეს რინგომ. მე კრინტსაც არ დავძრავდი ამაზე, რადგან უკვე კარგად შეგვაგვიანდა სადილზე, რაც არასოდეს მომხდარა, თუმცა არც იანკები გვწვევია მანამდე.

— იმ იანკებს თქვენი შარვალი გაუხევიათ, — უთხრა რინგომ.

მე ისევ სახლში დავბრუნდი. დიდუდა დერეფანში დამხვდა. ამჯერად ერთი ეს მკითხა მშვიდად: „კიდევ რაო?“

— შარვალი გახევია, — ვუთხარი მე. მერე რა, რომ დიდუდას ფილიპი ჯერ არ ენახა, მაგრამ უფრო მეტი იცოდა მასზე, ვინემ რინგომ შეძლო შეემჩნია, ძაფიანი ნემსი უკვე გულზე ებნია. მე ტალავერისკენ გავსწიე, მერე სამივენი ერთად წავედით სახლისკენ, სადარბაზო კართან წამით შევჩერდი, პირველი ის რომ შესულიყო, მაგრამ არ შევიდა: იდგა და ერთ ხელში თაიგული ეჭირა, მეორეში კი შლაპა. თურმე სულაც არ ყოფილა ხნიერი. ამ წუთას ჩემზე და რინგოზე ბევრად უფროსიაო, ვერც იტყოდი, მიუხედავად მისი სირმებისა, ხმლისა და დეხებიანი ჩექმებისა. და თუმცა მხოლოდ ორი წელი იყო ომი, ფილიპი ისე გამთიფურებოდა, როგორც ჩვენი ჯარისკაცები და როგორც მეტი წილი ხალხისა — თითქოსდა დიდი ხანია არ დანაყრებულყო, თითქოსდა მის მეხსიერებას და პირსაც დავიწყებოდა საჭმლის გემო და მხოლოდ სხეულს ახსოვდა რაღაც. იდგა ასე თაიგულით ხელში, სახეზე კვლავ „რა მზეთუნახავია“ ეწერა და სხვა რამისთვის რომც შეეხედა, სულ ერთია, მაინც ვერაფერს დაინახავდა.

— არა, — თქვა მან. — მოახსენე ჩემი მოსვლა. ისე კი, ეს თქვენს ზანგს უნდა გაეკეთებინა, მაგრამ არა უშავს. — მერე თავისი ორივე სახელი და გვარი ორჯერ გამიმეორა, თითქოს ეგონა, დამავიწყდებოდა, სანამ სასტუმრო ოთახში შევიდოდი.

— პირდაპირ შედით, — ვუთხარი. — გელოდებიან, ისინი მანამდეც გელოდნენ, ვიდრე აღმოჩნდებოდა, რომ შარვალი გაუხეოდათ.

— მოახსენე-მეთქი ჩემი მოსვლა, — მან ისევ გამიმეორა თავისი სახელი. — სევეჯის ბატალიონის ლეიტენანტი, მეთაური გენერალ ფორესტი, ტენესიდან, დროებითი არმია, დასავლეთის განყოფილება.

მეც ასე მოვიქეცი. დერეფანი გავიარეთ და სასტუმრო ოთახში შევედი. დიდდა მელისანდრის სკამსა და იმ მაგიდას შორის იდგა, სადაც ანწლის წყლით სავსე გრაფინი, სამი სუფთა ჭიქა და ჩაის ნამცხვრიანი თეფში იდო, რომელსაც ლუვინია სიშინდის ფქვილისა და ბაღვისაგან აცხობდა. ისევ შედგა კართან და მთელი ერთი წუთი მელისანდრსაც ვერ ხედავდა, თუმცა მის გარდა სხვა არავისთვის შეუხედავს.

— ლეიტენანტი ფილიპ სენ-ჯიუსტ კლოზეტი — ვთქვი და ვთქვი ხმამაღლა, ვინაიდან სამჯერ გამიმეორა თავისი სახელი, სწორად რომ წარმომეთქვა, თან მისი გულის მოგებაც მინდოდა — მიუხედავად იმისა, რომ ერთი საათით დაგვაგვიანებია სადილი, სამაგიეროდ ვერცხლეული გადაგვირჩინა, — ტენესიდან, — ვთქვი მე. — სევეჯის ბატალიონი, მეთაური გენერალი ფორესტი, დროებითი არმია, დასავლეთის განყოფილება.

ისეთი სინუმე ჩამოწვა, ალბათ ხუთამდე დათვლას მოასწრებდა კაცი. უეცრად მელისანდრმა იკივლა, იკივლა სკამზე ისევ ისე სარივით დარჭობილმა, როგორც იმ დილას უკანა ეზოში სკივრზე ფიცრებისა და ყავრების ხროვაში. იჯდა თვალებდახუჭული და კიოდა.

III

ამიტომაც ნახევარი საათით კიდევ დაგვაგვიანეთ სადილობა. თუმცა ამჯერად მხოლოდ ფილიპი გახდა მიზეზი, მელისანდრი რომ ისევ ზევით ასულიყო, როცა მან მელისანდრთან დალაპარაკება სცადა. დიდდა რომ დაბლა ჩამოვიდა, ასე თქვა:

— კეთილი, სანამ სადილი ვახშმად გვექცეოდეს, ამ საათნახევარში იქნებ მაინც მოვასწროთ სადილობა.

ყველანი სასადილო ოთახში შევედით. ებ სნოუფსი უკვე გველოდებოდა. მგონი, ასე დიდხანს თავის სიცოცხლეში არც არავის დალოდებია, ბოლოს და ბოლოს მელისანდრი ხომ მისი ნათესავი არ იყო. რინჯომ დიდდას სკამი გამოუწია და დაესხედით. ზოგი კერძი უკვე ცივი იყო, ზოგიც იმდენ ხანს იდო ღუმელში, მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, ცივს შეჭამდი თუ ცხელს. მაგრამ ჩემს ბიძაშვილ ფილიპს ეს სულაც არ აღელვებდა. თუ მის შეხსიერებას დიდი დრო არ დასჭირებია იმის მოსაგონებლად, რას ნიშნავს კარგად დანაყრება, მის პირს ჩემი აზრით სულაც არ უგრძენია საჭმლის გემო. ისე იჯდა და ჭამდა, თითქოს ერთი კვირა მაინც არ ენახა საჭმლის მსგავსი რამ და ეშინოდა, რაც ჩანგლის წვერზე ჰქონდა წამოგებული, პირთან მიტანამდე არ გამქრალიყო. ზოგჯერ ჩანგალი შუაგზაზე გაუშემდებოდა, მელისანდრის ცარიელ სკამს მიაჩერდებოდა და სიცილი აუვარდებოდა. უფრო სწორად, არ ვიცოდი, იმას სხვა რა შეიძლება დარქმეოდა.

— რატომ გვარს არ შეიცვლით? — ვკითხე ბოლოს.

მაშინ დიდდამაც შეწყვიტა ჭამა. სათვალის ზემოდან გადმოძხვდა, შემდეგ ორივე ხელით ცხვირზე აიწია სათვალე და ისე შემომაცქერდა. მერე კიდევ უფრო მაღლა, შუბლზე ასწია და დამაშტერდა:

— ეს ერთადერთი ჭკვიანური აზრია, რაც დილის თერთმეტი საათის შემდეგ მოვისმინე, — აღნიშნა მან. — იმდენად ჭკვიანური და მარტივი, დარწმუნებუ-

ლი ვარ, მარტო ბავშვი თუ მოიფიქრებდა. — მერე ფილიპს შეხედა, — მართლა რატომ არ შეიცვლით?

ფილიპმა ისევ გაიცინა. ანუ იგივე გამოქვეყნება მიიღო და იგივე ხმა გამოსცა.

— ბაბუაჩემმა მთელი კაროლინა გაიარა მერიონთან ერთად და კინგს-მაუნთინთანაც იყო. ბიძაჩემი ტენესის შტატში გუბერნატორის არჩევნებზე დამარცხდა ტავერნების უსინდისო და ვერაგ მეპატრონეთა ხელშეწყობისა და აბოლუციონისტთა რესპუბლიკელების წყალობით; მამაჩემი კი ჩაპულტეპეკზე შეტევიხას მოკლეს. ყოველივე ამის შემდეგ უფლება არ მაქვს გვარი შევიცვალო. ჩემი სიცოცხლეც მე არ შეკუთვნის, ვინემ ჩემი ქვეყანა სისხლისგან იცლება დამპყრობთა რკინის ქუსლის ქვეშ, — მერე სიცილი შეწყვიტა, თუკი ეს სიცილი იყო, და სახეზე გაოცება გამოეხატა. შემდეგ ჯერ ნელ-ნელა ჩამოეცალა გაოცება, მერე უფრო და უფრო სწრაფად, თუმცა არც ისე სწრაფად, როგორც რკინის გავარვარებულ ნაჭერს გრემლზე; შემდეგ შეცბუნება თითქმის უდრტვინელ სიმშვიდედ ექცა, — თუკი ბრძოლაში არ დავკარგე, — თქვა ბოლოს.

— აქ ჯდომით ეგ არ გამოგივათ, — უთხრა დიდელამ.

— არა, — თქვა მან და წამოდგა, ვერც გაიგო მისი ნათქვამი. ებ სნოუფსიც კი მას მისჩერებოდა, დანა, რომლითაც ისპანახი აეღო, შუაგზაზე გაშეშებოდა.

— დიახ, — განაგრძო ფილიპმა, თუმცა სახეზე კვლავ დაეწერა „რა მზეთუნახავია“, — დიახ, — გაიმეორა ისევ და დიდელას სადილისთვის მადლობა მოახსენა. უფრო სწორად, მგონი, ენა აიძულა ეს ეთქვა. მისი სიტყვები არცთუ გასაგები გვეჩვენა, მაგრამ მისთვის, ჩემი აზრით, ეს სულ ერთი იყო. თავი დაგვიკრა, თუმცა არც დიდელისთვის შეუხედავს და არც არაფრისთვის საერთოდ. „დიახ“, — ისევ თქვა მან და გავიდა. მე და რინგომ სადარბაზომდე მივაცილეთ, ვნახეთ, როგორ მოახტა ცხენს და შლაპა არ დაუხურავს, ისე მიაჩერდა ზედა სართულის ფანჯრებს. იქ კი დიდელას ოთახი იყო, გვერდით ჩემი და რინგოსი. მელისანდრი მას მაინც ვერ დაინახავდა, ეინაიდან ლოგინში იწვა სახლის მეორე მხარეს და ფილადელფიაც ალბათ ისევ ცივ-ცივ ტილოს ადებდა შუბლზე. ცხენზე ლალად და მოხდენილად იჯდა, ტანი უკან გადაეხნიქა, ტერფები უზანგებში გაეყო მუხლების პერპენდიკულარულად, როგორც მამა მასწავლიდა. ცხენიც კარგი ჰყავდა.

— ეშმაკმა დალაზროს, რა კარგი ცხენია! — აღმომხდა მე.

— წადი და საპონი მოიტანე, — მითხრა რინგომ.

მე ისედაც უკვე გავხედე ღერეფანს, თუმცა კი მესმოდა, დიდელა რომ ებ სნოუფსს სასადილო ოთახში ელაპარაკებოდა.

— დიდელა ისევ იქაა, — ვთქვი მე.

— ჰა, — აღმომხდა რინგოს, — ერთხელ საპონიც კი შემეჭამა როცა მეგონა, ამაზე უფრო შორს იყო.

ამასობაში ფილიპმა ღეზი ჰკრა ცხენს და გააჭენა, ყოველ შემთხვევაში მე და რინგოს ასე გვეგონა. ჯერ კიდევ ორი საათის წინ მასზე არაფერი ვიცოდით. მელისანდრმა მხოლოდ ორჯერ ნახა იგი და ორჯერვე თვალდახუჭულმა და აკივლებულმა. მაგრამ როცა მე და რინგო წამოვიზარდეთ, მიუხვდით, რომ ჩვენ შორის ფილიპი ერთადერთი კაცი იყო, ვისაც თუნდაც წამით მართლა სჯეროდა, რომ სამუდამოდ დაგვემშვიდობა, თუმცა არა მარტო დიდელამ და ლუვინიამ იცოდა, რომ ასე არ იყო, არამედ მელისანდრიც იგივეს გრძნობდა, მერე რა, რომ გვარმა არ გაუმართლა.

ჩვენ სასადილო ოთახში დავბრუნდით. მერე გამახსენდა, რომ ებ სნოუფსი

გველოდებოდა. მაშინლა ვიაზრეთ მე და რინგომ, რომ დიდელასთვის რადაციის თხოვნას აპირებდა, რადგან არავის უნდოდა მარტო, პირისპირ დიდელასთან დარჩენა, როდესაც რაიმე სათხოვარი ჰქონდა. მაშინაც კი, თუ არ იცოდა, ამას რა უსიამოვნება მოჰყვებოდა ებს უკვე ერთი წელი ვიცნობდით. უნდა მოეხვედრილიყავ, რაში იყო საქმე, როგორც დიდელაზე მიხვდა. ები წაშოლდა.

— დიახ, მიზ მილარდ, — დაიწყო მან. — როგორც ვხვდები, ამერიიდან საფრთხე აღარ გემუქრებათ, რაკი ბედ ფორესტი თავისი ბიჭებთან ერთად ვენეციას, ჯეფერსონში არის. მაგრამ ვიდრე ყველაფერი არ მიწყნარდება, ჩემს ცხენებს ერთი-ორი დღით თქვენთან დავტოვებ.

— რომელ ცხენებს? — ჰკითხა დიდელამ. ისინი ერთმანეთს არამარტო უყურებდნენ, ერთმანეთისთვის თვალი თვალში გაეყარათ:

— ამ დღით რომ დავიჭიროე, იმათზე მოვახსენებთ, — მიუგო ებმა.

— რომელ ცხენებს? — ჰკითხა ისევ დიდელამ.

— ჩემს ცხენებს-მეთქი, — ები თვალს არ აცილებდა დიდელას.

— რატომ? — ჰკითხა დიდელამ. ები მიხვდა, რაზეც ეკითხებოდა.

— მე ერთადერთი მოწიფული მამაკაცი ვარ აქ, — თქვა მან. მერე დაუმატა, — მე პირველმა დავინახე ისინი ჯერ კიდევ მანამდე მომდევნდნენ... — მერე აუჩქარა სოლოას, თვალები წამით გაეყინა, მაგრამ მაშინვე ისევ იელვეს მის გაუპარსავ, წვირიანი ბანჯგვლით დაფარულ სახეზე, როგორც გაცვეთილ ფეხსაწმენდში გაჩხერილმა ჭურჭლის ორმა ნამსხვრევმა.

— ეს საომარი ნადავლია! აქ მე მოვიყვანე ისინი! აქ მე შემოვიტყუე — საომარი ფანდით! და როგორც აქ წოდებით კონფედერალური არმიის ერთადერთი ჯარისკაცი...

— სადაური ჯარისკაცი თქვენა ხართ, — თქვა დიდელამ. — აკი თავად წაუყენეთ პირობა პოლკოვნიკ სარტორისს — ჩემი ყურით მოვისმინე რომ მისი კავალერიის ნებსით დაქირავებული კაპიტანი იქნებოდით და მეტი არაფერი.

— სწორედ მაგას არ ვცდილობ? — მიუგო მან. — განა მე არ მოვიყვანე ექვსივე ცხენი, როგორც ჩემი საკუთრება?

— ჰა! — აღმოხდა დიდელას. — საომარი იქნება ეს თუ სხვა სახის ნადავლი, არავის საკუთრებას არ წარმოადგენს, ვინც არ უნდა იყოს იგი — ქალი თუ კაცი — ვიდრე სახლში არ მიიტანს, მხრებიდან არ ჩამოიხსნის ამ ნადავლს და მერე დაივიწყებს. თქვენ იმისი დროც არ გქონდათ, სახლამდე ის ცხენი მოგეყვანათ, რომელზეც მოჭენდით. პირველავე დღია ჭიშკარში შევარდით, სულ ერთი იყო ვისში.

— ჰო, ჭიშკარი მართლაც შემშლია, — თქვა ებმა. მისი თვალები უკვე ქაშანურის ნამსხვრევებს აღარ ჰგავდა, უკვე ვერაფერს შეადარებდით. ალბათ მისი სახე ისევ ძველ ფეხსაწმენდს ემსგავსებოდა მაშინაც კი, როცა სულ ერთიანად გაჭაღარავებოდა. — ამიტომაც, ვფიქრობ, ქალაქში ფეხით მომიწევს წასვლა, — თქვა მან. — ქალი, რომელიც... — და დადუმდა. ისა და დიდელა უსიტყვოდ მიჩერებოდნენ ერთმანეთს.

— ნულარ განვაგრძობთ, — უთხრა დიდელამ.

— დიახ, მემ, — და აღარ განაგრძო. — კაცს, რომელსაც ისედაც შვიდი ცხენი ჰყავს, აბა სახედარს ვინ ათხოვებს?

— არა, ფეხით წასვლა თქვენ არ მოგიწევთ, — უთხრა დიდელამ.

სამოვრისკენ წავედით. მგონი, ებმა არც იცოდა, დიდელამ რომ მყის გამოიძია, სად დამალავდა საგულდაგულოდ მისი ფიქრით პირველად მოყვანილ ცხენს ები და ბრძანება გასცა დანარჩენი ექვსიც იქ მიეყვანათ. ებს თავისი

უნაგირი და აღვირი ხელით მოჰქონდა. მაგრამ დაავიანდა. ექვსივე ცხენი ნაკვეთში თავისუფლად გაშვებული დაგვხვდა, მეშვიდე კი ჭიშკარს შიგნიდან თოკით ება. ოღონდაც ეს ის ცხენი არ იყო, რომლითაც ები მოვიდა და რომელსაც დამლა ესვა. ები ხომ დიდი ხანია იცნობდა დიდედას და უნდა მიმხვდა. რიყო, იქნებ მიხვდა კიდევ, მაგრამ იხტიბარი არ გაიტეხა და ჭიშკარი გამოაღო.

— აბა, — თქვა მან. — ჩემი წასვლის დროა...

— დაიცათ, — უთხრა დიდედამ. მერე ჩვენც შევხედეთ ღობეზე მიბმულ ცხენს. ერთი შეხედვით იმ შეიღში ყველაზე უკეთესი იყო. ძალიან უნდა დაკვირვებოდი იმის შესამჩნევად, რომ ცალი ფეხის ძარღვები ოღნავ დაჭიმული ჰქონდა, ალბათ ქანცაცლილი იყო კვიციობიდანვე მძიმე ტვირთის ზიდვით.

— ეს წაიყვანეთ, — უთხრა დიდედამ.

— ეს ხომ ჩემი არ არის, — თქვა ებმა. — თქვენია. მე...

— ეს წაიყვანეთ, — უთხრა დიდედამ. ებმა დადხანს არ მოაშორა თვალი, ისე რომ, სულ ცოტა ათამდე დათვლას მაინც მოასწრებდი.

— ეშმაკმა იცის, ეს რას ჰგავს, მიზ მილარდ, — თქვა მან.

— ხომ გაგაფრთხილეთ, აქ ლანძღვა არ გაბედოთ-მეთქი, — უთხრა დიდედამ.

— დიახ, მემ, — თქვა ებმა. მერე ისევ გაიმეორა: — ეშმაკმა იცის, ეს რას ჰგავს! — მდელთზე გავიდა, ლაგამი ამოსდო მიამულ ცხენს, უნაგირი დაადგა, თოკი ახსნა, ღობეზე შეაგდო და ცხენს მოაჯდა. დიდედა არ განძრეულა, ვიდრე ჭიშკრიდან არ გავიდა და რინგომ ჭიშკარი არ დაკეტა. სწორედ მაშინ შევამჩნიე პირველად ის ჯაჭვი და ბოქლომი, ადრე საშაშხის კარს რომ ედო. რინგომ დაკეტა ჭიშკარი და გასაღები დიდედას გაუწოდა. ები წუთით შედგა, დიდედას ცხენიდან გადმოხედა.

— აბა, ნახვამდის, — თქვა მან. — ეს კია, იმედი მაქვს კონფედერაციის საკეთილდღეოდ, ბუდ ფორესტი არ წაგეჩხუბებათ თავისი ცხენების გამო. — და ისევ შეიკურთხა, ამჯერად უფრო უარესად, რადგანაც უკვე ცხენზე იჯდა და გეზი ჭიშკრისკენ ავლო — თორემ თვალის დახამხამებაში თვითონ დარჩება იმ გაპარტახებული ქვეითი ჯარის ამარა.

მერე ისიც წავიდა. რომ არა მელისანდრის ხმა, რომელიც ხანგამოშვებით გვესმოდა და კიდევ ის ექვსი ცხენი, გაეაზუ დასმული დამლით „აშშ“, გვეგონებოდა, არაფერი მომხდარაო. ყოველ შემთხვევაში, მე და რინგომ ჩავთვალეთ, ამით ყველაფერი დამთავრდა-თქო. დროდადრო ფილადელფია ჩამოდიოდა ზედა სართულიდან და დოქით ცივი წყალი აჰქონდა მელისანდრისთვის ტილოს დასასველებლად. მაგრამ ჩვენ ვფიქრობდით, ცოტა ხანში ესეც მობეზრდებოდათ და თავს მიანებებდნენ. კიდევ რომ ჩამოვიდა ფილადელფია უკვე იმ ოთახში, სადაც დიდედა მამის გამონაცვალ შარვალს ტანზე არგებდა რინგოს, და უსიტყვოდ დადგა კარებში, დიდედამ უთხრა:

— აბა კიდევ რაო?

— ბანჯო მინდაო, — უთხრა ფილადელფიამ.

— რაო? — ჩაეკითხა დიდედა. — ჩემი ციმბალი? მაგან ხომ დაკვრა არ იცხ. ისევ ზევით ადი.

მაგრამ ფილადელფია არ განძრეულა.

— შეიძლება დედას ვთხოვო დახმარება?

— არა, — თქვა დიდედამ. — ლუვინიას დასვენება უნდა. ისედაც ბევრი გა-

დაიტანა. ზევით აბრუნდი და ცოტა ღვინო დააღვინე მელისანდრს, თუ სხვა კერაფერი მოახერხო.

მერე მე და რინგოს გვითხრა, სადაც გინდათ წადით, ოღონდ აქედან გამეცალეთო, მაგრამ ეზომიც კი ისმოდა მელისანდრისა და ფილადელფიას ლაპარაკი. ერთხელ დიდუდას ხმაც მოგვესმა, თუმცა მეტწილად მელისანდრი ლაპარაკობდა, დიდუდას უთხრა, უკვე გაპატიეთ, რადგან ისეთი არაფერი მომხდარა და ახლა მხოლოდ სიმშვიდე მჭირდებაო. ცოტა ხნის შემდეგ მღვდელი გამოვიდა ქოხიდან და ზემოთ ავიდა, თუმცა არავის დაუბარებია. ეტყობა, ვახშამიც დაგვიანდებოდა. ბოლოს ფილადელფია ჩამოვიდა, ვახშამი მოამზადა და მელისანდრს ლანგრით აუტანა. ჩვენ ჭამაც კი შევწყვიტეთ, ლუვინიას ხმას მივაყურადეთ დიდუდას ოთახიდან, მაგრამ ლუვინია ისევ ჩამოვიდა. მაგიდაზე ხელუხლებელი ლანგარი დადგა და დიდუდას სკამთან გაჩერდა. ხელში სკივრის ვასალები ეჭირა.

— კარგი, კარგი, — უთხრა დიდუდამ, — წადი, ჯობისა და ლუციუსს დამიძახე.

ჩვენ ფარანი და ბარები ავიღეთ, ბაღში გავედით, ტოტები და ფიჩხები გადავყარეთ, სკივრი ამოვთხარეთ, იქიდან ციმბალი ამოვიღეთ, მერე ისევ ჩავფალით სკივრი, ზემოდან ტოტები დაეყარეთ და ვასალები დიდუდას მივუტანეთ. მე და რინგოს გვესმოდა დიდუდასა და მელისანდრის, ლაპარაკი. დიდუდა მართალი იყო, ალბათ უფრო მეტის თქმა შეეძლო. ცოტა ხნის შემდეგ მთვარეც ამოვიდა. ფანჯრიდან ვხედავდით, მელისანდრი გრძელ სკამზე რომ იჯდა ბაღში. მთვარის შუქი აბრწყვიალებდა სადაფით მოოჭვილ ციმბალს, ფილადელფია კი ჭიშკარზე იჯდა და წინსაფარი თავზე წამოეფარა. იქნებ ეძინა კიდევ. უკვე გვიანი იყო. თუმცა ვერ წარმოძვდინა, იქ როგორ უნდა ჩასძინებოდა...

ასე რომ, ვერც გავიგეთ, როგორ შემოვიდა დიდუდა ოთახში. ღამის პერანგზე შალი მოესხა და ხელში შანდალი ეჭირა.

— ცოტაც და, ამის ატანას უკვე მეც ვეღარ შევძლებ, — თქვა მან. — გასწი, ლუციუსი გააღვიძე და უთხარი, ჯორი შეგაზმოს, — უბრძანა რინგოს. — შენ კი კალამი, მელანი და ფურცელი მომიტანე.

მაგიდასთან არც დამჯდარა, ისე დაწერა მტკიცე ხელით მოკლე წერილი. მე შანდალი მეჭირა, მერე ხელი მოაწერა. წერილი არ დაუკეცავს, მელანი რომ გამშრალიყო.

— ებ სნოუფსმა თქვა, მისტერ ფორესტი ჯეფერსონშიაო, — უთხრა ლუციუსს. — მოძებნე და უთხარი, რომ დილით საუზმეზე ველოდები, თან ის ბიჭიც წამოიყვანოს.

გენერალ ფორესტს იგი ადრეც იცნობდა, ჯერ კიდევ მემფისიდან, ვინემ გენერალი ვახდებოდა. ბაბუა მილარდის სავაჭრო ფირმასთან საქმიანი კავშირი ჰქონდა. ზოგჯერ ჩამოდიოდა და ბაბუასთან ერთად წინა ვერანდაზე იჯდა, ხანდა ხან ვახშამდაც რჩებოდა.

— უთხარი, იანკების ექვსი ცხენი მყავს მისთვის, — დაატანა დიდუდამ, — ნურც ქურდების შეგეშინდება და ნურც ჯარისკაცების. შენ ხომ ჩემი ხელმოწერილი წერილი გექნება ხელთ.

— არც მეშინია, — თქვა ლუციუსმა. — მაგრამ იანკებმა თუ...

— გასაგებია, — თქვა დიდუდამ. — სულ დამავიწყდა, შენ რომ იანკებს ელოდები. მაგრამ, ჩანს, ამ დილით ისე აწუხებდათ საკუთარ თავისუფლებაზე ფიქრი, შენსაზე დრო აღარ ჰქონდათ რამე ეთქვათ. აბა, გასწი, — უთხრა დიდუდამ. — ხომ არ გვინია, რომელიმე იანკი იმას გაბედავს, რაიც ვერც სამხრე-

თელ ჯარისკაცს და ვერც მაწანწალას ვერ გაუბედავს? თქვენ კი წადით და დაიძინეთ. — მოგვიბრუნდა ჩვენ.

ორივენი რინგოს ლოგინზე დავწექით. გავივინეთ, როგორ გააჭენა ჯორი ლუციუსმა. როცა ჯორის ფლოქვეების ხმა ისევ შემოგვესმა, ვერც კი მივხვდით, რომ ჩაგვიძინებოდა და ჯორი უკვე შინ მობრუნებულიყო. მთვარე დასავლეთისკენ იხრებოდა. მელისანდრა და ფილადელფია კი ბედნიერად წასულიყვნენ, სადაც ფილადელფია უფრო უკეთ გამოიძინებდა, ვიდრე მელისანდრის თავზე წინსაფარწამოფარებული, ანუ იქ, სადაც მეტი სიწყნარე იქნებოდა. მერე გავივინეთ, ლუციუსი ხელის ფათურით როგორ ამოდიოდა კიბეზე, მაგრამ დიდუდას ფეხის ხმა არ გავიგონია. იგი უკვე კიბის თავზე იდგა და ლუციუსს ეუბნებოდა, ასე ძალიან ნუ ეცდები უხმაუროდ ამოსვლასო.

— აბა, თქვი, — უთხრა მან. — მე არ მძინავს, მაგრამ არც ტუჩებზე წაკითხვა მეხერხება, მით უმეტეს, სიბნელეში.

— გენერალი ფორესტი პატივისცემით გითვლით მოკითხვას, — თქვა ლუციუსმა, — და დამაბარა, რომ ვერ მოვახერხებ ხვალ დილით საუბრებზე ვეწვიო, ვინაიდან ამ დროისთვის გენერალ სმითს თოლეპუთჩის გზაჯვარედინზე შავი დღე უნდა აყაროს, მაგრამ თუ სხვა მიმართულებით მეტისმეტად შორს არ შეიჭრებიან, გენერალი სმითის განადგურების შემდეგ მოხარული იქნება მიიღოს თქვენი მოწვევა, რაკი ამ მიდამოებში იქნება. მერე კი მკითხა: „ვინ ბიჭიო?“

ხუთზე მეტს დაითვლიდი, ვიდრე დიდუდა ისევ დაილაპარაკებდა:

— რაო?

— ასე თქვა: „ვინ ბიჭიო?“ — მიუგო ლუციუსმა.

ახლა უკვე ათამდე დათვლას მოასწრებდა, მხოლოდ ლუციუსის სუნთქვა ისმოდა. მერე დიდუდამ ჰკითხა:

— ჯორი გაამშრალე?

— დიახ, მემ, — უთხრა ლუციუსმა.

— უკან გაიყვანე საძოვარზე?

— დიახ, მემ, — თქვა ლუციუსმა.

— მაშ, წადი და დაიძინე, — უთხრა დიდუდამ. — და თქვენც, — მოგემართა ჩვენც.

გენერალ ფორესტს გაურკვევია, რომელ ბიჭზე იყო ლაპარაკი. არც ახლა ვიცოდით, გვეძინა თუ არა, ოღონდაც ჯორი უკვე აქ არაფერ შუაში იყო. მზე ას იყო უკვე ამოიწვერა, რომ დიდუდას ხმა ჩაგვესმა და ნამძინარეებმა ფანჯარას მივაშურეთ. გუშინდელი ამბები ამასთან შედარებით თურმე მოგონება ყოფილა. ახლა უკვე ორმოცდაათამდე იქნებოდნენ. რუხმუნდირიან მხედრებს მთელი ეზო გადაეჭვდათ, წინ ჩემი ბიძაშვილი ფილიპი მოუძლოდათ, გუშინდელივით ცხენზე ამხედრებული. ისევ დიდუდას ფანჯრებისკენ იყურებოდა, თუმცა ვერც ფანჯრებს ხედავდა და ვერც ვერაფერს. ამჯერად შლაპა გულზე ჰქონდა მიღებული და ჭმუჭნიდა. გაუპარსავიც იყო. გუშინ რინგოზე უმცროსი მეჩვენა, რადგან რინგო ჩემზე მუდამ ათი წლით უფროსს ჰგავდა. მაგრამ ახლა, როცა მზის პირველმა სხივებმა გაუპარსავი სახე ოქროსფრად აუელვარა და წვერი ნაზ ღინღლად უქცია, ჩემზე უმცროსადაც კი გამოიყურებოდა. ეს კია, დაღლილი და ქანცგაცლილი ჩანდა, თითქოს დამე თეთრად გაეთენებინოს. კიდევ იმასაც შეამჩნევდით, რომ ამის მიზეზი გატეხილი დამე სულაც არ იყო და რომ არც ამაღამ დაიძინებდა, თუკი ეს მასზე იქნებოდა დამოკიდებული.

— მშვიდობით, — თქვა მან. — მშვიდობით, — შემდეგ ცხენი შემთაბრუნა, ღუზი ჰკრა და დამშვიდობების ნიშნად ახალი შლაპა გუშინდელივით აიქნია ჰაერში. მთელი კავალკადა უკან მიჰყვა, გადაუარეს ყვავილნარსა და ვაზონს და ჭიშკრისკენ გასწიეს, დიდება კი ღამისპერანგის ამარა იღვა თავის ფანჯარასთან და ისე ყვიროდა, ვერც ერთი მამაკაცი, ვინც არ უნდა ყოფილიყო და რა საქმეს არ უნდა ჰქონოდა, ასე ვერ იყვირებდა:

— კლოზეტ! კლოზეტ! ჰეი, შენ, კლოზეტ!

ეროვნული
ნიშნით

ამიტომაც ადრიაანად ეისაუზმეთ. დიდებამ რინგო ღამისპერანგისივე გაგზავნა ლუვინიასა და ლუციუსის გასალვიძებლად. ჰოდა, ლუციუსმაც შეკაზმა ჯორი, ვიდრე ლუვინია ცეცხლს აჩაღებდა. ამჯერად დიდებას წერილი აღარ დაუწერია.

— გასწი თოლუქეთის გზაგასაყართან, — უთხრა ლუციუსს. — დაჯექი იქ და იმდენ ხანს ელოდე, რამდენიც საჭირო იქნება.

— ბრძოლა რომ უკვე დაწყებული იყოს? — თქვა ლუციუსმა.

— მერედა რა? — უთხრა დიდებამ. — ეს არც შენი საქმეა და არც ჩემი. შენ ბედფორდ ფორესტი უნდა მიპოვო. უთხარი, ძალზე მნიშვნელოვანი საქმე მაქვს და არც დიდ დროს წავართმევ. მის გარეშე კი არ დამენახო.

ლუციუსმა გაქუსლა. ოთხი დღე აღარ გამოჩენილა. ქორწილსაც ვეღარ მოუსწრო, მეოთხე დღეს დაბრუნდა მხოლოდ მზის ჩასვლისას ორი ჯარისკაცის თანხლებით და გენერალ ფორესტის საფურცელ ფურგონით, რომელსაც უკან ჯორი ება. თვითონაც არ იცოდა, სად იყო, ეს კია, ვერც ერთ ბრძოლამდე ვერ მიაღწია.

— ბრძოლის ხმა არც გამოვიდა, — გვითხრა ჯობს, ლუვინიას, ფილადელფიას, რინგოსა და მე. — თუკი ომი ასე შორს და ასე სწრაფად მიმდევს, ნეტა როდისღა ასწრებენ ბრძოლას.

მაგრამ ყველაფერი უკვე მომხდარი იყო. და მოხდა ეს ლუციუსის გამგზავრების მეორე დღეს. ამჯერად სადილობის შემდეგ, მაგრამ ჩვენ უკვე მიჩვეული ვიყავით ჯარისკაცებს. თუმცა ესენი სხვები იყვნენ, და იყვნენ მხოლოდ ხუთნი, ასე ცოტანი არასოდეს ყოფილან. ასე გვეგონა, მათ ან ცხენზე ახტომა შეეძლოთ ჩვენს ეზოში ან ჩამოხტომა და დიდებას ყვავილებზე ჯირითი. ესენი კი ოფიცრები იყვნენ. ალბათ ამდენი სამხედრო მართლაც ჯერ არ მენახა, ვინაიდან არც ამდენი სირმა მენახა მუნდირებზე. ისინი ჩორთით მოგვიახლოდნენ, თითქოსდა სასეირნოდ ყოფილიყვნენ გამოსულნი და ისე მოვიდნენ სახლთან, ერთი ყვავილიც არ გაუთულავთ. გენერალი ფორესტი ჩამოქვეითდა და ბილიკს გამოჰყვა წინა ვერანდისაკენ, სადაც დიდება ელოდებოდა. ეს იყო ზორბა, თავით ფეხებამდე დამტვერილი კაცი ისეთი დიდი და ისეთი შავი წვერით, ლურჯი ფერისა გვეგონებოდა, თვალები მძინარე ბუს მიუგავდა.

— გისმენთ, მის როზი, — თქვა მან.

— როზის ნუ შეძახით, — უთხრა დიდებამ. — შემოდით. თქვენს ჯენტლმენებსაც უთხარით ჩამოქვეითდნენ და შინ შემოვიდნენ.

— ისინი იქ მოიცდიან, — თქვა გენერალმა ფორესტმა, — უნდა ვიჩქაროთ. ჩემი გეგმები ნაწილობრივ... — შემდეგ ბიბლიოთეკაში შევედი. იგი არ დამჯდარა. საკმაოდ დაღლილი ჩანდა, თუმცა მარტო გადაღლილობა კი არა, რაღაცნაირი გამოცოცხლებაც ეტყობოდა. — აბა, მის როზი, — თქვა მან. — მე...

— როზის ნუ შეძახით-მეთქი, — გაუმეორა დიდებამ. — არ შევიძლიათ როზა მაინც მიწოდოთ?

— დიახ, მე, — მიუგო მან. მაგრამ ვერ შეძლო, ვერ მოახერხა ამის თქმა. — მგონი, ორივეს ყელში ამოგვივიდა. ის ბიჭი...

— ჰმ, — თქვა დიდედამ, — ჯერ კიდევ გუშინწინდამ გიკითხავთ, რომელი ბიჭიო. სად არის? აკი შემოგ^წთვალეთ, აქ მომგვარეთ-მეთქი.

— დაპატიმრებული გახლავთ, — თქვა გენერალმა ფორესტმა და მის ხმაში მხოლოდ დაღლილობა არ იგრძნობოდა. — ოთხი დღე შეკვდიყ^ვ კმით რომ იქ მიმემწყველია, სადაც მჭირდებოდა. ამის შემდეგ ეს ბიჭი ^{მე} შეძლებდა მასთან შებრძოლებას. — მან თქვა „შევალიე“ „მოვანდომე“-ს ნაცვლად და „წაასხა“ „წაყვანის“ ნაცვლად. მაგრამ ალბათ როცა ასეთი მეომარი ხარ, დიდდაც კი ყურადღებას არ მიაქცევს, რა გამოთქმებს ხმარობ.

— წვრილმანებით თავს აღარ შეგაწყენთ. თუმცა მან ისინი არც კი იცოდა. ერთადერთი, რაც ევალებოდა, ეს იყო, ზუსტად შეესრულებინა ჩემი ბრძანება. მისთვის მუნდირის კალთაზე ზუსტი გეგმა არ დამიხაზავს, თორემ ყველაფერი დაწვრილებით ავუხსენი, რა უნდა გაეკეთებინა ჩემგან წასვლიდან ჩემთან დაბრუნებამდე. ის უნდა შებრძოლებოდა მოწინააღმდეგეს და მყის უკან დაეხია. ჯარისკაცებიც იმდენივე გავაყოლე, რომ ზედმეტად არაფერი მოემოქმედა. ავუხსენი, როდის უნდა დაეხიათ, რა ხმაური აეტეხათ და როგორ აეტეხათ. არადა, როგორ ფიქრობთ, რა გააკეთა?

— შემიძლია გითხრათ, — უთხრა დიდედამ. — ის გუშინ დილის ხუთ საათზე ცხენზე მჯდარი ჩემი ფანჯრის ქვეშ „მშვიდობით“-ო ყვიროდა. მთელი გზო მისმა ჯარისკაცებმა გაავსეს.

— მან თავისი რაზმი ორ ნაწილად გაჰყო, ერთი ნაწილი ბურქებში მიმაღა ხმაურის ასატეხად. მეორე ნაწილი, ყველაზე თავზეხელაღებული ტუტუცები. მოწინააღმდეგის ავანგარდს მიუსია ხმლებით. ერთი გასროლაც არ მოუხდენია, ეს ხმალამოლებული ძალა პირდაპირ სმითის ძირითად დაჯგუფებაზე მიაგლო ცენტრში და ისე დააფრთხო სმითი, რომ მთელი თავისი კავალერია გადმოისროლა და მას ამოფარებულმა დაიხია. ისე რომ, ახლა არ ვიცი, მე დავიჭერ თუ ის დამიჭერს მე. ჩემი სამხედრო პოლიციის უფროსმა, როგორც იყო, გუშინ საღამოს დაიჭირა ეს ბიჭი. თურმე უკან დაბრუნებულა, კიდევ ოცდაათი კაცი წაუყვანია თავისი რაზმიდან და კიდევ ოცდაათი მილი გაუვლია იმის მძებნელს, თავს ვის დავესხაო. „რა, გინდათ რომ მოგკლან?“ — ვკითხე მე. „არცთუ ძალიან, — მიპასუხა მან. — ისე კი სულ ერთია, მომკლავენ თუ არა“. „მაშინ ჩემთვისაც სულერთი იქნება, — მიუუგა მე. — მაგრამ შენ ხომ ჩემი ჯარისკაცების მთელ რაზმს საფრთხეში აგდებდი“. „განა ნებაყოფლობით არ მოვიდნენ ამისათვის?“ — ვკითხა მან. „ისინი ნებაყოფლობით მოვიდნენ იმ სამხედრო დაჯგუფებაში, რომლის მიზანია არც ერთი მისი მონაწილე ტყუილუბრალოდ არ დაკარგოს. ან იქნებ არც მე არ მთელით აღამიანთა ხორციით საკმაოდ მარჯვე მოვაჭრედ?“ „ვერაფერს მოგახსენებთ, — მიპასუხა მან. — გუშინწინიდან მოყოლებული არც დაუფიქრებულვარ, როგორ მართავთ თქვენ თუ სხვები ამ ომს“. — „კი მაგრამ, რა მოხდა გუშინწინ ასეთი, ასე რომ შეგიცვალათ შეხედულებანი და ჩვევები?“ — ვკითხე. „ასე ვთქვათ, ვიბრძოდი, — მითხრა მან. — მტერი მოვიგერიე“. „სად?“ — ვკითხე მე. „ერთი ლედის მამულში, ჯეფერსონიდან რამდენიმე მილის მოშორებით, — მითხრა მან. — ერთ-ერთი ზანგი მას დიდდას ეძახდა, ისევე, როგორც თეთრი ბიჭუნა, დანარჩენები კი მის როზის“.

ამჯერად დიდდას ხმა არ გაუღია. ელოდა, შემდეგ რას იტყოდა.

— განაგრძეთ, — უთხრა მას.

— „მე მაინც ვცდილობ ბრძოლა მოვიგო, თუნდაც რომ გუშინწინიდან ამის ხალისი დაკარგეთ, — ვუთხარი ასე. — აი ჯეკსონში რომ გაგვზავნით ჯონსტონთან, ის თავს ვიკრავთ ვიქსბერგში, რათა თავად აწარმოთ ბრძოლები, რამდენსაც ინებებთ. გინდა დღისით, გინდ ღამით“, — „ეშმაკმა წამიღოს, თუ არ მოიქცევით“, — თქვა მან. მეც ვუპასუხე — ბოდიშს კი გიხდით — „ეშმაკმა წამიღოს, თუ ასე არ მოვიქცევი“.

დიდუდას არაფერი უთქვამს, როგორც გუშინწინ ებ სნოუფსკის უკუხუცხუბა განა ვერ გაიგონა, მაგრამ თითქოს ახლა იმის დრო არ იყო, მისთანა რამეებისთვის ყურადღება მიექცია.

— და ასეც მოიქცევით? — ჰკითხა მან.

— ვერ შევძელი. ეს თვითონაც იცის. აბა როგორ უნდა დასაჯო კაცი, რომელმაც ოთხჯერ თავისზე ძლიერი მტერი დაამარცხა ან ტენესში რა პირით დავბრუნდუ, ორივენი ხომ იქ ვცხოვრობთ, რომ აღარაფერი ვთქვა ბიძამისზე, ექვსი წლის წინათ გუბერნატორის არჩევნებზე რომ გააშავეს. ახლა ბრევის პირად შტატშია და ბრევის მხარზემოდან დასცქერის ხოლმე, რა დებუშას ხსნის ან რის დაწერას აპირებს. მე კი ბრძოლები მინდა მოვიგო, არადა, ვერ ვახერხებ იმ გოგოს გამო, რომელსაც ამ მზისქვეშეთში არაფერი აქვს მისი საწინააღმდეგო გარდა იმისა, რომ, მისდა საუბედუროდ, ამ ბიჭმა გადაარჩინა მტრის ერთი ბანკისგან ისეთ ვითარებაში, სხვა რომ მის აღვილას უმაღლ დაივიწყებდა. იმ გოგოს კი, წარმოიდგინეთ, მისი გვარის გავონებაც არ უნდა. ყოველი ბრძოლის დაგეგმვისას ამიერიდან ანგარიში უნდა გაუწიო ოცი-ოცდაორი წლის ლაწირაკის ახირებებს — კიდევ ერთხელ ბოდიშს გიხდით! — ვთქვით და, ვალაშქრება რომ ესე მოეპრიანოს და ამისათვის თუნდაც ორი რუხმუნდირიანი აიყოლიოს.

იგი დადუმდა და დიდუდას გადახედა.

— აბა რას იტყვით? — ჰკითხა.

— საქმეც ეგაა, — უთხრა დიდუდამ. — რა უნდა გითხრათ, მისტერ ფორესტ?

— ის, რომ უნდა შეწყდეს ეს სისულელე. როგორც გითხარით, ის ბიჭი და-ვაპატიმრე და ხიშტიანი ბადრაგი მიუწინე. ამ მხრივ არავითარი დაბრკოლება არ იქნება. გუშინ დილას მეგონა, ჰკუაზე შეირყა-მეთქი. მაგრამ მას შემდეგ, რაც პოლიციის უფროსმა გუშინდამ დააპატიმრა, მგონი, გონს მოეგო და მიხვდა, მე მაინც მისი უფროსი ვარ, გინდაც თვითონ ასე არ ფიქრობდეს. ასე რომ, სიმკაცრე უნდა გამოიჩინოთ, თანაც დაუყოვნებლივ, თქვენ ხომ მავ გოგოს დიდუდა ხართ, თქვენს სახლში ცხოვრობს და ალბათ კიდევ კარგა ხანს იცხოვრებს, ვიდრე მემფისში დაბრუნდებოდეს ბიძამისთან თუ იმასთან, ვინც მის მეურვედ ითვლება. ამიტომაც უნდა მოექცეთ მკაცრად, უნდა აიძულოთ, მისტერ მილარდი ცოცხალი რომ ყოფილიყო, ამ საქმეს ალბათ უკვე ორი დღის წინ მოაგვარებდა.

დიდუდამ სიტყვის დამთავრება დააცალა. გულხელდაკრეფილი იდგა. იდაყვებს ჩაჭიდებული.

— სულ ეს არის, რასაც ჩემგან მოითხოვთ? — ჰკითხა მან.

— დიახ, — თქვა გენერალმა ფორესტმა. — თუკი არ მოისურვებს ყური გაიხოვოთ, იქნებ როგორც ნაწილის მეთაურმა...

დიდუდას „ჰა“-ო, ესეც არ დასცდენია. არც მე გაუგვზავნივარ სადმე. არც დერეფანში გასულა ვისმე დასაძახებლად. თავად ავიდა ზედა სართულში, ჩვენ ქვემოთ დავრჩით, მეგონა, ალბათ ციმბალის ჩამოსატახად წაყიდა-მეთქი. ვფიქრობდი, გენერალი ფორესტი რომ ვყოფილიყავ, უკან ვავბრუნდებოდი, იმ ჩემს ბიძაშვილ ფილიპს მოვიყვანდი, ბიბლოთეკაში დავსვამდი დამის ვახშამდუ და

მოვასმენინებდი, მელისანდრი ციმბალზე როგორ უკრავს და მღერის. შემდეგ უკან წავიყვანდი, რომ ომი ყოველგვარი გარსულების გარეშე დამემთავრებინა.

დიდუდას ციმბალი არ ჩამოუტანია, მხოლოდ მელისანდრი ჩამოიყვანა. როგორც კი შემოვიდნენ, დიდუდა განზე დადგა, ისევ გულზე ხელუბრაკრებილი და იდაყვებს ჩაჭიდებული.

— აი, მოგიყვანეთ, — თქვა მან, — დაელაპარაკეთ... ეს მისტერ... ბედფორდ ფორესტი გახლავთ, — უთხრა მელისანდრს. — ელაპარაკეთ... გენერალ ფორესტს.

მაგრამ გენერალმა სიტყვის თქმა ვერ მოასწრო. მელისანდრი რომ ჩვენთან პირველად ჩამოვიდა, ხმამაღლა გვიკითხავდა ხოლმე მე და რინგოს წიგნებს. ეს არც ისე ცუდი იყო, თუმცა უმეტესად იქ ისეთ ქალებზე იყო ლაპარაკი, გამომდებით ფანჯრებიდან რომ იტყვიან და რაღაც საკრავზე (იქნებ სულაც ციმბალზე) უკრავენ, მაშინ როცა ვიღაც სადღაც ომობს. მაგრამ მთავარი იყო, როგორ გვიკითხავდა. როცა დიდუდამ უთხრა, ეს მისტერ ფორესტი გახლავსო, მელისანდრს სახეზე სწორედ ისეთი გამომეტყველება აესახა, როგორც იმ წიგნების კითხვისას ჰქონდა. ბიბლიოთეკაში შემოსულმა ორი ნაბიჯი გადმოდგა, კრინოლინი წამოიწია, რევერანსი გააკეთა და წელში გასწორდა.

— აჰ, გენერალი ფორესტი ბრძანდება? — თქვა მან. — მის ერთ-ერთ ოფიცერს ვიცნობ. თუ არ შეწუხდებით, გენერალო, გთხოვთ გადასცეთ გულითადი სურვილი ომში გაიმარჯვოს და სიყვარულშიაც წარმატებას მიაღწიოს, გადაეცით იმისგან, ვინც მას ველარასოდეს ნახავს!

შემდეგ ისევ რევერანსი გააკეთა, გაიმართა, ორი ნაბიჯით უკან დაიხია, შებრუნდა და გავიდა.

— აბა რას იტყვით, მისტერ ფორესტ? — ცოტა ხნის შემდეგ ჰკითხა დიდუდამ.

გენერალმა ფორესტმა ჩაახველა. ცალი ხელით მუნდირის კალთა გადაიწია, ზეორე ჯიბეში ჩაიყო, თითქოსდა მუშკეტის ამოღება უნდაო, მაგრამ მხოლოდ ცხვირსახოცი ამოიღო და შივ კარგა ხანს ახველა. ცხვირსახოცი არც ისე ქათქათა იყო, სწორედ ისეთი, გუშინწინ რომ ფილიპი მუნდირს იწმენდა ტალავერში. მერე გენერალმა ცხვირსახოცი ისევ ჯიბეში ჩაიღო. არც მას დასცდენია დიდუდასავით „ჰა!“

— შეიძლება ჰოლი ბრანჩის გზაზე ისე გავიდე, ჯეფერსონს გვერდი ავუარო? — იკითხა მან.

ახლა კი შეტოკდა დიდუდა.

— ბიურო გახსენი, — მიბრძანა მე. — სუფთა ფურცელი ამომიღე.

ბრძანება შევასრულე. მახსოვს, როგორ ვადექით ბიუროს ერთ მხარეს მე, ზეორე მხარეს გენერალი ფორესტი და თვალს არ ვამორებდით, დიდუდას კალაში როგორ მტკიცედ და სწრაფად ავსებდა მოკლე-მოკლე წინადადებებით ფურცელს. იგი არასდროს კარგავდა დროს სიტყვებზე, ვინდ წერისას და ვინდ ლაპარაკისას. მაშინ მე ის წერილი არ წამიკითხავს; იგი მოგვიანებით ვნახე ჩარჩოში ჩასმული და მელისანდრსა და ფილიპის ბუხრის თავზე ჩამოკიდებული — დიდუდას ლამაზი, თანაბარი, ოდნავ დაქანებული ნაწერი და მის ქვეშ გენერალ ფორესტის გაკრული ხელწერა, მისდა თავად კავალერიის მძლავრ იერიშს რომ მოგავიწყებდათ.

„ლეიტენანტი ფ. ს. კლოზეტი, ტენესის კავალერიის მე-4 ასეულიდან, ვიცნობ იმ დღეს რიგგარეშე მიენიჭა გენერალ-მაიორის წოდება, მტერთან ბრძოლა-

ში დაიღუპა. ამის შედეგად ფილიპ სენტ-ჯიუსტ კლო დანიშნულია ტენესის საკავალერიო პოლკის მე-4 ასეულის ლეიტენანტად.

გენერალი ნ. ბ. ფორესტი.

მაშინ მე ის წერილი არ წამიკითხავს. გენერალმა ფორესტმა წერილი ამოღო.

— ახლა კი ის ბრძოლა მჭირდება, — თქვა მან. — აბა, შეილო, კიდევ ერთი ფურცელი მომეცი.

მე კიდევ ერთი ფურცელი დავდე მაგიდაზე.

— რა ბრძოლა? — ჰკითხა დიდუდამ.

— ჯონსთონს რომ პატაკი წარუდგინო. ეშმაკმა დალახეროს! ნუთუ თქვენც არ გეხმით, მის როზი, თუმცაღა მეც ჩვეულებრივი მოკვდავი ვარ და შეიძლება შვეცდე, მაინც ვცდილობ ჯარს ისე ვუხელმძღვანელო, დადგენილი წესები არ დავარღვიო, რაოდენ სულელურადაც უნდა ეჩვენოს ისინი გარედან მაცქერალ ჭკუის კოლოფებს?

— კეთილი, — უთხრა დიდუდამ, — მაშ ჩვენთან ბრძოლა უკვე იყო. ჩემი თვალთ ვნახე.

— მეც ვნახე, — თქვა გენერალმა ფორესტმა. — ჰა! სარტორისთან ბრძოლა?

— არა, ჩემს სახლთან არა, — უთხრა დიდუდამ.

— ისინი ღელესთან ისროდნენ, — მიუუგე მე.

— რომელ ღელესთან? — მკითხა ფორესტმა.

მეც უუამბე იმ ღელეზე, საძოვარზე რომ გადიოდა და მას გრიგალას ღელე ერქვა, თუმცა თეთრკანიანებიც კი, დიდუდას გარდა, გადასარეკ ღელეს ეძახდნენ. ასევე მოიხსენია გენერალმა ფორესტმაც, როცა ბიუროს მიუჯდა და ჯექსონში გენერალ ჯონსთონისთვის პატაკი დაწერა:

„ერთ-ერთმა ნაწილმა, ჩემი მეთაურობის ქვეშ მყოფმა და საგანგებო დავალებით გაგზავნილმა, შეუტია მტრის ერთ დანაყოფს, გააძევა ბრძოლის ველიდან და გაფანტა იგი 1862 წლის 28 აპრილს გადასარეკ ღელესთან. დაიღუპა ერთი კაცი.“

გენერალი ნ. — ბ. ფორესტი.

მე ვნახე ეს წერილი, ვუყურებდი, როგორ წერდა მას გენერალი. შემდეგ ადგა, ორივე ფურცელი ჯიბეში ჩაიღო და ის იყო მაგიდისკენ დააპირა წასვლა თავისი შლაპის ასაღებად, რომ დიდუდამ უთხრა:

— დაიცაო! კიდევ ერთი ფურცელი ამოიღე, — მითხრა მან. — აქ მოდიო.

— რა, კიდევ ერთი? — შემობრუნდა გენერალი ფორესტი.

— დიახ! — უთხრა დიდუდამ. — ის რაღაც შვებულებაა თუ საშვი — არ ვიცი, რას ეძახით იმ თქვენს სამხედრო ნაწილში, რომ ჯონ სარტორისმა შეძლოს აქ ჩამოსვლა ცოტა ხნით, რათა... — მერე წელში გასწორდა, თვალი თვალში გამიყარა და ორჯერ გაიმეორა იმის ნიშნად, სწორად რომ გაგვეგო: — რათა ეს წყეული გოგო გაათხოვოს!

IV

ეს იყო და ეს. იმ დღეს დიდუდამ მე და რინგო გათენებამდე გაგვადვიძა. უკანა კიბეზე ჩამომსხდრებმა გეახელით, რაც იყო დარჩენილი, მერე სკივრი ამოვთხარეთ, შინ შევიტანეთ, ვერცხლეული დავფერეთ. მერე საძოვრიდან შინდისა და ქრისტეს ცრემლების ტოტები მოვზიდეთ, დიდუდამ ყვავილები, რაც კი იყო, ერთიანად ყველა თავისი ხელით დაკრიფა, მელისანდრსა და ფილადელფიას მხოლოდ კალათები ეჭირათ; ისე რომ, მთელი სახლი ყვავილებით აივსო, მე და რინგოს მათი სურნელი საძოვრიდან წამოსულებსაც გვცემდა, თუმცა უფრო კი საჭმლისა — ეს იყო ღორის, შემწვარი წიწილების და ფქვილის სუნიც კი,

დიდუდას რომ ჰქონდა გადანახული ცოტათუნ შაქარსა და ერთ ბოთლ შამპანურ-თან ერთად იმ დღისათვის, როცა ჩრდილოელები ომში დამარცხდებოდნენ — ერთი სიტყვით, ყოველივე იმისა, რასაც მთელი ორი დღის განმავლობაში ამზადებდა ლუვინია და სახლთან მიახლოვებისას სულ გვახსენებდა ყოველივე იმას, რაც სახლში ხდებოდა. თუმცა ყველაზე მეტად საჭმელზე ფიქრს არ გვახსენებდა! მერე მათ გამოაწყვეს მელისანდრი, რინგოსაც ახალთა ჟურნალი ჩააცვეს, მე კი რუხი ჩაიცვი, ოღონდ არც ისე ახალი. უკვე მანდრი სხვა არცა მე, დიდუდა, მელისანდრი, ლუვინია, ფილადელფია და რინგო ვერანდაზე გავედით და ვუყურებდით, როგორ შემოდითნენ ისინი ჭიშკარში. გენერალი ფორესტი მათ შორის არ ჩანდა. მე და რინგოს კი გვეგონა, რომ უთუოდ მოვიდოდა, თუნდაც იმიტომ, რომ ფილიპი მოეყვანა. მერე ვიფიქრეთ, რაკი მამა მაინც უნდა ჩამოსულიყო, გენერალი ფორესტი მას დაავალებდა ფილიპის მოყვანას, თუნდაც ხელუბრაბორკილს ხიშტიანი ჯარისკაცის თანხლებით, ან იქნებ ჯარისკაცზე ბორკილით მიბზულს; ვიდრე მელისანდრზე არ იქორწინებდა, მამა ბორკილს ალბათ არ მოხსნიდა.

მაგრამ გენერალი ფორესტი მათ შორის არ იყო და არც ფილიპი მიუბამთ ბორკილით ვინმეზე. და არათუ ხიშტიანი, ერთი ჯარისკაციც არ ჩანდა, ყველანი ოფიცრები იყვნენ. მერე სასტუმრო ოთახში ვიდექით ყველანი, სადაც ჩამავალ მზის სხივებზე ლაპლაპებდნენ შანდლები და ენთო შინ ნაკეთი სანთლები. მე, ფილადელფიამ და რინგომ დანარჩენ ვერცხლეულთან ერთად დავფერეთ ის შანდლებიც, ვინაიდან დიდუდა და ლუვინია სადილის მზადებით იყვნენ დაკავებული, მელისანდრიც წაგვეხმარა დაფერვაში, თუმცაღა ლუვინია არც დახედავდა, ისე გადასცემდა ხოლმე მათ ფილადელფიას ხელახლა დასაფერად. მელისანდრის კაბას გადაკეთება არც დასჭირვებია, რადგანაც დედა მასზე დიდად უფროსი არც იყო, როცა გარდაიცვალა, ხოლო დიდუდაჩემსაც ახლაც ისევე კარგად ადგა, როგორც მაშინ, როცა იმ კაბაში იქორწინა. აქ იყვნენ მღვდელი, მამაჩემი, ფილიპი და კიდევ ოთხი ოფიცერი, სირმებიან რუხ მუნდირებში გამოწყობილნი და ხმლებით აღკაზმულები. მელისანდრი ჩვეულებრივ იყურებოდა, ფილიპსაც ისევე ეწერა სახეზე, „რა მზეთუნახავია!“ — სხვა გამომეტყველება მის სახეზე არც არავის უნახავს შემდგომ. მერე ყველანი სუფრას მივუსხედით — მე და რინგო სამი დღე მხოლოდ ამის მოლოდინში ვიყავით — და კარგად გვახვლით. მერე თანდათან ესეც დავიწყებას მივცა, მერე პირში გავვიქრა გემოც. მხოლოდ ნერწყვი გვდიოდა, როცა ერთმანეთს ხმამაღლა ვახსენებდით იმ კერძებს, ვიდრე თანდათან ნერწყვმაც არ იკლო და მხოლოდ მაშინ მოგვადგებოდა, როცა ხმამაღლა ოცნებას ვაწყებდით, თუ რას შევჭამდით, ბოლოს და ბოლოს ეს ომი რომ დამთავრდებოდა.

ასე იყო საქმე. მიწყდა ბორბლების რახრახი და ცხენების ფლოქვთა თქარუნი. ფილადელფია სასტუმრო ოთახიდან გამოვიდა შანდლებით ხელში, გზადაგზა სანთლებს აქრობდა. ლუვინიამ მაგიდაზე სამზარეულოს საათი დადგა, გაურეცხავი ვერცხლეული მოაგროვა და თასში ისე ჩაყარა, თითქოს არც არაფერი მომხდარიყო.

— აბა, — დიდუდა არ განძრეულა, იდაყვებით მაგიდას მსუბუქად დაყრდნობოდა, რაც ადრე არასოდეს გვენახა. თავი არ მოუბრუნებია, ისე უთხრა რინგოს: — გასწი, ჯობისა და ლუციუსს დამიძახე... — არც მაშინ შეტოკებულა, როცა სკივრი შინ შემოვიტანეთ, კედელთან მივდვიით და სახურავი ავხადეთ.

— საათიც ჩადე, მგონი, დღეს აღარ დაგვჭირდება საათი.



თარგმანა გივი კიკილაშვილმა

თ ა ვ ი

პროფესორ პერსიკოვის კურიკულუმი ვიტე¹

1928 წლის 16 აპრილს, სალამო ხანს, მოსკოვის IV უნივერსიტეტის ზოოლოგიის პროფესორი და ზოოინსტიტუტის დირექტორი პერსიკოვი თავის კაბინეტში შევიდა, გერცენის ქუჩაზე მდებარე ზოოლოგიის ინსტიტუტში რომ იყო მოთავსებული. პროფესორმა ზედა მქრქალი სფერო აანთო და მიმოიხედა.

საზარული კატასტროფის დასაწყისად სწორედ ეს ავბედითი სალამო ჩაითვლება, ისევე როგორც ამ კატასტროფის პირველმიზეზად უთუოდ პროფესორი ვლადიმირ იპატიევიჩ პერსიკოვი უნდა მივიჩნიოთ.

იგი ზუსტად 58 წლისა გახლდათ. დიდებულ, ქვასანაყისნაირ, გამელოტებულ თავს გვერდებზე მოყვითალო თმის ბლუჯები გამოსჩროდა. წვერს მუდამ სუფთად იპარსავდა, წინ წამოზიდული ქვედა ტუჩის გამო სახეზე ნიადავოღნავი ჭირვეულობის დალი აჩნდა. წითელ ცხვირზე ვერცხლისჩარჩოიანი, პატარა, ძველმოდური სათუალე დაეკოსებინა, თვალები უბრწყინავდა, ტანმაღალი და წელში ოღნავ მოხრილი იყო. წრიპინა ხმის პატრონს სხვა უცნაურობათა შორის ამგვარი ჩვევაც ჰქონდა: როცა რამეს საფუძვლიანად და დამაჯერებლად ამბობდა, მარჯვენა სალოკ თითს მოკაკეკავდა და თვალებს მოჭუტავდა. და რადგანაც მუდამ დამაჯერებლად ლაპარაკობდა, ვინაიდან თავის დარგში სავსებით ფენომენალური ერუდიცია გააჩნდა, ამის გამო პროფესორ პერსიკოვთან მოსაუბრეების ცხვირწინ მისი მოკაკულა თითი ძალზე ხშირად ტრიალებდა. თავისი დარგის, ანუ ზოოლოგიის, ემბრიოლოგიის, ანატომიის, ბოტანიკისა და გეოგრაფიის გარდა პროფესორი პერსიკოვი თითქმის არაფერზე ლაპარაკობდა.

პროფესორი პერსიკოვი გაზეთებს არ კითხულობდა, არც თეატრში დადიოდა, ცოლი 1913 წელს გაექცა, ოპერის ტენორს, ზიმინს გაჰყვა და ამგვარი შინაარსის წერილი დაუტოვა:

„შენი ბაყაყები, ისე მეზიზღება, მათი გახსენებაც კი აუტანელ ჟრჟოლას ჰგვრის. მათ გამო სულ სიცოცხლე გამწარებული ვიქნები“.

პროფესორი მერე აღარ დაოჯახებულა. შვილები არ ჰყავდა. ძალზე ფიცხი გახლდათ, ოღონდ ბრაზი ძალე გაუვლიდა ხოლმე, მიწამაყვალას მურაბიანი

1. ცხოვრების აღწერილობა (ლათ.).

ჩაი უყვარდა, პრეჩისტენკაზე ცხოვრობდა ხუთოთახიან ბინაში, რომლის ერთი ოთახი ხმელ-ხმელ დედაბერს, ეკონომ ქალს, მარია სტეპანოვნას ეკავა, პროფესორს გადიასავით რომ უვლიდა.

1919 წელს პროფესორს ხუთი ოთახიდან სამი ჩამოართვეს. მაშინ პერსიკოვნა მარია სტეპანოვნას განუცხადა:

— მარია სტეპანოვნა, თუ ისინი ამ უმსგავსობას არ მინებენ, საზღვარგარეთ წავალ.

პროფესორი ამ გეგმას თუ განახორციელებდა, ეჭვგარეშეა, მსოფლიოს რომელიც გინდა უნივერსიტეტში ზოოლოგიის კათედრაზე მოწყობას სულ იოლად შეძლებდა, რადგან მართლაცდა პირველხარისხოვანი მეცნიერი გახლდათ, ხოლო იმ დარგში, რომელიც წყალხმელეთა ცხოველებს ანდა შიშველ ქვეწარმავლებს შეისწავლიდა, კემბრიჯის პროფესორ უილიამ ვეკლისა და რომაელ პროფესორ ჯაკომო ბართოლომეო ბეკარის გარდა, ბაღალი არ ჰყავდა. პროფესორი რუსულის გარდა ოთხ ენაზე კითხულობდა, ხოლო ფრანგულად და გერმანულად რუსულივით ლაპარაკობდა. საზღვარგარეთ წასვლის თაობაზე თავისი განზრახვა პერსიკოვს არ შეუსრულებია, ოცი წელი ცხრამეტზე კიდევ უფრო უარესი გამოდგა. ამბავი ამბავს მიჰყვა. დიდ ნიკიტსკაიას გერცენის ქუჩა დაარქვეს, შემდეგ გერცენისა და მოხოვაიას კუთხეში მდგარი სახლის კედელში ჩატანებული საათი თერთმეტ საათსა და თხუთმეტ წუთზე გაჩერდა, დაბოლოს ზოოლოგიური ინსტიტუტის ტერარიუმებში მოთავსებულმა ქვეწარმავლებმა სახელოვანი წლის ყველა არეულობას ვერ გაუძლეს და ამოწყდნენ: თავდაპირველად ვასაკების რვა დიდებული ეგზემპლარი მოკვდა, მათ თხუთმეტი ჩვეულებრივი გომბეში მიჰყვა და ბოლოს სული ამოხდა სურინამული გომბეშოს იშვიათ ეგზემპლარსაც.

გომბეშოების ამოწყვეტის კვალდაკვალ, რამაც ბოლო მოუღო შიშველ ქვეწარმავალთა პირველ რაზმს, სამართლიანად უკუღო ქვეწარმავალთა რაზმი რომ ეწოდება, იმქვეყნად გადასახლდა ინსტიტუტის უცვლელი დარაჯი ვლასი, თუმცაღა შიშველ ქვეწარმავალთა კლასს არ განეკუთვნოდა. მისი სიკვდილის მიზეზი იგივე გახლდათ, რამაც საბრალო ქვეწარმავალთა ამოწყვეტა გამოიწვია, და ეს მიზეზი პერსიკოვმა უმაღვე განსაზღვრა:

— დამშევა!

მეცნიერი უდავოდ მართალი გახლდათ: ვლასს ფქვილით უნდა ესაზრდოვა, ხოლო გომბეშოებს ფქვილის მატლებით, მაგრამ რაკიღა პირველი გაქრა, მეორენიც მის კვალს მიჰყვნენ. პერსიკოვი შეეცადა დარჩენილი ვასაკების ოცი ეგზემპლარი ტარაკანებით კვებაზე გადაეყვანა, მაგრამ ტარაკანებიც სადღაც გაუჩინარდნენ, რითაც სამხედრო კომუნიზმის მიმართ თავიანთი ბოროტგანმზრახველობა გაამჟღავნეს, ასე რომ, უკანასკნელი ეგზემპლარებიც ინსტიტუტის ეზოში ამოთხრილ სანაგვე ორმოში ჩასაყრელი შეიქნა.

ქვეწარმავალთა, განსაკუთრებით კი სურინამული გომბეშოს დაღუპვამ პერსიკოვი ისე დაამწყურა, ენით არ გამოითქმის. მათ სიკვდილს იგი რატომღაც მაშინდელ განათლების სახალხო კომისარს აბრალებდა.

პერსიკოვი ინსტიტუტის გათოშილ დერეფანში ქუდიანი და კალოშებიანი იდგა და თავის ასისტენტ ივანოვს, ქერა, წამახული წვერით დამშევენებულ, უალრესად დახვეწილ ჯენტლმენს ეუბნებოდა:

— პიოტრ სტეპანოვიჩ, ამის გამო ხომ იმას სიკვდილი არ უნდა აკმარო! რას სჩადიან? ისინი ხომ ინსტიტუტს ღუპავენ! ჰა? უბადლო მამალი პიპა ამერიკანა, საუცხოო ეგზემპლარი, ცამეტი სანტიმეტრის სიგრძისაა...

მერე და მერე საქმე გაუარესდა. ვლასის სიკვდილის შემდეგ ინსტიტუტის ფანჯრები ერთიანად გაიყინა, მინები წიგნითა მზრიდან ყინულმა ააჭრელა. დაიხოცნენ ბოცვრები, მელიები, მკლეები, თევზები, ამოწყდა უკლებლივ ყველა ანკარა. პერსიკოვი მთელი დღეები ხმას არ იღებდა, მერე ფილტვების ანთება დაემართა, მაგრამ არ მომკვდარა. როცა გამოკეთდა, ინსტიტუტში დაიწყო სიარული და კვირაში ორჯერ ლექციების ციკლს თემაზე „ცხელი ხარტყლის ქვეწარმავლები“ რვა მსმენელს უკითხაუდა მრგვალ დარბაზში, სადაც ზედამ, რატომღაც უცვლელად, 5 გრადუსი ყინვა იდგა იმისგან დამოუკიდებლად, რამდენი გრადუსი იყო ქუჩაში; კალოშები ეცვა, ყურებიანი ქუდი ეხურა, კაშხე კკეთა და პირიდან თეთრი ორთქლი ამოსდიოდა. დანარჩენ დროს პერსიკოვი პრეჩისტენკაზე, თავის ბინაში, წიგნებით ჭერამდე გამოტენილ ოთახში დივანზე იწვა, პლედი ეხურა, ახველებდა, ღუმლის ცეცხლოვან ხახას ამტერებოდა, მარია სტეპანოვნას მოოქრული სკამებით რომ გაეხურებინა, და სურიანამულ გომბეშოს იხსენებდა.

მაგრამ ამქვეყნად ყველაფერს აქვს დასასრული. გასრულდა ოცი და ოცდაერთი წლები, ხოლო ოცდაორში საქმეები თითქოს წაღმა დაიძრა. განსვენებულ ვლასის ადგილას გამოჩნდა პანკრატი, ჯერ ახალგაზრდა, მაგრამ დიდი იმედების მომცემი ზოოლოგიური დარაჯი, ნელ-ნელა ინსტიტუტის გათბობაც დაიწყო, ხოლო ზაფხულში პერსიკოვმა პანკრატის დახმარებით კლიაზმაზე თოთხმეტი ცალი ვულგარული გომბეშო დაიჭირა. ტერარიუმში სიცოცხლე კვლავ აჩქეფდა... ოცდასამ წელში პერსიკოვი უკვე კვირაში რვაჯერ კითხულობდა ლექციებს — სამჯერ ინსტიტუტში და ხუთჯერ უნივერსიტეტში, ოცდაოთხ წელში კვირაში ცამეტჯერ, ამას გარდა მუშუაკებზეც; ხოლო ოცდახუთში, გაზაფხულზე, სახელი გაითქვა იმით, რომ გამოცდებზე სამოცდათექვსმეტი სტუდენტი ჩაჭრა, თანაც ყველა შიშველ ქვეწარმავლებზე.

— მაშ არ იცით, შიშველი ქვეწარმავლები რითი განსხვავდებიან სხვა ქვეწარმავლებისგან? — ეკითხებოდა მათ პერსიკოვი, — ეს ხომ სასაცილოა, ყმაწვილო კაცო, შიშველ ქვეწარმავლებს მენჯის თირკმლები არა აქვთ. არ გააჩნიათ. მასმ. გრცხვენოდეთ. თქვენ უთუოდ მარქსისტი იქნებით?

— მარქსისტი ვარ, — უპასუხებდა ნირწამხდარი მარქსისტი.

— ჰოდა, გეთაყვა, შემოდგომაზე მობრძანდით, — თავაზიანად ეტყოდა პერსიკოვი და პანკრატს მხნედ გასძახებდა — შექდევი შემოუშვი.

მსგავსად იმისა, როგორც ხანგრძლივი გვალვის შემდეგ წირველივე უხვი წვიმებისას ამფიბიები გამოცოცხლდებიან ხოლმე, პროფესორი პერსიკოვიც გამოცოცხლდა 1926 წელს, როცა ამერიკულ-რუსული გაერთიანებული კომპანია მშენებლობას შეუდგა, გაზეთის შესახვევისა და ტვერსკაიას გადაკვეთის გაყოფებაზე მოსკოვის ცენტრში 15 თხუმეტსართულიანი სახლი წამოჭიმა, ხოლო გარეუბნებში მუშათა 300 რვა-რვა ბინიანი, კოტეჯი ააშენა, რითაც ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოუღო საშინელსა და სასაცილო საბინაო კრიზისს, ასე-რიგად რომ ტანჯავდა მოსკოველებს 1919—1925 წლებში.

საერთოდ, ეს ზაფხული პერსიკოვის ცხოვრებაში საუცხოო გახლდათ. ზოგჯერ ხმადაბლა კმაყოფილებით ჩაიხითხითებდა ხოლმე და ხელების ფშენებით იხსენებდა იმ დროს, როცა ის და მარია სტეპანოვნა ორ ოთახში იყვნენ გამოწყვდულნი. ახლა პროფესორმა ხუთივე ოთახი დაიბრუნა, ორი ათას ხუთასი წიგნი, ფიტულები, დიაგრამები, პრეპარატები ხალვათად განაღავა, კაბინეტში, მაგიდაზე მწვანე ლამპა აანთო.

ინსტიტუტიც ძნელად საცნობი შეიქნა: შენობა კრემისფრად შეღებეს, ქვე-

წარმავალთა ოთახში საგანგებო წყალსადენით წყალი გაიყვანეს, ყველა მინა სარკისებური მინით შეცვალეს, ხუთი ახალი მიკროსკოპი, მინის საპრეპარაციო მაგიდები, ორიათასლამპიანი შუქამრეკლავი სფეროები, რეფლექტორები გამოგზავნეს, მუზეუმისათვის კარადები მოიტანეს.

პერსიკოვი გამოცოცხლდა, რაც მთელ ქვეყნიერებას ამცნო 1926 წლის დეკემბერში მისმა გამოქვეყნებულმა ბროშურამ:



„კვლავ ბალთოსნების ანუ ქიტონების გამრავლები! საქითხისათვის“ გამოსცა, 126 გვ. „IV უნივერსიტეტის მაცნე“.

ხოლო 1927 წლის შემოდგომაზე 350 გვერდიანი კაპიტალური ნაშრომი, გადათარგმნილი 6 ენაზე, მათ შორის იაპონურადაც:

„გომბეშოების, ქიტონებისა და ბაყაყების ემბრიოლოგია“. ფასი 3 მანეთი სახგამომცემლობა.

1928 წლის ზაფხულში კი ის წარმოუდგენელი, საშინელი 'ამბავი მოხდა...

თ ა ვ ი ი

ფერადი სვეული

მაშ ასე, პროფესორმა სფერო ანთო და მიმოიხედა, გრძელ საექსპერიმენტო მაგიდაზე რეფლექტორი ჩართო, თეთრი ზალათი ჩაიცვა, მაგიდაზე რაღაც ხელსაწყოები ააწკარუნა...

ოცდარვა წელს მოსკოვში მსრბოლი ოცდაათი ათასი მექანიკური ეკიპაჟიდან მრავალი გარბი-გამორბოდა გერცენის ქუჩაზე და გლუვ ტორსფენილზე მიშარიშურობდა, ყოველ წუთში კი გერცენიდან მოხოვაიასკენ გრიალ-ღრჭიალით მივექანებოდა 16, 22, 48 ან 53 მარშრუტის ტრამვაი. კაბინეტის სარკისებურ მინებში ნაირფრად ირეკლებოდა შუქთა ათინათები, ხოლო შორს, მალლა, ქრისტეს ტაძრის ჩამუქებული და მძიმე გუმბათის გვერდით მოჩანდა დაბინდული, მკრთალი ნამგალა მთვარე.

მ. გრამ პროფესორ პერსიკოვს არც ნამგალა მთვარე აინტერესებდა და არც მოსკოვას საგაზაფხულო გუგუნი. იგი ხრახნიან სამფეხა სკამზე იჯდა და 'თამბაქოსგან ჩაყვითლებული თითებით ცეცხლის დიდებულ მიკროსკოპის კრემალიერს ატრიალებდა, მიკროსკოპში კი ამების 'ახალი, ჩვეულებრივი, შეუღებავი პრეპარატი მოუთავსებინა. იმ დროს, როცა პერსიკოვი პრეპარატის ზომას ხუთიდან ათი ათასამდე ზრდიდა, კარი გაიღო, წამახული წვერი და ტყავის წინსაღარი გამოჩნდა და ასისტენტის ხმა გაისმა:

— ვლადიმირ იპატიჩ, ჯორჯალი დავაყენე, ხომ არ ჩახედავდი?

პერსიკოვი ტაბურეტიდან მკვირცხლად წამოხტა, კრემალიერი შუა გზაზე მიტოვა და ასისტენტის კაბინეტში შევიდა, თან ხელში პაპირისს ნელა ატრიალებდა. იქ, მინის მაგიდაზე, ცოცხალმკვდარი, შიშისა და ტკივილისგან

გაშეშებული ბაყაყი კორპის შტატივზე იყო გაკრული, ხოლო მისი გასისხლიანებული მუცლიდან ამოყრილი ქარსივით გამჭვირვალე შიგნეული ასისტენტის მიკროსკოპში ჩაემაგრებინა.

— ძალიან კარგი! — თქვა პერსიკოვმა და მიკროსკოპის ოკულიარს ჩაიცქერდა.

უტყობა, რაღაც ძალზე საინტერესო მოჩანდა ბაყაყის ჯორჯაღმჭრეულ მარღვთა მდინარეები, როგორც ხელისგულზე, ისე გადაშლილ მკვირცხლად დარბოდა სისხლის ცოცხალი ბურთულები. პერსიკოვს თავისი ამბები გადაავიწყდა და ივანოვთან ერთად ამ ბურთულებს დაუწყო თვალღებვა. საათნახევრის განმავლობაში მიკროსკოპის მინას ხან ერთი ჩასცქეროდა, ხან მეორე. ამასთანავე მეცნიერები ერთმანეთს გახალისებულნი გადაულაპარაკებდნენ ხოლმე უბრალო მოკვდავთათვის გაუგებარ სიტყვებს.

ბოლოს პერსიკოვმა მიკროსკოპს თავი ანება და თქვა:

— სისხლი დედდება, ველარაფერს გააწყობ.

ბაყაყმა თავი მძიმედ გადააქნია, მისი სხივმიმქრალი თვალები კი ამკარად მეტყველებდა: „არამზადები ხართ, რომ იცოდეთ...“

პერსიკოვი წამოდგა, დაბუჟებული ფეხები გაშართა, თავის კაბინეტში დაბრუნდა, დაამთქნარა, ანთებისგან ერთთავად ჩაწითლებული ქუთუთოები თითებით შოისრისა, ტაბურეტზე ჩამოჯდა, მიკროსკოპში ჩაიხედა, თითები კრემალიერს მოჰკიდა და უკვე ხრახნის გადატრიალებას აპირებდა, მაგრამ იღარ გადატრიალა. პერსიკოვი მარჯვენა თვალით შემღვრეულ თეთრ ლაქას და შიგ ფერმკრთალ, დაბინდულ ამეებს ხედავდა, ხოლო დისკოს შუაგულში ქალის კულულის მსგავსი ფერადი ხვეული მოჩანდა. ეს ხვეული თავად პერსიკოვს და ასეულობით. მის მოწაფესაც ძალზე ბევრჯერ ჰქონდათ ნახაზი და ამით არავინ დაინტერესებულა, რადგან დასაინტერესებელი არც ყოფილა რამე. შუქის ფერადი ბლუჯა მხოლოდ აფერხებდა დაკვირვებას და იმას იუწყებოდა, რომ პრეპარატი ფოკუსში არ იყო მოქცეული. ამიტომაც ამ ბლუჯას ხრახნის ერთი გადატრიალებით დაუნდობლად გააქრობდნენ ხოლმე და ველს თანაბარი თეთრი შუქით გაანათებდნენ. ზოოლოგმა გრძელი თითები ხრახნის ნაჭდევს უკვე მჭიდროდ შემოაჭლო, მაგრამ შემკრთალმა უეცრად მოაცილა. ამის მიხეზი პერსიკოვის მარჯვენა თვალი გახლდათ. უცბად რომ გაფაციცდა, განცვიფრდა და შეშფოთდა კიდევაც. მიკროსკოპთან რესპუბლიკის ჭირად მომრავლებულ სამუალო დონის ერთი უნიჭოთაგანი კი არ მჯდარა, არა, იქ იჯდა პროფესორი პერსიკოვი! მთელი მისი ცხოვრება, მთელი გულისთქმანი ამ მარჯვენა თვალში გახლდათ თავმოყრილი. უმაღლესი არსება უმდაბლესს სამარისებურ სიჩუმეში ხუთი წუთის განმავლობაში აკვირდებოდა, თვალს ძაბავდა და განაწამებ მზერას ფოკუსის მიღმა დარჩენილი პრეპარატისკენ მიმართავდა. ირგვლივ მდუმარებას დაესადგურებინა. პანკრატს უკვე ეძინა ვესტიპულის გვერდით თავის ოთახში. შორს კარადების მინებმა მუსიკალურად და ნახად მხოლოდ ერთხელ გაიწკარუნა — მაშ ივანოვმა წასვლისას თავისი კაბინეტის კარი გაიკეტა. მერე ქუჩაში გასასვლელმა კარმა ამოიკვნესა. შემდეგ კი პროფესორის ხმაც გაისმა. თუმცა არავინ უწყის, ვის შეეკითხა:

— ეს რა არის? ვერაფერი გამიჯია...

გერცენის ქუჩაზე დაგვიანებულმა სატვირთო მანქანამ ჩაიარა და ინსტიტუტის ძველი კედლები შეაზანზარა. მაგიდაზე პინცეტებიანმა პირგანიერმა მინის ჯამმა გაიწკარუნა. პროფესორი გაფითრდა და ხელები მიკროსკოპს ისე გადააფარა, როგორც დედა შვილს გადაფარებს ხოლმე, როცა ბავშვს ხიფათი

მოელის. ახლა პერსიკოვი ხრახნს არაფრის დიდებით არ გადაატრიალებდა. ის კი არა, უკვე ეშინოდა, რაიმე გარეშე ძალამ მხედველობის არიდან არ გამიქროს, რაც დავინახეო.

უკვე მთლად გათენებულიყო. ინსტიტუტის კრემისფერი პარმალი ოქროსფერ ზოლს გადაუხაზა, როცა პროფესორმა მიკროსკოპი შიატოვა, გაშეშებული ფეხები ფანჯარასთან ვაი-ვაგლახით მიათრია და აკანკალებული თითები დილაკს დააჭირა. შავი ფარდები ფანჯრებს ჩამოეფარა, დილა გააუჩინარა და კაბინეტში ბრძნული, მეცნიერული ღამე დაასადგურა. სახე ჩაყვითლებულმა, შთაგონებამოძალეებულმა პერსიკოვმა ფეხები გაჩაჩხა, აცრემლებული თვალები პარკეტს ჩააშტერა და ხმამაღლა თქვა:

— ეს არის? ეს რა საოცრებაა!.. დიახ, საოცრებაა, ბატონებო, — მიმართა ტერაროუმში მყოფ გომბეშოებს, მაგრამ გომბეშოებს ეძინათ და პასუხი არ გაუციათ.

იგი ერთხანს დუმდა, მერე ამომრთველთან მივიდა, ფარდები ასწია, ყველა შუქი ჩააქრო და მიკროსკოპში ჩაიხედა. სახე დაეძაბა, დაბურჩული ყვირთელი წარბები შეყარა.

— ჰო, ჰო, — ჩაიბურტყუნა მან, — გაქრა. გასაგებია. ვა-სა-გებია, — წარმოთქვა გაბმით და ჩამქრალ სფეროს შემლილივით შთაგონებულად ააცქერდა, — ცხადზე ცხადია.

მერე მოსიხინე ფარდები კვლავ ჩამოუშვა და სფერო ისევ აანთო, მიკროსკოპში ჩაიხედა და გახარებულმა გულიანად ჩაიციხა.

— დაეიჭერ, — ზეიმით, მედიდურად თქვა მან და თითი მაღლა აღმართა, — უსათუოდ დავიჭერ. იქნებ მზის სხივი წარმოქმნის.

ფარდები კვლავ მაღლა ასრიალდა. მზე უკვე ამოსულიყო. ინსტიტუტის კედლები სხივებში გაეხვია და გერცენის ტორსფენილზე ირიბად გაწოლილიყო. პროფესორი ფანჯრიდან იყურებოდა და ცდილობდა განესაზღვრა, მზე დღისით სად იქნებოდა. ფანჯარას ხან მოსცილდებოდა, ხან მიუახლოვდებოდა და ბოლოს ფანჯრის რაფაზე გადაწვა.

მერე ფრიად მნიშვნელოვან საიდუმლო საქმიანობას შეუდგა. მიკროსკოპს შინის თალფაქი ჩამოაფარა. სანთურის მოლურჯო ალზე ლუქის ნაჭერი გააღწო და თალფაქის კიდეები მაგიდას მიამაგრა, ხოლო ლუქის ნალვენთებზე ცერი თითი მიაბეჭდა. გაზი ჩააქრო, კაბინეტიდან გავიდა და კარი ინგლისური გასაღებით გადაკეტა.

ინსტიტუტის დერეფანში მკრთალი შუქი იდგა. პროფესორი პანკრატის ოთახს მიადგა. კარზე დიდხანს უშედეგოდ აკაკუნა. ბოლოს კარს იქით ისეთი ხმა გაისმა, თითქოს ჯაჭვით დაბმული ძაღლი იღრინებო, რასაც ხველება და ბურტყუნი მოჰყვა. განათებულ ღრიჭოში კოჭებთან გამონასკვეულ ზოლიანი ნიფხვის ამარა პანკრატი გამოჩნდა. იგი მეცნიერს ფეთიანივით მიაშტერდა, ნამძინარევი ჯერ კიდევ ოდნავ ზმუოდა.

— მაპატიე, პანკრატ, — უთხრა მას პროფესორმა და სათვალის ზემოდან დახედა... — ბოდიში; რომ გაგაღვიძე. იცი რა, მეგობარო. ჩემს კაბინეტში დილით არ შეხვიდე. იქ სამუშაო დავტოვე, რომლის ადგილიდან დაძვრა არ შეიძლება. მიხვდი?

— ჰო-ო, მი-მი-ივხვდი, — უპასუხა პანკრატმა, თუმცა ვერაფერსაც ვერ მიხედა. იგი ბარბაცებდა და ზმუოდა.

— არა, პანკრატ, გონს მოდი, გაიდვიძე, — უთხრა ზოოლოგმა პანკრატს და ნეკნებში ხელი ოდნავ წაჰკრა, რის შედეგადაც მას სახეზე შიში გამოესახა

და თვალეში აზრის რაღაც ნატამალი გაუკრთა. — მე კაბინეტი ღავკეტი, ისე რომ ჩემს მოსვლამდე კაბინეტის დალაგება საჭირო არ არის. გაიგე?

— გაიგე, — ჩაიხიზინა პანკრატი.

— პოდა, ძალიან კარგი. წადი, დაიძინე.

პანკრატი შეტრიალდა, კარს მიეფარა და უმაღლეს საწოლზე ფეხები დააყრდნობდა. პროფესორი ვესტიბულში ჩაიკმას შეუდგა. ნაცრისფერი სახეზე მისი (ქვედა) ჩაიცვა, თხელი ქუდი დაიხურა, მერე მიკროსკოპში ნანახი სურათი გაახსენდა, თავის კალოშებს დააშტერდა და რამდენიმე წამს ისე უყურებდა, თითქოს პირველად ხედავსო. შემდეგ მარცხენა ფეხზე კალოში ჩაიკვია და ამ კალოში მარჯვენა კალოში ჩაიკვია, მაგრამ კალოში კალოში ვერ ჩაიკვია.

— რა საოცარია, პიოტრ სტეპანოვიჩმა უცებ რომ დამიძახა, — თქვა მეცნიერმა, — თორემ მიკროსკოპში ამას ხომ ვერ შევამჩნევდი. მაგრამ ეს რას მოასწავებს? ეშმაკმა უწყის, რას მოასწავებს!..

პროფესორმა ჩაიკვია, თვალეში მოჭრუტა და კალოშებს დახედა, მარცხენა კალოში გაიხადა და მარჯვენა ჩაიკვია.

— ღმერთო ჩემო, ხომ შეუძლებელია წარმოიდგინო ყველა შედეგი, რაც ამას შეიძლება მოჰყვეს... — პროფესორმა ზიზლით მიაგდო მარცხენა კალოში, რომელსაც არ სურდა მარჯვენა კალოში მორგებოდა, მერე გასასვლელისაკენ ცალი კალოშით გაემართა. იქვე ცხვირსახოცი დაკარგა, გარეთ გავიდა და მძიმე კარი გაიჯახუნა. პარმალზე დიდხანს იღვა და ასანთის მოსაძებნად ჯიბეებს იჩხრეკდა, ბოლოს იპოვა და ქუჩას გაუყვა, პირში მოკიდებული პაპიროსი ჰქონდა გაჩრილი.

ტადრამდე პროფესორს კაციშვილი არ შეხვედრია. იქ როცა მივიდა, თავი მაღლა ასწია და ტადრის ოქროს მუზარადს დააშტერდა, რომელსაც მზე ცალი მხრიდან ხარბად ლოკავდა.

— ადრე რატომ არ შემომჩნევია? აი, შემთხვევა ამას ჰქვია!.. ფუი, რა სულელი ვარ, — პროფესორი დაიხარა, სხუდასხვანაირად შემოსილ ფეხებს დააქერდა და ჩაფიქრდა, — კმ... ახლა რა ვქნა? უკან დავბრუნდე? არა, პანკრატს ვერ გავაღვიძებ. ეს უპატრონო გადასაფეხებდაც არ მეშეშება. სხვა გზა არა მაქვს, ხელით უნდა ვატარო. — კალოში გაიხადა, ხელში ზიზლით დაიჭირა და გზა ისე განაგრძო.

პრეჩისტენკის მხრიდან ძველი ავტომობილი გამოჩაჩაკდა. შივ სამნი ისხდნენ. ორ გამობრუნებულ კაცს მუხლებზე სახეშეთხიპნილი, ოცდარვა წლის მოდაზე შეკერილი აბრეშუმის შარვლიანი ქალი ეჯდა.

— ჰეი, ბიძიკო! — ჩახრინწული ბოხი ხმით გამოსძახა ქალმა პერსიკოსს, მეორე კალოში შემოგეხარჯა?..

— ბერიკაცი აღბათ „ალკაზარში“ გამოთვრა, — წამოიყმუვლა მარცხნივ მჯდარმა მთვრალმა კაცმა, ხოლო მარჯვნივ მჯდარმა ავტომობილიდან თავი გამოყო და დაიყვირა:

— მაძილო, ვოლხონკაზე დამის ბარი ღიაა? იქ მივდივართ!

პროფესორმა მთვრალეებს სათვალის ზემოდან მკაცრად გახედა, პირიდან პაპიროსი გაუვარდა და ავტომობილში მსხდომთა არსებობა უმაღლეს დაავიწყდა. პრეჩისტენკის ბულვარს მზის სხივები ზოლ-ზოლად ეფინა; ხოლო ქრისტეს მუზარადს უკვე ციცილი შემოგზნებოდა. მზე ამოვიდა.

პერსიკოვმა მიაკვლია



საქმის ვითარება ასეთი გახლდათ. როცა პროფესორმა გენიალური თვალი ოკულარს მიუახლოვა, თავის სიცოცხლეში პირველად მიაჩვენა ყურადღება იმას, რომ მრავალფერ ხვეულში ერთი სხივი განსაკუთრებით მკაფიოდ და მძლავრად იკვეთებოდა. ეს სხივი ხასხასა წითელი ფერისა გახლდათ და ხვეულიდან მცირე ზომის წვეტივით, ასე ვთქვათ, ნემსივით სხლტებოდა.

საუბედუროდ ამ სხივმა ვირტუოზის გაწაფული თვალი რამდენიმე წამით მიიზიდა.

ამ სხივში პერსიკოვმა ისეთი რამ შეამჩნია, რაც თვით სხივზე, მიკროსკოპის სარკისა და ობიექტივის მოძრაობისას შემთხვევით შობილ უბადრუკ ნაშეირზე ათასჯერ უფრო მნიშვნელოვანი და საყურადღებო იყო. იმის წყალობით, ასისტენტმა პროფესორი რომ გაიხმო, ამებები საათნახვერის განმავლობაში ამ სხივის ზემოქმედებას განიცდიდნენ და ამას, აი, რა შედეგი მოჰყვა: იმ დროს, როცა სხივგარეთ დარჩენილი მარცვლოვანი ამებები დისკოში დუნედ, უშწოდ იწვნენ, იმ ადგილას, სადაც წითელი, პირბასრი მახვილი გაჭიმულიყო, უცნაური მოვლენები ხდებოდა. წითელ ძაფში სიცოცხლე დუნდა. ნაცრისფერ ამებებს ცრუფეხები გაეწვდინათ, რაც ძალა და ღონე ჰქონდათ, წითელი ზოლისკენ მიიწეოდნენ და იქ (თითქოს ჯადოსნური ძალის წყალობით) ცხოველმყოფელობას იძენდნენ. რაღაც ძალა მათ სულს შთაბერავდა. ისინი ქარავნებად მიემართებოდნენ და სხივში ადგილისთვის ერთმანეთს ებრძოდნენ. იქ გაშმაგებული (სხვა სიტყვა არ მოიძებნება) გამკრავლება მიმდინარეობდა. ისინი პერსიკოვისთვის საკუთარი ხუთი თითივით ცნობილ ყველა კანონს ამსხვრევდნენ და ამხობდნენ, მის თვალწინ ელვისებური სისწრაფით იკვირებოდნენ, სხივს შიგნით ნაწილებად იშლებოდნენ და ყოველი ნაწილი ორ წამში ახალ, ცხოველმყოფელ ორგანიზმად გარდაიქმნებოდა. ეს ორგანიზმები რამდენიმე წამში სრულდებოდნენ და სიმწიფეს აღწევდნენ მხოლოდ იმისთვის, რომ თავის მხრივ მყისვე ახალი თაობა წარმოექმნათ, წითელ ზოლში, ხოლო შემდეგ მთელ დისკოში სივიწროვე შეიქნა და გარდუვალი ბრძოლა დაიწყო. ახლად შობილნი ერთმანეთს მძვინვარედ ესხმოდნენ თავს, ნაწილ-ნაწილ გლეჯდნენ და ნთქაუდნენ. ახალშობილთა შორის არსებობისთვის ბრძოლაში დაღუპულთა გვაძები ეყარა. უკეთესნი და ძლიერნი იმარჯვებდნენ. ეს უკეთესნი შემზარავნი იყვნენ. ზომით ხომ დაახლოებით ორჯერ სჭარბობდნენ ჩვეულებრივ ამებს, ამასთანავე რაღაც განსაკუთრებული სიანჩხლითა და სიმკვირცხლით გამოირჩეოდნენ. მათი მოძრაობა ელვისებური გახლდათ, ცრუფეხები ნორმალურზე გაცილებით გრძელი ჰქონდათ და ამ ცრუფეხებს, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ისე ამუშავებდნენ, როგორც რვაფეხები საცეცებს.

მეორე საღამოს უჭმელობისგან ლოყებჩაცვივნილი და ფერმიხდილი პროფესორი მხოლოდ მსხვილად გახვეული პაპიროსით იკრებდა ძალას და ამებათა ახალ თაობას აკვირდებოდა, მესამე დღეს კი კვლავ პირველწყაროს ანუ წითელ სხივს დაუბრუნდა.

გაზი სანთურში ხმადაბლა შიშინებდა, ქუჩიდან კვლავ ფეხის ხმა მოისმო-

და. შეასუ პაპიროსით მოწაშლული, თვალეზმილულული პროფესორი ხრაზნიანი სავარძლის საზურგეს პიერდნო.

— დიახ, ახლა ყველაფერი ცხადია. ამებები სხივმა გამოაცოცხლა. ეს ახალი, ჯერ გამოურკვეველი, ჯერ აღმოუჩენელი სხივია. პირველი, რაც უნდა გამოვარკვიოთ, ესაა — იგი მხოლოდ ელექტროობისგან წარმოიქმნება თუ მზეს წარმოქმნის, — თავისთვის ბუტბუტებდა პერსიკოვი.

კიდევ ერთი ღამეც და ეს გამოირკვა. პერსიკოვმა სამ მიკროსკოპში სხივი დაიჭირა, მზისგან ვერაფერი მიიღო და თქვა:

— უნდა ვიგულისხმობთ, მზის სპექტრში იგი არ არის... კმ... ერთი სიტყვით, უნდა ვიგულისხმობთ, რომ მისი მიღება მხოლოდ ელექტრომუქის მეშვეობით შეიძლება. — მან მქრქალ სფეროს სიყვარულით ახედა, შთაგონებით გაიფიქრა რაღაცა, კაბინეტში ივანოვს მოუხმო, ყველაფერი მოუყვა და ამებები აჩვენა.

პრივატ-დოცენტი ივანოვი გაოგნდა, მთლად დაითრგუნა: ეშმაკმა დალახვროს, ასეთი უბრალო რამ, ეს წვრილი ისარი რომაა, ადრე როგორ ვერ შევამჩნიეთ, თუნდაც მე როგორ ვერ შევნიშნე, მართლა რა საოცარიაო!

— ვლადიმერ იპატინ, ერთი შეხედეთ! — ამბობდა შემრწუნებული, ოკულარს აკრული ივანოვი, — ეს რა ხდება?! თვალდათვალ იზრდებიან... ნახეთ, ნახეთ...

— მე ამას მესამე დღეა, რაც ვაკვირდები, — შთაგონებით უპასუხა პერსიკოვმა.

ამის შემდეგ მეცნიერებმა ისაუბრეს, რის შედეგადაც გადაწყვიტეს: პრივატ-დოცენტი ივანოვს ლინზებითა და სარკეებით უნდა აეგო კამერა, რითაც მიკროსკოპის გარეშე შესაძლებელი იქნებოდა ამ სხივის გადიდებული სახით მიღება. ივანოვი იმედოვნებდა, დარწმუნებულიც კი იყო. ეს ძალზე უბრალო რამ არის, სხივს მოვიპოვებ, ვლადიმერ იპატინ, ეჭვიც ნუ შეგეპარებათო. აქ კი ოდნავი უხერხულობა წარმოიშვა.

— პიოტრ სტეპანოვიჩ, როცა ნაშრომს გამოვაქვეყნებ, აღვნიშნავ, რომ კამერები თქვენი აგებულია, — ჩაურთო პერსიკოვმა, რადგან იგრძნო, უხერხულობა უნდა დაეძლიათ.

— ოჰ, ამას რა მნიშვნელობა აქვს... თუმცა, რა თქმა უნდა...

უხერხულობა უმალ გაქრა. ამ წუთიდან სხივმა ივანოვიც ჩანთქა. იმ დროს, როცა გამზდარ-დაუძღურებული პერსიკოვი შუალამემდე მიკროსკოპს უჯდა, ივანოვი ლამპებით განახჩახებულ ფიზიკის კაბინეტში ფუსფუსებდა, ლინზებისა და სარკეების კომბინაციებს ცვლიდა. ივანოვს მექანიკოსი ეხმარებოდა.

განათლების კომისარიატის საშუალებით გაგზავნილი მოთხოვნის შედეგად პერსიკოვმა გერმანიიდან სამი ამანათი მიიღო, რაშიაც ეწყო ორმხრივ-ამოზნექილი, ორმხრივჩაზნექილი და ამოზნექილ-ჩაზნექილი, გახეხილი მინები. ყოველივე იმით დამთავრდა, რომ ივანოვმა კამერა ააგო და ამ კამერაში წითელი სხივი მართლა დაიჭირა, თანაც უნდა ვაღიაროთ, რომ ოსტატურად დაიჭირა: სხივი მსხვილი, ოთხი სანტიმეტრი განაკვეთის მქონე, ბასრი და მძლავრი გამოვიდა.

პირველ ივლისს კამერა პერსიკოვის კაბინეტში დააყენეს და პროფესორი გამალებით შეუდგა სხივით გაშუქებულ ბაყაყის ქვირილზე ცდების ჩატარებას.

ამ ცდებს გასაოცარი შედეგები მოჰყვა. ორ დღე-ღამეში ქვირითიდან ათასობით თავკომბალა გამოიჩინა. მაგრამ ეს კიდევ არაფერია; ერთ დღე-ღამეში თავკომბალები დასრულებულ ბაყაყებად იქცნენ, თანაც ისეთი ანჩხლები და ღორმუცელები იყვნენ, რომ მათი ნახევარი მეორე ნახევარმა უმაღლეს მესხანსლა. სამაგიეროდ, ცოცხლად დარჩენილებმა ყოველგვარი ვადის გარეშე იწყეს ქვირითის დაყრა და ორ დღეში ამჯერად სხივის გარეშე წარმეყვებულნი თაობა, თანაც ურიცხვი რაოდენობისა. მეცნიერის კაბინეტში, რომელიც იქნა ამბავი ატყდა: თავკომბალები კაბინეტიდან მოელ ინსტიტუტს მოედვნენ, ტერარსები და იატაკი გაავსეს, ყოველ კუთხე-კუნჭულში, როგორც ჭაობში, ომახიანი ქორიები ახშიანდა. პანკრატს პერსიკოვისა ისედაც ხომ როგორც ცეცხლისა უშინოდა და ახლა შიშისგან ღამის სული ამოხდომოდა. ერთი კვირის შემდეგ თავად მეცნიერმა იგრძნო, რომ ჭკუაზე ირყეოდა. ინსტიტუტი ეთერისა და კალიუმციანიდის სუნით ისე გაიჟღინთა, პანკრატი კინაღამ მოიწამლა, რადგან ნიღაბი უდროოდ მოიხსნა. ბოლოს შემდგეს ჭაობის გამრავლებული ბინადარნი შხამებით ამოეწყვიტათ და კაბინეტები გაენიავებინათ.

— პიოტრ სტეპანოვიჩ, დეიტეროპლაზმაზე და საერთოდ კვერცხუჯრედზე სხივის მოქმედება განსაცვიფრებელია. — უთხრა პერსიკოვმა ივანოვს.

დინჯმა, თავშეკავებულმა ჯენტლმენმა ივანოვმა პროფესორს უჩვეულო ტონით გააწყვეტინა:

— ვლადიმირ იპატიჩ, წვრილმანი დეტალები, დეიტეროპლაზმა რა საღაპარაკოა. პირდაპირ ეთქვათ: თქვენ არგაგონილი რამ აღმოაჩინეთ, — ასისტენტმა თავს ძალა დაატანა და წარმოთქვა: — პროფესორო პერსიკოვო, თქვენ სიცოცხლის სხივი აღმოაჩინეთ!

პერსიკოვს ფერმკრთალი, გაუპარსავი დაწვები ოდნავ წამოუწითლდა.

— კარგი ერთი, — ჩაიბუტბუტა მან.

— თქვენ ისეთ სახელს შიხვეჭით... — განაგრძობდა ივანოვი, — ღამისაა გადავირიო. იცით რა, ვლადიმირ იპატიჩ, უელსის გმირი თქვენთან შედარებით არაფერია... მე კი ეს ზღაპარი მეგონა... „ღმერთების საზრდო“ გახსოვთ?

— კო, ის რომანი? — თქვა პერსიკოვმა.

— ღმერთო ჩემო, ის ხომ ცნობილი რომანია!..

— დამავიწყდა, — უპასუხა პერსიკოვმა, — მახსოვს, რომ წავიკითხე, მაგრამ დამავიწყდა.

— როგორ თუ დავავიწყდათ, აბა, ერთი შეხედეთ, — ივანოვმა მინის მაგიდიდან ფეხით ასწია უზარმაზარი, მუცელაბუშტული ბაყაყი, სულგამფრთხალსაც კი დრუნჩხე ანჩხლი გამომეტყველება რომ შერჩენოდა, — ეს ხომ განსაცვიფრებელია!

თ ა ვ ი V

ელვლის კვირივი დროზღოვა

ღმერთმა უწყის, ივანოვი იყო დამნაშავე, თუ სენსაციური ამბები ჰაერში თავისით ვრცელდება. ეს კია, უზარმაზარ, მოთუხთუხე მოსკოვში სხივზე და პროფესორ პერსიკოვზე უეცრად ალაპარაკდნენ, თუმცაღა გაკვრით და ძალზე ბუნდოვნად. სასწაულებრივი აღმოჩენის ამბავი აელვარებულ დედაქალაქში დაჭრილი ფრინველივით ხტოდა, ხან გაუჩინარდებოდა, ხანაც კვლავ ანავარდდე-

ბოლა. ასე გასტანა შუა ივნისამდე, ვიდრე გაზეთ „იზვესტიის“ მეოცე გვერდზე, სათაურით „მეცნიერებისა და ტექნიკის სიახლენი“, არ გამოქვეყნდა მოკლე ცნობა სხივის თაობაზე, სადაც გაკვირით იყო ნათქვამი, რომ IV უნივერსიტეტის სახელგანთქმულმა პროფესორმა სხივი გამოიგონა, რომელიც დაბალი ორგანიზმების ცხოველმყოფელებს წარმოუდგენლად ზრდიდა. საჭირო ამ სხივის შემოწმებაო, — ასკენიდა გაზეთი. გვარი, რაღა თქმა უნდა, დასაბუთებულად გახლდათ დაბეჭდილი: „პევსიკოვი“.

ივანოვმა პერსიკოვს ცნობა აჩვენა.

— „პევსიკოვი“, — ჩაიბუზღუნა კაბინეტში კამერასთან მოფუსფუსე პერსიკოვმა, — ის ჩიტირეკიები ყველაფერს რანაირად შეიტყობენ ხოლმე?

ვაი, რომ დამახინჯებულმა გვარმა პერსიკოვი ვერ იხსნა იმ ამბებისგან, მეორე დღესვე რომ დაიწყო და მისი ცხოვრების მდინარეცა ერთბაშად შეცვალა.

პანკრატი დააკვირნა, კაბინეტში შევიდა და პერსიკოვს დიდებული, ატლასივით მბზინავი სავიზიტო ბარათი გადასცა.

— თვითონ იქ არის, — მოკრძალებით დაუმატა პანკრატი.

ბარათზე ლამაზი შრიფტით იყო დაბეჭდილი:

„ალფრედ არკადიევიჩი ბრონსკი“

თანამშრომელი მოსკოვის ჟურნალებისა — „წითელი ცეცხლი“, „წითელი წიწაკა“, „წითელი ჟურნალი“, „წითელი პროექტორი“ და გაზეთისა „წითელი საღამოს მოსკოვი“.

— გააგდე აქედან, ჯანდაბას მაგისი თაეი, — ჩაიბუტბუტა პერსიკოვმა და ბარათი მაგიდის ქვეშ შეაგდო.

პანკრატი შეტრიალდა, გავიდა და ხუთი წუთის შემდეგ უკანვე დაბრუნდა. დამწუხრებულს ხელში იმავე ბარათის მეორე გზემპლარი ეჭირა.

— შენ ხომ არ დამცინი? — დაიწრიპინა პერსიკოვმა და სახეზე რისხვა გამოეხატა.

— გეპეუდან¹ ვარო, — უპასუხა გაფითრებულმა პანკრატი.

პერსიკოვმა ცალი ხელი ბარათს ისე სტაცა, კინაღამ შუაზე გადახია, მეორე ხელით კი პინცეტი მაგიდაზე დააგდო. ბარათზე ჩახუჭუჭებული ხელით იყო მიწერილი: „დიდად პატივცემულო პროფესორო, ბოდიშს ვიხდით და გთხოვთ, სამი წუთით მიმიღოთ ბეჭდვითი სიტყვის საზოგადოებრივ საქმეზე, გეპეუს გამომცემლობის სატირული ჟურნალის „წითელი ყორანის“ თანამშრომელი.“

— შემოიყვანე, — თქვა სულშეხუთულმა პერსიკოვმა.

პანკრატის ზურგს უკანიდან უმაღლვე გამოსხლტა სუფთად წვერგაპარსული, ლოყებპრიალა ახალგაზრდა კაცი, ჩინელივით შუბლზე აზიდული წარბები რომ ჰქონდა და წარბებქვეშ ჩამსხდარ აქატიხფერ თვალებს ერთთავად არიდებდა მოსაუბრეს. ახალგაზრდა კაცი მართლაც რომ უზადოდ, მოღაზე გახლდათ ჩაცმული. ემოსა ვიწრო და გრძელი, მუხლებამდე ჩაშვებული პიჯაკი, და-

¹ გეპეუ (რუს.) — სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო.

ლზე განიერი, ფარფარა შარვალი და უჩვეულოდ ფართო ყელიანი, გალაქული ფეხსაცმელები, ცხვირები ფლოქვებს რომ მიუგავდა. ხელში ჯოხი, წაწვეტილი შლაპა და ბლოკნოტი ეჭირა.

— რა გნებავთ? — ჰკითხა მას პერსიკოვმა ისეთი ხმით, რომ პანკრატი უმაღვე კარს იქით გასხლტა, — ხომ გითხრეს, რომ არ მცალია?

პასუხის ნაცვლად ახალგაზრდა კაცი პროფესორს ჯერ მხარმარცხნივ, მერე მხარმარჯვნივ თაუდახრილი მიესალმა, მერე თვალები მთელი კაბინეტის ბორბლებივით მოავლო და ბლოკნოტში უმაღვე რაღაც ჩაინიშნა.

— მე არ მცალია, — უთხრა სტუმარს პროფესორმა და თვალებში ზიზღით შეხვდა, მაგრამ ვერავითარ ეფექტს ვერ მიაღწია, რადგან მისი მზერა ვერაფრით მოიხელთა.

— ათასგზის ბოდიშს გიხდით, დიდად პატივცემულო პროფესორო, — წვრილი ხმით წაშოიწყო ახალგაზრდა კაცმა, — შინ რომ შემოგეჭვრით და ძვირფას დროს გაკარგვინებთ, მაგრამ თქვენი მსოფლიო მნიშვნელობის აღმოჩენის ამბავი, რაც მთელ ქვეყნიერებას მოედო, ჩვენს ჟურნალს აიძულებს გთხოვოთ, რაიმე განმარტება მოგვცეთ.

— რა განმარტებას მოითხოვთ მთელი ქვეყნიერებისთვის? — შესძახა პერსიკოვმა გამყივანი ხმით და ზაფრანის ფერი დაედო, — მოვალე არა ვარ განმარტება მოგვცეთ... არ მცალია... სრულებით არ მცალია.

— რაზე მუშაობთ? — ზმა დაიტკბო ახალგაზრდა კაცმა და ბლოკნოტში რაღაც კიდევ ჩაინიშნა.

— მე ხომ... რაო? რაიმეს დაბეჭდვას აპირებთ?

— დიახ, — უპასუხა ახალგაზრდა კაცმა და უეცრად ბლოკნოტში სწრაფად იწყო წერა.

— ჯერ ერთი, არაფრის გამოქვეყნებას არ ვაპირებ, სანამ სამუშაოს არ დავასრულებ... მით უმეტეს თქვენს გაზეთებში... მეორეც, ეს ყოველივე საიდან იცით? — პერსიკოვმა უცებ იგრძნო, რომ თავგზა ებნეოდა.

— მართალია თუ არა, რომ ახალი სიცოცხლის სხივი გამოიგონეთ?

— რა ახალი სიცოცხლის სხივი? — გაშმაგდა პროფესორი, — რა სისულელებს ჩმახავთ? ის სხივი, რაზედაც ვმუშაობ, ჯერ გამოკვლეული არ არის, და საერთოდ არაფერი არაა ცნობილი! შესაძლოა პროტოპლაზმის ცხოველ-მოქმედებას ზრდის...

— რაშენჯერ? — სწრაფად ჰკითხა ახალგაზრდა კაცმა.

პერსიკოვი მთლად დაიბნა... „ეს რა კაცია. ეშმაკმა უწყის, რა ხდება!“

— რა ობიექტურული შეკითხვებია?... ვთქვათ, ვარაუდი გამოვთქვი, რომ ათასჯერ ზრდის!

ახალგაზრდა კაცს სიხარბისგან თვალები გაუბრწყინდა.

— მაშ გიგანტური ორგანიზმები წარმოიქმნება?

— არაფერი ანის მსგავსი! თუმცაღა, ჩემ მიერ მიღებული ორგანიზმები ჩვეულებრივს ჭარბობენ... ზოგიერთი ახალი თვისება გააჩნით... მაგრამ აქ ხომ მთავარი სიდიდე კი არა, არამედ გამრავლების წარმოუდგენელი სისწრაფვა, — თავისდა საუბედუროდ თქვა პერსიკოვმა და მყისვე შეძრწუნდა. ახალგაზრდა კაცმა ნაწერით მთელი გვერდი გაავსო, გადაფურცლა და წერა განაგრძო.

— ნუ წერთ! — ჩახრინწული ხმით თქვა სასოწარკვეთილმა, უკვე ფარხმალდაყრილმა პერსიკოვმა, იგრძნო, რომ ამ ახალგაზრდა კაცს ვერა და ვერ დაუსხლტებოდა. — ა, რას წერთ?

— მართალია, რომ ორი დღე-ღამის განმავლობაში ქვირითიდან ორი მილიონი თავკომბალის გამოჩეკა შეიძლება?

— რა რაოდენობის ქვირითიდან? — დივივირა კვლავ განრისხებულმა პერსიკოვმა, — როდისმე თუ გინახავთ ქვირითი... ვთქვათ, ვასაკასი?

— ნახევარი გირვანქიდან? — ისე ჰკითხა ახალგაზრდა კაცმა, არც შეცხვნი/ბულა.

პერსიკოვი წაშოჭარხალდა.

— ასე ვინ ზომავს? ფუი! რას მიუდ-მოედებით? ჰო, რა თქმა უნდა, თუ ავიღებთ ბაყაყის ნახევარ გირვანქა ქვირითს... მაშინ შესაძლო იქნება დაახლოებით ამ რაოდენობის ანდა უფრო მეტის მიღება!

ახალგაზრდა კაცს თვალები ბრილიანტებისეოდ აუკიაფდა და ნაწერით კიდევ ერთი გვერდი შეუწერებლივ გაავსო.

— მართალია, რომ ეს შესაქონლეობაში მსოფლიო გადატრიალებას გამოიწვევს?

— ეს რა საგახეთო შეკითხვაა, — აკივლდა პერსიკოვი, — მე საერთოდ არ გაძლევთ უფლებას უაზრო რაღაც წეროთ. სახეზე გატყობთ, რომ სისამაგლეს წერთ!

— პროფესორო, თქვენი ფოტოგრაფიული სურათი მიბოძეთ, დაბეჯითებით გთხოვთ, — თქვა ახალგაზრდა კაცმა და ბლოკნოტი დახურა.

— რაო? ჩემი სურათი? თქვენი ჟურნალისთვის? იმ აბდაუბდასთან ერთად, რასაც წერთ? არა, არა, არა... მე არა მცალია... მშვიდობით!..

— ძველი სურათი მაინც მიბოძეთ, უმაღლეს დაგიბრუნებთ.

— პანკრატი! — შეჰყვირა გაცოფებულმა პროფესორმა.

— კარგად ბრძანდებოდეთ, — თქვა ახალგაზრდა კაცმა და გაუჩინარდა.

პანკრატის ნაცვლად კარს მიღმა მანქანის უცნაური, თანაბარი ღრაჭუნის და იატაკზე რაღაც ნაჭედის კაკუნის გაისმა, კარი გაიღო და კაბინეტში ღრაფისგან შეკერილი ხალათ-შარვლით შემოსილი, არაჩვეულებრივად ჩასუქებული კაცი შემოვიდა, მარცხენა მექანიკურ ფეხს ჩხაკუნით მოაბრაგუნებდა, ხელში კი პორტფელი ეჭირა. გაპარსული, მოყვითალო მრგვალი პირისაზე ალერსიანად უღიმოდა. პროფესორს მხედრულად გაჭიმული მიესალმა, რის გამოც მისმა ფეხმა ხამბარასავით გაიტკაცუნა. პერსიკოვს ენა ჩაუვარდა.

— ბატონო პროფესორო, — წაშოიწყო უცნობმა ოდნავ ჩახლენილი სასიამოვნო ხმით, — მიუტევეთ უბრალო მოკვდავს, განმარტოება რომ დაგიბრღვიოთ.

— რეპორტიორი ხართ? — ჰკითხა პერსიკოვმა, — პანკრატი!!

— არა, ბატონო პროფესორო, — უპასუხა ჩასუქებულმა კაცმა, — ნება მიბოძეთ, გაგეცნოთ: შორეული ნაოსნობის კაპიტანი და სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული გახეთ „მრეწველობის მაცნის“ თანამშრომელი.

— პანკრატი!! — ისტერიულად შეჰყვირა პერსიკოვმა. კუთხეში ტელეფონმა უმაღლ წითელი სიგნალი გააელვა და მსუბუქად გაიწკრიალა — პანკრატი! — გაიმეორა პროფესორმა, — გისმენთ.

— ფარცაიენ ზი ბიტტე, პერ პროფესორ, — აჩიხინდა ტელეფონი გერმანულად, — დას იჰ შტიორუ. იჰ ბინ მიტარბეიტერ დეს „ბერლინერ ტაგეს-ბლატს“...!

1. უკაცრავად, ბატონო პროფესორო, რომ გაწუხებთ. მე „ბერლინის ტაგესბლატის“ თანამშრომელი ვახლავართ.

— პანკრატ! — ჩაჰყვირა ყურმილში პროფესორმა, — ბინ მომენტალ ზერ ბეშეფტიეტ უნდ კან ზი დესხალბ ეტცტ ნიპტ ემპფანგენ!..! პანკრატ!!
ინსტიტუტის სადარბაზო შემოსასვლელთან კი ამ დროს ზარის რეკა ატყდა.



* * *

— კოსმარული მკვლელობა ბრონაიას ქუჩაზე! — ბრონაიას ქუჩაზე მოქცეულ შუქითა და ჩახჩახა ფარნებით გაჩირადდებულ ქუჩაზე უჩვეულოდ ჩახრინწული ხმით გაჰკიოდნენ ივნისის ხვატისგან გახურებულ ქვაფენილზე მოფუსფუსე ბიჭები, — ქათმების კოსმარული სენი მღვდლის ქვრივ დროზდოვას ეზოში! ქვრივის პორტრეტი!.. პროფესორ პერსიკოვის მიერ სიცოცხლის სხივის კოსმარული აღმოჩენა!!

პერსიკოვი ისე მოსწყდა ადვილს, რომა მოხოვიაზე კინალამ ავტომობილს ჩაუვარდა და გაზეთს ხელი გაშმაგებით სტაცა.

— სამი კაპიკი, მოქალაქევ! — შეჰყვირა ბიჭმა, ტროტუარზე მიმავალ ხალხს შეერია და კვლავ აკივლდა — „წითელი საღამოს გაზეთი“! ექს-სხივის აღმოჩენა!!

გაოგნებულმა პერსიკოვმა გაზეთი გაშალა და ფარნის ბოძს მიეყრდნო. მეორე გვერდის მარცხენა კუთხეში გადღაბნილი ჩარჩოდან პროფესორს შეაღებდა მელოტი, ჩინდაკარგული შეშლილი თვალებით მომზირალი, ქვედა ყბაჩამოგდებული კაცი, ალფრედ ბრონსკის მხატვრული შემოქმედების ნაყოფი. „იდუმალებით მოცული წითელი სხივის აღმოჩენი ვ.ი. პერსიკოვი“. — იუწყებოდა ნახატის ქვეშ მოთავსებული წარწერა. ქვემოთ მოჩანდა სტატიის სათაური — „მსოფლიო გამოცანა“. სტატია შემდგომი სიტყვებით იწყებოდა:

„დაბრძანდით, — ალერსიანად გვითხრა მხცოვანმა მეცნიერმა პერსიკოვმა...“

სტატიის დასასრულს ამშვენებდა ხელმოწერა: „ალფრედ ბრონსკი (ალონზო)“.

უნივერსიტეტის სახურავს ზემოთ მომწვანო შუქმა იფეთქა, ცაზე გამობტა ცეცხლოვანი სიტყვები: „მოლაპარაკე გაზეთი“ და მოსოვია უმაღლვე ხალხით გაიჭედა.

„დაბრძანდით!!! — უცებ აწივლდა სახურავზე დამაგრებული რუპორი უსიამოვნო წერილი ხმით. ალფრედ ბრონსკის ათასჯერ გაძლიერებულ ხმას ძალზე რომ წააგავდა, — ალერსიანად გვითხრა მხცოვანმა მეცნიერმა პერსიკოვმა! მე დიდი ხანია მსურდა, ჩემი აღმოჩენის შედეგები მოსკოველი პროლეტარიატისთვის გამეცნო...“

პერსიკოვის ზურგს უკან ხმადაბალი მექანიკური ღრატუნის გაისმა და პროფესორს სახელოზე ვიდაცამ მოქაჩა. მან უკან მიიხედა და მექანიკური ფეხის მფლობელის მოყვითალო მრგვალი სახე დაინახა. მრგვალსახიანს თვალები ცრემლებით დანამოდა და ტუჩები უთრთოდა.

— ბატონო პროფესორო, თქვენ არ ისურვეთ გასაოცარი აღმოჩენის შედეგები ჩემთვის გაგეცნოთ, — თქვა მან სუედიანად და ღრმად ამოიოხრა, — პოდა; დავკარგე თუმანნახევარი!

იგი ნალვლიანად ასცქეროდა უნივერსიტეტის სახურავს, სადაც შავ ხახაში ჩაბუდებული უხილავი ალფრედი მძვინვარებდა. პერსიკოვს დიპიანი კაცი რატომღაც შეებრადა.

1. ახლა ძალზე დაკავებული ვარ და ამიტომ თქვენი მიღება არ შემიძლია.

— მე მისთვის დაბრძანდით-მეთქი არ მიიქვამს! — ჩაიბუტბუტა მან, თან ციდან მომდინარე სიტყვებს მძულვარებით უსმენდა, — იგი საოცრად თავხედიან! მომიტევეთ, გეთაყვა, მაგრამ დამეთანხმებით, როცა მუშაობისას შემოვივარდებიან... რა თქმა უნდა, ამას თქვენზე არ ვამბობ...

— ბატონო პროფესორო, ეგებ თქვენი კამერის აღწერილობა მაინც შეუწყობს? — პირფერულად, მჭმუნვარედ თქვა მექანიკურმა კაცმა, — თქვენთვის ახლა ხომ სულ ერთია...

— ნახევარი გირვანქა ქვირითიდან სამ დღეში იმდენი თავკომბალა გამოიჩეკება, დათვლა შეუძლებელია, — გაჰკიოდა რეპორტიდან უჩინარი.

— პი-პი, — ყრუდ გაჰკიოდნენ აუტომობილები მოხოვავიაზე.

— ოჰო-ჰო... დახე, დახე, ოჰო-ჰო, — ბუბუნებდა თავაწეული ხალხი.

— როგორი არამზადაა, პა? — ჩაუსისინა რკინისფეხიან კაცს ბრაზისგან აკანკალებულმა პერსიკოვმა, — ეს ამბავი როგორ მოგწონთ? უეჭველად ვუჩივლებ!

— აღმაშფორთებელია! — დაეთანხმა ღიპიანი კაცი.

პროფესორს სვალის მოსჭრა დამაბრძანებელმა იისფერმა შუქმა. ირგვლივ ყველაფერი გაბრწყინდა — ფარნის ბოძი, ქვაფენილის კუთხე, ყვითელი კედელი, ცნობისმოყვარე სახეები.

— თქვენ გიღებენ, ბატონო პროფესორო, — აღფრთოვანებით ჩასჩურჩულა ღიპიანმა კაცმა პროფესორს და სახელოზე ჩამოეკიდა. ჰაერში რაღაც აღრჭიალდა.

— ჯანდაბას ამათი თავი! — ნაღვლიანად წამოიყვირა პერსიკოვმა, ბრბო გაარღვია და სახელოზე ჩამოკიდებული ღიპიანი კაციც თან გაიყოლა, — ჰეი, ტაქსომოტორო! პრეჩისტენკაზე!

ოცდაათხი წლის კონსტრუქციის ძველი, გაქერცლილი მანქანა ტროტუართან ათუხთუხდა და პროფესორი ლანდოში შებობლდა, თან ცდილობდა ღიპიანი კაცი თავიდან მოეშორებინა.

— თქვენ ხელს მიშლით, — სისინით ამბობდა იგი და იისფერ შუქისგან სახეს მუშტებით იფარავდა.

— წაიკითხეთ?! რას გაჰყვებიან?... მაღაია ბრონაიაზე პროფესორ პერსიკოვისთვის ყელი გამოუჭრიათ შეიღებთან ერთად!.. — გაჰკიოდნენ ირგვლივ.

— მე შვილები არა მყავს, თქვე მამამაღლებო, — დაიდრიალა უცებ პერსიკოვმა და მისი პროფილი, დაღჩენილი პირი და რისხვით ანთებული თვალები უცებ შავი აპარატის ფოკუსში მოექცა.

— კრხ... ტუ... კრხ... ტუ, — აღმუვლდა ტაქსომოტორი და ხალხის ტალღა გაარღვია.

ღიპიანი კაცი უკვე ლანდოში იჯდა და პროფესორს გვერდს უთბობდა.

თ ა ვ

ქათმების აბაზი

კოსტრომის გუბერნიის სტეკლოვსკის მაზრის პატარა შტატგარეშე სამაზრო ქალაქში, ყოფილ ტროიციკში, ამჟამად სტეკლოვსკში, ყოფილ სობორხაიას, ამჟამად კი პერსონალნიას ქუჩაზე მდებარე სახლის პარმალზე ხილბანდით თავწაკრული, თაიგულებით მორთული ნაცრისფერი კაბით შემოსილი ქალი გამოვიდა და აქვითინდა. ეს ქალი, ყოფილი ტაძრის ყოფილი დეკანოზის ქვრივი

დროზდოვა ისე ხმამაღლა ქვითინებდა, რომ სულ მალე ქუჩის გაღაღმა მდებარე სახლის ფანჯრიდან თავი გამოყო თიუთიკის თავშალიანმა ქალმა და შესძახა:

— რა მოხდა, სტეპანოვნა, კიდევ ერთი მოკვლა?

— მეჩვიდმეტე! — ქვითინით უპასუხა ყოფილმა დროზდოვამ.

— ვაი-ვაი-ვაი, — კრუსუნით თავი გააქნია თავშალიანმა ქალმა, — რა ხდება ჩვენს თავს? ჭეშმარიტად უფალი გაგვირისხდა! მარტო მოკვდა?

— ნახე, ნახე ერთი, მატრიონა, — ხმამაღლა, მწარედ ასლუკუნდა მღვდლის ქვრივი, — ნახე ერთი, რა დღეშია!

გადაღრეცილი რუხი კუტიკარი გაჯახუნდა, ფეხშიშველი ქალი მტვრიან ქუჩაზე გაფლატუნდა და ცრემლებით სახედაჟივებული ქვრივი მატრიონას საქათმის ეზოში შეუძღვა.

უნდა ითქვას, რომ ანტირელიგიურ შემოტევათა შედეგად 26 წელში გარდაცვლილ დეკანოზ საბა დროზდოვის ქვრივს ყურები არ ჩამოუყრია და მექათმეობას ჰიპო ხელი. მაგრამ საქმე როგორც კი სასიკეთოდ დაიძრა, ისეთი გადასახადი შეაწერეს, კეთილი ადამიანები მხარში რომ არ ამოსდგომოდნენ, მექათმეობისთვის თავი უნდა მიენებებინა. მათ ქვრივი შეაგულიანეს, ადგილობრივ ხელისუფლებას განცხადება მიუტანეს იმის თაობაზე, რომ ქვრივის მექათმეობის შრომითი არტელის დაარსება სურსო. არტელის შემადგენლობაში შევიდნენ: თვითონ დროზდოვა, მისი ერთგული მოახლე მატრიონა და ქვრივის ყრუ დისშვილი. ქვრივს გადასახადი მოუხსნეს და მისი მექათმეობა ისე გაიფურჩქნა, რომ 28 წლის დამდეგს საქართვებით გარშემორტყმულ მტვრიან ეზოში ორას ორმოცდაათამდე ქათამი დადიოდა, რომელთა შორის კობინინებიც კი ერია. ქვრივის კვერცხები ყოველ კვირა დღეს იყიდებოდა სტეკლოვსკის ბაზარზე, კვერცხები გაქონდათ ტაშოვში, ზოგჯერ კი მოსკოვამდეც აღწევდა და ყველ-კარაქის მაღაზიის შემინულ ვიტრინებში მოჩანდა, უწინ ჩიჩკინს რომ ეკუთვნოდა.

პოდა, მეჩვიდმეტე დედალი, ქვრივის საყვარელი ქოჩორა ბრამაპუტრა დილას აქეთ ეზოში დალასლასებდა და პირს აღებინებდა. „ერ... რრრ... ურლ... ურლ კო-კო-კო“, — ჩაიკაკანებდა ქოჩორა და მხეს ისე ნაღვლიანად ახედავდა ხოლმე, თითქოს უკანასკნელად ხედავდა. მღვდლის წინ ჩაცუცქებულ არტელის წვერ მატრიონას ხელში წყლით სავსე ჯამი ეჭირა და აქეთ-იქით დახტოდა.

— ქოჩორა, საყვარელო... ჯუ-ჯუ-ჯუ... წყალი დალიე, — ემუდარებოდა დედალს მატრიონა და ნისკარტის წინ ჯამს უტრიალებდა, მაგრამ ქოჩორას წყლის დაღევა არ უნდოდა, პირს ფართოდ აღებდა და თავს მაღლა სწევდა. მერე კი ღებინებისას სისხლიც ამოანთხია.

— ღმერთო დიდებულო! — შესძახა სტუმარმა და თემოებზე ხელები შემოირტყა, — ეს რა ხდება? მარტო სისხლს ანთხევს. არასოდეს მინახავს ქათამს ადამიანივით მუცლისგვრემა სჭირდეს.

ეს საბრალო ქოჩორასთვის უკანასკნელი გზის დასალოცი სიტყვები გამოდგა. იგი უეცრად გვერდზე გადაგორდა, ნისკარტი მტვრიან მაწას უმწეოდ გაუსვა და თვალები გადაატრიალა, მერე ზურგზე გადაბრუნდა, ორივე ფეხი მაღლა აფარჩხა და ასე გაშეშდა. მატრიონა ბოხი ხმით აქვითინდა და ჯამიდან წყალი დაედვარა. ატირდა თვითონ ქვრივაც — არტელის თავმჯდომარე. სტუმარი მისკენ დაიხარა და ყურში ჩასჩურჩულა:

— სტეპანოვნა, მიწამ მიყოს პირი, თუ შენი ქათმები არ გათვალეს. ასეთი

რამ სად გაგონილა! ასეთნაირი ქათმის ავადმყოფობა არ არსებობს! შენს ქათმებს ვილაცამ ჯადო შეუკრა.

— მტრებმა მიყვეს!! — ცას შეღალადა მღვდლის ქერივმა, — რას მერჩიან, წუთისოფელს უნდათ რომ გამომასალმონ?

მის ხმას აჰყვა მამლის ხმამალალი ყივილი, რის შედეგად ბუმბულგანგა-ლი გამხდარი მამალი საქათმიდან გვერდულად ასე გამოვარდა, გვეგონებოდათ, ლუდხანიდან შფოთიანი ლოთი გამობანცალდაო. მამალმა ეზოში შერწყმისნულ-ლები დაუბრიალა, ერთ ადგილას დაბზრიალდა, ფრთები არწივივით გაშალა, მაგრამ არსად გაფრენილა და ეზოში წრეზე იწყო სირბილი თოკზე გამობმული ცხენივით-მესამე წრეზე გაჩერდა, ღებინება აუტყდა და ხრიალ-ხროტინს მოჰყვა, იქაურობა სისხლით მორწყა, პირალმა გადატრიალდა და ფეხები შხისკენ ანძებივით აფარჩხა. ქალების კივილმა მთელი ეზო შეძრა. კივილს საქათმეებიდან მოუსვენარი კუტკუტი, ფრთების ფართხუნი და ქოთქოთი აჰყვა.

— მაშ გათვალულები არ არიან? — თავდაჯერებულად იკითხა სტუმარმა, — მამა სერგი მოიყვანე და პარაკლისი გადაახდევინე.

საღამოს ექვს საათზე, როცა დასალიერისკენ დაქანებული მზის ცეცხლოვანი ბურთი აყვავებულ მზესუმზირებს შორის აბრიალდა, ტადრის წინამძღვარმა მამა სერგიმ მექათმეობის ეზოში პარაკლისი დაასრულა და ეპიტარქილი გაიხადა. ძველი მესრის ზემოდან და ღრიჭოებიდან ცნობისმოყვარეთა თავები მოჩანდა. დამწუხრებული ქერივი ჯვარს ემთხვია და მამა სერგის ცრემლებით დასველებული, დაძენძილი, გაყვითლებული მანეთიანი მისცა. მამა სერგიმ ფული გამოართვა და დააყოლა, ღმერთი გვირისხდებო, თან ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, კარგად ვიცო, ღმერთი რატომაც გვირისხდება, მაგრამ არ ვაბობო.

ამის მერე ქუჩაზე მყოფნი წაყიდ-წამოვიდნენ და, რადგან ქათმები აღრე იძინებენ, არავის შეუტყვია, რომ მღვდლის ქერივის მეზობლის საქათმეში ერთბაშად სამი დედალი და ერთი მამალი მოკვდა. მათაც ისევე აღებინებდათ, როგორც დროზდოვას ქათმებს, მაგრამ კარგამოკეტილ საქათმეში უხმაუროდ დაიხოცნენ. მამალი ქანდარიდან თავდაყირა ჩამოვარდა და ასევე თავდაყირა მოკვდა. ქერივის ქათმები კი პარაკლისის დამთავრებისთანავე დაიხოცნენ. საღამოთი საქათმეში მღუმარებამ დაისადგურა, ყველგან გროვებად ეყარა გაშეშებული ფრინველები.

ღილით ქალაქმა მუხდაცემულივით გამოიღვიძა, ამბები უცნაურად და შემზარავად განვითარდა. პერსონალნიას ქუჩაზე შუადღისთვის სამი ქათამილა იყო ცოცხალი, ისიც განაპირა სახლში, სადაც მაზრის ფინინსპექტორს ჰქონდა ბინა დაქირავებული, მაგრამ დღის პირველ საათამდე ისინიც დაიხოცნენ. საღამოთი ქალაქი სტეკლოვსკი სკასავით ზუზუნებდა და ბობოქრობდა, ყველგან გაისმოდა შემზარავი სიტყვა „ჭირი“. დროზდოვას გვარი ადგილობრივ გაზეტ „წითელ მებრძოლში“ მოხვდა, სადაც დაიბეჭდა სტატია: „ნუთუ ქათმის ჭირი გაჩნდა?“ იქიდან კი ქერივის სახელი მოსკოვსაც მისწვდა.

* * *

პროფესორ პერსიკოვის ცხოვრება უცნაური, მშფოთვარე და მღელვარე შეიქნა. ერთი სიტყვით, ამგვარ ვითარებაში მუშაობა შეუძლებელი გახდა. მეორე დღეს, ანუ მას შემდეგ, რაც აღფრედ ბრონსკის თავი დააღწია, ინსტიტუტში თავის კაბინეტში ყურმილი გადადო და ტელეფონი გამოთიშა, ხოლო საღამოთი, როცა ოხოტნიჩი რიადზე ტრამვავით მიდიოდა, საკუთარი თავი დაინახა უზარმაზარი სახლის სახურავზე, სადაც მოჩანდა წარწერა: „მუშათა გა-

ხეთი“, იგი, პროფესორი, ხან ნაწილ-ნაწილ იშლებოდა, ხან მწვანდებოდა, ხან ციმციმებდა, ტაქსის ლანდოში მიძვრებოდა, სასაბნე დრაფით შემოსილი მექანიკური ბურთი სახელღზე ეჯავჯვებოდა და ისიც ლანდოში ეტენებოდა. სახურავზე გაჭიმულ თეთრ ეკრანზე პროფესორი იისფერი შუქისგან სახეს მუშტებით იფარაუდა. შემდეგ გამოხტა ცეცხლოვანი წარწერა: „ავტომობილით მიმავალი პროფესორი პერსიკოვი განშარტებას აძლევს ჭვენიჭხუფეგანთქმულ რეპორტიორს კაპიტან სტეპანოვს“. მართლაც: ქრისტესმცოდნეობა, ეოლხონკაზე ჩაირიხინა დანჯღრეულმა ავტომობილმა, შიგ პროფესორი ლაყლაყებდა, სახე მახეში მომწვედელ მგელს, მიუგავდა.

— ესენი ადამიანები კი არა, ნამდვილი ეშმაკეულები არიან, — კბილებში გამოსცრა პროფესორმა, როცა იქაურობას მანქანით ჩაუარა.

იმავე საღამოს შინ დაბრუნებულ პროფესორს მარია სტეპანოვნამ 17 ჩანაწერი დაახვედრა იმათი ტელეფონის ნომრებითურთ, ვინც პროფესორს ურეკავდა, როცა იგი შინიდან წასული იყო, თანაც განუცხადა, ამდენი რეკვით გამაწამესო. პროფესორს უნდოდა ჩანაწერი დაეხია, მაგრამ შეჩერდა, რადგან ერთი ნომრის გასწვრივ მინაწერი დაინახა: „ჯანმრთელობის დაცვის სახელხო კომისარი“.

— რა ამბავია? — თქვა მართლაცდა საგონებულში ჩავარდნილმა პროფესორმა, — რა ჯანდაბა დაემართათ?

იმავე საღამოს, 10 საათსა და 15 წუთზე ზარის ხმა გაისმა და პროფესორი იძულებული შეიქნა თვალისმომჭრელად გამოწკეპილ ვილაც მოქალაქესთან ესაუბრა, ვინც მიიღო სავიზიტო ბარათის გამო, რაზედაც (გვარისა და სახელის გარეშე) ეწერა: „საბჭოების რესპუბლიკაში უცხოეთის წარმომადგენლობათა სავაჭრო განყოფილებების სრულუფლებიანი შეფი“.

— ჯანდაბას მაგისი თავი, — ჩაიღრინა პერსიკოვმა, მაუდზე ლუპა და რიდაც დიაგრამები დაყარა და მერე მარია სტეპანოვნას უთხრა: — ბატონი რწმუნებული აქ, კაბინეტში მოიწვიეთ.

— რით შემძლია გემსახუროთ? — ისეთი ტონით ჰკითხა შეფს პერსიკოვმა, რომ მას ოღნავ შეაფრთოლა, პერსიკოვმა სათვალე შუბლზე აიწია, მერე ისევ ჩამოიწია და ვიზიტორი შეათვალაიერა. იგი ერთიანად ლაქისა და პატიოსანი თვლების ელვარებას აფრქვევდა, ხოლო მარჯვენა თვალში მონოკლი ჰქონდა ჩამაგრებული. „რა საძაგელი სიფათი აქვს“, — რატომღაც გაიფიქრა პერსიკოვმა.

სტუმარმა შორიდან დაიწყო, სახელდობრ, ნებართვა ითხოვა, სივარას მოეწვეო, რის გამოც პერსიკოვმა დაჯდომა შესთავაზა, თუმცა ძალზე უხალისოდ. ამის შემდგომ სტუმარმა მოიბოდიშა იმის გამო, რომ ასე გვიან ეწვია. „თუმცა... შეუძლებელია ბატონი პროფესორის დღისით დაჭერ... ხი-ხი... პარდონ... მიგნება“ (სტუმარი სიცილისას აფთარივით ქშუტუნებდა).

— დიახ, მოუცლელი ვარ! — ისე მოკლედ უპასუხა პერსიკოვმა, რომ სტუმარს ფრთოდამ ხელმეორედ დაუარა.

მოუხედავად ამისა, მან თავს ნება მაინც მისცა სახელგანთქმული მეცნიერი შეეწუხებინა — როგორც იტყვიან, დრო ფულიაო... პროფესორს სივარა ხომ არ აწუხებსო?

— მურ-მურ-მურ, — უპასუხა პერსიკოვმა, ნება ხომ დაგრთეთო.

— პროფესორმა ხომ სიცოცხლის სხივი აღმოაჩინა?

— მომიტევეო, რა სიცოცხლის სხივი?! ეს მეგაზეთეების შეთხზულია! — გამოცოცხლდა პერსიკოვი.

— ოჰ, არა, ხი-ხი-ხი... — რწმუნებული მშვენივრად ამჩნევს თავმდაბლობას, რაც ყველა ნამდვილ მეცნიერს ჭეშმარიტად აშშვენებს... ამას თქმა აღარ უნდა... დღეს დეპეშები მოვიდა... მსოფლიოს დიდ ქალაქებში — ვარშავაში, რიგაში — სხივის თაობაზე უკვე ყველაფერი ცნობილია. პროფესორ პერსიკოვის სახელი მთელ მსოფლიოს პირზე აკერია... მთელი მსოფლიო სულგანაბრული ადევნებს თვალს პროფესორ პერსიკოვის მუშაობას... მაგრამ ყველაზე კარგად უწყის, საბჭოთა რუსეთში მეცნიერთა მდგომარეობა რა მძიმეა...¹ აქ უცხო ხომ არავინ არის?.. ვაი, რომ აქ სამეცნიერო შრომების დაფასება არ იციახ. ისე რომ, იგი პროფესორთან მოლაპარაკებას ისურვებდა... ერთი უცხოური სახელმწიფო პროფესორ პერსიკოვს ლაბორატორიული მუშაობის ჩატარებაში სრულიად უანგარო დახმარებას სთავაზობს. როგორც წმინდა წერილი გვეუბნება, ღორებს მარგალიტები არ უნდა დაუყარო. სახელმწიფომ იცის, რა გადაიტანა პროფესორმა 18 და 20 წლებში, ხი-ხი... რევოლუციის დროს. რა თქმა უნდა, საიდუმლოება მკაცრად იქნება დაცული... პროფესორი ამ სახელმწიფოს გააცნობს თავისი მუშაობის შედეგებს, ხოლო სახელმწიფო ამის საფასურად პროფესორს დააფინანსებს. პროფესორმა ხომ კამერა ააგო, პოლა, საინტერესო იქნებოდა ამ კამერის ნახაზებს გავცნობოდი...

სტუმარმა ეს თქვა და პიჯაკის შიდა ჯიბიდან ქალაღების ქათქათა დასტა ამოიღო.

ეს უმნიშვნელო რაღაცაა: 5 000 მანეთი, მაგალითად, ბეს სახით, პროფესორს შეუძლია ამ წუთასვე მიიღოს... არც ხელწერილი იქნება საჭირო... პროფესორი ხელწერილზე სიტყვას თუ დაძრავს, სავაჭრო წარმომადგენლობათა შეფს დაღად გაანაწყენებს.

— მომწყდით თავიდან! — უცებ ისე შემზარავად შეჰყვირა პროფესორმა, რომ სასტუმრო ოთახში პიანინოს კლავიშებმა ხმა გამოსცა.

სტუმარი ისე გაუჩინარდა, რომ მრისხანებისგან აკანკალებული პერსიკოვი თავადვე შეეჭვდა, ეს ჰალუცინაცია ხომ არ იყო.

— ეს მისი კალოშებია?! — ერთი წუთის შემდეგ წინკარში აყვირდა პერსიკოვი.

— დავიწყებია, — უპასუხა აკანკალებულმა მარია სტეპანოვნამ.

— ახლავე გადაყარეთ!

— სად უნდა გადავყარო. თვითონ მოვა და წაიღებს.

— სახლის კომიტეტს ჩააბარეთ. ხელწერილი გამოართვით. ეს კალოშები თვალთ აღარ დამანახოთ! კომიტეტს მიუტანეთ! ჩაიბარონ ჯამუშის კალოშები!..

მარია სტეპანოვნამ პირჯვარი გადაიწერა, საუცხოო ტყავის კალოშები უკანა გასასვლელიდან გაიტანა, კარს იქით ცოტა ხანს იდგა და მერე საკუჭნაოში შეინახა.

— ჩააბარეთ? — ბობოქრობდა პერსიკოვი.

— ჩავაბარე.

— ხელწერილი მომეცით.

— ვლადიმირ იპატიჩი, თავმჯდომარემ ხომ წერა-კითხვა არ იცის!..

— ახლავე. ამ წუთას. მომიტანე. ხელწერილი. ხელი ვინმე წერა-კითხვის წვდონე მამამაღლმა მოაწეროს!

მარია სტეპანოვნამ თავი გადაქნია და თხუთმეტ წუთში ხელწერილით დაბრუნდა, სადაც ეწერა:

1. ჩვენ შორის დარჩეს (ფრანგ.).

„პროფ. პერსიკოვისგან ფონდში მიღებულია 1 (ერთი) წყვ. კალოში. კოლესოვი“.

— ეს რაღაა?

— ფეტონი.

პერსიკოვიმა ფეტონი ფეხით გათელა, ხელწერილი კი მიწის ქვეშ ამოდო. მერე რაღაც აზრმა შუბლი მოუქუფრა, ტელეფონს ეცა, ინსტიტუტში იმდენ ხანს რეკა, პანკრატი გამოაფხიზლა და ჰკითხა: „ეგრეთვე რიგზეა?“ პანკრატიმა ყურმილში რაღაც ჩაიბურღუნა, რითაც მიხვდებოდით, რომ, მისი აზრით, ყველაფერი რიგზე იყო. მაგრამ პერსიკოვი მხოლოდ ერთი წუთით დამშვიდდა. წუთის შემდეგ ტელეფონს კვლავ შუბლშეჭმუნული ეპგერა და ყურმილში ჩასძახა:

— მომეცით ისა, რა ჰქვია, ლუბიანკა. მერსი... მანდ თქვენთან ვის უნდა ვუთხრა... ჩემთან ვიღაც კალოშებიანი საეჭვო სუბიექტები მოდიან, დიახ... IV უნივერსიტეტის პროფესორი პერსიკოვი...

ყურმილში ლაპარაკი უცებ შეწყდა. პერსიკოვი ტელეფონს ლანძღვა-გინებლით მოშორდა.

— ვლადიმირ იპატინი, ჩაის მიირთმევთ? — კაბინეტში მოკრძალებით შემოიხედა მარია სტეპანოვნამ.

— ჩაის არ დავლევ... მურ-მურ-მურ, ჯანდაბას იმათი თავი... ყველა ასე რამ ვადარია.

ზუსტად ათი წუთის შემდეგ პროფესორმა კაბინეტში უკვე ახალი სტუმრები წიილი. ერთ მათგანს, სასიამოვნო, ჩამრგვალებულ, ძალზე ზრდილ კაცს ხაკისფერი სადა სამხედრო ფრენჩი და რეიტუზი ეცვა. ცხვირზე ბროლის პეპელასავით აჯდა პენსნე და გალაქული ჩექმებით შემოსილ ანგელოზს ჰგავდა. მეორეს, პირქუშ კაცს, სამოქალაქო ტანსაცმელი ემოსა, მაგრამ ეტყობოდა, რომ ამ ტანსაცმელში თავს უხერხულად გრძნობდა. მესამე სტუმარი უცნაურად მოიქცა, პროფესორის კაბინეტში კი არ შევიდა, სანახევროდ ჩაბნელებულ წინკარში დარჩა, თანაც ისეთ ადგილას დაჯდა, რომ განათებული და თამბაქოს კვამლის სვეტებით გავსებული კაბინეტი თავით ბოლომდე დაენახა. ამ მესამეს, აგრეთვე სამოქალაქო ტანსაცმლით შემოსილ კაცს, კვამლისფერი პენსნე ეკეთა.

კაბინეტში მყოფებმა პერსიკოვი ძალზე გააწამეს, სავიზიტო ბარათი ათვალდერეს, ხუთი ათასი მანეთის ამბავი გამოჰკითხეს, სტუმრის გარეგნობა ააწერინეს.

— ეშმაკმა უწყის იმისი თავი, — ბურტყუნებდა პერსიკოვი, — როგორია და საზინდარი ფიზიონომია აქვს, დეგენერატისა.

— შუშის თვალი ხომ არ ჰქონდა? — ჩახლენილი ხმით ჰკითხა ტანდაბალმა კაცმა.

— ეშმაკმა უწყის. თუმცა არა, შუშისა არ ჰქონდა, თვალები აქეთ-იქით გაურბოდა.

— რუბინშტეინი? — ხმადაბლა ჰკითხა ანგელოზმა სამოქალაქოტანსაცმლიან ტანდაბალ კაცს. მაგრამ მან პირქუშად შეხედა და თავი უარის ნიშნად გააქნია.

— რუბინშტეინი ხელწერილის გარეშე ფულს არავის მისცემს, — ჩაიბურტყუნა მან, — ეს რუბინშტეინის ნახელავს არ ჰგავს. ვიღაც, უფრო მაღალი დონისა უნდა იყოს.

კალოშების ამბავმა სტუმრები ძალზე დააინტერესა. ანგელოზმა სახლის კომიტეტის ტელეფონის ნომერი აკრიფა და ყურმილში სულ რამდენიმე სიტყვა

ჩასძახა: — „სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო ითხოვს, სახლის კომიტეტის მდივანი კოლესოვი ამ წუთას მოვიდეს პროფესორ პერსიკოვის ბინაში და კალოშები მოიტანოს“, — ჰოდა, გაფითრებული კოლესოვი უმაღ კაბინეტში გაჩნდა, ხელში კალოშები ეჭირა.

— ვასენკა! — ხმადაბლა გასძახა ანგელოზმა წინკარში მჯდარ კაცს. იგი აიზღაზნა და კაბინეტში შებანცალდა. კვამლისფერ მინებს მისი თვალები მთლად შთაენთქა.

სიზღირსიქა

— რა? — ღუნე ხმით მოკლედ იკითხა მან.

— კალოშები.

შემოსულმა კალოშებს დაბინდული თვალები შეავლო, ამასთანავე პერსიკოვს მოეჩვენა, რომ მინებს ქვემოდან, გვერდულად, ერთი წაძით იელვა ღუნემ კი არა, პირიქით, განსაცვიფრებლად სუსხიანმა მზერამ. მაგრამ თვალთა ელვარება მეყსეულად ჩაცხრა.

— დაფიქრდი, ვასენკა!

იმან, ვისაც ვასენკას უწოდებდნენ, უხალისოდ უპასუხა:

— ამას დაფიქრება რად უნდა. პელეენკოვსკის კალოშებია.

ფონდი პროფესორ პერსიკოვის საჩუქარს უმაღვე გამოეთხოვა. კალოშები გაზეთში გაახვიეს. უსაზღვროდ გახარებული ფრენიანი ანგელოზი წამოდგა და პროფესორს ხელი მაგრად ჩამოართვა, თან მოკლე სიტყვაც კი წარმოთქვა ამგვარი შინაარსისა: პროფესორი ღირსეულად მოიქცა... პროფესორს შეუძლია მშვიდად იყოს... მეტად აღარავინ შეაწუხებს არც ინსტიტუტში, არც სახლში... ზოშები მიღებული იქნება, მის კამერებს არავითარი საფრთხე არ ელის...

— არ შეიძლება, რეპორტიორები რომ დახვრიტოთ? — იკითხა პერსიკოვმა და სტუმრებს სათვალის ზემოდან გადახედა.

ამ შეკითხვამ სტუმრები ძალზე გაამხიარულა. არა მარტო პირქუშმა ტანდაბალმა კაცმა, არამედ წინკარში მყოფმა კვამლისფერპენსნეიანმაც კი გაიღიმა. სახეგაბადრულმა ანგელოზმა პერსიკოვს გაჩუქარტა. ჯერჯერობით ეს შეუძლებელიაო... რა თქმა უნდა, კარგი იქნებოდა, მაგრამ მაინც პრესაა... თუმცა შრომისა და თავდაცვის საბჭოში ამგვარი პროექტი უკვე მზადდებაო.

— ვინ იყო ის გაიძვერა, მე რომ მესტუმრა?

ახლა სახეზე ღიმილი ყველას გაუქრა. ანგელოზმა მიკიბულ-მოკიბულად უპასუხა, ვილაც წვრილფეხა აფერისტი იყო, ყურადღების მიქცევადაც კი არა ღირსო... მიუხედავად ამისა, მოქალაქე პროფესორს დაბეჯითებით ეთხოვთ, ამ საღამოს მომხდარი ამბავი საიდუმლოდ შეინახოსო.

პერსიკოვი კაბინეტში თავის დიაგრამებს დაუბრუნდა, მაგრამ მუშაობის დაწყება მაინც არ დასცალდა. ტელეფონმა ცუცხლოვანი რგოლი ააკიაფა და ქალის ხმამ პროფესორს შესთავაზა, შვიდოთახიანი ბინის მქონე საინტერესო და ვნებიანი ქვრივი ქალის შერთვას. ხომ არ ინებებთო. პერსიკოვმა ყურმილში ჩაკვივლა:

— გირჩევთ პროფესორ როსოლიმოსთან¹ იმკურნალოთ...

მაგრამ ტელეფონი კვლავ აწკრიალდა.

ახლა კი პერსიკოვი ცოტათი მოღბა, რადგან კრემლიდან საკმაოდ ცნობილი პიროვნება ურეკავდა; დიდხანს თანაგრძნობით ელაპარაკა, სამუშაოს თაობაზე

1. გ. ი. როსოლიმო

1. გ. ი. როსოლიმო (1860-1928) — ცნობილი ნევროპათოლოგი, მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი.

ბევრი რამ გამოჰკითხა და სურვილი გამოთქვა, ლაბორატორიას მოვიწახულებო. ტელეფონს როცა ჩამოსცილდა, პერსიკოვმა შუბლიდან ოფლი მთიწმინდა, მერე ყურმილი განზე გადადო. ახლა ზედა სართულის ბინაში საყვირები აგრიალდა და ვალკირიას კივილმა იქაურობა გააყრუა, — მაუდის ტრესტის დირექტორის რადიომიმღებმა დიდი თეატრიდან ვაგნერის კონცერტის გადმოცემა დაიჭირა. პერსიკოვმა ჭერიდან მომდინარე კივილ-გრიალში ძარია სტუქტოვნის — ვანუცხადა, დირექტორს სასამართლოში ვუჩივლებ, რადიომიმღებს დეტექტორს მსკოვიდან გადავიკარგები, რადგან, ცხადია, ჩემი გაძევება აქვთ განზრახულიო. მერე ლუპა გატეხა, დასაძინებლად კაბინეტში დივანზე დაწვა და ძაღვ ჩაეძინა კლავიშების ნაზ ხმაზე, სახელგანთქმული პიანისტის თითები დიდ თეატრში რომ გამოსცემდა.

სიურპრიზები არც მეორე დღეს შეწყვეტილა. ინსტიტუტში ტრამპაით მი-
სულ პერსიკოვს პარმალზე უცნობი მოქალაქე დახვდა, თავზე მოღური კოთხოქუ-
დი რომ ეხურა. ამ მოქალაქემ პერსიკოვი დაკვირვებით შეათვალიერა, თუმცა
არაფერი უკითხავს და ამიტომ პერსიკოვს მასზე გული არ მოსვლია. მაგრამ
ინსტიტუტის წინკარში დაბნეული პანკრატის გარდა პერსიკოვის შესახვედრად
მეორე კოთხოქუდიანი კაცი წამოდგა და ზრდილობიანად მიესალმა:

— გამარჯობათ, მოქალაქე პროფესორო.

— რა გნებავთ? — მრისხანედ ჰკითხა პერსიკოვმა და პანკრატის დახმარე-
ბით პალტო გაიხადა. მაგრამ კოთხოქუდიანმა პერსიკოვი უმალ დაამშვიდა, უნა-
ზესი ხმით ჩასჩურჩულა, ამოდ დელავთო. აქ სწორედ იმიტომ გახლავართ, რომ
მომაბეზრებელი სტუმრები თავიდან მოგაშორეთ, პროფესორს შეუძლია არა
ძარტო კაბინეტის კარს იქით, ფანჯრის იქითაც მშვიდად იყოსო. ამის შემდეგ
უცნობმა პიჯაკის ბორტი წამით გადაწია და პროფესორს რაღაც ნიშანი აჩვენა.

— ჰმ... თქვენ საქმე მართლა გამართული გქონიათ, — ჩაიბუხუნა პერსიკოვმა
და მერე მიამიტად დაუმატა: — აქ რა უნდა ჭამოთ?

ამაზე კოთხოქუდიანმა ჩაიციხა და პროფესორს განუმარტა, შემცვლიანო.

შემდგომმა სამმა დღემ დიდებულად ჩაიარა. პროფესორს კრემლიდან ორჯერ
ეწვივნენ; ერთხელაც სტუდენტები მოვიდნენ, რომელთაც პერსიკოვმა გამოცდა
ჩაუტარა და ყველა ჩაჭრა. ჩაჭრილებს სახეზე ეტყობოდათ, რომ პერსიკოვი მათ
უსაზღვრო შიშს აღუძრავდა.

— კონდუქტორებად იმუშავეთ! ზოოლოგიის შესწავლის თავი თქვენ არა
ვაქვთ, — მოისმოდა კაბინეტიდან.

— მკაცრია? — ჰკითხა პანკრატს კოთხოქუდიანმა.

— უჰ, ღმერთმა ყველა დაიფაროს, — უპასუხა პანკრატმა, — თუკი ვინმემ
გამოცდის ჩაბარება შეძლო, ჩემო კარგო, კაბინეტიდან ბარბაცით გამოდის, ცხრა
პირი ტყავი აქვს გამძვრალი. აქედან გავა და მაშინვე ლუდხანაში გარბის.

ამ საქმეებით გართულმა პროფესორმა ვერც კი შეამჩნია, სამმა დღემ ისე
გაიბრინა, მაგრამ მეოთხე დღეს ქვეყნიერებას კვლავ დაუბრუნდა და ამის მიზეზი
გამკვივანი ხმა გახლდათ, ქუჩიდან რომ შემოესმა.

— ვლადიმერ იპატიჩ! — გერცენის ქუჩიდან შემოიჭრა ხმა კაბინეტის გამო-
დებულ ფანჯარაში. ხმის პატრონს ბედმა გაუღიმა: პერსიკოვი ბოლო დღეებში
ძალზე გადაიღალა, დასასვენებლად სავარძელში იჯდა, პაპიროსს ეწეოდა არა-
ქათგამოცლილი და ფანჯრისკენ დუნედ იყურებოდა, თავი აღარაფრისა ჰქონდა.
ამიტომ ფანჯრიდან, ცოტა არ იყოს, ცნობისმოყვარედაც კი გადაიხედა და ტრო-
ტუარზე აღფრედ ბრონსკი დაინახა. პროფესორმა წაწვეტებულ შლაპას და

ზლოკნოტს თვალი მოჰკრა თუ არა, ტიტულოვანი სავიზიტო ბარათის მფლობელი მაშინვე იცნო. ბრონსკიმ თავი მისასალმებლად მოკრძალებით, ნაზად დახარა.

— ოჰ, ეს თქვენა ხართ? — ჰკითხა პროფესორმა. გაბრაზების თავი აღარ ჰქონდა. ცნობისმოყვარეობაც კი მოეძალა, მერე რა მოხდებოდა, ფანჯრის შიგნით აღფრედისგან თავს უხიფათოდ გრძნობდა. ქუჩაში მუდმივად მყოფმა კათხორქედნიანმა ბრონსკის ხმაზე ყური უმაღ ცქვიტა. ბრონსკის სახეზე მაამებლური ღიმილი გადაეფინა.

— ორიოდენი წუთით, ძვირფასო პროფესორო, — ხმას აუმაღლა ტროტუარზე მდგარმა ბრონსკიმ, — მხოლოდ ერთ შეკითხვას მოგცემთ, თანაც წმინდა ზოოლოგიურს. ნებას მომცემთ, რომ გკითხოთ?

— შეკითხეთ, — ლაკონიურად და ირონიულად უპასუხა პერსიკოვმა და გაიფიქრა: „ამ არამზადას თითქოს რაღაც ამერიკული აქვს“.

— ქათმებისას რას მეტყვით, ძვირფასო პროფესორო? — პარზე ხელი მოიფარა და ისე ამოსძახა ბრონსკიმ.

პერსიკოვი განცვიფრდა. ჯერ ფანჯრის რაფაზე ჩამოჯდა, მერე ისევ ჩამოხტა, თითი დილაკს დააჭირა, მერე ხელი ფანჯრისკენ გაიშვირა და დაიყვირა:

— პანკრატ, ტროტუარზე კაცი რომ დგას, ჩემთან შემოუშვი.

როცა ბრონსკი კაბინეტში შევიდა, პერსიკოვი უკვე ისე მოღობა, რომ სტუმარს აღერსიანად შესთავაზა:

— დაბრძანდით!

აღფრთოვანებულმა ბრონსკიმ გაიღიმა და ხრახნიან ტაბურეტზე ჩამოჯდა.

— მითხარით, გეთაყვა, — წამოიწყო პერსიკოვმა, — თქვენა წერთ იმ თქვენს გაზეთებში?

— ნამდვილად, — მოკრძალებით უპასუხა აღფრედმა.

— კი მაგრამ, როგორ წერთ, როცა რიგიანად ლაპარაკიც არ შეგიძლიათ. აბა რა არის, „ორიოდენი წუთით“, ანდა „ქათმებისას?“ აღბათ უნდა გეკითხათ: ქათმებზეო, არა?

ბრონსკიმ უმწეოდ და მოკრძალებით გაიციინა:

— ვალენტინ პეტროვიჩი ასწორებს.

— ვალენტინ პეტროვიჩი ვინ არის?

— ლიტერატურული ნაწილის გამგე.

— ჰო, კარგი, თუმცაღა ფილოლოგია არც მე გახლავართ. ამას თქვენი პეტროვიჩის მისამართით ვამბობ. სახელდობრ რის შეტყობა გსურთ ქათმებზე:

— პროფესორო, საერთოდ ყველაფრისა, რასაც მეტყვით.

ბრონსკიმ ფანჯარი მოიძარჯვა. პერსიკოვს თვალებში გამარჯვების ნაპერწკლები აუციმციმდა.

— თქვენ მე ტყუილად მომმართეთ, რადგან ფრთოსნების სპეციალისტი არ გახლავართ. გერჩივნათ I უნივერსიტეტში ემილიან ივანოვიჩ პორტუგალოვისთვის მიგემართათ. პირადად მე ძალზე ცოტა რამ ვიცი.

ბრონსკიმ აღფრთოვანებით გაიღიმა, რითაც პროფესორს ამცნო, ხუმრობას მიგიხვდითო. მერე ბლოკნოტში ჩაჩხაპნა: „ხუმრობს, ცოტა რამ ვიციო!“

— მაგრამ, რაკი გაინტერესებთ, მოგახსენებთ. ქათმები, ანუ ბიბილიონები ქათმისებრთა რაზმის ფრინველები არიან. ხოხბისებრთა ოჯახიდან... — წამოიწყო პერსიკოვმა ხმამაღლა, თანაც ბრონსკის კი არ უყურებდა, სადღაც შორეთისკენ იცქირებოდა, სადაც ათასობით მსმენელს გულისხმობდა... — ხოხბისებრთა ოჯახიდან... ფაზიანიდუ. ეს გახლავთ სქელკანიანი ბიბილოსი და ქვედა ყბის

ქვეშ ორი ლაპოტის მქონე ფრინველი... კმ... თუმცა ნიკაპის ქვეშ ერთი ლაპოტიც გვხვდება... ჰო, კიდევ ფრთები მოკლე და მომრგვალებული... ბოლო საშუალო სიგრძისა, რამდენიმე საფეხურიანი და, შეიძლება ითქვას, სახურავისებური, შუა ბუმბულები ნამგლისებურად მოხრილი...-პანკრატ... მოდელის კაბინეტიდან № 705 მოდელი, გაჭრილი მამალი მოიტანე... თუმცა თქვენ ხომ ეს არ გესაჭიროებათ?... პანკრატ, მოდელს ნუ მოიტან... გიმეორებთ, მე სპეციალისტი არა ვარ, პორტუგალოვთან მიბრძანდით. ჰო, პირადად ჩემთვის ვარაუდობთ, ქათმების სახეობაა ცნობილი... კმ... პორტუგალოვმა მეტი იცის... ინდოეთსა და მალაის არქიპელაგზე. მაგალითად, ბანკიური მამალი ანუ კაზინტუ გვხვდება კიშალაის მთისწინეთში, მთელ ინდოეთში, ასამში, ბირმაზე... ჩანგლისებურბოლოიანი მამალი ანუ გალუს ვარიუსი ლომბოკზე, სუმბავაზე და ფლორესზე. ხოლო კუნძულ იაუაზე ბინადრობს შესანიშნავი მამალი გალუს ენეუსი, სამხრეთ-აღმოსავლეთ ინდოეთში შემოდის დაგისახელოთ ძალიან ლამაზი ზონერატის მამალი... მერე სურათსაც გაჩვენებთ, რაც შეეხება ცეილონს, იქ ბინადრობს სტენლის მამალი, რომელიც სხვაგან არსად გვხვდება.

ბრონსკი თვალეზაჭყეტილი იჯდა და იწერდა.

— კიდევ გსურთ, რაიმე გაუწყობთ?

— მე მინდა რამე მითხრათ ქათმის ავადმყოფობათა თაობაზე, — ხმადაბლა იქვა ალფრედმა.

— კმ, მე სპეციალისტი არა ვარ... პორტუგალოვს გამოჰკითხეთ... თუმცა... ვთქვათ, ლენტასებური მუცლის ჭიები, მწუწნაეები, მუნის ტკიპა, დემოდეკოზი, ფრინველის ტკიპა, ქათმის ტილი ანუ ღინღლიჭამია, რწყილები, ქათმის ქოლერა, ღორწოვანი გარსის კრუპოზულ-დიფთერიული ანთება, პნევმონოპიკოზი, ტუბერკულოზი, ქათმის ქეცი... რამდენიმე რამ შეიძლება შეეყაროს... (პერსიკოს თვალეზაში ნაპერწკლები უხტოდა)... მოწამვლა, მაგალითად, ციკუტათი, სიმსივნეები, ირღისური სენი, სიყვითლე, რევმატიზმი, ახორიონ შენლაინის სოკო... ძალიან საინტერესო ავადმყოფობაა. დასწულებისას ქათამს ბიბილოზე ობისნაირი პაქარა ლაქები უჩნდება...

ბრონსკიმ ჭრელი ცხვირსახოცით შუბლიდან ოფლი მოიწმინდა.

— პროფესორო, ამჟამინდელი კატასტროფის მიზეზი თქვენი აზრით რა უნდა იყოს?

— რა კატასტროფისა?

— რაო, პროფესორო, განა არ წავიკითხავთ? — გაოცდა ბრონსკი და პორტუგალიდან დაჭმუჭნული გაზეთი „იხვესტია“ ამოიღო.

— მე გაზეთებს არ ვკითხულობ, — უპასუხა პერსიკოვმა და წარბები შეიჭმუჭნა.

— პროფესორო, რატომ არ კითხულობთ? — ნაზად ჰკითხა ალფრედმა.

— იმიტომ, რომ გაზეთებში რაღაც მონახმავს წერენ, — დაუფიქრებლად უპასუხა პერსიკოვმა.

— რას ბრძანებთ, პროფესორო, — ჩაიწურჩულა ბრონსკიმ და გაზეთი გაშალა. — ეგ რა არის? — ჰკითხა პერსიკოვმა და ფეხზე წამოდგა. ახლა ნაპერწკლები თვალეზაში ბრონსკის აუკიაფდა. მან ლაქწასმული ფრჩხილების წვეტი გაუსვა უზარმაზარ სათაურს, გაზეთის მთელ გვერდს რომ გასდევდა: „ქათმის ჭირი რესპუბლიკაში“.

— რაო? — ჰკითხა ბრონსკის პერსიკოვმა და სათვალე შუბლზე აიწია.

თავი VI

მოსკოვი 1928 წლის ივნისში

მოსკოვი ეღვარებდა, შუქი ცეკვავდა, ჩაქრებოდა და აენთებოდა, თეატრის მოედანზე ავტობუსების თეთრი ფარები და ტრამვაების მწვანე-შუქ-ბრწყინებდა. ყოფილი მიურის და მერილიზის თავზე დაშენებული შენობის კარავი ზემოთ ჭრელაჭრულა ელექტრული ქალი ხტოდა და ასო-ასო ისროდა ფერად-ფერად სიტყვებს: „მ უ შ ა თ ა კ რ ე დ ი ტ ი“. დიდი თეატრის მოპირდაპირე სკვერში, სადაც ღამით მრავალფერი შადრევანი იფრქვეოდა, ხალხი ირეოდა და გუგუნებდა, ხოლო დიდი თეატრის სახურავზე უზარმაზარი რუპორი გაჰკიოდა:

„ლეფორტის ვეტერინალურ ინსტიტუტში ჩატარებული ქათმის ჭირის საწინააღმდეგო აცრა ბრწყინვალე შედეგს იძლევა. ქათმების სიკვდილიანობა დღეისათვის ორჯერ შემცირდა...“

მერე რუპორი ტემბრს იცვლიდა, შიგ რაღაც აღმუვლდებოდა, თეატრის თავზე მწვანე ჭავლი იფეთქებდა და ჩაცხრებოდა, შემდეგ კი რუპორი ბოხი ხმით წამოიწეებდა:

„ჩამოყალიბდა ქათმის ჭირთან მეტროპოლი საგანგებო კომისია, რომლის შენადგუნლობაში შევიდნენ ჯანმრთელობის სახალხო კომისარი, მიწის სახალხო კომისარი, მეცხოველეობის გამგე ამხანაგი პტახა-პოროსიუკი, პროფესორები პერსიკოვი და პორტუგალი... და ამხანაგი რაბინოვიჩი! ქათმების ჭირთან დაკავშირებით ინტერვენციის ახალი მცდელობანი!.. — ტურასავით გაჰკიოდა და ქვითქვითებდა რუპორი.“

თეატრალურ შესახვევში, ნეგლინაიაზე და ლუბიანკაზე სინათლის თეთრი და იისფერი ზოლები გიზგიზებდა, სხივები იფრქვეოდა, საყვირები გაჰკიოდნენ, შტერის კორიანტელი ადიოდა. კედლებზე გამოკრულ ჭახჭახა წითელი რეფლექტორებით განათებულ განცხადებათა დიდრონი ფურცლების წინ ხალხი ჯგუფ-ჯგუფად იდგა.

„მოსახლეობას სასტიკად ეკრძალება ქათმის ხორცისა და კვერცხის საჭმელად გამოყენება. კერძო მოვაჭრენი ბაზრებზე ქათმის ხორცისა და კვერცხის გაყიდვის მცდელობისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცემიან და მთელი ქონება ჩამოერთმევათ. კვერცხის მქონე ყველა მოქალაქემ კვერცხი სასწრაფოდ უნდა ჩააბაროს მილიციის რაიონულ განყოფილებას“.

„მუშათა გაზეთის“ სახურავზე გაჭიმულ ეკრანზე ქათმები იყო დაზვიანული და მწვანეტანსაცმლიანი, ნაპერწკლებში გახვეული მეხანძრეები ზედ ნავთს შლანგებით ასხამდნენ. ეკრანზე ახლა წითელი ტალღები იქოჩრებოდა, კვამლი იბერებოდა, მერე ფთილა-ფთილა იფანტებოდა და ცისკენ სვეტ-სვეტად მიიწეედა, ბოლოს კი ცეცხლოვანი წარწერა გამოხტებოდა: „ქათმის ლეშის დაწვა ხოდინკაზე“.

ქალაქის მაღაზიები ღამის სამ საათამდე ვაჭრობდნენ, შესვენება მხოლოდ ორჯერ — სადილობისას და ვახშობისას ჰქონდათ. ამ მაღაზიათა გაჩახჩახებულ ვიტრინებს შორის მოჩანდა ფიცრებაჭედილი, ჩაბრძავებული ფანჯრები იმ ფირნიშებს ქვემოთ, სადაც ეწერა: „კვერცხით ვაჭრობა. ხარისხისათვის გარანტია“. მილიციელების თვალწინ ხშირ-ხშირად მძიმე ავტობუსებს საგანგაშო წივილით აწვრებდნენ და წიშინით მიჰქროდნენ მანქანები, რომლებზეც მოჩანდა წარწერა: „პოსჯანგანყოფილება. სასწრაფო დახმარება“.

— ვილაცა კიდევ გამოძღარა აყროლებული კვერცხით, — გაისმოდა ხალხში, პეტროვკაზე მწვანე და ნარინჯისფერ ფარნებს აელვარებდა საქვეყნოდ განთქმული რესტორანი „ამპირი“, სადაც გადასატანი ტელეფონების გვერდით ეწყობოლიქიორის ლაქებით დაფარული მუყაოს ფირნიშები: „მოსსაბჭოს განკარგულებით ომლეტი არ გვექნება. მიღებულია ქორფა ხამანწკები“!

„ერმიტაჟში“, სადაც უსიცოცხლო სიმწვანეში შესატრეფუნად ქუთავედა მძივებივით ჩარიგებული ჩანური ფარნები, თვალისმომჭრელად მსახარებულ ესტრადაზე კუპლეტისტები შრამსი და კარმანიკოვი ჩეჩოტკის ბაგაბუგით მღეროდნენ პოეტების არღის და არგუევის კუპლეტებს.

ვაი, დედა! ვაი, დედა!
უკვერცხოდ რა გვეშველება?

1927 წელს პუშკინის „ბორის გოდუნოვის“ დადგმისას შიშველი ბოიარებით მოხატული ტრაპეციების ჩამონგრევისას დაღუპული ვსევოლოდ მეიერხოლდის სახელობის თეატრმა ელექტრო ფირნიში გამოჰკიდა, რომელზედაც მრავალფერი მოძრავი წარწერა იუწყებოდა, რომ მწერალ ერენდორგის პიესა „ქათმის ჭირის“ დადგმა განახორციელა მეიერხოლდის მოწაფემ, რესპუბლიკის დამსახურებულმა რეჟისორმა კუხტერმანმა. გვერდით, „აკვარიუმში“, მწვანე ესტრადაზე სარეკლამო შუქების ლივლივსა, ნახევრად შიშველი ქალის სხეულის ელვარებასა და ტაშის გრიალში მიმდინარეობდა მწერალ ლენივცევის მიმოხილვა „ქათმის შვილები“. ხოლო ტვერსკაიაზე მწკრივად მიდიოდნენ დრუნჩის ორივე მხარეს ფარანჩამოკიდებული ცირკის ვირები, ზურგზე მოელვარე პლაკატები რომ მქონდათ დამაგრებული: „კორშის თეატრში როსტანის „მანტეკლერი“ განახლდება“.

გაზეთების გამყიდველი ბიჭები მოტორთა გრიალში გაჰკიოდნენ:

— შემზარავი აღმოჩენა მიწისქვეშეთში! პოლონეთი საშინელი ომისთვის ემზადება!! პროფესორ პერსიკოვის საზარელი ცდები!!

ყოფილ ნიკიტინის ცირკში, ნაკვლის საამო სუნით გაჟღენთილ ყავისფერ არენაზე სახეშეთეთრებული კლოუნი ბომე წყალმანკიანივით გაფიქვინებულ კუბოკრულტანსაცმლიან ბიმს ელაზღანდარებოდა:

— ვიცო, რატომაცა ხარ ასე დაღონებული!

— ლატომ? — წრიპანა ხმით ეკითხებოდა ბიმი.

— კვერცხები მიწაში ჩამარხე, მუთხუთმეტე უბნის მილიციაჰ კი აღმოაჩინა.

— ხა-ხა-ხა-ხა, — ისე იცინოდა ცირკი, რომ ნალველნარევი მხიარულებისგან ძარღვებში სისხლი გაგეყინებოდა. ხარხარის ხმა ძველი გუმბათის ქვეშ ტრაპეციებს არხევდა და აბლაბუდას აფრიალებდა.

— ჰო-ოჰ! — ყურისწამლებად შეჰყვირებდნენ კლოუნები და ჩათქვირებულ თეთრ ცხენებზე ამხედრებული, ეოლოსფერი ტრიკოთი შემოსილი, ფეხებჩამოქნილი, საოცრად ლამაზი ქალი არენაზე გამოიჭრებოდა.

უეტარი დიდებით მოსილი შთავონებული პერსიკოვი მოხოვაიაზე მანეჟთან მოციმციმე ცეცხლოვანი საათასკენ მარტოდმარტო მიდიოდა, ზედ არავის უყურებდა, ვერავის ამჩნევდა, გამვლელთა მუჯღუგუნებს არაფრად აგდებდა და ნაზი ხმით მოპატივე კახპებს ყურადღებას არ აქცევდა. ფიქრებში წასული ირგვლივ ვერაფერს ხედავდა, უცნაურ, ძველმოღურად ჩაცმულ კაცს შეეჯახა და თითები იტკინა, ხელი ისე ატაკა ხისბუდიან რეუოლვერს, იმ კაცს ქამარზე რომ ეკიდა,

— ფუ ეშმაკს! — ამოიწროპინა პერსიკოვა — უკაცრავად.

— ბოდიში, — უხიამო ხმით უპასუხა რევოლვერიანმა, მერე ერთმანეთს მოსცილდნენ და ხალხის ზღვას შეერივნენ. პროფესორმა პრეზისტენკისკენ გასწია და ეს შეჯახება უმაღლვე მიაუწყდა.

თავი VII



როკი

არავინ უწყის, მართლა კარგი იყო თუ არა ლეფორტის ექტერიანური აცრები, მარჯვედ მოქმედებდნენ თუ არა სამარული გადამლობი რაზმები, შედეგიანი აღმოჩნდა თუ არა მკაცრი ზომები, რაც კალუგასა და ვორონეჟში კვერცხის შემსყიდველთა მიმართ ჩაატარეს, შედეგიანად მოქმედებდა თუ არა მოსკოვის საგანგებო კომისია, მაგრამ ის კი ცნობილია, რომ პერსიკოვისა და ალფრედის ბოლო შეხვედრიდან ორი კვირის შემდეგ რესპუბლიკების კავშირში ქათმების მხრივ ეველაფერი მოწყვნიდა. პატარა სამაზრო ქალაქების უბნებში ალაგ-ალაგ ობლად ეყარა ქათმის ბუმბულები, მნახველს ცრემლს რომ მოჰკვრიდა, საავადმყოფოებში მოთავსებულ უკანასკნელ დორმუცელებს სისხლიანი ფაღარათი და გულსრევა მალე გაუვლიდათ და გამოჯანმრთელდებოდნენ. ადამიანთა სიკვდილიანობა რესპუბლიკაში, საბედნიეროდ, ათას კაცს არ გადასცილებია. ამ ამბავს არც დიდი არეულობა მოჰყოლია. თუმცა ვოლოკოლამსკი წინასწარმეტყველი გამოჩნდა, ხალხს რომ აუწყებდა, ქათმის ჭირი კომისრებმა გამოიწვიესო, მაგრამ თავისი ქადაგებით დიდ წარმატებას ვერ მიაღწია. ვოლოკოლამსკის ბაზარში დედაკაცებისთვის ქათმების ჩამოსართმევად მისულ რამდენიმე მილიციელს სცენეს და ადგილობრივ ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებაში ფანჯრები ჩაამტერიეს. მაგრამ ვოლოკოლამსკის მარჯვე ხელისუფლებამ, საბედნიეროდ, ზომები მიიღო, რის შედეგადაც წინასწარმეტყველის მოღვაწეობა შეწყდა, ხოლო ტელეგრაფში მინები ჩასვეს.

ჩრდილოეთისკენ გავრცელებულმა ქათმის ჭირმა არხანგელსკსა და სიუშკინისელოკს მიაღწია თუ არა, თავისით შეჩერდა იმის გამო, რომ იმას იქით ველარ გავრცელებოდა, — თეთრ ზღვაში, მოგეხსენებათ, ქათმები არ არიან. ქათმის ჭირი შეჩერდა ვლადივოსტოკშიც, რადგან იმას იქით ოკეანე გახლავთ. შორეულ სამხრეთში გაქრა და ჩაცხრა სადღაც ორდუბატის, ჯულფისა და ყარაბულაკის გადახრუკულ სივრცეებში, ხოლო დასავლეთში, თუმცა საოცარია, სწორედ პოლონეთსა და რუმინეთის საზღვრებზე შეჩერდა. იქ კლიმატი იყო სხვანაირი თუ რეზობელ მთავრობათა მიერ მოწყობილმა გადამლობმა კორდონებმა გამოიღო შედეგი, არ ვიცით, მაგრამ ჭირი იქით აღარ გავრცელებულა. უცხოეთის პრესა ისტორიაში უმაგალითო ჭირის ამბავს ცხარედ, ერთი აურზაურით განიხილავდა, ხოლო საბჭოთა რესპუბლიკების მთავრობა ყოველგვარი აურზაურის გარეშე, თავი უკლებლად მუშაობდა. ქათმის ჭირთან მეტროლ საგანგებო კომისიას სახელი შეუცვალეს და რესპუბლიკაში მექათმეობის განახლება-აღორძინების საგანგებო კომისია უწოდეს, ეს კომისია ახალი საგანგებო სამეუღლით შეავსეს, რომლის შენადგენლობაში თექვსმეტი ამხანაგი შეიყვანეს. დაარსდა მექათმეობის ნებაყოფლობითი საზოგადოება, რომელშიაც თავმჯდომარის საპატიო ამხანაგებად შევიდნენ პერსიკოვი და პორტუგალივი. გაზეთებში მათი პორტრეტების ქვემოთ გამოჩნდა სათაურები: „უცხოეთში კვერცხების მასობრივი შესყიდვა“ და ბატონ

იუზს¹ კვერცხის კამპანიის ჩაშლა სურს“. მთელ მოსკოვში გადაიქუხა ჟურნალისტ კოლეჩკინის გესლიანმა ფელეტონმა, რომელიც შემდგომი სიტყვებით მთავრდებოდა: „ბატონო იუზო, ჩვენს კვერცხებში ხელებს ნუ აფათურებთ, თქვენ საკუთარიცა გაქვთ!“

პროფესორი პერსიკოვი ბოლო სამ კვირაში ძალზე გაიტანჯა და გადაიქანცა. ქათმების ამბავმა იგი კალაპოტიდან ამოაგდო და ტვირთი კაუჭიდან სადამო-ობით ქათმის ჭირთან მებრძოლ საგანგებო კომისიაში უნდა შემოეყვანა. დროდადრო ხან აღფრედ ბრონსკისთან, ხანაც მექანიკურ ღიბიან კაცთან ხანგრძლივი საუბრებისთვის გაეძლო. საჭირო შეიქნა პროფესორ პორტუგალოვთან და პრი-ვატ-დოცენტ ივანოვთან ერთად ქათმები გაეკვეთა და მიკროსკოპით ჭირის ბა-ცილა ეძებნა, ამას გარდა, სამი სადამო თავჩარგული იჯდა და ხელდახელ დაწე-რა ბროშურა „ცვლილებანი ჭირიანი ქათმების ღვიძლში“.

პერსიკოვი ქათმების დარგში დიდი გატაცებით არ მუშაობდა და ეს ამბავი გასაგებიცაა, — ერთთავად სხვა რამეზე, ძირითადად და მნიშვნელოვანზე, ესე იგი წითელ სხივზე ფიქრობდა, რასაც ქათმების კატასტროფის გამო მოსწყდა. პერსიკოვი ისედაც გატეხილ ჯანმრთელობას მთლად ბოლოს უღებდა, ძილისა და ჭამისთვის ვეღარ იცლიდა, ზოგჯერ პრეჩისტენკაზე აღარც ბრუნდებოდა, ინ-სტიტუტის კაბინეტში მუშაობა გადაკრულ დივანზე წათვლემდა და გათენებამდე კამერებსა და მიკროსკოპებს უტრიალებდა.

ივლისის დამდეგისათვის აღიაქოთი ოდნავ ჩაცხრა, სახეშეცვლილ კომისი-აში მუშაობა ნორმალურ კალაპოტში ჩადგა და პერსიკოვი შეფერხებულ სამუ-შაოს დაუბრუნდა. მიკროსკოპებში ახალი პრეპარატები მოათავსეს, ხოლო კამე-რებში სხივქვეშ თევზისა და ბაყაყის ქვირითი ზღაპრული სასწრაფით მწიფდე-ბოდა. კენიგსბერგიდან აეროპლანით საგანგებოდ შეკვეთილი მინები ჩამოიტანეს და ივლისის ბოლო რიცხვებში მექანიკოსებმა ივანოვის მეთვალყურეობით ორი ახალი დიდი კამერა ააგეს, რომლებშიაც სხივი ფუძესთან პაპიროსის კოლოფის სიგანისა გახლდათ, ხოლო მილძაბრაში თითქმის ერთ მეტრს აღწევდა. პერსი-კოვმა ხელები მხიარულად მოიფშვნიტა და იღუმალებით მოცული რთული ცდე-ბისთვის მზადებას შეუდგა. უპირველეს ყოვლისა, განათლების სახალხო კომი-სარს ტელეფონით რადაცაზე შეუთანხმდა და ყურმილის ყიყინა ხმა ყოველგვარ მხარდაჭერას თავაზიანად შეჰპირდა, რის შემდეგ პერსიკოვმა ტელეფონითვე გა-მოიძახა უმაღლეს კომისიასთან არსებული მეცხოველეობის განყოფილების გამგე, ამხანაგი პტახა-პოროსიუკი. პტახა პერსიკოვს დიდ გულისყურით მოეპყრო. სა-უბარი ჰქონდათ პროფესორ პერსიკოვისთვის უცხოეთში დიდი დაკვეთის თაობა-ზე. პტახამ თქვა, ბერლინში და ნიუ-იორკში დეპეშებს ახლავე გავგზავნიო. ამას შემდეგ პერსიკოვს კრემლიდანაც დაურეკეს და ჰკითხეს, თქვენი საქმეები რო-გორ მიდისო, და აღერსიანი, თუმცა მედიდური ხმით უთხრეს, ავტომობილი ხომ არ გჭირდებათ?

— არა, გმადლობთ, ტრამპვაით სიარული მირჩევნია, — უპასუხა პერსიკოვმა.

— რატომ? — იკითხა იღუმალმა ხმამ და შემწყნარედ ჩაიციხა.

პერსიკოვს ყველანი საერთოდ ან რიდითა და შიშით ელაპარაკებოდნენ, ან-და აღერსიანად ჩაიცივნებდნენ ხოლმე, თითქოს იგი პატარა, თუმცა ტანადი ბავ-შვი ყოფილიყო.

— ტრამპვაი უფრო სწრაფად დადის, — მიუგო პერსიკოვმა.

1. ჩარლზ ვიანს იუზი — აშშ-ის სახელმწიფო მდივანი 1921-1924 წლებში,

— როგორც გვინდა, — ჩაიხუბუნა ხმამ ტელეფონში.

კიდევ ერთმა კვირამ გაიარა და ქათმებთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობა მანელდა. პერსიკოვი ამ საქმიანობას თანდათან ჩამოშორდა და სხვის შესწავლას ჩაუღრმავდა. უძილო ღამეებმა და გადაღლამ გონება გაუნათა, თითქოს სიმჭვირვალე და სიმჩატე შესძინა. თვალთა ირგვლივ წითელი რკალები აღარ სცილდებოდა. თითქმის ყოველ ღამეს ინსტრუქტში ათეუდა. ზღრღუნვით ხიზანე მხოლოდ ერთხელ მიატოვა, რათა პრეჩისტენკაზე, ბილბრენის კონსტრუქციულური კლუბის უზარმაზარ დარბაზში მოხსენება წაეკითხა თავის სხივზე და იმის თაობაზე, თუ ეს სხივი კვერცხუჯრულზე როგორ მოქმედებდა. ეს ახირებული ზოოლოგის გოგანტური ტრიუმფი გახლდათ. სვეტებიანი დარბაზის ჭერი ტამისცემამ ღამის ჩამოანგრია. რკაული მილაკები შუქსა ჰფენდა კლუბის წევრთა შავ სმოკინგებსა და ქალების თეთრ კაბებს. ესტრადაზე, კათედრის გვერდით, მინის მაგიდაზე შემოდგმულ ლანგარზე კატისხელა რუხი, სველი ბაყაყი იჯდა და მძიმედ სუნთქავდა. ესტრადისკენ წერილებს ისროდნენ. მათ შორის შვიდი სასიყვარულო წერილი აღმოჩნდა და პერსიკოვი შვიდივე დახია. კლუბის თავმჯდომარემ იგი ხალხისათვის თავის დასაკრავად ესტრადაზე ძალით გაიყვანა. პერსიკოვი თავს უხალისოდ უკრავდა, ხელები ოფლისგან დასველებოდა, შავი პალსტუხი ნიკაპს ქვემოთ კი არა, მარცხენა ყურს უკან მოქცეოდა. მსმენელთა ამონახუნთქის ბურუსში ასობით მოყვითალო სახესა და მამაკაცთა თეთრ მკერდებს ხედავდა. უეცრად რევოლვერის ყვითელმა ბუდემ გაიღვია და საღვაც თეთრი სვეტის მიღმა გაუჩინარდა. პერსიკოვი ამ ბუდეს წამით თვალი ჰკიდა და მყის მიავიწყდა. მაგრამ მოხსენების შემდეგ დარბაზს როცა ტოვებდა და კიბეზე დაფენილ ნოხზე ჩადიოდა. უეცრად თავი ცუდად იგრძნო. კესტიბულში გაჩახჩახებული ჭალი წამით შავად შებურული წარმოესახა, თვალები დაებინდა, გულისრევა იგრძნო... მოეჩვენა, რომ ირგვლივ კვამლი იდგა და ყელიდან მწებვარე ცხელი სისხლი სდიოდა... პროფესორმა მოაჯირს აკანკალებული ხელი ჩასჭიდა.

— ულადიმირ იპატიჩ, ცუდად ხართ? — გაისმა ირგვლივ შემფოთებული ხმები.

— არა, არა, — უპასუხა პერსიკოვი და თავი შეიმაგრა, — უბრალოდ, გადავიღალე... პო... ერთი ჭიქა წყალი დამალევინეთ, გეთაყვა.

* * *

ავვისტოს თაკარა დღე იდგა. პროფესორს მზე ხელს უშლიდა და ამიტომ ფანჯრებისთვის ფარდები ჩამოეფარებინა. ინსტრუმენტებითა და მინებით გაუსუბულ მინის მაგიდას დრეკადი რეფლექტორი მჭახე შუქს ჰფენდა. დაქანცულ პერსიკოვს ხრახნიანი სავარძლის საზურვე უკან გადაეწია, პაპიროსს ეწეოდა და დაღლილობისაგან ჩამქრალი, მაგრამ კმაყოფილი მზერა კვამლის სვეტების მიღმა მიეპყრო კარგამოღებული კამერისკენ, საღვაც წყნარად გაწოლილიყო წითელ სხივთა კონა და კაბინეტის ისედაც ჩახუთულ, უსუფთაო ჰაერს კიდევ უფრო ახურებდა.

კარზე მოაკაკუნეს.

— შემოდი! — გასძახა პერსიკოვი.

კარმა ოდნავ გაიჭრიალა, პანკრატი შემოვიდა, ხელები ჩამოუშვა და ღვთაების წინაშე შიშისგან ფერწახულმა თქვა:

— ბატონო პროფესორი, როკი¹ გეწვიათ.

მეცნიერს სახეზე ღიმილის მსგავსი რაღაც გამოესახა. მან თვალები მოწკურა და თქვა:

— ეს საინტერესოა, მაგრამ მე არ მცალია.

— ამბობს, კრემლიდან წერილითა ვარ მოსულიო.

— როკი წერილით? საკვირველია, — თქვა პერსიკოვი და უმატა:

— აბა, შემოიყვანე!

— ახლავე, — უთხრა პანკრატმა და კარებში ხელიკივით გასხლტა.

ერთი წუთის შემდეგ კარმა ისევ გაიჭრია და ზღურბლზე კაცმა გადმოაბიჯა. პერსიკოვმა ხრახნიანი სავარძელი ჭრიალით შემოაბრუნა და მოსულს სათვალის ზემოდან გახედა. პროფესორი ცხოვრებას ძალზე ჩამოცილებული იყო — სრულებით არ აინტერესებდა, მაგრამ მასაც კი თვალში ეცა კაბინეტში შემოსულის ძირითადი და უმთავრესი თავისებურება — უცნაურად ძველმოდური გარეგნობა. 1919 წელს ეს კაცი მოსკოვის ქუჩებისთვის სავსებით შესაფერისი აღჩნებოდა, 1924 წლის დასაწყისისთვის ასატანი, მაგრამ 1928 წელში უცნაური მოგეჩვენებოდათ. იმ დროს, როცა პროლეტარიატის ყველაზე ჩამორჩენილი ნაწილი — ხაბაზებიც კი პიჯაკებით შემოსილნი დადიოდნენ, როცა მოსკოვში ფრენჩი — 1924 წლის დასასრულს საბოლოოდ მიტოვებული ძველმოდური კოსტიუმი — იშვიათი სანახავე შეიქნა, შემოსულს ტყავის ორბორტიანი ქურთუკი და მწვანე შარვალი ეცვა. ფეხზე ტოლალეები და შტიბლეტები ემოსა, ხოლო გვერდზე ძველებური კონსტრუქციის პისტოლეტი — ყვითელ, გაქერცლილ ბუდეში ჩადებული უხარმაზარი მაუხერი ეკადა. სტუმრის სახემ პერსიკოვზე ასეთივე შთაბეჭდილება მოახდინა, როგორსაც ყველაზე ახდენდა — უკიდურესად უსიამოვნო შთაბეჭდილება. წერილი თვალები ქვეყნიერებას გაოცებით და ამავე დროს თავდაჯერებულად უცქეროდა, ბრტყელტერფიან მოკლე ფეხებს ერთგვარი მოურიდელობის ნიშანი ედო. გულდასმით გაპარსულ ლოყებზე სილურჯე გადაჰკრავდა. პერსიკოვი მყისვე მოიღუშა, ხრახნი გამეტებით ააღრჭიალა, სტუმარს სათვალის ზემოდან კი არა, უკვე სათვალისგან დააცქერდა და უთხრა:

— წერილი მოიტანეთ? აბა, სადა გაქვთ?

სტუმარი, როგორც ჩანს, იქაურობამ ძალზე განაცვიფრა. განცვიფრების უნარი ნაკლებად გააჩნდა, მაგრამ ახლა განცვიფრდა. თვალებზე ეტყობოდა, რომ უპირველეს ყოვლისა, ჭერამდე აღმართულმა და წიგნებით გამოტენილმა თორმეტთარიანმა კარადამ გააოცა. შემდგომ, რა თქმა უნდა, კამერებმა, სადაც მინებში გაჯირჯვებული სხივი, როგორც ჯოჯობხეთში, უოლოსფრად ციალებდა. რეფლექტორიდან ისარივით გამომსხლტარი სხივის განაპირას ხრახნიან სავარძელზე მჯდარი, სანახევროდ სიბნელეში ჩაძირული პერსიკოვიც საკმაოდ უცნაური და დიდებული შესახედაობის მქონე გახლდათ. სტუმარი პროფესორს დაეშტერდა, თვალებში თავდაჯერებულობასთან ერთად მოწიწების ნაპერწკლებიც აშკარად გაუკრთა. პერსიკოვისთვის წერილი არ გაუწოდებია. ისე უთხრა:

— მე ალექსანდრ სემიონოვიჩ როკი გახლავართ!

— მერე რა გნებაუთ?

— მე საჩვენებელი საბჭოთას მეურნეობის — „წითელი სხივის“ გამგედ გახლავართ დანიშნული, — განმარტა სტუმარმა.

1. აქ თამაშია სიტყვებისა — Pok-ის (კაცის გვარის) და Pak-ის (ბუდისწერის).

— მერე?

— ამხანაგო, თქვენთან საიდუმლო მოწერილობა მაქვს.

— საინტერესოა. ოღონდ მოკლედ თქვით, თუ შეიძლება.

სტუმარმა ქურთუკის ბორტი გაიხსნა, საუცხოო სქელ ქალაღზე დაბეჭდილი ბრძანება ამოიღო, პერსიკოვს მიაწოდა და მერე ხრახნიან ტაბურეტზე დაუპატიჟებლად ჩამოჯდა.

— მაგიდა არ შეარყიოთ, — ბრაზით უთხრა მას პერსიკოვმა.

სტუმარმა შიშით გახედა მაგიდას, რომლის კიდეზე ნაცრისფერ, ბნელ ზვრელში ვიდაცის უსიცოცხლო თვალები ზურმუხტებივით კიაფობდა. ამ თვალებიდან სიცივე მოედინებოდა.

პერსიკოვმა წერილი წაიკითხა თუ არა, ტაბურეტიდან უმაღლესი წამოხტა და ტელეფონისკენ გაექანა. რამდენიმე წამის შემდეგ უკვე აჩქარებით ლაპარაკობდა უკიდურესად გაღიზიანებული:

— უკაცრავად... ვერ გამიგია... ეს როგორ შეიძლება? ჩემი თანხმობის, ჩემი რჩევის გარეშე... ეშმაკმა უწყის, ახლა ეს რას ჩაიდენს!!

უცნობი ტაბურეტზე დიდად განაწყენებული შემოტრიალდა.

— უკაცრავად, — წამოიწყო მან, — მე ხომ გამგე გახლავ...

მაგრამ პერსიკოვმა მოკაკული თითი დაუქნია და განაგრძო:

— უკაცრავად, მაგრამ ვერ გამიგია... ბოლოს და ბოლოს კატეგორიულ პროტესტს ვაცხადებ. კვერცხებზე ცდების ჩასატარებლად სანქციას არ მოგცემთ... სანამ თავად მე არ ვსინჯავ...

ყურმილიდან ყაყინ-კაკუნი მოისმოდა და შორიდანაც კი მიხვდებოდი, რომ პერსიკოვს დაყვავებით ელაპარაკებოდნენ, როგორც პატარა ბავშვს. ყოველივე ამით დასრულდა, რომ სახეწამოჭარხლებულმა პერსიკოვმა ყურმილი დაახეთქა და კედლისკენ პირშექცეულმა თქვა:

— მე ხელები დამიბანია.

იგი მაგიდასთან დაბრუნდა, წერილი აიღო, უსათვალოდ ჩაიკითხა, მერე სათვალის ქვემოდან ზემოთ აუყვა და უცებ შეჰკვივლა:

— პანკრატ!

პანკრატი კარებში გამოჩნდა. ისე მოაბიჯებდა, თითქოს ოპერაში ტრაპზე ადისო. პერსიკოვმა შეხედა და დაიღრიალა:

— პანკრატ, გასწი აქედან!

პანკრატი ისე გაუჩინარდა, სახეზე გაოცება არ გამოხატვია.

პერსიკოვი ახლა სტუმარს მიუბრუნდა:

— ნება თქვენია... დაგმორჩილდით. ჩემი საქმე არ არის. არც მაინტერესებს.

— უკაცრავად, — წამოიწყო სტუმარმა, — ამხანაგო, თქვენ ხომ...

— სულ რა „ამხანაგოს“ გაიძახით... — პირქუშად ჩაიბურტყუნა პერსიკოვმა და გაჩუმდა.

„თუმცა“, — გამოესახა როგს სახეზე.

— უკაცრა...

— მაშ ასე, გუთაყვა, — გააწყვეტინა პერსიკოვმა, — აი, რკალური სფერო. ოკულარის გადაადგილებით მისგან სხივების კონას მიიღებთ, — პერსიკოვმა ფოტოგრაფიული აპარატის მსგავსი კამერის სახურავი გააჩნაკუნა, — ამ კონის შეკვრა ობიექტების გადაადგილებით შეგიძლიათ. აი, № 1... და სარკე № 2 — პერსიკოვმა სხივი ჩააქრო, მერე ისევ აანთო აზბესტის კამერის იატაკზე, — ხოლო

ატაკზე გაწოლილ სხივში შევიძლიათ ის განაღვოთ, რასაც მოისურვებთ, და ცდები ჩაატაროთ. ძალზე მარტივი რამაა, ხომ მართალია?

პერსიკოვის ირონია და ზიზლი სტუმარმა ვერ შეაძინია, მოკლევარე თვალები კამერას დაკვირვებით დააშტერა.

— ოღონდ გაფრთხილებთ, — განაგრძო პერსიკოვმა, — სხივში ხელები არ შეყოთ, ვინაიდან, ჩემი დაკვირვებით, იგი ეპითელიუმის ზრდას წაწვევს... ავთვისებიანი არის თუ არა, ეს კი, სამწუხაროდ, ჯერ არ დავიგებო.

სტუმარმა ხელები ზურგს უკან მკვირცხლად დამალა და ტყავის კარტუზი დაუვარდა. მან პროფესორის ხელები შეათვალიერა. პერსიკოვს ხელები ერთიანად აოღით ჰქონდა დადაღული, მარჯვენა ხელის მაჯა კი ბინტით შეეხვია.

— პროფესორო, თავად როგორ იქცევით?

— შეგიძლიათ კუზნეცკზე შეაბესთან რეზინის ხელთათმანები იყიდოთ. მე ბოვალე არა ვარ ამაზე ვიზრუნო, — ბრაზიანად უპასუხა პროფესორმა და სტუმარს ისე დააცქერდა, თითქოს ღუპით აკვირდებოთ. — საიდან გაჩნდით? საერთოდ... რატომ მოინდომეთ?

როკი ახლა კი ძალზე განაწყენდა.

— უკაცრა...

— საქმის ვითარებას ხომ უნდა იცნობდეთ!.. ამ სხივს რატომ მოეძალეთ?

— იმიტომ, რომ უდიდესი მნიშვნელობის საქმეა...

— მაშ უდიდესია? მაშინ... პანკრატი!

პანკრატი უმაღლ გამოჩნდა.

— მოიცა, დავფაქრდები.

პანკრატი მორჩილად გაუჩინარდა.

— ერთი რამ ვერ გაშიგია, — თქვა პერსიკოვმა, — ასეთი აჩქარება და გასაიდუმლოება რა საჭიროა?

— პროფესორო, უკვე თავგზა ამიბნიეთ, — უპასუხა როკმა, — ხომ იცით, რომ ქათმები ერთიანად ამოწყდნენ.

— მერე რა მოხდა? — აყვირდა პროფესორი. — რაო, გინდათ, რომ უცებ მკვდრებით აღადგინოთ? ამას შეუსწავლელი სხივის შემწვობით რატომ აპირებთ?

— ამხანაგო პროფესორო, სინდისს გეფიცებით, დამაბნით, — უპასუხა როკმა, — გეუბნებით, რომ მექათმეობა აუცილებლად უნდა აღედგინოთ, იმიტომ, რომ უცხოეთში ჩვენზე ყოველგვარ უხამსობას წერენ, დიახ.

— წერონ რამდენიც უნდათ...

— იცით, რას ვეჭყებით... — იღუშალად უპასუხა როკმა და თავი გადააქნია.

— მინდა ვიცოდე, კვერცხებით ქათმების მოძრავლება აზრად ვის მოუვიდა?

— მე, — უპასუხა როკმა.

— ჰო-ო... კარგი... მიბრძანეთ, მაინც რატომ? საიდან შეიტყვეთ, სხივს რა თვისებები აქვს?

— პროფესორო, თქვენს მოხსენებაზე გახლდით.

— კვერცხებით მე ჯერ არაფერი გამიკეთებია! ახლა ვაპირებ!

— ღმერთმანი, მოგვარდება, — უცებ დამარწმუნებლად და გულითადად თქვა როკმა, — თქვენა სხივი ისეთი დადებულია. წიწილებს კი არა, სპილღებს გამოზრდის.

— იცით რა, — უთხრა პროფესორმა, — თქვენ ზოოლოგი არა ხართ? არა? სამწუხაროა... თქვენგან ძალზე გამბედავი ექსპერიმენტატორი დადგებოდა... დიახ...

მაგრამ რისკს ეწევით... შესაძლოა მარცხი განიცადოთ... ხოლო მე დროს მაკარგინებთ...

— კამერებს უკანვე დაგიბრუნებთ.

— როდის?

— პირველ პარტიას როცა გამოვიყვან.

— თავდაჯერებულად ლაპარაკობთ! კარგი. პანკრატი!

— მე ხალხი მოყვანილი მყავს, — თქვა როკმა, — მცველებიც. გიგანტური...

სადამო ხანს პერსიკოვის კაბინეტი დაობლდა... მაგიდები დაცარიელდა. როკის მოყვანილმა ხალხმა სამი დიდი კამერა წაიღო. პროფესორს მხოლოდ პირველი, პატარა კამერა დაუტოვეს, რომლითაც მან ცდების ჩატარება დაიწყო.

იულისის სადამოს ბინდი ახლოდებოდა, ინსტიტუტში ნოტიო ჰაერი შეიჭრა და დერეფნებს გაუყვა. კაბინეტიდან მონოტონური ნაბიჯების ხმა მოისმოდა — პერსიკოვი დიდ ოთახში ფანჯრიდან კარამდე ბოლთას სცემდა, ისე რომ, შუქი არ აუნთია. უცნაური რამ მოხდა! იმ სადამოს ინსტიტუტში მყოფ ადამიანებსაც და ცხოველებსაც შეუცნობელი სევდა დაეუფლა. გომბეშოებმა რატომღაც მეტისმეტად ნაღვლიანი კონცერტი გამართეს, ავის მომასწავებლად და გაჩაფრთხილებლად გნიასობდნენ. პანკრატი საკნიდან გამომძვრალი ანკარა დერეფანში დაიჭირა. ანკარას ისეთი შესახედაობა ჰქონდა, თითქოს უნდოდა ცხრა მთას იქით გადაკარგულიყო, ოღონდაც იქაურობას მოშორებოდა.

როცა მთლად ჩამობნელდა, პერსიკოვის კაბინეტიდან ხარის ხმა მოისმა. პანკრატი ზღურბლიდან უცნაური სურათი დაინახა. პროფესორი შუა კაბინეტში მარტოდმარტო იდგა და მაგიდებს დასცქეროდა. პანკრატი ჩაახველა და გაირინდა.

— ხომ ხედავ, პანკრატი, — უთხრა პერსიკოვმა და დაცარიელებულ მაგიდაზე იუთოთა.

პანკრატი შეძრწუნდა. ბინდბუნდში მოეჩვენა, რომ პროფესორს თვალები წამტირალევი ჰქონდა. ეს კი მართლა არაჩვეულებრივი, მართლა შემზარავი რამ ვახლდათ.

— ვხედავ, — წამოიტირა პანკრატი და გაიფიქრა, — „მირჩევნია, დამყვიროდე!“

— ხომ ხედავ, პანკრატი, — გაიმეორა პერსიკოვმა და ტუჩები ისე აუთრთოლდა, თითქოს პატარა ბავშვია და საყვარელი სათამაშო წაართვესო.

— იცი, რა, ძვირფასო პანკრატი, — განაგრძო პერსიკოვმა და ფანჯრისკენ შეტრიალდა, — ჩემი ცოლი, აქედან თხუთმეტი წლის წინ რომ წავიდა და ოპერეტაში დაიწყო მუშაობა, თურმე ახლა მომკვდარა... აი, რა ამბავია, ძვირფასო პანკრატი... წერილი გამომიგზავნეს...

გომბეშოები საწყალობლად ყიყინებდნენ, პროფესორი ბინდბუნდში ეხვეოდა, მოსკოვში ღამდებოდა... სადღაც, ფანჯრებს მიღმა თეთრი სფეროები აციმციმდა... დაბნეული, დანაღვლიანებული პანკრატი გამოჭიმული იდგა.

— წადი, პანკრატი, წადი, — თქვა გულდამძიმებულმა პროფესორმა, — დაიძინე, ძვირფასო, საყვარელო პანკრატი.

დალაბდა. პანკრატი კაბინეტიდან რატომღაც ფეხის წვერებზე გავიდა, თავის საკანში შეირბინა, კუთხეში მიყრილი ძონძები ვაქექა, არაყის ნაკლული ბოთლი ამოაძვრინა, ერთი ჩაის ჭიქის ოდენა ერთბაშად გადახუხა, მარილმოყრილი პური დააყოლა და თვალები ოდნავ გაუმხიარულდა.

შუაღამე მოახლოვებული იყო, როცა პანკრატი ძუნწად განათებულ ვესტი-

ბულში სკამზე იჯდა, ჩითის პერანგის ქვეშ მკერდს იფხანდა და კოთხოქუდიან ბილგამკრთალ მორიგეს ეუბნებოდა:

- ღმერთმანი, მერჩივნა მოვეკალი...
- მართლა ტიროდა? — ცნობისმოყვარედ ეკითხებოდა კოთხოქუდიანი.
- ღმერთმანი... — არწყუნებდა პანკრატი.
- დიდი მეცნიერია, — თქვა კოთხოქუდიანმა, — მაგრამ ჩემთვის ცოლის მაგივრობას ვერ გაუწევდა.
- ვერ გაუწევდა, — კვერი დაუკრა პანკრატი.
- მერე დაფიქრდა და დაუმატა:
- ჩემი ცოლი უნდა ჩამოვიყვანო... აბა, სოფელში რად უნდა იჯდეს... ვე არის, ქვეწარმავლებს თვალის დასანახად ვერ იტანს...
- რაც მართალია, მართალია, დიდი საზიზღრობაა, — დაეთანხმა კოთხოქუდიანი.

მეცნიერის კაბინეტიდან ჩამიჩუმში არ ისმოდა. არც შუქი ენთო, კარის ქვედა ღრიჭოდან სინათლის ზოლი არ გამოდიოდა.

თავი VIII

საბჭოთა მეურნეობაში მომხდარი აზვავი

ნამდვილად არ არსებობს უკეთესი დრო, ვიდრე ეშხში შესული აგვისტოს ჭამია, თუნდაც სპოლენსკის გუბერნიაში. 1928 წლის ზაფხული. დიდებული გახლდათ. გაზაფხულზე წვიმები დროულად მოდიოდა, მერე მზიანი, მცხუნვარე დღეები დაიჭირა და მოსავალსაც კარგი პირი უჩანდა... შერემეტიევეების ყოფილ მამულში ვაშლი მწიფდებოდა... ტყეები მწვანედ ხასხასებდა, მინდვრები გაყვითლებულ კვადრატებად იქცა... ბუნების წიაღში ადამიანი უკეთესი ხდება. ალექსანდრ სემიონოვიჩი ისეთი უსიამოვნო შესახედავი აღარ იყო, როგორც ქალაქში გახლდათ. საძაგელი ქურთუკი აღარ ეცვა, სახე შერუჯოდა, ჩითის გაღეღილი პერანგიდან შავად გაბანჯგვლული მკერდი მოუჩანდა, ტილოს შარვალი ეცვა. მშვიდად, კეთილად იმზირებოდა.

კამერიდან პარმალზე, ვარსკვლავის ქვემოთ, მიჭედებული იყო აბრა:

„საბჭოთა მეურნეობის „წითელი სხივი“

ალექსანდრ სემიონოვიჩმა პარმალიდან მკვირცხლად ჩაირბინა და პატარა სატვირთო ავტომობილთან მიიჭრა, რომელმაც მცველთა თანხლებით სამი შავი კამერა მოიტანა.

ალექსანდრე სემიონოვიჩი მთელ დღეს თანაშემწეებთან ერთად ფუსფუსებდა, ყოფილ ზამთრის ბაღში — შერემეტიევეების ორანჟერიაში კამერებს აყენებდა. ზაღამო ხანს ყველაფერი მზად იყო. მინის ჭერქვემოთ თეთრი, მქრქალი სფერო ენთო, კამერები აგურებზე დადგეს და კამერებთან ერთად მოსულმა მექანიკოსმა მოელვარე ხრახნების ტკაცან-ტრიალით შავ ყუთებში აზბესტის იატაკზე აღუმალი წითელი სხივი აანთო.

ალექსანდრ სემიონოვიჩი ვერ ისვენებდა, კიბეზე აღიოდა და საღენებს თვალ აშოწმებდა.

მეორე დღეს იგივე სატვირთო მანქანამ სადგურიდან საუცხოო პრიალა ფა-

ნერისგან შეკრული სამი ყუთი მოიტანა, ირგვლივ იარლიყები რომ ჰქონდა შემოწებებული და შავ ფონზე თეთრი წარწერებით იყო აჭრელებული:

VORSICHT: EIER!!
ფრთხილად კვირცხებია?!



ეროვნული

— რა ცოტა გამოუგზავნიათ? — გაუკვირდა ალექსანდრ სემიონოვიჩი, მისი უსაზომოდ ჩასუქებული ცოლი მანია, ამჟამად საბჭოთა მეურნეობაში დარაჯის უნივერსალურ თანამდებობაზე მომუშავე ყოფილი შერემეტიევი ბის ყოფილი ელაში მებაღე, საბჭოთა მეურნეობაში ცხოვრებისთვის განწირული მცველი და დამლაგებელი დუნია. ეს მოსკოვი არ იყო და ყველაფერს უფრო უბრალო, ოჯახური და მეგობრული ელფერი ჰქონდა. ალექსანდრ სემიონოვიჩი განკარგულებებს იძლეოდა და თან სიყვარულით დასცქეროდა ყუთებს, ძვირფას, კომპაქტურ საჩუქარს, ორანჟერეის შემინული ჭერიდან ჩამავალი მზის შუქი რომ ეფინებოდა. კარებთან მიყუდებული შაშხანა მშვიდობიანად თვლემდა, თავად მცველს კი მარწუხი მოემარჯვებინა და სამაგრებსა და ლითონის გარსაკრავებს გლეჯდა. ჭახანი გაისმოდა... მტვერი აქეთ-იქით იფრქვეოდა. ალექსანდრ სემიონოვიჩი სანდლებს დააფლავებდა და ყუთებთან ფუსფუსებდა.

— ცოტა ხელა, გეთაყვა, — ეუბნებოდა იგი მცველს, — ფრთხილად, შიგ ხომ კვერცხებია?

— ფიქრა ნუ გაქვთ, — ხიხინებდა ძველი მეომარი და თან ბურღავდა, — ახლავე.

ტრ-რ-რ... — გაისმოდა ხმა და მტვერი იფრქვეოდა.

კვერცხები ჩინებულად შეფუთული აღმოჩნდა: ფიცრის სახურავის ქვეშ გასართული ქალაქის ფენა გამოჩნდა, მერე საშრობი ქალაქისა, მერე ბურბუშელის სქელი ფენა, შემდეგ ნახერხისა, ნახერხში კი კვერცხის თეთრი წვეტები გამოვრთა.

ალექსანდრ სემიონოვიჩი ნახერხში იქექებოდა და თან ესიყვარულებოდა — უცხოურად არის შეფუთული, ჩვენებურად კი არა. მანია, ფრთხილად, არ დაამტვრიო.

— ალექსანდრ სემიონოვიჩ, რამ გადაგრია, — უპასუხა ცოლმა, — ოქრო ხომ არ არის. რაო, კვერცხები არ მინახავს? ვაი!.. რამხელებია!

— უცხოურია, — ამბობდა ალექსანდრ სემიონოვიჩი და კვერცხებს ხის მაგიდაზე ალაგებდა, — განა ჩვენებური სოფლური კვერცხებია... ალბათ სულ ბრამაპუტრისაა, ეშმაკმა დალახვროს! გერმანული...

— რა თქმა უნდა, — კვერს უკრავდა მცველი და კვერცხებს ალერსიანად დასცქეროდა.

— მხოლოდ ეს ვერ გამიგია, დასვრილი რატომაა. — ამბობდა ჩაფიქრებული ალექსანდრ სემიონოვიჩი, — მანია, თვალი ადევნე, ამოალაგონ, მე კი ტელეფონით დავრეკავ.

ალექსანდრ სემიონოვიჩმა ეზო გადაჭრა და საბჭოთა მეურნეობის კანტორისკენ გაემართა, სადაც ტელეფონი იდგა.

ზოოლოგიური ინსტიტუტის კაბინეტში სადამო ხანს ტელეფონი აწკრიალდა. დამაბურძენელი პროფესორი პერსიკოვი აპარატთან მივიდა.

- ვისმენტ, — თქვა მან.
- ახლა პროვინცია დაგელაპარაკებათ, — გაისმა ყურმილში ქალის შიშინა ხმა.
- ჰო, ვისმენტ, — ზიზღით ჩასძახა პერსიკოვმა ტელეფონის შიშ ყურმილში, სადაც ჯერ რაღაც ტკაცუნობდა, შემდეგ კი კაცის შორეული, მღელვარე ხმა გაისმა:
- პროფესორო, კვერცხები გავრეცხოთ?
- რა თქვით? რა? რას მეკითხებით? — გაბრაზდა პერსიკოვი, — საიდან მელაპარაკებით?
- ნიკოლსკიდან, სმოლენსკის გუბერნიიდან, — უპასუხა ყურმილმა.
- ვერაფერი გამიგია. ნიკოლსკი არც გამიგონია. ვინა ხართ?
- როკი, — მკაცრად მიუგო ყურმილმა.
- ვინ როკი? ჰო... ეს თქვენა ხართ?.. აბა, რას მეკითხებით?
- გავრეცხოთ თუ არა? უცხოეთიდან ქათმის კვერცხების პარტია გამომიგზავნეს.
- მერე?
- ...კვერცხები გათუთხნულია...
- რაღაც გეშლებათ... როგორ შეიძლება „გათუთხნული“ იყოს, როგორც თქვენ ამბობთ? რა თქმა უნდა, შეიძლება ცოტაოდენი სკინტლი ჰქონდეს მიმხმარი... ანდა კიდევ სხვა რამ...
- მაშ არ გავრეცხოთ?
- რა თქმა უნდა, არა... რაო, უკვე აპირებთ კვერცხები კამერებში ჩააწყოთ?
- დიახ, ვაპირებ, — უპასუხა ყურმილმა.
- ჰმ... — ჩაიფრუტუნა პერსიკოვმა.
- აბა, კარგად, — ჩაისისინა ყურმილმა და დადუმდა.
- „აბა, კარგად“, — ბრაზით გადაულაპარაკა პერსიკოვმა პრივატ-დოცენტ ივანოვს, — როგორ მოგწონთ ეს ტიპი, პიოტრ სტეპანოვიჩ?
- ივანოვს გაეცინა.
- ის არის? წარმომიდგენია, იმ კვერცხებს რად დომხალად აქცევს.
- მაშ... მაშ... მაშ... — ბრაზიანად წამოიწყო პერსიკოვმა, — პიოტრ სტეპანოვიჩ, აბა, დაფიქრდით... შესაძლებელი, ქათმის კვერცხის დეიტეროპლაზმასე სხივმა ისეთივე ზემოქმედება მოახდინოს, როგორც შიშველი ქვეწარმავლების პლაზმასე. შესაძლებელია, ქათმები გამოიჩეკოს კიდევაც. მაგრამ ვერც იქვენ და ვერც მე ხომ ვერ ვიჭყვით, ის ქათმები როგორი იქნება... იქნებ ყოვლად უვარგისნი აღმოჩნდნენ. იქნებ ორი დღის მერე ამოწყდნენ. იქნებ მათი სიბრტე საჭმელად გამოუსადეგარი იყოს. განა შემიძლია თავდებად დავდგე, რომ ფეხზე დადგომას შეძლებენ? იქნებ მსხვერველი ძელები აღმოჩნდნენ. — პერსიკოვი ისე გაფიცხდა, ხელს იქნევდა და თითებს კაკვავდა.
- ნამდვილად ასეა, — დაეთანხმა ივანოვი.
- პიოტრ სტეპანოვიჩ, თქვენ შეგიძლიათ თავდებად დადგეთ, რომ ის ქათმები შთამომავლობას წარმოქმნიან? იმ ტიპმა იქნებ სტერილური ქათმები გამოიყვანოს. შესაძლოა ძალღისხელები გაიზარდონ, მაგრამ შთამომავლობა ვერ წარმოქმნან, თუნდაც მეორედ მოსელამდე ელოდო.
- ამის თავდებად ვერავინ დადგება, — დაეთანხმა ივანოვი.
- თანაც როგორი მოურიდელებელია, — გულს იმღვრევდა პერსიკოვი, — როგორი კადნიერი! არ დაგავიწყდეთ, რომ დავალებული მაქვს იმ არამზადას ინს-

ტრუქტაჟი მევე გავუწიო, — პერსიკოვმა როკის მოტანილ ქაღალდზე მიუთითა, რომელიც საექსპერიმენტო მაგიდაზე ეგდო, — იმ უვიცს ინსტრუქტაჟი რანაირად უნდა გავუწიო, როცა ამ საკითხზე თავად მე არაფრის თქმა შემიძლია.

— არ შეგეძლოთ უარი გეთქვათ? — ჰკითხა ივანოვმა.

პერსიკოვი წამოჭარხლდა, ქაღალდი აიღო და ივანოვს მიაწოდა. ივანოვმა წაიკითხა და ირონიულად ჩაიციხა.

— ჰო-ო... — თქვა მერე მრავლისმეტყველად.

— თანაც არ დაგავიწყდეთ — მე ჩემს შეკვეთას ორი თვეა, ველი და ჩამიჩუმიც არ ისმის. იმას კი კვერცხები უმაღლესად გაუგზავნეს და, საერთოდ, ყოველგვარი შემწობა აღმოუჩინეს...

— ვლადიმერ იპატიჩ, ის ვერაფრის გაკეთებას ვერ შეძლებს. ყველაფერი იმით დამთავრდება, რომ კამერებს დაგიბრუნებენ.

— ნეტავი ეს მალე მოხდებოდეს, მე ხომ ცდების ჩატარება მიფერხდება.

— ეს კი ცუდია. მე ყველაფერი მზად მაქვს.

— სკაფანდრები მიიღეთ?

— დიახ. დღეს მივიღე.

პერსიკოვი ცოტათი დამშვიდდა და გამოცოცხლდა.

— ჰო-ო... მე მგონი, ასე უნდა მოვიქცეთ: სასპერაციო ოთახს კარი ჩაკეტოთ, ხოლო ფანჯარა გავაღოთ...

— რა თქმა უნდა, — დაეთანხმა ივანოვი.

— ჩაფხუტი სამია?

— დიახ, სამია.

— მაშ ასე... თქვენ, მაშასადამე, მე და შეიძლება რომელიმე სტუდენტი მოვიხმართო. მესამე ჩაფხუტი იმას მივცეთ.

— გრინმუტი გამოვღებო.

— სალამანდრებზე რომ ამუშავებთ? ჰმ... იმას არა უშავს... თუმცა, გეთავა, გაზაფხულზე ვერ მითხრა, შიშველკბილებიანებს საცურაო ბუშტი როგორ აქვთ მოწყობილი, — ღვარძლიანად დაუმატა პერსიკოვმა.

— არა, მართლა არა უშავს... კარგი სტუდენტია, — გამოესარჩლა გრინმუტს ივანოვი.

— ერთი ღამის გათევა მოგვიწევს, — განაგრძო პერსიკოვმა, — თლონდ, იცით რა, პიოტრ სტეპანოვიჩი, გაზი შეამოწმეთ, თორემ ქიმიის ნებაყოფლობითი საზოგადოება, ეშმაკმა უწყის, რა ნაგავს გამოგზავნის.

— არა, არა, — ივანოვმა ხელები გააქნია, — გუშინ უკვე გამოვცადე ვლადიმერ იპატიჩი, სიმართლე უნდა ითქვას, საუცხოო გაზია.

— რაზე გამოცადეთ?

— ჩვეულებრივ გომბეშოებზე. ჭავლს მიუშვებ თუ არა, მყისვე იხოცებიან. ჰო, ვლადიმერ იპატიჩი, კიდევ რა უნდა გავაკეთოთ. მთავარი სახელმწიფო სამმართველოს სახელზე მიმართვა დაწერეთ, რომ ელექტრო რევოლვერი გამოვიგზავნონ.

— ხმარება რომ არ ვიცი!

— ეგ მე მომანდეთ, — უპასუხა ივანოვმა, — კლიაზმაზე თავის შესაქცევად ვისროდით... იქ ჩემს მეზობლად მთავარი სახელმწიფო სამმართველოს ერთი მუშაკი ცხოვრობდა. საუცხოო რამეა, მართლაცდა ჩინებული... უხმოდ ისვრის, ის ნაბიჯზე კლავს, ყვავეს ვესროდით... მგონი, გაზი აღარც დაგვჭირდეს.

— ჰმ... ეს ჩინებული აზრია... ნამდვილად ჩინებული, — პერსიკოვი კუთ-

ხეში მივიდა, ყურმილი აიღო და ჩასძახა: — აბა, ერთი, რა ჰქვია... ლუბიანკა შემაერთეთ...

* * *

გაუსადლისი ცხელი დღეები იდგა. ცხადლივ ჩანდა, ველზე როგორ ლივლივებდა გამჭვირვალე, შედედებული ხვატი. ღამეები კი ჩინებული, მაცდუნებელი, მომწვანო ელფერისა გახლდათ. შერემეტიევიცის ყოფილ მამულს მთვარე დანათოდა და ისე აღამაზებდა, ენით არ გამოითქმის სასახლე-საბჭოთა მეურნეობა თითქოს შაქრისააო, ისე ბრწყინავდა, პარკში ჩრდილები თრთოდა, ხოლო ტბორები სანახევროდ მთვარის ირიბ სვეტს გაენათებინა, მეორე ნახევარი კი წყუდიადში ჩაძირულიყო. მთვარის შუქზე თავისუფლად წაიკოხადით გახეთ „იზვესტიას“, წვრილი ნონპარელით აწყობილი საჭადრაკო განყოფილების გარდა. მაგრამ ასეთ ღამეებში „იზვესტიას“, ცხადია, არავინ წაიკითხავდა... დამლაგებელი დუნია საბჭოთა მეურნეობის გარეთ, კორომში აღმოჩნდა გარემოებათა დამთხვევის შედეგად იქვე გაჩნდა საბჭოთა მეურნეობის გაქერცლილი სატვირთო ავტომობილის წითელულვაშა შოფერი. იქ რას აკეთებდნენ, არავინ იცის. თელის მეჩხერ ჩრდილში ტყავის პალტოზე ისხდნენ, შოფერს მიწაზე რომ გაეშალა. სამზარეულოში ნათურა ენთო. იქ ორი მებაღე ვახშობდა, ხოლო თეთრკაპოტიანი მადამ როკი სვეტებიან ვერანდაზე იჯდა, თვალწარმტაც მთვარეს ასტქეროდა და ოცნებობდა.

საღამოს ათ საათზე, როცა საბჭოთა მეურნეობის გარეთ მდებარე სოფელ კონცოვკაში ხმაური მიწყდა, იდილიურ პეიზაჟს ფლეიტის მშვენიერი, ნაზი ხმები მოეფინა. შეუძლებელია იმისი გამოხატვა, ეს ხმები კორომებსა და შერემეტიევის ყოფილი სასახლის სვეტებს რაოდენ შეეფერებოდა. „პიკის ქალის“ ნაზი ღიზას ხმა ენებიანი პოლინას ხმას ერწყმოდა და მთვარით გაჩირალდნებული ზეცისაკენ მიიწევდა, ვით ძველი და მაინც საოცრად სანატრელი, გულის აჩუყებადღე მომხიბლავი რეჟიმის ზმანება.

პრეზიან... პრეზიან...

მოლივლივე ხმით სტვენდა, კვნესოდა ფლეიტა.

კორომები გაირინდნენ. ალივით მომხიბლავ დუნიას ლოყა შოფრის ხმელ, მწითურ, ვაჟკაცურ ლოყაზე მიეყრდნო და ფლეიტას უსმენდა.

— კარგად უკრავს ეს მამამძლი, — თქვა შოფერმა და ვაჟკაცური ხელი დუნიას წელზე შემოხვია.

ფლეიტაზე თვით საბჭოთა მეურნეობის გამგე ალექსანდრ სემიონოვიჩ როკი უკრავდა. ჰოდა, მართლაც საუცხოოდ უკრავდა. საქმე ის გახლავთ, რომ ფლეიტა ოდესღაც ალექსანდრ სემიონოვიჩის სპეციალობა გახლდათ. 1917 წლამდე იგი მსახურობდა მაესტრო პეტუხოვის ცნობილ საკონცერტო ანსამბლში, რომელიც ყოველ საღამოს ქალაქ ეკატერინოსლავის მყუდრო კინემატოგრაფ „ჯადოსნური ოცნებების“ ფოიეს მწყობრი ბგერებით ახშიანებდა. მაგრამ მრავალ ადამიანთა კარიერას გარდამტეხმა დიადმა 1917 წელმა ალექსანდრ სემიონოვიჩიც ახალ გზებს გაუყენა. მან „ჯადოსნური ოცნებები“ და სატინაგადაკრული, ვარსკვლავებით მოხატული მტვრიანი კედლები მიატოვა, ფლეიტის ნაცვლად ხელში სიცოცხლის მომსპობი მაუხერი აიღო და ომისა და რევოლუციის მღელვარე ზღვაში გადაეშვა. ალექსანდრ სემიონოვიჩს ტალღები დიდხანს დააქანებდა, ხან ყირიმში გამორიყავდა, ხან მოსკოვში, ხან თურქესტანში და ხანაც ვლადივოსტოკში. თურმე რევოლუცია იყო საჭირო, რათა

ალექსანდრ სემიონოვიჩს თვისი უნარი მთლიანად გამოეკლინა. თურმე იგი ნამდვილად დიდი ადამიანი გახლდათ და „ოცნებების“ ფოიეში არაფერი ესაქმებოდა. ყველაფრის დაწვრილებით ჩამოთვლას არ მოეყვებით და მხოლოდ მოგახსენებთ, რომ 1927 წლის ბოლოს და 1928 წლის დასაწყისს ალექსანდრ სემიონოვიჩი თურქესტანში იმყოფებოდა, სადაც ვებერთელა გაზეთს რედაქტორობდა. ამას გარდა, როგორც უმაღლესი სამეურნეო კომისიის ადგილობრივი წევრის სახელი გაითქვა თურქმენეთის მხარის მორწყვისთვის შექმნილი ვანხატეორებელი ნაშრომებით. 1928 წელს როკი მოსკოვში ჩავიდა, სადაც დამსახურებულ დასვენებას აზიარეს. უმაღლესმა კომისიამ იმ ორგანიზაციისა, რომლის ბილეთსაც პროვინციული ძველმოღური კაცი ღირსეულად ატარებდა, იგი დააფასა და მშვიდ, საპატიო თანამდებობაზე განაწესა, მაგრამ ალექსანდრ სემიონოვიჩის მგზნებარე ტვინი, რესპუბლიკის საუბედუროდ, ვაი რომ არ დაცხრა! როკი მოსკოვში პერსიკოვის გამოგონებას გადააწყდა. ჰოდა, ტვერსკაიაზე მდებარე სასტუმრო „წითელი პარიზის“ ნომერში ალექსანდრ სემიონოვიჩს დაებადა იდეა, რომ ორ თვეში პერსიკოვის სხივის შემწეობით რესპუბლიკაში ქათმებს კვლავ მოამრავლებდა. როკს მეცხოველეობის კომისიაში მოუსმინეს, დაეთანხმნენ და იგი უცნაურ ზოოლოგს გატკიცინებული ქალაქით ეწვია.

სარკესავით მოელვარე ტბორების, პარკისა და კორომების დამატკობელი კონცერტი უკვე დასასრულს უახლოვდებოდა, მაგრამ ერთმა გაარემოებამ ეს კონცერტი დროზე ადრე შეწყვიტა. ღიახ, კონცოვკაში ძაღლებმა, რომელთაც წესით უკვე უნდა სძინებოდათ, უეცრად საშინელი ყეფა ატებეს. ყეფა თანდათან გაბმულ, გულის გამაწვრილებელ ყმუილად იქცა, მერე იმატა და ველებს ერთიანად მოედო. უეცრად ამ ყმუილს ტბორებიდან ბაყაყების მილიონხმიანი მჭახე კონცერტი აჰყვა. ყოველივე ისეთი შემადრწუნებელი გახლდათ, რომ იდუმალებით მოცული, ჯადოსნური ღამეც კი წამით თითქოს გაფერმკრთალდა.

ალექსანდრ სემიონოვიჩმა ფლეიტა მიატოვა და ვერანდაზე გავიდა.

— მანია, გესმის? თუ იცი, ეს წყეული ძაღლები რამ გუდარია?

— მე რა ვიცი? — უპასუხა მანიამ, თან მოვარეს ასტქეროდა.

— წამო, მანეჩკა, კვერცხებს დავხედოთ, — უთხრა ალექსანდრ სემიონოვიჩმა.

— ღმერთმანი, ალექსანდრ სემიონოვიჩ, მაგ შენმა კვერცხებმა და ქათმებმა მთლად გაგაგიჟეს: ცოტა მაინც დაისვენე!

— არა, მანეჩკა, წავიდეთ.

ორანჟერეაში ელვარე ბურთი ბრიალებდა. სახეწამონთებული, თვალეზგაბრწყინებული დუნიაც მოვიდა. ალექსანდრ სემიონოვიჩმა საკონტროლო მინები ფროთხილად გახსნა და ყველამ კამერაში ჩაიხედა. ლაქებით აჭრელებული ღაღანა წითელი კვერცხები აზბესტის თეთრ იატაკზე მწყობრ რიგებად ეწყობ. კამერებში მდუმარება სუფევდა... ზემოთ კი 15000 სანთლიანი სფერო ხმადაბლა შიშინებდა.

— ოჰ, რა წიწილებს გამოუჩეკავ! — აღფრთოვანებით ამბობდა ალექსანდრ სემიონოვიჩი და კამერებში ხან გვერდიდან, საკონტროლო ტრილებიდან, ხანაც ზემოდან, ფართო სავენტულიანი ზვრელებიდან იცქირებოდა, — აი, ნახავთ... რა? ვერ გამოუჩეკავ?

— ალექსანდრ სემიონოვიჩ, იცით რა, — ღიმილით უთხრა დუნია, — კონცოვკელი გლეხები თქვენზე ამბობენ, ანტიქრისტეაო. ამბობენ, ეშმაკეული კვერცხები მოუტანიაო. მანქანით წიწილების გამოჩეკა ცოდვიაო. თქვენი მოკვლა უნდოდათ.

ალექსანდრ სემიონოვიჩი შეერთა და ცოლისკენ შეტრიალდა. სახეზე ზაფრანისფერი დაედო.

— ერთი უყურეთ! ეს რა ხალხია! ამისთანა ხალხს რა ეშველება? ჰა? მანუჩკა, კრება უნდა ჩავატაროთ... ხვალ მაზრიდან მუშაკებს გამოვიძიებ. სიტყვას მეც წარმოვთქვამ. საერთოდაც აქ უნდა წავიმუშაოთ... ^{თორემ/} ეს ისეთი მიყრუებული ადგილია...

— უმეცრებაა. — თქვა ორანჟერეის კართან გაშლილ ^{მანუჩკას} წამოწოლილმა მცველმა.

მეორე დღეს უცნაური და აუხსნელი ამბები ერთმანეთს წაეწყო. დილით, როცა მზემ ამოანათა და კორომები მნათობს ჩვეულებრივსამებრ ფრინველთა განუწყვეტელი, მძლავრი სტვენა-გალობით უნდა შეგებებოდნენ, ახლა დუმდნენ. ეს ყველამ შეამჩნია. ასეთი სიჩუმე ავდრის წინ ჩამოდგება ხოლმე, მაგრამ ახლა ავდრის ნიშანწყალიც არაფერს ეტყობოდა. ალექსანდრ სემიონოვიჩმა შეამჩნია, რომ საბჭოთა მეურნეობაში უცნაურად, ორაზროვნად იწყეს ლაპარაკი, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც კონცოვკელი ბრძენი ბერიკაცის, ცნობილი შფოთისთაუის, მეტსახელად თხაწვერას მონაყოლი მოისმინეს. იგი ამბობდა, ფრინველებმა თავი მოიყარეს, გუნდ-გუნდად დაეწყვნენ და გამოთენიისას შერემეტიოვკადან ერთიანად სადღაც ჩრდილოეთისაკენ გადაიხვეწნენო. ალექსანდრ სემიონოვიჩმა ეს ლაპარაკი სისულელედ მიიჩნია, მაგრამ გუნება მაინც წაუხდა და მთელი დღე იმაზე დაკარგა, რომ ქალაქ გრაჩოვკას ტელეფონით დაკავშირებოდა. ალექსანდრ სემიონოვიჩს აღუთქვეს, რომ ორი დღის შემდეგ ორატორებს გამოუგზავნიდნენ, რომლებიც ისაუბრებდნენ ორ თემაზე — საერთაშორისო მდგომარეობაზე და მექათმეობის ნებაყოფლობით საზოგადოებაზე.

არც სადამოს ჩაუვლია სიურპრიზების გარეშე. თუ დილით კორომები ჩაჩუმდა, რამაც სრულიად ცხადი გახადა, ხეთა შორის მდუმარება რა საეჭვო და უსიამოვნოა, თუ შუადღისას ჰელურები საბჭოთა მეურნეობის ეზოდან სადღაც გადაიკარგნენ, სადამო ხანს შერემეტიოვკის ტბორიც დადუმდა. ეს მართლაც გასაოცარი გახლდათ, რადგან ირგვლივ ორმოცი ვერსის მანძილზე იყო განთქმული შერემეტიოვკელი ბაყაყების ყიყინი. ახლა კი თითქოს ამომწყდარიყვნენ. ტბორიდან ჩქამიც არ მოისმოდა, მდუმარედ იდგა ისლი. უნდა ვაღიაროთ, რომ ალექსანდრ სემიონოვიჩს გუნება საბოლოოდ წაუხდა, რადგან ამ უცნაურ ამბებზე ძალზე უსიამოვნო მითქმა-მოთქმა დაიწყო, თანაც ალექსანდრ სემიონოვიჩის ზურგს უკან.

— ეს მართლაც უცნაურია, — უთხრა ალექსანდრ სემიონოვიჩმა ცოლს სადილობისას, — ვერ გამიგია, ფრინველები რატომ უნდა გადახვეწილიყვნენ?

— აბა, მე რა ვიცი? — უპასუხა მანამ. — იქნებ შენი სხივის გაბოა?

— მანია, ნამდვილად სულელი ხარ, — უთხრა ალექსანდრ სემიონოვიჩმა და კოვზი გაავდო. — რაღა შენ და რაღა ის გლეხები. სხივი, აბა, რა შუაშია?

— მე რა ვიცი. თავი გამანებე.

სადამოთი მესამე სიურპრიზმაც არ დააყოვნა — კონცოვკაში ძაღლები ისევ აყმუვლდნენ და მერე როგორ აყმუვლდნენ! მთვარის შუქით განათებულ ველებს გაბმული, ბრაზიანი, ნაღვლიანი კვნესა-გოდება მოეფინა.

ალექსანდრ სემიონოვიჩი ამჯერად ცოტათი მაინც გაახარა სასიამოვნო სიურპრიზმა, რაც ორანჟერეაში ელოდა. კამერებში ჩაწყობილი წითელი კვერცხებიდან განუწყვეტელი კაკუნი მოისმა. ტუკ... ტუკ... ტუკ... ტუკ... ხშიანებდა ხან ერთი, ხან მეორე, ხან მესამე კვერცხი.

კვერცხების კაცუნი ალექსანდრ სემიონოვიჩის სახეიმი ხმებად ჩაესმა, კორმებსა და ტბორებზე მომზადარი უცნაურობანი უმაღ გადაავიწყდა. ყველამ თავი მოიფარა ორანჟერეაში: მანიაშაც, ღუნიაშაც, დარაჯშაც და მცველშაც, რომელსაც შაშხანა კარებთან დაეტოვებინა.

— აბა, რას იტყვით? — გამარჯვებული კაცის ხმით ეკითხებოდა მათ ალექსანდრ სემიონოვიჩი. ყველანი პირველი კამერის კარისკენ დაიქარნენ და ყური ცნობისმოყვარედ მიაპყრეს; — წიწილები ნისკარტებს უკაკუნებდნენ, ნაგრძობდა სახეგაბრწყინებული ალექსანდრ სემიონოვიჩი. — ახლაც იტყვით, ვერ გამოჩეკავთ? არა, ძვირფასებო, — გრძნობამოჭარბებულმა მცველს მხარზე ხელი დაუტყაპუნა. — ისეთ წიწილებს გამოჩეკავ, პირს დააღებთ. ახლა თვალი კარგად გეჭირით, — მკაცრად დაუმატა მან. — როგორც კი გამოჩეკვას დაიწყებენ, მაშინვე მაცნობებთ.

— კარგი, — ერთხმად უპასუხეს დარაჯმა, ღუნიაშ და მცველმა.

— ტუკ... ტუკ... ტუკ... — სულ უფრო მძლავრად ხშიანობდა პირველ კამერაში ხან ერთი, ხან მეორე კვერცხი. თხელ, გამჭვირვალე ნაჭუჭს შიგნით ახალი სიცოცხლის აღმოცენება იქ მყოფთა თვალწინ მართლაც ისე საინტერესო იყო, რომ მთელი საზოგადოება კიდევ დიდხანს იჯდა დაპირქვავებულ ცარიელ ყუთებზე და უცქეროდა, იღუშალ შუქში ჟოლოსფერი კვერცხები როგორ მწიფდებოდა. დასაძინებლად საკმაოდ გვიან წავიდ-წამოვიდნენ, როცა საბჭოთა მეურნეობასა და მის შემოგარენს მომწვანო ღამე გადაეფარა. ეს ღამე იღუშალებით მოცული, შეიძლება ითქვას, შემზარავიც კი იყო, ალბათ იმიტომ, რომ მღუმარებას დროდადრო არღვევდა ძაღლების ნაღვლიანი ყმუილი, კონცოვკაში უმიხეზოდ რომ იწყებოდა. არავინ უწყობდა, ამ წყეულებს, რა აცოფებდა.

დილით ალექსანდრ სემიონოვიჩს უსიამოვნო ამბავი ელოდა. ძალზე დაბნეული მცველი ხელებს მკერდზე იღებდა, ფიცით თავს იკლავდა, არ მძინებია, მაგრამ ვერაფერი შევამჩნიეო.

— ვერაფერი გამიგია, — თავს იმართლებდა მცველი, — ამხანაგო როკო, მე არაფერ შუაში ვარ.

— დიდ მადლობას მოგახსენებთ, — ტუქსავდა მას ალექსანდრ სემიონოვიჩი, — რას ფიქრობთ, ამხანაგო? აქ რატომ დაგაყენეს? თვალყურის სადევნებლად. მაშ მითხარით, სად გაქრნენ? ხომ გამოიჩეკნენ, არა? მაშ გაიპარნენ. მაშასადამე კარი ღია დაგიტოვებიათ და ისინიც გაპარულან. არა ვიცი რა, წიწილები იპოვეთ და მომიყვანეთ!

— არსად არ წავალ. მე ჩემი საქმე კარგად ვიცი, — განაწყენდა ბოლოს მცველი, — ამხანაგო როკო, ტყუილ-უბრალოდ საყვედურს ნუ მეუბნებით!

— მაშ სად დაიკარგნენ?

— მე რა ვიცი, — გაცხარდა ბოლოს მეომარი, — დარაჯად ხომ ვერ დავუდგებოდი მე რა მევალება? თვალყური მეჭიროს, რომ კამერები არავინ აწაპნოს. ჰოდა, ჩემს მოვალეობას ვასრულებ. აი კამერები. ხოლო თქვენი წიწილების დაჭერა კანონით არ მევალება. ვინ იცის, რანაირი წიწილები გამოიჩეკებიან, იქნებ ველოსიპედიდაც ვერ დაეწიო!

ალექსანდრ სემიონოვიჩმა ხმადაბლა რაღაც ჩაიბურტყუნა. განცვიფრებას ვეღარ მალავდა. მართლაცდა უცნაური ამბავი იყო. პირველ კამერაში, სადაც კვერცხები ყველაზე ადრე ჩააწყვეს, სხივის ფუტეში ჩაღებული ორი კვერცხი გამოტეხილი დახვდა, ერთი კვერცხი გვერდზეც კი გადაგორებულიყო. ნაჭუჭი აზბესტის იატაკზე, სხივში ევლო.

— ეშმაკმა უწყის, — ბუტბუტებდა ალექსანდრ სემიონოვიჩი, — ფანჯრები ჩაკეტილია, სახურავიდან ხომ არ გაფრინდებოდნენ.

მან თავი ასწია და იქ აიხედა, სადაც მინის სახურავში რამდენიმე ფართო ხერელი მოჩანდა.

— რას ამბობთ, ალექსანდრ სემიონოვიჩი, — ძალზე განცვიფრდა დუნია, — წიწილები სად გაფრინდებოდნენ. სადმე აქ იქნებიან... უკლებელნი... ძიბ... — დაიწყო მან ძახილი, თან ორანჟერეის კუთხეებში იტყინებოდნენ და ამტკერილი ყვავილის ღარნაკები იდგა, რაღაც ფიცრები და ხარახურა ეყარა. მაგრამ წიწილების ხმა არსაიდან ისმოდა.

მოსამსახურეთა მთელი გუნდი საბჭოთა მეურნეობის ეზოში ორ საათს დარბოდა და მკვირცხლ წიწილებს დაეძებდა, მაგრამ წიწილები ვერსად იპოვეს. დღემ ძალზე მშფოთვარედ ჩაიარა. კამერებს დამცველად დარაჯიც მიუჩინეს და უმკაცრესი ბრძანება მისცეს: ყოველ თხუთმეტ წუთში კამერების სარკმლებიდან შეეჭყიტა და, თუ რამეს შეამჩნევდა, ალექსანდრ სემიონოვიჩისთვის დაეძახა. მცველი კართან წარბებშეჭმუნული იჯდა. შაშხანა მუხლებს შუა მოექცა. ამ ალიაქოთით დაქანცულმა ალექსანდრ სემიონოვიჩმა მხოლოდ დღის ორ საათზე ისადილა. ნასადილევს შერემეტიევის ყოფილ დივანზე გრილ ჩრდილში ერთი საათი ეძინა, საბჭოთა მეურნეობაში დამზადებული ორცხობილის ბურაბი დალია, ორანჟერეაში შეიარა და დარწმუნდა, რომ იქ ყველაფერი რიგზე იყო. პირველ კამერასთან ჭილობზე პირქვე გაწოლილი მოხუცი დარაჯი საკონტროლო მინაში თვალების ხამხამით იყურებოდა. მცველი კარს ფხიზლად დარაჯობდა.

ალექსანდრ სემიონოვიჩის ორანჟერეაში ახალი ამბავიც დახვდა: მესამე კამერაში ყველაზე ბოლოს ჩაწყობილი კვერცხები ისე ახშიანდნენ, თითქოს შიგნით ვიღაც სლუკუნებსო.

— უჰ, გამოსაჩეკად ემზადებიან, — თქვა ალექსანდრ სემიონოვიჩმა, — ნამდვილად ძალე გამოიჩეკებიან ხედავ? — მიუბრუნდა დარაჯს.

— მაგარი რამეა, — უპასუხა დარაჯმა ორაზროვანი ტონით და თავი გადააქნია.

ალექსანდრ სემიონოვიჩი კამერასთან ჩაცუცქდა, ცოტა ხანს უთვალთვალა, მაგრამ მის თვალწინ არაფერი გამოჩეკილა, მერე წამოდგა, ხელ-ფეხი გაშართა და თქვა, აქაურობას არ ვაგვიღლები, მხოლოდ ტბორზე საბანაოდ ჩავალ და, თუ რამე ახალი იქნება, მაშინვე დამიძახეთო. იგი სასახლისაკენ გაემართა, საწოლ ოთახში შეირბინა, სადაც ორი ვიწრო, ზამბარებიანი საწოლი იდგა, ზედ დაჭმუჭნული თეთრეული რომ ჰქონდა გადაფარებული, ხოლო იატაკზე მწვანე ვაშლის გროვა და წიწილების მომავალი თაობისთვის გამზადებული ფეტვის ზეინი მოჩანდა. ალექსანდრ სემიონოვიჩმა ხაოიან პირსახოცს ხელი წამოავლო, მერე დაფიქრდა და ფლეიტაც აიღო, როცა წყლის პირას დავისვენებ, ცოტას დაუკრავო, სასახლიდან მხნედ გამოირბინა, საბჭოთა მეურნეობის ეზო გადაჭრა, ტირიფების ხეივანს გაუყვა და ტბორისკენ გაემართა. მხნედ მიაბიჯებდა, პირსახოცს მიაფრიალებდა, ფლეიტა ილღიაში ამოეჩარა. ტირიფებს შორის ციდან მცხუნვარება იფრქვეოდა, ალექსანდრ სემიონოვიჩის ტანი უბჟუოდა და წყლისკენ მიუწევდა. ხელმარჯენივ ძირხვენების ბარდნარი გამოჩნდა და როცა იქ ჩაიარა, ბურქებისაკენ გადააფურთხა. ბურქების სიღრმეში უმაღვე ისეთი შარიშური გაისმა, თითქოს ვიღაცა მორს მიათრევსო. ალექსანდრ სემიონოვიჩს გული ოდნავ შეუქანდა. მან თავი ბარდნარისკენ შეატრიალა და იქაურობას გაკვირვებით დააცქერდა. ორი დღეა, ტბო-

რიდან ჩქამიც არ მოიხშოდა. შარიშური მიწვდა, ძირხვენებს მიღმა ტბორის მიმხიდველი წყნარი ზედაპირი და გასახდელი ჯიხურის ნაცრისფერი სახურავი გაკრთა. ალექსანდრ სემიონოვიჩს ცხვირწინ რამდენიმე ნემსიყლაპია აუფრინდა. იგი უკვე ფიცრის ბოგურისკენ შეტრიალებას აპირებდა, როცა ბუჩქებში უეცრად შარიშური განჰქორდა და თან მოკლე შიშინიც დაურთო, თითქოს ორთქმაკალმა ზეთი და ორთქლი გამოუშვათ. ალექსანდრ სემიონოვიჩმა ყურები ცქვიტა და ბარდნარს დაატკერდა.

— ალექსანდრ სემიონოვიჩ, — გაისმა ამ დროს როკის ცოლის ხმა და ფოლოს ბუჩქებში მისი თეთრი კოფთა გაკრთა, მერე შიშმალა და ისევ გაკრთა. — მომიცადე, საბანაოლ მეც მოვდივარ.

როკის ცოლი ტბორისკენ მარად გამოეძრთა, მაგრამ ალექსანდრ სემიონოვიჩი ძირხვენებისკენ იყო მიყურადებული და მისთვის ხმა არ გაუცია. ძირხვენებიდან მორუხო-წოწენგოსფერო მორი აღიმართა და თვალდათვალ იწყო ზრდა. ალექსანდრ სემიონოვიჩს მოეჩვენა, რომ მორი მოყვითალო სველი ლაქებით იყო დაფარული. მორი ირხეოდა, იგრიხებოდა, იწვლებოდა და იმხელაზე გაიწვლა, დაბალსა და დაკორძილ ტირიფს ასცდა, შემდეგ მორის წვეროს თითქოს ჩამოტყდა, ღონავ ჩამოიხარა და ალექსანდრ სემიონოვიჩის თავს ზემოთ მოსკოვური ელექტრო ბოძის ოდენა რაღაც წამოიძართა. მაგრამ ეს რაღაცა ბოძზე საბჯერ მსხვილი და გაცილებით ლამაზი გახლდათ, რადგან ქიცვოვანი ტატუირება ამშვენებდა. ალექსანდრ სემიონოვიჩი თუმცა ჯერ ვერაფერს მიხვდა, სხეულში სიცივემ მაინც დაურბინა, შემზარავი ბოძის წვეროს ახედა და მისმა გულმა რამდენიმე წამით ძვერა შეწყვიტა. მოეჩვენა, რომ აგვისტოს დღის მცხუნვარებას უეცრად თოში შეენაცვლა. თვალები ისე დაეზინდა, თითქოს საზაფხულო შარვალი ჰქონდა აფარებული და მზეს ისე ასცქეროდა.

მორის ზედა წვეროზე გაბრტყელებული, წამახული და ყვითელი, მრგვალი ლაქით შემკობილი თავი მოჩანდა. ლაქის ზემოთ, თითქოს სახურავქვეშ ჩამჯდარი, ვიწრო უქუთუთო თვალებიდან არნახული ბრაზი გამოსჭვიოდა. თავი ისე შეირხა, თითქოს ჰაერი ჩაკორტნაო, ხოლო მორი მოლიანად ძირხვენებში ჩაიმალა, ზემოთ მარტო თვალემა დარჩა, ალექსანდრ სემიონოვიჩს დაშტერებით რომ უცქეროდა. ფოთლებს შორის გამომჭვირალი თვალემა ისეთი შემზარავი იყო, რომ ოფლში გაღვარულმა ალექსანდრ სემიონოვიჩმა ყოველად უადგილო სამი სიტყვა წარმოთქვა, ჭკუიდან შემშლელმა შიშმა რომ წამოაძახებინა:

— ეს რა ხუმრობაა...

მერე გაახსენდა, დაერიშები... დიახ... დიახ... ინდოეთი... მოწნული კალათი... შელოცვა.

თავი კვლავ აღიმართა და ტანიც ამოჰყვა. ალექსანდრ სემიონოვიჩმა ფლეიტა ტუჩებთან მიიტანა, ჩახლენილი ხმით ჩასტკინა და ვალსის დაკვრა დაიწყო „ევგენი ონეგინიდან“, თუმცა ყოველ წამს სული ეხუთებოდა. მწვანე ფოთლებიდან გამომზირალი თვალემა უმაღლ ამ ოპერის დაუოკებელმა სიძულვილმა ააკიაფა.

— რამ გაგასულელა, ამ პაპანაქებაში რომ უკრავ? — გაისმა მანიას მხიარული ხმა და ალექსანდრ სემიონოვიჩმა სადღაც მარჯვნივ თვალი მოჰკრა თეთრ ლაქას.

შემდეგ მთელი საბჭოთა მეურნეობა გულშემზარავმა კივილმა შეძრა, თანდათან იმატა და ცაში აიჭრა, ხოლო ვალსმა ფეხმომსხვრეულივით იწყო

ხტომა. თავი მწვანე ფოთლებს მოსცილდა, წინ გაექანა და თვალები ალექსანდრ სემიონოვიჩს განშორდა. თხუთმეტოდე არშინის სიგრძე და ადამიანის სიმსხო გველი ძირხვეუნებიდან ზამბარასავით გამოხტა. გზაზე მტვერი აისვეტა და ვალსი დასრულდა. გველმა საბჭოთა მეურნეობის გამგეს გვერდით ჩაუქროლა და იქით გაექანა, სადაც გზაზე თეთრი კოფთა მოჩანდა, როკმა თვალნათლივ დაინახა, რომ მანიას ზაფრანისფერი დაედო და ეგრევე დაიწყო ნახევარი არშინის სიმაღლეზე მავთულებივით აღემართა. გველმა კრუცოქს უფედწინ პირი წამით გააღო, საიდანაც ჩანგლის მსგავსი რაღაც გამოხტა. მტვერში ჩამჯდარ მანიას გველმა კბილები მხარში ჩაასო და ერთი არშინის სიმაღლეზე აიტაცა. მანიამ სიკვდილის წინ შემზარავად ამოიკივლა. გველი ხუთსაუენიან ხრახნად ჩაიგრიხა, კუდი ქარბორბალასავით დაატრიალა და მანიას შემოერტყა. მანიას ერთი ბგერაც აღარ დასცდენია, როკს მხოლოდ მისი ძვლების მსხვერვის ხმა ჩაესმა. გველის ყბაზე ნახად აკრული მანიას თავი მალლა აიჭრა, მანიამ პირიდან სისხლი ამოანთხია, მოტეხილი ხელი ჩამოეკიდა და ფრჩხილებიდან სისხლი წასკდა. მერე გველმა ყბები ამოიგდო, ხახა დააფჩინა, მანიას თავს თავისი თავი ერთბაშად ჩამოამხო და როგორც თითზე ხელთათმანს, ისე დაუწყო წამოცმა. გველი ირგვლივ ყოველ მხარეს მხურვალე სუნთქვას აფრქვევდა და ეს მხურვალეობა როკს სახეზე მისწვდა. მოქნეულმა კუდმა კინალამ გზისპირა მტვერში გატყორცნა. სწორედ მაშინ როკის კუპრივით შავი თავი ვერცხლისფრად ჯერ მარცხენა, შემდეგ მარჯვენა მხარეს შეიფერა, საშინელი გულისრევა მოეძალა. იგი გზას მოსწყდა და გამაყრუებელი დრიალით გაიქცა, ირგვლივ ველარაფერს ხედავდა...

თავი IX

ცოცხალი ფაფა

სადგურ დუგინოში სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს აგენტი შჩუკინი ძალზე მამაცი კაცი ვახლდათ. მან თავის ამხანაგს, მწითურა პოლიტიკისს ჩაფიქრებულმა უთხრა:

— მაშ რა ვქნათ, უნდა წავიდეთ, მოტოციკლეტი გამოიყვანე, — ცოტა ხანს დუმდა, მერე სკამზე ჩამომჯდარ კაცს მიუბრუნდა, — ფლეიტა მაინც დაადეთ.

მაგრამ დუგინოს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს შენობაში სკამზე მჯდარ ჭაღარა კაცს ფლეიტა არ დაუდვია, ატირდა და აზმუვლდა. მაშინ შჩუკინი და პოლიტიკისი მიხვდნენ, რომ ჭაღარა კაცისთვის ფლეიტა თვითონ უნდა გამოერთმიათ, რადგან თითები ზედ მიჰკროდა. ცირკის მსახიობივით დონიერმა შჩუკინმა თითები სათითაოდ გადაუწია, ხელი გააშლევინა და ფლეიტა მაგიდაზე დაადებინა.

ეს ამბავი მანიას სიკვდილის მეორე დღეს, დილაადრიან, მზის ამოსვლისას მოხდა.

— თან უნდა გამოგვევით, — უთხრა შჩუკინმა ალექსანდრ სემიონოვიჩს, — იქ ყველაფერს გვაჩვენებთ.

მაგრამ როკმა განზე გაიწია და სახეზე ხელები აიფარა, თითქოს საშინელ რაღაცას ხედავდა.

— უნდა გვაჩვენოთ, — მკაცრად დაუმატა პოლიტიკისმა.

— არა, თავი გაანებე. ვერ ხედავ, კაცი ჭკუაზე აღარ არის.

— მოსკოვში გამგზავნეთ, — ტირილით ითხოვა ალექსანდრ სემიონოვიჩმა.

— საბჭოთა მეურნეობაში საერთოდ არ დაბრუნდებით?

როცა პასუხის ნაცვლად ხელები კვლავ სახეზე აიფარა და თვალებში შიში ჩაუდგა.

— კო, კარგი, — გადაწყვიტა შჩუკინმა, — თქვენ ძალიან მართლაც არ შეგწევთ... თავდაც გამჩნევთ. ახლა საკურიერო მატარებელი ჩამოვივლი და მას გაყვებით.

მერე სადგურის დარაჯმა ალექსანდრ სემიონოვიჩს მინახქარმტექნიკურ ლურჯი ტოლჩით წყალი დააღვინა. ყბაყბაყბებული როკი ტოლჩაზე კბილებს ურჩევუნებდა. ხანამ მას წყალს ასმევდნენ, შჩუკინი და პოლაიტისი ერთმანეთს ეთათბირებოდნენ. პოლაიტისი აზრობდა, არაფერი არ მომხდარა, უბრალოდ, როკი სულით ავადმყოფია და საშინელი პალუცინაციები ჰქონდათ, შჩუკინი კი ვარაუდობდა, ქალაქ გრაჩოვიდან, სადაც ამჟამად საგასტროლოდ ცირკი არის ჩამოსული, მგუდავი გაეპარებოდნათ. როცა შეეჭვებულ მითათბირეთა ჩურჩული გაიგონა და წამოდგა, ცოტათი გონს მოსულმა ხელები ბიბლიური წინასწარმეტყველებით აღმართა და წარმოთქვა:

— მისძინეთ. რატომ არ გჯერათ? ეს ნამდვილად მოხდა. მაშ ჩემი ცოლი სად არის?

შჩუკინი დადუმდა და ჩაფიქრდა, მერე გრაჩოვკაში დაუყოვნებლივ რაღაც დებუმა გავხანა. მისი განკარგულებით მესამე აგენტი ალექსანდრ სემიონოვიჩს არ უნდა მოსცილებოდა და მოსკოვშიც გაყოლოდა. შჩუკინი და პოლაიტისი კი ექსპედიციისთვის მზადებას შეუდგნენ. მათ მხოლოდ ერთი ელექტრო რევოლვერი ჰქონდათ, მაგრამ დიახაც დიდად საიმედო რამ. 1927 წლის გამოშვება, ფრანგული ტექნიკის სიამაყე, ახლო მანძილზე ბრძოლისთვის განკუთვნილი ორმოცდაათმუხტიანი მოდელი. სულ ას ნაბიჯზე მოქმედებდა, მაგრამ ორი მეტრი დიამეტრის ველს ქმნიდა და ამ ველში ყოველივე ცოცხალს უმაღ სპობდა. მიზანს ძნელად თუ ააცდენდი. შჩუკინმა ეს ბრჭყვი-ალა ელექტრო სათამაშო ჩამოიკიდა, პოლაიტისმა ჩვეულებრივი ოცდახუთვაზნიანი ტყვიამფრქვევი აიღო და მჭიდვებიც გაიყოლა. ორივენი ერთ მოტოციკლეტში ჩასხდნენ და ხანამ დილით ნაში აშრებოდა, საბჭოთა მეურნეობისაკენ მიმავალ შარაგზას გაუყვნენ. მოტოციკლეტმა სადგურიდან საბჭოთა მეურნეობამდე ოცი ვერსი თხუთმეტ წუთში ტრახტრახით გაიარა (როკი მთელ დამეს მიდიოდა და დროდადრო, როცა შიშის ხარი აიტანდა, გზისპირა ბალახში იმალებოდა) და როცა მზემ საკმაოდ დააცხუნა, გორაკიდან, რომლის ძირას მდინარე ტობი მიიკლაკნებოდა, სიმწვანეში ჩაფლულმა სვეტებიანმა შაქრისფერმა სასახლემ გამოაშუქა. ირგვლივ სამარისებური სიჩუმე გაშეფებულიყო. საბჭოთა მეურნეობის მისადგომებთან აგენტებმა საზიდრით მიმავალ გლეხს გაასწრეს. რაღაც ტომრებით დატვირთული საზიდარი ნელა მიჩანჩალებდა და მალე უკან დარჩა. მოტოციკლეტმა ხიდი გადაირბინა. პოლაიტისმა საყვირს ჩაჰბერა, რომ ვინმე გამოეძახა. მაგრამ საყვირის ხმას არავინ გამოიხმაურებია, მხოლოდ შორს, კონცოვკაში ძაღლები გააფთრებით აყეფდნენ. მოტოციკლეტმა სვლა შეანელა და ფაფარგამწვანებულ ღომებით შემოღობილ ჭაშკარს მიადგა. ყვითელგვეტიანი, ტანსაცმელდამტკერილი აგენტები ჩამოქვეითდნენ, მოტოციკლეტი მესრის გისოსზე ჯაჭვით მიაბეს, ბოქლომით ჩაკეტეს და ეზოში შევიდნენ. ისინი იქ დამკვიდრებულმა მღუმარებამ განაცვიფრა.

— პეი, მანდ ვინმე თუ ხართ? — ხმამაღლა შესძახა შჩუკინმა.

მაგრამ მის ბოხ ხმას არავინ გამოპასუხებია. აგენტებმა მთელი ეზო მოიარ-

ეს უფრო და უფრო ვაოცებულებმა. პოლიტიკისი მოიღუშა. შჩუკინი სერი-
ოზულად იტყვირებოდა და ქერა წარბებს სულ უფრო მეტად ჭმუხნიდა. სამხარე-
ულში ჩაკეტილი ფანჯრიდან შეიხედეს. იქ არავინ მოჩანდა, მაგრამ
მთელ იატაკზე ჭურჭლის თეთრი ნამსხვრევები იყო მიმოხედილი.

— აქ მართლა რაღაც მომხდარა, უთუოდ კატასტროფაა, — თქვა პოლიტიკის-
მა.

— ჰეი, აქ კინძე თუ ხართ! ჰეი! — ყვიროდა შჩუკინი სამხარე-
ულს თაღებიდან მხოლოდ ექო ებასუხებოდა.

— ეშმაკმა უწყის, რა ამბავია! — ბუზღუნებდა შჩუკინი. — ყველას ერთ-
ბაშად ხომ ვერ გადაყლაპავდა. იქნებ სადმე გაიქცნენ, სახლში შევიდეთ.

სასახლის კარი სვეტებიანი ვერანდის მხრიდან ყურთაღდე ღია ეგდო, მა-
გრამ შიგნით არავინ ჩანდა. აგენტები მეზონინშიც კი ავიდნენ, ყველა კარზე
მიაკაკუნეს, ყველა კარი გამოაღეს, მაგრამ ვერაფერს მიაგნეს და ცარიელი
პარმადიდან კვლავ ეზოში ჩავიდნენ.

— სახლს ირგვლივ შემოუვართ. ორანჟერეისკენ წავიდეთ, — განკარ-
გულება გასცა შჩუკინმა, — ყველაფერი გაეჩხრიკოთ და მერე შეიძლება, ტე-
ლეფონით დაერუკოთ.

აგენტები აგურით მოფენილ ბილიკს გაუყვნენ, ყვავილნარს ჩაუარეს, უკ-
ანა ეზოში გავიდნენ, ეზოც გადაჭრეს და ორანჟერეის ბრჭყევიალა მინები დი-
ნახეს.

— მოიცა, — ჩაიჩურჩულა შჩუკინმა და ქამრიდან რევოლვერი მოიხსნა.
პოლიტიკისმაც ყური გაამახვილა და ტყვიამფრქვევი მოიშარჯვა. ორანჟერეაში
და იმას იქითაც უცნაური, მძლავრი ხმა გაისმოდა, თითქოს ორთქმავალი
შიშინებდა. ში-ში-ში... სი-სი-სი... — სისინებდა ორანჟერეა.

— ფროხილად, — ჩაიჩურჩულა შჩუკინმა. აგენტები ორანჟერეისკენ გაუ-
მართნენ, თან ცდილობდნენ, ქუსლები არ ებაკუნებინათ, მინებთან მივიდნენ
და შიგნით შეიხედეს.

პოლიტიკისი უშალ უკან გადაიხარა და გაფითრდა. რევოლვერმომარჯვე-
ბულმა შჩუკინმა პირი დააღო და ერთ ადგილას გაშეშდა.

მთელი ორანჟერეა მატლებდახვეულ ფაფასავით ფუთფუთებდა. ორანჟე-
რეის იატაკზე უზარმაზარი გველები დასრიალებდნენ, ხან გორგლებოდ შეაკ-
ვრებოდნენ, ხან გაიშლებოდნენ, სისინებდნენ და ყელყელაობდნენ, აქეთ-იქით
ტრიალებდნენ და თავებს არხევდნენ. იატაკზე მიმოფანტულ ნატუჭს მათ სხე-
ულქვეშ ღრაჭუნი გაპქონდა. ხემოთ მძლავრი ელექტრო სფერო ენთო და ორ-
ანჟერეას უცნაურ კინემატოგრაფიულ შუქს ჰფენდა. იატაკზე სამი შავი, ფო-
ტოგრაფიული კამერის მსგავსი უზარმაზარი ყუთი გახირულიყო. ორ მათგან-
ში, განზე გაცურებულსა და აყირაებულში, შუქი ეღარ ენთო, მესამეში კი
ჟოლოსფერი მცირე ლაქა ციალებდა. ყველანაირი ზომის გველები შავთულებ-
ზე მიცოცავდნენ, ფანჯრის ჩარჩოებზე ადიოდნენ და სახურავის ხვრელიდან
გარეთ მიძვრებოდნენ. თვით ელექტრო სფეროზე რამდენიმე არშინის სიგრძე
შავზე შავი ხალებიანი გველი ეკიდა და თავს ქანქარასავით აქანავებდა. ხრი-
ალ-ფლარუნი და სისინი ერთმანეთში ირეოდა, ორანჟერეიდან საშინელი შო-
რის, თითქოს ტბორის სუნი გამოდიოდა. ამას გარდა, აგენტებმა ბუნდოვნად
მოჰკრეს თვალი მტვრიან კუთხეებში გროვა-გროვად დახვავებულ თეთრ
კვერცხებს, კამერასთან უძრავად გაწოლილ უცნაურ კანჭმალად გიგანტურ
ფრინველს და კართან, შინხანის გვერდით გაშოტილ რუხტანსაცმლიან გვამს.

— უკან დაიხიე! — შესძახა შჩუკინმა; თავდაც უკან იხევდა, მარცხენა

ხელით პოლიტიკისს აწვებოდა, მარჯვენით კი რევოლვერს უმიზნებდა. ცხრაჯერ მოასწრო გასროლა და ორანჟერეის გვერდით მომწვანო ელვა სისინით დააკვესა. შჩუკინის სროლის პასუხად მთელი ორანჟერეა გაშმაგებით ამობრავდა, ყველა ხერედიდან ბლაგვი თავი ამოიზიდა. ქუხილმა უმაღლესელ საბჭოთა მეურნეობაში გადაიგრგვინა და კედლებზე ათინათებდა ათამაშდა. ჭახ-ჭახ-ჭახ-ჭახ, — ისროდა პოლიტიკისი და თან უკან იხევდა. უკნიდან კი ფეხის უცნაური შარიშური მოიხმა, პოლიტიკისმა უცებ სუბტილად შექმნა ყვირა და გულადმა დაეცა. ფეხებგაჩაჩხული მომწვანო-მოყავისფრო, უშველებელი წაწვეტებული დრუნჩისა და საეარტხლისებური კუდის მქონე არსება, შემზარავი ზომის ხვლიკს რომ წააგადა, ფარდულის კუთხიდან გამოსხლტა, პოლიტიკისს ფეხი წააკვნიტა და მიწაზე დაანარცხა.

— მიშველე, — შეტყვირა პოლიტიკისმა. მისი მარტხენა ხელი უმაღლეს ნიანგის პირში მოექცა და გადაიმსხვრა. პოლიტიკისი ამოდ ცდილობდა, მარჯვენა ხელი მაღლა აეწია, რევოლვერს მიწაზე მიაჩოჩებდა. შჩუკინი მისკენ შეტრიალდა და ერთხელ გასროლა მოასწრო, მაგრამ ააცდინა. იპიტომ რომ შეეშინდა, სამხანაგი არ მოეკლა, მეორედ ორანჟერეისკენ გაიხროლა, რადგან იქიდან გველის პატარა თავებს შორის ერთი უზარმაზარი წენგოსფერი თავი ამოიშართა, თავს სხეულიც ამოჰყვა და პირდაპირ მისკენ გამოექანა. ამ გასროლით შჩუკინმა გიგანტური გველი მოკლა, მერე კვლავ ნიანგოს პირში მოქცეულ ცოცხალმკვდარ პოლიტიკისს მიუბრუნდა. ირგვლივ ურბუნდა ადგილს არჩევდა, სად ესროლა, რომ საშინელი ქვეწარმავალი მოეკლა, აგენტისთვის კი არაფერი ევნო. ბოლოს მოახერხა. ელექტრორევოლვერმა ორჯერ იფეთქა და ირგვლივ ყველაფერი მომწვანო შუქით გაანათა. ნიანგი შეხტა, გაიჭიმა, მერე გაშეშდა და პოლიტიკისი პირიდან გამოაგდო. პოლიტიკისს სხეულიდან სისხლი სდიოდა, სისხლს ანთხევდა პირიდანაც, მარჯვენა. სად ხელს ეყრდნობოდა და გადამსხვრეულ მარჯვენა ფეხს მიათრევდა, თვალეზი თანდათან ებინდებოდა.

— შჩუკინ... გაიქეცი, — ამოიღმუელა მან სლუკუნით.

შჩუკინმა ორანჟერეისკენ რამდენჯერმე გაიხროლა და რამდენიმე მინა ჩაამსხვრია. მაგრამ უკნიდან, სარდაფის სარკმლიდან, უზარმაზარი, წენგოსფერი და მოქნილი ზამბარა გამოხტა, ეზოში გამოისრიალდა, ხუთსაყენიანი სხეულით მთელი ეზო დაიკავა და შჩუკინს ელვის უსწრაფესად ფეხებზე შემოექცდო. შჩუკინი მიწას დაასკდა, ბრჭყვიძლა რევოლვერი ზედიდან გაუსხლტა და გვერდზე გადავარდა. მან სძლავრად შეტყვირა, მერე სული შეეხუთა, მთელი სხეული, თავის გარდა, რგოლებმა დაუფარა, ერთი რგოლი თავზე ერთხელ გადაევლო, სკალპი გადააძრო და თავი გაუხეთქა. საბჭოთა მეურნეობაში სროლის ხმა აღარ ისმოდა. ყოველივე ჩაახშო, მოსისინე, ყოვლის შთანმთქმელმა ხმამ. პასუხად ძალზე შორიდან, კონცოვკიდან, ქარს ყმუილის ხმა ზოჰყვა, თუმცა ძნელი გასარჩევი იყო, ძალდი ყმუოდა თუ ადამიანი.

თავი X

კატასტროფა

გაზეთ „იზვესტიას“ რედაქციაში ღამით კამკაშა სფეროები ბდღვრიადებდა. ჩასუქებული გამომშვები რედაქტორი ტყვიის მაგიდაზე დუბეშების მეორე გვერდს აკაბადონებდა, რომელსაც სათაურად ჰქონდა „რესპუბლიკების კავშირში“. თვალში ერთი სვეტი მოხვდა, პენსნეთი დააცქერდა და ახარხარდა,

მერე საკორექტოროდან კორექტორებს მოუხმო, მეტრანპაუსაც დაუძახა, ყვე-
ლანი გარს შემოიკრიბა და სვეტი აჩვენა. საღებავშეუწმრალი ქალაქის ვი-
წრო ზოლზე დაბეჭდილი გახლდათ:

„სმოლენსკის გუბერნიის ქალაქი გრაჩოვკა. მაზრაში ცხენისხელა ქათა-
მი გამოჩნდა, ცხენით ტლინკებს რომ ჰყრის და ბოლოს ნაცვლად ქალის
ბურჟუაზიული ბუმბულები აქვს“.

ასოთამწყობებმა ხარხარი ატეხეს.

— ჩემს ახალგაზრდობაში, — წამოიწყო გამომშვებმა გულიანი ხითხი-
თით, — როცა ვანია სიტინთან „რუსულ სიტყვაში“ ვმუშაობდი, გამომთვრა-
ლებს სპილოები ელანდებოდათ. ნამდვილად. ახლა კი, როგორც ჩანს, სირაქ-
ლეშები მოლანდებიან.

ასოთამწყობები ხარხარებდნენ.

— მართლა სირაქლემა მოსჩვენებიათ, — თქვა მეტრანპაუსმა, — რა ვქნა,
ჩავსვა ივან ბონიფატიევიჩი?

— ხომ არ გასულელდი, — უპასუხა გამომშვებმა, — მიკვირს, მღივანმა
როგორ გაუშვა ვიღაც მოვრალის გამოგზავნილი დეპეშაა.

— მართლა ნაქეიფარის გამოგზავნილია, — დაეთანხმნენ ასოთამწყობები და
მეტრანპაუსაც სირაქლემის თაობაზე გამოგზავნილი ცნობა მაგიდას მოაცილა.

ამიტომ მეორე დღეს გამოსული „იზვესტია“ ჩვეულებრივსაშუაზრ, დიდ-
ძალ საინტერესო მახლას შეიცავდა, მაგრამ გრაჩოვკული სირაქლემას ხსე-
ნებაც არსად იყო. პრივატ-დოცენტი ივანოვი „იზვესტიას“ ყოველთვის გულ-
დასმით კითხულობდა, ახლაც თავის კაბინეტში თავიდან ბოლომდე გადაიკით-
ხა, მერე გრაჩილივით დააბნია, მოქნარებით თქვა, საინტერესო არაფერიათ,
და თეთრი ხალათის ჩაცმას შეუდგა. ცოტა ხნის შემდეგ მის კაბინეტში სან-
თურები აბრიალდა და მყაყებე აყიყინდნენ. პროფესორ პერსიკოვის კაბინეტ-
ში კი ერთი ალიაქოთი იდგა. შეშინებული პანკრატე გაჭიმული იდგა, ზეღუ-
ბი დაბლა ჩამოეშვა.

— გასაგებია... გასაგებია, — ამბობდა იგი.

პერსიკოვმა ლუქით დაბეჭდილი პაკეტი მიაწოდა და უთხრა:

— მეცხოველეობის განყოფილებაში წიდი და განყოფილების გამგეს —
პტახას პირდაპირ უთხარი, ღორი ხარ-თქო. უთხარი, პროფესორმა პერსიკოვ-
მა შემოგითვალა-თქო. ეს პაკეტიც გადაეცე.

„კარგი ამბავია, ხომ იცი...“ — გაიფიქრა გაფითრებულმა პანკრატმა და
პაკეტიანად გაუჩინარდა.

პერსიკოვი კი ბობოქრობდა.

— ეშმაკმა უწყის, ეს რა უბედურებაა, — წუწუნებდა იგი, კაბინეტში ბო-
ლთას სცემდა და ზელთათმანიან ხელებს იფშენებდა, — ეს არნახული აბუჩად
აგდებაა, ჩემიც და ზოოლოგიისაც, იმ წყეულ ქაბშის კვერცხებს აუარებელს
აგზავნიან, მე კი ორი თვეა, ვერ შამილია, რაც აუცილებლად მჭირდება. თით-
ქოს ამერიკა ისე შორს იყოს! სულ ასეთი არეულობაა, სულ ასეთი უწყესრი-
გობა, — მან თითებზე იწყო ანგარიში: — მოვროვებას, ვთქვათ, ათი დღე დას-
ჭირდებოდა, დიდი-დიდი თხუთშეტი... კარგი, თუნდაც ოცი, გადმოფრენას
ორი დღე, ღონღონიდან ბერლინში ერთი დღე... ბერლინიდან აქამდე ექვსი
საათი... ენით აუწერელი უწყესრიგობაა...

იგი გააფთრებით ეცა ტელეფონს და სადღაც რეკვას შეუდგა.

პერსიკოვს საიდუმლო და სახიფათო ცდების ჩასატარებლად კაბინეტში

ყველაფერი მზად ჰქონდა, კარებზე ასაწებებელი, ზოლ-ზოლად დაჭრილი ქაღალდი მაგიდაზე ეწყო, იქვე მოჩანდა გამყვანი მილებით აღჭურვილი საყვინთო ჩაფხუტები და ვერცხლისწყალივით მოელვარე რამდენიმე ბალონი, რომლებსაც ეკრა ეტიკეტები: „არმიის ნებაყოფლობითი საზოგადოება, არ მიუკროთ“, აგრეთვე თავის ქალა და გადაჯვარედინებული ძვლებიც ჰქონდა მიხატული.

ერეკუნული

პროფესორს სამი საათი მაინც დასჭირდა, რომ დამშვიდებულიყო და წერილმანი სამუშაოებისთვის ხელი მოეკიდა. ინსტიტუტში ღამით თერთმეტ საათამდე იმუშავა, ამიტომ არ იცოდა, კრემისფერი კედლების მიღმა რა ხდებოდა. არ გაუგია, მოსკოვში გველებზე რა უაზრო ხმები დაირხა და არც ის შეუტყვია, საღამოს გაზუთებში მისული უცნაური ღებეშა რას იტყობინებოდა, ამიტომ რომ დოცენტი ივანოვი სამხატვრო თეატრში „ფიოდორ იოანოვიჩზე“ იყო და, მაშასადამე, პროფესორი ახალ ამბავს ვერავისგან გაიგებდა.

პროფესორი პრეჩისტენკაზე დაახლოებით შუალამისას მივიდა და დასაძინებლად დაწვა. სანამ დაიძინებდა, ლონდონიდან მიღებულ ჟურნალ „ზოლოტის მაცნეში“ დაბეჭდილი რადაც ინგლისური სტატიის წაკითხვაც მოასწრო. პერსიკოვს ეძინა, გვიან ღამემდე მოფუსფუსე მოსკოვმაც ჩაიძინა. არ ეძინა მხოლოდ ტვერის ქუჩაზე ეზოში მდგარ უზარმაზარ რუხ კორპუსს, სადაც „იზვესტიის“ საროტაციო მანქანების გრიალი მთელ შენობას აზანზარებდა. გამომშვების კაბინეტში წარმოუდგენელი ალიაქოთი სუფევდა. თვალებჩაწითლებული, მთლად გაცოფებული გამომშვები აქეთ-იქით აწყდებოდა, აღარ იცოდა, რა ექნა და ყველას ლანძღვა-გინებით იკლებდა. ღვინის სუნით აქოთებული მეტროსპაჟი უკან დასდევდა და ეუბნებოდა:

— რა მოხდა, ივან ბონიფატიევიჩ, არა უშავს, დილაზე საგანგებო დამატება გამოუშვან. ნომერს მანქანიდან ხომ ვერ ჩამოვიღებთ.

ასოთამწყობები შინ არ წასულან, გუნდ-გუნდად დადიოდნენ, მერე შექუჩდებოდნენ და ღებეშებს კითხულობდნენ, მთელი ღამე ყოველ თხუთმეტ წუთში განუწყვეტლივ რომ მოდიოდა და სულ უფრო შემზარავი და უცნაური ხდებოდა. თვალისმომჭრელი ვარდისფერი შუქით გაჩირაღდებულ სტამბაში აღფრედ ბრონსკის წვეტიანი შლაპა მაღიმაღ გაიფლავებდა, მექანიკური დიპიანი კაცი ღრაჭუნ-ჩლახუნით ხან აქ ხან იქ გამოჩნდებოდა. რეპორტიორები მთელი ღამე მოდიოდნენ და სადარბაზო შემოსასვლელის კარიც მაღიმაღ ჯახუნობდა. სტამბის თორმეტივე ტელეფონი განუწყვეტლივ წკრიალებდა, სადგური იღუმალ ყურმილებს თითქმის მექანიკურად პასუხობდა: — „დაკავებულია“, „დაკავებულია“. სადგურში უძილობით დაქანცული ქალიშვილების წინ სიგნალების მღერა არ წყდებოდა...

ასოთამწყობები მექანიკურ კაცს შემოეხვივნენ.

— გაზით აღჭურვილი აეროპლანები უნდა გაიგზავნოს, — უთხრა შათ შორეული ნაოსნობის კაპიტანმა.

— ნამდვილად — ამბობდნენ ასოთამწყობები, — ეს რა ამბავია! — მერე საშინელმა ლანძღვა-გინებამ იქაურობა გააფრუა და გამკინავი ხმა გაისმა:

— პერსიკოვი დასახურეტია.

— პერსიკოვი რა შუაშია, — უპასუხეს მას, — საბჭოთა მეურნეობაში ვიდაც მამაძალი რომ არის, ის უნდა დაიხვრიტოს.

— დაცვა უნდა დაეყენებინათ, — ყვიროდა ვიდაცა.

— იქნებ კვერცხები სულაც არაფერ შუაშია.

საროტაციო ბორბლები მთელ შენობას აზანზარებდა და აგუგუნებდა,

იქაურობის შემხედვარეს მოეჩვენებოდა, ულამაზო რუხ კორპუსს ელექტრო ხანძარი აგიზგიზებდა.

როცა გათენდა და დღემ იმძლავრა, ალიაქოთი მაინც არ შენელებულა პირიქით, გაძლიერდა, თუმცა ელექტროშუქი ჩაქრა. შოტოცნაკლებები მოასფალტებულ ეზოში ავტომობილებთან მონაცვლეობით მალევე შეგრიადდებოდნენ ხოლმე. მთელმა მოსკოვმა გამოიღვიძა და გაზეფიქუფულნი ფურცლები ქუჩებს ჩიტებივით მოეფინა. ყველას ხელში გაზეფიქუფულნი ელგან გაზეთები ფრიალებდა და შრიალებდა. თერთმეტი საათისათვის გაზეთის გამყიდველებს გაზეთები გამოეღიათ, თუმცა „იზვესტია“ იმ თვეში მილიონნახევარი ტირაჟით გამოდიოდა. პრეჩისტენკიდან ავტობუსით წამოსული პერსიკოვი ინსტიტუტში მივიდა. იქ ახალი ამბავი ელოდა. ვესტიბულში ლითონის სალტეებით ფაქიზად შემოჭედილი, გერმანული წარწერებითა და უცხოური ეტიკეტებით აჭრელებული ფიცრის სამი ყუთი იდგა. ეტიკეტებს ფარაუდა ცარცით რუსულად მსხვილი ასოებით მინაწერი: „ფროთხილად. კვერცხებია“!

პროფესორს უსაზღვრო სიხარული დაეუფლა.

— როგორც იქნა, — შესძახა მან. — პანკრატე, ყუთები დაუყოვნებლივ გახსენი, თანაც ფროთხილად, რომ არ დაამტვრიო, და კაბინეტში შემომიტანე.

პანკრატმა ბრძანება უმალ შეასრულა და თხუთმეტი წუთის შემდეგ ნახევრითა და ქაღალდის ნაგლეჯებით მოფენილ კაბინეტში პროფესორის მძვინვარე ხმა გაისმა.

— სასაცილოდ მიუდებენ, თუ რა არის, — გაჰკიოდა პროფესორი და მუშტებს იქნევდა, ხელში კვერცხები ეჭირა. — პტახა ნამდვილი პირუტყვია. ნებას არ მივცემ, მასხარად ამიუღონ. პანკრატე, ეს რა არის?

— კვერცხებია, — დაღონებით უპასუხა პანკრატმა.

— ქათმისა, გესმის, ქათმისა, ეშმაკმა წაიღოს იმათი თაყი! რა ჯანდაბად მინდა. იმ არამზადას გაუგზავნონ საბჭოთა მეურნეობაში!

პერსიკოვი ოთახის კუთხისკენ გაექანა, ტელეფონს ეცა, მაგრამ დარეკვა ვეღარ მოასწრო.

— ვლადიმერ იპატიჩ, ვლადიმერ იპატიჩ, — გაისმა ინსტიტუტის დერეფანში ივანოვის მჭექარე ხმა.

პერსიკოვი ტელეფონს მოსცილდა, პანკრატი გვერდზე გახტა და პრივატ-დოცენტს ვზა დაუთმო. ივანოვმა კაბინეტში შემოირბინა, ჯენტლმენური ჩვევა გადაავიწყდა და კეფაზე მოქცეული ნაცრისფერი შლაპა არ მოუხდია, ხელში გაზეთი ეჭირა.

— ვლადიმერ იპატიჩ, იცით, რა მოხდა? — შესძახა მან და პერსიკოს ცხვირწინ გაზეთის ფურცელი გაუშალა, სათაურად რომ ჰქონდა: „საგანგებო დამატება“, ხოლო შუაში ჭყეტელა ფერადი ნახატი მოჩანდა.

— აბა, ნახეთ, რა ქნეს, — პასუხად აყვირდა პერსიკოვი, ივანოვს არც უსმენდა, — ქათმის კვერცხებით უნდათ, რომ გამაკვირონ. ეს პტახა ნამდვილი იდიოტია, ნახეთ!

ივანოვი ვახსნილ ყუთებს შეძრწუნებული დააცქერდა, მერე გაზეთის ფურცელს დახედა და თვალები ლამის გადმოუცვივდა.

— აი, თურმე რა მომხდარა, — თქვა სულშეხუთულმა, — ახლა კი მივხვდი... ვლადიმერ იპატიჩ, აბა, დახედეთ, — გაზეთის ფურცელი სწრაფად გაშალა და პერსიკოს ფერად გამოსახულებაზე აკანკალებული ხელით მიუთითა. ფურცელზე გადღაბნილ უცნაურ მწვანე ფონზე სახანძრო შლანგივით დაკლაკნილი, ყვითელლაქებიანი წებოსფერი შემზარავი გველი მოჩანდა. სურათი

ზემოდან იყო გადაღებული. მსუბუქი მფრინავი მანქანიდან, — ვლადიმირ იპატიჩი, მითხარით, ეს რა არის?

პერსიკოვმა სათვალე შუბლზე აიწია, მერე კვლავ თვალეზე მოირგო, სურათს დაამტერდა და გაოცებულმა თქვა:

— ეს რა ჯანდაბაა. ეს... ეს ხომ ანაკონდაა, წყლის მგუდავი...

ივანოვმა შლაპა მოიძრო და სკამზე მოწყვეტით დაჯდა.

— ვლადიმირ იპატიჩი, ეს ანაკონდა სმოლენსკის გუბერნიიდან გამოდის, — ამბობდა იგი და ყოველ სიტყვას მაგიდაზე მუშტის ბრაგუნს აყოლებდა, — ეს რაღაც საშინელებაა. ხომ გესმით, იმ არამზადამ ქათმების ნაცვლად გველები გამოჩენა და ისინიც, უნდა მოგახსენოთ, ზუსტად ისეთივე ფენომენალური რაოდენობის კვერცხებს დებენ, როგორც ბაყაყები დებდნენ.

— რაო? — თქვა პერსიკოვმა და სახე წამოუჭარხლდა... — ზუმრობთ თუ... პიოტრ სტეპანოვიჩი... რანაირად?

ივანოვი წამით დამუნჯდა, მერე შეტყვევების უნარი დაუბრუნდა, თითი გახსნილი ყუთისკენ გაიშვირა, სადაც ყვითელი ნახერხიდან თავამოყოფილი კვერცხები თეთრად ქათქათებდა, და თქვა:

— აი, ანაირად.

— რაო? — შეტყუვლა პერსიკოვმა, რაღაცას მიხვდა.

ივანოვმა ორივე მუშტი დამაჯერებლად აღმართა და შეჰყვირა:

— ცხადზე ცხადია. თქვენი შეკვეთილი გველებისა და სირაქლემას კვერცხები შეცდომით საბჭოთა მურნეობაში გაგზავნეს, თქვენ კი ქათმის კვერცხები მოგიტანეს.

— ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო... — გაიმეორა პერსიკოვმა, სახეზე მწვანე ფერი დაედო და ხრახნიან ტაბურეტზე ჩამოჯდა.

კართან მდგარი პანკრატი მთლად გაოგნდა, გაფითრდა და ენა ჩაუვარდა. ივანოვი წამოხტა, გახეთის ფურცელს ხელი დასტაცა, ერთ სტრიქონს ფრჩხილის წვეტი გაუსვა და პროფესორს ყურში ჩასძახა:

— ახლა კარგ დროს გაატარებენ! რა მოხდება, ვერც კი წარმომიდგენია. ვლადიმირ იპატიჩი, აბა, ნახეთ, — მან დაჭმუჭნული ფურცელი გაშალა და იმ ადგილის კითხვის შეუღლა, რაც თვალში პირველად მოხვდა... — გველები მოყაისკის მიმართულებით გუნდ-გუნდად მიემართებიან და აურაცხელ კვერცხს დებენ. კვერცხები დუხოვოს მაზრაშიც შეამჩნიეს... ალაგ-ალაგ ნიანგები და სირაქლემებიც გამოჩნდნენ. საგანგებო დანიშნულების ნაწილებმა და სახელმწიფო სამმართველოს რაზმებმა ვიახმაში პანიკა იმით შეწყვიტეს, რომ ქალაქის გარეუბნებთან ტყეს ცეცხლი წაუკიდეს და ქვეწარმავლების წინსვლა შეაჩერეს...“

სახეაჭრელებული, ცალურჯებულ-გაფითრებული, თვალეზეშლილი პერსიკოვი ტაბურეტიდან წამოდგა და სულშეხუთული აყვირდა:

— ანაკონდა... ანაკონდა... წყლის მგუდავი! ღმერთო ჩემო! — იგი ასეთ მდგომარეობაში არასოდეს უნახავთ არც ივანოვს და არც პანკრატს.

პროფესორმა პალსტუხი ხელის ერთი გაქნევით მოიგლიჯა, პერანგზე დილები აიწვიტა, დამბლადაცემულივით წამოჭარხლდა, თვალეზე უახროდ გაეყინა, ადგილს მოსწყდა და საითკენღაც ბარბაცით გაექანა. ინსტიტუტის ქვით ნაგები თაღები მისმა ღრიალმა შეძრა.

— ანაკონდა... ანაკონდა... — აგუგუნდა ექო.

— პროფესორი დაიჭირე! — დასჭყვივლა ივანოვმა შიშისაგან ერთ ადგილს აცეკვებულ პანკრატს. — წყალი შეასხი... სისხლმა თავში აასხა.

თავი XI

ბრკოლა და სიკვდილი



ელექტრო შუქში გახვეული მოსკოვი ერთიანად ბრიალებდა. იმ დამეს ყველა ბინაში შუქი ერთ, ერთ ადგილსაც ვერ ნახავდით, ყველაფერი მომძვრალი ნათურები არ ჩახჩახებდა. მოსკოვის ოთხ მილქვეშ მსხვილნიკიან ბავშვების გარდა არავის ეძინა. იმას ჭამდნენ და სვამდნენ, რასაც მოიხელთებდნენ, რაღაცას ვაჭყვიროდნენ. სახეშეშლილი მცხოვრებნი ყველა სართულის ფანჯრებიდან ყოველ წუთს თავს ჰყოფდნენ და პროექტორებით ერთიანად დახაზულ ცას ასცქეროდნენ. ცაში მალიმალ თეთრი შუქი ინთებოდა, მოსკოვს მკრთალ კონუსებად ეფინებოდა, ბერე იახდათან ილეოდა და ქრებოდა. აერთპლანები ძალზე დაბლა გადაიფრენდნენ ხოლმე და მათი გუგუნი განუწყვეტლივ გაისმოდა. ყველაზე უფრო შემზარავი სანახავი ტვერსკაია-იამსკაია გახლდათ. ალექსანდრეს ვაგზალზე ყოველ ათ წუთში შემოდისოდა სატვირთო თუ სხვადასხვა კლასის ვაგონებისგან არეულ-დარეულად შემდგარი მატარებლები, შიგადაშიგ ცისტერნებიც რომ ურია და გაგიჟებული ხალხით იყო შეხუნძლული, ტვერსკაია-იამსკაიაზე ზეჟვად მამსკდარი ხალხი გარბოდა, შეშლილებივით ავტობუსებისა და ტრამვაის ვაგონებში ეტყენებოდნენ, სახურავებზე მიძვრებოდნენ, ერთმანეთს თელავდნენ, ბორბლებქვეშ ცვიოდნენ, ვაგზალში ბრბოს თავზე წამდაუწუმ გაისმოდა შამხანების საგანგაშო ტკაცატკუცი — სამხედრო წაწილები ცდილობდნენ, სროლით დაემოშმინებინათ გადარეული ხალხი, სმოლენსკის გუბერნიიდან მოსკოვს რომ მოაწყდა და რკინიგზის ლიანდაგებზე გამორბოდა. ვაგზალზე წამდაუწუმ წკრიალით იმსხვრეოდა ფანჯრის მინები, კიოდა ყველა ორთქმავალი. ყველა ქურაზე გათელილი პლაკატები ეყარა, ასეთივე პლაკატებს აეჭრელებინა თვალისმომჭრელი ყოლოსფერი რეფლექტორებით განათებული კედლები. ამ პლაკატებზე რაც ეწერა, ყველამ იცოდა და აღარავინ კითხულობდა. პლაკატები ხალხს ამცნობდა, რომ მოსკოვში სამხედრო მდგომარეობა ცხადდებოდა, პანიკის ამტეხებს სასჯელით ეშუქრებოდა და ატყობინებდა, რომ სმოლენსკის გუბერნიისკენ ერთი მეორის მიყოლებით მიემართებოდნენ გაზით აღჭურვილი წითელი არმიის რაზმები. მაგრამ პლაკატები მოგუგუნე დამეს, ვერ გააჩერებდა. ბინებში ხელიდან უცვიოდათ და ემსხვრეოდათ ჭურჭელი, ყვავილის ლარნაკები, გარბი-გამორბოდნენ, კედლის კუთხეებს ეჯახებოდნენ, ჩემოდნებს ტენიდნენ, ბოხჩებს ხსნიდნენ და კრავდნენ ფუჭი იმედით, რომ იაროსლავის ან ნიკოლოზის ვაგზლებში შეაღწევდნენ. მაგრამ ამოდ ირჯებოდნენ. ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის ყველა სადგურს ქვევითა მეომართა მჭიდრო ალყა ერტყა. იქითკენ ჯაჭვების ჩხარუნით მიემართებოდა ყუთებით გამეძგილი უზარმაზარი სატვირთო მანქანები. ყუთებზე ჯარისკაცები ისხდნენ, თავზე წვეტიანი მუზარადები რომ ეხურათ და ყოველ მხარეს ხიშტები გაეშვირათ. ამ მანქანებით ეზიდებოდნენ ფინანსთა სახალხო კომისარიატის სარდაფებიდან ამოდებულ ოქროს მონეტების მარაგს და უზარმაზარ ყუთებს, რომლებზეც ეწერა: „ფრთხილად. ტრეტიაკოვის ვალერეა“. მთელ მოსკოვში მანქანები დადმოოდნენ და დაქროდნენ. შორს, ძალზე შორს, ცის კიდურზე, ხანძრის ათინათი თრთოდა და ავვისტოს წყვილიადს ქვემეხთა განუწყვეტელი ზათქი აპობდა.

დამენათევ მოსკოვში, სადაც მთელი დამე ერთი ნათურაც არ ჩამქრალა, გათენებისას ტორსფენილზე ფლოქვების თქარუნით ტვერსკაიას აუყვა მრა-

ვალთასიანი რიგები გველივით გაკლავნილ ცხენოსანთა არმიისა, გზიდან ყველაფერს რომ იცილებდა დამფრთხალი ხალხი სადარბაზოში იჭეჭეებოდა, ვიტრინებს აწყდებოდა და მიწებს ლეწაუდა. მხედართა რუხ ზურგებზე ფოლოსფერ ჩაბალახთა წვეროები ფრიალებდა, ხიშტთა წვეტები ცახ სურაუდა, აზავთებულ-აკივლებული ბრბო თითქოს ერთბაშად გამოცოცხლდა, როცა დაუხახა, ცხენებს როგორ მოაკვლევდნენ მხედართა მწკრივები. ტროტუარებზე ნდგართ გული მოეცათ და იმედინად იწყეს მოწოდებათა ძახილი: „გაუმარჯოს“

— გაუმარჯოს ცხენოსანთა არმიას! — გულის გამწირავი ხმით ვაკვიოდნენ ქალები.

— გაუმარჯოს! — ბანს აძლევდნენ კაცები.

— გაუმარჯოს!! გაგესრესენ! — წიოდნენ სადღაც.

გვიშველეთ! — ყვიროდნენ ტროტუარზე მდგარნი.

ტროტუარებიდან მწკრივებისკენ მიფრინავდა პაპიროსის კოლოფები, ვერცხლის ფულები, საათები, ვილაც ქალები ქვაფენილზე შერბოდნენ, ხიფათს არად აგდებდნენ, მხედართა მწვობრს აწყდებოდნენ, უზანგებზე ეჭიდებოდნენ და კოცნიდნენ. ფლოქვთა განუწყვეტელ თქარუნში ხანდახან გაისმოდა ოცეულის მეთაურთა შეძახილი:

— სადავეები დაამოკლეთ.

სადღაც მხიარულად და დარდიმანდულად მღეროდნენ, ცხენებიდან იცქირებოდნენ მკრთალი სარეკლამო შუქით განათებული სახეები მხედრებისა, ფოლოსფერი კუდები გვერდზე რომ მოეგდოთ. იმ მხედართა რიგებს, ვისაც სახე მოუჩანდა, წამდაუნუმ ენაცვლებოდა რიგები უცნაური ჩადრებით პირშებურული უცნაური მხედრებისა, გამგვანმილებიანი ბალონები ზურგზე ღვედებით რომ წამოეკიდათ. მათ უკან მიჰყვებოდა ყრუდ დაგმანული, ვიწრო სათოფურიდან მანათობელი, ტორსფენილის ჩამზნექელი მძიმე მუხლუხა ტანკები. მერე მხედართა რიგები წყდებოდა და რუხ ჯაფშანში ჩასმული აფტომობილები გამოჩნდებოდა, გარეთ ისეთივე მიღები რომ ჰქონდა გამოჩრილი და გვერდებზე თეთრი თავის ქალები ეხატა, რომელთა ქვეშ ეწერა: „გაზი“. „ქიმიის ნებაყოფლობითი საზოგადოება“.

— გვიხსენით, ძმებო, — ვაკვიოდნენ ტროტუარებზე, — ქვეწარმავლებს დასცხეთ... მოსკოვი გაადარჩინეთ!

— ვაშა... ვაშა... ვაშა... — გადაიგრგვინებდა მწკრივებში. განათებულ ღამის ჰაერში პაპიროსის კოლოფები მიფრინავდა და ცხენებზე მსხდომნი კბილებს თეთრად აელვარებდნენ. მწკრივებში ჩაიქროლებდა ხოლმე მოგუდული, გულის გამაწვრილებელი სიმღერა.

რა ტუზი, ქალი და რა ვალეტი,
გველებს რომ მოვსპობთ, უეჭველია,
და გამარჯვებას ჩვენივე ხელით...

ხალხის მორევში „ვაშა“ ჩაიგრგვინებდა ხოლმე, რადგან ხმა დაირბა, რომ მწკრივებს წინ მიუძღოდა ცხენზე ამხედრებული, სხვა მხედრებით შემოსილი, მათსავით ფოლოსფერჩაბალახიანი, ათი წლის წინ ლეგენდად ქცეული, ამჟამად მობერებული და ვაჭალარაეებული მეთაური ცხენოსანთა არმიისა, ბრბო აკივლდებოდა და ცისკენ მიიწევდა მშფოთვარე გულების ოდნავ დამშვიდებული გუგუნით: „ვაშა... ვაშა...“

* * *

ინსტიტუტი სუსტად იყო განათებული. მომხდარ ამბავთა მხოლოდ ცალკეული ბუნდოვანი და ყრუ გამოძახილი აღწევდა იქამდე. მანუჩის ახლოს ცეცხლოვანი საათის ქვეშ ბათქმა მარაოსავით ერთხელ ჩაიშრიალა. აქ აღვიღზე დახვრიტეს ვოლხონკაზე ბინის გაძარცვის მცდელობისას დაჭერილი მაროდორები. მახლობელ ქუჩებში მანქანები ნაკლებად მოძრავნი იყვნენ. ყველა მანქანა ვაგზლებისკენ მიემართებოდა. პროფესორის კაბინეტში ერთი ლამა მქრქალად ანათებდა და სხივთა კონას მაგიდაზე აფენდა. ხელებზე თაფჩამოყრდნობილი პერსიკოვი მდუმარედ იჯდა. კვამლი ირგვლივ ფენა-ფენა ეხვია. ყუთში სხივი ჩამქრალიყო. ტერაროუმებში ბაყაყები დუმდნენ. უკვე ეძინათ. პროფესორი არც მუშაობდა და არც კითხულობდა. განზე, მარცხენა იდაყუ-ქვეშ, ვიწრო ზოლად ნაბეჭდი დეპეშების საღამოს გამოშვება ედო, სადაც იუწყებოდნენ, რომ სმოლენსკი ერთიანად იწვოდა, ხოლო მოჟანკის კვადრატებად დაყოფილ ტყეს არტილერია ჭურვებს უშენდა და ყველა სოტიო ხრამში მიშობნულ ნიანგის კვერცხთა ბუდობებს ანადგურებდა. იტყობინებოდნენ, რომ აეროპლანების ესკადრილია ვიაზმასთან ერთობ წარმატებით მოქმედებდა. თითქმის მთელი მაზრა ვაზის ჭავლებში გაახვია, მაგრამ ამ სივრცეებში ადაზიანთა მსხვერპლიც აურაცხელი ვახლდათ, იმიტომ რომ პანიკის შედეგად მოსახლეობის დაქსაქსული ჯგუფები თვის ნებაზე, ვინ საით, ვინ საით, უგზო-უკვლოდ მიემართებოდა, იმის მაგივრად, რომ მაზრების ევაკუაციის წესსა და რიგზე დაეტოვებინათ. იტყობინებოდნენ, რომ კავკასიელთა საგანგებო საკავალერიო დივიზიამ მოჟაისკის მიმართულებით ბრწყინვალედ მოიგო ბრძოლა სირაქლემების გუნდებთან, ყველა ერთიანად აჩეხა და სირაქლემის კვერცხების უზარმაზარი გროვები გაანადგურა, თანაც თავად უმნიშვნელო დანაკლისი განიცადა. მთავრობა იუწყებოდა, რომ თუ დედაქალაქიდან ორასკილომეტრიან ზონაში ქვეწარმავლების შეჩერებას ვერ შეძლებდნენ, მაშინ ქალაქის მოსახლეობის მთლიან ევაკუაციას მოახდენდნენ. მუშა-მოსამსახურეებს სრული სიმშვიდე უნდა დაეცვათ. მთავრობა უმკაცრეს ზომებს მიიღებდა, რათა სმოლენსკის ამბავი არ განმეორებულიყო, სადაც რამდენიმე ათასი ჩხრიალა გველის მოულოდნელმა თაუდასხმამ ისეთი არეულობა გამოიწვია, იმედდაკარგული მოსახლეობა ერთბაშად აიყარა და გადაიხვეწა, ქალაქში უპატრონოდ მიტოვებული ჩაუქრალი დუმლებისგან კი ყველგან ხანძარი გაჩნდა და ქალაქი გადაიწვა. იტყობინებოდნენ რომ მოსკოვი ექვსი თვის საკმარი სურსათით მაინც იყო უზრუნველყოფილი და მთავარსარდალთან არსებული საბჭო სასწრაფოდ ზრუნავდა ბინების შესაჯავშნად, რათა ქვეწარმავლებთან ქუჩის ბრძოლები გაეჩაღებინათ თვით დედაქალაქის ქუჩებში, თუ წითელი არმიები, აეროპლანები და ესკადრილები ქვეწარმავალთა შემოსევის შეჩერებას ვერ შეძლებდნენ.

პროფესორს ეს ცნობები არ წაუკითხავს, თვალეზამტერებული სადღაც იცქირებოდა და პაპიროსს ეწვოდა. ინსტიტუტიდან აღარ გადიოდა, თავისი ერთადერთი ჩამქრალი ყუთის მიტოვება არაფრის გულისთვის არ უნდოდა. ინსტიტუტში მის გარდა ორნი იყვნენ — პანკრატი და ეკონომი ქალი მარია სტეპანოვნა. თვალცრემლიანმა მარია სტეპანოვნამ პერსიკოვის კაბინეტში სამი ღამე გაატარა. ახლა კაბინეტის კუთხეში მღვარ მუშამბაგადაკრულ დივანზე იჯდა, თავისთვის რაღაცას სეუდიანად ფიქრობდა, ზედადგარზე შემოდგმულ ჩაიდანს უყურებდა და ელოდა, ვაზის სანთური წყალს როდის აადულებდა, რომ პროფესორისთვის ჩაი მიერთმია. ინსტიტუტი დუმდა. ყველაფერი უეცრად მოხდა.

ტროტუარიდან უეცრად ხმაძალი, ბრაზიანი შეძახილები მოისმა. მარია სტეპანოვნამ წამოიკივლა და წამოხტა. ქუჩაში ფარნების შუქი აკიაფდა და ვესტიბულში პანკრატის ხმა გაისმა. პროფესორს ამ ხმაურისთვის ყურადღება მაინცდამაინც არ მიუქცევია, თავი წამით ასწია და ჩაიბურტყუნა: „დახე, როგორ გაშმაგდნენ... თუმცა მე რა უნდა ვქნა?“ მერე თვალები კვლავ გაუშტერდა, მაგრამ მალევე გამოერკვა. ინსტიტუტის რკინით შემოჭრილმა კარმა, გერცენის ქუჩაზე რომ გადიოდა, საშინლად დაიგრიალა და უგულვლოდ შეზანზარდა. მერე მეზობელ კაბინეტში სარკე შუაზე გადასკდა. პროფესორის კაბინეტში მინა წკრიალით ჩამოიშხვრა, ფანჯრიდან რუხი ქვა შემოვარდა და მინის მაგიდა ჩაღუწა. ტერაროუმში ბაყაყები ატყაპუნდნენ და აყიყინდნენ. მარია სტეპანოვნა პროფესორისკენ გაექანა, ხელებში ჩაეჭიდა და აყვირდა: „გაიქეცით, ვლადიმირ იპატიჩ, გაიქეცით“. პროფესორი ხრაზნიანი სკამიდან წამოდგა, წელში გაიმართა, თითი მოკაკვა, თვალები ძველებურად დააკვესა და ადრინდელ შთაგონებულ პერსიკოვს დაემგვანა.

— არსადაც არ წავალ, — თქვა მან, — რა სისულელეა. ისინი გიჟებივით დაძრწიან... მთელი მოსკოვი თუ გაგიფუდა, სადღა უნდა წაუიდე. ნუ ყვირით, გეთაყვა. მე რა შუაში ვარ. პანკრატი! — მოუხმო პანკრატს და თითი დილაკს დააჭირა.

ალბათ უნდოდა პანკრატს ამ ალიაქოთისთვის ბოლო მოეღო, რადგან არეულობა ყოველთვის სძულდა. მაგრამ პანკრატს აღარაფრის გაკეთება აღარ შეეძლო. გრიალი იმით დასრულდა, რომ ინსტიტუტის კარი გაიღო და შორიდან რევოლვერის ტკაცატკუცი მოისმა, შემდეგ კი ქვით ნაგები ინსტიტუტი ფეხების ბრაგუნმა, ყვირილმა, ჩამსხვრეული მინების წკრიალმა შეძრა. მარია სტეპანოვნა პერსიკოვს სახელოზე ჩაეჭიდა და შეუტადა საითკენღაც წავთრია, მაგრამ პერსიკოვმა ხელი გააშვებინა და დერეფანში თავაწეული გავიდა. თეთრი ხალათი არც გაუხდია.

— რა ამბავია? — იკითხა მან. კარი გაიღო და სამხედრო კაცის ზურგი გამოჩნდა, მარცხენა სახელოზე ყოლისფერი შევრონი და ვარსკვლავი რომ მოუჩანდა. იგი უკან იხევდა და რევოლვერს იქით ისროდა, საიდანაც გააფთრებული ბრბო მოიწეედა. მერე ადგილს მოსწყდა, პერსიკოვს ფვერდით ჩაურბინა და დაიძახა:

— პროფესორო, თავს უშველეთ, მე აღარაფერი შემიძლია.

მის შეძახილს მარია სტეპანოვნას კივილი აჰყვა. სამხედრო კაცი თეთრ ქანდაკებასავით აღმართულ პერსიკოვს მოსწყდა და მოპირდაპირე მხარეს მიხვეულ-მოხვეული დერეფნების წვედიადში გაუჩინარდა. ხალხი დერეფანში ღრიალით შემოცვივდა:

— დასცხეთ! მოკალით!

— ქვეწარმავლები შენ შემოგვისიე!

ირველივე შეშლილი სახეები, ჩამოფხრეწილი კაბები აირია, ვილაცამ რევოლვერიც ისროლა. კეტები დატრიალდა. პერსიკოვმა ოდნავ უკან დაიწია, კაბინეტის კარი მიხურა, სადაც შიშისგან თავზარდაცემული მარია სტეპანოვნა დაჩოქილიყო, ხელები ჯვარცმულივით გაეშალა, რათა ბრბო შიგნით არ შეეშვა, და ბრაზიანად შეჰყვირა:

— ეს რა სიგიჟეა... რამ გაგამხეცათ, რა გინდათ? — შემდეგ დასჭექა: — ვასწით აქედან! — და ყვირილი ყველასთვის ცნობილი მჭახე შეძახილით დაასრულა: — პანკრატი ყველანაირად გარეკე!

მაგრამ პანკრატს ირავის გარეკვა აღარ შეეძლო, იგი თავგაჩეხილი, გათელილი და დანაფლეთებული გაუნძრევლად ეგლო ვესტიბულში. ბრბო კი შიგნით ტალღა-ტალღად მოგორავდა და ქუჩაში მილიციელთა მიერ ატეხილ სროლას არაფრად აგდებდა.

ტანდაბალმა კაცმა, მაიმუნივით მოკვანტილი ფეხები რომ ჰქონდა, დახეული პიჯაკი და გვერდზე მოქცეული, გულისპირჩაფხინდნ მუხსნავი ეცვა, ყველას დაასწრო, პერსიკოვს მიეჭრა, კიტი გამუტების ჩასტყრო და თავი გაუხეთქა. პერსიკოვი დაბარბაცდა და იატაკზე გვერდულად დამხოხილმა უკანასკნელად ამოიძახა:

— პანკრატ... პანკრატ...

ყოელად უდანაშაულო მარია სტეპანოვნა კაბინეტში დაფლითეს, სხივამქრალი კამერა ნამსხვრევებად აქციეს, ტერარიუმები მიანგრ-მოანგრიეს, გადარეული ბაყაყები გაფლიტეს და ფეხით გასრისეს, მინის მაგიდები და რეფლექტორები დაღეწეს, ერთი საათის შუღვეგ ინსტიტუტი გიზგიზებდა, შენობასთან გვამები ეყარა, გვამებს ელექტრო რევოლვერებით შეიარაღებულთა ალყა ერტყა, ხოლო სახანძრო აუტომობილები წყლის ჭავლებს ტყორცნიდნენ ფანჯრებისკენ, საიდანაც ცეცხლის გრძელი ენები გუგუნით მობრიალებდა.

თავი XII

ყინულის ღმერთის სროლა

1928 წლის 19 აგვისტოს, ღამით, ქვეყანას ისეთმა არსახულმა ყინვამ შემოუტია, ღრმად მოხუცებიც რომ არ მოსწრებიან. ყინვამ ორ ღღესა და ღამეს გასტანა და 18 გრადუსს მიღწია. გაწამებულმა მოსკოვმა ყველა კარ-ფანჯარა ჩაგმანა. მოსახლეობა მხოლოდ შესამე ღლის დასასრულს მიხვდა, რომ ყინვამ იხსნა დედაქალაქი და მისი კუთვნილი უკიდევანო სივრცეები 1928 წელს მოვლენილი საშანელი უბედურებისგან. ცხენოსანთა არმიამ მოქაისკთან მებრძოლთა ორი შესამედი დაკარგა და ძალა გამოეღია. საზიზღარი ქვეწარმავლები მოსკოვისკენ დასაველეთიდან, სამხრეთ-დასაველეთიდან და სამხრეთიდან ნახევარწრედ მოეშართებოდნენ. მათი წინსვლის შეჩერებას ვაზით აღჭურვილი ესკადრიელებიც ვეღარ ახერხებდნენ.

ქვეწარმავლები ყინვამ მოაშთო. საზიზღარ არსებათა ქარავნებმა თვრამეტგრადუსიან ყინვას ვერ გაუძლეს, რამაც ორ ღღესა და ღამეს გასტანა. ოც აგვისტოს, როცა ყინვამ გადაიარა მიწაზე მარტო გუბეები იღვა, ჰაერში სინესტელა დარჩა, ხეებზე კი მოულოდნელი ყინვებისგან ჩამომტყვნარი ფოთლები ეკიდა. ბრძოლა აღარავისთან იყო საჭირო, უბედურება დასრულდა. ტყეები, მინდვრები, თვალუწვდენელი ჭაობები ჯერაც სავსე იყო ჭრულაჭრულა კვერცხებით, რომელთა ნაწილს უცნაური, უცხო გამოსახულებები ფარავდა, უგზო-უკელოდ დაკარგულმა როკმა რომ ვათუთხნული უწოდა. მაგრამ ეს კვერცხები ახლა სრულიად უგზებელი გახლდათ. ჩანასახები ჩამკვდარი იყო.

თვალუწვდენელ სივრცეებში კიდევ დიდხანს იბრწნებოდა აურაცხელი გვამი ნიანგებისა და გველებისა, რომელთაც სიცოცხლე გერცენის ქუჩაზე გენიალურ თვალეშში მოხილმა სხივმა შიანიჭა, მაგრამ ეს არსებანი საზიფათონი აღარ იყვნენ. მცხუნვარე ტროპიკების აშშორებულ ჭაობთა ბინადრებმა

ყინვას ვერ გაუძლეს, ორ დღეში ამოწვდნენ და სამი გუბერნიის სივრცეები საშინელი სიმყრალით, ზინზლითა და სამყაყით გაავსეს.

ქვეწარმავალთა და ადამიანთა გვამებისგან გამოწვეული ხანგრძლივი ეპიდემიები და მრავალგვარი მოარული სენი კიდევ დიდხანს მძვინვარებდა, არცაა გუბერნიებში კიდევ დიდხანს დადიოდა, ოღონდ გაზით კი არა, მესანჯრითა იარაღებით, ნაუთის ცისტერნებითა და შლანგებით აღჭურვილი და მიწას წმენდდა. იქაურობა გაწმინდეს და 1929 წლის გაზაფხულისათვის მთლიანად დასრულდა.

1929 წლის გაზაფხულზე მოსკოვი კვლავ გასხივოსნდა, აპრიალდა და გაჩახჩახდა, ქუჩებში ძველებურად დახრივინებდნენ მექანიკური ეკიპაჟები, ქრისტეს ტაძრის გუმბათის ზემოთ კვლავ თითქოს ძაფზე ეკიდა ნამგალა მთვარე, ხოლო 1928 წლის აგვისტოში დაშვარი ორსართულიანი ინსტიტუტის ადგილას ახალი ზოოლოგიური სასახლე იდგა, რომელსაც პრივატ-დოცენტი ივანოვი განაგებდა. პერსიკოვი აღარსად იყო, მოსაუბრეების წინაშე დამარწმუნებლად მოქანავე მოკაცული თითი აღარასოდეს გამოჩნდებოდა და წრიპინა ხმას ვეღარავინ გაიგონებდა. სხივსა და 1928 წლის კატასტროფაზე მთელი მსოფლიო კიდევ დიდხანს ლაპარაკობდა და წერდა, მაგრამ შემდეგ პროფესორ ვლადიმირ იპატიევიჩ პერსიკოვის სახელი ბურუსში შთაინთქა და ისევე გაქრა, როგორც გაქრა თვით მის მიერვე აპრილის ღამეს აღმოჩენილი წითელი სხივი. ამ სხივის ხელახლა მიღება ვეღარ მოხერხდა, თუმცა დახვეწილი ჯენტლმენი, ამჟამად კი ორდინარული პროფესორი პიოტრ სტეპანოვიჩ ივანოვი არაერთჯერ შეეცადა. პირველი კამერა გააფთრებულმა ბრბომ გაანადგურა იმ ღამეს, როცა პერსიკოვი მოკლეს. სამი კამერა ნიკოლსკის საბჭოთა მეურნეობა „წითელ სხივში“ დაიწვა ქვეწარმავლებთან ერთად ესკადროლიის პირველივე ბრძოლისას და მათი აღდგენა აღარ მოხერხდა. მინებისა და სარკეებიდან მომდინარე სხივთა კონების შეხამება თითქოს მარტივი იყო, მაგრამ მათი ხელახლა კომბინირება ვეღარ შეძლეს, თუმცა ივანოვი ბევრს ცდილობდა. საამისოდ, ცოდნის გარდა, ალბათ სხვა განსაკუთრებული რაღაც იყო საჭირო, რაც მთელ მსოფლიოში მხოლოდ ერთ კაცს — განსვენებულ პროფესორს, ვლადიმირ იპატიევიჩ პერსიკოვს გააჩნდა.

მოსკოვი, 1924 წელი, ოქტომბერი.





რომანი

ინგლისურიდან თარგმნა ვალენტინა ტატიშვილიძე

11

სასტუმრო ოთახში რომ ჩავიდა, მეიზი უკვე ელოდა მას, თვალები უბრწყინავდა, სახე ისე წაშონთებოდა, როგორც მზის ჩასვლისას ცა, რომლის ქვეშ დათოვლილი სივრცე გაწოლილა. მას იგივე ბლუზა და ქვედაკაბა ეცვა, რაც გუშინ. მეიზიმ ტობის ხელები ჩაბლუჯა:

— ტობი, ტობი, ტობი...

— საყვარელო...

მეტი ვერაფრის თქმა მოასწრეს, რადგან ამანდა და ედუარდი შემოვიდნენ.

— დღესაც მშვენიერი ამინდია! მშვენივრად იმოგზაურებთ.

— თერთმეტ საათზე გავიდეთ, — თქვა ედუარდმა. — აუჩქარებლად ვიაროთ, გზაში შეუჩერდეთ, თითო კათხა ლუდი დავლიოთ. თანახმა ხართ, ტობი?

ტობიმ უპასუხა, თანახმა ვარო. საერთოდ კი, თვითონაც არ იცოდა, რა უნდოდა — წახვლა თუ საშუალოდ აქ დარჩენა.

— იცოდეთ, არ აფორიაქდეთ, — უცებ მახვასმით თქვა ამანდამ, თითქოს ნათელმხილველიაო, — ყველაფერი კარგად იქნება.

— რა თქმა უნდა! — აიტაცა მეიზიმ.

გამომშვიდობებისას ტობიმ ყველას დასანახად აკოცა მეიზის.

ტობი და ედუარდი მიდიოდნენ მანქანით, თბილი დღე იდგა, ცა კონსტუბლის სურათზე დახატულსა ჰგავდა. ედუარდი ნაცნობ მსახიობებზე, განსაკუთრებით მსახიობ ქალებზე უამბობდა; ტობი მიხვდა, ამათგან მხოლოდ სამი მოსწონდა მას. ბევრი მსახიობი ცდილობს იფიქროსო, თქვა ედუარდმა, მაგრამ მისი აზრით, ეს არ იყო იმათი საქმე. განსაკუთრებით არ მოსწონდა ისინი, ვინც ხშირად სთხოვდა თავის როლში სიტყვის შეცვლას, რადგან არ შეეძლოთ „ამ სიტყვის წარმოთქმა“.

ტობი მოჯადოებულებით უგდებდა ყურს.

— იქნებ უცნაურად მოგეჩვენოთ, — განაგრძობდა ედუარდი. — მაგრამ ყველაფერი როდი მიყვარს, რაც თეატრთან არის დაკავშირებული. არ მიყვარს რეპეტიციები, თუმცა ვიცი, თუ არ დავესწარი, ჩემთვისვე იქნება ცუდი. არ მიყვარს, სპექტაკლის შემდეგ კულისებში გასვლა და არაგულწრფელი ქათინაურების ფრქვევა. კბაყოფილი მხოლოდ მაშინ ვარ, როცა დარბაზში ვხივარ, თუმცა ყოველთვის არა.

კრეინს მართლაც ნელი სვლით მიჰყავდა მანქანა. უტყობა, წინასწარ განსაზღვრა, რამდენ ხანს უნდა ევლოთ. ლინტონში რომ შევიდნენ, საათს დახედა.

— დალევაზე რა აზრისა ხართ?

პატარა ლუდის ბარში შევიდნენ? უტყობოდა, ბევრი მუშტარი არა ჰყავდათ ბარში არავინ იყო. შეუკვეთეს თითო კათხა მწარე ლუდი.

— ახლა კი, — თქვა ედუარდმა სულ სხვა ხმით, — მინდა გეჩვენებოთ ჩემში ასაკის სიმაღლიდან. ნება მომეცით, გითხრათ, რომ ძალიან დაკვირვებული კაცი ვარ. ხოლო ჩემი დაკვირვების ობიექტი ამჯერად თქვენა ხართ.

ტობი აფორიაქდა, მაგრამ ხმა არ ამოუღია.

— თქვენ გიყვართ მეიზი?

— მეიზი ყველას უყვარს.

— თუ ასეა, ნუ მოატყუებთ. თუ სხვა გამოსაუღია არა გაქვთ, განშორდით, მაგრამ არ მოატყუოთ, ამას ვერ აიტანს. იმას კი არ ვამბობ, ატყუებთ-მეთქი, მაგრამ არც მთლათ გამოფრიცხავ ამას.

— ასე სერიოზულად არა გვაქვს... — დაიწყო ტობიმ.

— მეიზისთვის ძალიან სერიოზულია. მისმინეთ, მე დიდი ცხოვრების გზა განვლე, ბრძენად არა ვთვლი თავს, მაგრამ რაღაც-რაღაცების სწავლა მოვასწარი. გარდა ამისა, ჩემის აზრით, სხვის საქმეში საჭიროა ჩარევა, თუ ეს სარგებლობას მოიტანს. რას იტყვით, გავაგრძელო ლაპარაკი თუ არა?

— რა თქმა უნდა, — უთხრა ტობიმ. — მაინცადამაინც არ მესმის რა-სეა ლაპარაკი.

მზის სხივები ლუდში ნარინჯისფერ ნაპერწკლებს ანთებდა. ბარში ლუდის, საპნისა და ვაშლის მძაფრი სუნის იდგა.

— მამაკაცს შეუძლია საშინელი ტრავმა მიაყენოს ქალიშვილს. ასეთი ცოდვა მცტ ჩამიდგნია წარსულში, თუმცა თქვენ აღბათ არც იფიქრებდით ამას ჩემზე. თუ ქალი ცრემლად არ იღვრება, მამაკაცს ჰგონია, რომ ყველაფერმა კარგად ჩაიარა, თუ ტირის, ჩათვლის, რომ ეს აუტანელია და მამაკაცს ათავისუფლებს ყოველგვარი ვალდებულებისაგან.

— ძალიან საინტერესო კია, მაგრამ რა საერთო აქვს ყველაფერ ამას ჩემთან, ტობი რობერტსთან?

— მეიზის ერთი ბუწო რამ გულს უკლავს. მას თქვენ უყვარხართ. მას არა სჩვევია ცრემლის ღვრა. რაც არ უნდა მოხდეს, იღიმება. მაგრამ ამას ვერ აიტანს. ამანდა სულ სხვაა. მისი ქმარი შესახედავად არაჯანსაღი, სუსტი კაცი ჩანდა (სინამდვილეში სულ სხვანაირი იყო), წამლაუნუმ კი ლალატობდა ცოლს... ამანდამ როცა გაიგო ეს — უნდა გითხრათ, რომ ძალიან გვიან გაიგო — ადგა და სხვა ინტერესი გაიჩინა ცხოვრებაში. სწორედ ასე წარმოიშვა მისი წრე. მე მგონია, როცა ქმარი გარდაეცვალა, ამანდამ თავისუფლად ამოისუნთქა, რადგან მისგან უსიამოვნებას აღარ ელოდა. ქმარმა დიდძალი ქონება დაუტოვა. ახლა მას საკუთარი „სამეფო კარი“ და შვილები ჰყავს, უნდა გითხრათ, რომ მეიზის გარდა, დანარჩენები ნამდვილი ობივატელები არიან, და ვერც ხელოვნებაზე ლაპარაკს იტანენ.

— ედუარდ, — ტობიმ ვერც კი შეამჩნია, რომ სახელით მიმართა კრეინს. — დიდად მაღლიერი ვარ, რომ ყველაფერი მითხარით, მაგრამ გარწმუნებთ, მეიზის წყენინებას არ ვაპირებ.

— თუ ასეა, შეეცადეთ შეიყვაროთ.

— განა არა ვცდილობ?

— მე მგონი, არა. ყოველ შემთხვევაში, ახლა. ხომ გითხარი, შესახედავად უღარდელია, მაგრამ მთელი მისი არსება გაშიშვლებული ნერვია. დარწმუნებული რომ იყოს თქვენს სიყვარულში, ასეთი არ იქნებოდა ნევრასტენიკი არ გახდება, ამისი ნუ შეგეშინდებათ.

— მე არც მეშინია. ყოველ შემთხვევაში, ამისი არა, მეიზი მშვენიერი გოგოა.

— იცით, იგი მხოლოდ მშვენიერი არ არის. მთლი, გამოვცალოთ ლუდი და გზას გავუდგეთ. თორმეტსა და ორმოცდახუთ წუთზე კინგს-კოლეჯში უნდა ვიყო.

დანარჩენი გზა უხმოდ გაიარეს.

ედუარდმა ბაზრის მოედანთან გაუჩერა მანქანა და ტობი კაფეში შევიდა. ყავა და სენდვიჩი უნდოდა. საფიქრალი ბევრი ჰქონდა. წინა დამის გასტენებაზე უდიდეს სიხარულსა გრძნობდა. გამარჯვების გრძნობა დაეუფლა. დი-ახ, მეიზი მშვენიერია! ყველას ასე მიაჩნია. ნეტავ რატომ წამოიწყო ედუარდმა ამ თემაზე ლაპარაკი? ნეტავ რა შენიშნა ასეთი? საშინელების წამიერი გაგლვება მეიზის სახეზე? მაგრამ ამის მიზეზი რომ არა ჰქონდა? ძალიან კარგია, რომ ედუარდმა ამანდას ამბავი უამბო. ნეტა რა კაცი იყო ამანდას ქმარი? ჰედისდონზე ფიქრები ისე შემოეჯარა, როგორც ბაიები იქაურ მდელის. ტობი მოჯადოებული იყო ჰედისდონით. იქნებ არსებობს სხვა, ამაზე არანაკლებ მომაჯადოებელი ადგილებიც? ტობიმ იცოდა, სამყარო ზამანწყაა და მისი ნიჟარის გასახსნელად მაგარი დანა ცყო საჭირო.

...გამოცდების შედეგების გამოცხადების დღეს გრილი ამინდი იდგა, წამოწვიმა კიდევ. ტობი ძლივს იკავებდა თავს, ბოლოს გადაწყვიტა: უკვე დროა უნივერსიტეტის სენატის შენობაში წასვლისათ, იქ უკვე შეკრებილიყვნენ სტუდენტები, ყველა აფორიაქებული ჩანდა.

ბოლოს, როგორც იქნა, გამოაკრეს სიები და ტობიმ სტუდენტების ბრბოში გზა გაიკვლია, სიებთან მისვლა უნდოდა. ჯერ წაიკითხა იმათი სია, ვინც „მეორე-ერთი“ მიიღო, და გული ჩასწყდა, რადგან იქ თავისი გვარი ვერ აღმოაჩინა, მერე — სია, ვინც „მეორე-ორი“ მიიღო, მაგრამ არც აქ იყო. ტობიმ სწრაფად გადაიკითხა ხელმეორედ ორივე სია, იქნებ სიჩქარეში ჩემი გვარი გამოძრჩაო. ბოლოს, სხვათა შორის, წაიკითხა იმათი სია, ვინც პირველი ხარისხის დიპლომი მიიღო, და აი — რობერტსი ტ. გ. ტობიმ თვალებს არ დაუჯერა. უნდობლობამ გადასძლია ყველა სხვა გრძნობას, სიხარულსაც კი. სწორედ ამ დროს ნაცნობმა სტუდენტმა მიულოცა. მამ, თვალებს არ უღალატნიათ და მართალი ყოფილა!

ტობი გონს მოეგო, ფოსტაში გაიქცა და დედას ტელეგრამა გაუგზავნა: „წარმატებული მივიღე ხვალ ჩამოვალ“.

...როგორც ვარაუდობდა, დედა სიხარულისგან ცას ეწია, არა იმიტომ, რომ ტობიმ წარჩინებული დიპლომი მიიღო, არამედ იმიტომ, რომ სამეცნიერო ხარისხი ჰქონდა. მათ ოჯახში არავის ღირსებია ეს.

— ესეც ასე, — თქვა დედამ. — მამაშენიც ძალიან გახარებულია.

მართლაც, მალე სახეგაბადრული მამა დაბრუნდა კიოსკიდან.

— ეს აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ. გაზეთებში იქნება?

— ალბათ, ხვალინდელ „ტაიმსში“, — უპასუხა ტობიმ. წარმატებამ უკვე დაათრო.

— სხვა არ ვიცი, და გაზეთები ნამდვილად არ გვაკლია, — თქვა მამამ.
 — იმ საღამოს ტობი და მამა ვისკის სვამდნენ.
 — ეს რა წელი დაგვიდგა! ჯერ დედაშენის წარმატება, მერე შენი, — თქვა მამამ.



— იფიქრებდი როდესმე ამას? — ჰკითხა მისის რობერტსმა შეილს.
 — არა, ზემო სიის წაკითხვას არც კი ვაპირებდი, ბოლოს წავიკითხე.
 — ეგ გიშველის, რომ კარგად მოეწყოს?
 — არ ვიცი. რამდენიმე დღის შემდეგ კემბრიჯში ჩავალ და დოქტორ

პარტფორდს დაველაპარაკები.
 მართლაც, მეორე დღეს „ტაიმსში“ გამოქვეყნდა გამოცდების შედეგები, რასაც მაშინვე მოჰყვა მოლოცვები: შუადღისას ამანდას და მეიზის ტელეგრაფები მოვიდა. კლერის დებემა ხომ მოლად მოულოდნელი იყო: „ხომ ვთქვი თვალებს დავითხრი და მაინც ვიპოვი-მეთქი მგზნებარედ გილოცავთ მალე განახავთ ორივეს“. ეტყობა, მას და მეიზის გულისხმობდა. თანდათანობით შეიტყვეს, როგორ დაამთავრეს დანარჩენებმა. ბობმა, რა თქმა უნდა, წარმატებით ჩააბარა. ახლა რიტა ალბათ დამშვიდდება. მეიზის საქმე კი არც ისე კარგად იყო, მან „მეორე-ორი“ დიპლომი მიიღო. ე. ი. როგორც თვითონ ამბობდა, თავი შეირცხვინა. ტობი დამნაშავედ გრძნობდა თავს: ეს იმის ბრალია, დედაჩემის საქმეებზე რომ დარბოდაო.

12

ტობი მეიზის შეხვდა ოტელ „ლურჯი ტახის“ რესტორანში, სადილად დაატივა. ამჟამად შეეძლო იქ წაეყვანა, რადგან დედამ დაფინებით სთხოვა, უნივერსიტეტის დამთავრებასთან დაკავშირებით საჩუქრად მიეღო ოცდახუთი გირვანქა, რომელიც დედას სურათებში გადაუხადეს.

ტობიმ კარგი ამბები შეატყობინა მეიზის. მას უკვე მოესწრო პარტფორდთან მისვლა, რომელმაც უთხრა: კოლეჯი ალბათ ასპირანტის სტიპენდიას დაგინიშნავთ, და ურჩია, ლონდონის უნივერსიტეტში პროფესორ ტილერის ხელმძღვანელობით ემუშავა.

— დოქტორის წოდება გინდა მიიღო? — წამოიძახა მეიზიმ.
 — თვითონაც არ ვიცი. ამას სამი წელი დასჭირდება, ხოლო მე რამდენადაც ვხვდები, ადრევე უნდა დავიწყო ფულის შოვნა. თანაც მინდა მშობლებისგან ცალკე ვიცხოვრო, სადმე ჰაუნერ-სტრიტის მახლობლად. — ტობის ეს აზრი იმწუთას დაებადა.

— დედაშენს გული დასწყდება.
 — არა მგონია, ადრინდელივით ვივლი სახლში. გოგონი, მოდი, შენ თვითონ შეუკვეთე, რაც მოგესურვოს. დღეს ფული მაქვს.
 მეიზის მეტი თხოვნა არ დასჭირვებია, შეუკვეთა ნახევარი ბოთლი „შატონეფ დიუ პაპ“-ი.

— მთელი ბოთლი არ გვინდა, — უთხრა მეიზიმ, — არ დაგავიწყდეს, რომ მანქანითა ვარ.

კვლავი უჩვეულოდ იყო, შინაურულად. ტობის ძალიან უნდოდა მეიზი, მაგრამ გადაწყვიტა, სჯობს მოვიცადო, თანაც მეორედ ვერ გარისკავდა: გაახსენდა ბობი და რიტა და შემფოთდა.

ღვინო მალე დალიეს და ტობიმ კიდევ ნახევარი ბოთლი შეუკვეთა.

— ერთი სირია დალიე, დანარჩენს მე დაველე. — შესთავაზა მან მეიზის. ყავა რომ მოართვეს, მხოლოდ მაშინ დაიწყო მეიზიმ ლაპარაკი იმაზე, რაც მისთვის მთავარი იყო.

— სულ ვფიქრობდი, ვფიქრობდი... — ისედაც ეტყობოდა, რომ ამ ხნის განმავლობაში ბევრი ვფიქრა. — საშუალება თუ გაქვს, ერთი გვირა იქნებ პარიზში გავატაროთ. იქ მარცხენა ნაპირზე, რიუ დეზ-ეკუვრზე უკეთესი ძალიან იაფი, მაგრამ სასიამოვნო სასტუმრო ვიცი. რა თქმაობინა, მისი ფუფუნებაში არ ვიქნებით, საყვარელო, სამაგიეროდ იაფი დაგვიჯდება.

ტობიმ უპასუხა: ძალიან მაცოუნებელი კი არის შენი გეგმა, მაგრამ ამის საშუალება არა მაქვსო.

— ძალიან გთხოვ, გეხვეწები, მოძეცი ნება ამის ფული მე გადავიხადო, — შევევედრა აღუღლებული მეიზი და ხელი ხელზე დაადო ტობის. — გეხვეწები, წავიდეთ საფრანგეთში და ერთხელ კიდევ ვიზეიმოთ უნივერსიტეტის დამთავრება.

მაგრამ ტობიმ უთხრა: ჩემთვის ფულის დახარჯვის ნებას არ მოგცემ, ისედაც ბევრი გააკეთე დედაჩემისთვისო.

ფულის საკითხში მეტიმეტად ფაქიზი იყო ტობი. ავტობუსში მუდამ იხდიდა ფულს ან გვერდზე მჯდარ მგზავრს უტოვებდა ხურდას. მტკიცედ სწამდა: სხვისგან ფულს თუ მიიღებ, მისგან დამოკიდებული გახდებიო.

— ნუთუ ასეთ სისულელეს ჩაიდენ და გაჯიუტლები რამდენიმე გირვანქის გამო...

— შეიძლება, მოვიფიქრო?

— იფიქრე, ოღონდ დიდხანს არა! ძალიან მინდა წავიდეთ! შენთვის რამეს ნიშნავს ჩემი სურვილები?

— თვითონაც იცი, რომ ნიშნავს. და მაინც...

ახლაც კი არ უნდოდა ტობის საბოლოოდ შებოჭილი გამხდარიყო და რაც შეეძლო წინააღმდეგობას უწევდა. პარიზში წასვლა კი ძალიან უნდოდა! და სხდებოდნენ კაფეების ტერასებზე, ნახავდნენ პარიზის ღვთისმშობლის ტაძარს, სენტ-შაპელს, ლუვრს, ელისეის მინდვრებზე ისეირნებდნენ. მუზეუმი „კარნაუალეს“ ნახვა ხომ ნამდვილად გამოადგებოდა თავისი მომავალი ნაშრომისთვის. ბასტილიის მოედანსაც ნახავდნენ.

მეიზი სულ პარიზზე ელაპარაკებოდა, ბრწყინვალე, ოქროსფერ აბლაბუდას ქსოვდა, რათა ჩაეთრია იგი იმ სიამოვნებაში, რომელიც პარიზში ელოდათ, მაგრამ ტობიმ მალე შეაჩერა:

— მოდი, გადაედოთ ეს განზრახვა, კარგი? პირობას გაძლევ, ყველაფერს გავაკეთებ, რომ ეს სურვილი აგისრულო.

მეიზი უცებ დანადვლიანდა.


— ოჰ, ეს ცხოვრება... თავიც რომ დავიღუპოთ, ამას რა მნიშვნელობა აქვს, ოღონდ ცოტა ბედნიერება გვერგოს.


— რაღაც შენს თავს არა ჰგავხარ, გოგონი, ისეთ აზრებს გამოთქვამ.

— ჩემში ბევრია ისეთი რამ, რაც სულაც არა მგავს. მერე დარწმუნდები ამაში.

მაგრამ მეიზის სევდა წუთიერი აღმოჩნდა, მალე თვალები ისევ გაუბრწყინდა. სიხარული აცოცხლებსო, გაიფიქრა ტობიმ და დანაშაულის გრძნობამ, როგორც მოულოდნელად მიწიდან ამოხეთქილმა ცივმა ჭავლმა, აიძულა წამიერად მობუზულიყო.

სასტუმროდან რომ გამოვიდნენ, მეიზიმ პირველმა გადააბიჯა ქვაფენილზე და კინალამ მანქანა დაეჯახა, რომელიც დიდი სიჩქარით მოჰქროდა. მეიზიმ უკან დაიხია, ტობიმ ჩაბლუჯა და გულზე მიიკრა. ქალიშვილი ერთიანად ცახცახებდა.

— ცოტა კიდე და გავთაულებოდი, — ამოიოხრა მან. — გამიშვი  კედელს მივეყრდნობი. მალე გამივლის.

— ისევ სასტუმროში შევიდეთ, — ტობი დაფეთებული იყო,  უკანმოკნის დასვლით.

— არ გინდა. მატარებელზე არ დაგაგვიანდეს.

— არა უშავს. უნდა დაერწმუნდე, რომ საჭესთან ჯდომას შეძლებ.

ტობი გრძნობდა, რა გამალებით უძგერდა გული შიშისგან კბილებაკაწკაწებულ მეიზის.

— მანქანის წაყვანა ყოველთვის შემოძლია, რა მდგომარეობაშიც არ უნდა იყო. სხვა არ ვიცი, ეს კი ყოველთვის შემოძლია.

მეიზი ტროტუარზე ჩაჯდა, ფეხები მოკეცილი ჰქონდა, თავი ჩალუნული. გამვლელები ცნობისმოყვარეობით უყურებდნენ, ეტყობა, მთვრალი უგონათ. დაბნეული ტობი მის გვერდით იდგა.

— სასტუმროში ერთი ღამით დაგიქირავენ ნომერს. ღუდას დაუურეკავ.

— ახლავე გამივლის, მაპატიე, რომ ასეთი საშინელი სანახაობის მოწმე გაგხადე.

ტობი მიხვდა, რა საშინელება იქნებოდა მეიზის დაკარგვა და თანაც ასეთ ვითარებაში.

— წავიდეთ სასტუმროში, — უთხრა ტობიმ. მაგრამ მეიზი უკვე გონს მოეგო და უცებ წამოხტა.

— გამიარა. შენც მიუსწრებ მატარებელს.

ტობიმ მაგრად ჩაიხუტა და აკოცა. მეიზის კანკალმა გაუარა. ტობიმ მანქანასთან რომ მიიყვანა, მეიზი საბოლოოდ დამშვიდებული ჩანდა. მანქანის ტარებას შეძლებდა. ტობიმ ძლივს მიუსწრო ბოლო მატარებელს.

... გათენებისას ტობიმ საშინელი სიზმარი ნახა: დამახინჯებული, დაგვლეჯილი მეიზი თხრილში წვეს, მისი ფართოფარფლებიანი ქუდი საღლაც მიფრიალებს, თმა გასისხლიანებული აქვს, სახე — წაშლილი. გარშემო არავინ ჩანს, სასტუმრო ჩაბნელებულია.

გამოეღვიძა, ლოგინიდან წამოხტა, მეიზისთან დარეკვა დააპირა, მაგრამ საშინევე გაახსენდა, რომ შინ ტელეფონი არა ჰქონდათ. იფიქრა, კიოსკში წავალ და იქიდან დავრეკავო, მაგრამ კიოსკი დაკეტილი იქნებოდა. თანდათანობით ცოტა დამშვიდდა, მაგრამ იმ საშინელებისგან ოფლად იღვრებოდა და იჯდა ასე ლოგინზე მთლად დაძაბული, სანამ სიზმრის შთაბეჭდილებები არ გაფერმკრთალდა. მაგრამ ძილი კი აღარ მიეკარა.

ღილით პირდაპირ კიოსკში წავიდა და იქიდან დარეკა. ყურმილი მეიზიმ აიღო.

— არაფერი, მინდოდა დაერწმუნებულიყავი, რომ მშვიდობიანად ჩახუედი.

— რა საკვირველია, მშვიდობიანად. რა დამემართებოდა.

— გუშინ მთლად მოწყვეტილი იყავი.

— მერე მოვხუდიერდი. ხოლ გითხარი, მანქანაში ისევ კარგად გავხდები-
მეთქი. ჩემი საყვარელი, რა კარგი დრო გავატარეთ. მოიფიქრე რაღე პარიზ-
ზე?

და ტობიმ უთხრა, რაც გადაწყვიტა: იქნებ ივნისის ბოლოს წავიდეთ, თუ
სხვა გეგმები არა გაქვსო.

მეიზიმ უპასუხა: არავითარი გეგმები არა მაქვს დასრულებული. ამანდა
კრუიზში აპირებს წასვლას საბერძნეთის კუნძულების კუნძულებს. ახლანდა, რომ
მეც წავყვი, მაგრამ თუ არ დავეთანხმე, დედა დამითმობსო.

— დედა ყველაფერს მითმობს ხოლმე, ამიტომაც მუდმივ მოვალედ ვგრძ-
ნობ თავს.

...ივნისში რიტას გოგონა გაუჩნდა, სამშობიაროში, მილს-როუდზე. ყვა-
ვილებით სავსე ოთახში იჯდა ლოგინზე და უკმაყოფილების განსახიერება
იყო.

— ბიჭი კიდევ რაღაცაა, — განუცხადა რიტამ მის სანახავად მისულ ტო-
ბისა და ეიდრიანს. — ეს კიდევ... ნოლია, სხვა არაფერი.

ორივე მეგობარი შეეცადა არ გაემჟღავნებინა, რა შთაბეჭდილება დატო-
ვა მათზე რიტას სიტყვებმა. ბობი კი აღფრთოვანებული იყო თავისი გოგონა-
თი. მან გამოართვა რიტას ბავშვი, ძალიან ფრთხილად ეჭირა და ისეთი ყუ-
რადლებით უყურებდა, თითქოს შეცნიერულ ექსპერიმენტს ატარებდნო.

— თუ დაუფიქრდი, პირდაპირ სასწაულია. ერთი შეხედეთ ამის ფრჩხი-
ლებსა და თითუნებს. თვალები რიტასი აქვს, ცხვირი — ჩემი. ღმერთო დაიფა-
რე. გასაგიჟებელი გოგონა, არა?

მართლაც მშვენიერი ბავშვი იყო: თავზე შავი ღინღლი, მუქი თვალები
სივრცეს გაჰყურებდნენ. შემოვიდა მომვლელი ქალი და ბავშვი წაიყვანა, ჭა-
მის დრო იყო, ბოთლიდან უნდა ეჭმია, რადგან რიტას რძე არა ჰყოფნიდა.

— ესტელა გეინდა დავარქვათ, — თქვა ბობმა და ეიდრიანს გაეღიმა: აღ-
ბათ ჩემს რჩევას დაჰყვა, რომ სახელი შხატურული ლიტერატურიდან შეერჩი-
ათ. მან განსაკუთრებით ურჩია „დიდი იმედები“ წაეკითხა. — რიტას უნდო-
და სამანდა დაერქმია, მაგრამ მაშინ ყველა სემის დაუძახებდა და არ იყარგე-
ბდა.

როცა ბობი წავიდა, რიტამ განაცხადა:

— ეგ გააფუჭებს გოგონას და ჩემი თავში სახლელი გახდება. — მერე უც-
ებ გაახსენდა და ყმაწვილებს მადლობა გადაუხადა ყვავილებისთვის. ტობიმ
იღბი მიუტანა, ეიდრიანმა კი თეთრი ვარდები. რიტამ ვარდებს შეხედა.

— საიდან გაიგეთ, რომ თეთრი ვარდები მიყვარს.

— გაშოვიცანი. რიტა, ციკლამენი ვინ შოვიტანათ? რა ლამაზია.

— ბობმა. თუმცა იცის, რომ ქოთნიანი ყვავილები ჩემთან ვერა ხარობენ.
მე თეთრი ვარდები უფრო მომწონს, მაგრამ რომელიმე სასიამოვნო ქალიშვი-
ლისთვის უნდა გეჩუქებინათ.

— აკი ვაჩუქე კიდევ.

— რას ამბობთ, მე უკვე დედა ვარ. რაც არ უნდა თქვათ, დიდი დანაკლი-
სია მათთვის.

— ვისთვის?

— ქალიშვილებისთვის.

როგორც კი რიტა ხუმრობით სიტყვას გადაუკრავდა უცხოლობის ფიცზე,

ვიდრიანი მაშინვე მოიღუშებოდა. ახლაც ცხვირი ჩამოუშვა, მაგრამ ძალიან რბილად უთხრა:

— არავისთვის არ არის დანაკლისი. უბრალოდ, ვაპირებ ისე ვიცხოვრო, როგორც საჭიროდ მიმაჩნია.

— აბა, ეს რა ცხოვრება იქნება? — რიტა უძღურებით გადაწვა ბალიშზე.

— მორჩი ახლა, რიტა, — უთხრა ტობიმ საკმაოდ მკვახედ, რაც როდ არ ახასიათებდა. — თორემ ვიდრიანი აღარ მოვა აქ.

— კარგი აბა, — თქვა რიტამ, — აღარ დაგეყოვნებთ. ვიცი, რომ არც ისეთი სიამოვნებაა ჩემთან ყოფნა.

— მართლაც არც ისეთი სიამოვნებაა, — უთხრა ტობიმ ვიდრიანს, როცა სამშობიაროდან გამოვიდნენ. — ბობსაც, ეტყობა, დიდი სიხარული არ ელის.

— მე მგონი, ბობი უფრო კარვად გაართმევს თავს ამას, ვიდრე შენა გგონია. დარწმუნებული ვარ, ბედნიერად მიაჩნია თავი.

— რაც არ უნდა მიაჩნდეს კაცს...
ვიდრიანმა გაიღიმა და საუბრის თემა შეცვალა.

— მეიზი დიდი ხანია არ გინახავს?

— ახლახან ვნახე. მე და მეიზი ალბათ სამოგზაუროდ წავალთ, ოღონდ მაშინ, როცა დედაჩემის საქმეები მოგვარდება, მისი გამოფენა ვიგულისხმე.

როცა გამოფენა გაიხსნა, მისის რობერტსმა განაცხადა: ნახევარი საათის მეტს იქ არ გაეჩერდებიო. ტობის ძალიან გაუკვირდა, როცა დედამ თქვა, კემბრიჯის ვერნისაჟზე საშინლად დაძაბული ვიყავიო.

— რას ამბობ? მე ვერაფერი შეგატყვევებ.
დედამ გაიღიმა და ხელზე მიეფერა.

გამოფენაზე ხალხი მრავლად იყო. გაზეთებში კი საკმაოდ თავდაჭერილად წერდნენ გამოფენის შესახებ. ტობი დედას არწმუნებდა: ხომ არ შეიძლება ღონდონშიც ისე ჩაიაროს გამოფენამ, როგორც კემბრიჯშიო.

თუმცა მისის რობერტსი მაინცდამაინც შეწუხებული არ იყო.

მეიზი და ამანდაც ჩამოვიდნენ და მისის რობერტსმა თამამად დაპატიჟა დედა-შვილი სადილზე, მაგრამ ზედ ეტყობოდა, რომ უარს ელიდა, და მათაც რაღაც მოიმიზებეს, ვერ მოვახერხებთო.

მხოლოდ ოთხი სურათი გაიყიდა.

— მაშასადამე, ჩემს წარმატებას ბოლო მოეღო, მეტეორივით გაიფლვა, — უთხრა მისის რობერტსმა შვილს. ძალიან კმაყოფილი ჩანდა, რომ ასეთი ბრძნული გამოთქმა იხმარა.

— ნუ ჩქარობ დასკვნის გამოტანას. აღდგომა და ხვალაო. ნურც პირველ დღეს მიაქცევ ყურადღებას. ჯერ ადრეა.

მართლაც, ერთი კვირის შემდეგ კიდევ რამდენიმე სურათი გაიყიდა და ერთ კვირა დღეს გამოფენის შესახებაც დაიბეჭდა. ამჯერად მისის რობერტსი დათანხმდა სურათის გადაღებაზე მეუღლესთან ერთად კიოსკთან.

— შენც გერგოს წარმატების რაღაც ნაწილი, როგორც არ უნდა იყოს ეს წარმატება.

გალერეიდან წერილები გადმოუგზავნეს, ათას რამეს ეკითხებოდნენ მისის რობერტსს. ერთი სიტყვით, გამოფენა არ ჩაფლავებულა, პირიქით, წარმატება ხვდა, არც ისე დიდი, მაგრამ მაინც წარმატება. მისის რობერტსი ამითაც კმაყოფილი იყო.

პარიზში რომ მიდიოდნენ, იმ დღიას ტობიმ კლერის ხალისიანი, ამხანაგური წერილი მიიღო: თუ სურვილი გაქვთ, ივლისში, თქვენთვის მოსახერხებელ დროს, პლემსფორდში ვეესტუმრეთ, იღონდ წინასწარ შემატყობინეთო. ხელმოწერა: „თქვენი კლერი“. მეიზი არც კი უხსენებია. არ შემეძინა მას ცალკე მისწერა? ტობიმ ყურადღებით გადაიკითხა წერილი და უკვერადში შეინახა. მოიცდის ჩემს ჩამოსვლამდეო.

მეიზის სადგურ ვიქტორიაში შეხვდა. ტობი დელაუდა, თუმცა არ მოელოდა ამას, ერჩივნა მშვიდად ყოფილიყო, არ უყვარდა მღელვარება. მეიზიმ ბილეთებიც თვითონ იშოვა და სასტუმროშიც ორი ნომერი შეუკვეთა. ახალგაზრდები შეთანხმდნენ, რომ გზისა და სასტუმროს ფულს ყოველი მათგანი თვითონ გადაიხდიდა, ხოლო რაც შეეხება რესტორნებისა და კაფეების ხარჯს, ტობიმ თავისი გაიტანა, მე ვკისრულობო. ამისთვის დედას ესესხა ცოტა ფულს, დარწმუნებული იყო დაუბრუნებდა. (კემბრიჯისა და ლონდონის უნივერსიტეტები შეთანხმდნენ, ტობის პროფესორ ტალერის ხელმძღვანელობით ემეცადინა. წასვლამდე ტობიმ მოასწრო და რამდენჯერმე გაესაუბრა პროფესორს).

ლამანშის გადაცურვის დროს საკმაოდ ძლიერი დელვა იყო და მეიზი კაიუტაში შევიდა წამოსაწოლად. ტობიმ წინასწარ იცოდა, რომ ზღვის სენი არ დაემართებოდა და არც შემცდარა. მან ბარში კონიაკი დალია (გამზარების წინ (არ დავიწყნია ჩემოდანშიც ჩაეგდო ერთი ბოთლი კონიაკი და ათი დასტა სიგარეტი, რათა საყიდელი არა ჰქონოდა), ნერე გემბანზე ავიდა და სიამოვნებით მიუშვირა სახე ქარსა და მარილიან შხეფებს.

უახლოვდებოდნენ, მეიზი მივიდა მასთან, სახეზე სიმწვანე გადაჰკრავდა.

— რაო, გოგონი, ძალიან გაგიჭირდა?

— არა, ისეთი არაფერია. როგორც კი მიწაზე გადავალთ, მაშინვე გამიფლის.

პარიზის მატარებელში მათ ძალიან ძვირი, მაგრამ შესანიშნავი სადილი შეუკვეთეს. სადილის შემდეგ მეიზიმ დაიძინა. ტობის რამდენიმე წიგნი ჰქონდა წამოღებული, მაგრამ ვერ წაიკითხა: თვალს ვერ აშორებდა ფანჯარას. მათ ჩაუქროლეს ჩალისფერ სახლებს, მინდვრად მომუშავე ადამიანებს, რომლებსაც გახუნებული ლურჯი ტანსაცმელი ეცვათ. არა, აუცილებლად უნდა წაიკითხოს პრუსტი. მცოდნე ხალხისგან გაუგონია, რომ მას მოგზაურობაზე ბევრი რამა აქვს დაწერილი.

ახალგაზრდები ტაქსით რომ მიდიოდნენ პარიზში, ტობის მღელვარება მატულობდა: ქალაქის დაფხავებული გარეუბნების უშველებელი, რუხი სახლები უკან დარჩა, რაც უფრო წინ მიიწევდნენ, მით უფრო მშვენიერი და დიდებული ხდებოდა ქალაქი. ბოლოს მონპარნასის ბულვარზე აღმოჩნდნენ.

უბადრუკი სასტუმრო იყო, ვიწრო ფასადიანი. სასტუმროს პატრონი ქალი მეიზის გახარებული შეხვდა:

— თქვენ ისეთი იშვიათი სტუმარი ხართ, მადმუაზელ!

— როგორ ბრძანდებით, მადამ? ჟორჟი და ჟან-კლოდი როგორ არიან? — მეიზის კარგად ამახსოვრდებოდა სახელები.

ახალგაზრდები თავ-თავიანთ ოთახებში გააცილეს მეხუთე სართულზე;

ლიფტი მხოლოდ მეოთხე სართულამდე აღიდა. მარტო რომ დარჩნენ, მეიზიმ კისერზე შემოხვია ხელები და ჩაეხუტა. ლოყები ისევ აუვარდისფერდა და სინხარულს აფრქვედა. ტობის შექმლი ახლავე დაუფლებოდა მეიზის, მაგრამ იფიქრა, არ ვიჩქარებო. მან შესთავაზა ქალიშვილს, ჩემოდნები ამოვალავო და კაფეში წავიდეთო.

— „სახლში“ წავიდეთ, — თქვა მეიზიმ. — მე მუდამ იქ დავდივარ და ახალგაზრდები პარიზის ზღაპრულ ღამეში გავიდნენ და ისვენ გაემართნენ, სადაც დამაბრძალებლად ელვარებდნენ კაფეს ნათურები. მაინცდამაინც არა შიოდათ, ამიტომ მხოლოდ croque-monsieur² და ერთი ბოთლი ღვინო შეუკვეთეს.

— აბა, რას იტყვი? — გამომწვევად ჰკითხა მეიზიმ. — ღირდა აქ ჩამოსვლა? კარგადა გრძნობ თავს?

— ისე კარგად, რომ ენით ვერ გამოვთქვამ, გოგონა. მერე უფრო უკვეთსი იქნება.

იმ ღამეს მეიზისგან დაბრუნებული ტობი ფიქრობდა: რა აღმაფრენით, რა ხალისით პასუხობდა მეიზი მის აღერსს. მოღუშული და სერიოზული რომ წოლილიყო მის მკლავებში, აუტანელი იქნებოდა. აკა თვითონაც სინხარულით, მზიარულად ეგებება ცხოვრებას. ტობიმ უსაზღვრო სინაზე იგრძნო ქალიშვილის მიმართ. ტობი იწვა და ფიქრობდა, რა მშვენიერი იყო მეიზი იმ სიახლოვის შემდეგ. არა, არ ნანობს, რომ პარიზში ჩამოვიდა.

მთელი კვირა წვიმდა, მაგრამ ახალგაზრდებმა თავიანთი გეგმა მაინც შეასრულეს. დადიოდნენ მუხუშებში, ისტორიულ ადგილებში.

ერთ საღამოს გადაწყვიტეს მდინარის ტრამპაით გაესეირნათ სენაზე. წვიმას რახარუხი გაუდიოდა გემბანზე, მდინარე ლამპიონების შუქზე ისე ღვივებდა, თითქოს შიგ უამრავი ბრილიანტი მოუბნევიათო. ჯერ მშვენიერ, გემის მსგავს კუნძულ სენ-ლუის ჩაუარეს, მერე — პარიზის ღვთისმშობლის ტაძარს, რომელიც ვიგანტურ ასო „H“-სა ჰგავდა. ძალიან ისიამოვნეს ამ გასეირნებით.

ინგლისში წასვლის დრო რომ დადგა, ორივემ მოიწყინა, მაგრამ მეიზიმ დიდი ხნით არ იცოდა მოწყენა. უბრალოდ, არ შექმლი.

ვიქტორიას სადგურზე დაშორდნენ ერთმანეთს.

— მშვენივრად გავატარეთ დრო, — უთხრა მეიზიმ. — შენც ასე ფიქრობ?

— რა თქმა უნდა, Naturellement. ხედავ, რა წარმატება მაქვს ფრანგულში, შენი წყალობით!

— ვითომ? შენ ხომ ჩემზე უკეთესად ლაპარაკობ ფრანგულად, — უპასუხა მეიზიმ.

— დაგირეკავ.

— აუცილებლად. მაღლობელი ვარ, რომ ასე მშვენივრად მაჭმევდი.

— შე გოჭო, შენა! — უთხრა ტობიმ. ჯიბეში ორი შილინგიდა ედო.

შინ რომ დაბრუნდა, ტობიმ დაწვრილებით უამბო დედას (მისის რობერტსი დაეჭვებული შეჰყურებდა), როგორ გაატარეს დრო პარიზში, ზოგი წვრილმანი შეგნებულად გამოტოვა, მერე გამოიღო უჯრიდან კლერის წერილი და პასუხი მისწერა: დიდი სიამოვნებით გესტუმრებით პლემსფორდში, ჯერ არ

1. გზაჯვარედინი (ფრან.).

2. შემწვარი პური გახეხილი ყველითა და ღორით (ფრან.).

ვიცი რომელ რიცხვში, მაგრამ შევატყობინებთო. წერილს ხელი ასე მოაწერა: „თქვენი ერთგული ტობი“. როცა კონვერტს წააწერა „დიდად პატივცემულ კლერ ფოლზს“, სიამოვნება იგრძნო და ოდნავ დაარცხვინა კიდეც.

— აბა, როგორ არის ჩვენი მოგზაური? — წამოიძახა მისტერ რობერტსმა (ტობი რომ ჩავიდა, იმ საღამოს მამას არ უნახავს), — როგორ არის გახრწნილი პარი?

— ლონდონზე ბევრად გახრწნილი არაა.

— ნიძლავს დავლებ, სიამოვნების გრიგალში ტრიალებდი. ასე ამბობენ, არა?

— სწორედ ასე. თუმცა ამ გრიგალში ცოტა ვიტრიალებთ. ვისხედით ხოლმე სადმე, რა თქმა უნდა, არა ღამის კაფეში, არამედ უბრალო კაფეში.

— ეჰ! ნეტა მეც წამიყვანა სადმე სამოგზაუროდ, — ოცნებას მივცა მისტერ რობერტსი. — აი, დედას კი შეუძლია იმოგზაუროს, თუ მოინდომებს. ფული ბლომად დაუგროვდა. გალერეის პატრონი პირდაპირ ნადირობს მის ყოველ სურათზე.

— რა სისულელეა, სტენ, — შეეპასუხა მისის რობერტსი, — ხომ იცი, არსად წამსვლელი არა ვარ. ან რა საჭიროა. ჩემთვის მთავარია, ვიჯდე წყნარად და ვხატავდე.

— მეიზი როდის მოვა ჩვენთან? — იკითხა მამამ. — ძალიან მომწონს, სასიამოვნო გოგონაა.

— მალე დაუპატიჟებ.

ტობიმ მართლაც დაუპატიჟა მეიზი, რომელიც მთელი დღით ჩამოვიდა. ქალიშვილი აღბათ ფიქრობდა, რომ მათი ურთიერთობა განმტკიცდა, მაგრამ არ იმჩნევდა ამას; ტობისგან ცოტა მოშორებით ჯდებოდა, ცდილობდა, არ გამჟღავნებულყო მათი სიახლოვის ამბავი. მამა მართლაც ამბობს, ძალიან სასიამოვნო გოგონაა, ძალიან კარგად აღზრდილი.

— ძალიან მინდა, რომ ჩამოხვიდეთ ჰედისდონში, — მიმართა მეიზიმ მისის რობერტსს, — დედას ძალიან გაუხარდება. თქვენ იქნებით ერთ-ერთი ძუ ლომი მის სალონში.

— მე ისეთი ძუ ლომი ვარ, რომელიც თავისი ბუნაგიდან არ გამოდის. მაგრამ იქნებ ამ დღეებში მაინც გამოვიდე.

— არ მოგეშვებით, სანამ არ ჩამოხვალთ.

— კი მაგრამ, იქ ხომ ჩემთვის სულ უცნობი ხალხი იქნება?

— თქვენი ნიჭი რომ მქონდეს, მისის რობერტს, არავინ და არაფერი შემაშინებდა.

— ყველას თავისებური ბუნება აქვს.

იმ ზაფხულს ტობიმ არ მოინდომა კლერთან შეხვედრა. თუმცა შეეძლო შეხვედროდა, ამაში ცუდი არაფერი იყო, მაგრამ გულში რაღაც (მისი აზრით, ზნეობრივი საფუძვლები) ეწინააღმდეგებოდა ამას: არ უნდოდა მეიზის წყნინება.

ავვისტოში ტობიმ პატარა ბინა დაიქირავა და დედამ მყუდროდ მიუწყო (დედას ასეთ ჩარევას ტობი არასოდეს ეწინააღმდეგებოდა), ხოლო სექტემბერში პროფესორ ტილერის ხელმძღვანელობით დაიწყო მუშაობა.

ტილერთან შეხვედრა მისთვის ნამდვილი აღმოჩენა იყო. ტობიმ პირველად თავის სიცოცხლეში დაიწყო სერიოზულად მეცადინეობა და ყოველ საღამოს წერდა „სენ-ჟიუსტს“. მეიზის ხშირად ხვდებოდა, რამდენჯერმე იწვნენ კიდეც ერთად, მაგრამ ტობიმ იცოდა, რომ მეიზი მისგან სულ სხვა რამეს მოელოდა, მაგრამ ამის შეთავაზება ტობის ჯერ არ უნდოდა — ვერაფრით ვერ დასძლია თავს.

ერთ საღამოს მასთან ეიდრიანი მივიდა, ძალიან შეწუხებული — ტობი, შეიძლება მე პატივმოყვარე მიწოდო?

— ღმერთო დიდებულო! რა თქმა უნდა, არა.

ეიდრიანი დაჯდა. აშკარად, შეწუხებული იყო — სახე ჩამოვრძელებოდა, წარბები შეჭმუხვნოდა.

— რჩევა უნდა ვთხოვო ვინმეს. რიტა ძალიან მახეზრებს თავს.

ეს იყო ეიდრიანის ყველაზე მძაფრი გამოთქმა, ასეთი რამ არასოდეს უთქვამს ვინმეზე.

— სულაც არ მიკვირს, — უპასუხა ტობიმ. — თუმცა ჯერ არ ვიცი რამდენად სერიოზულადაა საქმე.

— წერილებსა მწერს. განუწყვეტლივ მეპატიჟება, სახლშია ბობი თუ არა, მუდამ სასურველი სტუმარი ვარ. საერთოდ ასე მწერს: „ბობს ძალიან გაუხარდება თქვენი ნახვა“. მაგრამ ბობს კი არა, მაგას ვჭირდება. ჯერ ვუპასუხე და ძალიან მკაცრადაც, ახლა აღარ ვპასუხობ, მაგრამ მაინც არ ისვენებს. ზოგჯერ მგონია, რომ ჭკუაზე შეიშალა.

— კარგი ერთი! შენ ხომ ლამაზი ყმაწვილი ხარ. როცა მრევლი გეყოლება, ქალებისგან მოსვენება არ გექნება. თაყვანისმცემლები მუდამ შენთან იტრიალებენ, საკუროთხევლის გადასაფარებლებს მოვიქარგავენ.

— არა, ასეთ რამეს არ დაუშვებ, — შეეპასუხა ეიდრიანი უჩვეულოდ მკაცრად, — ესლა მაკლია. თუმცა შენ მართალი ხარ: თავიდან ძალიან გამოჭირდება. მე ხომ ჩვეულებრივი მამაკაცი ვარ, ჩემთვისაც არსებობს ბევრი ცთუნება. მაგრამ რიტას ნამდვილად არ ვგულისხმობ.

და ტობი მიხვდა: თუმცა ეიდრიანს მგზნებარეს ვერ უწოდებდი, მას ალბათ მართლაც მოუხდა შინაგანი ბრძოლა ცთუნებასთან, სანამ ქორწინებაზე უარს იტყოდა და ფიცის დადებას გადაწყვეტდა. როცა იშვიათი სილამაზის მამაკაცი ასეთ ფიცსა სდებს, მისთვის ეს განსაკუთრებით ძნელია, თუ ჰომოსექსუალისტი არ არის, ამას კი ეიდრიანზე ვერაფრით იფიქრებდი.

— უბედურება ის არის, — განაგრძო ეიდრიანმა, — რომ მე არ შემიძლია ბობი არ ვნახო.

— კი მაგრამ, ბობს ხომ აქვს ოთახი კოლეჯში, რატომ იქ არ ინახულებ?

— იმიტომ, რომ იფიქრებს, რიტას ერიდებაო. ადრე ძალიან ხშირად დავდიოდი მათთან ჩაის დასალევად. იცი, ბობმა მიიღო სუბსიდია სამეცნიერო და სამრეწველო გამოკვლევების სამინისტროდან. ახლა მეტი ფული ექნებათ და ახალ ბინაში გადავლენ.

— ჩემი რჩევაა: არავითარ შემთხვევაში, გესმის, არასდიდებით არ დარჩე მასთან მარტო. მუდამ უნდა იყო დარწმუნებული, რომ ბობი იქვეა სადმე, ახლოს, შენ ხომ მოსწონხარ რიტას.

— ვახშმად მეპატიჟებიან და იქნებ მაინც ვესტუმრო? ოღონდ ბობი უნდა იყოს შინ. იქნებ მასთან არაფერი გაბედოს.

ხოლო ამ სტუმრობის დროს რა მოხდა, ტობიმ მხოლოდ ირი კვირის შემდეგ გაიგო.

ეიდრიანი დათანხმდა ეახშმად მისულიყო და საბივემ მშვიდობიანად ივახშმეს. მერე დაიწყო: რიტამ მოუხშირა ცმუტვას, წაძღაუწუმ საბოს შეხედავდა ხოლმე. ჯერ ცხრის ნახევარი არ იყო და ამიტომ ეიდრიანმა იფიქრა, ალბათ ჩემს წასვლას არ ელისო. ბოლოს, რიტამ მტკიცედ განუცხადა ბობს: კარგი იქნება, თუ ლუდის დასალევად წახვალ, ეიდრიანს უნდა ველაპარაკო.

— რაზე უნდა ელაპარაკო?

— სულიერზე, — რიტამ მოურიდებლად ჩაიციხა. — მე მოძღვრის დახმარება მჭირდება.

ეიდრიანმა იუარა:

— ხომ გითხარი, რომ ჯერ მოძღვარი არა ვარ.

— ამას ვერც გაიგებ, სანამ შენს ძალას არ ცდი, — უტიფრად შეეპასუხა რიტა და პირდაპირ თვალეში ჩააშტერდა ქმარს.

— თუ ასეა, რას იზამ, გავუჩინარდები, — ბობი სიბრაზისაგან წამოჭარხალდა.

— თუ მართლა გჭირდებათ მოძღვრის დახმარება, ჩემგან ნუ ელით ამას, — უთხრა ეიდრიანმა და მერე ხუმრობა სცადა, — იქნებ გაისისთვის გადავდით, როცა ვეკურთხები.

მაგრამ რიტამ განაცხადა: არა მჯერა, რომ მღვდლად ეკურთხებიო. ეს პასუხი იმდენად სულელური მოეჩვენა ეიდრიანს, რომ იდგა ასე პირდაღებულს. უცებ რიტამ უთხრა: მიყვარხარ, აქამდე არაეინ მყვარებიო და არ ვიცი, როგორ მოვიქცე, რა ექნათო. ისიც თქვა, რომ ასეთ ცხოვრებას ველარ აიტიხდა. ბობს რომ მიეღო კიდევ ის აქოთებული სამეცნიერო სამუშაო უნივერსიტეტში, მისთვის არაფერი შეიცვლებოდა. მას ეიდრიანი სჭირდებოდა, მის მეტი არაფერი და არავინ არ უნდოდა.

ეს ყველაფერი ეიდრიანმა მისწერა ტობის ოთხ ფურცელზე ჩაწიკწიკებული. ტობი ამ ამბავმა კი არ შეაშინა, პირიქით, გაართო: ხუმრობაა და მეტი არაფერიო. თუმცა ბობს და ეიდრიანს სულაც არ ეხუმრებოდათ. რა კარგი იქნება ეიდრიანი განაწესონ შორს, სადმე გამოყრუებულ მხარეში, სადაც ძნელად თუ ჩააკითხავსო ვინმე. მხიარულების ტალღამ რომ გადაიარა, ტობიმ სადი გონებით აწონ-დაწონა ყველაფერი. უამბოს მეიზის? საერთოდ სხვისი ყურის გდება უფრო უყვარს, ვიდრე თვითონ რომ ლაპარაკობს, მაგრამ მეიზის სადი აზრი ანგარიშგასაწეია და ქალის ალღო სწორ გადაწყვეტილებას მიადებიანებს. ამიტომ მეიზის მისწერა: ეიდრიანისგან შემაშფოთებული ამბავი მომივიდა, მინდა მოგეთათბირო და თუ შეიძლება, ერთი დღით ჰედისდონში ჩამოვალო. ჰედისდონში უკვე რამდენჯერმე დააპატიჟებინა თავი, საკმაოდ ხშირად ჩადიოდა იქ. მაგრამ მეიზიმ მოსწერა: მე თვითონ ჩამოვალ, ამანდა შემოდგომაზე მუდამ ისვენებს ხოლმე, ხოლო წელს არ წახულა და სიმებიანი კვარტეტი დააპატიჟა, ისე რომ ჰედისდონში აუტანელი გახდა ყოფნა, მუსიკის გამო კი არა, მუსიკა ძალიან მიყვარს, მაგრამ მუსიკოსები გაუთავებლად ლაქლაქებენ ნამდვილი კაჭკაჭებივითო. ერთი სიტყვით, ხუთ საათზე თვითონ ჩამოვა.

— ჩემო საბრალო! — უთხრა ტობიმ, როცა მეიზი ჩამოვიდა, და აკოცა. სიმებიან კვარტეტს ნამდვილად ვერ ავიტანდი. ალბათ უკვე მიხვდი, რომ მუსიკალური ყმაწვილი არა ვარ.

— აბა, დაფქვი ჭორები, — უთხრა მეიზიმ. — ან, რადგან სერიოზულად არის საქმე, მოდი, ჭორი კი არა უბედურება დავარქვათ.

ტობიმ ყველაფერი დაწვრილებით უამბო და ეიდრიანის წერილს წააკითხა.

— საწყალი მამა სტედმენი! — მეიზი ერთბაშად გამხიარულდა. მისი პირველი რეაქცია ისეთივე იყო, როგორც ტობისა.



მაგრამ მეიზის მხიარულება ხანმოკლე აღმოჩნდა.

— რა საშინელი ამბავია. საწყალი რიტა! ტობი, რიტა ცოტა ხომ არ ურევს?

— რას ამბობ, სრულ ჭკუაზეა. უბრალოდ, მასში სიყვარული ბობოქრობს... მაგრამ სახუმარო საქმე ნამდვილად არ არის.

— მართლაც, ძალიან სერიოზული საქმეა, — დაეთანხმა მეიზი.

თვითონ ტობის არასოდეს უთქვამს მეიზისთვის, მიყვარხარო. მისი აზრით, ეს ძალიან დაავადებულებდა. მას შეეძლო ეთქვა: მზე და მთვარე შენზე ამომდისო, და კიდევ სხვა ალერსიანი სიტყვები, მაგრამ სიყვარულზე კრინტს არა სძრავდა. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით ასე იქცეოდა.

მეიზი გულმოდგინედ ცდილობდა ჩასწვდომოდა შექმნილ ვითარებას.

— შენ რას ურჩევდი ეიდრიანს?

— რას და, არ უპასუხოს რიტას წერილებს, თუმცა მას მიაჩნია, რომ თუ მისწერს, ეს იქნება მოძღვრის დარიგება და მეტი არაფერი... ან უნდა ჩამოსცილდეს მათ. იცი, რა ვითხრა, ნამდვილი დოცლაპიაა ჩვენი ეიდრიანი.

— მღუღელად კურთხევის შემდეგ ძალიან გაუჭირდება, — შენიშნა მეიზიმ. — დიდი უგერგილო, ვინმეა.

— ამით რა გინდოდა გეთქვა?

— როგორ თუ რა? უბრალოდ მომივიდა თავში აზრი და ხმამაღლა გამოვთქვი.

— ძალიან ბევრს ფიქრობ, გოგონი.

ეს უკვე ჩხუბსა ჰკავდა და მეიზიმ შეცვალა თემა:

— რა მყუდროდ მოეწყვე! ახლა უფრო კარგია, ვადრე ჩემს წინა ჩამოსვლაზე იყო.

— დედაჩემს უნდა ვუმაღლოდე. მართალია კედლები ვერ გადადება, მაგრამ სამაგიეროდ შესაფერი ხალიჩა შეარჩია. ძველი ხალიჩა ცივ, დაობებულ ღორსა ჰკავდა. ჩემი ლოგინის გადასაფარებელი და ბალიშები კემბრიჯიდან ჩამოვიტანე. ახლა კიდევ პატივი მხვდა და დედას ორი სურათიც მიკიდეა. პირდაპირ გაოცებული ვარ, იმდენი ვინმე ცნობს მის სურათებს დანახვისთანავე.

— ძალიან სასიამოვნოა. ეს სურათები, ეშმაკმა დალახვროს, ნამდვილად იმსახურებენ, რომ ყველამ იცნოს.

მეიზი ეშმაკს იშვიათად თუ ახსენებდა, და ტობი მიხვდა, ქალიშვილი გაღიზიანებული იყო.

ერთხანს ხმა არ ამოუღიათ, მერე ტობიმ თქვა:

— შინ ვივახშმით. ჩემი მომზადებული კერძის ჭამა მოგიწევს.

მეიზიმ პროტესტი განაცხადა: მე თვითონ მოვამზადებო.

— გაზის ერთ ქურატაზე? ვერ მოამზადებ.

სინამდვილეში ორი ქურათა იყო. ტობიმ თვითონ შეწვა ხორცი, მეიზის უთხრა, სალათა გააკეთეო. მშვიდობიანად, მეგობრულად ვახშობდნენ, სანამ მეიზიმ ისევ რიტაზე არ წამოიწყო ლაპარაკი.

— ყველა ხედავს, რომ რიტა იტანჯება, მაგრამ არავინ არაფერად აგლებს მას.

— იტანჯება კი არა, არხეინად ცხოვრობს. რა თქმა უნდა, თავისებურად.

— შენ, რა თქმა უნდა, კაცს დაუჭერ მხარს.

— ეტყობა, მე კაცებისა უფრო გამეგება. ეს არის და ეს.

— სამაგიეროდ ქალებისა არაფერი გაგეგება.

— ჰო, სწორედ მაგის თქმა მიხდოდა.

ეტყობა, მეიზი აჯანყდა. რა სისულელეს სჩადის, რომ საკუთარ თავს რიტასთან აიგივეებს, არადა, ეტყობა, ნამდვილად ასეა. იმ დღეს მათ შორის არაფერი მომხდარა, არა იმიტომ, რომ ბინის პატრონი ქალისა ერიდებოდათ, რომელსაც სულ არ ენაღვლებოდა, რა ხდებოდა მის მდგმურებთან, ოღონდ ბინის ქირა გადაეხადათ. ვახშმის შემდეგ მეიზიმ თავი გამოიღო და თეფშები დარეცხა. მერე ტობიმ ფანჯარასთან მიიყვანა, იდგნენ და გაჰყურებდნენ ქუჩის ფარნებს, რომლებიც ჩამოწოლილ ნისლში ლიმონისფერ-ყვითლები ჩანდნენ.

— ჯობს ახლავე წახვიდე, ნისლი სქელდება, და თუმცა დავრწმუნდი, რომ ბრუნდს-ჰეტში პრიზის მიღება შეგიძლია, მაინც არ მიინდა ნისლში იარო.

— შეეცადე გამიგო, — უთხრა მეიზიმ.

— გოგონი, მაინც რაზეა ლაპარაკი? — თქვა გაკვირვებულმა ტობიმ. თუმცა, — ძალიან კარგად იცოდა, რას გულისხმობდა მეიზი, და პასუხის გაცემა არ უნდოდა, — განა ბედნიერი არა ვართ?

— ცუდია გაურკვეველობა, — თქვა მეიზიმ. ტობის მის მხრებზე ჰქონდა შემოხვეული ხელი და იგრძნო როგორ ათრთილდა.

ეს ხომ სასაცილოა, შეეპასუხა ტობი, ჯერ ძალიან ახალგაზრდები ვართ, მე მხოლოდ ოცდაერთი წლისა ვარ, ჯერ ორივენი ფეხზე დაედგეთო. აი ასე გადაკრულად ახსენა პარველად ტობიმ ქორწინება.

— კარგი ახლა, ბავშვო, ნუ მოიღუშე. შენ ხომ მუდამ მხიარული ხარ, რასაც მე ძალიან ვაფასებ.

— მე მუდამ მხიარული არა ვარ. ხომ გითხარი, კარგად არ მიცნობ-მეთქი.

— როგორსაც გიცნობ, ისეთი მომწონხარ.

მეიზი ატირდა, მაგრამ მაშინვე მოთოკა თავი, თვალები შეიმშრალა და გაიღიმა თავისი ნათელი ღიმილით. მერე ცოტა ხანს რაღაც-რაღაცებზე კიდევ ილაპარაკეს და წავიდა, სიტყვაც არ დასცდენია იმაზე, რომ ტობიმ დროზე ადრე გაისტუმრა.

მეიზი რომ წავიდა, ტობიმ მოკლე წერილი მისწერა კლერს: სიამოვნებით ჩამოვალ ჰლემსფორდში რომელიმე შაბათს, თორემ კვირას ძალიან ხალხმრავლობაა მატარებელშიო.

მაგრამ ორი დღე მაინც გავიდა, სანამ ფოსტის ყუთში ჩააგდებდა ამ წერილს.

1. ადგილი ლონდონის მახლობლად, სადაც ავტომობილების შეჯიბრებებს აწყობენ.

სადგურში კლერის მაგივრად დედამისი დახვდა, რომელიც აღნაგობით ამანდას ჰგავდა, მაგრამ ქერა ქალი იყო, უფრო სწორად, მოთუთრო თმა ჰქონდა. ქალბატონი ყვირილით გამოემართა ტობისაკენ.

— ტობი რობერტსი ხართ, არა? ვიცი, ვიცი. მეტი არავინა ჩანს, მაშასადამე თქვენა ხართ.

ლედი ლენგეინმა ტობი წაიყვანა დიდი, პრიალა მანქანისაკენ. ცივი, ქარიანი დღე იყო. წვიმდა, ეტყობოდა, ადვილად არ გამოიდარებდა.

— კლერი დღეს მზარეულის მაგივრობას ასრულებს. კვირის ბოლოს მსახურები არ არიან და... უყვარს კერძის მომზადება. ჩემს მეუღლესაც ნახავთ, ახლა გოლფს თამაშობს და ლენჩისთვის მოვა.

ჰლემსფორდის სახლი სწორედ ისეთი აღმოჩნდა, როგორიც ტობის ჰქონდა წარმოდგენილი — ხისა და აგურისგან ნაგები: ყავისფერი მორები და ყვითელი ბათქაში. დიდი და თითქოს ქარისგან გადაღრეცილი სახლი გზასთან ახლოს იდგა. ლედი ლენგეინმა უთხრა, სახლს უკან დიდი ბაღი გვაქვსო.

— იდრისი ამბობს: კარგი იქნება, მეტი მიწა გვქონდესო. არ ვიცი, ჩემის აზრით, მიწა ძალიან დიდ გარჯას მოითხოვს. იჯარით თუ მივცემთ საძოვრებისათვის.

მან ტობი შეიყვანა უშველუბელ პოლში, რომლის შუაში ფართო კიბე იყო. ბუხარში შეშის დიდი ნაპობები გუზგუზებდნენ.

— გაიხადეთ პალტო, სადაც გინდათ დადეთ და დალიეთ, კლერ! — დაიძახა მან.

სახლის სიღრმიდან გამოვიდა კლერი, ცეცხლთან ტრიალისგან ლოყება-წითლებული, და კაცურად ღონივრად ჩამოართვა ხელი ტობის.

— ბოლოს და ბოლოს მაინც ჩაგიგდეთ ხელში, — უთხრა მან. — მგონი, დროა. ვიფიქრე, ველარ მოგატყუებდით.

— დაბრძანდით, — უთხრა ლედი ლენგეინმა, — გირჩევთ, სადილამდე არავი დალიოთ, თუმცა რაც გესიამოვნებათ, ის დალიეთ.

ტობი დათანხმდა არაფრე, მას არასოდეს დაელოა ეს სასმელი.

— ამას უცებ მოიყუდებენ, თუ ცოტ-ცოტას წრუპავენ?

— რაღა თქმა უნდა ცოტ-ცოტა წრუპეთ, თუ ასე გირჩევენიათ. რა საჭიროა რუსებს მიბადოთ. არც არაფერში მიბადოთ მათ.

— ნუ ამოიჩემე ეს რუსეთი, — შეეპასუხა კლერი. — მშვენიერი ქვეყანაა, რაც არ უნდა თქვან. შენ ტობის მიხედუ, მე წავალ ვნახავ, რა დღეშია ჩემი ნანადირკვი. მწყრები, — ახსნა კლერმა, — იმედი მაქვს გიყვართ. ძალიან მიყვარს შემწვარი მწყერი გარნირით.

ლედი ლენგეინს ფეხები ცეცხლისკენ გაეშვირა და თბებოდა. მან თხუთმეტ წუთში სამჯერ დაისხა არაფი, და ტობი გაკვირვებული (და შეცბუნებული) იყო, რა ამბავია, რამდენსა სვამსო.

— ჰედისდონის შემდეგ მოგეჩვენებათ, რომ ჩვენთან სიჩუმეა. ამანდას მუდამ იმდენი სტუმარი ჰყავს, თავბრუ დამეხვევა ხოლმე. მე და იდრისს გვირჩევენია ერთი ან ორი სტუმარი გვეწვიოს, მაშინ უფრო ადვილია საუბარი.

ტობი ხალისით დაუთანხმა.

— მე აქა ვზივარ მთელი წელი, ხოლო იდრისი ხშირად ჩადის ლონდონში. ღმერთაა მოწამე, საქმე ბევრი მაქვს, და თუ მომეწყინება, ბარიში საყიდ-

ლებსთვის მივდივარ იდრისს ძალიან უყვარს ღორების პალატა. არ ვიცი პირდაპირ, რა მოთმინება აქვს — საათობით ზის და ყურს უგდებს, რას ბურტყუნებენ. თუმცა მამაკაცებს მეტი მოთმინება აქვთ, ვიდრე ქალებს.

ამ დროს ღორდი ლენგეინი შემოვიდა. ტობის მიესალმა და თქვა:

— ღმერთო, რა სიციუვა. თქვენი კარგი დედილო როგორ არის?

აღშფოთებულმა ტობიმ გაიფიქრა, ასე უსულგულოდ რატომ მისამსახურესაც ჰკითხავს: როგორ არის თქვენი დედილო. ასეთ შემთხვევაში მუდამ უნდა ხოლმე მხურვალედ გამოსარჩლებოდა დედას. მაგრამ ტობი ჭკვიანი ყმაწვილი იყო და იცოდა, დედას არ სჭირდებოდა დაცვა. თვითონაც იცავდა თავს, სხვებს არ ჩარევდა თავის საქმეში.

— მშვენივრად, სერ, გმადლობთ.

— საოცარი ტალანტია. წარმოიდგინეთ, მეც კი მესმის ეს. აბა, თქვენი ამბავი მიაბზეთ. როგორა გაქვთ საქმე?

ტობიმ მოკლედ უამბო ბოლო დროის ამბები.

ლენგეინმა დაუწყო გამოკითხვა ტობის: როგორ აპირებს მოაწვოს თავისი ცხოვრება? უნდა, რომ პროფესიონალი ისტორიკოსი გახდეს? სწავლული?

ტობიმ უპასუხა: ჯერ არ ვიცი, უნდა ვნახო, როგორ წამივა საქმე, მაგრამ ისეთი გრძნობა მაქვს, სწავლულის მოღვაწეობა საჩემო არ არის, მეტიმეტად დამქანცველი და მონოტონურია, მე კი მინდა ცხოვრებას გავეცნო.

— როდისმე გიფიქრიათ კომერციაზე?

— მიფიქრია, — უპასუხა ტობიმ. — მაგრამ არც კი ვიცი, როგორ იწყებენ ამას.

— ა-ა-ა, — გააგრძელა ლენგეინმა.

ამ დროს კლერმა გამოაცხადა, ლენჩი მზად არისო. სასადილო ოთახში კი არ მიირთმევდნენ, არამედ სამზარეულოში, სადაც საოცარი სურნელი იდგა. ოღონდ კლერი არც ისეთი მზარეული აღმოჩნდა, როგორც ლედი ლენგეინმა უთხრა. მწყრები გამომშრალი იყო, გარნირი — ცივი... ტობი ჰედისლონში დაეჩვია რჩეულ კერძებს და ახლა თავს იკატუნებდა, ვითომ ძალიან მოსწონდა. ლენგეინები კი ძალიან გემრიელად მიირთმევდნენ. ლენჩის დროს კლერს ტობისთან ბევრი არ ულაპარაკია, მაგრამ თვალს კი არ აშორებდა. ტობიმ შეამჩნია, რომ ქალიშვილის სახეს მომხიბლაობა არ აკლდა: გადასარევი სახისკანი ჰქონდა და კოპწია ხელოვნური ხალი თვალთან.

— ჭურჭელს მე დავრეცხავ, შენ კი, კლერ, გაესაუბრე შენს მეგობარს.

ლედი ლენგეინი ცოტა ენას უკიდებდა და აშკარა იყო, საკუთარი ოთახისთვის უნდა შეეფარებინა თავი, სანამ არ გამოფხიზლდებოდა, მაგრამ მისი მუღლუ, ეტყობა, ვერაფერს ამჩნევდა. მალე ისიც ავიდა ზემოთ, ცოტას წავთულემო, თქვა.

ტობი და კლერი პოლში დაბრუნდნენ და ბუხართან დასხდნენ, კლერი წამდაუნწუმ უმატებდა შეშას ბუხარს.

— მე ცოტა რამ ვიცი თქვენ შესახებ. რითი ხართ გატაცებული? — ჰკითხა ტობიმ.

— ოჰ, თვითონაც არ ვიცი. ცოტა ხანს ვმუშაობდი. ზოგჯერ ცხენს დავატყენებ. სანადიროდ იშვიათად დავდივარ. მამა ერთ დროს ძალიან გატაცებული იყო ნადირობით, ოღონდ ადრე, როცა ლესტერში ვცხოვრობდით რამდენიმე წელი.

— ეტყობა, მეღივები გეცოდებათ.

— არა, მხოლოდ მეშინია მათი. კიდევ რას ვაკეთებ? საკმაოდ ბევრს ვკითხულობ, უფრო დეტექტივებს. თანაც ვიკრავ. იქნებ არც დაიჯეროთ, ჩემი მეხვივით თითების შემხედვარემ. — მართლაც მოდიდა ხელები ჰქონდა, მაგრამ საოცრად კარგი ფორმისა. მარჯვენა ხელის თითზე ონიქსის ბეჭედი ეკეთა. — ყველაფერს თვითონ ვიკრავ. გარდა ბლუზისა და შარვლისა. კრავახზე მეხარჯება მეტი წილი დრო. მგონი, მაინცდამაინც საინტერესო ადამიანი არა ვარ.

— რაღა თვითგვემა და რაღა სიაშაყე, არა მჯერა, რომ ასეთი ძორნილი ხართ. ჩემის აზრით, საინტერესო ადამიანი უნდა იყოთ.

ტობის ბევრი რამის გაგება უნდოდა კლერის შესახებ, მაგრამ ცდილობდა, რაც შეიძლება ნაკლები კითხვები დაესვა მოსაუბრისათვის. საბედნიეროდ, კლერი თვითონ აღაპარაკდა: უამბო, რომ სკოლაში ცუდად სწავლობდა და ახლა ნაწილს. ეს არ იყო უბრალო ლაქლაქი: სახე მოედრებლა, მზერა დაურბილდა. თქვა, რომ ნატრობდა მწერალი ან მსახიობი გამოსულიყო ან სულაც მანეკენი, მაგრამ სწერლობისთვის ნიჭი არ ჰყოფნის, მსახიობიც რომ გახდეს, ნიჭია საჭირო, ხოლო სამანეკენოდ მეტისმეტად ზორბა ხარო, ასე უთხრეს.

— ერთი გრამი ზედმეტი სიმსუქნე არა მაქვს, მაგრამ როცა გავბუდე მოდელების სახლში მისვლა, მიოხრეს: ცოტა უნდა გახდეთ, ექვსი კილო მაინც უნდა დაიკლიოთ.

— კაცებს არ მოსწონთ გამხდარი ქალები, თუმცა ქალები ამ საკითხზე სხვანაირად ფიქრობენ; — მრავალმნიშვნელოვნად ჩაილაპარაკა ტობიძე.

ჰოლის სარკისებრ ფანჯრებში მზის მქრქალმა სინათლემ შემოიჭყიტა, და კლერმა შესთავაზა, ბაღში გავისეირნოთო. დიდი ბაღი იყო, მაგრამ ამანდას ბაღს მაინც ვერ შეედრებოდა სიდიდით. ტობის ძალიან გაუკვირდა, რომ ასეთი მოვლილი ბაღი ჰქონდათ. ღედი ღენგეინი კარგი დიასახლისის შთაბეჭდილებას არა ტოვებდა. ბაღის ბოლოში ვაშლის ხეებს კარგად ესხა. ახალგაზრდები ღერომაღალ ოქროსწვეპლებში მიაბიჯებდნენ. ჩაუარეს ზიზილებიან ბორდიურს. ყვავილებს წაბლისფერი გადაჰკრავდათ.

— რა ღეთის წყრომაა, ისევ გაწვიმდა, — თქვა კლერმა.

ქალ-ვაჟმა ვაშლის ხეს შეაფარა თავი. უცებ კლერი თითის წვერებზე შედგა და ტობის ტუჩებში აკოცა. მგრძნობიარე კოცნა არ იყო, უფრო გამომწვევი. ტობი გაშტერდა, ძლიერ გაიღიმა.

— ესეც ასე, — თქვა კლერმა გამარჯვებულვით. — თქვენს მეიზის ამით არაფერი დააკლდება, სამაგიეროდ კარგად დავამთავრეთ დღე.

— დიახ, ძალიან კარგად, — დაეთანხმა ტობი.

სახლისკენ რომ გაემართნენ, კლერი ტობისგან მოშორებით მიდიოდა, როცა ჰოლში შევიდნენ, კროსვორდის ამოხსნით გართული ღედი ღენგეინი დივანზე იწვა.

— ისეირნეთ? — იკითხა მან, რათა რაიმე ეთქვა.

— ისევ წვიმს, — დაიწუწუნა კლერმა; — გარეთ საზიზღრობაა. სახლში კარგია. მივეხმართ დედას კროსვორდის ამოხსნაში.

მალე ჰოლში ღენგეინიც ჩამოვიდა, რომელსაც ცოტა წაეძინა, და მუსაიფი გააბეს.

— თუ როდესმე მოგბეზრდეთ ისტორია, — მეგობრულად მიმართა მან ტობის, — შემატყობინეთ, იქნებ სხვა რამე შემოგთავაზოთ.

კლერმა სამხარეულოდან შემოიჭანა ჩაი და კარგად შებრაწული პურის

ნაკრები, სწორედ ისეთი, ტობის რომ უყვარდა, თუმცა დედამისს ალბათ მი-
აჩნდა, რომ ეს მდაბალი გემოვნება იყო და ამ ბოლო დროს აღარ უბრაწავდა
პურს. კექსის მაგვარი ნამცხვარი აქ, ეტყობა, არა აქვთ ხოლმე. მოსწონს
თუ არა აქაურობა? თვითონაც არ იცის. აქ მხიარულებაა, მაგრამ ჰედისდო-
ნთან და თუნდაც მის სახლთან შედარებით ეს სახლი დაფხავებულია. ნეტა
როგორ ცხოვრობენ, მდიდარია ლენგეინი? თუმცა ამაზე ეს დიდი სახლიც
მიანიშნებს, რომლის შენახვა ალბათ ძვირი ჯდება. და მაინც სახლი კომფო-
რტაბელური და მყუდროა, ჰო, მყუდრო, დაე კლერიც, რომელსაც შარვალი აც-
ვია და ფეხიფეხზე გადადებული ზის, ამ სახლთანაა შენივთებული.

ტობი ფიქრობდა: როგორც არ უნდა განვითარდეს მოვლენები, ინიცია-
ტივა ჩამგან არ მოდის. მე მეიზისათვის არ მილაღატნია. კაცმა რომ თქვას,
მამაკაცი, რომელსაც მოულოდნელად ჰკოცნიან, ცოტა არ იყოს სასაცილოდ
გამოიყურება, მაგრამ კლერს, ეტყობა, არა რცხვენია თავისი საქციელისათ.

მოსაღამოვდა. ცეცხლის ათინათი ეცემოდა დედისა და კლერის ქერა თმებს.
ლენგეინი დინჯად სწევდა სიგარას და ხმას არ იღებდა. ლედი ლენგეინი თა-
ვის ვაჟზე ლაპარაკობდა.

— რა კარგი იქნება, რომ გაიცნოთ ერთმანეთი. იქნებ როდისმე შეხვდეთ
კიდეც.

— თქვენ აუცილებლად უნდა გაიცნოთ პერიკო, — ჩაიცინა კლერმა —
ღირსეული ყმაწვილია.

— პერიკო? — ტობის გაუკვირდა ასეთი მეტსახელი რომ გაიგონა.

— ჰო, მომავალი პერი, იგივე პერიკო.

წასვლის დრო დადგა. სადგურში კლერმა წაიყვანა ტობი, ბაქანზეც გაჰყ-
ვა, და როცა მატარებელი ჩამოდგა, ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს. კლერი
ისევ ამხანაგურად იქცეოდა.

— ჰალსტუხზე ცხიმიანი ლაქა გაქვთ, როგორმე შინ ცხელი წყლით მოაშო-
რეთ. მე მგონი, როდისმე კიდეც შევხვდებით ერთმანეთს.

არც ერთმა არ დააზუსტა — როდის.

ნეტავ, რატომ არ შეუყვარდა მეიზი? არ უყვარს... (ჯერჯერობითო, და-
უმატა გუნებაში ტობიმ იმედით). მას სიამოვნებს მეიზისთან ურთიერთობა,
ინტიმური სიახლოვე, დახვეწილი სასიყვარულო თამაში... მაგრამ მისთვის
აუცილებელია თავისუფალი იყოს, იცოდეს, რომ ვალდებული არ არის ვინმეს
წინაშე, რომ ნება აქვს კლერთან გაერთოს, თუმცა ეს მაინდამაინც მნიშვნელო-
ვანი არ იყო ტობისთვის, არა, უბრალოდ, ისეთი კაცად მიაჩნდა თავი, რომლის-
თვისაც დალატი საზიზღრობაა, „ორ ფრონტზე ბრძოლა“ — ტობი ასე უწოდებ-
და დალატს.

მალე ტობი დროებით განთავისუფლდა ორივე ქალიშვილისაგან: მეიზი
და ამანდა ბაგამის კუნძულებზე წავიდნენ (გადაწყვიტეს ზამთრის დასაწყისი
იქ გაუტარებინათ), ხოლო კლერი მარტოკა გაემგზავრა მადეირაზე. ტობიმ
აუკრძალა თავს ორივეზე ფიქრი, და საფუძვლიანად შეუდგა მუშაობას.

ტობიმ ტიღერს შეატყობინა, რომ სადოქტორო დისერტაციის თემად სენ-
ფიუსტი აირჩია, ხელმძღვანელმაც მოუწონა არჩევანი. მაგრამ ტობიმ როცა გა-
იგო, რამდენი დაუწერიათ მასზე, თავზარი დაეცა.

ამ დროს დედამისი ხატვაში იყო ჩაფლული. მის სურათებს უკვე საკმა-
ოდ ხშირად ყიდულობდნენ, და ტობის ანგარიშით, კარგა ბევრი ფულიც და-

უგროვდა. მაგრამ დედას ვერ ეკითხებოდა, რამდენი ჰქონდა, რადგან დედა ფულის საკითხში მეტიხმეტად ფაქიზი იყო, ისევე როგორც ტობი. თუმცა ტობი ისედაც ამჩნევდა, დედამისს რომ ფული ჰქონდა, რადგან შინ დროდადრო ახალი ნივთები ხვდებოდა ხოლმე — ახალი ფარდები, ახალი სერვიზი, ტელევიზორი. დედა ზოგჯერ თავისთვისაც ყიდულობდა ტანსაცმელს, მაგრამ თითქმის ისეთივეს, როგორიც ადრე ეცვა. მაგრამ მისი გამოკვეთილი ინდივიდუალობის ფონზე სხვა ყველაფერი ფერმკრთალი ჩანდა.

ახალი წლის წინ, შაბათ-კირას, ტობი კემბრიჯში წავიდა: ამხანაგებიც ხომ უნდა მოენახულებინა.

ბობი და რიტა უკვე ლენსფილდ-როუდზე დაბინავებულიყვნენ, კათოლიკური ეკლესიის უკან, ახლა მათ ნახევარი სახლი ეჭირათ. თავიდან ტობის მოეჩვენა, რომ ყველაფერი რიგზე იყო. რიტა მხიარული ჩანდა: მათ დაიქორავეს au pair¹ შვედი ქალიშვილი, რომელიც ბავშვს უვლიდა, და რიტას ხელები გაეხსნა. სახლი გემოვნებით იყო მოწყობილი. პლასტიკის პატარა სუფრები გაქრა, ბობმა ლამაზი ნივთები იყიდა: ბროლის ბოკალები, ორი ვერცხლის შანდალი, ლამაზი მაგიდა-კონსოლი.

ბობმა წინასწარ შეითვისა სწავლულის ცხოვრების სტილი: სადილის წინ თეთრი ღვინო, რომელსაც ახალი ბროლის ბოკალებით სვამდნენ, სადილზე — ხერესი, ხოლო სადილი მაინცდამაინც პროფესორის შესაფერი არ იყო. სადილის შემდეგ ინგრიდი ავიდა თავის ოთახში სამეცადინოდ.

ტობის ეგონა, ბობიც შეეცდებოდა წასვლას — ლაბორატორიაში გაიქცეოდა, მაგრამ ბობი არ მიდიოდა. ბოლო დროს იგი რიტას თვალს ადევნებდა, ეტყობა, იმდენად სიყვარული არ ამოდრავებდა, რამდენადაც შელახული თავმოყვარეობა.

— კარგი იქნება, თუ ეიდრიანი ტელევიზიაში დაიწყებს მუშაობას, რამდენჯერ ვურჩიე, — თქვა რიტამ.

— რაში სჭირდება ტელევიზია, — შეეპასუხა ტობი. — მას წყნარი, განმარტოებული ცხოვრება უნდა.

— მე კი არ მინდა, — გაცხარდა რიტა. — მაგრამ მაინც მომახვიეს თავს. ცეკვებზეც ვეღარ დავდივარ. ბობს ჭირივით ეჯავრება, ხოლო თუ წამოვიდა საცეკვაოდ, სულ ფეხებს მამტვრევს.

— თუ ასეა, ნუღარ მაძალებ, — უთხრა ბობმა მშვიდად, მაგრამ მის ხმაში შემოფოთებაც გამოკრთა.

— კვირაში სამი დღე კოლეჯში სადილობს, — თავისას გაიძახოდა რიტა, — როგორ გგონია, მხიარული ცხოვრება მაქვს?

ტობი ფიქრობდა, როგორ არა ჰგავდა ეს ქალი იმ გაუბედავ ყმაწვილ ქალს, როგორიც ქორწილის დღეს იყო. რამდენად მტკიცეა ეს ოჯახი? ნეტავ თუ დარჩებოდა ბობი რიტასთან, ბავშვი რომ არ ყოფილიყო? მხოლოდ ეიდრიანი აინტერესებს რიტას თუ სხვა მამაკაცებიც? ალბათ არა. პირდაპირ გადაირია ეიდრიანზე. მაგრამ ეიდრიანის ხელში ჩაგდებას ვერ მოახერხებს. ნურც იქონიებს ამის იმედს.

— მოდი, მუსიკა მოვისმინოთ, თორემ გოგონა ისევ ღრიალებს, — თქვა რიტამ.

1. უცხოელი ქალიშვილი, რომელიც ენის შესასწავლად ჩამოდის და ბინისა და კვების ფასად საოჯახო საქმეს ასრულებს.

– სუ წუხხარ, ინგრიდი მოუვლის.

– საწყალი ინგრიდი.

ტობიმ იგრძნო, რომ შეეხიზლა რიტა. მასში იშვიათად თუ კინძე იწვევდა ზიზღს. ჩვეულებრივ, ტობი სიმპათიურად იყო განწყობილი ადამიანების მიმართ.

როცა ტობიმ წასვლა დააპირა, რიტა უცებ აღესრულდა, ლოყაზე აკოცა, და ტობიმაც მაშინვე გადაწყვიტა, თუ კვლავ უნდა მოახერხოს უარის თქმა.

ტობი ახლა ხშირად ხვდებოდა მეიზის, ზოგჯერ თავის სახლში, რადგან დედამისი სთხოვდა, მოიყვანეო, და რომ არ მიეყვანა, შეკითხვებით მოკლავდა. დროდადრო კლერსაც ხვდებოდა, მაგრამ ეშინოდა, მეიზის არ გაეგო (თუმცა ჯერ არ ეტყობოდა, რომ იცოდა), და ბოლოს გადაწყვიტა, თვითონ ეთქვა ნახევრად მართალი.

– ამას წინათ კლერი შემხვდა და ყავაზე დაუპატიჟე.

– ა-ა... – მეიზი წამით გაჩუმდა, მურე გაკვირვებულმა ჩაილაპარაკა, – ჩემთან კრინტიც არ დაუძრავს ამაზე.

– ეს ხომ გასულ კვირას იყო.

– სწორედ გასულ კვირას ვნახე.

– გოგონი! – ტობიმ ნაძალადევად გაიციხა, – ეტყობა, თქვენი შეხვედრის შემდეგ შემხვდა. ნეტა რა მნიშვნელობა აქვს ამას.

– არავითარი, უბრალოდ, ვერ ვიტან, როცა რაიმეს მიმაღავენ.

– ან რა იყო საამბობი. საყიდლებზე იყო ჩამოსული და სულ დედაჩემის სურათებზე ვლაპარაკობდით. სასიამოვნო ქალიშვილია, მაგრამ მეტისმეტად ძლიერი.

მეიზი ცოტა ხანს დამშვიდდა, მაგრამ შემდეგ მაინც ჰკითხა:

– რა დღეს შეხვდი კლერს?

– კარგად არ მახსოვს, ხუთშაბათი იყო თუ პარასკევი.

– რას აკეთებდა პაუერ-სტრიტზე?

– პაუერ-სტრიტზე კი არა, სენტ-ჯეიმს-სტრიტზე. მე ბიბლიოთეკაში ვიყავი წიგნების გამოსატანად.

– მაინც უცნაურია.

ტობი აღერსიანად შეეპასუხა:

– არ იეჭვიანო, თითქოს რაღაც სისაძაგლეს ჩაუდიოდე.

– მე არც დავეჭვებულვარ. მხოლოდ ვთქვი: უცნაურია-მეთქი. რა თქმა უნდა, შენ ვერაფერი შეგიშლის ხელს, რომ კლერს შეხვდე.

– ძვირფასო, ერთადერთხელ შემხვდა, – თქვა ტობიმ (თუმცა ამით შეძლება ცუდ მდგომარეობაში ჩაევლო თავი.).

– რას იზამ, მე ხომ ვერ ჩავთვლი ჩემს საკუთრებად, – ჩაილაპარაკა მეიზიმ უგულოდ. ტობის ხმა არ ამოუღია და მეიზის აღარც უხსენებია კლერი.

ვიდრიანი კურთხევისთვის ემზადებოდა. ბობისა და რიტასგან არაფერი ისმოდა. ტობი ბეჯითად მეცადინეობდა, თუმცა გულში ეჭვი შეეპარა, რომ ტილური დიდად არ აფასებდა მის ნიჭიერებას.

მხოლოდ მისის რობერტის საქმე იყო კარგად. მისი სახელი საზღვარგა-

რეთაც ცნობილი გახდა (ჟურნალმა „ტაიმსმა“ მოათავსა მისი სურათი ერთ ნომერში). სურათების მუშტარიც ჰყავდა, ხელიდან არა ჰგლეჯდნენ, მაგრამ საკმაოდ ხშირად ყიდულობდნენ. მეუღლემ დაიჟინა: სხვა სახლში გადავსახლდეთ, მხატვარს თავისი სტუდია სჭირდებაო, მაგრამ მისის რობერტსი უდრეკი იყო — მე არ ვაპირებ ცხოვრების ჩვეული წესის შეცვლას, სკამის ზურგი მშვენიერი მოლბერტია, განა მყუდროდ არა ვართ ამ სახლშიო? რამდენიმე ქვეყანაში პორტიორმა ყური მოჰკრა: მისის რობერტსი სხვა სახლში გადავსვლიყავით, რეზებსო. და მოუხშირეს მასთან სიარულს, მაგრამ დედას ეერაფერი გამოსტყუეს. დედა გულს უწვრილებდა ტობის თავისი ხელგაშლილობით.

— ხომ იცი, არ მიყვარს შენგან ფულის მიღება, — ეწინააღმდეგებოდა ტობი.

— მაშ, რა ვუყო ამ ფულს? ახალგაზრდებს გიყვართ ფულების ფლანგვა. ბოლოს დედამ დაიყოლია და ტობიმ ძველი, მცირელიტრაჟიანი მანქანა იყიდა. ერთი მხრივ, ეამაყებოდა და დამოუკიდებლობას მატებდა (ახლა თვითონ შეეძლო მეიზი წაეყვანა სასეირნოდ, და კლერიც), მეორე მხრივ, ცოტა არ იყოს, დამცირებულად ვრძნობდა თავს. თუმცა ორივე მისი რომანი მინელებული იყო. მეიზისთან ყველაფერი ძველებურად გრძელდებოდა: ქალიშვილი ისე იზიდავდა ტობის, ისე სჭირდებოდა მეიზის სხეულის სითბო, რომ განშორებაზე ფიქრიც არ შეეძლო. რაც შეეხება კლერს, პირველი კოცნის შემდეგ არაფერი მოხდარა. კლერს უყვარდა მასთან ყოფნა და არც მალავდა ამას, მაგრამ ეს იყო და ეს. და ტობიმ დაიწყო ფიქრი: იქნებ, ტყუილად აცდენს დროს?

მარტში უსიამოვნო ამბავი მოხდა. ტობის კი არა, მის მეგობარს შეემთხვა. გაზეთებში გამოჩნდა მყვირალა სათაურები: ახალგაზრდა კემბრიჯელი სწავლულის წინააღმდეგ აღძრულია საქმე, მას ბრალს სდებენ მეუღლის ცემაში. გააფთრებამდე მიყვანილმა ბობმა მუშტები დაუშინა რიტას და ისიც მაშინვე თავის პოლიციელ მამასთან გაიქცა. მერე სასამართლოში უჩივლა: ქმარი აბუჩად მიგდებს და დამიცავითო. სასამართლომ დააკმაყოფილა მისი სარჩელი: ბობი ორმოცდაათი გირვანქით დააჯარიმეს და სასამართლოს ხარჯებიც მას დააკისრეს. სასამართლოში ჩვენებებს რომ იძლეოდა, რიტას თვალი ჩაღურჯებულ იქნა. და ამან მძიმე შთაბეჭდილება დატოვა რიტას მეგობარ ქალებზე. ბობის თავისი მეგობრები უჭერდნენ მხარს (თუმცა ხმამაღლა არ გამოხატავდნენ ამას). მათ კარგად იცოდნენ ქორწინების ამბავი. რიტამ თავისას მიაღწია. სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება: ცოლ-ქმარს ცალ-ცალკე უნდა ეცხოვრათ. რიტა ბავშვთან და ინგრიდთან ლენსფილდ-როუდზე დარჩა, ხოლო ბობი კემბრიჯში, თავის ოთახში დაბრუნდა.

ტობი მაშინვე გაემგზავრა კემბრიჯში. ბობი საშინელ მდგომარეობაში დახვდა. ტობის არასოდეს ენახა კაცის ტირილი და ძალიან იმოქმედა მასზე.

— ტობი, ქალისთვის არასოდეს არ დამირტყამს, მაგრამ დაიჟინა: ეიდრიანი, ეიდრიანი, ეიდრიანო, ბავშვი გამწარებული კიოდა. თუ განქორწინებაზე შეიტანს განცხადებას, ესტელას სამუდამოდ დავკარგავ, და ამას ვერ ავიტან. ამისთანა განაჩენის შემდეგ ბავშვს, რაღა თქმა უნდა, მაგას დაუტოვებენ. კიდევ რომ დამიტოვონ ბავშვი, როგორ მოვუვლი? კოლეჯში ყველანი კარგად მეპყრობიან, მაგრამ მაინც არ დაუდივარ ჩვენს სასადილოში, თავივით მოვაყვუვე ჩემს სოროში.

ტობიმ კარადა გამოაღო და სასმელი მიაწოდა ბობს — არ იცოდა, სხვა რა გაეკეთებინა მისთვის. ბობს ვისკის ღიდი მარაგი აღმოაჩნდა.

— დამიჯერე, რაღაც დამემართა, გონება დამიბნელდა. მაგრამ მომკალი და მერე აღარაფერი მახსოვს. ნამდვილ ურჩხულად ვგრძნობ თავს. და ალბათ სიკვდილამდე ასე ვიქნები.

— ყველამ ვიცოდით, იმდენს იზამდა, ხანამ ასე არ მოხდებოდა, და ძალიან ვწუხდით შენს გამო. ეიდრიანი ძალიან უხერხულ მდგომარეობაში იყო.

— ღმერთია მიწამე, ეიდრიანს არ ვადანაშაულებ. ^{რეტიკულირ შეი-შალა მასზე.}

— მე გვინი, შენ ცოტ-ცოტა მზის სინათლეზე უნდა გამოხვიდე, ეშმაკ-საც წაუღია ყველაფერი.

— ერთადერთი სამხილი, რომელიც მას გააჩნია, ორი დაღურჯებული ადგილია. ოჰ, არ შემიძლია. ღმერთო, რომ შეიძლებოდეს დროის დაბრუნება! ახლა რაღაც საშინელებად მეჩვენება ის ყველაფერი, — დაუმატა მან და ორიგინალურიც აქ არაფერი იყო.

ტობიმ როცა გაიგო, ბობს დღეს პირში ლუკვა არ ჩაუდევსო, მაშინვე წაიყვანა მახლობელ კაფეში. გაკვირვებული დარჩა, როცა ბობი მგელივით დაეტაკა საჭმელს, თითქოს მხოლოდ ამაზე ფიქრობდა.

— ხედავ, რამდენი ჩავხეთქე, — თქვა ბოლოს ბობმა, — ეტყობა, ეს მჭირდება.

ლაბორატორიის ერთ-ერთი თანამშრომელი, რომელიც, ეტყობა, შემთხვევით შემოვიდა კაფეში, ისე თბილად მიესალმა ბობს, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. პასუხად ბობი ხელის აწევით მიესალმა და ნაძალადევად გაიღიმა.

ჭამას რომ მორჩნენ და სიგარეტს მოუკიდეს, ბობმა ჰკითხა ტობის:

— მეიზი რას ფიქრობს?

— შენი ამბავი რომ შევიტყვე, მერე აღარ მინახავს, მაგრამ შემიძლია ნამდვილად გითხრა: მეიზიც ისევე ფიქრობს, როგორც ყველა. იცი რა გითხრა, სულ ტყვილად წარმოიდგინე თავი კეთროვნად, ნეტა არ იტანჯავდე თავს! როგორმე გონს მოეგე, გესმის?

— არ ვიცი, მეიზის როგორ შევხვდეთ თვალებში.

— მეიზის იმედი იქონიე, — განუცხადა ტობიმ, თუმცა მთლად დარწმუნებული არ იყო ამაში. განა არ იცოდა, მეიზი ვის მხარეს დაიჭერდა, უნებურად ვის თანაუგრძნობდა?

ლონდონში რომ დაბრუნდა, ბინის პატრონმა უთხრა, მის ფერარსმა დარეკა და დაიბარა, კიდევ დავრეკავო. მართლაც მეიზიმ ათი წუთის შემდეგ დარეკა.

— გაიგე ბობისა და რიტას ამბავი? რა მხეცობაა, არა?

— დღეს კემბრიჯში ვიყავი, გოგონი, ბობი მოვინახულე, ძალიან მოტყუხილია.

— ახია მაგაზე! როდისმე იფიქრებდი, რომ ბობი ვინმეს მიეარდებოდა და მუშტებს დაუშენდა?

— ბობი ხომ რიტამ მიიყვანა აქამდე, ნუთუ არ გესმის?

— ჩემთვის სულერთია. ბობის მომავალზე იმოქმედებს ეს ამბავი?

— არა. თითქმის ყველა ბობის მხარეზეა.

— ჩემს მეტი. ტობი, პირდაპირ მიკვირს, როგორ თანაუგრძნობ!

— გოგონი, მოდი ნუღარ ვილაპარაკებთ ბობსა და რიტაზე. ამაზე ვერასოდეს შევთანხმდებით. თანაც სულ არ მინდა შენთან ჩხუბი.

მეიზი დიდხანს დუმდა და ტობიმ იფიქრა, ალბათ ხაზი გაფუჭდაო.

— კარგი, — თქვა ბოლოს მეიზიმ, — ნუ ვიჩხუბებთ. თუმცა არ მესმის, როგორ შეგიძლია... კარგი, კარგი, ნუ გაბრაზდები. იმიტომ გირეკავ, რომ გკითხო: იმ კვირის ბოლოს თუ შეგიძლია ჰედისლონში ჩამოსვლა? დედას ჯერ არ გაუხსნია სეზონი თავის ცირკში... (ამ სიტყვებში ნაკლებად იგრძნობოდა დედაშვილური გრძნობები,) — სიმებიანი კვარტეტი არ იქნება. ალბათ ედუარდი ჩაწოვა, იქნებ პიტერ კოკსონიც, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ჯერ ისევ ნიუ-იორკშია. ხომ არ მიჯავრდები იმაზე, რაც ბობზე ვოქვი?

— არა. მაგრამ ამაზე ნულარ ვილაპარაკებთ. მატარებლით წამოვიდე?

პო, უპასუხა მეიზიმ, თორემ მანქანით დიდი გზაა, სადგურში მე დაგხედები მანქანითო. მეიზი რაღაც უგუნებოდ ჩანდა.

მაგრამ სადგურზე ისევ ის მეიზი დახვდა — უდარდელი, ხალისიანი, გაღიმებული, ტუჩებზე პომადა არ ესვა. ქალიშვილი გულში ჩაეკრა ვაჟს სადგურის უფროსის თვალწინ, რაც ტობის არ მოეწონა. ჯერაც ცდილობდა, მისი საიდუმლო არავის გაეგო, თუმცა გრძნობდა, რომ თითქმის ყველამ უკვე ყველაფერი იცოდა.

— რა იშვიათი სტუმარი ხართ! — წამოიძახა ამანდამ, როცა პოლში შემოსრიალდა მისასალმებლად. ტობიმ გაიფიქრა ნამდვილი აფრებაშვებული გალუონიაო. ახლავა მიხვდა, რა ლამაზი იქნებოდა ამანდა ახალგაზრდობაში; ნამდვილი კლეოპატრაა, ნავილა აკლიაო. — ჩვენთან მხოლოდ ედუარდია, მეტი არავინ. აბა, თქვენ ორივემ რაც გინდათ გააკეთეთ, მე კი საქმე მაქვს.

მერე გულთბილად გამოჰკითხა დედის ამბები და ისევ თავის საიდუმლო საქმეებს მიაშურა.

მშვენიერი დარი იდგა და ტობი და მეიზი ბაღში გავიდნენ. ტობიმ ხელში ჩასჭიდა ხელი და იგრძნო, რა დამყოლი იყო მეიზი მთელი მისი სხეული უცებ დამყოლი გახდა.

— მიყვარს ადრე გაზაფხული, — თქვა მეიზიმ, — ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ახალ ცხოვრებას ვიწყებ.

იქნებ ამ სიტყვებში ფარული აზრია? არა, არა მგონიაო, გაიფიქრა ტობიმ, მეიზის აკოცა და იგრძნო, რა სინაზით სავსე არსება იყო. არა, დღეს ფრთხილად უნდა იყოს.

ხეებზე კვირტები უკვე იშლებოდა, გამოჩნდა პირველი მოყავისფრო, თითქოს გასანთლული ბალახის ღერები. ნაკადულის ნაპირები პაწაწუნა ნარგიზებით იყო მოფენილი. ამ სეზონისთვის ძალიან თბილოდა, ცის სილურჯეს შვის ვერცხლისებრი ბრწყინვალება მოსდებოდა. ასეთი ამინდი სწორედ მეიზის შესაფერია, ასეთი უნდა იყოს მისი მუდმივი შინაგანი კლიმატიო, ფიქრობდა ტობი.

მალე ლენჩზე დაუძახეს. შინ რომ შევიდა, ტობის გაუკვირდა: ამანდას დედამისის კიდევ ერთი სურათი ეყიდა — სწორედ ის, ირონიული მანერით დახატული ავტოპორტრეტი — მისის რობერტსი სამზარეულოში, რომელიც კემბრიჯის გამოფენაზე არ გაიყიდა.

— როდის შეიძინეთ ეს, მისის ფერარს?

— ახლახან, წინა კვირაში. არდენის გალერეაში ენახე და ისე მომეწონა, რომ იქიდან წამოსული, მალე ისევ მივბრუნდი. სურათი მიზიდავდა, გესმით? იმიტომ არ მიყიდა, რომ კარგად დამებანდებინა ფული, თუმცა იმედი მაქვს, მაინც ასე გამოვა: დედათქვენის სურათები, როდისმე საკმაოდ მოშვებიანი შენაძენი გახდება, თუმცა ასეთი ფერწერული ნამუშევრების მოძაგალს წინასწარ

ვერ გამოიცნობ. მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს? მე მიმწონს და ჩემთვის მხოლოდ ეს არის მთავარი.

იქნებ ამანდა მთლად გულწრფელი არ არის, იქნებ მხოლოდ იმიტომ იყიდა, რომ ტობის და მის ოჯახს დახმარებოდა? მაგრამ ტობის შამინვე უკუ-აგდო ეს მოსაზრება, როგორც უღირსი. განა ამანდა პირდაპირი, პატიოსანი ადამიანის შთაბეჭდილებას არ ტოვებს? მის გულწრფელობაზე შეუძლებელია დაეჭვება.

ლენჩის შემდეგ ედუარდმა განაცხადა: ცოტას წავიძინებო. ტობიმ და მე-იზიმ გადაწყვიტეს მანქანით გაესეირნათ. გორაკებზე მიმოფანტული რამდენიმე პატარა სოფელი შემოიარეს, მერე შეჩერდნენ, რათა ძველ ეკლესიაში დიდებული სამარხები დაეთვალიერებინათ, რომლებსაც პერალდიკური ემბლემები ჰქონდათ. წითელ და ოქროსფერ სამოსში გამოწყობილ რაინდსა და მის მეუღლეს ხელები დარბაისლურად დაეკრიბათ გულზე და გაშეშებულებს ეძინათ.

— ნეტა ერთ მშვენიერ დღეს მეც ასე დამაძინა, — თქვა მეიზიმ. ახალგაზრდები ხელიხელჩაკიდებულნი იდგნენ.

— ამდღამ სულ სხვანაირად დაიძინებ, ჩემო გოგონი.

მეიზიმ თავი ასწია. ბედნიერებას ნათელი გადაჰფენოდა სახეზე.

ჩაისთვის შინ დაბრუნდნენ, სადაც კლერი ელოდათ. ტობი საბტად დარჩა. ნეტა მეიზიმ არ შეამჩნიოს, რომ წამოწითლდა! ეს დაწყევლილი ნაზი კანი ადვილად უწითლდება.

— არ მეგონა, რომ აქ შეგხვდებოდით, — უთხრა კლერმა და ტობის კაცივით მაგრად ჩამოართვა ხელი. — ძალიან გამიხარდა. ცოტა ხნით შემოვირბინე, ჩაის დასალევად, — აუხსნა მან მეიზის. მერე ისევ ტობის მიუბრუნდა: — ჩვენ ხომ აქვე ახლოს ვცხოვრობთ.

ვითომ ტობიმ არ იცოდა ეს!

ტობის გუნება გაუფუჭდა. მადლობა ღმერთს მეიზი ჯერჯერობით მშვიდად არის.

ქალიშვილებმა ცოტა ილაქლაქეს — კაბებზე, ფილმებზე, საერთო მეგობრებზე. მერე ყველანი შინ შევიდნენ ჩაის დასალევად და უცებ ლაპარაკი წამოიწყეს ლენგეინების ბაღზე.

— ჩვენი მეზაღუ ავად გახდა და დედა იძულებულია მისი საქმე აკეთოს, არადა, არ უყვარს ეს საქმე თქვენ ხომ იცით ჩვენი ბაღი? — ჰკითხა მან ტობის და უცებ გაახსენდა, — თუმცა, საიდან? თქვენ ხომ პლემსფორდში არა ყოფილხართ. მეიზიმ აუცილებლად უნდა ჩამოგიყვანოთ.

— ჰო, აუცილებლად, — თქვა მეიზიმ მშვიდად, მაგრამ სახეზე ისევ აღუბეჭდა შიშისა და ტკივილის ნაცნობი ანარეკლი.

— რაღაცა სჭირს ჩვენს ხეებს, — ამბობდა ამ დროს კლერი. — დედამ არაფერი იცის, მაშას ხომ სულ არაფერი გაეგება ამისა. წამლავენ და წამლავენ გაუთავებლად, მაგრამ შედეგი არა ჩანს.

მეიზი ადგა და ზემოთ ავიდა. კლერი, ედუარდი და ტობი განაგრძობდნენ საუბარს. მოგვიანებით ტობიმ ვერაფრით ვერ გაიხსენა რაზე ლაპარაკობდნენ.

მეიზი მალე დაბრუნდა და საღამომდე არაბუნებრივად გამოცოცხლებული იყო. მაგრამ ახლა კლერმა დააპირა წასვლა.

— აუცილებლად წამოყვებით მეიზის, სანამ ხეები არ დაგვლუპია.

ტობის აზრით საღამო ძალიან გაიწვლა, თუმცა მეიზი და ამანდა მხიარუ-

ლად იყვნენ. ედუარდმა თავისი ჩვეული სიმშვიდე შეინარჩუნა. სადილის შემდეგ ისევ ითამაშეს „ბურიმე“ და „ციტატები ატაცებით“.

ბოლოს ყველანი ზევით ავიდნენ თავ-თავიანთ საძილე ოთახებში. ტობი დიდხანს ელოდა მეიზის, მაგრამ ქალიშვილი არსად ჩანდა. ბოლოს და ბოლოს თვითონ მივიდა მის ოთახთან, დააკაკუნა და კარი შეაღო.

მეიზი ბალიშებზე დაყრდნობილი იჯდა, სინათლე არ ჩაექრო. — შენ ჰლემსფორდში იყავი.

ტობი მივარდა მას, თან ნაძალადეუად იღიმებოდა. თითქოს განზე იდგა და იქიდან შეჰყურებდა თავის ღიმილს: ღიმილი კი არა, დაჭიმული პირის ნაპრალია, რომლის ქვეშაც ტყუილი მიძალუდა.

— გოგონი, სისულელეს ნუ ამბობ.

— კლერს წამოსცდა, განა ვერ შევამჩნიე?

ტობიმ წამში მოიფიქრა მოქმედების გეგმა: დაჯდა მის გვერდით ლოგინზე და მხრებზე შემოხვია ხელი, მაგრამ მეიზი გაუსხლტა.

— მისმინე, მართლაც ვიყავი იქ, მაგრამ ნხოლოდ ერთხელ. კლერმა ძალით მიმათრია, — ამის თქმა სიმდაბლე იყო და ტობიმ იცოდა ეს. — იმიტომ არ გაიამბე, რომ ეჭვიანი ხარ, მე კიდევ ჭირივით მძულს, როცა ჩემზე ეჭვიანობენ.

— შენ უნდა გეთქვა ეს.

— ალბათ, მაგრამ იმდენად უმნიშვნელოა, რომ სათქმელიც არაფერია. იქნებ გგონია, რომ კლერი ჩემთვის რაიმეს ნიშნავს?

— მაშ, რატომ დაიხია უკან?

— იმიტომ დაიხია უკან, რომ დაინახა შენი გამომეტყველება, — თქვა ტობიმ და ისევ დააპირა ხელის მოხვევა, მაგრამ მეიზიმ ახლაც მოიშორა მისი ხელი.

— შენ არაფრად მაგდებ. ყოველ შემთხვევაში, სერიოზულად არ მიყურებ.

— ძვირფასო, შენ ჩემთვის ძალიან, ძალიან ბევრსა ნიშნავ. ნუთუ წავიხუბებთ ასეთი უბრალო... ასეთი შემთხვევითი... —

— მე მომატყუეს.

— მეიზი, მეიზი, თუ ასეთი უბრალო რამე გიკლავს გულს, ძალიან ვწუხვარ. კიდევ რა გითხრა?

— არაფერი, სჯობს არაფერი თქვა! — წამოენტო, მეიზი. — შენ ჩამიკალი საკუთარი თავის რწმენა. არადა, შენც ხომ იცი, რომ არც ისეთი დიდი რწმენა მქონდა. მუდამ იცოდი ეს.

თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე, მაგრამ არ გადმოუღვრია.

— გოგონი, მოდი დავივიწყოთ ეს ამბავი, კარგი? მე შენ მჭირდები, კლერი არაფერს ნიშნავს ჩემთვის. (ისევ სიმდაბლე, მაგრამ რა ექნა, გაჭირვება, მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო, ნათქვამია).

ღონემიხდილმა მეიზიმ მხარზე დაადო თავი და ტობიმ ფრთხილად, ფაქიზად დაუწყო კოცნა, თითქოს ნაყოფს გემოს უსინჯავსო. მის ალერსს მეიზი აფორიაქებული პასუხობდა. მაგრამ ტობიმ იცოდა: მათ შორის ურთიერთობა არ იყო მოგვარებული და არც მოგვარდებოდა. სიახლოვის შემდეგ მეიზი გადაბრუნდა და მაშინვე დაიძინა. ტობის ეშინოდა, არ გავაღვიძო, და არ წასულა თავის ოთახში, გათენებამდე თვალგახელილი იწვა, თუმცა, საერთოდ, ტობი ქალთან სიახლოვის შემდეგ მაშინვე იძინებდა..

ჰედისდონის წყეული უიკ-ენდის შემდეგ (კვირა დღის ბოლომდე ტობიმ ძლივს მიაღწია) ორი კვირა მეიზი არ გამოხმაურებია. ბოლოს მისგან წერილი მიიღო:

„ჩემო ძვირფასო!

გადავწყვიტე ცოტა ხანს აღარ დაგენახო. ცოტა ხანს სულს უნდა გეკვიციო. თუ მეტყვი, დაგიჯერო, დაგიჯერებ, მაგრამ ყველაფერმა ამან თავზარი დამცა. ისიც მესმის, რომ მეტიმეტად ვაზვიადებ. დედა სეზონს რომ გახსნის, ჩამოდი ჰედისდონში, რაც შეიძლება მალე. — მაინც ვერ მოითმინა და დაუმატა, — არა მგონია, კლერი ისევ ექსპრომტად გვეწვიოს.

მე პატარა ანტიკვარულ მაღაზიაში ვმუშაობ ლევენემში, რაღაც ხომ უნდა გავაკეთო. ჩემი სამუშაო იმაში გამოიხატება, რომ მტვერს ვწმენდ საოცრად ფაქიზ ნივთებს და მყიდველებს ველოდები, მაგრამ არავენ ჩანს. ვერაფერი სამუშაოა, მაგრამ ჩემი დიპლომის პატრონი სხვას რას ვიშოვი. მდინად რომ ვმუშაობდე, უფრო დიდი ხელფასი მექნებოდა, მაგრამ ამისათვის საჭიროა სტენოგრაფია და საბეჭდო მანქანაზე ბეჭდვა იცოდე. მე კი ამას ვერაფრით ვერ ვისწავლი ახლა. ასეა თუ ისე, კარგად ვარ და ძალიან მენატრები. მალე კიდევ მოგწერ, მაგრამ ცოტა ხანს სჯობს მარტო ვიყო.

მაპატიე, თუ შეგაწუხებ ჩემი ეჭვიანობით, მაგრამ, ჩემის აზრით, ვინც არ ეჭვიანობს, არც უყვარს“.

მეიზისას არ ჰგავს, ისეთი მშვიდი წერილია, დაასკვნა ტობიმ და მოკლე, მაგრამ ალერსიანი წერილი მისწერა.

რამდენიმე დღის შემდეგ, ტობის ამანდამ დაურეკა და უთხრა: მინდა ერთად ვისაუზმოთ, თუ მუშაობაში ხელს არ შეგიშლისო. ხალისიანი, მტკიცე ხმა ჰქონდა; ეს არ იყო უნებლიეთ შემოთავაზებული დაპატიჟება, ეს იყო ბრძანება. ტობიმ უპასუხა, მოხარული ვიქნები თქვენი ნახვისო. და რომ არ გაეჭიანურებინა შავი დღის დადგომა, ხვალვე შევხვდეთო, შესთავაზა.

ტობი პირველი მივიდა, და თუმცა ძალიან შემოფოთებული იყო, გადაწყვიტა არ გაემჟღავნებინა. ამანდა ცოტა დაგვიანებით მივიდა შესახედავად ჩვეულებრივ ცოტა დამთხვეულსა ჰგავდა (დამთხვეული ნამდვილად არ იყო), მაგრამ მაინც შთამბეჭდავი ქალი იყო. თმის დიდ კონას თეთრი ფრთებისაგან შეკერილი ქუდი უფარავდა.

— ეს მაგიდა არ მინდოდა, — განუცხადა მან მეტრდოტელს, რომელიც ეტყობა, იცნობდა ამანდას. — ძალიან შუაში დგას, სხვაგან დავსხდებით.

სხვა მაგიდაზე გადასხდნენ. ამანდა ალერსიანად ელაპარაკებოდა ტობის აპერიტივი შეუკვეთა და მაშინვე გაცხარებით დაუწყო თხოვნა, რომ დედა აუცილებლად ჩაეყვანა ჰედისდონში.

— მისის რობერტსი ხომ ჯერ კიდევ ითვლება „ლომად“.

ამ „ჯერ კიდევ“-ით თითქოს ხაზს უსვამდა, რომ დედამისის წარმატებამ იკლო.

— ღმერთმანი, მისის ფერარს...

— შევიძლიათ უბრალოდ ამანდა მიწოდოთ.

— გმადლობთ, ღმერთმანი, არაფრით არ უნდა თავისი ნიჭარიდან გამოძვრეს. თვითონაც არ ვიცი, როგორ მოვახერხებ მაშინ კემბრიჯში ჩამომყვანა.

ტობი მთლად დაძაბული იყო. მან ნამდვილად იცოდა: ამანდას უნდა რაღაც უთხრას, მაგრამ აცოვნებს, შიში კი არ ბოჭავს, უბრალოდ, შესაფერდროს ელის.

ოფიციალტმა ტკბილუულით საესე პატარა მაგიდა მოაგორა. ამანდა ორდ-ხანს ათვალნიერებდა ყურადღებით, მაგრამ ბოლოს თქვა: არაფერი არ მინდა, მხოლოდ ყავას დავლევო. ტობიმ თქვა, არც მე მინდაო.

— არა, აუცილებლად მიირთვიოთ რამე, თქვენ ხომ არა გჭირდებათ რამესა შეკავება გასახდომად? ნამდვილად არა გაქვთ მიზეზი ტკბილუულს მოერიდოთ. მაგრამ ტობიმ თავაზიანი უარი უთხრა.

— თქვენ ალბათ იცით, რომ მეიზიმ მუშაობა დააწყო. ძალიან მოსაწყენი სამუშაოა, მაგრამ ამბობს, რომ მთელი დღე შინ ჯდომა არ შეუძლია. იქნებ ცოტა ხანში უფრო შესაფერი სამუშაო იშოვოს. — უცებ ამანდამ პირდაპირ მიახალა: — მეიზი უბედურია. თქვენ თუ იცით ეს?

— ძალიან სამწუხაროა, მაგრამ ნამდვილად არ ვიცოდი, — უპასუხა ტობიმ.

ამანდამ მოათვალნიერა დარბაზი და ჩუმად უთხრა:

— გულახდილად უნდა გელაპარაკოთ. მე არა მჩვევია მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკი.

გულმა რეჩხი უყო ტობის.

— გისმენთ, — ამის თქმაღა მოახერხა, თან ცდილობდა უდარდელი იერი შეენარჩუნებინა. ამანდას ორიოდ წამი კრინტი არ დაუძრავს და ტობიმ მწვავედ შეიგრძნო მისი თავდაჯერებუღობა, შეუპოვრობა და ცოტა ვულგარუღობაც.

— მე ვიცი, რომ ახლო კავშირში ხართ მასთან. ყოველთვის ვიცი, რაც ხდება ჩემს სახღში.

ამ სიტყვებმა სული აუმღვრია ტობის, მოღალატედ იგრძნო თავი, რომელმაც ბოროტად გამოიყენა ამანდას სტუმართმოყვარეღობა. არაღა, სწორედ ასე მოხღა.

— რა თქმა უნღა, სულაც არ მომწონს ეს, ან რომელ დეღას მოეწონებოღა? მაგრამ თანამედროვე ახალგაზრდებს ვერაფერს შეასმენ, ძალიანაც რომ ეცადო. მაინც თავისებურად მოიქცევიან. ასე არ არას?

— მეიზის ძალიან შევეთვისე და ძალიან ვწუხვარ, რომ ეს ამბავი თქვენს სახღში მოხღა.

— ძალიან შეეთვისეთ... მას კი უყვარხართ. საუბედუროდ (ადრე არ ვიცოდი ამას). და ეს სულ სხვა რამ არის. წაიჩხუბეთ?

— არა, რას ბრძანებთ.

— ნეტა რატომ ჰგონიათ ადამიანებს, რომ თხუნულასავით ბრმა ვარ? — გაღიზიანებული ხმით იკითხა ამანდამ. — ყველაფერი კღერის გამო მოხღა. თქვენ ჰღემსფორდში ესტუმრეთ მას, მეიზის კი დაუმაღეთ.

— სისულელე ჩავიღინე, მაგრამ გარწმუნებთ, კღვრი სულ არ მაინტერესებს.

— დამიგღეთ ყური: მეიზის ბავშუღობიღან სტულღა მოუღოდნეღობა. თავისი დაბადების დღის წინა დღესაც კი გვეკითხებოღა, რას მაჩუქებთო. საერთოდ, მას ურჩევნია სიმართლე იცოდეს, თუნღაც მწარე იყოს. ზოგჯერ ვფიქრობ თქვენზე, გონებაჩღუნგი ხომ არ არის, ეს რომ ვერ შეამჩნია-მეთქი.

მეიზი იმის გამო კი არ წუხს, რომ კლერმა დაგპატიჟათ, არა, მისთვის აუტანელია სულ სხვა რამ: კლერმა იცის, რომ მეიზიმ არაფერი იცოდა.

მაგრამ ტობიმ უკვე სძლია უხერხულობას.

— ასეთი ამბის ატეხვა კლერის გულისთვის რაღაც უაზრობაა. ბოლოს და ბოლოს მეიზი ამას შეურიგდება.

— ნუთუ არ გესმით: არსებობს ისეთი რამ, რასაც მეიზის ტიპის ქალიშვილები ბოლომდე ვერ შეურიგდებიან. გავა დრო და დაგვიწყნარებთ კამბავი, მაგრამ დროდადრო მაინც გაახსენდება. მისმინეთ, ტობი... დალიეთ ყავა, თორემ გაგიცივდებათ. თუ მეიზისადმი სერიოზული განზრახვა არა გაქვთ, სჯობს თავი დაახებოთ, მე მოშწონხართ, მაგრამ არ მინდა მეიზი დაიტანჯოს. სჯობს ახლავე დააღწიოს თავი ამ ტანჯვას. თქვენი განშორება უფრო ადვილი იქნება ჩემთვის, ვიდრე მუდამიღლე მეიზის ტანჯვის ცქერა. რაღა თქმა უნდა, თვითონ არაფერი უთქვამს ჩემთვის. საერთოდ, ძალიან იშვიათად გადამიხსნის ხოლმე გულს, თუმცა საკმაოდ ახლოს ვართ ერთმანეთთან.

ამანდამ თუმცა თქვა, ტობილს არ შეეჭამო, მაგრამ მაინც აიღო ალუბლიანი ღვეზლის ნაჭერი.

— ამანდა, ძალიან ვწუხვარ, რომ ასე მოხდა. მაგრამ პირობას გაძლეუთ, მეიზის აღარ ვაწყენინებ. ისიც მესმის, რომ ნამდვილი ვირივით მოვიქცევი.

— მე ვიტყვოდი, გაცილებით უარესად, მაგრამ, მოდი, ნუ ჩავუღრმავდებით.

— გარწმუნებთ, მეიზის გარეშე ვერ გაუძლებ.

— მჯერა, ვერ გაძლებთ. ისე კი, მართლაც ნამდვილი ვირივით მოიქცევით. თუმცა ახალგაზრდებს მოსდით ხოლმე ასეთი რამ.

ამანდამ მოათავა ღვეზლის ჭამა და ხემო ტუჩიდან უნით ფრთხილად მოიშორა წითელი წვეწავის პაწაწინა ლაქა.

— ეს იყო და ეს, — წარმოთქვა მან, — რისი თქმაც მინდოდა თქვენთვის.

მართლაც, აღარ შეხებია ამ თემას. თავის სეზონზე დაიწყო ლაპარაკი. იმედი გამოთქვა, რომ ტობი დაარწმუნებდა დედას, ჰედისდონში ჩასულიყო.

როცა ამანდამ ფული გადაიხადა და ადგნენ, ტობიმ შესთავაზა: წავალ, ტაქსს მოვიყვანო.

— ნუ შეწუხდები, ძვირფასო. ჩემი მანქანა ალბათ უკვე აქ არის.

და მართლაც, როგორც კი ამანდა გამოვიდა რესტორნიდან, მანქანა სადარბაზოსთან მოსრიალდა.

— მიგიყვანოთ შინ? — ჰკითხა ამანდამ.

— გმადლობთ, მე ფოილთან უნდა შევიარო, რამდენიმე წიგნი მჭირდება.

მანქანა დაიძრა და ტობიმ თვალი გააყოლა — ამანდა ნავაჭრით გაესებულ მანქანაში იჯდა — და გაიფიქრა: ნეტა თუ ძალიან მაჯავრდებაო. ძნელი სათქმელი იყო. ალბათ არც ისე ძალიან. ეტყობა, იმდენად უწევს ანგარიშს მეიზის სურვილებს, რომ საჭიროდ ჩათვალა ტობის თავაზიანად მოპყრობოდა. ასეა თუ ისე, ჰედისდონში მეიზისთან აღარ დაწვება.

თუმცა ასეთი შესაძლებლობა აღარც ჰქონია. ამის შემდეგ მას ბაღში საუზმეზე პატივებდნენ ან ჩაიზე.

ამანდას წრეში ახალი ადამიანები გამოჩნდნენ: სიმებიანი კვარტეტი (ოთხივენი გაუთავებლად, ბელურებივით თივთივებდნენ, და ტობის აზრით ძალიან სულელები იყვნენ), მხატვარი აბსტრაქციონისტი და კიდევ სამი ახალგაზრდა

კაცი, ერთ-ერთი მათგანი ოცდაოთხი წლის ბარონეტა იყო. შესაშური ბედია: ამ ასაკში უკვე ბარონეტიად, — გაიფიქრა ტობიმ. დამკვიდრებული აქვს ადგილი მზის ქვეშ. გარკვეული აზრით მართლაც ასე იყო. ისიც კარგად ესმოდა, რომ ამ ახალგაზრდებს მეიზი მოსწონდათ. და თუმცა არ ეჭვიანობდა, როგორც საერთოდ სჩვევიათ ადამიანებს (როგორც მეიზი ეჭვიანობს მასზე), იმის ვაფიქრება, რომ მათ შეუძლიათ მეიზის ტობიზე მეტი მისცენ, ბრუნებულად.

ამანდა თავისი ჩვეული ექსპანსიურობით ხვდებოდა ტობის, — მისი „ფარდენ დე გურმში“ ლენჩი არც კი ყოფილა. მაგრამ ტობის მოეჩვენა, რომ ქალი დამაბული იყო. ტობიმ რა იცის ამანდას შესახებ? ძალიან ცოტა. მხოლოდ ის, რაც ზედაპირზე დევს. დედა-ვეფხვია, რომელიც გაცხარებით იცავს თავის ლეკვს? იქნებ ემანსიპაცია იმარჯვებს მასში? ტობის პირველად თავის სიცოცხლეში გაუელვა აზრმა, რომ ცუდად ერკვევა ადამიანის ბუნებაში. არა მხოლოდ ამანდას იცნობს ცუდად, საერთოდ ადამიანებს.

ლონდონში მეიზის საკმაოდ ხშირად ხვდებოდა. ფიზიკურად იმდენად შესაფერები იყვნენ, რომ როცა მეიზი მასთან იყო, ტობის ვერც კი წარმოედგინა უიმიოდ სიცოცხლე. მგზნებარე, ნაზი, თანაც უფრო გაწაფული გახდა, რადგან გამოცდილება შეიძინა. აღარც თავს აბეზრებდა საყვედურებით: აღლომ უკარნახა, რომ ტობი მაშინვე გაღიზიანდებოდა. ერთხელ ტობი ლევენემში წავიდა და საკუთარი თვალით ნახა, მეიზი ანტიკვარულ მაღაზიაში მტვერს როგორ აცლიდა სხვადასხვა ნივთებს (ტობის ასეც სწერდა), ადვილს უცვლიდა, ცდილობდა ვიტრინა უფრო მიმზიდველი ყოფილიყო.

— ესწავლობ, — აუხსნა მეიზიმ, და ტობის მოეჩვენა, რომ ამ სიტყვაში ქალიშვილმა რაღაც განსაკუთრებული აზრი ჩააქსოვა.

... ივნისში ტობიმ კლერის წერილი მიიღო: მაისის კვირის¹ ერთ-ერთ მეჯლისზე ეპატიჟებოდა. მაგრამ ტობიმ უარი შეუთვალა: კემბრიჯში ყველას თვალწინ იქნებოდნენ. რაღა თქმა უნდა, კლერისთვის ეს არ მიუწერია. უბრალოდ მისწერა, ამ დროს საფრანგეთში ვიქნებიო.

ამის შემდეგ ლამის ერთი კვირა გმირად გრძნობდა თავს — ხუმრობა ხომ არ იყო ასეთი ცთუნების დაძლევა! თანაც ჯერ მზად არ იყო კლერთან შესახვედრად. ცოტა ხნით მიშალვა დასჭირდებოდა, რადგან საფრანგეთში წასვლას არც აპირებდა. ტილერი თუ მხარს დაუჭერს, იქნებ შემოდგომაზე წავიდეს რამდენიმე თვით. ერთი სიტყვით, მთელი მაისის კვირა მეიზისაც არ შეხვედრია. ვაითუ ლენგეინებთან წამოსცდესო. მართალია, მეიზისა და კლერის ახლო მეგობრობას ბზარი გაუჩნდა, მაგრამ მაინც სიფრთხილეს თავი არა სტკივანო.

მაგრამ ტრიმესტრის ბოლოს ისეთი რამ მოხდა, რამაც ტობი ძალიან შეაშფოთა. ბრიტანეთის მუზეუმში მთელი დღე გაატარა და შინ რომ დაბრუნდა, პროფესორი ტილერი დახვდა, დაბალი, მსუქანი, თვალეზანთებული კაცი. იგი ნერვიულად დააბიჯებდა ოთახში, ხელში დისერტაციის ნაწილი ეჭირა, რომელიც ტობიმ მისცა შესაფასებლად.

— მისმინეთ, — დაიწყო ტილერმა, — მთლად ის არ არის, რაც საჭიროა. ეტყობა, დიდი შრომა გასწიეთ, მაგრამ ცოდნა არა გყოფნით. ეტყობა, სულ თავიდან უნდა დავიწყოთ. ოღონდ ნუ შეშინდებით, დაჯექით.

1. მაისის კვირა — დღესასწაულების ხერია კემბრიჯის უნივერსიტეტში გაზაფხულის ტრიმესტრის დამთავრებისას. აწყობენ ივნისში და გრძელდება ერთ კვირაზე მეტს.

მთლად განადგურებული ტობი დაჯდა. არ იყო მიჩვეული ასეთ მარცხს.

— მაშ, რა ვქნა?

— პირველი, რაც თავში მომივიდა: კარგი იქნება, თუ საფრანგეთში წახვალთ და შემდეგ ტრიმესტრს იქ იმუშავეთ. იმედი მაქვს, მოახერხებთ რაღაც მასალები მოაგროვოთ ეროვნულ მუზეუმში. ალბათ ბრიტანული მუზეუმი უკვე გამოწველეთ, როგორც შეგეძლოთ. მაშ ასე, შეგიძლიათ წახვიდეთ? — მე მგონი, ცოტა ფულს სასწაელებელშიც მივიღებთ.

— დიახ, შემიძლია.

— ცოტა გულსაც გადააყოლებთ, — ტილერი აშკარად მოლბა. — ისედაც ცოტა ხანს საზღვარგარეთ ყოფნა მოგიხდებათ.

ასეც გადაწყვიტეს.

19

ავვისტოში ტობი ჰედისდონში ჩავიდა — უნდოდა პარიზში წასვლის წინ იქაურებს გამომშვიდობებოდა. ეტყობოდა, ცხელი ღლე დადგებოდა, ასეთი ამინდი კი ხელსაყრელი იყო ამანდას ჩანაფიქრისათვის: ბაღში პიკნიკს მოაწყობდა. ტობი დილის პირველ მატარებელს გაჰყვა, იფიქრა, ერთი საათით მაინც მარტო დაურჩები მეიზისტან, სანამ „ცირკი“ ჩამოვაო.

მეიზი საღვურში დახვდა — სწორედ ისეთი, ტობის რომ მოსწონდა: მშვიდი, გაღიმებული, არც უბედური ჩანდა, პირიქით, ტობის სიხარულით სავსე დღეს უქაღდა. ტობის რომ დაამახსოვრდა, სწორედ ის თეთრი კოფთა და ბამბის ქსოვილის ყვითელყვავილებიანი ქვედაკაბა ეცვა.

— მოდი, გავისეირნოთ, — შესთავაზა მეიზიმ.

ნახევარი საათით პატარა სამიკიტნოში შევიდნენ, თითო კათხა ლუდი დალიეს და შეფლბორდი ითამაშეს. მეიზი ძალიან დახელოვნებული აღმოჩნდა ამ თამაშში. აი, ასეთი უნდა იყოს გამომშვიდობება — იდილიური, მშვიდი, სასიამოვნო და უდარდელი. ბარში იატაკზე ქვიშა ეყარა, თუთუნისა და ლუდის სუნნი იდგა. ხალხი ბევრი არ იყო და ვინც იყო, ისინიც ჯიუტად არიდებდნენ თვალს ახალგაზრდებს, მხოლოდ ერთი ბერიკაცი გამოხედავდა ხოლმე მეიზის, უკვირდა: რა გაწაფულია ამ თამაშშიო.

...ამანდა ბაღში დახვდათ. სტუმრები უკვე იკრიბებოდნენ. ამანდას დამურას ფრთებივით გაფრიალებული კაბა ეცვა. მან ისევ წარუდგინა ტობი სიმებიან კვარტეტს (მუსიკოსებს ერთმანეთისგან ვერ გაარჩევდით, თუმცა მათ შორის ერთი ქალიშვილი იყო, მაგრამ ამის მეტი განსხვავება არ ყოფილა), აგრეთვე რამდენიმე ადამიანს, მათი გვარები ადრეც გაეგონა ტობის, მაგრამ არ დაამახსოვრდა და, მისი აზრით, ვერც ახლა დაიმახსოვრებდა. ეღუარდ კრეინი არსად ჩანდა.

ლენჩის დროს, რომელიც ჩვეულებრივ უხვი იყო, ამანდა მეფობდა. ტობი პიტერ კოკსონს ელაპარაკებოდა და მის მიმართ პატივისცემით განიმსჭვალა; ახლა უკვე აღარ ეჩვენებოდა გასართობად პიტერის პატარა, გველისმაგვარი თაჯი, აღარც მის დაბალ ტანსა და ვარდისფერ ჰალსტუხ-პეპელაზე ეცინებოდა. კოკსონი ახალი ჩამოსული იყო ამერიკიდან, სადაც საკმაო წარმატება ხვდა, მაგრამ არც ყოყოჩობდა და არც სიტყვების ნაკადს აფრქვევდა, ეტყობოდა, დადინჯებულიყო.

ტობიმ ვერ მოასწრო კოკსონის ახალი რომანის ბოლომდე წაკითხვა, მა-

გრამ მაინც დიდი შთაბეჭდილება დატოვა მასზე. გამორიცხული არ არის, რომ ავტორმა ეფექტს საგანგებო ილუთით მიაღწია: პერსონაჟები ჯერ რაღაც აზრს გამოთქვამენ, მერე ამის საწინააღმდეგოდ იქცევიან. ტობიმ არ იცოდა, ძველი იყო თუ ახალი ეს ილუთი, მაგრამ პიტერი მაინც მწერლად ჩათვალა. ამიტომაც დაიწყო მისი წიგნის მხურვალედ ქება.

— იმედი მაქვს, არა უშავს, — უპასუხა პიტერმა. — მაგრამ ჩემს წიგნს დაბეჭდილს ვნახავ, პირდაპირ სასოწარკვეთილებამს მხურვალედ ხოლმე. მუჩვენება, რომ შეიძლებოდა უფრო კარგად დამეწერა.

— ეტყობა, მიქელანჯელოსაც ამ აზრმა გაუელვა თავში, როცა სიქსტის კაპელას საბოლოოდ მოავლო თვალი, — მოისაზრა ტობიმ.

პიტერის სახეს რაღაც ღიმილისმაგვარი დაახინდა — რამდენადაც შეეძლო გაეღიმა ამ პირქუშ კაცს.

— კაცმა რომ თქვას, ჩინებული რამ არის დიდი წარმატება, — ფიქრიანად თქვა ტობიმ.

— ჩემი წარმატება საკმაოდ მცირეა. მოდი, ნუ გავაზვიადებთ.

— მე კი მითხრეს, დიდიყო.

— ხალხის ამბავი ხომ იცით... რას არ იტყვიან.

სტუმრებს ვის რა ეცვა და ვის რა, მხოლოდ პიტერი იყო გამოწყობილი მუქ, ვლევანტურ, წელში გამოყვანილ კოსტიუმში. სანამ სიმებიანი კვარტეტი უკრავდა, ტობი და პიტერი ხის ძირში ისხდნენ, ბალახზე (თუმცა გუშინდელი წვიმის შემდეგ გაშრობა ვერ მოესწრო, ნამიანი იყო, და ამანდამ დაავალა მსახურებს ხალიჩები გაეფინათ).

ხოლო როცა დანარჩენებს შეუერთდნენ, გამოირკვა, რომ ამანდა შინ შესულიყო.

— დედა თქვენს წიგნს ამთავრებს, პიტერ, — აუხსნა მეიზიმ. — ხომ იცით, ის აუცილებლად უნდა იყოს გარკვეული ყველაფერ ახალში.

— ძალიან მუშინია, თვითონაც არ ვიცი, რატომ.

— ნუ შიშობთ, დედიკო თვალს ვერ აშორებს თქვენს წიგნს, იმიტომაც წაეიდა, რომ დაამთავროს და არა იმიტომ, რომ გააკრიტიკოს.

შუაღლე დიდი ხნის გადასული იყო, მაგრამ სიცხემ არ იკლო. სტუმრებს სახეზე ოფლმა დაასხა. ამანდას მოლოდინში ყველა ჩაისა სვამდა, თან დროდადრო ეხმებოდნენ ერთმანეთს.

ჩაის სმას რომ ამთავრებდნენ, ამანდა კაბის ფრიალით გამოვიდა მდელი-ზე და სტუმრებისაკენ გაუძართა, კოკსონის რომანი ისე მიეკრა მკერდზე, თითქოს კელსური ხელნაწერი¹ იყო.

— მისმინეთ, პიტერის რომანი იგავით მთავრდება და მინდა წაგიკითხოთ ეს იგავი. მოხერხებულად დასხედით, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. თქვენ ხომ არა ხართ წინააღმდეგი? — თავაზიანად ჰკითხა მან პიტერს.

— იმ პირობით, ამანდა, რომ დამაცდით აქაურობას გავეცალო, — უპასუხა პიტერმა და ნაკადულისკენ გაეშურა.

ამანდამ ხმამაღლა, წკრიალა ხმით დაიწყო კითხვა.

— მე მგონი, აქ სალაპარაკო არაფერია, ნებისმიერი სიტყვა ზედმეტი იქნე-

1. თავისი ილუსტრაციებით განთქმული შუა საუკუნეების ირლანდიური ხელნაწერი (VII-IX ს.), რომელიც შეიცავს ოთხი სახარების ლათინურ ტექსტებს და ირლანდიური ტრადიციის ზოგიერო ჭკულს.

ბა, — განაცხადა ამანდამ, როცა სტუმრები მოსმენის შემდეგ მოჰყვნენ პიტერის ქება-დიდებას საკმაოდ ბუნდოვნად და არცთუ ძალიან გულწრფელად.

პიტერი უკვე მათკენ მიდიოდა.

— საუცხოო იგაუია, — უთხრა ამანდამ.

— იმედია, არა უშავს, თორემ რატომ დაუწერდი.

ჩაის შემდეგ სტუმრების უმეტესობა წასასვლელად *ჰაუზბანდს* "მეზიმ ტობის დაუწყო ხვეწნა, დარჩიო.

— სადილი ძალიან უბრალო იქნება, — გააფრთხილა ამანდამ, მაინცდამაინც კმაყოფილი არ ჩანდა.

— მაშინ ჩვენ კლერში წავალთ და იქ სენდვიჩებს შევჭამთ, — თქვა მეიზიმ. — ტობი რამდენიმე თვით მიდის და სანამ ჩვენთან არის, მინდა მასთან ვიყო.

ამანდამ ნაჩქარევად აკოცა ტობის და ახალგაზრდები წავიდნენ. მოსაღამოვდა, მაგრამ მაინც ცხელოდა. მანქანაში მეიზიმ თქვა:

— სამუდამოდ ხომ არ ვემშვიდობებით ერთმანეთს. შენ იქ კარგად იმუშავებ, მე კიდევ ჩამოვალ, გინახულებ, თუ შენი სურვილიც იქნება.

— რაღა თქმა უნდა, მინდა, გოგონი.

ტობი მართლაც გრძნობდა, რომ ძალიან მოენატრებოდა მეიზი.

კლერიდან ყველაზე მოსახერხებელი იყო მატარებლით ლონდონში წასვლა და მეიზიმ სადგურში წაიყვანა ტობი. იდგნენ მზით გაბრწყინებულ ბაქანზე და იშვიათად თუ გადაულაპარაკებდნენ ერთმანეთს.

მალე თვალი მოჰკრეს ორთქლმავლის კვამლს.

და მეიზი უცებ გადაეხვია ტობის.

— გზა მშვიდობისა, საყვარელო. მომწერ წერილებს?

— ალბათ ძალიან ხშირად.

— ინახულე ის ადგილები, სადაც ერთად ვიყავით.

— აუცილებლად.

— როცა *croque-monsieur*-ის ჭამას დაიწყებ, გამიხსენე.

ორივეს გაეცინა და რაც ბოლოს დაინახა ტობიმ, მეიზის გაბრწყინებული სახე იყო.

20

საფრანგეთში წასვლამდე ტობიმ მოასწრო ტელევიზორში დედაზე გადაცემის ნახვა. ადრე იყო ჩაწერილი, ისე რომ სამივენი ტელევიზორთან ისხდნენ. ეკრანზე გამოჩნდა ბელურასავით პატარა მისის რობერტსი. ობიექტივის წინ დედას თავისუფლად ეჭირა თავი. თბილი კაბა ეცვა, რომელიც კემბრიჯის ვერნისაჟისთვის იყიდა.

— შეხედეთ, ეს ხომ მე ვარ!

— შენა ხარ, დორა, შენ, — უთხრა მისტერ რობერტსმა და ცოლისკენ მიჩოჩდა.

ამ დროს დიქტორი ეკითხებოდა მას: მართალია, რომ ასეთი კარჩაკეტილი ხართო.

— არა, არც მთლად ასეა. უბრალოდ, მიყვარს ჩემი სახლი, ეს არის და ეს. მაინცდამაინც გულდია არა ვარ.

— ნატურიდან ხატავთ?

— არა, თუმცა ზოგჯერ ფანჯრიდან ვიყურები. მაგრამ უმეტესად თვითონ ნოვიგონებ ხოლმე, რა დავხატო.

შემდეგ დედას რამდენიმე სურათი აჩვენეს (შავ-თეთრ ეკრანზე მაინცდამაინც დიდ შთაბეჭდილებას არა ტოვებდნენ); ბოლოს ის სურათი აჩვენეს, ამანდამ რომ იყიდა — მისის რობერტსი თავის სამზარეულოში.

მალე ინტერვიუ დამთავრდა. მისის რობერტსი, როგორც ყოველთვის ამ შვიდ წუთსაც სიტყვაძუნწი იყო.

— ხშირად რომ ვიყო ხალხში, ასეთი ხმაური არ ატყდებოდა ჩემს გარშემო, — ბრძნულად თქვა მან. — არ ესმით, რატომ მირჩევნია შინ ყოფნა, და ვერც ის გაუგიათ, რატომ მიჭირს უცხო ხალხთან შეხვედრა. ეს მათთვის გამოცანაა.

და მაინც, წარმატების შემდეგ ზოგი რამ შეიცვალა დედის ცხოვრებაში. მაგალითად, ადრე მეზობლის ქალები შემოირბუნდნენ ხოლმე სალაქლაქოდ, ახლა კი აღარ მოდიოდნენ.

— ძალიანაც კარგი, — ამბობდა მისის რობერტსი. — მე უნდა ვიმუშაო. მათ მასპინძლობაში უამრავი დრო მეკარგებოდა.

... ბოლოს და ბოლოს ტობი გაემგზავრა პარიზს. თითქმის მთელ დღეს ეროვნულ ბიბლიოთეკაში ატარებდა. მეიზი ერთხელ ჩავიდა და სცადეს წარსული ბედნიერი დღეები აღედგინათ, მაგრამ ვერ შეძლეს. და მაინც, მეიზი დამშვიდებული და ბედნიერი ჩანდა. მოგვიანებით ტობიმ ეილაც სტუდენტის ვოგონა აიკიდა კაფეში, სენ-მიშელის ბულვარზე, და მიიღო კიდეც მისგან, რაც სჭირდებოდა.

მაგრამ დღეები მეტად უსიხარულოდ გადაიდა. პარიზმა უკვე დაკარგა პირვანდელი მშვენიერება და მომხიბვლელობა. სამუშაო ვერ აუწყო. ძალიან ბევრს მუშაობდა, მაგრამ გაუთავებელი სამეცნიერო ძიებები ისე მობეზრდა, ლამის გულს ურევდა. „სენ-ჟიუსტი“ ვერ გადააკეთა, არ იცოდა როგორ მიღვომოდა.

სანამ დაბრუნდებოდა, ორი კვირით ადრე, კლერს მისწერა წერილი. ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი ამხანაგური წერილი იყო, ყოველგვარი ანგარიშიანობის გარეშე; სინამდვილეში კი ანგარიშიანობა არ აკლდა.

„სულ უფრო და უფრო ვრწმუნდები, რომ სწავლულის ცხოვრება საჩემო არ არის. მინდა გავიდე ფართო სამყაროში, გავიგო რამე. მაგრამ დისერტაცია რომ არ დავამთავრო, გულს გავუტეხავ ყველას, მათ შორის ჩემს დედ-მამასაც. ასე რომ, როგორმე უნდა დავამთავრო. მაგრამ გუნება მაინც წამიზნა. ცოტა ფრანგული რევოლუცია კიდეც, და მგონი, ჭკუიდანაც შევიშლები“.

სინამდვილეში ასეთი საშიშროება მას ნაკლებად ელოდა, მაგრამ, როგორც ტობი პატიოსნად გამოუტყდა საკუთარ თავს, საკმაოდ გადააჭარბა, რათა კლერს შესცოდებოდა.

„ჩემის აზრით, თქვენ გავიჟდით. ასეთი შემთხვევა გეძლევათ! როგორ შეიძლება უარი თქვათ მასზე. თუმცა მე რა უფლება მაქვს ვინმეს ჭკუა ვასწავლო, როცა თვითონ თავბედს ვიწყევლი. მაგრამ თუ რჩევა გჭირდებათ, დარწმუნებული ვარ, მამაჩემი მოგცემთ რჩევას, მახსოვს, დაგპირდათ კიდეც. იქნებ მოვითათბიროთ ამ საკითხზე, როცა ჩამოხვალთ? თანაც მეც მინდა თქვენთან მოთათბირება, ასე რომ, იძულებული იქნებით ტობი, ბრძენი უზუცესი გახდეთ. დამირეკეთ. ნახვამდის“.

... ტობი ლონდონში ჩავიდა წვიმიან ნოემბრის დღეს. ქუჩაში ნესტისა და

რატიონალურ კრიზანთემების სუნი იდგა. ფეხქვეშ ფოთლები ჭყაპუნებდნენ. იგი მაშინვე თავის ბინაში წავიდა. ტილერს არ დაურეკა, ან კი რა უნდა ეთქვა. პირველად მეიზის დაურეკა, და ძალიან გაუკვირდა, რომ არ შეატყობინა, ისე გაპყლოდა სამოგზაუროდ ამანდას, რომელიც მუდამ მზეს ეძებდა.

— მის მეიზი ალბათ შობამდე არ ჩამოვა, — უთხრა ტობის მზე ქალმა ისეთი კილოთი, თითქოს მისი გამხმევება უნდაო.

აი, მაშინ კი დაურეკა ტობიმ კლერს, რომელსაც ^{ქალიწიქვანი} ტილერს დაუხარდა, და ჰკითხა: შეიძლება სადმე შეგზვდეთ? კლერმა უპასუხა: რა თქმა უნდა, შეიძლება, ჰლემსფორდში ხომ ჩამოხვალთ? შინ მხოლოდ მე და მამა ვართ, დედა ალპებშია თხილამურებით სეირნობსო. რა სამაგისო საქმეა თხილამურები! ყოველ წასვლაზე რამე რომ არ მოატეხოს, არ იქნება. კიდეც კარგი, სერიოზული მოტეხილობები არ არისო...

ჰლემსფორდში ტობი შაბათს ჩავიდა. კლერმა, რომელსაც შარვალი და ლურჯი სვიტერი ეცვა, თვითონ გაულო კარი და ნაჩქარევად აკოცა, თითქოს ძველი მეგობრები იყვნენ და ეს მხოლოდ ჩვეული რიტუალიაო. მერე პოლში შეიყვანა. იქ ჩვეულებრივ ორპირი ქარი ქროდა, მაგრამ იქვე ბუხარი გიზგიზებდა და ახალგაზრდები დაბალ, გრძელ სკამზე ჩამოსხდნენ ცეცხლთან ახლოს.

— სანამ საქმეზე გადავიდოდეთ, ცოტა დავლიოთ, — თქვა კლერმა.

ტობის ვისკი დაუსხა, თავისთვის — ჯინი.

— ისე, კარგად გამოთიყურებით, მიუხედავად თქვენი ეჭვისა და ყოყმანისა. მეიზი როგორ არის?

ტობიმ უპასუხა: არ ვიცი, მეიზი სამოგზაუროდ წასულაო.

— ჩემთვის კი არაფერი უთქვამს. თუმცა ისედაც არაფერს მიაძებო მას შემდეგ, რაც წამოვყარანტალე, რომ აქ იყავით. სისულელეა, ასე რომ დამშორდა, მაგრამ ჩემი ბრალიც არის, დაუფიქრებლად წამოვროშავ ხოლმე რაღაცას.

„ძალიანაც დაფიქრებულად წამოროშე“, — გაიფიქრა ტობიმ. ჭკვიანი და გამჭრიახი გოგოა, თუმცა თავს გულუბრვეილად გკარვენებსო.

კლერმა მოურიდებლად, პირდაპირ დაუწყო გამოკითხვა მის სამუშაოზე და იმაზე, თუ რას აკეთებდა პარიზში.

— როგორც მოგწერეთ, დისერტაცია ვერ მოვახრჩვე... იქნებ თავი მივანებო...

— ამას აწონ-დაწონა უნდა, ნაუცბათევად არაფერი გადაწყვიტოთ. იქნებ ახლა მხოლოდ ნაღველი შემოგაწვათ და ეგ გალაპარაკებთ? იქნებ მერე აზრი შეიცვალთ?

— შეიძლება, მაგრამ არა მგონია.

— დღეს ლენჩი ღარიბული გვექნება, — წამოისროლა კლერმა, — მხოლოდ სენდვიჩები, მაგრამ ბლომად. აქვე, ცეცხლთან მივირთმევთ. კიდეც დაისხით ვისკი. ვერაფრით ვერ ვახერხებთ ამ სახლის გათბობას, სამზარეულო და სასადილო ოთახი სადაც არის ჩამოგვენგრევა.

როცა კლერი პოლიდან გავიდა, ტობიმ გაიფიქრა: ზოგჯერ ძალიან ლამაზია, მაგრამ რაღაც აკლია, იქნებ ტემპერამენტიო? თუ ასეა, მით უკეთესი, მაგრამ იქნებ აქვს ტემპერამენტი და მარჯვედ მაღავეს? შესახედავად უბრალო, ამხანაგური ქალიშვილია, შეზღუდული ინტერესების პატრონი — ნამდვილი სოფლელი ცხენების მოყვარული. ასეთი მუდამ მშვიდი და უდარდელი იქ-

ნება: მაგას ხომ არა აქვს ნერვები გაშიშვლებული. სამაგიეროდ მასთან ლაღად ხარ, გსიამოვნებს.

კლერი დაბრუნდა, ხელში ლანგარი ეჭირა.

— შიირთვით, ახლა მე ვილაპარაკებ.

მაგრამ ერთხანს ორივენი მდუმარედ ჭამდნენ.

ბოლოს კლერი ალაპარაკდა:

— მე გათხოვებაზე ვფიქრობ. ალბათ შეამჩნიეთ, რომ მახვილდასრულდა რაობა“-ზე დაუხსვი. თქვენ, რას იტყვიან?

ტობი გაშტერდა. ამას არ მოელოდა.

— რა უნდა გითხრათ, როცა თითქმის არაფერი ვიცი, — ორჭოფულად უთხრა ტობიმ.

— ახლავე ყველაფერს გეტყვით: სახელად ალექი ჰქვია, ყმაწვილი ბარონეტია, მამა ორი წლის წინ მოუკვდა. ალბათ ჰედინგონში გინახავთ, ამანდა კარგად იცნობს.

— დიახ, მგონი, ვნახე.

— სანდონიანი ახალგაზრდაა, რბილი, ჭკვიანი, მაგრამ ნიკაპი არა აქვს, არ ვიცი ამას როგორ შევეგუები. თითქოს რა მნიშვნელობა აქვს, მაგრამ თურმე მაინც ჰქონია.

— შეუძლია წვერი მოუშვას, — იხუმრა ტობიმ.

— ვერ ვიტან ვერც წვერს და ვერც უღვაშებს. არა, ალექისადმი ნამდვილად უსამართლო ვარ. და მაინც, ხომ გახსოვთ, რომ ანა კარენინამ, — კლერმა ასო „ი“-ზე დაუსვა მახვილი, — უცებ შეამჩნია, რომ მის ქმარს უცნაურად აშვერილი ყურები ჰქონდა. — ესა თქვა კლერმა, რომელიც ამტკიცებდა, რომ დეტექტივების მეტს არაფერს კითხულობდა. — ფული ბევრი არა აქვს, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს. თუ ცოტა ხანში არ მოეაწვობ ჩემს ცხოვრებას, ფესვიანად ხმობას დავიწყებ. ყოველ შემთხვევაში, ალექი ქარაგმულად მეუბნება ამას.

— რამდენი წლისა ხართ?

— ოცდასამისა.

— თქვენთვის ჯერ აღრეა ჭკნობა, — შეეპასუხა ტობი და მუცელში უსიამოვნო სიცივე იგრძნო.

— იქნებ ეს ჭკვიანური ნაბიჯი იყოს, ჰა? რას მირჩევთ?

კლერს საერთოდ გულწრფელი და თამამი მზერა ჰქონდა, მაგრამ ახლა ტობის მოეჩვენა, რომ გულწრფელი არ იყო, და უცებ მიხვდა, რომ კლერი სულაც არ აპირებდა გათხოვებას.

— თუ ასეა, მე თქვენს ადგილზე, ალექზე გავთხოვდებოდი, მიუხედავად იმისა, რომ ნიკაპი არა აქვს და სხვა. ჩვენ ადამიანები მათი ნაკლის გამო გვიყვარს და არა პირიქით, — განზრახ მაღალფარდოვანი კილოთი თქვა ტობიმ.

კლერი დამშეულივით ნთქავდა სენდვიჩებს და ამაში იყო რაღაც მოჩვენებითი და თეატრალური: იმ მსახიობ ქალსა ჰგავდა, რომელიც ყოველ საღამოს (და კიდევ ოთხშაბათობით და შაბათობით დილის წარმოდგენებზე) იძულებულია მაყურებლის თვალწინ უხვი სადილი შეჭამოს... ბოლოს, კლერი მორჩა ჭამას, ლანგარი გვერდზე გადადგა და ბუზარს შეშა შეუკეთა.

— თქვენთვის, რა თქმა უნდა, სულერთია, — თქვა მან.



დაღლილი ტობი შეეპასუხა:

— აღბათ არც ერთი თქვენი მეგობარი მამაკაცისთვის არ არის სულერთი.

— მართალი ვითხრათ, მე მომეწონეთ. როცა გავიცანი ერთმანეთი, მაშინვე ლაღად ვიგრძენი თავი თქვენთან. მოგწონდათ ასე რომ ვაქცეოდი?

— ძალიანაც.

კლერმა ისევე აკოცა, და ტობიმ ახლა უფრო მხურვალე კოცნით უპასუხა, ვიდრე პირველი ჩამოსვლის დროს. ახლა მას სურდა კლერს მაგრამ ფრთხილი სურვილით.

— მამა სამ საათამდე არ მოვა, ასე რომ, დრო გვაქვს.

ტობი მთვარეულივით გაჰყვა კლერს ზემო სართულზე, დიდ—ცივ საძინებელ ოთახში, სადაც გამოხუნებული ქსოვილის გაუღაკიანი საწოლი იდგა. არა სჯეროდა, რომ ეს ყველაფერი მის თავს ხდებოდა. ოთახში ისე ციოდა, რომ კლერმა სწრაფად გაიხადა ტანსაცმელი და საბნას ქვეშ შეძვრა. ტობიმ მხოლოდ თვალი მოჰკრა მის სხეულს — სრულსა და მკვრივს, მაგრამ კლერის თქმისა არ იყოს, ქონი სულ არა ჰქონდა.

ტობი დაეუფლა მას და ორივემ ლაღად, მხიარულად იგრძნო თავი. მეიზისთან შედარებით კლერი საკმაოდ გაწაფული აღმოჩნდა.

— ჰო, — თქვა ბოლოს კლერმა. — მამაკაცებთან მქონდა კავშირი, მაგრამ მუდამ ვარჩევდი: მე ხომ მომთხოვნი ვარ. შენს შესახებაც ბევრს ვფიქრობდი. თუ გინდა, დღევანდელ ამბავს ნუ მიაქცევ ყურადღებას.

— თუ არ გინდა? — უპასუხა ტობიმ და მაშინვე ინანა. ახლა კი ნამდვილი მოღალატეა! მეიზის რომ გაეფრთხილებინა და ისე წასულიყო, ეს არ მოხდებოდა.

— აღეჩი, ბებრუხანა, — უთხრა კლერმა, — მოვწესრიგდეთ.

მართლაც მოასწრეს, ის იყო თავი წესრიგში მოიყვანეს. რომ ლენგეინიც დაბრუნდა და მშვიერი მგელივით მივარდა სენდვიჩებს; კლერმა ლანგარს არც კი გადააფარა რამე.

— გამიხარდა თქვენი ნახვა, ტობი.

— მეც, სერ.

— ქალიშვილმა მითხრა, რომ გაეჭვებო თქვენი მომავალი.

— მაგრამ არც ისე სერიოზულად არის საქმე, ეს კია, მინდა რამე მოვიფიქრო. ზოგჯერ მართლაც დავეჭვდები ხოლმე, არ მინდა განდევნილივით ცხოვრება, ეს საჩემო არ არის.

ლენგეინმა წარბები მოჭმუხნა და სენდვიჩის ჭამა განაგრძო.

— დაძველებულია, — განაცხადა მან. — მაგრამ არა უშავს, იჭმება.

— მამიკო, კლუბში ხომ ისაუბმე?

— იქაური ლენჩი ლენჩის მეტი ყველაფერია. მხოლოდ სახელია. თანდათან სულ უარესად და უარესად გვაჭმევენ. — და ისევე ტობის მიმართა: — თქვენს ასაკში ოქსფორდში ვსწავლობდი და სწორედ „განდევნილის ცხოვრებას“ ენატრობდი. თქვენი ნათქვამისა არ იყოს. მხოლოდ იმას ენატრობდი, რომ ერთ-ერთი დონი გავმხდარიყავი. მაგრამ ნიჭი არ მეყო. თქვენ კი გყოფნით. მაშ, რა მოხდა?

— რა ვიცვი, მინდა ცხოვრებას ახლოს გავეცნო, გავიგო, როგორ არის მოწყობილი.

— სჯობს, ნუ გაეცნობით, — ლენგეინი ჩიბუხს აწეოდა, — ნამდვილად არ გინდათ. მაგალითად, მე სულაც არ მომწონს, რასაც ვხედავ. მაგრამ ჩემი ბანკის მუშაობა თუ გაინტერესებთ, შემიძლია გაგაცნოთ.

— დიდი მადლობელი ვიქნები, სერ.

— „სერს“ ნუ მიწოდებთ, თორემ გამოყრუებული ბებერი მგონია თავი. იქნებ ვბერდები კიდევ, მაგრამ არ მინდა წამდაუნწუმ მახსენებდნენ ამას. შეგიძლიათ შეხვდეთ ჩვენს ერთ-ერთ უმცროს კომპანიონს, კლავი ბაუზანს/ საზრიანი კაცია და საქმის ვითარებას გაგაცნობთ. თუ გადაწყვეტთ, მაშინვე შემატყობინეთ.

უიზლინისკა

— გმადლობთ, შეიძლება ცოტა დავფიქრდე?

— რამდენიც გინდათ, — თქვა ლენგეინმა. — წინადადება ძალაშია. ოლ-ონდ, განა ფინანსისტს შეუძლია უკეთესად გაეცნოს ცხოვრებას? ეს ჯერ კიდევ საკითხავია. მაგალითად, მე მშურს თქვენი, რომ ასეთი შესაძლებლობა გაქვთ... კეთილი, — დაუმატა ლენგეინმა და მიანიშნა, თემა ამოწურულიაო. — როცა გადაწყვეტთ, შემატყობინეთ. — და მაშინვე კლერს მიმართა: — შეგიძლია ცოტა ადრე მოგვიტანო ჩაი?

— ახლა არ შეჭამე სენდვიჩები?

— კექსი არ დაგურჩა? მისის დოჯის გამოცხობილი?

— ერთი ნაჭერი მოიძებნება.

— ფორთოხლის კექსი, — ახსნა მისტერ ლენგეინმა, — ძალიან გემრიელია. მგონი, ტობიც არ იტყვის უარს, — და სანამ კლერი ლანგარს ათავისუფლებდა, ისევ ტობის მიუბრუნდა: — იმეღია, ჩემი ცოლი არაფერს მოიტეხს. წარმოიდგინეთ, უამრავი მოტეხილობა აქვს. მას მხოლოდ „ბავშვების დაღმართზე“ შეუძლია სრიალი, მაგრამ ამბიციებით სავსე ადამიანია. დედათქვენი ხომ არ არის ასეთი სისულელეებით გატაცებული?

ტობი გააკვირვა ასეთმა გულმაღვიწყობამ, მაგრამ არაფერი გაუმჟღავნებია, უპასუხა, არაო.

— ჰო, ვიცი, რომ დედათქვენი ხატავს. თანაც ძალიან კარგად. გადაეცით ეს ჩემგან, თუ ჩემისთანა უცოდინარის ქება მისთვის რამეს ნიშნავს. თუმცა მახსოვს, თვითონ ვუთხარი ეს ყველაფერი.

კლერმა ჩაი და კექსის ნარჩენები მოიტანა. ტობის არასოდეს არ უნახავს კლერი ასეთი გახარებული და ხალისიანი.

ტობი ჩაის შემდეგ მალე გამოემშვიდობა მასპინძლებს. ლონდონში დაბრუნების დრო იყო. კლერი პარმალზე გამოჰყვა:

— მალე შევხვდებით.

— იმედი მაქვს, — უპასუხა ტობიმ, ჩაჯდა თავის მანქანაში და სიჩქარე ჩართო. კლერმა მიაძახა:

— თუ ალექს არ გავყევი, შენ აქ არა ხარ!

კლერმა ჩაიციანა და ხელი დაუქნია. სანამ ტობი პასუხს მოიფიქრებდა, შინ შევიდა და კარი მიიჯახუნა.

ტობის გზაში, რა თქმა უნდა, ბევრი საფიქრალი ჰქონდა. ჰლემსფორდიდან შეფიქრიანებული, მაგრამ მოხიბლული წამოვიდა. ნეტა კლერისთვის თუ აქვს ამ დღეს მნიშვნელობა? რაღაც დაუფიქრებელი სიტყვებით გამოემშვიდობა და ტობი გაოცებული დარჩა. თუმცა იყო კი დაუფიქრებელი? ეტყობა, მაინც იყო. საერთოდ თუ დაუფიქრდი, ყველაფერი შეიზის ბრალია, ტობისთვის რომ მოეწერა, მიუღივარო, ტობი ალბათ არც წავიდოდა ჰლემსფორდში, და რაღა თქმა უნდა, კლერთანაც არ დაწვებოდა. ნამდვილად არა.

შინ მეიზის წერილი დახვდა და ტობიმ უცებ ვერ გაბედა კონვერტის გახსნა. იმდენად აფორიაქებული იყო, რომ დალევა მოუნდა, თუმცა გვიან სმა არა სჩვეოდა. ჯინი დაისხა, დაჯდა და ხელ-ხელა მოჰყვა წრუპვას. როცა ბოლომდე დალია, მხოლოდ მაშინ გახსნა კონვერტი, რომლის შტემპელზეც ეწერა „ჰედისდონი“.

„საყვარულო, საყვარულო ტობი!

აღბათ ახლახან დაბრუნდი. (კარგად ვერ გამოიანგეზობს რა-მდენიმე დღეა ჩამოვიდა.) აღბათ გაგიკვირდა, რომ წერილებით არ გაბეზრებდი თავს. მაგრამ ჯერ ერთი, ჩემის აზრით, შენ არ გიყვარს, როცა ძალიან გაბეზრებენ თავს, მეორეც — სულ ვფიქრობდი ჩვენს ბოლო შეხვედრაზე პარიზში. გარეგნულად ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ მხოლოდ გარეგნულად. რაღაც არ იყო ისე, როგორც საჭიროა, მაგრამ რა, ვერ გეტყვი. შენ უცხო, შორეული იყავი (როცა თავს კონტროლს არ უწევდი), შენს თავს არა ჰგავდი. ძვირფასო, თუ ფიქრობ, რომ ჩვენი დაშორება მოსალოდნელია, ადექი და მითხარი: ხომ იცი, ჩემთვის აუტანელია, როცა რაიმეს მიმალავენ.

ამ წერილის დაწერა გამიჭირდა და აღბათ ცხელ გულზე გამოვგზავნი, საჩამ დაფიქრება და ძალიან შეშინება არ მომიხწრია. მაგრამ მეტი სმეტად მიყვარხარ, თუმცა შენგან ასეთი სიტყვები არ გამოგონია, იცი ეს?“...

როგორ არ იცის.

„...რომ ჩაგებლაუტო, იქნებ ის არა ვარ, ვინც შენ ვჭირდება. მაგრამ აღბათ შევძლებ ის ვინდომო შენთვის, რაც თვითონ გინდა — შემთხვევით არ დაეწერე „აღბათ“, ამაზე მეტს ახლა ვერ შევძლებ, მთელი გულით მონდომება მხოლოდ წმინდანებს შეუძლიათ, ხოლო მე წმინდანობამდე ბევრი მაკლია.

თუ გინდა, რომ შევხვდეთ, შემატყობინე. ძალიან გთხოვ, მოდი, შევხვდეთ ერთმანეთს, იმისთვის მაინც, რომ გავიგო, როგორ მიდის შენი საქმეები.

ახლა შუაღამეა, ყველაზე შეუფერებელი დრო ასეთი წერილებისათვის. სჯობდა, დილით დამეწერა, ათის ნახევარზე ნათელი გონებით.

იამაიკაზე მაინცდამაინც მზიარულად არ ვიყავა. მეტი სმეტად გავშავდი და, მართალი გითხრა, მთელი დღე პლაჟზე გორაობა მოსაწყენია. აი, დედა-ჩემისთვის კი ნამდვილი მისწრება იყო: თავიდან ბოლომდე წაიკითხა ტრილოპის პოლიტიკური რომანები, თუმცა ახლა მოდაში აღარ არის. ერთი სიტყვით, საქმე გაიჩინა.

რაღაც სულ სხვა რამეზე დავიწყე წერა. იქნებ არ უნდა მომეწერა ასე ადრე ან იქნებ უკეთესიც არის, რომ მოგწერე. არ ვიცი. მე მხოლოდ ერთი რამე მინდა: შენ თავისუფლად იგრძნო თავი, თუ სურვილი გექნება, მომწერე ან დამირეკე.

სამუდამოდ შენი მეიზი“.

ტობიმ რამდენჯერმე გადაიკითხა მეიზის წერილი. მეიზის მზრაც ეს დიდი თავგანწირვაა? ან იქნებ არც ისე დიდი? ერთი წუთით სრული თავისუფლების გრძნობა დაეუფლა, მაგრამ გონებამ მაშინვე უკარნახა, რომ მეიზისთან ბევრი რამ აკავშირებდა. ჯერ ახალგაზრდა, ახალგაზრდა, ახალგაზრდა ვარ, მე-რამდენედ უმეორებდა საკუთარ თავს. ფული ცოტა აქვს, არც მომავალს უჩანს საიმედო პირი (თუმცა, ლენგეინისგან შეიძლება რაღაცას ელოდეს), მაშ, რატომ სთხოვენ ახლამე მიიღოს გადაწყვეტილება. შეშფოთებამ და გაღიზიანებამ იმძლავრა: ქალიშვილების გარდა სხვა პრობლემებიც ბევრი აქვს. რას იზამ, ერთი ტრიმესტრი კიდევ უნდა ვიმუშაო ტილერთან და მერე გამო-

ჩნდება რამეო, გაიფიქრა ტობიმ. დრო უამრავი აქვს, ღმერთია მოწამე, დრო ბევრი აქვს, მას კი რატომღაც აჩქარებენ. არა, ჯერ არ არის საჭირო მეიზისთან დარეკვა ან წერილის მიწერა, ერთ-ორ დღეს კიდევ დაიცდის. ღამე მოუსვენრად იყო, წინასწარ იცოდა, ვერ დაიძინებდა, და ამაშიც მეიზის დახმარება უნებდა.

მეორე დღეს ტობის ვიდრიანი ესტუმრა. ამას წინათ მღვდელად დასწავლდა და ახლა თეთრი მოძალდო საყელოთი კობტაობდა, მღვდლები რომ უტარებენ ისეთით (ამაოდ ცდილობდა დაეძალა, რომ ამავობდა ამ საყელოთი), და ახლა უფრო ღამაში ჩანდა.

— ო, მამაო სტუდმენ, — გაუღიმა ტობიმ. — წარმოგიდგენია? ახლა სერიოზულად უნდა გიწოდოთ ასე.

ვიდრიანს ხმა არ ამოუღია, მაგრამ ეტყობოდა კმაყოფილი იყო. მერე ტობის გამოჰკითხა მისი საქმეების შესახებ, და ბოლოს უთხრა: მღვდლის თანაშემწის ადგილი შემომთავაზებს პატარა სამრევლოში რეგბისთან ახლოს, ლინკოლნშირშიო.

— ყველაფერი საოცრად სწრაფად მოხდა. ეტყობა, ასეთი წესია: მღვდლად კურთხევის შემდეგ უცბად გნიშნავენ. უმადურობა იქნებოდა აგდებულად მეხსენებინა ლინკოლნშირი, მაგრამ მართალი გითხრა, არ მოველოდი, ასეთ მიყრუებულ სამრევლოში თუ გამგზავნიდნენ. ასეა თუ ისე, გამოცდილებას მაინც შევიძენ, რაც ძალიან მჭირდება, რადგან გამოუცდელი ვარ.

ვიდრიანმა სპირტიან სასმელზე უარი თქვა, მხოლოდ უნაღებო ყავაზე დათანხმდა. როცა ტობიმ ყავა მოუტანა, ვიდრიანმა თავს ძალა დაატანა, თითქოს გულიდან სიმძიმე უნდა მოიშოროსო, და თქვა:

— ბობი და რიტა ვინახულე, ვფიქრობ, ვალდებული ვიყავი შეშველო მათთან. შენ თუ ინახულე?

— არა. შენ რა, ცალკე ბობი მოინახულე, ცალკე რიტა?

— ნუთუ არ იცი? ისევ ერთად ცხოვრობენ, ლენსფილდ-როუდზე. რიტამ ჰკუას მოუხმო და უარი თქვა განქორწინებაზე, ბობს კიდევ ბავშვთან განშორება არ უნდოდა. აი, ასე მოხდა. დიდად ბედნიერები, ეტყობა, არ არიან, მაგრამ მაინც ასე სჯობს.

— რატომ ჩათვალე ვალდებულად თავი, რომ მისულიყავი? — ცნობისმოყვარეობა გამოიჩინა ტობიმ.

— რიტამ ისევ მომწერა წერილი. ადრე სულელივით ვიქცეოდი და ძალიან ვწუხვარ, მინდა ყველანი მეგობრებად დავრჩეთო. რა უნდა შექნა?

— იმედია, ახლა მაინც დაგივიწყებს რიტა.

— ლინკოლნშირში რომ წავალ, ყველანი დამივიწყებენ, — იდუმალი ღიმილით თქვა ვიდრიანმა. — მეც საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. ახლა მეიზიზე მიამბე.

ტობიმ ცოტა დაახანა.

— იცი, ახლა მე ჯვრისწერის ნებაც მაქვს, — სიტყვა გადაუკრა ვიდრიანმა. — ასე რომ, ერთ მშვენიერ დღეს შემიძლია მოგემსახუროთ.

— ვინ იცის. მაგრამ საბოლოოდ არაფერი გადავიწყვეტია. თითქოს დინება იხუდასხვა მხარეს მიგვაცურებს.

— მაპატიე.

— აკი გითხარი, მთლად დაბნეული ვარ-მეთქი. არც კი ვიცი, რა საქმეს მოვიკიდო ხელი.

ტობიმ ფრთხილად წამოიწყო ლაპარაკი ეიდრიანზე და ისიც ხალისით აჰყვა, ეტყობოდა, უნდოდა ვინმესთვის გადაეხსნა გული. მას ეჭვი ღრღნიდა, ვაითუ ვერ შევძლო მღვდლის მოვალეობის შესრულებას, მიაჩნდა, რომ ჯერ არ იყო მომზადებული ამ საქმისათვის. საერთოდაც, რა გავლენა უნდა მოახდინოს მრევლზე ასეთმა ახალგაზრდამ? ახლა კიდევ დედის ამბავი აწუხებს. ამდენი წლის მეგობრები იყვნენ და ეიდრიანმა პირველად ახლა გაუმხილა, ~~ტყუებს~~ ~~ტყუებს~~ ~~ტყუებს~~ რომ შვიდი წლის წინ დედამისს დამბლა დაეცა და ნაწილობრივ პარალელებზე დატოვებით ვერავის დაუტოვებს, არავინა ჰყავს. დააპირა თან წაეყვანა დედა, შესაფერის სახლს იშოვიდა და თრივენი ერთად იცხოვრებდნენ. დედას ცოტა დანაზოვი ფული აქვს და ეყოფოდათ. მაგრამ მოხუცი ვიკარი ითხოვს, რომ ეიდრიანი და სახლდეს იქაური მღვდლის სახლში, და თუ დაიჟინა, არადა, ეტყობა, დაიჟინებს, მაშინ ეიდრიანმა იქვე ლინკოლნში ბინა უნდა უქირავოს დედას და ვინმე მომვლელიც უშოვოს. ეიდრიანი გაუთავებლად ლაპარაკობდა, ტობი ყურს უგდებდა. ეიდრიანმა ხომ არასოდეს იცოდა დროზე წასვლა.

ბოლოს, როგორც იქნა წამოდგა — ტობიმ არცთუ თავაზიანად შესთავაზა, კიდევ მოვიდულებ ყავასო, და ეტყობა, ამან უბიძგა. წავიდა და მეგობარი გუნებაწამხდარი დატოვა.

მეორე დღეს ტობი მავიდას მიუჯდა, მეიზის წერილს მივწერო, მაგრამ ძალიან არ ეყო კალმის ასაღებად. მას ესმოდა, რომ მეიზი თვითონ აძლევდა გაქცევის საშუალებას, თუკი ტობის ნამდვილად უნდოდა გაქცევა (რაშიც ეჭვი ეპარებოდა), მაგრამ რცხვენოდა ესარგებლა ამით. თავს იმშვიდებდა: რაც მოხდა, ამაში მეიზის ბრალიც არის, მისი უსაზღვრო სიფაქიზისაო.

„ჰო, გოგონი (ასე იწყებოდა წერილი), უნდა მოგეწერა ჩემთვის. ვერ გამიყვია, რატომ არ შემატყობინე. მე თვითონ მოგწერდი, მაგრამ მომეჩვენა, რომ მნე ქალი შემთხვევით არ მიმალაუდა შენს მისამართს. „იამაიკა, მეიზის“ — ასე ხომ არ დაუწერდი? ეს ხომ ზუსტი მისამართი არ არის?“

ვერ ვიტყვი, რომ პარიზში ყველაფერი ისე კარგად არ იყო: შეიძლება დაბრუნდე ძველ ადგილზე, მაგრამ წარსულს ვერ დაიბრუნებ, ეს კანონია. თუმცა არავის არასდროს ამის იმედი არცა ჰქონია (ტობიმ იცოდა, რომ მეიზის ამის იმედი ჰქონდა). ბევრი სალაპარაკო მაქვს შენთან, უმთავრესად ჩემს მომავალ გეგმებზე. შენი რჩევა ძალიან გამომადგება. არ შეგიძლია ჩამოხვიდე? მშობლებთან ოცდასამ დეკემბრამდე ვერ მივალ, პირდაპირ დედაჩემის საშობაო ორგიაზე მოვხვდები. ვშიშობ, რომ „სენ-ჟიუსტი“ ჩამიფლავდა. თუმცა იქ ბევრი რამ ამოვიწერე, მაგრამ მეშინია ხელის მოკიდება. კიდევ ერთი ტრიმესტრი ტილერთან ვიჯახირებ და თუ საქმე ვერ მოვაგვარე, სხვა რამეზე უნდა ვიფიქრო. რაღაც მაქვს გუნებაში, მაგრამ როცა გნახავ, მაშინ ვეტყვი.

მაპატიე, რომ მოკლედ გწერ, მაგრამ თავი მიბრუნის და სჯობს, რომ შევხვდებით, მაშინ ვილაპარაკოთ. შეგიძლია პარასკევს ჩამოხვიდე? ნახვამდის“.

...მეიზიმ დარეკა, პარასკევს ექვს საათზე ჩამოვალო. სიტყვებს ისეთი გაჭირვებით გამოთქვამდა, თითქოს კბილის ექიმმა ნოვოკაინის ნემსი გაუკეთა და ენა არ ემორჩილებო.

როგორც ბიბლიაშია ნათქვამი: „ყოველ დღეს თავისი საზრუნავი აქვს“. ტობი მუდამ ამით ხელმძღვანელობდა და მაინც წინასწარ აღელვებდა მეიზისთან შეხვედრა. მის გულში ჯერ კიდევ ბუტავდა მეიზისადმი გრძნობა, მაგრამ მხოლოდ ბუტავდა და მეტი არაფერი. მას ეგონა, რომ ახლა უკვე ვეღარ შეიყვარებდა. მისკენ, როგორც ქალისკენ. ძველებურად მიუწევდა გული, მაგრამ კლე-

რისკენაც მიიღტვოდა. ტობი მეიზისთან შეხვედრას რომ აპირებდა, გუნებაში ეკამათებოდა, მაგრამ მალევე შეწყვიტა კამათი.

და აი, მეიზი მოვიდა მის ბუნაგში, მშვიდი, დინჯი, და ტობი ძველებურად მხურვალედ გადაკოცნა. მართლაც ძალიან მოჰკიდებოდა მზე და უხდებოდა კიდევ. მისი პირველი სიტყვები იყო:

— ჩემის აზრით, ყველაფერი გავართულეთ და ავურ-დავურიეთ. მაგრამ მართლაც ასე მეგონა: თუ არ შეგაწუხებდი, მხოლოდ გავიხარებოდი.

— უცნაური ხერხი კი აგირჩევია, რომ შეწუხება აგეცდინა ჩემთვის. თუმცა ეს უკვე წარსულია.

ტობიმ მეიზის მოსვლამდე ერთი ბოთლი ღვინო და სხვადასხვა საჭმელი იყიდა.

— წვნიანი ცხელია, — თქვა მან, — არსად წასვლა არ გვინდა, აქვე ვჭამოთ.

— შინ საშინლად სერიოზული იქნები, მე კი არ მინდა.

— მაქვს კიდევ მიზეზი, რომ სერიოზული ვიყო. ხომ მოგწერე: დისერტაციის საქმე წინ ვერ მიდის-მეთქი, ყოველ შემთხვევაში, მე ასე მეგონია. ტილერი პაინცდამაინც თბილად არ მექცევა, ეტყობა, უკმაყოფილოა ჩემით. მირჩევნია, სხვა მეცნიერ-ხელმძღვანელთან გადავიდე.

მეიზიმ თბილი პალტო გაახადა. თეთრი ტვილის კაბა ეცვა და ტობიმ უნებურად დაიწყო გამოთვლა, რა უჯდებოდა მეიზის ეს კაბა, გაიფიქრა: ალბათ ხშირად სჭირდება ქიმწმენდაში მიცემას. ხმამაღლა კი უთხრა:

— ძალიან ელეგანტურია.

— გმადლობთ.

ფანჯრის იქით მოქუშული დეკემბრის დღე იდგა, ცა მუქი ღრუბლებით იყო დაფარული, სადაცაა გაწვიმდებოდა. ტობიმ მეიზის ნაჩუქარი მაგიდის ლამპა ანთო, რომელსაც ღია მწვანე შუქფარი ჰქონდა.

— ასე უფრო მყუდროდაა, არა?

ტობიმ მეიზის ღვინიანი ჭიქა გაუწოდა და თვითონაც დაისხა. ახალგაზრდები ფართო, ლამაზ, მაგრამ ალაგ-ალაგ ჩაუარდნილ დივანზე ისხდნენ. ტობიმ მეიზის წელზე შემოხვია ხელი.

— ამას წინათ ჰლემსფორდში ჩავედი, — დაიწყო ტობიმ წინასიტყვაობის გარეშე, — იმდენად კლერის სანახავად არა, რამდენადაც მამამისისა... — ტობიმ აგრძნო, როგორ დაიძაბა მეიზი მის ხელებში. — მან მითხრა, შეიძლება დაგეხმაროთ. ამას ვგულისხმობდი, როცა მოგწერე, რაღაც მაქვს გუნებაში-მეთქი. როგორ მოგეწონება, ბანკირი რომ გავხდე, ჰა? როგორ უნდა გავხდე, წარმოდგენა არა მაქვს, მაგრამ გავება შეიძლება.

მეიზიმ რაღაც გაურკვეველად ჩაიბუტბუტა.

ტობი ლაპარაკს განაგრძობდა, ამჯერად სხვას არ უგდებდა ყურს, რაც არ სჩვეოდა მას — თვითონ ლაპარაკობდა, რათა მეიზი დაემშვიდებინა.

მერე აკოცა ქალიშვილს.

— ისევ გაიბუხსხე, არა? კარგი ახლა, რას იბუტები? რა მოგივიდა?

— არაფერი. როგორც გინდა ისე მოიქეცი, შენი საქმეა.

— მაგრამ ცოტა შენი საქმეც ხომ არის. ხომ იცი, როგორ შეგეთვისე.

— რაღაც ამ ბოლო დროს ვერ გატყობ ამას.

— გოგონი, მოეშვი ამ ტრაგიკული მსახიობის კილოს. პატიოსნად გეუბნები, ტრაგიკული არაფერია, აბა, დალიე ღვინო, და კიდევ დაისხი, ამასობაში მე მაგიდას გავაწყო.

— მე თვითონ გავაწყობ.

მეიზიმ გაითავისუფლა თავი მისი ხელებიდან. იცოდა, სად რა იღო, და ტობი ოდნავ გაღიზიანებული უყურებდა, როგორ დადიოდა ოთახში, შეუცდომლად გამოადებდა საჭირო უჯრას, მისის რობერტის ნაჩუქარი კარადიდან გამოიღებდა თეფშებს. ეტყობოდა, თვალზე ცრემლი ჰქონდა მომდგარი, მაგრამ მტკიცედ გადაეწყვიტა არ ეტირა. ახლა უკვე ცხადია, უნდა დასორდებოდა უცებ არ შეიძლება, ეს ნელ-ნელა უნდა მოხდეს, რაც უფრო ნელა იქნება საჭიროებს მეიზი უფრო ადვილად გადაიტანს, თუ ტობი ნელ-ნელა ჩამოშორდება. დროდადრო ინტიმური სიახლოვეც ექნებათ, იშვიათად, სანამ მთლად არ დასორდებიან. ტობის გულზე სევდა შემოაწვა, მაგრამ თვითონ არა გრძნობდა თავს დამნაშავედ: მეიზის რომ არ შეეწყვიტა წერილების წერა რამდენიმე თვით, ალბათ ყველაფერი სხვა-ნაირად იქნებოდა. ამაში როგორც იყო დაარწმუნა ტობიმ თავი.

— კლერი როგორ არის? — ჰკითხა ზურგშექცევით მდგარმა მეიზიმ.

— კარგად. საერთოდ კი არ აწყენდა, სადმე სამუშაოდ მოწყობილიყო.

— მე მივტოვე სამუშაო, მაგრამ შემძლია დავბრუნდე. მსურველები რაღა თქმა უნდა, არა ჰყავთ.

მაგიდა გაწყობილი იყო და მეიზიც თითქოს დამშვიდდა. ტობიმ მისთვის ჩვეული ოპტიმიზმით დაასკვნა, რომ მეიზი დაამშვიდა მისმა დაუდევარმა ტონმა, როცა კლერზე ლაპარაკობდა.

— დღესვე დაბრუნდები?

— არა, უპასუხა მეიზიმ, სულაც არ მზიბლავს სიბნელეში მანქანის ტარება, შენც ხომ იცი, ღამე დასთან დაურჩები.—ტობიმ მოწონების ნიშნად თავი დაუქნია.

— გშია?

— ისე რა.

ჭამას რომ მორჩნენ, ტობიმ გაიტანა თეფშები თავის ჰატარა სამზარეულოში. იქიდან ნაკლული ღვინის ბოთლი წამოიღო და ისევ მეიზის მიუჯდა გვერდით.

მწვანე ლამპა რბილად ანათებდა.

— ეს ხომ ჩემი საჩუქარია, — თქვა მეიზიმ.

— ნუთუ გგონია, რომ დამაუიწყდა?

უცებ მეიზის აღმოხდა:

— ბოლოს და ბოლოს ვილაპარაკებთ თუ არა?

ტობიმ მაშინვე არ უპასუხა.

— თღონდ ახლა არ გვინდა, ისე კარგად ვართ, მყუდროდ. შენ საკმაოდ მიკაბულ-მოკაბული წერილი მომწერე, მეც ისევე გიპასუხე. მოდი, დავივიწყოთ ეს. იამაიგაზე მიაძბე რამე.

მაგრამ ტობის ტვინში უკვე ამუშავდა შეშფოთების სიგნალი: მეიზის უნდა გაიგოს, რას ფიქრობს, ტობი კი ნაწილობრივ თუ ჩაახედებს სხვას თავის გულში. ახლავე უნდა ჩავიწვიხო ლოგინში, ამით ახსნა-განმარტებას ავიცდენო, გაიფიქრა მან. ამავე დროს, საოცარი სიმწვავეთ შეიგრძნო, რა მომნიბვლელი იყო მეიზი თავისი ოქროსფერი სიმშვენიერით. იგი წამოდგა, რათა ჭალი აენთო, შეეშინდა, ძველი გრძნობები არ აღმცძრას ამ მწვანე შუქმალ. მერე ისევ დივანზე დაჯდა და მეიზის მიუაღერსა. მეიზი მუდამ მხურვალედ პასუხობდა ტობის აღერსს, მაგრამ ახლა მისთვის უჩვეულო სიმკაცრით ჰკრა ხელი.

— ტობი, არ შეიძლება გაუთავებლად თავის დაძვრენა. როგორ ფიქრობ, გაგვგრძელოთ ჩვენი ურთიერთობა?

— რატომაც არა. რაღაც ვერ გაეიგე, რისი თქმა გინდა.

— რისი და, ვითარება შეიცვალა. მე სიმართლეს ვუსწორებ თვალს და მუდამ ვუსწორებდი. შენ სწორედ ეს არ მოგწონს ჩემში.

— შენი ყველაფერი მომწონს.

— რით გათავდება ეს?

— გოგონი, არ გეჩვენება, რომ დასასრულზე ლაპარაკი ნაადრევია?

— არა, არ მეჩვენება. ჩემს წერილში მთლიანად გავამჟღავნე ჩემი გულის-ნაღები. შენ კი არაფერი გაგვიმხელა. არც ერთხელ. და თუ ოდესმე შეგიძულე, სწორედ ამისთვის შეგიძულე. მე თვითონ ჩავიყენე თავი არასახარბიელო მდგომარეობაში და ამის გამოსწორება აღარ შეიძლება. მე ნათლად გაჩვენე, როგორ მიყვარხარ, ხოლო შენ მაჩვენე, რა პატარა ადგილი მიჭირავს შენს გულში.

— დამშვიდდი, — უთხრა ტობიმ. — სისულელეა და მეტი არაფერი.

— არ არის სისულელე! — მეიზის თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე; მაგრამ არა ტიროდა. — შენ არ გიყვარვარ, მე კი მიყვარხარ. განა ადვილია ამის თქმა? დედა იტყვოდა, თავის დამცირებააო, მაგრამ მას არაფერი გაეგება სიყვარულისა.

— მე არ შემიძლია მაღალფარდოვნად ლაპარაკი, — გაწეღვით თქვა ტობიმ, — მაგრამ, მართალი ვითხრა, მეგონა, უკეთ მიცნობდი. შენზე მზე და მთვარე ამომდის. მაგრამ ჯერ ვერაფერს გადაწყვეტ, ჯერ არა ვარ მზად: არც იმისთვის, რომ ისტორია მივატოვო, არც იმისთვის, რომ საბანკო საქმეში ვცადო ბედი. თავისუფალი უნდა ვიყო, რომ ყველაფერში გავერკვე.

— მეც მანიჭებ თავისუფლებას? როგორ ფიქრობ?

— გარკვეული თვალსაზრისით ორივე თავისუფალი ვართ. მაგრამ მე მინდისარ, თანაც ახლავე.

— მე სახლი არა ვარ, სადაც თავისუფლად შეირბენ და თავს შეაფარებ. ერთხელ და სამუდამოდ დაიმახსოვრე ეს. თუ ღმერთი გწამს, არ დამიწყო ახლა მტკიცება, რომ ძალიან ახალგაზრდა ხარ, რომ ჯერ ადრეა შენთვის დაოჯახება... იმდენჯერ იმეორებ ამას, რომ ლამის თოთო ბავშვი მგონიხარ. მე გარკვეულობა მინდა, მინდა ვიცოდე, საით მივდივარ. შენ კი, მგონი, ვერსადაც ვერ მიმიყვან.

ტობი შეეპასუხა: მე დრო მჭირდება, შენ კი ჩქარობ და ეს აუტანელი ხდებაო.

— პირიქით, შენ თვითონ ჩქარობ, მოთმინება არა გყოფნის, რომ გაიქცე. მე ამას ვერ ავიტან. მაგრამ თუ შევძლებ ამის ატანას, სჯობს, დროზე გავშორდეთ. ამ ფარსის გაგრძელება აღარ შემიძლია.

იმდენად არა ჰგავდა მეიზი საკუთარ თავს, რომ ტობას იმ საღამოს პირველად გაეცინა.

— გეყოფა ახლა, საყვარელო, — ძალიან იშვიათად მიმართავდა ასე. — დიდი აურზაური აქტუხეთ არაფრის გამო. სხვა რა დავარქვა ამას, არც ვიცი.

— იქნებ შევცდი, რომ არ მოგწერე, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ შენ არ გიყვარს, როცა თავს გაბეზრებენ (მართაღს ამბობს, არ უყვარს ეს).

— წამოდი, დაწვეთ.

— არ წამოვალ, არ მინდა.

— გინდა.

აქ კი აფეთქდა მეიზი:

— როგორ ბედავ, ჩემს მაგივრად გადაწყვიტო, მე რა მინდა და რა არა!



ეროვნული
ბიზნესცენტრი

— ჩუმად, ჩუმად.

— ახლავე გექნება სიჩუმე, მე მიუღივარ. ყველაფერი დამთავრდა, ხომ?

— არა, თუ შენ არ გინდა.

— ჯანდაბას! შენ კარგად იცი, რომ მე არ მინდა, შენ გინდა.

— თუ ასეა, მაშინ ნურც შენ გადაწყვეტ, მე რა მინდა და რა არა. მე მოგწერ ან დაგირეკავ და იქნებ უფრო დალაგებით ვილაპარაკო. ^{რამე მგონი, ვერ იტყვი, რომ დღევანდელი ჩვენი საუბარი საღი აზრით იყო ნაკარნახევი.}

ტობის არა სჯეროდა, რომ მეიზი წავილოდა. მაგრამ მან პალტო ჩაიცვა, ქუდი დაიხურა და ერთადერთ პატარა სარკესთან შეისწორა. ტობის კოცნას ცივად უპასუხა.

— ნუ სულელობ, — უთხრა ტობიმ საბოლოოდ.

მეიზი რომ წავიდა, ტობიმ მწვანე ლამპა ჩააქრო.

საშობაოდ ტობიმ მეიზის შარფი გაუგზავნა, მეიზიმ — „ჰერცოგ ბერიელის ცხოვრება“, ძვირფას, სასაჩუქრო ფუტლიარში. ერთმანეთს მადლობა გადაუხადეს წერილობით, მერე ტობიმ მისწერა და მშობლების სახლში ჩაიხუ დაპატიჟა. დედის დაჟინებული თხოვნით მოიწვია. მისის რობერტსმა იგრძნო, რომ მათ ურთიერთობაში ბზარი გაჩნდა.

მეიზი ჩამოვიდა, მაგრამ კარგი არაფერი გამოსულა აქედან. მისის რობერტსს ჩვეულებრივ ალერსიანად ექცეოდა, მისი საქმეებით დაინტერესდა, ტობისთვის კი ზედაც არ შეუხედავს.

მეიზი ლამის ენად გაიკრიფა: მალე ეღუარდის ახალი პიესა დაიდგმება, რომელზეც დიდ იმედებს ამყარებსო. ეს პიესა თანამედროვეობაზეა, მაგრამ „სამზარეულოს ნიჟარის“ თემაზე უარი თქვა, თუმცა „სამზარეულოს ნიჟარის“ სკოლას, როგორც თვითონ იწინასწარმეტყველა, კრიტიკა აქებს და ადიდებსო. პიესაში გამოყვანილი ჰყავს მოღური სალონის დიასახლისიო.

— ეს სახე, რა თქმა უნდა, დედაჩემმა შთააგონა, მაგრამ გმირი ქალი სრულიად არა ჰგავს მას. ეღუარდმა ჰკითხა დედას: წინააღმდეგი ხომ არა ხართო. დედა ვითომ გაჯავრდა, მაგრამ სინამდვილეში აღფრთოვანებულია.

მეიზიმ მისის რობერტსის ყველა ახალი სურათი ნახა და ძალიან მოეწონა. მისის რობერტსი მღუმარედ უსმენდა, ცდილობდა არ გამორჩენოდა არც ერთი ჩვრილმანი, რომელიც მისი ნახატების წარმატებას მოასწავებდა. მისტერ რობერტსი ძალიან ალერსიანად ექცეოდა მეიზის.

— ძალიან იშვიათი სტუმარი გაგვიხდით, — უსაყვედურა მისტერ რობერტსმა. — რამდენიმე თვეა აღარ გამოჩენილხართ. სიგარეტი აიღეთ. სადმე ხომ არ მიდიხართ თქვენ და ტობი?

მეიზიმ რაღაც მოიმიზეხა და ცოტა ხანში წავიდა.

— ალბათ უკანასკნელად ვნახე, — თქვა დედამ.

— რატომ გგონია? — დაუდევრად ჰკითხა ტობიმ.

ამის შემდეგ ტობი და მეიზი კიდევ ორი თვე ხვდებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ მეიზი ტობისთან შინ აღარ მისულა. დადიოდნენ რესტორანში, კინოში, თეატრში.

ტობის ბევრი ფული ეხარჯებოდა. მეიზი ისე იყო ჩაფლული თავის ფიქრებში, რომ ძველებურად აღარ იჟინებდა, ჩემს წილს მე თვითონ გადავიხდიო.

...ეღუარდ კრეინის პიესის — „სალონის დიასახლისის“ პრემიერა დიდი

წარმატებით ჩატარდა. უამრავი მაყურებელი მიაწყდა თეატრს. კრეინმა ორივე დაპატიჟა, მაგრამ პირველ წარმოდგენაზე არ მისულან, ყოველი შემთხვევისათვის ერთი კვირა დაიცადეს.

ტობის ნათქვამისა არ იყოს, მათ მართლაც სხვადასხვა მხარეს მიაცურებდა დინება, მათი თითები ალბათ აღარ ჩაეჭიდებიან ერთმანეთს სამკვლად დიხების აწინააღმდეგოდ ცურვისას.

ერთხელაც, კინოდან რომ გამოვიდნენ, მეიზიმ უთხრა: ერონენული
ზიზლირთქა

— ახლა საბოლოოდ უნდა დავშორდეთ, მე ასე მინდა. აღარც დამირეკო და აღარც წერილი მომწერო. ახლავე თუ არ გაუწევითე ჩვენს შორის ყველაფერი, კელარ გაუძლებ.

— კი მაგრამ, გოგონი...

ახალგაზრდები ერთმანეთის გვერდით იდგნენ გაჩახჩახებულ ქუჩაში.

— ძალიან მჭირდება, რომ საბოლოო სიტყვა მე ვთქვა, გესმის? ასე უფრო გამიადვილდება, — მეიზი ნაჩქარევად ლაპარაკობდა, თითქოს მირბის და სუნთქვა უჭირსო. — იმის ძალა კიდევ შემრჩა, ეთქვა: „ყველაფერი დამთავრებულია“.

მეიზიმ გაუღიმა, ბოლო თვეებში ასე არ გაუღიშია: ნაზად, ალერსიანად. ნბზინაე თმას მსუბუქი სიო უწეწავდა.

— რას სულელობ...

— ჩემი შეყვარება შენ არ შეგიძლია, მე კი მხოლოდ ეს მჭირდება. ჩემი ცხოვრება უნდა ავაწყო. შენთან შეხვედრა მხოლოდ ტკივილს მაყენებს, სიხარულს აღარა მგვრის. აბა, რაღა აზრი აქვს ასეთ ურთიერთობას.

მეიზიმ ლოყაზე აკოცა, სწრაფად შებრუნდა და კოვენტ-გარდენისკენ წავიდა. ტობიმ თვალი გააყოლა, არა სჯეროდა, რომ ყველაფერი გათავდა, სადღაც ბუნდოვანი იმედი კიდევ ჰქონდა. ყოჩაღ, მეიზი, მე ასე უცებ ვერ გადავწყვეტილო, გაიფიქრა. მეიზის რომ არ ეთავა ეს, მათი ურთიერთობა ბჟუტვა-ბჟუტვით ერთხანს კიდევ გაგრძელდებოდა და ბოლოს ჩაქრებოდა. მაგრამ იქნებ მეიზიმ კიდევ მოსწეროს და სთხოვოს: დაივიწყე რაც გითხარიო. ან იქნებ ტობიმ თვიონ მისწეროს?

მაგრამ ტობიმ იცოდა, რომ ყველაფერი დამთავრდა, და გული დაუძძიმდა. მეიზი არც დაიჯერებდა ალბათ ამას.

ტობი კემბრიჯში პირქუში და გულდამძიმებული ჩავიდა.

ბობს და რიტას ისე ეჭირათ თავი, თითქოს მათ შორის არაფერი მომხდარიყო. პატარას ჯერ არ ეძინა და საყვარლად დაბაჯბაჯებდა ოთახში. ამჯერად რიტა თითქოს მეტ ყურადღებას აქცევდა ბავშვს, რადგან ახლა უკვე შეიძლებოდა მისი გამოპრანჭვა. ბობი კი აღმერთებდა ბავშვს.

როცა რიტამ გოგონა დასაძინებლად წაიყვანა (მოახლე აღარ ჰყავდათ), ბობმა უთხრა:

— არ ვიცი, რა გამაძლებინებდა, ბავშვი რომ არა მყავდეს. მეორეც მინდა, მაგრამ რიტა არ მეთანხმება. თანაც ახლა მაინცდამაინც კარგად არა გვაქვს საქნე. საერთოდ კი არაფერი გვიჭირს, მაგრამ არც ისე ვართ, რომ მეორე გააჩინოს. ბოლო დროს რაღაც არავის ვხვდებით. ედრიანისგან არაფერი ისმის, ეტყობა, არცა აქვს წერილების წერის სურვილი... მეიზი როგორ არის?

— საბოლოოდ დავშორდით.

ბობმა თვალები დააჭყიტა.

— როგორ? მე კი მეგონა, განუყრელები იყავით.

— და მაინც დავშორდით.

ამ დროს რიტა შემოვიდა და თქვა, სადილი სადაცაა მზად იქნებაო.

ამბობენ: არ გათუთრდება ყორანიო, და ტობიც მალე დარწმუნდა ამ ანდაზის იმართლეში. სადილის დროს, რომელიც საშინლად უკემური იყო, რიტა გაუთავებლად უჩიოდა ქმარს: ბობს ხავსი მოეკიდა და რა აზრი აქვს ახალი ვაბების ყიდვას, მაინც ვერ ამჩნევსო.

ტობის გაეღიმა.

— ზოგჯერ ხდება ხოლმე, კაცი ყველაფერს ამჩნევს, მაგრამ მხოლოდ არ მიაჩნია, მაინცდამაინც აღნიშნოსო, — საქმის გაიოლება სცადა მან.

— ესტელა რომ არა, სამუშაოს მოვძებნიდი. აბა, სახლში რა ვაკეთო, მთელი დღე ოთახიდან ოთახში დაედივარ.

„...ყოველი უბედური ოჯახი თავისებურად უბედურია“, წერდა ტოლსტოი, მაგრამ ტობიმ გაიფიქრა: ბევრი უბედური ოჯახი სწორედ ასეა უბედური, როგორც ამათიო. როცა საშუალება მიეცა, ტობი ადგა, გამოემშვიდობა მასპინძლებს და დიდი შვებაც იგრძნო.

სამშაბათს დილაადრიანად ედუარდ კრეინმა დაურეკა. უცნაური ხმა ჰქონდა, ჩახრინწული, თითქოს ნასვამიყო, რაც ამ დილაადრიან შეუძლებელი იყო.

— გადაუღებელი საქმე მაქვს. ხომ არ შეგიძლიათ ამ საღამოს ჩემთან მოხვიდეთ? ასე, ექვს საათზე?

და კრეინმა თავისი მისამართი უთხრა — ჰერტფორდ-სტრიტზე ცხოვრობდა.

— რა თქმა უნდა, შემიძლია. კი მაგრამ, რა მოხდა?

— ეს სატელეფონო ლაპარაკი არ არის, — ედუარდმა ყურმილი დადო.

მთელი დღე ტობის გულს უღრღნიდა რაღაც, თვითონაც არ იცოდა რა... იგი მეორე სართულზე ავიდა, და კრეინის ბინას წინ აღმოჩნდა. დარეკა.

კრეინმა თვითონ გაუღო კარი: მოუქნელი კაცი იყო, ჭაღარა, თითქოს თმაზე ნაცარი მოუბნევიათო, სახეც ნაცრისფერი ჰქონდა.

— შემოდით. — კრეინი ლამაზად მოწყობილ, მაგრამ მოუვლელ სასტუმრო ოთახში შეუძღვა ტობის. — დაბრძანდით. სალაპარაკო მაქვს თქვენთან. საქმე ეს არის, რომ მეიზიმ თავის მოკვლა სცადა... კვირას, ღამით.

ტობი მეხდაცემულივით იჯდა, კრინტი ვერ დაძრა, თუმცა არცა ჰქონდა ამის საშუალება, რადგან კრეინმა მაშინვე განაგრძო:

— ჯერ მე ვილაპარაკებ. ახლა უკეთესად არის, ეს ნამდვილად ვიცი. მაგრამ თავის მოკვლა მართლა უნდოდა, მოსაჩვენებლად კი არა. ხომ იცით, როცა ადამიანი თავს მოგაჩვენებს, თითქოს თავის მოკვლა უნდა და თან იმედი აქვს, მიშველიანო, მაშინვე ეტყობა. ამანდა ორი კვირით პარიზში წავიდა, სტუმრებიდან მე და პიტერი დაურჩით ღამის გასათევად. საღამოს მეიზი სრულიად ჩვეულებრივი იყო, მერე ავიდა თავის ოთახში და ბევრი ასპირინი დალია. საბედნიეროდ, ძალიან ბევრი დალია და ღებინება აუტყდა. დილით მნე ქალმა ჩაი აუტანა და ნახა, რომ მეიზი თავის ნარწყევში იწვა და ისე სუნთქავდა, როგორც ცხენი ჯირითის შემდეგ... — უცებ კრეინი გაჩუმდა. ტობის ღვინო დაუსხა და თავისთვისაც დაისხა. — ახლა სწორედ ესა გვჭირდება, მე მაინც, აუცილებლად, — თქვა მან და მძიმედ დაეშვა სავარძელში. — მაშინვე ექიმი გამოვიძახე და მეიზი მოვასულიერეთ. ამანდას არავინ არაფერს ეტყვის, არც მნე ქალი, არც ექიმი, არც მე. პიტერმა ვერაფერი გაიგო. საერთოდ ასეთი კაცია: თუ უსიაზოვნება იგრძნო, ცდილობს განზე გადგეს. ეს ამბავი არც ერთმა სულიერმა არ უნდა გაიგოს. აქ მეიზი უდრეკია და მართალიც არის. მაგრამ გადავწყვიტე თქვენთვის აუცილებლად შეთქვა.

ტობი შეეცადა აზრი მოეკრიბა, მაგრამ საშინელმა ზმანებამ შეაძრწუნა — ცხადად დაინახა თავისივე ნარწყევში მწოლარე მეიზი.

— არ მესმის, რატომ...

— მე კი მგონია, რომ ძალიან კარგად გესმით, რა თქმა უნდა, ^{გესმით.} — ეღუარდმა დიდი ყლუპი მოსვა და პირდაპირ თვალებში შეხედა ტობის, თითქოს მის სულში კითხულობსო. — ეს საიდუმლოდ უნდა დარჩეს, ^{სამუდამოდ} ~~სამუდამოდ~~ ^{სამუდამოდ} ~~სამუდამოდ~~

— რა თქმა უნდა, მაგრამ...

— არ გეგონოთ, რომ მხოლოდ თქვენ გადანაშაულებთ. ჩვენ ხომ ვერ ვმართავთ ჩვენს გრძნობებს, ან იქნებ ვმართავთ? დარწმუნებული ვარ, რომ ასეა. გადამწყვეტ წამში ადამიანმა უნდა გააკეთოს თავისი არჩევანი.

— მისმინეთ, სერ, მეიზიმ ხომ თვითონ გადაწყვიტა ეს, — ტობიმ ვერც კი შენიშნა, რომ მღვდღვარების გამო ისევ ბატონოთი მიმართა კრეინს.

— დიახ, რათა თავი სიამაყე შეენარჩუნებინა. ჯერ ძალიან ახალგაზრდაა და მის მიერ გადადგმული ეს ნაბიჯი ძალიან მნიშვნელოვანია მისთვის, — კრეინის ხმაში თანაგრძნობა გაისმა. — თქვენ ალბათ გული გეტკინათ. თუმცა, თქვენ ხომ თქვენა ხართ, — აქ უკვე თანაგრძნობა აღარ ჩანდა, — და გულისტკივილი მალე გაგივლით. ტობი, თქვენ ხომ ყველაფერი სწრაფად გაგივლით ხოლმე, ასე არ არის?

— ახლავე წაკალ მეიზისთან.

— არაუითარ შემთხვევაში! ნებას არ მოგცემთ! მისთვის ახლა ნამდვილად არ არის საჭირო თქვენი ჩასვლა. აქამდე რატომღაც ეგონა, რომ ნამდვილი არ იყო თქვენი დაშორება, ახლა კი იცის, რომ სამუდამოდ დაშორდით. მეიზი პატარაობიდან მიყვარდა და არ მინდა, დაიტანჯოს. პირდაპირ გეუბნებით: გუნებაშიც არ გაივლით, რომ დროდადრო მასთან ივლით და ისეთ უდარდელ სახეს მიიღებთ, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. — ტობის ხმა არ ამოუღია, ვისკიანი ჭიქა ხელუხლებელი იდგა მის წინ ფერფლით სავსე მაგიდაზე. — კლერთან წადით თუ სურვილი გაქვთ.

კლერთან? ნეტა საიდან გაიგო ეს ამბავი? შეშინებულ ტობის ერთი წუთით მოეჩვენა, რომ ეღუარდმა ყველაფერი იცის მასზე (და მუდამ იცოდა), ჯერ კიდევ იმ დღეებიდან, როცა ტობის რაღაც იმედი ჩაესახა, რომ მათი წრის ხალხს დაემსგავსებოდა, იმედი, რომელსაც ბოლო მოეღო, როცა დედამისს წარმატება ხვდა. და მაინც, ეს მხოლოდ ეღუარდის ვარაუდია, ნამდვილად კი არაფერი იცის.

— ჩემი და კლერის ურთიერთობაზე მეიზი მუდამ ცდებოდა.

— შესაძლოა. მაგრამ მან მიაგმო თქვენი კლემსფორდში ვიზიტების შესახებ.

ტობის თითქოს ცხელი წყალი გადაასხესო. მაშ, ვასცა იგი, მის ინტიმურ ამბებზე ელაპარაკებოდა ეღუარდს. როგორ უამბო ასეთი რამ ხანში შესულ კაცს?

თითქოს მხრებიდან მძიმე ტვირთი მოიხსნაო, თავისთავად დიდი და მძიმე ეღუარდ კრეინი ახლა მსუბუქად იჯდა, იგრძნობოდა, რომ აღარ იყო ისე დატვირთული.

— არა მგონია შემცდარიყოს. თუმცა იქნებ მართლაც შეცდა. ასეა თუ ისე, სწორედ ამან იმოქმედა ყველაზე მეტად.

ტობიმ მთელი მგზნებარებით, რაც კი გააჩნდა (ეს ნიშნავს, რომ მაინცაღა-ნაინც დიდი მგზნებარებით არა), ჰკითხა:

— სულ გამოიჯობინდა?

— დიახ, უკვე წამოდგა. მაგრამ ახლა არ შეიძლება მისი შეშფოთება, გესმით?

— მაშ, რაღად მიაშბუთ ყველაფერი?

— იმიტომ, — დინჯად უთხრა ედუარდმა, — რომ სიმძიმის რაღაც ნაწილი თქვენც უნდა იტვირთოთ. თუმცა ფორმალურად ვერაფერს გისაყვედურებთ, დიახ, ვერაფერს. უსამართლო ვარ თქვენს მიმართ? რას იზამ, მე ხუჭყრად ვარ უსამართლო, მაგრამ საქმე ის არის, რომ მეიზი განსაკუთრებულნი ~~სადასმინია~~ არ ვიცი, ბოლომდე ჩახვდით ამას თუ არა.

— რა თქმა უნდა, ჩავხვდი.

— და მაინც, ისე არა, როგორც ისინი, ვინც ბავშვობიდან იცნობდა, ვთქვათ, როგორც მე, — და ედუარდი ფიქრებში ჩაეფლო, თან ვისკიან ჭიქას ატრიალებდა ხელში. ჭიქაში წარმოქმნილი ოქროსფერი რკალი ჰიპნოზივით იზიდავდა ივალს. — ამას იმიტომ გეუბნებით, რომ მომავალში მეტი პასუხისმგებლობით მოექცეთ ადამიანებს. თუმცა ნამდვილი სიყვარულით ჯერ ვერავის შეიყვარებთ, რადგან მეტად ახალგაზრდა ხართ. სიყვარული სიმწიფეში მოდის.

— იქნებ წერილი მივწერო?

— არ გინდათ. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თვითონ მოგწერთ, რაშიც ეჭვი მეპარება. შეეცადეთ უფრო კეთილი გახდეთ, ამას ძალიან გვიან ვითვისებთ ხოლმე, ზოგჯერ — სულაც ვერა.

ორივენი მღუპარედ ისხდნენ ნახევრად ბნელ სასტუმრო ოთახში, რომელსაც მხოლოდ სურათების ზემოთ დამაგრებელი ნეონის მილები ანათებდა.

— თუ შეგიძლიათ, ბედნიერი იყავით კლერთან, — ჩაილაპარაკა ბოლოს ედუარდმა, — თუ მას სჭირდებით. მე კი მგონია, რომ სჭირდებით. ამიერიდან სომ თავისუფალი ხართ. შეიგნეთ ეს უკვე თუ არა?

ედუარდი ადგა, მიანიშნა, რომ საუბარი დამთავრებული იყო, და ტობიც წამოდგა.

— ნახვამდის. — ტობის ჯერ ნახევარი კიბეც არ ჩაევლო, რომ ედუარდმა კარი მიაჯახუნა.





თარგმნა დელა მატჩიველმა

ათანასე ფატი

კველი წერილები

უხმო მოწმენო ჩემი მზის და მთვარის ნათების,
დავიწყებული, დამტვერილი ჩემს წინ აწყვიხართ
და ცოცხლდებიან ანგელოზისდარი ნაკვთები
სახის, რომელიც, რა ხანია, გადამავიწყდა.

თქვენ ძველებურად სიყვარულით და ნდობით სუნთქავთ,
ახალგაზრდული შეგრჩენიათ სიწმინდე, ზიბლი,
დღეს ეს სიტყვები, ჩვენამდე რომ ათასჯერ უთქვამთ,
სირცხვილით მწვავენ და მაწვება სახეზე სისხლი.

თქვენით ვისჯები. მაგონდება წყარო დამშრალი,
მკლავს მონატრება სამუდამოდ დაკარგულისა,
თქვენ გახსოვთ ჩვენი განშორების მკაცრი ზამთარიც,
აფეთქებული გაზაფხულიც ჩემი სულისა.

დაუფიქრებლად მოვიშორე თქვენი დამწერი,
გულით მინდოდა, ვერ გავეჭეც ბედს მოთარეშეს,
რად დავიჯერე, თითქოს ქვეყნად არის ნათელი
ღვთით ბოძებული სიყვარულის გრძნობის გარეშე.

თქვენ მილიმით და სიყვარულზე მეჩურჩულებით,
თვალეებში მიცქერთ და გულს გული ისევ ენდობა,
მაგრამ ვერაფერს დააბრუნებს ცხელი ცრემლები
და არ არსებობს, არ არსებობს ჩემთვის შენდობა.

ყურში მიწივის ახლაც ხმები შენი ტირილის,
წლები გავიდნენ, გულში დარდი ვერ გამოვლიე
და მესიზმრება შენს სახეზე ნაზი ღიმილი,
როცა ჯალათმა სიყვარულზე დაგიყოლიე.

დრო მიდიოდა, სიხარული გვედგა თვალეში,
 ბედნიერებმა არ ვიცოდით, დარდი რა იყო,
 მაგრამ განგებამ გადამხეწა უცხო მხარეში
 და სამუდამოდ ჩვენი გზები ორად გაიყო.



„მიდიხარ?“ – მკითხე, ხელზე თბილი ხელი შემახე,
 ვერ შემოგხედე, თვალეხს მჭრიდა ცრემლებს ბრწყინვალე
 და ჩემმა თეთრმა ღამეებმა შემოინახეს
 შენი თრთოლვა და წამწამებზე სპეკალი ორი.

ჩურჩული და ჩქროლვა გულის,
 ოხვრა, ხეთა შრიალი,
 ვერცხლისფერი ნაკადულის
 ვერცხლის ხმაზე წკრიალი,

შენი სახე საყვარელი,
 როგორც ღმერთის წყალობა,
 ღამე, მთვარე, ვარსკვლავები,
 ბუღბუღების გალობა,

შორს, ღრუბლებში ბრწყინვა ქარვის,
 ელვა ვარდის მაისის,
 კოცნა, ცრემლი, ფორიაჟი
 და აისი, აისი!

მაისის ღამე

ცაზე ღრუბლები მიცურავენ
 უკანასკნელი,
 გზად ეგებება მათ ნამგალა
 მთვარის ნათელი.

მაისის ღამეც, ანთებულო
 ოქროს ფერებად,
 შენ მპირდებოდი ამქვეყნიურ
 ბედნიერებას.

ის კი მიწაზე ვერსად ვპოვე, –
 კვამლად წავიდა
 და სული ეძებს ზეციურ გზით
 დასაბამიდან.

ისევ მაისის ღამე

ო, რა ღამეა, კვირტთა სკდომის ხმები გაისმის,
მშობელი მხარევ, გაზაფხულის მოსვლა გედირსა,
აჰა, მოფრინავს მშვენიერი შენი მაისი
თოვლის, ყინულის და ქარიშხლის საბრძანებლიდან.



ო, რა ღამეა, ვარსკვლავები ანთია თეთრად,
ყველა მათგანი სულში გწვდება, საცქერად ამო,
ხოლო ჰაერში, ბუღბუღების რაკრაკთან ერთად,
განფენილია სიყვარულიც, შიშიც მის გამო.

თეთრ არყის ხეებს ნეტარების ცრემლი ჩამოსდით,
თან ენახებათ ზამთრის ძილთან გამოთხოვება
და, ვით პატარძალს, საზეიმო კაბა-სამოსი
უხარიათ და, ამავე დროს, ეუცხოებათ.

მაისის ღამევ! უსხეულო მგონია თავი,
სულ მოვითენთე, მეძნელება თვალის გახელა,
მოვიდა ჩემი უნებური სიმღერის წამი,
კვლავ შენ გიმღერი და, ვინ იცის, უკანასკნელად!

●
ცხოვრება წავიდა უკვალოდ,
სული კი იწვოდა უკვამლოდ,
ვინ იცის, რა ჰქონდა მიზნად?
გაქრა ოცნება და იმედი,
ხოლო დაწყვეტილი სიმები
მიწაზე ცვივიან ციდან.

ასე ქარიშხლისგან ძლეული
თოვლი, ნამქერებად ქცეული,
ტოვებს გაშიშვლებულ მინდვრებს,
ბინას ტყის სიღრმეში დაეძებს
და ცივ, სამუდამო სარეცელს
ვერცხლის სიჩუმეში იგებს.

●
უკვე დაღამდა, როგორც იქნა, დავრჩით მარტონი.
შეხედე! ზეცა არაქაურ სიწმინდით ელავს,
ახლა ღამეა ამ მიდამოს ბატონ-პატრონი,
მდინარეს გულზე აბნევია ვარსკვლავი ყველა.

ასეთ წუთებში ვერ აზროვნებს საღად გონება,
შეშლილს მიწოდებ და გრძნობები მართლაც შემშლიან.

სიყვარულს უხმობს ყველა ფიქრი და მოგონება,
ვერ გაუჩუმდება — არ მინდა და არც შემძლია.

მე ვიტანჯები, მოწამეა მაღალი ღმერთი,
კარგად მისმინე და გაიგე! — ვნებებს არ ვშალავ,
მე შენ მიყვარხარ და მინდიხარ, შენ ერთადერთი
მე შენ მიყვარხარ და არ ძალმიძს ყოფნა სხვაგვარად.



არ გამიცვლიხარ, თეთრომიანი ისევ მოველი,
სიყვარული და ერთგულება დღეს უკეთ ვიცი
და ძველი ბანგი — სასიკვდილოც, შეუბისმომგვრელიც —
მეც მწვავს და ჩემში თვითონაც იწვის.

თუმცა ყოველდღე უხალისოდ სხვისკენ ვიჩქარი,
მშვენიერად მახსოვს, რომ ჩვენს შორის არის საფლავი,
მე მაინც მჯერა, რომ არა ხარ მხოლოდ სიზმარი,
მაინც მინათებ, როგორც ვარსკვლავი.

თუ წამიერად გაიელვებს სხვა სილაძაზე,
მომეჩვენება შენი სახე მყისვე მთვარეულს,
გულში იღვიძებს ძველებური ისევ სინაზე
და ვოხზავ სიმღერას ცრემლებგარეულს.



ცაცხვებს შორისაც კი აღწევდა მზის სხივი მწველი,
მბრწყინავ ქვიშაში შენ რაღაცას ხაზაუდი ხელით,
მე ვოცნებობდი მომავალზე, ჩვენს შესაფერზე, —
შენ არაფერი მიპასუხე ამ ყველაფერზე.

მაგ მკერდქვეშ ჩემთვის გიზგიზებდა გული — საკირე,
ბედნიერება საკუთარი ჩემთვის გასწირე,
გარწმუნებდი, რომ დამნაშავე არ ვართ არცერთი, —
ამ ყველაფერზე შენ პასუხიც კი არ გამეცი.

გიმტკიცებდი, რომ სიყვარული ჩვენ არ ძალგვიძდა,
გვედრებოდი, რომ წარსულზე დარდი არ ღირდა,
რომ წინ დღეები მოგველოდა, მზით დანაფერი, —
შენ არაფერი მიპასუხე, სულ არაფერი.

თვალს ვერა ვწყვეტილი გაყინული შენი სახიდან,
ღრმად დაპარხული საიდუმლოს მსურდა წაკითხვა.
მაპატიე, თუ დაავიწყე ჩემი სახელი? —
სულ არაფერი მიპასუხე, სულ არაფერი.

ანა ახმატოვა



●

გზა წვიმისგან ლაპლაპებდა,
ქარი ურჩობდა,
გაცილების ნება მთხოვა
ვიღაც უცნობმა.

ღავთანხმდი და დამავიწყდა
მისთვის შეხედვა,
მერე დიდხანს მის ნაკვალევს
გული ეძებდა.

ქუჩა ჩანდა ნისლში, როგორც
გუნდრუკნაკმევი,
მის ღიღინში კი ისმოდა
სტეპის ჰანგები.

ახლაც მახსოვს ძველ ჭიშკართან
გზის დასასრული,
სიმღერებით ამიშალა
დარდი ფარული.

ღვიძლ ძმასავით მომაწოდა
ჯვარი სპილენძის,
შემარყია, შემირხია
გულში სიმები.

შეჩერებაც ვერ მოვასწარ,
დავიგვიანე,
სად ხარ, ჩემო თანამგზაურო,
შემეხშიანე!

●

უკვე დაეშვა ღუმილის ფარდა
და სიყვარულიც ხელში მიქრება,
ერთი იმედით ნაკლები დამრჩა, —
ერთი სიმღერით მეტი იქნება.

ადარ ბილიკობს შენსკენ ბილიკი.
ისიც იქცევა დაცინვის საგნად
(ბრბოს სხვის გრძნობებზე უყვარს ქილიკი!),
სულში კი მეფობს ტკივილი, რადგან

●
 ოცდაერთი რიცხვი. ორშაბათი. ღამე.
 სიზმარულ ნისლში გახვეული ქალაქი.
 აძიხსენით ვინმემ, ო, მითხარით რამე, —
 ვინ შეთხზა, რომ არის სიყვარული მარადი.



უსაქმობის გამო ეს იწამა ყველამ
 და გონების საღ ხმას აღარავინ იგონებს,
 სიყვარული უნდათ, სიყვარულის სჯერათ,
 სიყვარულზე წერენ გულისმომკვლელ სტრიქონებს.

დაინახა ცოტამ ამ ყველაფრის მიღმა —
 სიყვარულის მითი ხალხის მონაგონია...
 მეც შემთხვევით ამას გადამყარა ფიქრმა
 და მას შემდეგ თავი ავადმყოფი მგონია.

●
 გემალეები. უშენობას მიქარვებს
 სივრცე ნაირფერადი.
 განშორებას გადავიტან როგორმე,
 შეხვედრას კი ვერასგზით.

●
 ცივი და ბასრი შენი სიტყვები
 ჯერ ცოცხალ გულზე ღოღად დამეცა,
 ვერ ვიტყვი, თითქოს არ მოველოდი,
 თითქოს იმედის ბოძი წამექცა.

ღღეს ბევრ საქმესთან მომიწევს შებმა:
 უნდა ვისწავლო მარტო ცხოვრება,
 უნდა წავშალო ხატი, რომელიც,
 მეგონა, მუდამ შემახსოვრება.

ფანჯარასთან დგას ცხელი ზაფხული,
 ფანჯრის მინაში მზის სხივი ბრწყინავს...
 დიდი ხანია, გული ხედავდა
 ამ ნათელ ღღეს და ცარიელ ბინას.

●
 წამოსასხამქვეშ თითებს იმტვრევს...
 „რატომ გაფითრდი?“
 დარდით დაუათვრე. ძლივს გადადგა
 ზღურბლზე ნაბიჯი.

რამ დაძვიწყოს — სახე ჰქონდა
ტანჯვით შეშლილი.
უკან მივლევდი გონს მოსული,
გულგახეთქილი.

„არ დაიჯერო. მე ვიხუმრე.
მიყვარხარ. დარჩი.“
მოტრიალდა და მშუიდად მითხრა:
„ნუ ღვახარ ქარში.“



გ ა ნ ხ ე თ ქ ი ლ ე ბ ა

არა დღეებმა, არა თვეებმა,
ჩვენ განშორების წლებმა დაგვლალა,
ძვირად დაგვიჯდა თავისუფლება —
საფეთქლებს ამკობს უკვე ჭაღარა.

ბოლო მოედო გაცვლას, გაცემას
და აღარ ისმენ უკვე დილაბდე,
როგორ იქცევა თავისმართლებად
უღარებელი ჩემი სიმართლე.

2.

როგორც ეს ხდება განშორებისას,
მოგვაგონდება შეხვედრის წამი,
უკანასკნელად იმღერებს ჩიტნი,
გასპეტაკდება ყოველი წამი.

თუმც სიხარული წარსულს მიბარდა,
ყინვამ დაგვაზრო გულისგულამდის,
გავვახსუნდება, როგორ გვიყვარდა
და ერთმანეთზე როგორ ვზრუნავდით.

3.

უკანასკნელი სადღევრძელო

ესვამ სადღევრძელოს დაქცეულ სახლის,
მწარე ცხოვრების,
ერთად ყოფნისას მარტოობის,
შენთვის ბრძოლების,
ტყუილს და დალატს ნაჩვევ ბაგის,
ცივი თვალების,
თვით ღმერთისაგან მიტოვების,
არდახმარების.

●
 სულ დაგვივიწყეს მზის სხივებმა,
 ყვითლდება ბალახი
 და უსიცოცხლო მინდვრებს ფარავს
 ჭყაპი და ტალახი.



ვიწრო არხებში წყალმა უკვე
 ხმაური შეწყვიტა
 და ნაადრევი თოვლის ფიფქი
 მეფურქვევა ზეციდან.

ტირიფმა ჩრდილი ჰორიზონტზე
 მარაოდ მოჰფინა,
 ვინ იცის, იქნებ ასე სჯობდა —
 შენი არ ვყოფილვარ.

მზის ოქროსფერი ათინათი
 ნატვრად მატკვს ქცეული,
 ამალამ, ალბათ, მობრძანდება
 ზამთარი გრძნეული.

●
 შეაღერსება აპრილი ნაზად,
 სალამო რძისფერ ნისლში ეხვევა,
 თუმც მრავალი წლით დაგავვიანდა,
 მუ მიზარია შენთან შეხვედრა.

მაგრამ არაა იქნებ გვიანი —
 შენმა თვალებმა სულ სხვა რამ მამცნეს...
 აჰა, რვეული ცისფერყდიანი
 ჩემი ბავშვური ლექსებით სავსე.

მაპატიე, რომ დარდი მათრობდა,
 არ შევხაროდი ნათებას მზისას,
 მაპატიე, რომ ძალიან ხშირად
 შენად ვიღებდი სიყვარულს სხვისას.

●
 ღრუბლები, ნაკვეთი უხეშ საჭრეთელთ
 ირევიან ცაზე და თავისას წუხან,
 ხოლო ამ ტყე-პარკში ერთადერთი მუხა
 ჯერ უღონო ყლორტთა ამწვანებას ელის.

მე მახარებს ახლა: ეს სენაკი ვიწრო,
შუალამით ისევ ცისკრის სხივთა ფენა,
ო, რა კარგად მესმის მცენარეთა ენა, —
ყველა ხე და ბუჩქი მოფერებას ითხოვს.

მე მახარებს ახლა: ამ ტყე-ღრეში ყოფნა,
რალაც მშვენიერზე მომღერალი ჩიტი,
უბადრუკი, ოდნავ ჩაზნექილი ხიდი
და ისიც, რომ დიდხანს არ მომიწევს მოცდა.



სულ უბრალოდ და მარტივად ვცხოვრობ,
ცას ვუცქერ და ღმერთს მადლობას ვუხდი,
ოღონდ ძილის წინ ესეირნობ დიდხანს,
რომ მოკვრიო უაზრო წუხილს.

ჩუმად შრიალებს ოროვანდები,
ცირცელს მტვენების სიმძიმე ღუნავს,
მე კი ლექსებით ვეხმეიანები
ცხოვრების სწრაფ და ცვალებად ბრუნვას.

ხელებს მილოკავს ფუმფულა ფისო.
ებრუნდები. ვრითმაც ამბავს მოგონილს
და ტბის ნაპირებს გადანთებული
წითლად ანათებს ღამეს კოცონი.

მხოლოდ ხანდახან სიჩუმეს გაჰკვეთს
ყარყატი. გულმა კი რა იღონოს?
ახლა კარებზე შენი კაკუნი
მე შეიძლება ვერც გავიგონო.



მოკლე და მკვეთრი მისი სახელი.
მესმის. მუხლები მეკვეთებიან,
ხოლო თვალები ღამენათევი,
შეგვიბრალეო, მევედრებიან.

დავხეტიალობ. ბილიკს დავეძებ
მოჭრილ მორებში, მინდვრებზე, ხნულზე,
ნიავეს კი ახლავს ის სურნელება,
როგორც სჩვევია მას გაზაფხულზე.

ადარ მიდგება გული საგულეს,
ფიქრით დავყვები შორეულ გზებზე:
ის ცოცხალია, ის მხიარულობს,
ის ბედავს, სულაც არ წუხდეს ჩემზე.



უკანასკნელად შევხვდით მაშინ სანაპიროზე,
 ნევესთან ახლოს — როგორც ყოველთვის.
 ლაპარაკობდი ზაფხულზე და იმაზე, თუ რა
 უაზრობაა ქალი პოეტი.



ქართული
 ეროვნული
 ბიბლიოთეკა

ო, როგორ მახსოვს პეტრე-პავლეს ციხესიმაგრე
 მეფის სასახლე — გუმბათმაღალი.
 ქალაქში რაღაც საოცარი იდგა სინათლე
 და მალღებოდა ნევაში წყალი.

მეჩვენებოდა, თითქოს გულმა შეწყვიტა ძგერა,
 ხოლო გარემო სამოთხეს ჰგავდა
 და მე ვძლეროდი უკანასკნელ შემლილ სიმღერას,
 ვაი, რომ შენი დაკარგვის ფასად.



სულერთია, სად მოვიწყენ —
 მოწყენისთვის არ არსებობს ზღუდე.
 ბორცვის ძირას წისქვილი თვლემს
 და აქ წლობით შეიძლება დუმდე.

დასტრიალებს აბრეშუმას
 ფუტკარი და ბზუილით კვეთს სივრცეს,
 ტბორთან ვდგავარ, აღს ვეძახი,
 ის კი უკვე მკვდარიაო, მითხრეს.

ტბორი, ყლარტით დაფარული,
 დამშრალია, ენატრება ნაში.
 მოცახცახე ვერხვის ფოთლებს
 მოვარის შუქი ავარაყებს ღამით.

ვეღარა ვცნობ აქ ვერაფერს,
 აღვა ცრემლებს მარგალიტად იხზამს.
 ვდგავარ, ვდუმვარ და მზადა ვარ,
 თუნდ ახლავე შევუერთდე მიწას.



სულ სხვანაირი წლები მოდიან,
 ვინღა მოისმენს ახლა სიმღერებს,
 შენ კი წკრიალებ მაინც ზარივით,
 რაც უნდა გითხრა, არ დამიჯერებ.

აგერ ახლახან, როგორც მერცხალბე,
 ზეცას სერავდი ფრთების ფათქუნით,
 დღეს კი მათხოვრობ და არვის ესმის
 უცხო კარებზე შენი კაკუნი.

ღ ა შ ი თ

მთვარე ძლივს მოჩანს, ღრუბლის
ფთილები

დასეირნობენ ცაზე ტაატით
და მოღუშული ღამის გუშავი
ისრებს შეჰყურებს კოშკის საათის.



ერთგულ ცოლს აფრთხობს ღამის სიჩუმე
და ჩაუქრობელ წუხილით იწვის,
მოღალატე კი სახლში ბრუნდება
ცივი სახით და ტყუილი ფიცით.

მე მათ გრძნობებთან რა შესაქმება? —
გამოვეთხოვე უკვე სამყაროს.
ბაღში დავჯდები, რომ ჩანგს შევეხო
და ვარსკვლავები ცაზე დავთვალო.

●
ის გვატყვევებდა გაუწაფავ, მარტივ ჰანგებით
და ოდიტგანვე სიყვარული სახელად ერქვა.
უცნაურია, სულ ახლახან, რაღაც განგებით,
შენგან შორს იყო თმაში ვერცხლი და გულში სევდა.

ის იცინოდა შენს ბაღებში, სახლში, ველებზე,
შეჰხაროდი და სამუდამოდ რაცხდი მეგობრად,
სულ ვერ ამჩნევდი მოოქროვილ ბორკილს ხელებზე,
თავისუფალი საკუთარი თავი გეგონა.

შენ შუქს აფრქვევდი, სანამ მისი მონა იყავი,
გაბრუებული, მის საწამლავს სვამდი შარბათად,
გერვენებოდა უფრო დიდი ყველა ვარსკვლავი,
სულ სხვანაირი სუნი ჰქონდა შემგზნარ ბალახსაც,
შემოდგომის შემგზნარ ბალახსაც.

უკანასკნელი უხვკედრის სიძღვრე

გულში რაღაც იმსხვერუოდა, მაგრამ მაინც
ვცადე მშვიდად დარჩენა,
ერთმანეთში ავურიე ხელთათმანი
მარჯვენა და მარცხენა.

მომეჩვენა ერთიორად უფრო მეტი
კიბის საფეხურები,
შემოდგომის ნეკერჩხლებმაც მიწილადეს
მწუხარება ულევით.

თქვეს, რომ ბედმა უკუღმართმა მოატყუათ,
დააუიწყათ სიცილი,
მენიშნა და ვუპასუხე, რომ მინდოდა
მათთან ერთად სიკვდილი.



სახლს გავხედე ჩაბნელებულს, დამწუხრებულს
განშორების სიმღერით,
საწოლ ოთახს ანათებდა მხოლოდ მკრთალად
სანთლის შუქი ყვითელი.

●
გული გულზე მიჯაჭვული არ გეგონოს,
შეგიძლია დამტოვო,
ბედნიერი ის იქნება ალბათ მხოლოდ,
ვინც წარსულზე არ გლოვობს.

არა ვჩივი, დამრჩენია მხოლოდ ლოცვა,
ლოცვა სასომიხდილი,
დავიღალე, აღარ მინდა შენი კოცნა,
აწ მაკოცებს სიკვდილი.

შევეუწყვილე ზამთრის ღღეებს მწარე
დარდი,
დარდი, ჩემთვის ჩვეული,
რატომა ხარ, რატომა ხარ უფრო კარგი,
ვიდრე ჩემი რჩეული?

●
ნაცრისფერ თვალთა ცივ მზერას ვხედავ,
მოგონებებით კვლავ თავს ვიწამებ
და მახსენდებით მწარე ნალველით,
განმარტოებულს ტვერის მიწაზე.

თქვენ მანდ ტყვედ ყავხართ მშვენიერ ხელებს,
მე გადმოვეყვი აქეთ გრიგალებს,
თქვენ ხომ არც მეტი და არც ნაკლები,
თვით სიყვარულის მოკვლა მიბრძანეთ.

ჩემო ცნობილო თანამედროვე,
თქვენ თქვით, რომ ჩვენი ჟამი წავიდა,
მე უღონო ვარ, სისხლი კი ბორგავს
და სათქმელს ისევ ვიწყებ თავიდან.

მე თუ მოვკვდები, რატომ არ ფიქრობთ,
ვინღა გიმღერებთ მწუხრის სიმღერებს,
ვინღა მოგიძღვნით ლექსებს ჩემს ნაცვლად,
ჯერ უთქმელ სიტყვებს ვინ ააჟღერებს?





თარგმნა მადეა ზუგარაღასვილია

ეს წიგნი ეძღვნება კარგ ადამიანებს: ბილ სე-
გარს, ტომ სმიტს, პარი სტიელს და ფრანკ
ტრიპეტს.

რკინის შამბი რთულყვაფილოვანთა ოჯახს განეკუთვნება. აქვს სწორი, გრძელი ღერო და მოიისფრო-მოლურჯო ყვაფილები, გრძელი, თხელი, წვეტიანი ძირს დაშვებული ფოთლები. მისი ნაყოფია ორმწკრივად ჩარიგებული იის-ფერჯაგრიანი თესლურა. ჰყვავის აგვისტოდან ოქტომბრამდე ტენიან ნაყოფიერ ნიადაგზე ნიუ-იორკიდან ჩრდილოეთის გაყოლებაზე სამხრეთამდე, დასავლეთით კი მიჩიგანიდან, ილინოისიდან და მისურიდან ლუიზიანამდე. ეს სახელი დაერქვა მაგარი ღეროების გამო.

ამოღებულია ოდუბონის საზოგადოების მიერ გამოცემულ „ჩრდილოეთ ამერიკის მინდვრის ყვაფილების განმარტებებიდან“.

ამიერიდან სულის ჩემის ხომალდი მალი
უკეთეს წყალთა საუფლოში ზეასწევს
აფრას,
ჩვენ უკან დარჩა ზღვა ასევე აზვავებული.
დანტე, სალხინიბაელი.

თარგმანი
კონსტანტინე გამსახურდიასი.

1

წმინდა აგნესას სასაფლაოს მიხვეულ-მოხვეულ გზაზე სატვირთო მანქანა მიდიოდა. დანჯღრეულ ძარაზე მჯდარი ფრენსის ფელანი მიხვდა, რომ მიცვალებულებს ყველაზე მეტად თავიანთ საზოგადოება უყვარდათ. სატვირთო მანქანამ უცებ შემოუხვია ძეგლთა და კენოტაფთა ტევრს, ასე რომ ჰგავდნენ ერთმანეთს არქიტექტურით, განცვიფრებდნენ თავიანთი სიდიდით და დარაჯად

1. უილიამ კენედი (დაიბ. 1928 წ.) – ამერიკელი მწერალი, ავტორი რამდენიმე რომანისა. რომანი „რკინის შამბი“ დაიბეჭდა 1983 წ. იმავე წელს რომანს მიენიჭა პულიცერის პრემია. (იბეჭდება შემოკლებით).

ედგნენ პრივილეგიურ მიცვალებულებს. მაგრამ სატვირთო მანქანამ გზა განაგრძო და გამოჩნდა მთელ ჰექტარზე გადაჭიმული ჭეშმარიტად პრესტიჟული სიკვდილი. აქ განისვენებდნენ გამოჩენილი მამაკაცები და ქალები, ცხოვრების კაპიტნები თავიანთი ბეწვეულების, ბრილიანტების, კარეტებისა და თუ ლიმუზინების გარეშე, დაკრძალულნი ზარზეძიძითა და პატივით, განისვენებდნენ მდიდრული აკლდამების თაღებქვეშ, ზეციურ სეიფებსა თუ აკროპოლის ნაწილებს რომ მოკვავდნენ. მერე კი გადაჭიმულიყო, რა თქმა უნდა, ჩვეულებრივ მოკვდავთა უბრალო ქვები თუ ჯვრები.

სატვირთო მანქანის გამოჩენაზე ფრენსისის დედა აღელვებისგან შეტოვდა საფლავში, მაშამ კი ჩიბუხს მოუკიდა, ცოლის შემფოთებაზე ჩაელიძა და ბელტებიდან გამოიჭვრიტა — რკინიგზაზე მომხდარი უბედურების შემდეგ ძალიან ხომ არ შეიცვალა ჩემი ვაჟიო.

— აბა შეხედე ამ საფლავს, არა უშავს, ხომ? ეს არტურ გროვანია. ბავშვობაში მინახავს ოლბანში. მთელი ქალაქის ელექტროობის უფროსი იყო, — უთხრა ფრენსისმა თავის თანამეწყვილეს.

— ახლა მაგას ელექტროობა არცთუ ბევრი ექნება, — თქვა რუდიმ.

ზარემლი — თავს ამცნობდა გზისპირა საფლავი. **კენედი** — იტყობინებოდა მეორე, **დობმრტი**, **მაკილენი**, **ბრუნელი**, **მაკლონალდი**, **მალონი**, **დუპირი** და **უოლში** — აცხადებდნენ დანარჩენები. **ფელანი** — ამბობდა ორი პატარა საფლავის ქვა.

ფრენსისმა ფელანების ამ წყვილ ქვას შიშით მოაცილა თვალი, ვაითუ ერთ-ერთის ქვეშ ჩემი პაწია ბიჭუნა ჯერალდი წევსო, რომელიც მას შემდეგ არ ენახა, რაც სახვევებიდან იატაკზე დაუვარდა. და არც ახლა უნდოდა მისი ნახვა. პოდა, მოტრიალდა იმის მოსაბაბებით, საფლავები სხვა ოჯახისა იქნებოთ, მართალიც იყო. ამ საფლავებში ეძარხა ორი წარმოსადეგი ძმა, ორი ახალგაზრდა ფელანი. ორივე არხზე მუშაობდა, ორივე არაყის ბოთლით გამოფატრეს უეთერვლიტში 1884 წელს სალუნ „შავი თევზის“ მახლობლად, მერე ერის არხში ისროლეს და გრძელი ჯოხით წყალში ჩაძირეს. ძმებმა შეათვალთქვეს ფრენსისის ჩამოძონძილი ყავისფერი პიჯაკი, მოჯაჯული შავი შარვალი, ცეცხლფარეშის ამოგანგლილი ლურჯი ხალათი და ნათესავად არა, მაგრამ თავისიანად კი შეიცნეს. ფეხსაცმელი მასაც ისეთივე გაცვეთილი ეცვა, როგორც მათ სიცოცხლის უკანასკნელ დღეს. სახეზე შეატყვევს ალკოჰოლის ნაცნობი კვალი, თვითონაც საფლავში უფრო მეტად რომ მოსძალეობოდათ. ორივე უბედური მთვრალი იყო, როცა ჩხუბისთაუმა მაგინსმა ერთმანეთის მიყოლებით გამოასალმა ძმები სიცოცხლეს და მთელი მათი ავლადიდება — 48 ცენტი მიისაკუთრა. ჩვენ ამ გროშებისთვის მოგვიდეს ბოლო, უსიტყვოდ ეუბნებოდნენ უგონოდ გაღეშილი ძმები ფრენსისს, ძარაზე რომ ჯაყჯაყებდა და მხიარული ქათქათა ღრუბლებით მოჭედდებოდა იმდილანდელ ცას შესცქეროდა.

სატვირთო მანქანამ უკან მოიტოვა სასაფლაო და გორაკს შეუყვია, სადაც ხუთი კაცი წერაქვებითა და ნიჩბებით თხრიდა მიწას. მანქანა გაჩერდა. ფრენსისი და რუდი გადმოხტნენ და იმ ხუთ კაცთან ერთად დაიწყეს მანქანაზე მიწის დაყრა.

მანქანა რომ დატვირთეს, ფრენსისი და რუდი ზედ დასხდნენ. მძღოლმა ისინი იმ ფერდობისაკენ წაიყვანა, სადაც ორ ათეულ ახალ მიცვალებულს დაეყენებინა ხრწნის მოტკბო სუნი—დაუმსახურებელი წარმავლობისა და შეწყვეტილ ოცნებათა გუნდრუკი. მძღოლი, ეტყობა, მიჩვეული იყო ამ სუნს, მანქანა ახალი

საფლავეების ახლოს მიაყენა და ჩასთვლიდა, რუდიმ და ფრენსისმა კი მიწის ზიდვა დაიწყეს. ზოგიერთი ორი-სამი თვის წინათ დაეკრძალათ და ჯერ არც ერთი საფლავეისათვის ქვა არ დაედოთ, ზოგი მათგანი კი პატარა ამერიკულადროშით ანდა გამოხუნებული ხელოვნური ყვავილების თაიგულიანი თიხის ქოთნებით შეემკოთ. ლუის ღუგანის (დიდი პაპის) სასთუმალთან კალათაში თავი ჩაექინდრათ ვლადილოუსებს. პაპა ღუგანი, ბილიარდის არტისტი, სულ ერთი კვირის წინ მოკვდა, საკუთარმა ნარწყევმა დაახრჩო. პაპა ღუგანი შეეცადა დასველებინა ფრენსის ფელანი, თუმცა უკვე ოცი წელი გასულიყო, რაც არ ენახა.

პაპა ღუგანს იმ დღიდან დაამახსოვრდა ფრენსისი, როცა პირველად ნახა იგი ბუისბოლის მინდორზე. პაპა მესამე ბაზის პირდაპირ პირველ რიგში იჯდა და დაინახა, როგორ აფრინდა ფრენი ტრიბუნაზე მაღალი ბურთის დასატყვრად. ბურთი პაპას მკერდში მოხვდებოდა, ფრენის რომ არ ემარჯვა და ბურთი არ აეღო. პაპამ დაინახა, როგორ გაუღიმა მაშინ ფრენიმ, და თუმცა ახლა ფრენის კბილები ლამის სულ აღარ შერჩენოდა, ზუსტად მაშინდელივით გაუღიმა, როცა პაპას საფლავეზე ერთი მუჭა მიწა მიაყარა.

შენმა შეიღმა ბილიმ სიკვდილს გადამარჩინა, უთხრა ფრენსისს დიდმა პაპამ. მიპატრონა, ქუჩაში როცა ამომარწყია. თუმცა მერე მაინც ამით მომელო ბოლო. მაგრამ მაშინ ბილიმ გადამარჩინა და უკან მიმაქვს ის ბილწი სიტყვები, მას რომ ვუთხარი. შენ კა ერთი რამე მინდა გირჩიო, — არასოდეს არ შეასუნთქო შენი ნარწყევი.

ფრენსისს არ სჭირდებოდა ასეთი რჩევა. სასმელი მას გულს არასოდეს ურევდა. სვამდა ყველანაირ სპირტიან სასმელს, და მაინც მუდამ გამართული დადიოდა და სხვაზე არანაკლებ შეუძლო გამოეთქვა გულისხნადები. ალკოჰოლი ბოლოს მაინც ძილსა ჰკვრიდა, მაგრამ მის ნებას არასოდეს არ დაჰყოლია. თავის ნორმას რომ დაღუედა, და ირგულივ ყველა მიეყრ-მოეყრებოდა, იგი უბრალოდ თავს ჩაქინდრავდა, ბებერი ძალღივით მოიკუნტებოდა, ხელებს ფეხებშუა ჩაიწყობდა, რათა ძველებური ნირი შეენარჩუნებინა და იძინებდა. ასე იყო, როცა სვამდა. ახლა კი არ სვამს, ორი დღეა წვეთი არ დაუღევია და თავს მშვენივრად გრძნობს, ლამის უფრო მხნედ. სმა იმიტომ შეწყვიტა, რომ ფული გაუთავდა, ელენიც ვერ გამოიყურებოდა მაინცადამაინც გვარიანად და უნდა მოეველო მისთვის. ამასთან სასამართლოში ფხიზელი უნდა მისულიყო — მისასვლელი კი იმიტომ იყო, რომ არჩევნებში ოცდაერთჯერ გატარდა რეგისტრაციაში. სასამართლოში მივიდა, თუმცა არ გაუსამართლებიათ. მისმა ჯადოქარმა ადვოკატმა, მარკუს ჰორმანმა საბუთის თარიღში შეცდომა იპოვა და ფრენსისის წინააღმდეგ აღძრული ბრალდება დაარღვევინა. მარკუსი კლიენტებისგან საერთოდ ხუთას დოლარს იღებდა, ფრენსისს კი სულ რაღაც ორმოცდაათი დოლარი მოსთხოვა, რადგან გაზეთის მიმომხილველმა, ფრენსისის ყოფილმა მეზობელმა მარტინ დოგერტმა სთხოვა დაეკლო. თუმცა ფულის გადახდის დრო რომ დადგა, ფრენსისს არც ეს ორმოცდაათი დოლარი აღმოაჩნდა. სმას მოანდომა. არადა, მარკუსი გასამრჯელოს ითხოვდა.

— რა ვქნა, არა მაქვს, — უთხრა ფრენსისმა.

— მაშინ წადი, იმუშავე და იშოვე. მე მუშაობაში ფულს მიხდიან, — მიუვო მარკუსმა.

— სამუშაოდ ვინ მიმიღებს მაწანწალას.

— მე გიშოვი სამუშაოს სასაფლაოზე, — შეპირდა მარკუსი.

და უშოვა კიდევ. მარკუსი ბრიჯს ეთამაშებოდა ხოლმე ეპისკოპოსს და ყველა ბობოლა კათოლიკეს იცნობდა. ერთ-ერთი მათგანი წმინდა აგნესას სა-

საფლავს განაგებდა მინანდსში. ფრენსისს დონგან ავენიუზე ხიდის ქვეშ შამ-ბნარში ეძინა. დღეს დილით შვიდ საათზე ადგა და მედისონ ავენიუზე მისიაში წავიდა ყავის დასალევად. ელენი იქ არ დახვდა, სადღაც გამქრალიყო. უთხრეს, გუშინ საღამოს აქ ახლომახლო დაყოლებდა, მერე გაქრაო, ბოლო დროს ფულის გამო ჩხუბი მოუვიდათ და ამის მერე, ეშმაკმა იცის, სად დაიკარგა.

ფრენსისმა თავისი წილი ყავა და პური მიიღო იმ მაწანწალებთან ერთად, რომლებიც სმას შეშვებოდნენ ანდა კარანტინში იმყოფებოდნენ. მათი მეთვალყურე მღვდელი ცდილობდა მათი სულის მოთვინიერებას. არა, სულში ნუ ჩამოძვრებიო — იყო ფრენსისის დევიზი. უბრალოდ დამალევინეთ ყავა. მერე ერთხანს, დროის მოსაკლავად, მისიის წინ იდგა და კბილებით ასანთის ღერს აწვალებდა. ამ დროს გამოჩნდა რუდი.

ისიც ამჯერად ფხიზელი, გაკრეჭილი და დავარცხნილი იყო, ჭაღარა კი მორეოდა. უღვაშიც შეეკრიჭა, ეცვა თეთრი ზამშის ფეხსაცმელი, თუმცა ოქტომბერი იდგა. უყურე ერთი ამ მაწანწალას, თეთრ პერანგში გამოწყობილა, შარვალიც დაუთოებული აცვია, ფრენსისს კი ცალ ფეხსაცმელზე ზონარი არა აქვს, თმა ერთმანეთს მიწებებია, ყროლი სუნი ახდის. მას თავის ცხოვრებაში პირველად შერცხვა, დამცირებულად პირველად იგრძნო თავი.

— ლამაზად გამოწყობილხარ, მაწანწალავ, — უთხრა ფრენსისმა.

— საავადმყოფოში ვიყავი.

— რაო?

— კიბო მაქვს.

— კიბო არა!

— ასე მითხრა, ექვსი თვის მერე მოკვდებიო. მე ვუთხარი, ლოთობით მოკვდები-მეთქი. იმან კი — მაგას არა აქვს მნიშვნელობა, რამდენიც გინდა დალიე, რაც გინდა ჭამე, სულერთია, წირვა გაქვს გამოყვანილი, კიბო შეგჭამსო. კუჭი დიდი ოხერი რამ ყოფილა, ვამიგე? ორმოცდაათს მინდა მივალწიო-მეთქი, ვუთხარი. ის კი მეუბნება, ვერაფრით ვერ მიაღწევო. მეც ავდექი და დავეთანხმე, ეგრე იყოს, დიდი განსხვავება არ არის-მეთქი.

— ცუდად გქონია საქმე, ბაბუ. დასალევი გაქვს?

— ერთი დოლარი მიჭყავის.

— ერთნაირად გქონია, — თქვა ფრენსისმა, მაგრამ უცებ გაახსენდა მარკუს ჰორმანის ვალი. — მისმინე, გინდა ერთად ვიმუშაოთ და ორიოდე დოლარი კიდევ ვიმოვოთ? ვიყიდით დასალევს და ჭერქვეშაც ფავათევთ ღამეს. აცივდა. გახედე, როგორი გახდა ცა.

— სად უნდა ვიმუშაოთ?

— სასაფლაოზე. მიწის სამუშაოა.

— სასაფლაოზე? შეიძლება. ხომ უნდა შევეჩვიო, როგორ უხდებიან?

— ეშმაკმა იცის იმათი თავი.

— იმას გეკითხები, ფულს უხდებიან თუ უფასო საფლავს იძლევიან?

— უფასოდ სხვები ეძებონ, მე ჯერ არ ვაპირებ საფლავის გათხრას.

ოღბანიდან ფეხით გაუყვანენ გზას მინანდსამდე. გაიარეს ათი თუ ათზე მეტა კილომეტრი, ფრენსისი გრძნობდა, ჯანზე იყო და სიარული სიამოვნებდა; ვაი რომ სმისას თავს ასე მხნედ ვეღარ გრძნობდა, განსაკუთრებით დილაობით ან შუადამეზზე გაღვიძებისას, ხანდახან ეგონა, ეს არის ვკვდებიო. ყველაზე მეტად მაშინ უნდოდა დაღევა, როცა ყელი გამშრალი ჰქონდა. დილის ოთხ საათზე კი ყველაფერი დაკეტილი იყო. ღია რომც ყოფილიყო, ჯიბეში გროში არ უჭყაოდა. ვერც ვერავის დაცინცლავდა რასმე. პირდაპირ საძაგლობა იყო.

რუდი და ფრენსისი ბროდვეის მიუყვებოდნენ. კოლონი-სტრიტის კუთხეში ფრენსისს გულმა გაუწია იმ სახლისათვის შეეხედა, სადაც დაიბადა და სადაც ახლაც ცხოვრობდნენ მისი დები და ძმეზა. ერთხელ, 1935 წელს, იფიქრა, მოდი ვცდი, იქნებ ახლა მაინც შეიძლება მისვლაო. მერე და რა? გამოაპანდურეს. ნეტავი თავზე დაემხოთ ეს სახლი, დაუღპეთ და ბაღლინჯოების კერძი გაუხდეთ, აი, მაშინ შეიძლება მივიდე, გაიფიქრა მან.

ფრენსისი და რუდი ბროდვეიზე ჩრდილოეთისკენ მიდიოდნენ. ფრენსისს მარჯვენა ფეხსაცმელი ეფლახუნებოდა და ლანჩამ ქუსლი გადაუტყავა. თუმცა ცდილობდა ფეხი დაეზოგა. სანტექნიკის მაღაზიის წინ თოკის ნაწყვეტი დაინახა. ფრენკ ლიკაინს ჯერ ისევ ლაწირაკი ეთქმოდა, როცა ფრენსისი უკვე კაცობდა. ახლა კი მას სანტექნიკის საკუთარი მაღაზია ჰქონდა. შენ თვითონ რაღა გაქვს, ფრენსის? რა და თოკი გაქვს.

თოკი ნახვრეტებში არ გაუტია. ფრენსისმა იგი დაცურა, შუაზე გაყო და ნახვრეტებგამოშვებით გაუყარა, რათა შესაკრავად ჰყოფნოდა. მერე წინდები გაისწორა, უფრო სწორად, ნაწინდრები, ახლა კი ერთიანად დაცხავებული. სხვების შოვნაა საჭირო. გადაყვლეფილ ქუსლზე წინდა დაიტანა და ფეხსაცმელი ახალი ზონრით ხალვათად შეიკრა, რომ აღარ ეფლახუნა.

- არის შვიდი მომაკვდინებელი ცოდვა, - თქვა რუდიმ.
- მომაკვდინებელი? როგორ თუ მომაკვდინებელი?
- როგორ და მისგან კვდებიან.
- მე რაც შემეხება, მე მარტო ერთსა ვცნობ, - თქვა ფრენსისმა.
- ცრუმორწმუნოება.
- აა, ცრუმორწმუნოება?
- შური.
- შური, მართალია.
- ავხორცობა.
- ავხორცობა. ასეა, ეგ ყოველთვის მომწონდა.
- სიმხდალე.
- ვინ არის მხდალი?
- სიმხდალე-მეთქი.
- ვერ გავიგე, რას ამბობ. ეგეთი სიტყვა არც ვიცი...
- სიმხდალე-მეთქი, - გაიმეორა რუდიმ.
- ეგ სიტყვა არ მომწონს. რაო, რას ნიშნავს სიმხდალე?
- მშიშარას, შიშით რომ კანკალებს. იცი, ვინ არის მშიშარა? ვინც გარბის.

- არა, ასეთი სიტყვა არ ვიცი. ფრენსისი მხდალი არ არის. ვისაც გინდა ამას ეჩხუბება... მისმინე, იცი, მე რა მომწონს?

- რა მოგწონს?
- პატიოსნება.
- ეგაც ცოდვაა.

შეიკერ-როუდიდან ნორტ-პერლ-სტრიტს მიაღწიეს და ისევ ჩრდილოეთისკენ იბრუნეს პირი. ახლა ისინი აქ ცხოვრობენ. წმინდა გულის ეკლესია სულ ბოლოს რომ ნახა, მას მერე შეუღებავთ. მე-20-ე სკოლის პირდაპირ კი კორტები მოუწყვიათ. თექვსმეტიანი წლებიდან აქ ბევრი სახლი გაჩნდა. ეს მისი უბანია. ფრენსისმა ამ ქუჩებში უკანასკნელად რომ ჩაიარა, აქაურობა საძოვრისაგან არაფრით განირჩეოდა. მოხუცი რუნის ძროხები მესრებს ამტვრევდნენ და ქუჩებში დასეირნობდნენ ან პირდაპირ ტროტუარზე და ქვაფენილზე ეყარნენ. შენს ძრო-

ხებს მოუარეო, გააფრთხილა მოხუცი მოსამართლე როუნანმა. რაო, რას შიბრძანებთ, ჩვრებში გავახვიო? — უკითხავს მოხუცს.

მათ ნორტ-პერლ-სტრიტიც გალიეს, ამის მერე მინანდსი იწყებოდა; მოხვევისას კი ბროდვეის უერთდებოდა. გაიარეს ის ადგილი, სადაც ოდესღაც ტავერნა „ხარის თავი“ იდგა. ბაემვობისას ფრენისმა პირველად აქ ნახი მუშტი-კრივი: გას რულანი თავის კუთხიდან გამოვიდა, ბოთე მოწინააღმდეგე ჩამოსართმევად ხელი გაუწოდა, გასმა კი ერთი ლაზათიანი სთხლიდა და ამით გათავდა ყველაფერი. პატიოსნებაო! გაიარეს ჰოკინსის სტადიონი — ეს ვეება საფრთხობელა ჩედვიკ-პარკის ადგილას წამოეჭიმათ, სადაც ფრენისი ბეისბოლს თამაშობდა. ერთი მაგარი დარტყმა და ბურთი ცის დასალიერზე ეცემა ბალახებში. ჰავ-ჰავ ბაკლი ბურთს გამოენტება და მყისვე პოულობს. ჰავ-ჰავს ასეთი შემთხვევისათვის ბალახებში სათადარიგოდ ხუთიოდე ბურთი ჰქონდა გადამალული. მერე კი თავისი თამაშით დიდად ბაქიბუქობდა. პატიოსნება, მაშ. ჰავ-ჰავიც წავიდა ამ ქვეყნიდან. ამბობენ, ცხენით ყინული დაჰქონდა, ცხენს თურმე მუშტებს ურტყამდა. ცხენმა კი ჩამოაგდო და გათელაო. აბა სად გაგონილა ცხენს მუშტებს უბრაგუნებდე?

- მისმინე, ამ დღეებში, მგონი, ვილაც ქალთან გნახე, — უთხრა რუდიმ.
- რომელ ქალთან?
- არ ვიცი. მგონი, ელენს ეძახდი.
- ელენი იყო. ოლონდ ელენი ცამ ჩაყლაპა.
- რაო, ბანკირს გაეკიდა?
- არავისაც არ გაკილებია.
- აბა სად არის?
- ვინ იცის, ხან მოდის, ხან მიდის. მისი მეტაბელე კი არა ვარ.
- ეი, გუშინ რა ჯანდაბას 'შიედ-მოედებოდნენ მარსელეებზე? საავადმყოფოში მარტო ეგ ჰქონდათ სალაპარაკო. რადიოს მოუსმინე? — ჰკითხა რუდიმ.
- აბა როგორ? დედამიწაზე დასხდნენ.¹
- ვინ?
- მარსელეები.
- სად დასხდნენ?
- სადღაც ჯერსის მახლობლად.
- მერე რაო?
- ჩემსავით იქაურობა არც იმათ მოსწონებიათ.
- არა, მართლა ასე თქვეს, ხალხმა როგორც კი დაინახა, ფანჯრებიდან გადახტნენ და გაიქცნენო.
- ყოჩაღ, სწორად მოქცეულან, მარსელეებს რომ დაინახავ, ორი ფანჯრიდან უნდა გადმოხტე.
- შენთან სერიოზული ლაპარაკი არ შეიძლება, შენ... რა ჰქვია იმას... ფუქსავატი ხარ.
- რაო, რა თქვი, ფუქსავატიო?
- რაც გაიგონე. ფუქსავატი.
- ეშმაკმა წავილოს, ეგ რას ნიშნავს? ისევ კითხულობ, შე ჰკუთხელო გერმანელო? აკი გითხარი, თქვენთვის არ შეიძლება-მეთქი კითხვა. მერე მისდგებით ხალხს და რაც არ იქნება იმას ეძახით.

1. 1938 წელს ორსონ უელსში ჰერბერტ უელსის „სამყართა ბრძოლის“ რადიოდანგმა ბევრმა დოკუმენტურ გადაცემად მიიჩნია და პანიკა გამოიწვია.

— ეს შეურაცხყოფა არ არის, ფუქსაეატი კარგი, ზრდილობიანი სიტყვაა.
 — დაივიწყე ეს სიტყვა. მოვედით სასაფლაოზე, — და ფრენსისმა ჭიშკარი დაანახა.

კარგა გზა გამოიარეს ბროდებიდან სასაფლაოს ჭიშკრამდე. ფრენსისმა ქათინაურებით აავსო მეკარე ქალი, შეახსენა მარკუს ჰორმანი, წარუდგინა რუდი, ესეც კარგი მუშააო. მეკარემ უთხრა, ცოტა დაიცადეთ, სატვირთო მანქანა მალე მოვაო. მერე დასხდნენ ძარაზე, გაჰყვნენ მანქანას და შეუღვნენ მუშაობას.

ბოლო საფლავი რომ გადაასწორეს, დასასვენებლად დასხდნენ. სატვირთო მანქანის მძლოლი სადღაც გაქრა, ისინი კი ისხდნენ გორაკზე და გადაჰყურებდნენ ბროდების, პუძონის იქით რენსლერისა და ტროას გორაკებს, ხიღს გაღმა მინანდის კოქსის ქარხნის მიღებიდან ბოლქვ-ბოლქვად ამოფრქვეულ კვამლს. ფრენსისმა იფიქრა, აქ ცუდი არ იქნება მიწაში წოლაო. გორაკი ლამაზად იყო დაფერდებული. აქ წოლა იმას უდრის, შენი ადგილი მოიპოვი დროსა და სივრცეში. გაიჩინო მეზობლები, თანაც ისეთი ძველისძველი მეზობლები, როგორებიც იყვნენ ტობიას ბანიონი, ილიმ სკინერი, ელსი უიპლი, ახლა აქ, თეთრი ქვის ფილებქვეშ რომ განისვენებენ.

დაბოლოს არტურ ტ. გროგანიც.

გროგანების პანთეონმა ბუნდოვნად რაღაც მოაგონა ფრენსისს. უყურებდა და ვერ გაერკვია, კიდევ რას უნდა ნიშნავდეს სიდიდის გარდა ეს ნაგებობაო. მან არაფერი იცოდა აკროპოლის შესახებ, გროგანზე კი ცოტა უფრო მეტი სმენოდა: გროგანი მდიდარი და გავლენიანი ირლანდიელი იყო და ოლბანში მისი სახელი ყველას პირზე ეკერა. ფრენსისს აზრადაც არ მოსვლია, რომ მარმარილოს ეს ძვალთშესაღავი ძველი კულტურის, თანამედროვე ცენტისა და თვითგადმერთების მშვენიერი შენაღობი იყო. ფრენსისის ვარაუდით გროგანის აკლდამას შეეძლო ათეულობით ნეშტის შეკვდლება. ამაზე ფიქრისას თვალწინ წარმოუდგა წუწკი ბილი ბენსონის საფლავი ბრუკლინში. ცხრაას რვა წელს, როცა ფრენსისი მესამე ბაზაზე თამაშობდა, წუწკი ბილი ტორონტოს გუნდში გამოდიოდა. ცხრაას თექვსმეტში კი, ჯერალდის სიკვდილის მერე, ფრენსისი სახლიდან რომ წავიდა, ისინი ნიუბერგში რკინიგზის გადასასვლელზე შეხვდნენ ერთმანეთს და ერთად შეახტნენ ნიუ-იორკის სატვირთო მატარებელს.

ბილის ახველებდა და ქალაქში ჩასვლიდან ერთი კვირის თავზე გარდაიცვალა. იგი წყველიდა თავის ხანმოკლე სიცოცხლეს და ფრენსისს დააფიცა, საფლავამდე მიმაცილდე, მარტო არ მინდა იქ წასვლაო. იგი უფულოდ მოკვდა. ამიტომ კუბოს მაგივრობას რამდენიმე დაბრეცილი ფიცრისაგან გაკეთებული ყუთი უწევდა. ფრენსისმა ბილი საფლავამდე მიაცილა, და როცა ქალაქის შესაფლავებ თანაშემწის დახმარებით ბილის ყუთი ფიცარზე გადაიტანა, ერთხენს შეიცადა, რაღა ბილი ახალ გარემოს შესჩვეოდა. ადგილი ცუდი არ იყო, იქვე ორიოდე ხეც იდგა, ამ დროს ფრენსისის ზურგს უკან მზემ გამოანათა და ყუთის ფიცრებს შუა გაღწეულმა ორმო გაანათა. ფრენსისი სანახაობამ განაცვიფრა: უზარმაზარი კავერნა გავსებული იყო ერთმანეთზე დაწყობილი ათამდე ასევე უხეშად გამოჩორქნილი ყუთებით, მიცვალებულები ზოგი გვერდზე იწვა, ზოგიც აყირავებულიყო. იმხელა ორმო ამოეთხარათ, სამი-ოთხი ათეული ასეთ-ყუთიანი მიცვალებული კიდევ დაეტეოდა. რამდენიმე კვირის მერე შეიკვრებოდა ეს შტაბელი — ღვეზელების ყუთები უშველებელი სტომაქისათვის. აღარაფერი გაქვს სანერვიულო, დიდი კამპანიაა, უთხრა მეგობარს ფრენსისმა.

ფრენსისს არ უნდოდა წუწკი ბილივით კომუნალურ საფლავში დაკრძალვა,

მაგრამ არც საზოგადო აბანოსხელა მარმარილოს ტაძარში სურდა ყირაზე გადასვლა.

- უარს არ ვიტყვოდი აქ დასაფლავებაზე, — უთხრა მან რუდის.
- აქაური ხარ?
- ოდესღაც ვიყავი. აქ დავიბადე.
- შენთანები აქ ცხოვრობენ?
- ზოგიერთები.
- ვინა?
- უფრო მეტი მკითხე, რომ სხაპასხუპით გიპასუხო.



ფრენსისმა იცნო გორაკი, სადაც მისი ნათესაობა იყო დასაფლავებული. სწორედ მარმარილოს კიბის მესამე საფეხურზე მდგარი მახვილოსანი მფარველი ანგელოზის პირდაპირ, რომელიც ახლა 1894 წელს სასტუმრო „დილაქანში“ გაჩენილი ხანძრის დროს გმირულად დაღუპულ ქონდრისკაც ტობის დარაჯობდა. საფლავის ქვა მოხუცმა მწერალმა ედ ლოგერტმა შეუკვეთა, როცა გაზეთიდან შეიტყო, რომ საფლავზე ძეგლი არ ედგა. ტობის ანგელოზს თითი ქვემოთ, მაიკლ ფელანის საფლავისკენ მიეშვირა და ფრენსისმაც თვალთ მოძებნა იგი. დედაც იქვე ახლოს, ალბეთ მისვან ზურგშექცევით იწვა.

წუწკი ბილისთვის გამონათებულმა მზემ მაიკლ ფელანის დაკრძალვაზეც გამოანათა. ფრენსისი იმ დღეს ცრემლებად დაიღვარა, როცა მაიკლი მატარებელმა განზე მოისროლა და ფრენსისის თვალწინ საბედისწეროდ გადააფრინა. ამის გახსენებაზე ლამის გული შუაზე გაუსკდა. ფრენსისს მამასთან სადილა რიპქონდა. მამამ დაინახა და შესახვედრად გამოეშურა. მან გადმოასწრო პირველ ხაზზე მომანევრე ორთქლმაეალს, მერე უკან მიიხედა და სხვა მატარებელს ჩაუვარდა, რომლის ხმა ორთქლმაეალის დრჭიალში ვერ გაიგონა. მაიკლი გადმოფრინდა და მოკრუნჩხული დაენარცხა ძირს. ფრენსისი პირველი მიიჭრა მამასთან. უნდოდა გაესწორებინა დამსხვრეული სხეული, მაგრამ მისი განძრევის შეეშინდა. მარტო ის მოახერხა, რომ სვიტრი გაიხადა და მამას თავქვეშ ამოუდო. რამდენი ხალხი იხოცება ასე დაკრუნჩხული.

ბრიგადის ხალხმა მაიკლი ჯონი კოდის ფურგონით წაიყვანა შინ. მან ორი კვირა იცოცხლა, როგორც მცოდნე ბრიგადირმა და ნიუ-იორკის ცენტრალური რკინიგზის გზათა უწყების ყველაზე ცნობილმა მუშაკმა ვრცელი ნეკროლოგი დაიმსახურა. დაკრძალვაზე დასასწრებად გზათა ყველა დისტანციიდან დილითვე გაუშვეს ხალხი და მაიკლის ახალ საცხოურისამდე გასაცილებლად ასობით ადამიანი მოვიდა. დედოფალი-დედა ერთპიროვნულად შეუდგა ოჯახის მართვას, სანამ ისიც მამის კვალს არ ვაჰყვა. კარგი იქნებოდა გამეთხარა საფლავი და დამეხრჩო მისი ძვლები. გაახსენდა, როგორ ტიროდა მამის ღია საფლავთან მდგარი, ფიქრობდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს აღარავის ემახსოვრებოდა, როგორ ტიროდა იგი იმ დილას — როგორც ვერავის დაუდასტურებ, თუ ვინ დასტიროდა ტობის, ილიშას, ელსის... მწუხარების კვალი არ რჩება. აბსტრაქცია პირველი აყრის დავიწყების თოვლს.

— მე უქვოდაც იოლას წავალ, მთავარია, მარტო არ მოვკვდე, — უთხრა რუდის.

— თუ ჩემზე ადრე მოკვდები, მოსაწვევებს დავარიგებ, — მიუგო რუდომ.

უცებ მიხვდა თუ არა, ჩემი უვარგისი შვილი მზადაა სიკვდილს შეურიგდეს. თუკი ეს ამხენაგების წრეში მოხდებაო, ქეთრის ფელანმა რაღაც ჩაიბუზღუნა და ქმართან მას კიცხვა დაუწყო. მაიკლ ფელანმა თვალი გააყოლა ნე-

კერჩხლისაკენ მიმავალ შვილს, სადაც ჯერალდი იყო დამარხული. მაიკლს მუდამ ანცვიფრებდა, რომ ცოცხლები გუმანით მაინც პოულობენ ნათესავების საფლავებისკენ მიმავალს გზას, წინასწარ რომც არ იცოდნენ მათი ადგილსამყოფელი. ფრენსისი არ დასწრებია ჯერალდის დასაფლავებას და არც არასოდეს ენახა მისი საფლავი. წმინდა აგნესას მთელი მრევლი აღშფოთებული იყო მაშინ მისი არყოფნით. მაგრამ აი, ახლა მიდის იგი მიზანსწრაფულად და ოღონდ კოჭლობით, რაც მაიკლს ადრე შვილისთვის არ შეუმჩნევია, — მიდის და იქნება ნაპრალი მამასა და შვილს შორის, ანაზღეულ სიკვდილსა და განუშორებელ დანაშაულს შორის. მაიკლმა მეზობლებს შეატყობინა, მგონი, სულიერი განახლების აქტის მოწმენი ვხდებითო, და მიცვალებულნი, რომელთაც ახსოვდათ განვილილ ცხოვრებაში საკუთარი ისტორიული დაუდევრობები თუ გამოუსწორებელი განხეთქილებანი, მღუმარედ უკრავდნენ ტაშს ზევით, ნეკერჩხლისაკენ მიმავალ ფრენსისს. რუდი კარგა მოშორებით მისდევდა მეგობარს და მისი მჭმუნვარე სახის შემხედვარე გრძნობდა, შემსწრე იყო საეტაპო მოვლენისა.

კულტური ჯვრის ქვეშ მდებარე საფლავიდან ჯერალდი უთვალთვალავდა მამის მოახლოებას და ფიქრობდა, როგორ მოქცეულიყო მასთან შეხვედრისას. მიეტყვებინა თუ არა მისთვის ცოდვები — იმის გამო კი არა, რომ ხელიდან გაუვარდა, ეს შემთხვევით მოხდა, არა, თუაზი რომ მიატოვა და სულმდაბლურად გაიქცა, როცა სიმტკიცის გამოჩენა იყო საჭირო. ჯერალდის საფლავი სულგრძელმა განცდამ შეატოკა. სიცოცხლეში ენა ჯერ რომ არ ამოედგა და ისე მოკვდა, ალუ-ალუ და ღულუნი იცოდა მარტო. საფლავში მეტყველების ნიჭი შეეძინა და უნარს — გამოეთქვა თავისი აზრი, ანდა მიმხვდარიყო სხვების ფიქრს, მიცვალებულთა შორის გენიოსად ექცია.

ფრენსისმა უმალ მიაგნო საფლავს. საფლავთან მდგარს გონების თვალთ წარმოუდგა ის წუთი, როდესაც შვილი მისი ხელებიდან სიკვდილის კლანჭებში მოექცა. ინატრა დრო უკან დაბრუნებულიყო, რათა მოესწრო სარდაფში თავის ჩამოხრჩობა მანამ, ვინემ ბავშვს სახვევს გამოუცვლიდა. რაკი ეს შეუძლებელი იყო, ახლა იმასლა ნატრობდა, მის ბიჭს მარადიული სიმშვიდე მინიჭებოდა. თავის ხანმოკლე წუთისოფელში ბიჭს ტანჯვა არ განუცდია. ისე უეცრად ამოხდა სული, როცა კისერი გადაუტყდა, ტკივილი არც უგრძვნია. ჯერალდ მაიკლ ფელანი, დაიბადა 1916 წლის 13 აპრილს, გარდაიცვალა 1916 წლის 26 აპრილს. იცოცხლა 13 დღე, ჩვენი საყვარელი უბედური ბიჭი. — ამოტვიფრული იყო ქვაზე.

ფრენსისს ცრემლები ღვარად ჩამოსდიოდა, და როცა ცრემლები ფეხსაცმელზე დაეწვეთა, საფლავზე დაემხო, ბალახები მობლუჯა და გაახსენდა, როგორ პქონდა ჩაბლუჯული ბავშვის სახვევი, ახალშობილის სურნელოვანი შარდის ლუნი რომ ასდიოდა და როცა ელდანაცემმა ფრენსისმა სახვევს ხელი მოუჭირა, წმინდა სითხის წვეთი ფეხსაცმელზე დაეცა. ოცდაორი წელი გასულიყო მას შემდეგ, მაგრამ ფრენსისს ახლაც ნათლად დაუდგა თვალწინ მთელი იმდღევანდელი სურათი.

— მე ყველაფერი მახსოვს, — უთხრა ფრენსისმა ჯერალდს, — შენი სიკვდილის შემდეგ პირველად დავფიქრდი ამაზე. მაშინ ცვლის შემდეგ ოთხი ღუდი ავიღე, ოღონდ ხელიდან იმიტომ არ დამვარდნიხარ, რომ მთვრალი ვიყავი. ოთხი ღუდი რა არის, თანაც მეოთხე ბოლომდე არც დამიღვევია, დახლზე დავტოვე ბრეიდის ღორის ფეხებით სავსე ქილის ახლოს, რათა კაპ ლოუერთან ერთად შინ დავბრუნებულიყავ. ბილი მაშინ ცხრა წლისა იყო. მან პეგიზე ადრე

შეიტყო შენი სიკვდილი. პეგი გუნდში მეცადინეობიდან ჯერ არ დაბრუნებულყო. დედაშენს ორად-ორი სიტყვა აღმოხდა, „ღმერთო ჩემო“ და ორივე უმაღლეს დაუიხარეთ შენს ასაყვანად. დაუიხარეთ და ვავშეშდით. ამ დროს შემოვიდა ბილი და იმანაც ყველაფერი დაინახა. რატომღაა ჯერალდი მოკრუნხული, იკითხა. იცი, ბილი ერთი კვირის წინათ უნახე, მშვენივრად გამოიყურება, უნდოდა ხალი კოსტუმი ეყიდა ჩემთვის. ციხიდან ჩემს გამოსაყვანად ფული გაიღო, მეც ბლომა ფული მომცა. შენზეც ვისაუბრეთ. მითხრა, დედას თავის დღეში არ წამოსცდენია, ჯერალდი შენ რომ გაგივარდა ხელიდანო. ოცდაორი წელი გავიდა მას შემდეგ და ერთ სულიერთანაც არ დასცდენია, რომ ეს ჩემი ბრალი იყო. აი, მესმის ქალი! მახსოვს, ლინოლიუმი, რაზედაც დაეცი, ყვითელი იყო, წითელ-უჯრედებიანი, როგორ ფიქრობ, რაკი ამ ამბავზე უკვე ხმამაღლა ვლაპარაკობ, შევძლებ იგი ცოტა მაინც დავივიწყო?

ჯერალდის მდუმარე ნება-სურვილის გამოსხივებამ გაქცეულ მამას დააკისრა საბოლოო მოსანანიებელი აქტების შესრულება. შენ ვერ მიხვდები, რაში მდგომარეობს იგი, თუ მთლიანად არ აღასრულეს, — უსიტყვოდ უთხრა ბიჭმა, — ხოლო როცა აღასრულეს, ვერც იმას მიხვდები, რომ ეს მონანიება იყო, როგორც ვერ ხვდები, რომ შენი დღევანდელი უბედურეობა მონანიებაა. მაგრამ მონანიების შემდეგ ჩემ გამო აღარ ეცდები თავის მოკვლას.

ფრენსისმა ტირილი შეწყვიტა და შეეცადა ორიოდ შერჩენილ უკანა კბილებს შორის გაჩხირული პურის ნამცეცი შეესრუტა. ჰოდა, ენა ისეთი ხმაურით გააწკლავუნა, შეშინებულმა ციფვმა, საზამთროდ სურსათს რომ იმარაგებდა, მიწის ფხაჭუნი შეწყვიტა და სწრაფად ავარდა ნაკვერჩხალზე. ფრენსისმა ეს ვიზიტის დამთავრების ნიშნად მიიჩნია და ცას ახედა. ვეება ქათქათა ფუჭფულად ღრუბლის ქულები აღმოსავლეთით სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ მიიწევედა. ქარი ჩადგა, მზემ შუბის ტარზე აიწია. ფრენსისს უკვე აღარ სციოდა.

— ეი, მაწანწალავ, წამოდი, მძლოლი მოვძებნოთ, — გასძახა რუდის.

II

სასაფლაოდან ოლბანი-ტროას ავტობუსით დაბრუნდნენ უოთერვლიტის გავლით.

— დავყაჭოთ ათ-ათი ცენტი, მაწანწალავ, — უთხრა ფრენსისმა რუდის.

ისინი ბორბლებზე შემდგარ წითელ-კრემისფერ წაგრძელებულ ვიტრინაში ავიდნენ, რომელიც მოკლებული იყო სარწევველას სიმეფუდროვეს, სიცოცხლესა და სიმკვირცხლეს, არ ისროდა ელექტრონის ნაპერწკლებს, ასე ნიშანდობლივი რომ იყო გადაშენების გზაზე დამდგარ ტრამვაისთვის. ფრენსისს ტრამვაი ისევე ცხადად ახსოვდა, როგორც საკუთარი მამის სახე. იგი ისევე მახლობელი იყო მასთვის, როგორც მამამისისთვის რკინიგზა. მან მრავალი წელი იმუშავა ოლბანის ჩრდილოეთ დეპოში და თვალდახუჭულს შეეძლო ტრამვაის დაშლა თუ აწყობა.

1901 წელს ტრამვაელთა გაფიცვისას კაციც კი შემოაკვდა. მაგრამ ტრამვაის დრო წარსულს ბარდებოდა.

— სად მივდივართ? — ჰკითხა რუდიმ.

— შენთვის სულერთი არაა? რა, პაემანზე გაგვიანდება თუ თეატრის ბილეთი გაქვს აღებული?

— მინდა ვიცოდე, სად მივდივარ.

— ოცდაორი წელია მდობარ მაგრამ არ იცი, სად მიდიხარ.

- ჰო, ეგ კი მართალი მითხარი.
- მისიაში მივდივართ. ვნახოთ, რა ხდება. იქნებ მითხრას ვინმემ, სად დაიკარგა ელენი.
- რა ჰქვია ელენს?
- ელენი.
- არა, გვარს გეკითხები.
- რად გინდა მისი გვარი?
- მინდა ვიცოდე, რა გვარია ადამიანი.
- გვარი არა აქვს.
- კი ბატონო, არ გინდა თქვა და, არცაა საჭირო.
- საქმეც ეგაა, რომ არაა საჭირო.
- მისიაში შევჭამთ? გვარიანად მომშივდა.



- რატომაც არა. ფხიზლები ვართ, მაშასადამე, შეგვიშვებენ. იქ ამ დღეებშიც ვივახშმე. მშიერი ვკვდებოდი. ერთი მათლაფა წვნიანი დამისხეს. მჟავე და საძაგელი იყო. ვინც ლოთობას შეეშვა, იქვე ცხოვრობენ და ღორებივით ხეთქავენ, ნარჩენებს კი ავზში ასხამენ და ამ ნარეცხს ჩვენ გვაჭმევენ.

- არა, საყვედური მაინც არ ეთქმით.
- პარაშიდან რომ არ გვაჭმევენ, ეგეც კარგია.
- არა. პირველი ხარისხისაა.
- იმის ხარისხებში ვინ გაერკვევა. საჭმელს იქამდე არ ვაღივრებ ის რუკნა, ხანამ მის ქადაგებას არ მოისმენ. ვუყურებ იქ მყოფ მაწანწალებს და მიკვირს, რას უსხედან და ტვინს ილყებენ? მაგრამ ყველა მიხრწნილია, ქანც-გამოლეული და ლოთი, არაფრის რწმენა არა აქვთ. მშიერები არიან, ეგ არის და ეგ.

- მე კი მწამს, მე კათოლიკე ვარ.

- მეც კათოლიკე ვარ, ეგ რა შუაშია?

ავტობუსი ტრამვაის ყოფილი ხაზის გაყოლებით ბროდვეით სამხრეთისაკენ მიდიოდა. მინანდლის გავლის შემდეგ ჩრდილოეთ ოლბანისკენ გაუხვია და ჩრდილოეთის მესამე ქუჩაზე გაჩერდა, მგზავრებს უცდიდა. ფრენსისმა ფანჯრიდან გახედა თავის რაიონს - არც შეიძლებოდა არ დაენახა ჩრდილოეთის ქუჩის დასაწყისი, არხისკენ ჩასასვლელი, ხე-ტყის გადასატვირთავი ბაზა, დაბლობი და მდინარე. კუთხეში ძველებურად იდგა ბრეიდის სალუნი. ნეტავ თუ ცოცხალია ბრეიდი? ბურთს კარგად აწვდიდა. 1912 წელს ის ბოსტონის გუნდში თამაშობდა, ფრენსისი კი ვაშინგტონის გუნდში გამოდიოდა. გუნდიდან რომ წავიდა, სალუნი გახსნა. ოლბანიდან მარტო ორნი გამოდიოდნენ უმაღლეს ლიგაში - და ორივე ერთ ქუჩაზე დასახლდა. ბრეიდის გვერდით იყო ნიკის ახალი სასაუზმე - მის წინ სამასკარადოდ გამოწყობილი ბაეშვები - კლოუნი, მოჩვენება და ურჩხული - კლასობანას თამაშობდნენ. ხტებოდნენ ცარციტ დახაზულ უჯრედებზე. ფრენსისს გაახსენდა, რომ დღეს ყველაწმინდის წინა დღე იყო, როცა მოჩვენებები სახლებში იჭვრიტებიან, ხოლო ირგვლივ მკვდრები დაეხეტებიან.

- მე ამ ქუჩის ბოლოში ვცხოვრობდი, - უთხრა რუდის და თვითონვე გაუკვირდა, რატომ უუთხარიო. სულაც არ აპირებდა მისთვის გულის გადაშლას. მაგრამ მთელი დღე ამ მიამიტ კაცთან ერთად მუშაობამ, მიცვალებულებისთვის მიწის მიყრამ ისინი ერთმანეთს დაახლოვა. საოცარია და, სულ ერთი კვირის წევობარი ახლა უცხო მხარეში გაურკვეველი წერტილისკენ მისწრაფების თა-

ნამგზავრად ესახებოდა. რუდი გულუბრყვილო, უმწეო, დაღუპული კაცი იყო, ისეთივე დაღუპული, როგორც ფრენსისი, თუმცა მასზე ახალგაზრდა. იგი კიბოთი კვდებოდა, ყელამდე იყო ჩაფლული უგუნურებასა და უმეცრებაში, ბენტერა და ცხვარივით თვინიერი შიგადაშიგ დასტიროდა თავის ხელიდან წასულ ცხოვრებას, მაგრამ მასთან ყოფნა ფრენსისს რაღაც სულიერ სიმხნევებს მატებდა, ორივეს უნდოდა ისე მოქცეულიყო, მათ მდგომარეობას, მათელო გამოუთქმელი იმედებს რომ შეეფერებოდა. ორივემ დაწვრილებით იცოდა, მაწანწალა ყველა ტაბუ, ეტიკეტი, ჩვევები. ერთმანეთთან საუბრიდან შეიტყვეს, რომ ორივე იზიარებდა ბედნავსთა ძმობის რწმენას, თუმცა მათი სევდიანი თვალები მეტყველებდა, რომ ასეთი ძმობა არ არსებობდა, რომ მათ მუდამ ერთი საზრუნავი ერთიანებდათ. როგორ გადაეგორებინათ კიდევ ოციოდე წუთი. მათ ეშინოდათ სასმელის გარეშე დარჩენა, ეშინოდათ პოლიციელების, ზედამხედველების, უფროსების, მორალისტების, გიჟების, სიმართლის მოყვარულების, ეშინოდათ ერთმანეთისაც. უყვარდათ ამბების მთხრობელნი, ცრუპენტელები, კახპები, მოკრივეები, მომღერლები, შოტლანდიური ნავაზები, კუდს რომ ვიქციებენ, მდიდარი ბანდიტები. ფრენსისის აზრით, რუდა ნამდვილი მაწანწალა იყო.

მათ გაიარეს ერი-სტრიტის ყოფილი ტრამვაის დეპოს მახლობლად, ახლა აქ ავტობუსები იდგნენ, შენობა სხვაფრად შეეღებათ, ახალი შენობებიც წამოგჭიმათ, მაგრამ იქაურობას ძველი იერი შერჩენოდა. ცხრაას პირველი წლის ერთ დღეს დეპოდან გამოვიდა სალდათებითა და შტრაიკბრეხერებით გაძეპგილი ტრამვაი და ბორბლებქვეშ მორჩილად გაგებული ბროდვეის ქუჩით თავხედურად გარახრაზდა ცენტრისაკენ. მაგრამ კოლუმბიის კუთხეში ქუჩა ააბობოქრა გაფიცულებისა და მათი ცოლების რისხვამ. ტრამვაი ცეცხლმოკიდებულ ორ ზეწარშუა გაება მახეში. ზეწრებს ცეცხლი საკონტაქტო სადენიდან ფრენსისმა წაუკიდა. ტრამვაის ცხენოსნები აცილებდნენ. სალდათები შაშხანებით იყვნენ შეიარაღებულები. და როცა გამყიდველები ცეცხლმოკიდებულ ორ გოდოლს შუა გაიჩხირნენ, ფრენსისმა უკან დაიხია, მოიქნია ნავარჯიშევი ხელი და სიპი, ბეისბოლის ბურთივით მრგვალი და მძიმე ქვა პირდაპირ თავში სთხლიშა აქ ჩამოფრენილ კონდუქტორს. სალდათებს ქვები დააყარეს, ისინი ცეცხლით პასუხობდნენ. ორნი მოწყვეტით. ტომრებივით დაეცნენ ბრბოში. ფრენსისი კი რკინიგზისკენ გაქანდა და რკინიგზის ხაზის გაყოლებით ჩრდილოეთისკენ მანამ პირბოდა, სანამ ლამის ფილტვები არ დაუსკდა. იგი თხრილში დაიძალა, მაგრამ მღვეარი არ გამოჩენილა. სამაგიეროდ გამოჩნდნენ მისი ძმა ჩიკი და მეგობრები — პატსი მაკოლი და მარტინ ლოგერტი. ფრენსისი თხრილიდან ამოვიდა და ოთხივემ ჩრდილოეთისკენ აიღო გეზი, ჩაუარეს ხე-ტყის საწყობს და დაიძალნენ ფრენსისის სიმამრთან, რკინის ჯო ფარელთან, გამწმენდი სადგურის უფროსთან. ექ, ამ სადგურში ჰუმონის წყალს ოლბანელებისთვის სასმელად წმენდდნენ. ცოტა ხნის შემდეგ დანამდვილებით შეიტყო, რომ ოლბანის არემარეში მისი ყოფნა არ შეიძლებოდა, რადგან ის შტრაიკბრეხერი მართლა მოეკლა, და ფრენსისიც ჩრდილოეთისკენ მიმავალ მატარებელს შეახტა. დასავლეთისაკენ რომ წასულიყო, ისე იმ შეშლილ ქალაქში უნდა გაეველო. ამიტომ ჯერ ჩრდილოეთისაკენ გაემგზავრა, მერე ფეხით იარა, მიადგა დასავლეთისაკენ მიმავალ რკინიგზას და დეიტონამდე, აგა-იომდე ჩავიდა.

შტრაიკბრეხერი პირველი კაცი იყო, ფრენსის ფელანს რომ შემოაკვდა. მას თურმე ჰაროლდ ალენი ერქვა, უცოლშვილო იყო, მასაჩუსეტის ვუსტერიდან,

იყო უცნაურთა და უხიაკთა დამოუკიდებელი ორდენის წევრი, შოტლანდიურ-ირლანდიული წარმომადგენლობის, ოცდაცხრა წლის, ორი წლის წინათ გამოსული კოლეჯიდან, ესპანეთ-ამერიკის ომის ვეტერანი. მოხეტიალე მღებავი შტრაიკბრეხერად დაექირაუებინათ ოლბანოში. ახლა იგი გასასვლელში იჯდა ფრენსისის ახლოს, ეცვა გრძელი შავი შინელი, ეხურა ფორმის ქული.



რატომ მომკალი? — თვალებით ჰკითხა მან ფრენსისს.

— მე არ მინდოდა შენი მოკვლა, — უთხრა ფრენსისმა.

იმიტომ მესროლე კარტოფილის ხელა ქვა და ტვინი დამსხვრებულს?

— შენ დამსახურებულად მიიღე, შტრაიკბრეხერები რასაც იმსახურებენ, მას იღებენ. მე სამართლიანად მოვიქეცი.

შაშ არ ინანიებ შენს საქციელს?

— აბა რა კაცობაა, სამუშაოს რომ გვართმევთ და ცოლ-შვილის რჩენის საშუალებას არ გვაძლევთ, თქვე ძუენა ძაღლებო?

საკვირველია ამ სიტყვების მოსმენა იმ ადამიანისაგან, რომელმაც ზთელი ზაფხულით მიატოვა ოჯახი, მერე კი ყოველ გაზაფხულსა და ზაფხულს, ვიდრე ბეისბოლის სეზონი არ დამთავრდებოდა, შინ ვერ ნახავდი. განა შენ არ აყავი, რომ 1916 წელს სულაც დატოვე ოჯახი? როგორც ვიცი, ოცდაორი წლის მანძილზე ერთხელაც არ მოგიინახულებია შენიანები.

— მქონდა მიზეზი. ქვა აღარ გახსოვს? სალდათები ხომ იქვე დამხვრეტდნენ, თუ შენი აზრით, ხელები უნდა ამეწია? მერე ჩემი ახალშობილი ბიჭი დამივარდა ხელიდან. მომიკვდა. ამიტომაც აღარ შემეძლო კვლავინდებური ცხოვრება. მშიშარა ხარ და გარბიხარ.

— ფრენსისი არ არის მშიშარა. ჰქონდა მიზეზები და საფუძვლიანი მიზეზებიც.

ვერაფრით ვერ გაამართლებ შენს საქციელს.

— როგორ თუ ვერ გაამართლებ? — იყვირა ფრენსისმა.

— ვის გაამართლებას აპირებ? — ჰკითხა რუდიმ.

— აგერ იქ, — ფრენსისმა ტრამვაის დეპოს მიღმა რკინიგზის ხაზზე მიალითა, — სატვირთო ვაგონში ეიჯექი და ჩრდილოეთისკენ მივემგზავრებოდი. საშიშროებასაც თითქოს გაეულო! მატარებელი ნელა მიდიოდა, თორემ სხვაგვარად მიმავალს ვერ შევახტებოდი. ვხედავ, მორბის ახალგაზრდა ბიჭი, მორბის თავქუდმოგლეჯილი, როგორც ცოტა ხნის წინათ მე თვითონ გამოვრბოდი, მას უკან ორნი მოსდევენ, ერთ-ერთი პოლიციელს ჰგავს, თან ისვრის. შეჩერდება და ისვრის. ახალგაზრდა კი გამორბის, სადაცაა დაეწევა. ვხედავ, მის უკან კიდევ ერთი ახალგაზრდა გამორბის, ორივეს მატარებლისკენ აქვს გეზი. კარიდან ფრთხილად ვიჭვრიტები, ტყვია რომ არ მომხვდეს. ვხედავ, პირველი როგორ ჩაეჭიდა ერთ-ერთი ვაგონის კიბეს და მატარებელში შეყო თავი. ისინი კი ისვრიან და ისვრიან. ამ დროს ზუსტად გადასასვლელს მივადექით. მეორე ყმაწვილი ჩემს ვაგონს მოადგა და მიყვირის, მიშველე, მიშველეო. ის არამზადები კი უცხუნებენ და უცხუნებენ, გაცოცდები დასახმარებლად და სულს გაგაფრთხობინებენ.

— მერე რა ჰქენი?

— მუცელზე დაუწექი, იატაკს გავეკარი რათა სამიზნე არამზადებს ნაკლები ჰქონოდათ. ახალგაზრდას ხელი გავუწოდე, ისიც ჩამეჭიდა და ის იყო

1. მასონური ტიპის ურთიერთდამხმარე საზოგადოება, დაარსდა ინგლისში XVII ს. დასაწყისში.

უნდა ამომეყვანა, რომ ამ დროს ესროლეს, ტყვია ზურგში ჰკრეს და, კარგად მეყოლე, ძვირფასო, შორ გზას გაუყენეს, მოკლეს. მე ვაგონში შევევრდი და მხოლოდ უაიტჰოლში, როცა ჩემთან მეორე ახალგაზრდა შემოფოფხდა, გავიგე, რომ ორივე გამოქცეული ყოფილიყო. თურმე ოლბანიში საოლქო ციხეში მიჰყავდათ. იქ კი ტრამვაელთა გაფიცვა იყო, სროლა და აღიაქოთი იღვა, რადგან ვილაცას შტრაიკბრეხერისთვის ქვა ესროლა და მოეკლათ. ქუჩაში ტრბო მძვინვარებდა, ყვირილით აქეთ-იქით დარბოდნენ, მცველებმა ყურადღებას მოადუნეს და ბიჭებმაც თავს უშველეს. ჯერ სადღაც დაიმაღნენ, მერე წამოხტნენ, ჩემსავით ხუთიოდე კილომეტრი ირბინეს, მაგრამ მცველები კვალს დაადგნენ და გამოუკიდნენ. ის პირველი მაინც ვერ დაიჭირეს. დეიტონამდე ერთად ჩავედით. მადლობელი დამჩნა, მისი ძმაკაცის დახმარებას რომ შევეცადე, სანამ სახარისხებელზე ვიდექით, ორი ქათამი მოიპარა, პირდაპირ ვაგონში შევწვით. კუჭი გავიძღეთ. ეს ახალგაზრდა თურმე მკვლეელი იყო. სელკერკში ვილაც წესერი ქალი დაეხრწო, თვითონაც არ იცოდა, რატომ. ის მეორე, რომელიც მოკლეს, ცხენიპარია ყოფილა.

— გეტყობა, ცხოვრებაში ბევრი ცუდი გინახავს, — უთხრა რუდიმ.

— ჰო, მინახავს, როგორ იღვრება სისხლი და სკდება გოგრები, — ვიცი, რაც მოსდევს ამას.

ცხენიპარიას ალდო კამპიონე ერქვა. ემიგრანტი აიყო აბრუცის ქალაქ ტერამოდან. ამერიკაში ბედის საძიებლად ჩამოსულს ნიუ-იორკის საკარჭაპო არხის მშენებლობაზე დაუწყია მუშაობა. მაგრამ სოფლელი კაცი ქალაქ კომიანსში ცხენებს უცდუნებია, მაშინვე უტაცნიათ ხელი და ციხეში უკრიათ თავი. გასასამართლებლად ოლბანიში გადაჰყავდათ და გაქცევის მცდელობისას მოკლეს. ფრენსისმა ამ ამბოდან ასეთი დასკვნა გამოიტანა: ცხოვრება ჭირვეულია და გასუხორციელებელი მგზავრობებით სავსე, ქურდობა ცუდია, მით უფრო, თუ დაგიჭირეს. ტყვიას, იტალიელიც რომ იყო, ვერსად გაექცევი, გასაჭირის დროს გაწვდილი ხელი კი დიდებულია.

ავტობუსი ბროდვეისა და კოლუმბია-სტრიტის კუთხეში რომ გაჩერდა, იქ, სადაც სამარცხვინო ტრამვაი ცეცხლმოკიდებული ზეწრების მახეში გაება, სალონში ალდო კამპიონე შემოვიდა. ეცვა თეთრი ფლანელის კოსტუმი, თეთრი პერანგი, ეკეთა თეთრი ჰალსტუხი, თმა ბრილიანით გადაესლიქა. ფრენსისი უმაღლ მიხვდა, რომ ეს თეთრი ტანსაცმელი — უცოდველობის კი არა, მორჩილების ნიშანი იყო. მდაბიო წარმომავლობის კაცს დაბალი ხელფასი ჰქონდა, სულმდაბალი საქციელიც ჩაიდინა, სიკვდილი კი კიდევ უფრო უარესი ეწია. ახალი კოსტუმი ალბათ საიქიოში მისცეს. და აი, გამოიარა გასასვლელი, ჩადგა ფრენსისსა და რუდის შუა და ფრენსისს ხელი გაუწოდა. ეს შეიძლება აბრუციელთა ჩვეული მისალმება იყო, ან მუქარა, ან გაფრთხილება, შეიძლება დაგვიანებული მადლობაც, ან თანაგრძნობა ფრენსისთანა ადამიანის მიმართ, რომელმაც ამდენი ხანი იცხოვრა (მასთან შედარებით), ბევრი რამ გადაიტანა და სულ-ნელა მიიწვედა სიკვდილისაკენ. იქნებ სულაც მიწვევა იყო საიქიოში, კიდევ უარესი თუ არა, ანუ — „კეთილი იყოს თქვენი მობრძანებაო“. ამის გაფიქრებაზე ფრენსისმა ჩამოსართმევად გაწვდილი ხელი სწრაფად წაიღო უკან.

— მე მკვდარ ცხენიპარიებს ხელს არ ვართმევ.

— მე ცხენიპარია არა ვარ, — უთხრა რუდიმ.

— კი ჰგავხარ და, — მიუგო ფრენსისმა.

ამასობაში ავტობუსი მედისონ-ავენიუსა და ბროდვეის კუთხეში გაჩერდა.

ფრენსისი და რუდი ავტობუსიდან ჩამოვიდნენ. 1938 წლის ოქტომბრის ბოლო ხალაში იდგა, ყინვიანი და ცივი — უღვთო ფაში, როცა წყალობისა და მადლის საკლებობაა, ძველი თუ ახალი მიცვალებულები კი საზოგადოებრივ ტრანსპორტში მოძვრებიან.



მაცხოვრის მისიის გვერდით, განათებული ფანჯრების ქვემოთ სილასა და მტვერში, მოტიტვლებულ, უშენ ადგილას ადამიანის სხეული ეგდო. მისმა პოზამ ფრენსისის ყურადღება მიიქცია და შეჩერდა. ადამიანთა სხეულები მოსახვევებში, თხრილებში, ადამიანთა სხეულები ყველგან და ყოველთვის ავსებდა მის თვალსაწიერს. ეს იყო მიცვალებულების სხეულთა ლიტანია. სხეული ქალისა იყო, იგი თითქოს სიკვდილს შემდგომ გაფრენას ასრულებდა პირქვე დამხობილი: სახე მტვერში ჩაერგო, ხელები წინ გაეწვდინა, ფეხები გაეშალა.

- ეჰე, ეს ხომ სანდრაა, — თქვა რუდიმ და შეჩერდა.
- სანდრა, მერე როგორაა?
- მერე არცროგორ. ელენივით მასაც მარტო სახელი ჰქონდა. ესკიმოსია.
- ეშმაკმა წაგიღოს, ჭკუაიხველო! შენი თქმით, ყველა ან ჩეროკია ან ესკიმოსი.

- არა, მართალს გეუბნები, აღიასკაზე მუშაობდა გზების მშენებლობაზე.
- მკვდარია?

რუდი დაიხარა, სანდრას ხელზე ხელი მოჰკიდა. სანდრამ ხელი წაერთვა.

- არა, მკვდარი არ არის, — თქვა რუდიმ.
- მაშინ ადექი, სანდრა, თორემ ძაღლები საჯდომს მოგაჭამენ.

სანდრა არ განძრეულა, მოყვითალო-მოთეთრო თმა გაშლიდა და მტვერში ამოვანგლოდა. გახუნებული ჭუჭყიანი კაბა მუხლებქვეშ შეკვცოდა, წინდები იმდენ ადგილას გაფხრეწოდა, წინდები აღარც ეთქმოდა. კაბის ზემოთ ორი სვიტრი ეცვა ჩამოფლეთილი და მოჩეარული. მარცხენა ფეხსაცმელი აღარსად ჩანდა. რუდი დაიხარა და მხარზე ხელი მოუტყაპუნა.

- ეი, სანდრა, მე ვარ, რუდი, ველარა მცნობ?
- ხ-ხ-ხ-ნ, — ამოთქვა სანდრამ.
- მთვრალია, სულ აღარ შეუძლია სმა. უმალ გაიშოტება ხოლმე.
- აქ გაიყინება, ძაღლები მოვლენ და საჯდომს მოაჭამენ.
- თანაც მთვრალი თუ არის, მისიაში არ შეუშვებენ, — თქვა ფრენსისმა.
- სწორია, — დაეთანხმა რუდი. — მთვრალ ქალს მქადაგებელი მაშინვე გამოავდებს. მთვრალი ქალები ჩვენზე მეტად ეჯაურება.

- რა ჯანდაბის მქადაგებელია, თუ იმათ არ უქადაგებს, ვისაც სჭირდება.

— ლოთები არა სჭირდებათ, — თქვა რუდიმ, — შენ მოისურვებდი ამის წსგავსი მაწანწალებით სავსე ოთახში გეწირა?

- ეს მაწანწალაა თუ უბრალოდ მთვრალია?
- მაწანწალაა.
- ეტყობა კიდევ.
- მთელი ცხოვრება მაწანწალაიყო.
- არა, მთელი ცხოვრება არ შეიძლება მაწანწალა ყოფილიყო. ადრე ალბათ სხვა რაღაც იყო, — თქვა ფრენსისმა.
- ადრე მეძაუი იყო და მაწანწალად იქცა.

— მანამდე, სანამ მეძავი გახდებოდა?

— არ ვიცი, — თქვა რუდიმ, — ამბობს, ალიასკაზე ვმეძავეობდიო. იქამდე აღბათ უბრალოდ გოგო იყო.

— ხომ ხედავ? გოგო იყო! მაშასადამე, არც მეძავი და არც მაწანწალა არ ყოფილა.

ფრენსისმა სიბნელეში სანდრას დაკარგული ფეხსაცმელი დაინახა, აიღო, მარცხენა ფეხთან დაუდო, მერე მიუჯდა და მარცხენა ყურში ჩასძანა:

— ღამე გაითოშები, გესმის? აცივდება. ყინვა იქნება. შეიძლება თოვლიც მოვიდეს. გაიგე: საღმე უნდა შეაფარო თავი. ბოლო ორი ღამე ბალახებში მეძინა, საშინლად ციოდა, დღეს კი უფრო მეტად ცივა, ვიდრე გუშინდამ. სულ ორი კვარტალი გამოვიარე და ხელები ღამის მომეყინა. სანდრა! გეყურება, რას გეუბნები? ერთი ფინჯანი ცხელი წვნიანი რომ მოგიტანო, დალევ? შეგიძლია გადაყლაპო? არა მგონია, რომ შეძლო, მაგრამ ვცადოთ. ცხელ წვნიანს თუ დალევ, ისე მალე აღარ გაითოშები. ან იქნებ სულაც იმიტომ დაწექი ამ მტკვერში, რომ გინდა გაიყინო. აქ ბალახებიც კი არ არის, ყურებში ქარმა რომ არ დაგიბეროს. მე როცა ქუჩაში მძინავს, მიყვარს, ირგვლივ მაღალი შამბნარი რომაა. გინდა წვნიანი?

სანდრამ თავი მოაბრუნა და ფრენსისს ცალი თვალით გახედა.

— ვინა ხარ?

— ვინა და მაწანწალა, — უთხრა ფრენსისმა, — მაგრამ ახლა ფხიზელი ვარ და შემიძლია წვნიანი მოგიტანო.

— დასაღვეს მიშოვი?

— არა, მაგდენი ფული არა მაქვს.

— მაშინ წვნიანი იყოს.

— გინდა ადგე?

— არა, აქ მოვიცდი.

— მტკვერში ხარ ამოგანგლული.

— არა უშავს.

— როგორც გინდა, მაგრამ ძალღებს უფროხილდი, — თქვა ფრენსისმა და წამოდგა.

მისიაში თავგამოდებით უკრავდა მოყვარული ორგანისტი. რამდენიმე კაცი წლებოდა ქრისტეს საღიდებელს — რა დაგვემართებოდაო უიძისოდ? ეს ხმები ეკუთვნოდა მის მაღალღირსება ჩესტერს და ხუთ პერანგიან მამაკაცს, ეკლესიის პირველ რიგში, გასაშლელ სკამებზე რომ ისხდნენ. ჩესტერი მოუხეშავი, თმააქორილი და ჭადარაშერეული მამაკაცი, ახალგაზრდობიდანვე ვისკისაგან რომ აღაუღაჟებოდა ლოყები, საწიგნესთან იდგა და თვალს არ აშორებდა სამწყსოს — ორმოციოდე მამაკაცსა და ერთ ქალს.

ფრენსისმა ელენი ზღურბლიდანვე დაინახა — ნაცრისფერი ბერეტი გვერდზე მოეგდო, ეცვა შავი ძველი პალტო. სხვებისაგან განსხვავებით, არ ეჭირა დავითნი, იჯდა, ხელები წინ დაეწყო და მთელი არსებით თითქოს კადნიერად უარყოფდა, რომ ჩესტერისთანა მეთოდისტის მეოხებით შეიძლებოდა ცხოვნება, ელენი კათოლიკე იყო და, თუ ცხოვნება და ხსნა ეწერა, ეს მისი ეკლესიის, ერთადერთი ჭეშმარიტი ეკლესიის მეშვეობით უნდა მომხდარიყო.

უფალო იესო — ძღეროდნენ ჩესტერი და მისი პერანგიანი მიმდევრები, —

უფალო იესო, შიშს შენ განგვიქარებ,
ჩვენს ვარამს ბოლო შენით მოეღება,
შენა ხარ მუსიკა ცოდვილთა ყურთათვის,
შენა ხარ ჩვენი შუება და ცხოვრება.



მრევლის დანარჩენი შვიდი-რვა კაცი, ჭუჭყიანი, დართგუნული, ნაირ-ნა-
ირად წვერგაბანჯგვლული სახეებით, თავიანთ პალტოებში გაფხურისფერებით
რომ ჩანდნენ, მუხლებზე კი ქუდები ედოთ, ვისაც ჰქონდა იგი, — მღუმარედ ისხ-
დნენ ან უგულისყურო ბუტბუტით აკყოლოდნენ მგალობლებს, ანდა სულაც
თვლებდნენ.

ძალა იესოსი შემუსრავს ცოდვას,
იმედს ტუსადსაც არ დაუკარგავს,
ქრისტეს სისხლმა ცოდვილნი განბანა,
ქრისტეს სისხლმა მეც გადამარჩინა.

ოღონდ მე არა, თქვა თავისთვის ფრენსისმა. მთელი დღის ნამუშევარს და
დაუბანელს ოფლის, გამხმარი მიწის, გახრწნილ საფლავთა სუნი ამყრალებული
სამოსელივით შემოხვეოდა და მის საკუთარ სიმყრალეს შერთვოდა.

ისმინეთ, ყრუნო,
მუნჯნო, განახენეთ პირი,
ადიდეთ მესია,
ქვეყნის მხსნელი იხილეთ, ბრძანო,
ბედნიერებისგან იცეკვეთ, ხეიბარნო.

ხეიბრებმა და კოჭლებმა უღიმღამოდ დაუშვეს საგალობლები. ჩესტერი კი
საწიგნეზე გადაიხარა და თვალი მოავლო მრევლს. აქ, როგორც ყოველთვის,
იყო კარგი, წესიერი ხალხიც, უმუშევრობით გატანჯულნი, სიხარბისგან, სიხარ-
მაცისა და უგუნურებისგან დამახინჯებულნი, ბაბილონური აღვირახსნილი საზო-
გადოების ხილვით განრისხებული ღმერთის მსხვერპლნი. ისინი მისიაში მხო-
ლოდ გავლისას ხვდებოდნენ. მღვდელი მათ წარმატებას თუ უსურვებდა, ლოც-
ვებს წაუკითხავდა და შორეული მგზავრობის წინ დაანაყრებდა. მისი ნამდვილი
ადრესატები კი სულ სხვები იყვნენ: ლოთები, მაწანწალები, სულელები, ჭკუა-
ნაკლები, რომლებისთვისაც მართო წარმატება ცოტაა. მათ სჭირდებათ გზის
განრიგი, მენტორი და გამცილებელი თავიანთ ყოველდღიურ ჯოჯოხეთსა და
განსაწმენდელში. მათთან სიტყვისა და სინათლის მიტანა ძნელი გამხდარიყო,
ვინაიდან ადამიანებში რწმენა ძლივსლა ბუუტავდა და ანტიქრისტეც ცხენზე
იყო ამხედრებული. მათესთან და გამოცხადებაში ნაწინასწარმეტყველებია, რომ
ბიბლიას თანდათანობით ნაკლებად სცემენ თავყანს, სულ უფრო იმატებს უკა-
ნონობა და გარყვნილება. სიტყვა, საგალობელი, სინათლე მალე ოაიღუბება, რა-
ნეთუ ჩვენ უდავოდ აღსასრულის მოწმენი ვხდებით.

— გზააბნეულნო, — თქვა მღვდელმა და შეიცადა, ვინემ სიტყვა გზას გა-
იგნებდა მათი ყვეყჩი თავებისაკენ, — ხელიდან წასულნო, უიმედოდ გზააბნეულ-
ნო ქალნო და კაცნო. ვინ გიხსნით უსაქმურობისაგან? ვინ დაგაყენებთ ხსნის
გზაზე? ქრისტე გიხსნით! ქრისტე გადაგარჩენთ!

შემდეგ მღვდელმა დალოცა სამწყსო. ნეტარ არიან გლახაკნი სულითა, ვი-
ნაიდან მათია ცათა სასუფეველი, ნეტარ არიან თეინიერნი, ვინაიდან ისინი

დაიმკვიდრებენ მიწას, ნეტარ არიან მგლოვიარენი, ვინაიდან ნუგეშცემულნი იქნებიან.

ძმანო გზასაცდენილნი, ღატაკ ქუჩათა ბინადარნი მარადიული ქალაქისა, რომელიც ყველა ჩვენგანს გვაძლევს თავშესაფარს, ნუ იდარდებთ სულთ თუ დაეცემით, ნუ გეშინიათ, რამეთუ თვინიერნი და მორჩილნი ხართ, ნუ გგონიათ, რომ ამათა თქვენი მწარე ცრემლები, რადგან ყოველივე ამაშია გასაღები ცათა სასუფევლისა.

ხალხს მყის ძილი მოერია, ფრენსისმა კი გადაწყვიტა საზიდან ჩამოებანა გვაძების სიმერალის სუნი და ჩესტერისათვის დაეცანცლა ერთი წყვილი წინდა. ჩესტერისათვის ყველაზე დიდი სიხარული იყო, როცა გამოსწორების გზაზე შემდგარ ლოთებს წინდებით ასაჩუქრებდა. განაძლე მშიერნი, ჩააცვი ფხიზელთო.

— მზადა ხართ თუ არა დაიმშვიდოთ თქვენი გული და გონი? — იკითხა მღვდელმა, — არის თუ არა დღეს აქ ვინმე, ვინც მოისურვებს სხვაგვარ ცხოვრებას? უფალი გვეუბნება: დარჩით ჩემთანო! ყურად იღებთ თუ არა მის სიტყვებს? აბა წამოდექით, წინ გამოდით, მუხლი მოიყარეთ და ვისაუბროთ. თუ ამას იზამთ, ცხონდებით. აბა! აბა!

არავინ არ განძრეულა.

— მაშ, ამინ, ძმებო, — თქვა ნაწყენმა მღვდელმა და ამბიონიდან ჩამოვიდა.

— მადლობა ღმერთს, ახლა წვნიანს დაგვირიგებენ, — უთხრა ფრენსისმა პეგობარს.

მაგიდასთან ერთი ჭედვა შეიქნა: ასხამდნენ ყავას, ხაპავდნენ წვნიანს, აძლევდნენ პურს თავშესაფრის თავგამოდებულ მოხალისეებს. ფრენსისმა მონახა კეთილი გულის მახონია, თავშესაფრის სამეურნეო მუშაკი და სანდრასთვის ერთი ფინჯანი წვნიანი სთხოვა.

— კარგი იქნებოდა შემოეშვათ, გარეთ გაიყინება, — უთხრა ფრენსისმა.

— შემოუშვეს, — თქვა მახონიამ, — მაგრამ ნაყლურწი იყო, მისი აზრი კი ასეთ რამეებზე შენც კარგად იცი. წვნიანს მოგცემ, ოღონდ, ღმერთმა დაგიფაროს, უთხრა, ვისთვის გინდა.

— საიდუმლო წვნიანი იქნება, — თქვა ფრენსისმა.

მან ჩუმად გაიტანა წვნიანი უკანა კარიდან, თან რუდიც გაიყოლა. სანდრა იმავე ადგილას დახვდათ. რუდიმ გადმოაბრუნა და წამოსვა. ფრენსისმა წვნიანი ცხვირთან მიუტანა.

— წვნიანია.

— ფსუ, — თქვა სანდრამ.

— დალიე, — ფრენსისმა ფინჯანი დააყირავა. წვნიანი სანდრას ნიკაპზე ჩამოეღვარა.

— არ უნდა, — თქვა რუდიმ.

— უნდა. ოღონდ ბრაზობს, რომ ღვინო არ არის.

ფრენსისმა ფინჯანი კიდევ მიუმარჯვა და სანდრამაც ერთი ყლუპი ჩაყლაპა.

— იქ რომ ღამე გავათიე, მახსოვს, სანდრამ თქვა, მოწყალების და მინდოდა გამოვსულიყავიო, თუ, არ ვიცი, მოწყალების და ვიყავიო. ასეა, სანდრა? — იკითხა რუდიმ.

— არა.

— რა არა? არ იყავი, თუ არ გინდოდა.

— ექიმი.

— ექიმობა სდომებია, — აუხსნა ფრენსისმა და ფინჯანი ისევ მიუმარჯვა.

— არა, — თქვა სანდრამ და წვნიანს ხელი ჰკრა.

ფრენსისმა ფინჯანი დაღვა და მარცხენა ფეხზე დაგლეჯილი ფეხსაცმელი ჩააცვა. მერე აიყვანა — ბუმბულივით მსუბუქი იყო, თავშესაფართან მიიყვანა და კედელთან დახვდა, რომ ქარს ნაკლებად დაებერა, ხელისგულით სახიდან სქლად დადებული მტკერი მოსწმინდა და ერთი ყლუბი წვნიანი კიდევ დააღვინა.

— ექიმს უნდოდა, რომ მოწყალების და გამოვსულიყავი, — თქვა სანდრამ.

— შენ კი არ გინდოდა? — ჰკითხა ფრენსისმა.

— მინდოდა, მაგრამ ექიმი მოკვდა.

— აა! სიყვარული? — თქვა ფრენსისმა.

— სიყვარული, — თქვა სანდრამაც.

მისიაში ფრენსისმა მახონიას ფინჯანი დაუბრუნა, იმან კი წვნიანი ნიჟარაში ჩაღვარა.

— როგორ არის? არა უშავს?

— უკეთესად რომ არ შეიძლება.

— ახლა მას „სასწრაფოც“ არ წაიყვანს, სისხლის დენა თუ არ აუტყდა.

ფრენსისმა თავი დაუქნია და საპირფარეშოში შევიდა, რომ ხელები დაეღანა სანდრას ჭკუჭყისა და სასაფლაოს სიმყრალის მოსაშორებლად. მერე პირი, კისერი და ყურებიც მიაყოლა. დაბანა რომ დაამთავრა, ხელმეორედ კიდევ დაიბანა, პირი გამოირეცხა, მარცხენა ხელის საჩვენებელი თითით კბილები გაიწმინდა, თმა დაისველა, თითებით დაივარცხნა და პირი კედელზე ჩამოკიდებული სველი პირსახოცით შეიმშრალა. წვნიანი და პური რომ აიღო და ელენის გვერდით დაჯდა, ბევრს ჭამა უკვე მოუთაუვებინა.

— სად იმალებოდი?

— თორემ ძალიან გაინტერესებს. ქუჩაში აქამდე სამჯერ შეიძლება ამომხდომოდა სული, შენ კი ვერაფერს გაიგებდი.

— რას გავიგებდი, ეშმაკმა დალაზვროს, აყვირდები, აცმუკდები და გადარეულივით გარბიხარ.

— შენთან გადავირევი აბა რა — უკანასკნელი ვროშები გაანიავე. სულ შეიშალე, ფრენსის.

— ფული მაქვს.

— რამდენი?

— ექვსი.

— სად იშოვე?

— მთელი დღე სასაფლაოზე გიჟივით ვმუშაობდი. საფლავებს ვასწორებდი. სიქა გამძვრა.

— მუშაობდი?

— მთელი დღე. მართალს გეუბნები.

— დიდებულია. თან ფხიზელი ხარ, სჭამ კიდევ.

— ღვინო არ დამიღვევია. მოწვევითაც კი არ მომიწვევია.

— ჩინებულია. კარგი ბიჭი ხარ. შენით ვამაყობ.

ფრენსისი წვნიანს დააცხრა. ელენს გაეღიმა და ყავა ბოლომდე დალია. სუფრიდან ნახევარი ხალხი აიშალა. მათ პირდაპირ უგულისყუროდ ჭამდა რუდი. მახონია და გულისხმიერი მოხალისეები ჭურჭელს აგროვებდნენ და სამზარეულოში გაჰქონდათ. მღვდელმაც დალია ყავა და ფრენსისთან მივიდა.

— მიხარია, რომ გამოსწორების გზას დაადექი.

— ჰოო, — თქვა ფრენსისმა.

- თქვენ როგორღა ხართ, პატარა ლედი?
- გადასარევად, — უპასუხა ელენმა.
- თუ ისურვებ, ფრენსის, სამუშაო შეიძლება გიშოვო.
- დღეს სასაფლაოზე ვმუშაობდი.
- ჩინებულია.
- ვერ გეტყვით, რომ მთელი ცხოვრება მიწის თხრაზე მყოფნებოდა.
- ახალი სამუშაო შესაძლოა უკეთესი აღმოჩნდეს. დღეს მემკვლევანე როს-კამმა შემოიარა, დამხმარეს ეძებს. ხანდახან ვუგზავნი ხოლმე ხალხს და შენ გამახსენდი. თუ ლოთობას მართლა გინდა შეეშვა, შეგიძლია რიგიანად გამოიმუშაო.
- მემკვლევანე? სამუშაო როგორია? — იკითხა ფრენსისმა.
- კარდაკარ დადის ფორნით, ძველმანებს, ბოთლებს, ქაღალდებს, ჯართს ყიდულობს, ნაგავს არ იღებს. ფორანი თვითონ დააქვს, მაგრამ დაბერდა, ღონიერი ხელები სჭირდება.
- სად არის?
- გრინ-სტრიტზე, ხიდის ქვეშ.
- მაღლობელი ვარ. შევუკლი. უფრო მაღლობელი ვიქნები, თუ ერთ წყვილ წინდას მომცემთ. ჩემი ერთიანად დაღბა.
- რა ზომა გინდა?
- ათი, თუნდაც ცხრა, თუნდაც თორმეტი.
- ათ ზომას გიშოვი. შენ კი, ფრენსის, კარგ სამუშაოზე უარს ნუ იტყვი, მოხარული ვარ, რომ შენც კარგად ხარ, პატარა ლედი.
- მე ძალიან კარგად ვარ, შესანიშნავად, — მიუგო ელენმა. ჩესტერი რომ გაშორდათ, ფრენსის მიუბრუნდა: — მოხარული ვარ, კარგად ხარო. დიახ, მშვენივრად ვარ, მაგრამ მაგის თქმა სულაც არა მჭირდება, კარგად რომ ვარ.
- ნუ წაეჩხუბები, წინდებს შემპირდა, — უთხრა ფრენსისმა.
- ავიღოთ ერთი ორი ბოთლი, დამე კი სადმე მოვეყურდეთ, — თქვა რუდიმ.
- ბოთლით? — ჩაჰკითხა ელენმა.
- დილითვე გითხარი, ბოთლები არ გამაგონო-მეთქი, — იუარა ფრენსისმა.
- ექვს დოლარად შეიძლება ოთახი ვიშოვოთ და ჩემოდანიც გამოვიწყიდოთ, — თქვა ელენმა.
- ექვსი არ შემიძლია, ადვოკატს რაღაც უნდა მივცე, ორ დოლარს იმას ნივცემ. სამუშაო ხომ მან გამიშანსა. მე კი მისი ორმოცდაათი მმართვეს.
- აბა სად აპირებ ღამის გათევას? — ჰკითხა ელენმა.
- შენ სად გაათიე?
- მოვნახე ასეთი ადგილი.
- ფინის მანქანაში?
- არა, ფინისთან არა. იცი, მაგასთან აღარ დავრჩები, ერთი ღამითაც აღარ დავრჩები.
- სად წახვალ აბა?
- შენ სად გაათიე?
- შამპნარში გამოვიძინე.
- მე კი საწოლი ვიშოვე.
- სად, დალახვროს ეშმაკმა?
- ჯეკთან.
- მე მეგონა, ჯეკი და კლარა აღარ გიყვარდნენ.

— ვერ გეტყვი, რომ ძალიან მიყვარან, მაგრამ საწოლი დამითმეს.

— ეს კარგი უქნიათ.

მოვიდა მახონია, მოიტანა მეორე ჭიქა ყავა და ელენის პირდაპირ დაჯდა. წსუქანი და მელიოტი მახონია მთელი დღე მოუკიდებელ სიგარეტს ღეჭავდა. ახალგაზრდობაში თმას კრეჭდა მუშტრებს. მაგრამ როცა ცოლმა მთელი მათი ვული ბანკიდან გამოიტანა, ძალღი მოუწამლა და დალაქს გაეკიდა, რომელიც მახონიამ თავისი სიბუჯით და ნიჭით ბაზრიდან გააძევა, მახონიამ უმჯობესად შეიყვარა ხელი და მაწანწალად იქცა. სავარცხელი და მაკრატელი მაინც სულ თან დაჰქონდა იმის საბუთად, რომ მისი ნიჭი ღოთის მონაჩმახი არ იყო. ახლა მაწანწალებს კრეჭდა ხან თხუთმეტ ცენტად, ხან ათ ცენტადაც. თავშესაფარში კი უკვე უფასოდ განაგრძო თავისი საქმიანობა.

თბილისში დაბრუნებულმა ფრენსისმა 1935 წელს მახონია გაიცნო და მთელი ოვე ერთად ილოთეს. რამდენიმე კვირის წინათ კი, როცა ფრენსისი კვლავ გამოჩნდა ქალაქში, რათა დემოკრატებისათვის ხმის მისაცემად გატარებულიყო რეგისტრაციაში — თითო ფიქტიური სულისთვის ხუთი დოლარი, — მისი და მახონიას გზები კვლავ შეიყარა. საარჩევნო კამპანიამ ფრენსისს 50 დოლარი გადაუხადა, 55 კიდევ უნდა მიეცა, მაგრამ ფრენსისს ამის იმედი აღარ ჰქონდა. მახონია ახლა შემართული და ენერგიით სავსე — ჩესტერის თავშესაფრის შეურნეობას განაგებდა. იგი მორჩილი გამზდარიყო, აღარ სვამდა და აღარც მღეროდა. ფრენსისმა მასთან კეთილგანწყობილება შეინარჩუნა, თუმცა იგი სულით ხეიბრადაც მიაჩნდა. ფხიზელი კი არის, მაგრამ რის ფასადო?

— გაიგე, ვინ უკრავს „მოყარაყებულ გალიაში“? — ჰკითხა მახონიამ.

— ვაზეთებს არ ვკითხულობ.

— ოსკარ რიო.

— ჩვენი ოსკარი?

— სწორედ ის.

— რას აკეთებს?

— მომღერალი ბარმენია. სადამდე დაეცა, არა?

— რადიოთი რომ გამოდიოდა, ის ოსკარ რიო? — იკითხა ელენმა.

— ჰო, სწორედ ის, — დაუდასტურა მახონიამ, — ღოთობას გადაეგო, მაგრამ ახლა შეეშვა. ბარში მუშაობს. ცხადია, ის აღარ არის, რაც იყო, მაგრამ ცოცხალი ხომ მაინცაა?

— მე და მახონია ნიუ-იორკში მაგასთან ერთად სამი დღე ვუბერავდით, არა, მახონია?..

— სამი დღე კი არა, მთელი კვირა, დღეების ანგარიშიც ავკერი. მილიონჯერ ექნება ნამღერი. ყველგან, სადაც კი ვსვამდით, უმაღლესი რაიონის მოუჯდებოდა ხოლმე. ამისთანა მსმელი მუსიკოსი ჩემს დღეში არ მინახავს.


— თდესლაც მეც ვმღეროდი მის სიმღერებს: „შეყვარებული ინდიელი“, „ჯორჯ, ჩემო გემრიელო“ და კიდევ „შენტან, ატმის ქვეშ“. კარგ, გულიან სიმღერებს თხზავდა. ყველა მის სიმღერას ვმღეროდი, როცა ჯერ კიდევ ვმღეროდი.

— არ ვიცოდი, შენ რომ მღეროდი, — უთხრა მახონიამ.

— მართლა ვმღეროდი და მშვენივრადაც ვუკრავდი ფორტეპიანოზე. ვიდრე მამა ცოცხალი მყავდა, ვასარაში¹ კლასიკურ მუსიკას ვსწავლობდი.

1. პოპოფის რესპექტაბელური კოლეჯი ნიუ-იორკის შტატში.

- ალბერტ აინშტაინი ვასარაში იყო, - განაცხადა რუდიმ.
- ჯანდაბას შენი თავი, არანორმალურო, - თქვა ფრენსისმა.
- იქ სიტყვა წარმოთქვა. გაზეთში წაუკითხე.
- შესაძლოა, - თქვა ელენმა, - იქ ყველა სიტყვით გამოდის. მსოფლიოს
საში საუკეთესო ინსტიტუტიდან ერთ-ერთი ვასარაშია.
- წავიდეთ, ვნახოთ ოსკარი, - თქვა ფრენსისმა.
- ძეგრი ბარი ხომ არ არის? - იკითხა ელენმა.
- გააჩნია რას დალევ, ფასები ჩვეულებრივია, - მიუგო მახონიამ.
- ამპარტავანი ხალხი ხომ არ ჰყავს?
- ჩვეულებრივი, ძველი ყაიდის ბარია. მაგრამ ამონაგების ნახევარი აქ
ფსკერზე მყოფთა სანახავედ მოხულ მდიდარ პიუნებზე მოდის.



მათ მხნედ, გაბადრული სახითა და კეთილი ღიმილით მიუახლოვდა მისი
წაღალღირსება ჩესტერი და ფრენსისს ერთი წყვილი შალის ნაცრისფერი წინ-
და გადასცა.

- მოიზომე.
- მაღლობელი კარ.
- კარგი, თბილი წინდება.
- ისეთია, როგორიც მინდოდა. ჩემი სულმთლად გაცვდა.
- ყოჩაღ, რომ არ სვამ და მხნედ გამოიყურები.
- ეს ნიღაბი ბრიყვებისათვის მაქვს.
- თავს ნუ იმცირებ. რწმენა არ დაკარგო.

გაიღო კარი და გამოჩნდა წითურთმიანი ბიფოკალურ სათვალვანი გამ-
ხდარი ახალგაზრდა კაცი. ეცვა ლურჯი, ორი ზომით პატარა პალტო. იდგა
პირდაპირ ლამპის ქვეშ და ჩრდილს არ აფენდა. ხელი კარის სახელურისთვის
ჩაეველო.

- კარი მიხურე, - დაუყვირა მახონიამ,
ახალგაზრდამ ერთი ნაბიჯი წინ წამოდგა და კარი მიხურა. შეშინებული
კურდღელივით ათვალეირებდა შენობას, სახე გაბზარულ თეფშს მიუგავდა.

- არ შემოუშვათ, - თქვა მახონიამ.

მღვდელი ჯიქურ მიადგა ახალმოსულს, აათვალეირ-ჩაათვალეირა და დაყ-
ნოსა.

- მთვრალი ხარ.
- ორიოდე გადაკვარ.
- ო, არა, ეს უკვე მეტი სმეტია.
- სინდისს ვფიცავარ, ორი ბოთლი ლუდი დავლიე.
- სად იშოვე ლუდის ფული?
- ერთმა ვალი გადამიხადა.
- თუ იმათხოვრე?
- არა.

- უსაქმური ხარ და მეტი არაფერი.

- სულ ცოტა დავლიე, თქვენო მაღალღირსებავ.

- ჩაალაგე ბარგი, ხომ გითხარი, მესამედ აღარ გაპატიებ-მეთქი. არტურ,
მოუტანე ჩემოდანი.

მახონია ზევით ავიდა, სადაც დროებით ის ერთი მუჭა ადამიანები ბინად-
რობდნენ, ვინც ცდილობდა გარკვეულიყო საკუთარ ცხოვრებაში. მღვდელმა
ფრენსისსაც შესთავაზა დარჩენა. უკი სმას მიატოვებდა. სამზარეულოს მო-

ხალისეებმა მუშაობა შეწყვიტეს და თან თანავრძობით, თან ნიშნისმოგებით უცქერდნენ იმედისმომცემი ახალგაზრდა თანამოძმის გაძევებას. მახონიამ ჩემოდანი ჩამოიტანა და კარებთან დადგა.

— სიგარეტი მომეცი, — სთხოვა ახალგაზრდამ მახონიას.

— არა მაქვს.

— მაშინ გამიხვიე.

— გეუბნები, თამბაქო არა მაქვს-მეთქი.

— ჰოო!

— უნდა წახვიდე, წითურო.

ელენი მივიდა წითურთან და სიგარეტი გაუწოდა. მან უსიტყვოდ აიღო. ელენმა ასანთი გაჰკრა, მოაკიდებინა და უკანვე დაბრუნდა.

— წასასვლელი არსადა მაქვს, — თქვა წითურმა და კვამლი ლამის მღვდელს შეაფრქვია.

— ამაზე მანამდე უნდა გეუიქრა, სანამ დალევდი. თაენება ბრძანდები, ყმაწვილო.

— არც კი ვიცი, ჩემოდანი სად წავიღო. ზემოთ ფანქარი და ქალაღდი დამრჩა.

— ჩემოდანი დატოვე. ფანქრისა და ქალაღდისთვის მაშინ მოდი, როცა გამოფხიზლდები და გონიერი კაცივით შეგეძლება ლაპარაკი.

— შარვლებიც ზემოთ დამრჩა.

— არსად დაგეკარგება. შენი შარვლები არავის სჭირდება.

— შეიძლება ერთი ჭიქა ყავა დავლიო?

— ლუდისთვის თუ იშოვე ფული, ყავისთვისაც იშოვი.

— სად წავიდე?

— წარმოადგენა არა მაქვს. ფხიზელი მოდი და გაჭმევთ. ახლა კი წადი.

წითურმა სახელური გამოსწია, კარი გააღო და ზღურბლს გადააბიჯა. მერე მობრუნდა, ჩემოდანში სიგარეტები მაქვსო.

— გაქვს და წაიღე.

წითურმა ჩემოდანს ღვედები მოხსნა, ამოიღო ერთი კოლოფი „ქემალი“, ჩემოდანს ღვედები ისევ მოუჭირა და წამოადგა.

— ხვალ რომ მოვიდე?

— ეგ ხვალ ვნახოთ, — უთხრა მღვდელმა და ახალგაზრდას სიბნელისკენ უბიძგა.

— შარვლები არ დამიკარგოთ, — მოისმა მიხურული კარის მინიდან.

ახალწინდებიანი ფრენისი პირველი გამოვიდა თავშესაფრიდან, პირველმა გახედა შეშფოთებით იმ კუთხეს, სადაც წუხანდლიდან ისევ ისე, კედელთან მიყუდებული იჯდა სანდრა. ფრენისმა სახეზე ხელის ზურგი შეახო და იგრძნო, როგორ გაყინულიყო ქალი.

— ძველი საბანი, ძონძმანში ან ვინმე მაწანწალას პალტო არ გექნება, რომ მოვახუროთ? — ჰკითხა მახონიას, რომელიც იქვე ჩრდილში იდგა.

— მოვნახავ რამეს, — თქვა მახონიამ და ჩაბნელებული თავშესაფრის კარი გააღო: სინათლე ყველგან ჩაექროთ, სამზარეულოშიდა ენთო და ენთებოდა თერთმეტამდე — თავშესაფრის საბოლოო დაკეტვამდე.

მახონიამ კარი გააღო და შევიდა. რუდი, ელენი და ფრენისი კი სანდრას



შემოეხვივნენ და მის სუნთქვას აყურადებდნენ. ფრენსისის თვალწინ თორმეტ კაცს მაინც ამოხდენოდა სული და მამისა და ჯერალდის გარდა ყველა მაწანწალა იყო.

გამოვიდა მახონია, გამოიტანა რაღაც ნაცრისფერი ძონძი, სულაც ყოფილი საბანი და ამ ძონძით შეფუთნა სანდრა. წვერი სვეტრში ჩაუტანა, თავზე კაპიუშონივით მოახვია და სანდრა მონაზონს დაემსგავსა.

— მე უკვე გავძეხი მაგისი ცქერით, — თქვა ფრენსისმა და კოჭლობით მოშორდა იქაურობას; როცა ციოდა, ჩვეულებრივზე გაცილებით მეტად კოჭლობდა. ფრენსისს ელენი, მახონია და ბოლოს რუდიც მიჰყვნენ.

— ადრე იცნობდი მაგას? — ჰკითხა ფრენსისმა მახონიას.

— რა თქმა უნდა, მაგას ყველა იცნობდა. მორიგეობით. მერე სასიყვარულო საღამოების გამართვა დაიწყო, — ასე დაარქვა თვითონ — ოღონდ გაგულბოროტდა. ჯერ სიყვარულობდა, მერე კი იკბინებოდა. იმდენი ხალხი დაკბინა, ბოლოს მარტო უცნობებიღა თუ თანხმდებოდნენ. შემდეგ ამასაც მოეშვა, ერთ მათხოვარს გადაეყარა, ფრედი ერქვა და ერთი წლის მანძილზე ერთმანეთზე ვარჯიშობდნენ. ბოლოს ფრედი საღლაც წავიდა, ეს კი აქ დარჩა...

— ჰოო, სად არის, მახონია, ის ბარი? გრინგ-სტრიტზე?

— ორი კვარტალის შემდეგაა, ადრე იქ „მხიარული თეატრი“ იყო.

— ვყოფილვარ მაგ თეატრში და მინახავს კანკანის ფისუნების ფურები.

— ფრენსის, წესიერად მოიქეცი, — უთხრა ელენმა.

— წესიერი არა ვარ? ჩემზე წესიერს მთელი კვირა ვერც ვერავის ნახავ.

„მოვარაყებული გალიის“ კარი ყოფილი „მხიარული თეატრის“ ვესტიბიულში გადიოდა, რომელიც ახლა ბარის უკანა მხარედ ქცეულიყო. თვითონ ბარი ნაწილობრივ ორმოციოდე წლის წინანდელ ნიუ-იორკის ბოქმური ლუდხანის პაროდის წარმოადგენდა. იატაკზე ნახერხი ეყარა. დარბაზი განათებული იყო ძველი, ელექტროლობისათვის გადაკეთებული ჭალებით და ბრებით. კაკლის გრძელ ბარს თითბრის პრიალა ფეხები ჰქონდა. იქვე მდგარ სამ საფურთხებელს ლაპლაპი გაუდიოდა. ნახევრადცარიელ ბარში მაღალსაყელოიანი კაცი იდგა, პალსტუხი ეკეთა და ჭიქებში ლუდს ასხამდა. მაგიდებთან კი, ერთმანეთისაგან ცალ-ცალკე ადგილებშიუჩენლად იჯდა, ფრენსისისათვის კარგად ნაცნობი საზოგადოება: მეძავეები, მაწანწალები და ლოთები. სხვა მაგიდებს კი შემოსხდომოდნენ მამაკაცები სადა, დახვეწილი კოსტუმებით და ქალები მელიის გორუეტებითა და ვეება შლაპებით. მათი ადგილები თუ რაიმეთი გამოიყიფოდა, მხოლოდ იმით, რომ მათ სულ სხვადასხვა იერა ედოთ. ასე რომ, „მოვარაყებული გალია“ დღეს უჩვეულო ძმობის მუხუშმად ქცეულიყო. ბარმენის დიმილი მონაწილეობის მისაღებად ისევე იწვევდა ფრენსისს, ელენისა და რუდისთანა მაწანწალებს, როგორც მათ სუფთაპერანგიან მეგობარ მახონიას.

— მაგიდას ინებებთ, მეგობრებო?

— არაა საჭირო. ბარი ხომ არის, — უთხრა ფრენსისმა.

— მაშინ შემოეწვევთ, მეგობრებო. რას დალევთ?

— ლიმონათს, — თქვა მახონიამ.

— მეც, თუ შეიძლება, — თქვა ელენმა.

— ამ ლუდმა ღამის გაცდუნოს კაცი! — წარმოთქვა ფრენსისმა.

— აკი თქვი, არ დაუღევო, — შეახსენა ელენმა.

— მე ღვინოზე ვთქვი.

ბარმენმა ფრენსისს ბაკალი მიუცურა და რუდის შეხედა. რუდიმაც ლუდი შეუკვეთა. პიანისტმა სიმღერების პოპური დაუკრა: „ის მომსწრე იყო უკეთეს დღეთა“, „მე ჩემი სატრფო მთვარიდან მეწვია“, და მსმენელებს შესთავაზა სიტყვები ვინც იცით, ამყევითო.

— შენ ჩემს ერთ მეგობარს მაგონებ, — გამომცდელი ღიმილით უთხრა ბარმენს ფრენსისმა.

ჭაღარათშიანი და ჭაღარაულეაშიანი ბარმენი კარგა ხანს უცქერდა ფრენსისს მეხსიერებადაცაბული, მერე მზერა ასევე მომღიმარ მახონიაზე გადაიტანა.

— მე მგონი, გიცნობთ, არწივებო, — თქვა ბარმენმა.

— სწორედაც გგონია, — მიუგო ფრენსისმა, — ოღონდ უკანასკნელად რომ გნახე, ეგ საღუტუნოები არ გქონდა მოშვებული.

ბარმენმა ხელი დაისვა ჭაღარა ულვაშებზე.

— ზორბად გამომათვრეთ ნიუ-იორკში, ბიჭებო.

— ჩვენ კი არა, შენ გვათრობდი მესამე ავენიუს ყველა ბარში, — უთხრა მახონიამ.

ბარმენმა ხელი გაუწოდა ფრენსისს.

— მე ფრენსის ფელანი ვარ, — უთხრა ფრენსისმა, — ეს კი რუდი-ფრიცია. კარგი კაცია, ცოტა შერეკილი რომ არ იყოს.

— მიყვარს ეგეთი ხალხი, — თქვა ოსკარმა.

— მახონია პაკერი, — ხელი გაუწოდა მახონიამ.

— მახსოვხარ.

— ის კი ელენია. ჩემთან ცხოვრობს, თუმცა რატომ, ღმერთმანი, არ ვიცი, — უთხრა ფრენსისმა.

— მე კი ისევე ოსკარ რიოს მეძახიან, მეგობრებო, და ნამდვილად მახსოვხართ, ოღონდ მე ახლა აღარა ვსუამ.

— არც მე, — თქვა მახონიამ.

— მე ჯერ არ მიმიტოვებია, პენსიამდე მოვიცდი, — თქვა ფრენსისმა.

— ორმოცი წელია, რაც პენსიაზეა, — თქვა მახონიამ.

— ტყუილია. დღეს მთელი დღე ვმუშაობდი. ფული მოვლუნე. როგორ მოგწონს ჩემი ახალი კოსტუმი?

— ღამაში ხარ, არაფრით არ გამოირჩევი იმ ფრანტებისგან, — უთხრა ოსკარმა.

— ფრანტები და მაწანწალები, ვის გაუყვია? — შენიშნა ფრენსისმა.

— არავის. ოღონდ ფრანტები ფრანტებით გამოიყურებიან, მაწანწალები კი მაწანწალებით, — თქვა ოსკარმა.

— ჭკვიანი კაცი ხარ, — უთხრა ფრენსისმა.

— კიდევ ძღერი, ოსკარ? — ჰკითხა მახონიამ.

— მხოლოდ ვახშამზე.

— მაშინ იმდერე, ეშმაკმა დალაზვროს, — უთხრა ფრენსისმა.

— რაკი ასე ზრდილობიანად მთხოვ, — თქვა ოსკარმა და პიანისტს მიუბრუნდა: — აბა, „თექვსმეტი“ დაუკარ.

მყისვე გაისმა „თექვსმეტი ტკბილი წელი“-ს აკორდები.

— მშვენიერი სიმღერაა, მახსოვს, რადიოში მღეროდი, — უთხრა ელენმა.

— შენს სიყვარულს ჟანგი არ ედება, ძვირფასო.

ოსკარმა ბარზე მდგარ მიკროფონში დაიწყო სიმღერა. ლოთობას არც ხმა, არც სმენა არ დაეკარგა მისთვის. დრო თითქოს უკან დაბრუნებულიყო. ამ ხმას ამერიკელთა ყური ისევე იყო მიჩვეული, როგორც ჯოლსონისა თუ მორტონ დაუნის ხმებს. ფრენსისსაც კი, იშვიათად რომ უსმენდა ~~სადღისა~~ ~~რადგან~~ წინათაც და ახლაც იშვიათად ჰქონდა იგი, ნათლად ახსოვდა ეს ტემბრი, ეს ტრემლო: ახსოვდა ნიუ-იორკული ლოთობის დროიდან, როდესაც ოსკარის სიმღერები იყო სიხარულის უსასრულო ქორალი ყველასთვის, ვისაც შეეძლო მისი პოსმენა, ყოველ შემთხვევაში, ასე ახსოვდა ფრენსისს იმ შორეული წლებიდან. და რაკი ახლაც ასეთი ყურადღებით უსმენენ ოსკარს მაწანწალები, ფრანტები, ოფიციანტები, მაშასადამე, არ მომკვდარა ეს ლოთი, არ დანებებია სიკვდილს. და მაინც, და მაინც... უღვაშებს მიღმა ისევ ისეთი საპყარი იყო, მის დაღლილ თვალებში ფრენსისმა ამოიკითხა ტანჯვა თანამოძმისა, ვისთვისაც ცხოვრება დიდი წარმატების ნაცვლად აღუსრულებელ, ახლა უკვე ნამდვილად აღუსრულებელ დაპირებად ქცეულიყო.

გონების ამ განათებისას ფრენსისს მოუნდა ყველა თავისი ცოდვა ელიარებინა ბუნების, ზნეობისა და საზოგადოების წინაშე, დაუზოგავად გამოეძია საკუთარი ხასიათის ყველა ნაკლი, უმნიშვნელოც კი, რამ დაგლუპა, ოსკარ? მოისურვებ თუ არა ჩვენც გაგვანდო? ან შენ კი იცი? მე არც ჯერალდმა დამლუპა, არც ლოთობამ, არც ბეისბოლმა, არც ჩემმა დედილომ. ისეთი რა დაგვემართა ოსკარ, რომ არავის შეუძლია ჩვენი შველა?

როდესაც ოსკარი ნელა, ნარნარად გადავიდა მეორე სიმღერაზე, ფრენსისს უზადოდ ეჩვენა მისი ნიჭი. გქონდეს ასეთი ნიჭი და ასე უკუღმართად წაგივიდეს ცხოვრება — ყოვლად აუხსნელი რამაა. ასეთი რამ შეგეძლოს კაცს და ნუთუ ეს არაფერს არ უნდა ნიშნავდეს? ფრენსისს გაახსენდა თავისი გამრობის დღეები მზიან, თხელი ნისლით დაფარულ მინდორზე: როგორ გამოიცნობდა ხოლმე რაგინდარა დარტყმის შემდეგ ბურთის მიმართულებას, ქორივით როგორ დააცხრებოდა, როგორ დაუკარგავდა ჰაერში გაფრენილ თუ ბალახში მზაკვრულად გაგორებულ ბურთს სისწრაფეს. როგორ იჭერდა ნადავლს ნავარჯიშევი ხელით და ისროდა პირველი ან მეორე ბაზისაკენ, ანდა იქით, საითაც საჭირო იყო — და აჰა, გამოგივიდა წირვა, მეგობარო, გავარდი თამაშიდან. არც ერთი მოთამაშე ისე არ ფლობდა თავის სხეულს, როგორც ფრენსის ფელანი, ბეისბოლის შეუფერხებელი მანქანა, და არავინ იყო ქვეყნად მასზე სწრაფი მოთამაშე.

ფრენსისს გაახსენდა თავის ხელთათმანის ფერი და მოყვანილობა, მისი სუნი — ოფლითა და ზეთით გაპოხილი ტყავის სუნი — და გაიფიქრა, ნეტა ენის შენახული აქვს თუ არაო. მოგონებებისა და გაზეთებიდან სამი-ოთხი ამონაჭერის გარდა მხოლოდ ეს ხელთათმანი შემორჩენოდა თავისი დამთავრებული კარიერიდან, რომლის პიკს მაშინ მიაღწია, როცა უკვე უკან ჰქონდა დარჩენილი საუკეთესო წლები. მაგრამ თავად ვადის გასვლა თითქოსდა ჰპირდებოდა, რომ სადღაც შეიძლება ელოდა სხვა დიდება, რომ ფრენ ფელანს, ბეისბოლის ერთ-ერთ ყველაზე საუკეთესო მორბენალს სადღაც მაინც უმღერდნენ ოსანას.

კულმინაციურ სიტყვებზე ოსკარს ხმა აუკანკალდა: თვალები ცრემლით აევსო, როდესაც გაიხსენა თავისი ცხოვრების დაკარგული მარგალიტი. ფრენ-

სისი ელენს მიუბრუნდა და დაინახა, რომ იგი ტიროდა და ეს იყო დიდებული, განსაწმენდელი ცრემლები.

— რა მშვენიერი იყო, რა მშვენიერი, — უთხრა ელენმა ოსკარს, როცა იგი ლუდის ონკანთან მივიდა მათთან. — ეს ჩემი ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი სიმღერაა. მე თვითონაც ვმღეროდი მას.

— მღეროდით? სად მღეროდით? — ჰკითხა ოსკარმა.

— ო, ყველგან, კონცერტებზე, რადიოში. იყო დრო, ყოველ საღამოს ვმღერებოდი რადიოში. მაგრამ ეს იყო ასი წლის წინათ.

— უნდა გვიმღეროთ.

— არავეითარ შემთხვევაში.

— ჩვენი სტუმრები მუდამ მღერიან ხოლმე.

— არა, არა, ცუდად გამოვიყურები!

— აქ არავისზე ცუდად არ გამოვიყურები, — უთხრა ფრენსისმა.

— არა, არა, — იმეორებდა ელენი, მაგრამ თავი უკვე განაწყო იმისათვის, რის გაკეთებასაც არამც და არამც არ აპირებდა: თმა ყურებზე გადაიწია, საყელო გაისწორა, საკმაოდ გამოხეტილ ფასადზე ხელი ჩამოისვა.

— რას იმღერებთ? — ჰკითხა ოსკარმა, — ჯომ ყველა სიმღერა იცის.

— დამაცათ, მოვიფიქრო.

ფრენსისმა დაინახა, რომ მოშორებით ეილაცასთან ერთად მაგიდას მისჯდომოდა ალდო კამპიონე. უკან დამყვება ძაღლიშვილი, გაიფიქრა ფრენსისმა. იგი დააშტერდა კამპიონეს, იმანაც ხელით რაღაც ანიშნა. რისი თქმა გინდა, მიცვალებულს, ან ვინ ზის შენტან? ალდოს თეთრი ფლანელის პიჯაკის დილკილოში თეთრი ყვავილი გაებნია, — ავტობუსში შეხვედრის შემდეგ ეს რაღაც ახალი იყო. ეს წყვეული მიცვალებულები ჯგროდ დაეხეტებიან და ყვავილებს ყიდულობენ. ფრენსისმა აათვალიერა მისი მეზობელი, ვერ იცნო, უნდოდა ახლოს მისულიყო, უკეთესად შეეხედა. მაგრამ ვაითუ იქ არავინ იჯდეს, ვაითუ მარტო მე ვხედავ მათო. ფრენსისს მეყვავილე მიუახლოვდა, კალათაში თეთრი გარდენიები ეწყო.

— არ იყიდით ყვავილებს, სერ? — ჰკითხა ფრენსისს.

— ვნახოთ, რა ღირს?

— ოცდახუთი ცენტი.

— ერთი ცალი მომეცი.

ფრენსისმა შარვლიდან მონეტა ამოაცურა და მეყვავილეს მიცემული ქინძისთავით ელენს ყვავილი საყელოზე მიუმაგრა.

— დიდი ხანია შენტვის ყვავილი აღარ მიჩუქებია. რაკი უნდა გვიმღერო, კიდევ უნდა გამოკობტავდე.

— ფრენსისი ყოველთვის მჩუქნიდა ხოლმე ყვავილებს, — თქვა ელენმა. — როგორც კი ფულს იშოვის, მაშინვე ვარდებს ან თეთრ ორქიდეებს ყიდულობს, მთავარია ყვავილები მაჩუქოს, ფული მეორეხარისხოვანია, ხომ მართალია, ფრენ?

— მართალია, — მიუგო ფრენსისმა, თუმცა ვერ გაიხსენა, როდისმე რომ ეყიდოს ორქიდეა, ისიც კი არ იცოდა, როგორი იყო ეს ყვავილი.

— მტრუდებივით ეცხოვრობდით, — უთხრა ელენმა მაწანწალების სიყვარულის სცენის ხილვით ღიმღმომგვრილ ოსკარს, — მშვენიერი ბინა გვქონდა ამილტონ-სტრიტზე. გვქონდა ყველანაირი ჭურჭელი, რაც კი გვჭირდებოდა.

გვქონდა დივანი და დიდი საწოლი, ზეწრები და ბალიშისპირები. ხომ მართალია, ფრენ?

— მართალია, — მიუგო ფრენსისმა და შეეცადა გაეხსენებინა ეს ბინა.

— ქოთანში ნემსიწვერა გავახარეთ და მთელი ზამთარი ჰყვოდა. ფრენსისი აღმერთებდა ნემსიწვერას. საყინულე საჭმელით გვქონდა სავსე. იმდენს ვჭამდით, მერე დიეტას ვიცავდით ხოლმე. შესანიშნავი დრო იყო...

— ეს როდის იყო? — ჰკითხა მახონიამ, — არ ვიცი, სადმე ერთ ადგილას ამდენხანს თუ ცხოვრობდით.

— ჰო, ერთხელ იყო. თვენახევარი დავყავით იქ, — უთხრა ფრენსისმა.

— არა, გაცილებით მეტხანს, — თქვა ელენმა, — ფრენსისმა სმა არ მიატოვა, გადახდა ვეღარ შეეძელით, ჭურჭელიცა და ბალიშისპირებიც გავყიდეთ. ყველაზე საუკეთესო — ჰეველენდის ფაიფური გვქონდა. მამაჩემი მარიგებდა: თუ ყიდულობ, ყველაზე საუკეთესო უნდა იყიდო. გვქონდა წითელი ხის სავარძელი და ლამაზი პიანინო. პიანინო ჩემს ძმასთან იდგა, ჩემი კი იყო, მაგრამ ჩემი ძმა ვერ შეეღია. ერთხელ, ცხრაას პირველ წელს, ამ პიანინოზე პადერვესკიმ დაუკრა, როცა ოლბანიში ჩამოვიდა, მასზე ყველა ჩემი სიმღერა მიმღერია.

— ელენი დიდებულად უკრავდა პიანინოზე. მართალს გეუბნები. გვიმღერებ, ელენ?

— ბატონი ბრძანდებით.

— რას იმღერებთ? — ჰკითხა ოსკარმა.

— არ ვიცი, ეგებ „ოდესღაც, მშვენიერ ზაფხულს“ ვიმღერო.

— ზუსტად მაგ სიმღერის დროა, როცა ასე ვიყინებით.

— თუმცა აჯობებს ფრენსისს ვუმღერო, რადგან ყვაილი მაჩუქა. იცის თქვენმა მეგობარმა „ის ჩემი მეგობარია“ ანდა „სატრფოვ ჩემო“?

— გაიგე, ჯო?

— გავიგე, — თქვა პიანისტმა და რამდენიმე აკორდი აიღო „ის ჩემი მეგობარის“ მისამღერიდან. ელენი კი ღიმილით წამოდგა და ესტრადისკენ თავდაჯერებულად და მოხდენილად გაემართა, როგორც შეშვენის მუსიკის სამყაროში დაბრუნებულს, იმ სამყაროში, რომელსაც არც უნდა განშორებოდა. ან ნეტა რად გამოეთხოვე მას, ელენ? ესტრადის სამ საფეხურზე ნაცნობმა, მუდამ სიხარულის მომტანმა აკორდებმა აიყვანა — და არა მარტო ამ სიმღერის აკორდებმა, არამედ მთელი ეპოქის სიმღერების, ოცდაათიანი და ორმოციანი წლების სიმღერების აკორდებმა, სიყვარულს, ერთგულებას, მეგობრობას, ოჯახს, ქვეყანას და ბუნების სამყაროს რომ აღიდებდნენ.

ფრენსისი, ეს ვალალი კაცი, იყო მისი უკანასკნელი დიდი სიყვარული, ოღონდ ერთადერთი არა. მთელი სიცოცხლე სიყვარული სულ მწუხარებას აყენებდა. პირველი სატრფო წლობით გაშმაგებით იკრავდა გულში, მერე ეს შეწყდა და ელენიც ხელიდან წავიდა. ბოლოს გულში ყოველგვარი იმედი ჩაუკვდა, სანამ ფრენსისს არ შეხვდა. როცა როიალის ხმა გაისმა, ელენი „მოვარაყებული გალიის“ ესტრადაზე მიკროფონთან გაუსაძლისი მოგონებებითა და დაუოკებელი სიხარულით დამუხტული მივიდა.

და ოდნავადაც არ დეღაჟდა, არც ღმერთო ჩემო უთქვამს, რადგან პროფესიონალი გახლდათ, საზოგადოების წინაშე არასოდეს შემკრთალა — არც ეკლესიაში, არც მუსიკალურ საღამოებზე, არც ვულვორტთან, სადაც ნოტებს ჰყიდდა, არც რადიოში, როცა მთელი ქალაქი უსმენდა. ოსკარ რიო, მარტო შენ როდი უმღერდი ამერიკელებს ეთერში. კარგი დღეები ელენსაც ჰქონდა და საზოგადოების წინაშე არც ახლა შეკრთება.

და მაინც... და მაინც — ახლა, ასე ვთქვათ, აფორიაქებულია, რადგან სიხარული და მწუხარება ერთდროულად ავსებს და თვითონაც არ იცის, ერთი წუთის შემდეგ რომელი მათგანი იმძლავრებს.

- რა გვარია ელენი? — იკითხა ოსკარმა.
- არჩერი, — მიუგო ფრენსისმა, — ელენ არჩერი.
- აკი მითხარი, გვარი არა აქვსო, — გაუკვირდა რუდის.
- დაიჯერე, ვინც რა გითხრას. ჯობს გაჩუმდე და მოუსმენო.

ფრენსისმა.

— ახლა ორიოდ სიმღერით გაგახარებთ გამოცდილი არტისტი ელენ არჩერი.

გაცვეთილი შავი პალტო არც გაუხდია ელენს, რათა არ გამოეჩინა კიდევ უფრო მეტად ჩამოძონძილი ქვედა კაბა და ბლუზა, გაჩხიკული ფეხები, მიკროფონის ღვარს მიბჯენილი ექვსი თვის ფეხმძიმე ქალივით გამობერილი მუცელი, რაც საზოგადოების თვალში ქალისთვის დამღუპველია. თავადაც მშვენიერად იცის, როგორ გამოიყურება. პოდა, მოდურად ჩამოიწია ბერეტი წარბზე, გაბედულად აიღო მიკროფონი და მარცხზე ფიქრი სიმღერის დამთავრებამდე გადადო. და დაიწყო მოგლე, კისკასი სიმღერა — „ის ჩემი მეგობარია“. მღეროდა გზნებითა და ოდნავ დამცინავად. მისი თავის დაჭერა, ხელის აქნევა, თვალების მოძრაობა მეტყველებდა ამაყ ზნეობას. დიახ, მისი მეგობარი ძალზე მკაცრია, სამაგიეროდ, თაღლითი არ არის, — მღეროდა ელენი, — უკანასკნელ ლუკმას ვაგიყოფს. მუქთადაც რომ მოიგდოს ხელში მილიონერი, ქალი უარს იტყვის, ოღონდ მეგობარი ჰყავდეს გვერდით, თუნდაც ჰქონდეს კვირაში თხუთმეტი დოლარი. ეჰ, ფრენსის, ნეტა შენც გქონდეს კვირაში თუნდაც თხუთმეტი დოლარი.

დიდხანს და მჭუხარედ უკრავდნენ ტაშს. გამხნეებულმა ელენმა მეორე სიმღერა წამოიწყო. ფანი ბრაისსა და სეხნია ელენ მორგანისგან რომ გადმოეცა ესტაფეტით. ეჰ, ელენ, შენ რადიოთი მღეროდი ხოლმე და აი, სად მიგიყვანა ამან. რა ბედისწერამ აგაცილა მწვერვალს, რომელიც სამართლიანად გეკუთვნოდა შენი ნიჭისა და განათლების წყალობით. შენ დაიბადე, რათა ვარსკვლავი გამხდარიყავი, — ამას ბევრნი ამბობდნენ შენზე, მაგრამ მწვერვალზე სხვები ავიდნენ, შენ მხოლოდ სიმწარე და მწუხარება გერგო წილად. რამ ჩაგინერგა შური მათ მიმართ, ვინც დაუმსახურებლად მოექცა მწვერვალზე შენ მაგივრად, მაშინ როცა არ გააჩნდათ არც სკოლა, არც ნიჭი თანაკლასელი კარლას მსგავსად, ვისაც უბრალო მოტივის მღერაც არ შეუძლო, მაგრამ კინოში ედი კანტორთან ერთად გადაიღეს. ანდა ედნა, პირდაპირ უულუორტიდან რომ მოხვდა კოლ პორტერის ბროდვეის შოუში მხოლოდ იმიტომ, რომ კურტუმის ქნევა ესწავლა. მაგრამ ბედნიერება მათ არ შერჩენიათ: კარლა ავტომობილით ფლატედან გადაიჩეხა, ხოლო ედნამ საყვარლის აბაჯანაში ვენები გადაიჭრა და სისხლისგან დაიცალა. ელენი კი ცოცხალი დარჩა. ამ წუთში იგი ესტრადაზე მღერის. პოდა, უსმინეთ, ამდენი უბედურების შემდეგ როგორ შეინარჩუნა ხმა. შეხედეთ ამ მოხდენილად ჩაცმულ ხალხს, რა ხარბად იჭერენ მის ყოველ ბგერას.

ელენმა თვალები დახუჭა, ცრემლები ღვარად წამოუვიდა და თვითონაც ვერ მიმხედარიყო — ნეტარების ცრემლები იყო თუ მწარე კაეშნისა. რომელიღაც წამში ეს გრძნობები შეერწყა ერთმანეთს და უკვე მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, კაეშანი იყო თუ სიხარული, სიხარული თუ კაეშანი, ელენის ცხოვრება ამით არ იცვლებოდა.

და კვლავ გაისმა მჭუხარე ტაში. მოხდენილად ჩაცმული ხალხი ფეხზე აღ-
გა — როდის იყო ეს უკანასკნელად? კიდევ, კიდევ, ყვირიან ისინი, და ელენიც

სიხარულიდან ან ეგებ დაკარგული ცხოვრების გამო ტირის, ტირიან მისი შემხედვარე მახონია და ფრენსისიც. და თუმცა მსმენელები სთხოვენ. კიდე, კიდე, კიდე, ელენი მოხდენილად ჩამოდის ესტრადის სამ საფეხურზე და ამაყად თავაწეული, ცრემლებით სახედალტობილი მიდის ფრენსისთან და კოცნის ლოყაზე, რათა ყველას გაეგო, თუ ვინ იყო მისი სატრფო, თუკი ამას აქამდე ვერ მიხვდნენ.

— ღმერთმანი, შესანიშნავი იყავი, ყველას სჯობდხ, ~~მეტი~~ ფრენსისმა.

— ელენ, ეს უმაღლესი კლასია, — უთხრა ოსკარმა, — თუ აქ სიმღერა გინდა, ხვალ ჩვენს პატრონთან მოდი და გპირდები, მიგიღებს. შესანიშნავი ხმა გქონია, შესანიშნავი.

— სულით და გულით გმადლობთ, — ეუბნება ელენი, — ყველასი დიდი მადლობელი ვარ. — რა სასიამოვნოა, როცა შენს ნიჭს აღიარებენ, აღიარებენ შენს დიდებულ სკოლას და თანდაყოლილ გრაციას. — დიდი მადლობელი ვარ თქვენი და უეჭველად კიდე, კიდე გიმღერებთ.

ელენ, შენ შავ შაშვსა ჰგავხარ, როცა ცოტა ხნით მზე გამოანათებს ხოლმე. შენ შეიფრთხიალე, როგორც მზეზე შაშვი ფრთხილებს, მაგრამ რა გელის, როცა მზე ჩავა.

მადლობა ყველას.

შე კიდევე მოვალ, კიდევე გიმღერებთ.

ჰოი, შე შავო ჩიტო, ხომ აფრთხიალდი!

III

ექვსი ჭიქა ლუდით გამობრუნული რუდი მარტო წავიდა ღამის ხალხის საქმენელად. ფრენსისი, ელენი და მახონია კი გრინ-სტრიტითა და მედისონით გზას უკან, მისიისაკენ გაუყვნენ; მახონიას გააცილებენ და სასტუმრო „პალომბოში“ ოთახს აიღებენ, გათბებიან, დაწვებიან, ფებს მაინც გაშლიან. ელენსა და ფრენსისს ჰქონდათ ფული: ხუთი დოლარი და სამოცდახუთმეტი ცენტი, ორი დოლარი წინა ღამეს ფრენსისის მიცემული ფულიდან დარჩა ელენს, სამი და სამოცდახუთმეტი კი ფრენსისს სასაფლაოდან გამომუშავებულიდან. „მოვარაყებულ გალიაში“ ცოტა დაეხარჯათ, რადგან დანახარჯის ორი მესამედი ოსკარმა იკისრა.

ამ შუაღამისას ქალაქი გარინდებულიყო. მთვარე პირველი თოვლივით ქათქათებდა. პერლ-სტრიტზე კანტიკუნტად თუ გაივლიდნენ დაგვიანებული ავტომობილები, სხვა ყველაფერი ჩამკვდარიყო. ფრენსისმა პალტოს საყელო აიწია და ხელები ჯიბეებში უფრო ღრმად ჩაიყო. თავშესაფრის მახლობლად მთვარე ისევ იმ ადგილას მჯდარ სანდრას ანათებდა. ისინი მიუახლოვდნენ. ფრენსისი ჩაცუცქდა და სანდრა შეაჯანჯლარა.

— უკვე გამოფხიზლდი, ლედი?

სანდრას ხმა არ ამოუღია. ფრენსისმა უკან გადაუწია კაპიუშონი და მთვარის კაშკაშა შუქზე ქალის ცხვირზე, ლოყებსა და ნიკაპზე ნაკბილარები დაინახა, ხელზე კი ერთი თითი მოჭმული ჰქონდა, დიდ თითსა და საჩვენებელ თითებს შუა ხორცის ნაგლეჯი ეკიდა.

— ძაღლებს მოუგნიათ.

ფრენსისმა თავი მოაბრუნა, ქუჩის მეორე მხარეს, ნახევრადგანათებულ კუთხეში თვალეზრასისხლიანებული ნაგაზი იცდიდა, ფრენსისი მისკენ გაექანა, გზა-

ზე ქვას დასწვდა, ძალი შესახვევისკენ გაიქცა, ფრენისმა კი ტროტუარიდან ამოჩრილ ავურს წამოჰკრა ფეხი და ძირს გაიშხლართა. ქუჩა რომ ისევ გადმოჭრა, ბროდვეიდან ჩამოკონკილი ნიღბიანი მოჩვენებები გამოცვივდნენ და ელენის გარშემო მოჰყვნენ ცეკვას. სანდრასკენ დახრილი მახონია წელში გაიმართა. მოჩვენებები მეტი სიშმაგით აცეკვდნენ.

— ორი ფეხი, ორი ყური და ვეება მუცელი, — უყვიროდნენ ელენს.

— ეი, ბიჭებო, გაანებეთ მაგას თავი, — დაუყვირა მათ ფრენისმა. ისინი კი ცეკვას განაგრძობდნენ. თავისქალიანმა მოჩვენებამ ელენს მუცელში ჯობი ატაკა, ელენმა დააპირა მისთვის თავში ჩაეთხლიშა, მაგრამ ამ დროს მეორემ ჩანთა წაართვა და ყველანი აქეთ-იქით მიმოიფანტნენ. ელენი მათ ყვირილით გამოეკიდა, ფრენისი და მახონია ფეხდაფეხ მიჰყვნენ, მაგრამ მოჩვენებები უკვე შესახვევის კუთხე-კუნჭულებში მიიმაღლნენ.

— ეგ ძაღლის ლეკვები, ევა, — თქვა ფრენისმა.

— ფული, ფული წამართვეს, — ამოიკენესა ელენმა.

— რა ფული გქონდა? ხვალაც ვიშოვით.

— ბლომად მქონდა.

— მაინც რამდენი?

— ამ ფულის გარდა კიდევ თხუთმეტი დოლარი იყო.

— თხუთმეტი? საიდან?

— შენმა შვილმა ბილიმ მომცა იმ საღამოს, ჯორჯის „ესპანურ ბარში“ რომ გვიპოვა. შენ მთერალს გეძინა, იმან კი ორმოცდახუთი დოლარი მომცა, რაც მქონდა, სულ მომცა. შენ ოცდაათი მოგეცი, თხუთმეტი მე დავიტოვე.

— ჩანთაში ჩაკვიხედე, იქ არაფერი იყო.

— სარჩულში მქონდა შენახული, სასმელში რომ არ დაგეხარჯა. ჩემოდნის გამოსყიდვა და ერთი კვირით სულის მოსათქმელად ოთახის აღება მინდოდა.

— ეშმაკმა დალახვროს, უგროშოდ დავრჩით, სულ თქვენი ქალური ხრიკების ბრალია.

მახონიაც ვერ დასწეოდა მოჩვენებებს და უკან მობრუნდა.

— რა ნაძირალები ყოფილან აქ. როგორ ხარ, ელენ?

— კარგად, მე კარგადა ვარ.

— ხომ არაფერი დაგიშავეს?

— მგონი, არაფერი.

— სანდრა კი მომკვდარა, — თქვა მახონიამ.

— უფრო უარესი, ძაღლებს დაუგლეჯიათ, — გაეპასუხა ფრენისი.

— მისიაში უნდა შევიტანოთ, სანამ ძაღლებმა სულ არ შეჭამეს. პოლიციასაც გამოუუძახებ, — თქვა მახონიამ.

— გგონია შეიძლება მისიაში მისი შეტანა? — ჰკითხა ფრენისმა, — მან ხომ გამოფხიზლება ვერ მოასწრო.

მახონიას არაფერი უპასუხნია. შეაღო მისიის კარი. ფრენისმა სანდრა აიყვანა და სახლში შეიტანა, კედელთან მდგარ მერხზე დაასვენა და სახეზე გახეშეშებული საბანი — სანდრასათვის ამა ქვეყნის უკანასკნელი საჩუქარი — გადააფარა.

— კრიალოსანი რომ მქონდეს, ლოცვებს წაუუკითხავდი, — თქვა მერხის ახლოს სკამზე ჩამომჯდარმა, სანდრას ცხედარს მიჩერებულმა ელენმა. — კრიალოსანი ჩანთაში მედო, ოცი წელია თან დამქონდა.

— დილით ურნებსა და მივარდნილ ადგილებში მოვძებნი, ალბათ გამოჩნდება.

ელენმა საათს დახედა. პირუელის ათი წუთი იყო. მახონია პოლიციაში რეკავდა.

— დღეს წმინდა მოვალეობათა დღეა, ყველაწმინდის დღე, — თქვა ელენმა.

— ჰო, — თქვა ფრენსისმა.

— დილით მინდა ეკლესიაში წავიდე.

— კარგი, წადი ეკლესიაში.

— წავალ, მესას მოვუსმენ.

— მოუსმინე. ეს ხვალ, მაგრამ დღეს რა ექნათ, სად წავიყვანო ღამის გასათევად?

— შეგიძლია აქ დარჩე, — შესთავაზა მახონიამ, — საწოლები ყველა დაკავებულია, მაგრამ თუ გინდა მერხზე დაიძინე.

— არა, რაღაც არ მინდა, — მიუგო ელენმა, — ჯეკთან წავიდეთ, მითხრა, მოდი, როცა მოგესურვოსო.

— ჯეკმა გითხრა ასე? — ჰკითხა ფრენსისმა.

— ეს მისი სიტყვებია.

— მაშინ აქ რაღა დაგვრჩენია. ჯეკს არა უშავს, კლარა კი ცოფიანი და ურცხვი ვინმეა. ჯეკი მუდამ მიყვარდა. კი, მიყვარდა. მართლა ეგრე გითხრა?

— „მოდი, როცა მოგესურვოსო“, — კარებში ვიყავი უკვე, როცა ეს მითხრა.

— მაშინ წავიდეთ. მახონია, სანდრას შენ მოუვლი?

— ყველაფერს ჩემს თავზე ვიღებ, — უთხრა მახონიამ.

— იცი რა გვარია?

— არა, არასოდეს არ გამიგია.

— ახლა მაგას აღარც აქვს მნიშვნელობა.

— მნიშვნელობა არც ადრე ჰქონდა, — მიუგო მახონიამ.



ფრენსისი და ელენი პერლ-სტრიტით წავიდნენ სტეიტისკენ, რომელიც უკვე ორასი წელია ქალაქის ცხოვრების ცენტრად ქცეულიყო. ერთი ტრამვაი ზევით, სტეიტ-სტრიტის ციცაბო ფერდობზე მილოდავდა, მეორე — შემხვედრი, ქვევით ჩამოვორდა და პერლისკენ გაუხვია. რესტორან „უოლდორფიდან“ ვიღაც კაცი გამოვიდა, პალტოს საყელო აიწია, ბორტები ერთმანეთზე გადაიღო, მიიბუზა და გზას გაუყვა. ფრენსისს თითები გაიოშოდა, ავტომობილების სახურავები ჭირხლს მოეხატა.

ნორტ-პერლის მეორე მხარეს მომავალმა ალღო კამპიონემ იგივე ორახროვანი ექსტით ანიშნა რაღაც, როგორც წელან ბარში. სანამ ფრენსისი ფიქრობდა გამოეცნო, რას ნიშნავდა ეს, ჩრდილიდან ფარნის შუქზე გამოვიდა ის, კაფეში ალღოს გვერდით რომ იჯდა და ალღოს ექსტიც გასაკები გახდა; ალღოს სურდა მისთვის წარედგინა დიკ დულანი, მაწანწალა, რომელიც ცდილობდა ფრენსისისათვის ფეხი მოეკვეთა.

— დღეს ბიჭის საფლავზე ვიყავი, — თქვა ფრენსისმა.

— ვინ ბიჭის?

— ჯერალდის.

— იყავი? პირველად იყავი? მგონი, პირველად, არა?

— ჰო.

- ამ ბოლო ხანს სულ მასზე ფიქრობ. წინა კვირასაც გაიხსენე.
- მასზე ყოველთვის ვფიქრობ.
- რაო, რამ წამოგიარა?

ფრენსისი პერლ-სტრიტს გაჰყურებდა, ოდესღაც მისი, ახლა კი გაუცხოებული ქალაქის სისხლ-ძარღვს. ქუჩის კომერციულმა ტოპოგრაფიამ უსიაშოდ ნოდ გააკვირვა. რამდენი ახალი რამ იყო, რამდენი მაღაზია მდებარეობდა იქ. რამდენი ბიზნის-მენეჯერი იყო.

ნეტა რას მისცემდი, ფრენსის, აქედან რომ არასოდეს არ წასულიყავ?

- რამ წამოგიარა-მეთქი, გეკითხები.
- არაფერსაც არ წამოუვლია. უბრალოდ ათას რამეზე ვფიქრობ. ეს ქუჩა ოდესღაც ჩემი ქუჩა იყო.
- არ უნდა გაგეყიდა, თუ შეგეძლო იოლას გასვლა.
- მე ფულზე როდი გეუბნები.
- ფულზე არც მე მიფიქრია, ისე, ხუმრობით ვითხარი.
- რა დროს ხუმრობაა, გეუბნები, ჯერალდის საფლავზე ვიყავი-მეთქი. ველაპარაკე.
- ელაპარაკე? როგორ თუ ელაპარაკე?
- ვიდექი და ბალახებს ველაყებოდი. რუდისა არ იყოს, ეტყობა, შევიშალე.
- შენ არ შეშლილხარ, ფრენ, ეს იმის ბრალია, რომ აქა ხარ. აქ არ უნდა დავრჩეთ, სადმე უნდა წავიდეთ.
- სწორია, მაგრამ სად სადმე წავიდეთ?
- დღეს მეტს ნუ დაღევ.
- თუ შეიძლება, სულს ნუ მიწუხებ.
- გთხოვ, არ დაღაო, მეტი აღარ გინდა.
- ჩემსავით ფხიზელს, ახლა რომ ვარ, მთელი კვირა ვერავის ნახავ. ბილიმ რაღაც-რაღაცები მითხრა ენიზე. შენთვის არ მითქვამს, ბილიმ მითხრა: ენს არავისთვის გაუმხელია, ბიჭი შენ რომ დაგივარდაო.
- ვისთვის უნდა გაემხილა, პოლიციისთვის?
- არავისთვის, არც ერთი სულიერისთვის. არც ბილისთვის, არც პევისთვის, არც ძმისთვის, არც დებისთვის. ამისთანა რამ გსმენია? ქალს ასეთი რამ გადაეტანოს და კაციშვილთან სიტყვა არ დაეძრას?
- შენ ამ ხალხზე ბევრის მოყოლა შეგეძლია.
- განსაკუთრებული არაფრისა.
- ეგებ დროა მოინახულო ისინი?
- არა, აქედან სასიკეთო არაფერი გამოვა.
- სულს მაინც შეიმსუბუქებ.
- რა არის რო იქ მძიმე?
- ალბათ არის.
- შენ ჩემს სულზე ნუ დარდობ. მისიაში რატომ არ დარჩი, ხომ მივიპატიჟეს?
- არ მჭირდება მათი ქველმოქმედება.
- მათი წვნიანი ხომ ჭამე.
- არ მიჭამია, მარტო ყავა დავლიე, თანაც ჩესტერი მეჯავრება. კათოლიკეები არ უყვარს.
- კათოლიკეებს კი მეთოდისტები არ უყვართ და ბარიბარში არიან. აქ კა-

თოლიკეთა თავშესაფარი რაღაც არ მინახავს და არც კათოლიკეთა წვნიანი შიჭამია.

— არ დავრჩები, მორჩა და გათავდა.
 — მაშინ გაითოშე, ღმერთმა შეგარგოს. შენი ყვავილი უკვე დაზრა.
 — დაზრა და დაზრეს.
 — ჰო, შენ სიმღერა მაინც იმღერე.
 — ვიმღერე. მე რომ ვიმღეროდი, სანდრა თურმე კვდებოდა.
 — ისედაც მოკვდებოდა, ყავლი გასული ჰქონდა.
 — არა, მე სხვა აზრისა ვარ. ეს ფატალიზმია. ჩემი აზრით, ვკვდებით მაშინ, როცა მეტის მოთმენა უკვე არ შეგვიძლია. ვითმენთ, სადამდისაც შეგვიძლია, და ვკვდებით, როცა შეგვიძლია. ჰოდა, სანდრამ გადაწყვიტა, რომ უკვე შეეძლო მომკვდარიყო.

— მაგაზე არ გვკამათები. ვკვდებით მაშინ, როცა შეგვიძლია! უკეთესად ვერიტყვი.

— მიხარია, რომ ამაზე მაინც შეუთანხმდით.
 — ჩვენ ნორმალურად ვეწყობით ერთმანეთს. მოკლედ, არაგისავს ვინმე ხარ.

— არც შენა ხარ საძაგელი ვინმე.
 — საძაგელი არც ერთი არ ვართ, — თქვა ფრენსისმა, — მაგრამ გროში არ გვაბადია და ღამეს ვერსად გავათევთ. უსახლკარონი ვართ. წავიდეთ ჩქარა ჯექთან, სანამ ცხვირწინ სინათლეს გამოგვირთავდეს.

ელენმა ფრენსისს ხელკავი გამოსდო. მეორე მხარეს კი, მათ მოპირდაპირედ მდუმარედ მოაბიჯებდნენ ალდო კამპიონე და დიკ დულანი, სიცოცხლის ბოლოს მეტსახელად ლოთიფოთი რომ შეარქვეს.



ელენმა საყელო აიწია და ხელები იღლიაში შეიწყო.

— სიცოცხლე ძვლებამდე გამატანა, — თქვა მან.

— ჰო, ცივა.

— არა, მე მართლა მთლად გავითოშე.

ფრენსისმა ცალი ხელი მოხვია და ასე ავიდნენ ჯექის კიბეზე. სახლი ტენბრუკ-სტრიტზე, არბორ-ჰილის რაიონის მოკლე ქუჩაზე იდგა, რომლისთვისაც სახელი რევოლუციის გმირის საპატიოდ დაერქვათ. გასული საუკუნის სამოცდაათიან, ოთხმოციან წლებში აქ დასახლებულიყო ახლადგამომცხვარი თორმეტი-ოდე მდიდარი ტყის მრეწველი, ცხოვრობდნენ ვვერდიგვერდ და ერთმანეთს სიმდიდრეში ეჯიბრებოდნენ. წამოჭიმეს ქვის სახლები, ახლა კი ეს სახლები ან ცალკე ბინებად ჰქონდათ ნაქირავეები, როგორც ჯექს, ანდა მებილირებულ ოთახებად ექციათ.

ჯექის სადარბაზო არ იკეტებოდა. ელენმა და ფრენსისმა აიარეს ფართო კაკლის კიბე და ჯექის კარს მიაკაკუნეს. ჯექმა კარი გამოაღო და მტრული სახით გამოიხედა. თანაც ცალი ხელით კარი ეჭირა, ცალით კი კარის წირთხლს ჩახჭიდებოდა.

— შენ სანახავად მოვედით, ჯექ, — უთხრა ფრენსისმა, — ვერაფერს დააღვივინებ მაწანწალას?

ჯექმა კარი ცოტა უფრო ფართოდ გააღო, ფრენსისის ზურგს უკან ელენი რომ დაინახა, კარს ხელი უშვა და ერთი ნაბიჯით უკან დაიხია. ოთახიდან ის-

მოდა კეტ სმითის ხმა რადიომიმღებზე შეერთებული ფირფიტასაკრავიდან. ფირფიტასაკრავის წინ ღამის ქოთანზე კლარა იჯდა. გარშემოწყობილი მეწამულისფერი ბალიშების გამო ქალი რაღაც ვეება ცხოველზე ამხედრებულივით ჩანდა. ფეხები წითელი საბნით დაეფარა, მაგრამ საბანი ჩამოსცურებოდა და შარბაყებიდან უკანალამდე მთლად მოშიშვლებულიყო. ფირფიტასაკრავის ვერდით ბოთლი იდგა რაღაც თეთრი სითხით, მეორე, უფრო პატარა მაგიდაზე კი უკანმოთხედი მუსკატელი, რომელიც ადგილიდან აუღვამლად შეიძლება გადავიდეს, შენკენ. ელენი მივიდა და კლარას თავს დაადგა.

— ცივი ნოემბერი დაგვიდგა, შეიძლება თოვლიც წამოვიდეს, მომკიდე ხელი, ნახე, როგორ გავითოშე.

— სხვათა შორის, ეს ჩემი სახლია, — ხრინწიანი ხმით უთხრა კლარამ, — არც შენი ხელების გასინჯვას ვაპირებ, არც თავისას და ვერც ვერავითარ თოვლს ვერა ვხედავ.

ჯეკი სამზარეულოში შევიდა, ფრენსისი კი კლარას მიუბრუნდა.

— უკეთესად ხარ?

— არა.

— კუჭი აქვს აშლილი, — უთხრა ელენმა.

— მე თვითონ ვეტყვოდი, რაცა მჭირს.

— წინა კვირას ქმარი მოუკვდა, — თქვა სამზარეულოდან მობრუნებულმა ჯეკმა. ხელში ორი ჭიქა ეჭირა. ორივე ჭიქა ნახევრამდე შეავსო.

— როგორ გაიგე? — ჰკითხა კლარას ელენმა.

— გაზეთში წავიკითხე.

— დილით დაკრძალვაზე წავიყვანე, ტაქსი დავიქირავე და დასაკრძალავ დაბაზში მივედი. ამისთვის არც კი შეუტყობინებიათ.

— ისევე გამოიყურებოდა, როგორც ჩვენი ქორწინების დღეს.

— კარგი ერთი, — თქვა ფრენსისმა.

— ოღონდ თმა თოვლივით გათეთრებოდა, ეგ იყო და ეგ.

— ამის შვილებიც იქ იყვნენ. — თქვა ჯეკმა.

— იბლინძებთან, — თქვა კლარამ.

— ხანდახან მგონია, სადმე რომ გავიპარო ან ფეხები გავჭიმო, ელენი უეჭველად გაგიჟდება-მეთქი.

— ფეხებს თუ გაჭიმავ, სანამ სუნი დაგეცემა, ელენი დაგასაფლავებს, მორჩა და გათავდა, — თქვა ჯეკმა.

— გულიანი კაცი ხარ, — უთხრა ფრენსისმა.

— შენი მიცვალებული შენვე უნდა დამარხო, — მიუგო ჯეკმა.

— ეს კათოლიკური ეკლესიის წესია, — თქვა ელენმა.

— კათოლიკურ ეკლესიაზე არაა ლაპარაკი, — თქვა ფრენსისმა.

— მოკლედ, კლარა ახლა მარტოხელაა, უნდა შევიტყო, რა გეგმები აქვს, — თქვა ჯეკმა.

— რა გეგმები მაქვს და ნორმალურად მინდა ვიცხოვრო.

— ძალიან კარგი, მაგრამ, დალაზვროს ეშმაკმა, როგორია ნორმალური ცხოვრება? — იკითხა ფრენსისმა, — დღეს ნორმალურად ცივა. პირდაპირ ჯოჯოხეთური სიცივეა. თითები გამეთოშა. სულ ხელებს ვისვამდი, ცოცხალი ვარ თუ არა-მეთქი.

მაგიდიდან კლარამ ბოთლი აიღო, თეთრი სითხე მოსვა, თავი გააქნია და გაქონილი, დაუვარცხნელი თმა წნელებივით აიჭრა ზემოთ, თვალები მიღუღლ მთვარეს უგავდა. ბოთლს თავსახურავი დაახურა, უსიამოვნო სითხეს მუსკატე-

ლი დააყოლა, მერე სიგარეტი მოქაჩა, ხველებას მოჰყვა და გაბრაზებით ჩააფურთხა დაჭმუჭნულ ცხვირსახოცში.

— კლარას საქმე ვერაა მაინცდამაინც კარგად, — თქვა ჯეკმა და ფირფიტასაკრავი გამორთო.

— ჯერჯერობით ვჯახირობ, — თქვა კლარამ.

— ავადმყოფის პირობაზე ცუდად არ გამოიყურები, — უთხრა ფრენსისმა, — მე რომ მკითხო, ჩვეულებრივზე არცთუ ცუდად.

კლარამ ისე გაუღიმა, პირიდან ჭიქა არ მოუცილებია.

— მე არავინ მეკითხება, როგორაა შენი საქმეო, მაგრამ გეტყვით, რომ მშვენივრადაა, მშვენიერზე მშვენივრად, — თქვა ელენმა.

— მთვრალია, ისეთი მთვრალი, რომ... — თქვა ფრენსისმა.

— ჰო, ყელში მეტი აღარ გადამივიდა, ფეხზე ძლივს ვდგაეუარ, — ჩაიციხა ელენმა.

— შენ სულაც არა ხარ მთვრალი, — თქვა ჯეკმა, — მთვრალი ფრენსისია, ვეღარ გადაეჩვევი ხომ, ფრენსის?

— ელენი კიდევ რომ დარჩეს ჩემთან, სიკეთე არ დაადგება.

— სმა რომ მიგეტოვებინა, მგონი, კაცი ვერ გაჯობებდა, — უთხრა ჯეკმა, — ჯიბეში მუდამ გექნებოდა ოცი დოლარი, კვირაში ორმოცდაათიც შეიძლება გეშთვნა, იქნებ სამოცდაათზე მეტიც, გექნებოდა ლამაზი ბინა თავისი ყველაფრით, რა გინდა რა სასმელი, თუკი სმას მიატოვებდი.

— დღეს სასაფლაოზე ვიმუშავე.

— მუდმივი სამუშაოა?

— არა, მარტო დღეს ვიმუშავე, ხვალ ერთი კაცი უნდა ვნახო, მტვირთავს ეძებს, რაღაც ძალა ჯერ კიდევ შემრჩა.

— თუ იმუშავებ, ორმოცდაათიანი მუდამ იქნები.

— ორმოცდაათი რომ მქონდეს, ელენს დავახარჯავდი, — თქვა ფრენსისმა, — ან ფეხსაცმელს ვიყიდდი. ჩემი სულ დაცვდა. კომისიონერმა ჰარიმ თითქმის ფეხშიშველა რომ მნახა, ეს ფეხსაცმელი მეოთხედ დოლარად მომყიდა და მითხრა: „ფრენსის, შეიძლება განა ეგრე სიარული?“ მაგრამ ფეხსაცმელი ჩემი ზომა არ არის, თანაც ერთს ზონარი არა აქვს. თოკით შევიკარი.



ფრენსისმა ჭიქა დადგა, აბაზანაში შევიდა, უნიტაზის სახურავზე დაჯდა. საკუთარი საზარდულის მყრალი სუნი ცხვირში ეცა, ადგა, შარვალი გაიხადა, მერე ტრუსი გაიძრო და პირსაბნის ნიჟარაში ისროლა. უნიტაზს სახურავი ახადა, ზედ დაჯდა, ჯეკის საპნით და ნიჟარიდან ამოხაპული წყლით დაიბანა ქვემო ნაწილი, მერე შეიმშრალა, ნიჟარიდან ტრუსი ამოიღო და სველი იატაკი მოწმინდა. ნიჟარაში ცხელი წყალი მიუშვა, ტრუსი გასაპნა, მაგრამ ხელში შემოეფხრიწა. ტრუსი გაწურა, პიჯაკის ჯიბეში ჩაიღო, კარი გამოაღო და ჯეკს გასძახა. ჯეკი რომ შემოვიდა, ფრენსისმა წინ პირსახოცი აიფარა.

— ჯეკ, მეგობარო, არ გექნება ძველი ტრუსი, ჩემი სულ დაიფხრიწა.

— წავალ, მოვნახავ.

— შეიძლება შენი სამართებლით ვისარგებლო?

— ღმერთმა მოგახმაროს.

ჯეკმა მოუტანა ტრუსი, ფრენსისმა ჩაიცვა. წვერის გაპარსვას რომ შეუდგა, აბაზანაში აღდო კამპიონე და ლოთიფოთი დიკ დულანი შემოვიდნენ. დიკს ლურჯი დიაგონალის კოსტუმი ეცვა თავისი ფილუტით, ეხურა ნაცრისფერი კეპი.

იგი უნიტაზის სახურავზე დაჯდა, ალღო კი აბაზანის კიდეზე მოთავსდა. სამართებელს უჭირდა ფრენსისის სამი ღლის გაუპარსავი ჯაგრის აღება. საპონი ჩამოიბანა, სახე ცხელი წყლით დაისველა, ხელახლა გაიხაპნა. სანამ ფრენსისი სახეს ისაპნიდა, ლოთიფოთი დიკი აკვირდებოდა, მაგრამ მისი ერთი ნაკვთიც ვერ გაეხსენებინა. გასაკვირიც არაფერი იყო: უკანასკნელად დიკმა იგი ჩიკაგოში, ხიდის ქვეშ მახარისხებელი საღვურის ახლოს ნახა. აქ ოცდაათიანი წლების შიმშილობისას ხუთნი იყოფდნენ ქვეყნის დოვლათს. ერთ-ერთმა მათგანმა ფრენსისს დაანახვა ხიდის ბურჯზე მიჩნაპნილი ლექსი, აქაურობის ერთ-ერთ ბინადარს რომ დაეწერა:

შე საცოდავო, საწყალო ცხვარო,
იღვიძებ, ირგვლივ სიცივეა და წუმპე,
და ყინვისაგან კანკალებ უკვე;
თან იცი, მალე უარესს იწვნევ.

გულს ნუ გაიტეხ, საწყალო ცხვარო,
შორეულ გზებზე ერთად ვიაროთ,
ლუდიცა ვყლურწოთ, არ დავახანოთ,
საზრუნავი კი ქაჯებს გაუუგზავნოთ.

ლოთიფოთი დიკს ეს ლექსი ისევე კარგად ახსოვდა, როგორც თავისი დის, მერის სიცილი, ცივაზე სრიალისას ცხენებშებმულმა მარხილმა რომ გადათელა, ისევე ნათლად, როგორც საბრალოსად დამანჭული შუბლი თანდაყოლილი გულის მანკით გარდაცვლილი თავისი ძმის ტედისა. ისინი სამნი იყვნენ და ბიძასთან იზრდებოდნენ, რადგან მშობლები დაეხოცათ და მარტონი დარჩნენ. ბოლოს დიკი სულ მარტო დარჩა — და გაიზარდა გაბოროტებული. მუშაობდა დოკებში, მერე უფრო მსუბუქ საქმეს მოკიდა ხელი; იმ რაიონში, სადაც ცხოვრება დულდა და გადმოდიოდა — ცხვირპირს უმტვრევდა ჩხუბისთავ ლოთებს, ნასვამ ჯიბვირებს და ღიპიან მუსუსებს. მაგრამ არც ეს გაგრძელებულა დიდხანს, დიკისთვის დიდხანს არაფერი გრძელდებოდა. ისიც მოჰყვა აღმა-დაღმა ხეტიალს და ხიდის ქვეშ ამოჰყო თავი ფრენსის ფელანსა და სამ ამჟამად ყოვლად სახედაკარგულ ადამიანთან. ახსოვდა მხოლოდ ფრენსისის ხელი, რომლითაც იგი ახლა გასაპნიულ სახეს იფხევდა.

ფრენსისს კი აგონდებოდა, რომ იმ სამახსოვრო ღამეს ბეისბოლზე ჰყვებოდა, ჰყვებოდა დინჯად, რადგან წასასვლელი მაინც არსაით ჰქონდა. მან გაიხსენა ბავშვობის დაუვიწყარი სურათები, რათა მსმენელისათვის გასაგები ყოფილიყო, საიდან გაუჩნდა მისწრაფება გამხდარიყო მესამე ბეისმენი. ბავშვობაშიო, ჰყვებოდა ფრენსისი, სულ უფროსებთან ვთამაშობდი, ახლოდან ვაკვირდებოდი მათ თამაშს, ფანდებს, მათ უნარს ხელში მოეგდოთ დაბალი ბურთი, დაეჭირათ — მაღალი, დაუფლებოდნენ მიწაზე გაგორებულს ისე მსუბუქად, როგორც სუნთქავს კაცი. ისინი ვან-ვურთ-სტრიტზე, პოლოს მოედანზე (მაღვანის თხების საძოვარზე) თვრამეტნი იყვნენ. ოცდაათი წლის თუ ოცდაათ წელს გადაცილებულმა ამ გმირებმა, კვირაში ორჯერ-სამჯერ საღამოობით, სამუშაოს შემდეგ რომ მოდიოდნენ სავარჯიშოდ, ისეთი თამაში ააწყვეს, სიჭაბუკეში რომ ოცნებობდნენ,

ფრენსისის ამ მეშუარებმა ლოთიფოთს შური აღუძრა, ერთი კაცი რატომ უნდა იყოს დაჯილდოებული არა მარტო სასიამოვნო ბიოგრაფიით, არამედ ენამხეობითაც და შენეძლოს ხიდქვეშ კოცონთან მაწანწალების კვარტეტის მოხიბვლა? რატომ არ შეუძლია დიკ დულანს სიტყვებით გამოხატოს ის, რაც გულში

უღვეს, ის, რისი გამოხატვაც მეტიმეტად სჭირდება, თუმცა რა სჭირდებოდა, თვითონაც არ იცოდა.

დიკის ღვარძლიანი ყურადღება ფრენსის ფეხსაცმელმა მიიტაცა. — ყველაზე სასურველმა, თუკი არად ჩავაუდებთ ჩიკაგოს ხიდქვეშ ყველაზე თვალში საცემ საგანს — ჩხრიმლებისგან დანთებულ კოცონს. დიკმა ხელი შეიყო ხალათის ქვეშ, სადაც კოლორადოხდროინდელი დანა ედო, ამოაძრო მუყაოს, მუშაობისა და ბაწრისგან გაკეთებული ბუდიდან და ფრენსისს უთხრა: შენი ღედა, ფეხს მოვაჭრიო. თქმა და წინ გამოქანება ერთი იყო, მაგრამ მუქარა ნაადრევი გამოუვიდა, რადგან ფრენსისს იმ დღეებში ღიახაც უკეთესი რეაქცია ჰქონდა, ვიდრე ახლა, ჯვკის აბაზანაში, რეაქცია ზამბარისებური და ძარღვიანი, ამიტომ სანამ დიკი, იმ დღეს უფულობის გამო ბლომა იაფფასიანი რაზი რომ დაეღია, რაც არცთუ სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის, თავისი სიფიცხის მოთოკვას მოასწრებდა, ფრენსისმა აიცდინა ფეხში კი არა, თავში დამიზნებული დანა და ამ დავიდარაბაში დაკარგა მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითის ორი მესამედი და ცხვირის წვერის დაახლოებით სამი მილიმეტრი. სისხლმა იფეთქა, ფრენსისი მყის წინ გადაიხარა, დიკს დანა გააგდებინა, მერე შარვლის ტოტსა და ილიაში სწვდა, გაცეცხლებულმა მოიქნია და ხიდის ბურჯს მიახეთქა, იქ, სადაც ლექსი ეწერა. ლოთიფოტოს მარცხენა თხემიდან ვიდრე კეფამდე თავი შუაზე გაუხეთქა და გასისხლიანებული, უგონო და ანაზღეულად უსიცოცხლოდ ქცოლი სხეული განზე ზოისროლა.

ამ უკონტროლო მდგომარეობიდან ფრენსისს მხოლოდ ის ახსოვს, რომ გაქცევა მოუნდა, ეს სურვილი კი ყველაზე ხშირად მოუვლიდა ხოლმე. მან ჰაიპარად მოავლო თვალი იქაურობას დაკარგული ფალანგების მოსაძებნად, მაგრამ რაკი მიხვდა, მტკვრსა და შამბნარში საბოლოოდ დაკარგულთ ველარავინ იპოვნოდა, აღვილს მოწყდა, გაიქცა და აღიღვინა კიდევ მისთვის რამდენადაც სასიამოვნო, იმდენად ბუნებრივი მდგომარეობა — გაქცევა. გაქცევა ბიტის დარტყმის შემდეგ ბეისბოლის ბურთის პერიმეტრის მიხედვით, გაქცევა ბრალდებისაგან, ქალებისა თუ კაცების ცილისწამებისგან, ოჯახისგან, ბორკილებისგან, გამოსასწორებელი რიტუალებისგან და ბოლოს გაქცევა, როგორც სულიერი მიდრეკილების გამოხატულება.

მან მიაღწია სატვირთო მატარებლების ეზოს, ღბინახა სატვირთო ვაგონის ღია კარი და ასე დაუმთავრებლად დატოვა მორიგი ეპიზოდი, რომელთა მწკრივი შეადგენდა მისი ცხოვრების ჭეშმარიტსა და სრულ ისტორიას. საუტ-ბენდში, ინდიანაში ჩასვლის მერე საავადმყოფოში რომ მივიდა, ახალგაზრდა ექიმმა ჰკითხა: თითი რა უყავიო? შამბნარშიაო, — უპასუხა ფრენსისმა. ცხვირის წვერიო? რომ მოგეტანა, ისე მიგაკერებდით, არც კი გაგახსენდებოდა, რომ დაგეკარგაო.

ამასობაში სისხლის დენა შეუწყდა. ამრიგად, ფრენსისი კვლავ გადაურჩა იმ უღმობელ ძალებს, ასე ხშირად რომ ცდილობდნენ მისი სიცოცხლის ძაფის გაწყვეტას.

მან შეიჩერა ჭრილობიდან სისხლის დენა.

პირისპირ დაუდგა ჭირვეულსა და მტრადმოკიდებულ ბედს.

მან შეაჩერა, ჰოი, საოცარო ადამიანო, თვით სიკვდილი.

ფრენსისმა სახე პირსახოცით შეიწმინდა, პერანგი შეიკრა, შარვალი და პიჯაკი ჩაიცვა. დიკს ბოდიში მოუხადა, სიცოცხლე რომ მოგისპეო, თან ისიც აგრძნობინა, რომ ეს განგებ არ ჩაიდინა. ლოთიფოტმა გაუღიმა და კეპი მოიხა-

და ფრენსისმა თავის ქალაზე ღელესავით დაკლაკნილი ნაპობი შეამჩნია, შარავანდივით რომ ანათებდა, და გაიფიქრა, ლოთიფოთი დიკი ან სამოთხეშია უკვე ანდა სამოთხესთან ისე ახლოს, უფლის ანგელოზის ხარისხი აქვს უკვე მოპოვებულიო. პო, დამნაშავე ვარ, — უთხრა ფრენსისმა, — თავი რომ გაგიბრუნებ, მაგრამ იმედია გემახსოვრება, საამისო მიზეზი რომ მქონდა, — და წაკვეთილი თითი აჩვენა. — ხომ იცი, უთითოდ ვერც მღვდლად ვკურთხები, ვერც წირვას ჩაატარებ, ვერც ბუისბოლის ბურთს ისვრი, — ფრენსისმა თითის ტყვე ცხვირზე მოისვა, — ცხვირზედაც კობი დამრჩა, თუმცა ჯანდაბას, ასეთი კობი, მგონი, არც ისე მასახიჩრებს.

— ფრენსის, როგორა ხარ, ვის ელაპარაკები მანდ? — დაუყვირა ელენმა.

ფრენსისმა ხელი აუქნია ლოთიფოთ დიკს, რაკი მიიჩნია, რომ ძალადობის მხრივ ორივენი ბარიბარში იყვნენ. მაგრამ ამ ამბავმა როდი დააეიწყა, რამდენი ვინმე აქცია წამებულად მრისხანებამ, ალკოჰოლმა, დანაკარგებმა, მარცხმა თუ უამინდობამ.

— პეი, მაწანწალავ, — დაიძახა აბაზანიდან გამოსულმა, — არაფერს დააღვეინებ მაწანწალას?

— ეგ მაწანწალა არაა, — თქვა კლარამ.

— დალახვროს ეშმაკმა, განა არ ვიცი? ეგ ნამდვილი ადამიანია, მუშა კაცი.

— პირი გაიპარსე? — ჰკითხა ელენმა.

— მეფხანებოდა. ოთხი დღის შემდეგ თმა უკან, კანში ჩამდის.

— გიხდება, — უთხრა კლარამ.

— ნამდვილად, — დაუდასტურა ჯეკმა.

— ვიცოდი, ფრენსისი მიმზიდველი მამაკაცი რომ იყო, მაგრამ გაპარსულს პირველად ვხედავ, — თქვა კლარამ.

— ახლა ვფიქრობდი, ჩემს მახსოვრობაში რამდენი მაწანწალა მომკვდარამეთქი შამბნარში. გამოიღვიძებ, შენ თოვლით ხარ დაფარული, ის კი უკვე გაფინულა, მთლად გაფიჩხულა. ზოგიერთები მაინც დგებოდნენ, სიარულსაც ახერხებდნენ. მეც დამმართნია ვერე. ზოგი კი სამუდამოდ ადგილზე რჩებოდა. შენ როცა ხეტილობდი, არ შეგხვედრია ვინმე ლოთიფოთი დიკ დულანი?

— არა, არ შეგხვედრია, — უთხრა ჯეკმა.

— ერთი იყო კიდევ, პოკონო პიტეი ერქვა, დენვერში მოკვდა, ისე გაიყინა, ხერგი გეგონებოდა. მეძალღე ფელტონმა დეტროიტამდე გააღწია, მაგრამ მერე შარვალში გაუშვა და ტროტუარს მიეყინა. კიდევ ერთი ახირებული ვინმე იყო, სახელსაც ვგეტს ეძახდნენ — მეექვსე პალატაო, გვარი არ ჰქონდა. მკვდარი რომ ნახეს, ცხვირიდან წითელი ლოლუები ჩამოზრდოდა. არადა, რამდენნი იყვნენ — არავის არაფერი ებადა, არც არაფერი გავგებოდათ, სულელები, ქურდბაცკები და გიყები იყვნენ. წითური ბაჯაჯლანა ფილ ტუკერი მოკრუნჩხული, მუხლებთან ცხვირმიტანილი ნახეს გათოშილი. ცხედარი არც გაუსწორებიათ, ისე დაასაფლავეს ნახევარი კუბოთი. დმერთო ჩემო, რამდენი სულელია ამქვეყნად. ალბათ ყველა ასე კვდება და ყველა ზეცაში მიდის, თუკი იგი მართლაც არსებობს.

— მე კი ვფიქრობ, კაცი რომ მოკვდება და მიწაში დამარხავენ, ამით მორჩება ყველაფერი, — თქვა ჯეკმა. — ზეცა და მისთანები ჩემთვის ცარიელი სიტყვებია.

— შენ იქ მაინც არ შევიშვებენ. სხვაგანა გაქვს ადგილი დაჯავშნული, — უთხრა ელენმა.

— მაშინ მეც მაგასთან ვიქნები, — თქვა კლარამ, — ნეტა ვის სჭირდება ზეცა, თუკი იქ მართო მონაზვნები ხედებიან, ღმერთო, რა მოსაწყენი იქნება.

ფრენსისმა კლარა სამიოდე კვირის წინათ გაიცნო, მაგრამ მისთვის უკვე ნათელი იყო ქალის გამრუდებული ცხოვრება: ბავშვობიდანვე გაკანტებული მუქ-თად არავის თანხმდება, მერე ამ საქმეში დახელოვნებულს უხეც ბეზრდება, გათხოვდება, შეიღებს აჩენს, ამასაც მოიმწვანოებს და კვლავ მეძავეობას მიჰყოფს ხელს. მერე დაავადმყოფდება, საკმაოდ სერიოზულად, საჭიხლად დაუშნობელი ჯექს აეკიდება და როკაპად იქცევა, თუმცა კბილები მაინც კარგი აქვს, საპარიკმახეროში რომ წაიყვანო და თმა დაუხვიო, მოხდენილად ჩააცვა და მაღალ ქუსლებზე შეაყენო, აბრეშუმის წინდებით შემოსო, არც ისე ურიგო ვინმე იქნება. ნახე, მკერდიც შემორჩენია, კანიც რა სუფთა აქვს.

კლარამ შეატყო, ფრენსისი გულდაგულ რომ ათვალიერებდა, და თვლი ჩაუკრა.

— ერთს ვიცნობდი, შენ ძალიან გგავდა. პირდაპირ მაგიყებდა.

— ეტყობა, მართლაც მეტიხმეტად გაუგიჟებიხარ, — უთხრა ელენმა.

— მოსწონდა, რითაც ეუშასპინძლებოდი.

— კლარას მამაკაცები არასდროს ჰკლებია, — თქვა ჯექმა, — მე ბედმა გამიღიმა, მაგრამ ძალიან ავადმყოფობს. ამიტომ არ შეიძლება თქვენი აქ დარჩენა. კლარა ბევრ გახუხულ პურსა ჭამს.

— ოო, მე შემიძლია პურის გახუხვა, — თქვა ელენმა და მაგიდიდან წამოიწია, — გინდა გავიხუხო?

— თუ მომინდება, თვითონ გავხუხავ, — უთხრა კლარამ. — ახლა მეძინება, რომ გახვალთ, კარი ჩაკეტეთ.

ჯექმა ფრენსისს ილაყვზე ხელი მოავლო და სამზარეულოსკენ ძალით წაიყვანა.



ჯექი და ფრენსისი სამზარეულოდან რომ გამოვიდნენ, ფრენსისი ჯექის სიგარეტს ეწეოდა. იგი ღვინოს გადასწვდა და ბოთლი ძირს დაუვარდა. ელენმა დაიკვნესა.

— ყველაფერი იატაკზე მიცვივა. არ გისაყვედურებ, ამისთანა მაწანწალებს გარეთ თუ გაყრი, როცა წესიერად თავის დაჭერა არ შეუძლიათ, — თქვა ფრენსისმა.

— ჩემთვის ახლა უკვე გვიანია, — თქვა ჯექმა, — ადრე სამი-ოთხი საათი ძილი მყოფნიდა, ახლა კი აღარ მყოფნის.

— რამდენი ხანია შენთან აღარ გამიძევია, ორი კვირაა, არა? — ჰკითხა ფრენსისმა.

— კარგი ერთი, ფრენსის, ოთხი დღეც არ გასულა. ელენი გუშინაც აქ იყო, შენ კი აქ კვირას გაათიე.

— კვირას ჩვენ წავედით, — თქვა ელენმა.

— მე აქ მართო ორი ღამე დავრჩი, არა?

— ექვსი, — დაუზუსტა ჯექმა, — თითქმის ერთი კვირა.

— მე კი ვიცი, რომ არა, — თქვა ელენმა.

— ერთი კვირა-მეთქი, — არ დაიხია უკან ჯექმა.

— სტყუი, — მიუგო ელენმა.

— ვიცი, რასაც ვამბობ. მატყუარას ნუ მეძახი.

— სულ გამოტვინდი? — ჰკითხა ელენს ფრენსისმა, — თანაც ვითომ კოლეჯში სწავლობდი, მე ასეო და ისეო.

— დიახაც ვსწავლობდი კოლეჯში.

— იცი, ვფიქრობდი, სანამ ფრენი სამუშაოს იშოვის და ფულს მოუყრის თავს, ჩემთან დავტოვებ და არაფერს გადავახდევინებ-მეთქი, — თქვა ჯექმა.

— დაურტყით ერთმანეთს ხელი, — უთხრა ელენმა.

— ახლა კი შეეჭვება, — თქვა ჯექმა.

— იმიტომ, რომ მაწანწალა ვარ, — მიუგო ფრენსისმა.

— მე მაგას არ ვიტყვოდი, — თქვა ჯექმა და ფრენსისს ღვინო დაუსხა.

— აკი ვიცოდი, ეს ტყუილუბრალო ლაპარაკი იყო, — თქვა ელენმა.

— მე კი იმას გეტყვი, ჯექ, რომ კლარას მუდამ კარგად ვექცეოდი.

— შენ მთურადი ხარ, ფრენსის, — იკივლა ელენმა და სკამიდან წამოხტა. — ჰოდა, იარე ასე მთურადმა მთელი სიცოცხლე უნდა მიგატოვო, ფრენსის. არანორმალური ხარ, მარტო იმას ფიქრობ, სად ჩახუთქო. სულ მთლად გადაირიე.

— რა ვთქვი ისეთი? ვთქვი, რომ კლარა მომწონს-მეთქი.

— ამაში არაფერია ცუდი, — თქვა ჯექმა.

— არც მე მაქვს საწინააღმდეგო, — თქვა ელენმა.

— რა მოვუხერხო ამ ქალს, აღარ ვიცი, — თქვა ფრენსისმა.

— ის მაინც თუ იცი — ღამეს აქ გაათევ თუ არა? — ჰკითხა ელენმა.

— არა, არ გაათევს, წახვალთ, — თქვა ჯექმა.

— მივდივართ, — მიუგო ელენმა.

— თან წასაღებად სანდვიჩს არ გამოიკეთებ? — ჰკითხა ფრენსისმა.

— არა, — უთხრა კლარამ.

ელენი კლარას თავზე დაადგა და დაჰკივლა:

— დაგავიწყდა, შენ თვითონ როგორ უიმშილობდი?

— დაჯექი და მოკეტე, — უთხრა ფრენსისმა.

— არ მოვკეტავ, მახსოვს, ჩემთან რომ მოვიდა და საჭმელი მთხოვა. მაგას დიდი ხანია ვიცნობ და არაფერი არ დამვიწყებია.

— მე შენთვის არასოდეს არაფერი მითხოვია, — თქვა კლარამ.

— ფრენსისმა მარტო სანდვიჩი გთხოვათ.

— მივცემ სანდვიჩს, — თქვა ჯექმა.

— ჯექს აღარ უნდა შენი აქ მოსვლა, — უთხრა ელენს ფრენსისმა.

— მე თვითონაც აღარასოდეს მოვალ.

— ფრენსისმა სანდვიჩი მთხოვა და მივცემ.

— დალახვროს ეშმაკმა, ვიცოდი, რომ მომცემდი.

ჯექი სამზარეულოში გავიდა და გასანთლულ ქაღალდში გახვეული სანდვიჩი გამოიტანა. ოთახში სიჩუმე იდგა. ფრენსისმა სანდვიჩი ჯიბეში ჩაიღო, ელენი უკვე კართან იცდიდა.

— ღამე მშვიდობისა, მეგობარო, — უთხრა ჯექს ფრენსისმა.

— ბედნიერად, — უპასუხა ჯექმა.

— კიდევ შევხვდებით, — უთხრა კლარას ფრენსისმა.

— ჯერჯერობით, — თქვა კლარამ.

ქუჩაში ფრენსისს გაქცევა მოუნდა, იგრძნო, თანდათან როგორ მოეძალა სურვილი აქედან მოექუსლა, დაე, ელენმა თვითონ იზრუნოს საკუთარ თავზეო.

სიცივემ კიდევ უფრო მოუჭირა, ცა გადაიწმინდა, ქათქათა მთვარე მაღლა ეკი-
და ცაზე. მოკაცრიელებულ ნორთ-პერლ-სტრიტზე არც ხალხი ჩანდა და არც
მანქანები. პირველი ეკლესიის საათი ორსა და ორმოცდახუთ წუთს აჩვენებდა.
სამი კვარტალი უხმოდ გაიარეს და იქითკენ აიღეს გეზი, სადაც მოვიდნენ, —
მისიისკენ, მაწანწალების ბანაკისკენ.

— სად აპირებ ახლა დაძინებას? — ჰკითხა ფრენსისმა.

— არ ვიცი, მაგრამ აბრეშუმის ზეწრები და მთიხვის ბაღიშები რომც ჰქონოდათ,
იმათთან მაინც არ დავრჩებოდი. მახსოვს, რა კახპაც იყო, თანაც ფული
არასოდეს ეშავა. ახლა კი ხედავ, როგორ მოაქვს თავი. არ შემეძლო პირში არ
მიმეხალა.

— მერე რა მოიგე?

— ჯეკმა მართლა გითხრა, აღარ შემოვუშვებო?

— ჰო, მე კი მტოვებდნენ. კლარას შენზე ჰგონია, ჯეკს შემიცდენსო, ვფიქრობდი,
კლარას გავეარშიყები და შენი აღარ შეეშინდებოდა, შენ კი სულ გა-
დაირიე. აჰა, მოკბიჩე სანდვიჩი.

— გულზე დამადგება.

— ნუ გეშინია, არ დაგადგება, მაღლობასაც მეტყვი.

— მე თვალთმაქცი არა ვარ.

— არა, ხომ? იცი, რას გიზამ, — ფრენსისმა საყელოში სტაცა ხელი, ყელში
სწვდა და ყვირილი დაუწყო: — ქვაფენილზე გაგაკრავ! სცადე ერთი უგვანოდ
მომექცი. ეშმაკმა დაგლახვროს, მოიქეცი ადამიანურად. სახლში მაგიტომაც არა-
ვინ გიშვებს. მე თუნდაც ახლავე დაებრუნდები, ჯეკმა მითხრა — შენ დარჩიო.

— არ უთქვამს.

— მისმინე... — ფრენსისი კვლავაც საყელოში ჩასჭიდებოდა, — კიდევ თუ
დამიწყებ თვალების წკურვას, აიმ მანქანაზე მიგახეთქებ. ათი წელია ტრაკში
ხიჭვივით შემრჭობიხარ. იმიტომაც არავის უნდიხარ, რომ ხიჭვი ხარ ყველასა-
თვის.

პერლ-სტრიტის ზემოთა მხარეს ფარებმა გამოანათეს და ფრენსისმაც ხელი
გაუშვა ელენს. ქალი არ განძრეულა, ფრენსისს თვალეებში ჯიქურ მიშტე-
რებოდა.

— ვხედავ. თვალეებს მაინც მიწკურავ. — ყვიროდა იგი — ახლავე მოგა-
ფეთებ მაგ თვალეებში, ეშმაკის ნაშიერო! იცი, რას გიზამ? გაგაძრობ პალტოს და
ემაგ ძონძების ამარა გაგიშვებ სასეირნოდ.

ელენი არც ახლა განძრეულა, თვალიც არ დაუხამხამებია.

— ამ წუთში შეეჭამ სანდვიჩს. მთელ ყველს მე შეეჭამ.

— მე კი არ შეეჭამ მაგ ვირთხების სათქვლეფს.

— მოგკლავ, — იღრიალა ფრენსისმა, — გესმის, ეშმაკმა წაგიღოს? ცოდვას
ნუ ჩამადენინებ, ადამიანურად მოიქეცი. გასწი სადმე, დალახვროს ეშმაკმა,
და დასაძინებლად დაეგდე.

ისინი გვერდიგვერდ აღარ მიდიოდნენ. მედისონ ავენიუსთან ისევ საუტ-
პერლისკენ გაუტოვს — უკან იმავე გზით ბრუნდებოდნენ. ფრენსისმა ხელი გა-
მოსდო. ელენმა განზე გაიწია.

— მახონიასთან თავშესაფარში დარჩები?

— არა.

— ჩემთან გაათევ?

— ძმას დავურეკავ.

— სწორია, დაურეკე. ორჯერ დაურეკე.

- ჩემი ძმა სადმე შემხედება.
- ტელეფონისთვის მონეტას სად იშოვი?
- ეგ ჩემი საქმეა. დამერთმანი, ფრენსის, ნორმალური იყავი, ვიდრე სმას დაიწყებდი. სმა, სმა და მხოლოდ სმა.
- ძველ სახლში წავიდეთ, მუყაოს ყუთს მოვნახავ.
- იქ სულ პოლიციელები ტრიალებენ და ალყაში მოვხვდებით. ცხემალწასვლა არ მინდა. ვერ გამოვივა, თუკი მივიპატიუეს, რატომ არ დამწირს და კლარასთან?
- შენთან კარგი არ გაუვა კაცს.
- მიუყვებოდნენ მედისონ-ავენიუსკენ, გაიარეს მისია. ელენს იქით არც გაუხვდავს. გრინ-სტრიტის კუთხეში შეჩერდნენ.
- მე ქვევითკენ წავალ, - თქვა ელენმა.
- ზღაპრებს ნუ მიყვები, არსადაც არ წავგესვლება. წახვალ იქ და თავში გხეთქავენ.
- ამაზე უარესიც გადამხდომია.
- მაშინ ჩემთან გაათიე.
- არა, ფრენსის, შენ სულ ააფრინე.
- ფრენსისი ქეჩოში სწვდა, მერე მისი სახე ორივე ხელში მოიქცია.
- დამარტყი, თუ დამარტყამ, - უთხრა ელენმა.
- არ დავარტყამ, გოგონი, ასე თუ ისე, მაინც მიყვარხარ. ძალიან გაიყინე?
- ორი დღეა ერთხელაც არ გავმთბარვარ.
- ფრენსისმა ხელი გაუშვა, პიჯაკი გაიხადა და მხრებზე მოახურა.
- არა, ამ სიცხეში უპიჯაკოდ არ შეიძლება. მე პალტო მაინც მაცვია. შენ კი მარტო პერანგის ამარა ვერ იქნები.
- რა განსხვავებაა, პიჯაკი მაინც არ მათბობს.
- ელენმა პიჯაკი დაუბრუნა.
- წავედი.
- ნუ მიმატოვებ, შენც გზა-კვალი აგერევა, - უთხრა ფრენსისმა.
- ელენი მაინც წავიდა. ფრენსისი კი კუთხეში ფარნის ბოძს მიყვრდნო, ჯეკის ნაჩუქარ სიგარეტს მოუკიდა, დოლარიანი ხელით მოსინჯა, სამზარეულოში ჯეკმა ჯიბეში რომ ჩაუდო, სანდვიჩას ნარჩენი შეჭამა და ძველი ტრუსი წყლის ჩასადინარში ისროლა.



ელენი გრინ-სტრიტის უშენ ადგილამდე მივიდა. ქუჩის მეორე მხარეს ნავთის კასრში კოცონი ენთო. კოცონს ხუთი ფერადკანიანი ქალი და კაცი შემოსხდომოდა. კასრს იქით, ბალახებში ძველ დივანზე თეთრკანიანი ქალი იწვა, ზემოდან კი ფერადკანიანი კაცი მოქცეოდა. ელენი ისევე ფრენსისთან დაბრუნდა.

- დღეს არ შემიძლია ქუჩაში გათევა, მოვკვდები, - თქვა მან.
- ფრენსისმა თავი დაუქნია და ფინის „ოლდსმობილისკენ“ - 1930 წელს გამოშვებული, უმოქმედო და უბორბლებო მანქანისაკენ წავიდნენ, ჯონ-სტრიტთან მოსახვევში რომ იდგა.
- მანქანაში ორ კაცს ეძინა. ფინი წინა დასაჯდომზე მოწყობილიყო.
- უკან ვინ ზის, არ ვიცნობ, - თქვა ელენმა.

— იცნობ, წითურია მისიიდან. ეგ არაფერს დაგიშავებს, თუ დააპირა, ენას ამოვაძრობ.

— არ მინდა, ფრენსის, მაგათთან.

— აქ სითბო მაინც არის. მინდვრად ცოვა, გოგონი, საშინლად ცოვა. ქუნა-ქუნა მარტო მოყიალეს კი მაშინვე დაგიჭერენ.

— შენც შემოდვერი უკან.

— არა, ვიწროდ ვიქნები, ფეხებს ვერ გავმართავ.

— სად წახვალ?

— სადმე ვიპოვი მაღალ შამბნარს, სადაც ქარი ვერ დაუბერავს.

— დაბრუნდები?

— ცხადია, დავბრუნდები. რიგთანად გამოიძინე, დილით კი ან აქ მოვალ ან მისიაში.

— არ მინდა აქ ღამის გათევა.

— საჭიროა, გოგონი, სხვაგან სად წახვალ?

ფრენსისმა მარჯვენა კარი გამოაღო და ფინის ხელი ჰკრა.

— ეი, მაწანწალავ, გაიწი, სტუმარი გეწვია.

ფინიმ ღვინისაგან მიბლუტილი თვალები გაახილა, წითური ხვრინავდა.

— ვინა ხარ? — ჰკითხა ფინიმ.

— ფრენსისი ვარ, გაიწიე, ელენი შემოუშვი.

— ფრენსისი? — ფინიმ თავი ასწია.

— სამაგიეროდ, ხვალ ერთ ბოთლს მოგიტან, მისი გარეთ, სიცივეში ყოფნა არ შეიძლება, — უთხრა ფრენსისმა.

— უუჰ, — ამოიხენემა ფინიმ და საჭისკენ გადაძერა.

ელენი წინ დაჯდა, ფეხები გარეთ გადმოკიდა, ფრენსისმა ლოყაზე სამი თითი მოუტათუნა და ხელი ძირს დაუშვა. ელენმა ფეხები აიკეცა.

— ნურაფრის გეშინია, — უთხრა ფრენსისმა.

— მე არ მეშინია, საქმე ეგ როდია.

— ფინი ცუდს არაფერს ჩაიდენს, ჩაიდენს და მოვკლავ მაგ პარაზიტს.

— მაგან იცის, აქ სხვა დროსაც ყოფილა, — ჩაილაპარაკა ფინიმ.

— დილით გნახავ.

— ჰოო.

— ნუ იღარდებ, — თქვა ფრენსისმა და მანქანის კარი მიხურა.



სულდაცარიელებული ფრენსისი პოლარული ვარსკვლავის მიმართულებით მიუყვებოდა გზას. მას მხოლოდ ერთი სურვილი დაუფლებოდა, შეეცვალა თავისი ბედი. მეტისმეტად ხშირად ათევედა ღამეს უშენ ადგილებზე თუ შამბნარებში. ეს აღარ უნდა მოხდეს, ხვალ დილით მეძველმანეს წარუდგება, ამიტომ ბროდვეის საშხრეთით რომელიმე მიტოვებულ სახლში ღამის გათევა მეტისმეტად სარისკოა, რადგან აქაურობას სულ მუდამ ჩხრეკენ ის უჭკუო პოლიციელები. ვის რა უშავდება ნეტავ, რომ ქარში კი არა, ჭერქვეშ გაათიოს ღამე ოთხმა, ექვსმა ანდა რვა კაცმა ჩამტვრეულკარიან და ნახვრეტებადქცეულ იატაკიან სახლში, სადაც შეიძლება კისერიც კი მოიტეხო, სახლში, სადაც ხუთი თუ ათი წელია მარტო მტრედებილა ბინადრობენ. ვის რა უშავდება?

იგი ბროდვეის მიუყვებოდა ჩრდილოეთისკენ, სთიმბოთ-სკვერის ახლოს, სადაც ბავშუობაში სამდინარო გემებზე ძერებოდნენ, რათა ტროამდე ან კინგსტონამდე გაესეირნათ, ან არადა პიკნიკი მოეწყოთ კუნძულ ლაგუნზე. მეინ-სტრიტ-

ზე მარჯვნივ გაუხვია და ფერდობით მდინარისკენ, მაკვროუს სახლისკენ დაუ-
ყვა, მერე გრინებს ჩაუარა, თდესლაც ჩრდილოეთ ოღბანიში ფერადკანიანთა ერ-
თადერთი ოჯახი რომ იყო, მერე — დეკერტების სახლს, სადაც დღემდე ცხო-
ვრობდა მარტინი — ფანჯრებში შუქი არ ჩანდა — ჩაუარა ფიცრებით აჭედელ
რკანის ჯო ფარელის სალუნს. ფრენსისმა აქ ისწავლა სმა. პირველად აქ უკანა
ოთახში ნახა მამლების ჩხუბი, პირველად აქ გამოელაპარაკა ენი ფარელს.

ის მიაბიჯებდა იქით, სადაც ადრე არხი იყო — აღარც ისე მშვენიერად იდგმო, ^{მშვენიერად იდგმო}
კარგა ხანია ამოეცხოთ, აღარც რაბი ჩანდა, არც რაბთან მდგარი სახლი, არხის
ყოფილი ნაპირიც ბალახებს დაეფარა. მაგრამ ნორთ-სტრიტის მისადგომებთან
ფრენსისმა ნაცნობ შენობას ჰკიდა თვალი. ღმერთო, უელტის თავლა თურმე
ისევ დგას! ამას ვინ იფიქრებდა! ნუთუ უელტიც ცოცხალია? არა, მეტისმეტად
სულელი უნდა ყოფილიყო, რომ აქამდე ეცოცხლა. ნუთუ თავლა ისევ თავლობს?
ეჭვობა, თავლობს, მაგრამ ცხენები ახლა ვის უნდა ჰყავდეს?

თავლა ცარიელი აღმოჩნდა, სახურავის ვეება ნახვრეტებიდან მთვარის ცივი
შუქი ძველ, ოკრობოკრო იატაკზე იღვრებოდა. ღამურები ბალერინებივით დატ-
რიალებდნენ ქუჩის ფარნის — ნორტ სტრიტის ამ უკანასკნელი ფარნის ახლოს.
ფრენსისის ირგვლივ ცხენთა და ჯორთა ლანდები დაფრუტუნებდნენ და დააბა-
კუნებდნენ, და თვითონაც მოჰყვა ფეხების ბაკუნს იატაკის ფიცრებზე. ფიცრები
მაგარი მოეჩვენა, მერე ხელითაც მოსინჯა, მშრალი იყო. თავლის კარი ერთ ან-
ჯამაზე ეკიდა. ფრენსისს აზრად მოუვიდა, თუკი კარს შეაბრუნებდა, ქარისაგან
სამი მხრით დაცულს შეეძლო დაეძინა. ამ კუთხეს სახურავიდან მთვარის შუ-
ქი ვერ აღწევდა, აქ უელტს ლურსმნებზე ჩარიგებული ჰქონდა ფოცხები და
ფიწლები.

ფრენსისი გააცოცხლებს ამ კუთხეს, აღადგენს ყველა ფოცხსა და ფიწალს,
უელტს დაუბრუნებს ძველ სახეს, გაჰყვება ანაზდად შემოფრენილ მოგონებებს
წარსულ დროზე. მთვარის შუქზე მოშორებით, თაროზე გაზეთების დასტა და
მუყაოს ყუთი დაინახა. გაზეთები თავის კუთხეში დააფინა, ყუთი გაშალა და ზედ
დაწვა.

ოდესლაც იგი აქედან ოცდახუთ ნაბიჯზე ცხოვრობდა.

აქედან ოცდახუთ ნაბიჯზე 1916 წლის 26 აპრილს ჯერალდ ფელანი გარ-
დაიცვალა.

ამლამინდელი ღამე შეიძლება ვერც გაპითენდესო, გაიფიქრა ფრენსისმა და
ხელები ბარძაყებშუა ჩამალა, მუხლები მკერდთან მიიტანა და სიკვდილზე მოჰ-
ყვა ფიქრს, რომელსაც მისი წყალობით სხვები გადაჰყროდნენ და კვლავაც შე-
იძლება გადაეყარონ. კედება ელენი, და ფრენსისი იქნებ მისი მოახლოებული
სიკვდილის მთავარი მიზეზი გახდეს. თუცა დღეს საღამოს მთელი არსებით
ცდილობდა, რათა იგი სანდრასავით გარეთ მტვერში არ გაეინულიყო. არ მინდა
შენზე ადრე მოვკვდე, ელენ, შენ უჩემოდ ამქვეყნად უსუსურ ბავშვს დაემსგავ-
სები, — აი, რაზე ფიქრობდა ფრენსისი.

მას გაახსენდა, ჰაერში როგორ მოფრინავდა მამამისი, და მიხვდა, სამოთხე-
ში იქნებაო. დედა კი ალბათ განსაწმენდელშია და, დალახვროს ეშმაკმა, სამუ-
დამოდაც იქ დარჩება. იყო როკაპზე როკაპი და ცხოვრების უარყოფელი — თუ-
მცა არც ისე ბოროტი, რომ ჯოჯოხეთში მოხვედრილიყო. ფრენსისს ვერ წარ-
მოედგინა, რომ დედას წუთით მაინც შეუმეებდნენ სამოთხეში, თუკი მართლაც
არსებობს ასეთი ადგილი.

ნოემბრის ყინულივით ცივი ჰაერი საბანივით ეხურა ფრენსისს, მისმა სიმძიმემ, მართალია, გათოშა, მაგრამ სიმშვიდე მოკვეარა, სიჩუმემ კი ტვინის ჭყლეტას მოუღო ბოლო.



ფრენსისი იდგა სანაგვესთან და თვალთ ეძებდა მოხუც როსკამს. ყომრალმა ღრუბლებმა ჭუჭყიანი წინდების ორ გროვასავით სწრაფად ჩაუქროლეს დილის მზეს და სამყარო მზის შუქმა გააცისკროვნა. ფრენსისმა თვალები აახამხამა, მერე გახედა უსარგებლოდ ქცეული საგნების სასაფლაოს: დაჟანგებულ გაზის ქურებს, ხის დამტვრეულ ფილებს, გაუქმებულ საყინულეებს, ბორბლებგალუნულ ველოსიპედებს. მთად დამდგარი ავტომობილების ნახმარ სალტეთა ჩრდილი ეცემოდა დაჟანგებულ მილებს, საბავშვო ეტლებს, ტოსტერებს, ავტომანქანის ფარებს. სამკედლიან გრძელზე გრძელ ფარდულში აღმართული იყო მუყაოს, ქაღალდისა და ძონძების მთაგრეხილი.

ფრენსისი ამ უარყოფილ სამყაროში შევიდა და დაფერდებული ხის ქოხისაკენ გაეშურა, რომლის წინ ფორანში შებმული გაცვეთილ ცალულიანი ცხენი იდგა. იქით ჩანდა ახორხლილი ურიკის თვლები, იქვე ეყარა ტაფები, თუნუქის ქილები, უთოები, ქვაბები, ჩაიდნები და უამრავი უკვე სახელდაკარგული ლითონის ნაკეთობანი.

ქოხის ერთადერთ ფანჯარაში ფრენსისმა ვიღაც დაინახა, რომელიც მის მოახლოებას უთვალთვალებდა. ეს ალბათ როსკამი იყო. ფრენსისმა კარს ხელი ჰკრა და შევიდა. მასპინძელი სამოციოდე წლის მრგვალსახიანი, მელოტი, ჯმუხი, ჭუჭყიანი, მხრებგანიერი და ძარღვმავარი კაცი იყო, თითები მუხის ფესვებს უკავდა.

- გამარჯობა, — უთხრა ფრენსისმა.
- უჰუ, — თქვა როსკამმა.
- ძღველმა მითხრა, ორი ღონიერი ხელი სჭირდებაო.
- შეიძლება ასეცაა. შენ რა, ღონიერი ხელები გაქვს?
- ბევრზე უფრო ღონიერი.
- გრდემლს ასწევ?
- რა? გრდემლებს აგროვებ?
- ყველაფერს ვაგროვებ.
- აბა მიჩვენე გრდემლი.
- გრდემლი არა მაქვს.
- მაშ რა ეშმაკად უნდა ავწიო?
- კასრს, კასრს თუ ასწევ? — და ხარახურითა თუ რკინის ჯართით სახვერამდე მოყრილი ნავთის კასრი აჩვენა. ფრენსისმა ხელები მოხვია და ძლივს ასწია.

- სად დავდგა?
- იქ, საიდანაც აიღე.
- შენ თვითონ თუ ასწევ ამისთანას? — ჰკითხა ფრენსისმა.

როსკამი ადგა, კასრი მიწას ძალდაუტანებლად მოაცილა და მუხლებს ზემოთ ასწია.

— გეტყობა, გვარიან ფორმაში ხარ, რაკი ასეთ სიმძიმეს სწევ, — უთხრა ფრენსისმა.

- გგონია, მძიმეა? — თქვა როსკამმა და კასრი მხრებზე შეიღვა, მერე მკვრდზე დაუშვა, ხელები შემოაჭდო და ძირს დადგა.
- მთელი ცხოვრება ასე ვეწევი, — თქვა მან.
- ვხედავ. ეს ავლადიდება სულ შენია?
- ჩემია. მუშაობა ხომ არ გადაიფიქრე?
- რამდენს გადამიხდი?
- შვიდ დოლარს. დაბინდებამდე იმუშავებ.
- შვიდი ასეთი მუშაობისთვის არ არის ბევრი.
- სხვები ასეთ სამუშაოს ხელიდან ვტაცებენ.
- რვა ან ათი დოლარი მაინც იყოს.
- უკეთეს თუ მონახავ, ღმერთმა მოგახმაროს. შვიდ დოლარად ხალხი ძველი კვირა არჩენს ოჯახს.
- შვიდი და ორმოცდაათი.
- შვიდი.
- ეგრე იყოს, ერთი ოხრობაა.
- ადი ფორანზე.



ფორანით ორბოდე წუთი რომ იარა, ფრენსისი მიხვდა, საღამოთი, თუკი იქამდე მიაღწევდა, კუდუსუნი შავ დღეში ექნებოდა, ისე ჯაყჯაყებდა ფორანი გრანიტის ფილებსა და ტრამვაის რელსებზე. უხმოდ მიდიოდნენ დილის ნათელ ქუჩებში. ფრენსისი გაახალისა მზის სინათლემ, იმისმა ცქერამ, როგორ იწყებდა მუშაობას ამ ძველი ქალაქის ხალხი, ალებდნენ მაღაზიებს და ბაზრებს, გამოდიოდნენ დოვლათისა და მოგების მოპტანი დღის შესახვედრად, და თავი თვითონაც მდიდარი ეგონა.

ფრენსისს სიფხიზლეში მუდამ ოპტიმიზმი ეუფლებოდა. დიდი ხნით სატვირთო მატარებლით მგზავრობისას, როცა დასალევი არაფერი ჰქონდა, წინ ცხოვრების ნაირ-ნაირი პორიზონტი ეშლებოდა, ხანდახან მატარებლიდანაც კი ჩამოსულა სამუშაოს საძებნელად. ვრძნობდა, რომ მდიდარი იყო, მაგრამ თავი მაინც მკვდარი ეგონა. მან ვერ იპოვა ელენი, არადა, უნდა იპოვოს. იგი ხელახლა დაიკარგა. ამ ქალს პირდაპირ ხელობად ექცა ანაზღად გაქრეს ხოლმე. შეიძლება სადმე ეკლესიაში შევიდა, მაგრამ მისიაში რატომ არ შემოიარა ყავის დასალევად და ფრენსისის სანახავად. დალაზვროს ეშმაკმა, მის გამო ფრენსისს თავი მუდამ მკვდარი რატომ უნდა ეგონოს?

უცებ გაახსენდა ბილიზე დაწერილი სტატია და გამხიარულდა. პირველად მახონიამ წაიკითხა და მერე მას მისცა. სტატია ფრენსისის შვილზე მარტინ დოგერტის დაწერა. ეს ჟურნალისტი ოდესღაც კოლონი-სტრიტზე ფელანების გვერდით ცხოვრობდა. ბილი გარეული აღმოჩნდა ადგილობრივი პოლიტიკური ბოსის, პატსი მაკოლის ძმისწულის მოტაცებაში. ძმისწული საღსალამათი დააბრუნეს, მაგრამ ბილი გააბეს, ეჭვმიტანილი გამტაცებლები რატომ არ გაეციო. მარტინმა ბილის დასაცავად სტატია დაწერა და პატსი მაკოლი უსინდისო პატივმოყვარედ მოიხსენია, რადგან ასე უნამუსოდ მოექცა ბილის.

ისინი ჩრდილოეთის ბულვარზე გავიდნენ, იქიდან კი მესამე ქუჩის დაღმართს ჩაუყვანენ. ამიტომ ფორანიდან ჩამოვიდნენ, ცხენს რომ არ ეწვალა. დადიოდნენ კარდაკარ, მოაგროვეს ძველი საათები, რადიომიმღებები, ბლომა ქალაღდი, ორი ყუთი დახეული წიგნები მებაღეობაზე, ჩამტვრეულგრიფიანი ბანჯო, ქილები, ძველი შლაპები და ათასნაირი ძონძმანძი.

ფორანი გზას განაგრძობდა. ფრენსისი მიხვდა, რომ იგი კოლონი-სტრიტი-სკენ მიდიოდა, სადაც დაიბადა და გაიზარდა, სადაც დღემდე ცხოვრობდნენ მისი დები და ძმები. ფორნის თვლები ჭრიალებდა, ძარაზე ხარახურა ინჯდრეოდა და ჩხარუნობდა ძე შეცთომილის დაბრუნების შაუწყებლად.

ფრენსისმა დაინახა კვლავინდებურად ყავისფერ-ჩაღრმისფერად შეღებილი თავისი სახლი, გვერდით კი, დოკერტების დამწვარი სახლისა და ქრისტიან ძმათა¹ სკოლის ადგილზე მაღალი შამხნარით დაფარული უშენი ადგილი.

მან დაინახა, დედა და მამა ჯვრისწერის შემდეგ სახლის წინ როგორ ჩამოვიდნენ ეტლიდან და ხელიხელჩაკიდებულნი ავიდნენ პარმალზე. მაიკლ ფელანს რკინიგზელის კომბინეზონი ეცვა და ზუსტად ისე გამოიყურებოდა, როგორც მაშინ, მატარებელმა რომ გაიტანა. ქეთრინ ფელანიც საქორწინო კაბაში ისევე გამოიყურებოდა, როგორც იმ დღეს, ფრენსისს სილა რომ სტაკიკა და ბუფეტს მიახეთქა.

— ერთი წუთით გააჩერე, — სთხოვა როსკამს.

— გავაჩერო? — ჰკითხა როსკამმა და აღვირა მოსწია.

ახლადდაქორწინებულებმა ზღურბლს გადააბიჯეს და სახლში შევიდნენ. ისინი კიბით საძინებელ ოთახში ავიდნენ, რომელიც მთელი ერთად ცხოვრების მანძილზე უნდა გაეყოთ — ახლა ეს ოთახი მათ საზიარო საფლავად ქცეულიყო. სივრცის ასეთი დაწყვილება ფრენსისს ისევე ლოგიკურად ეჩვენა, როგორც თავად ეს მოძენტი — როცა ერთმანეთს შეეყარა ორმოცდათვრამეტი წლის ფრენსისის აწმყო და მისი დაბადების წინარე 1879 წელი, როდესაც ქორწინების საიდუმლო აღსრულდა. ოთახს მისი ბავშვობისდროინდელი ნაცნობი იერი არ დაკარგოდა. მუხის საწოლი და ორი მუხის შავიდა თავის ადგილას ისევე მყარად იდგა, როგორც ფელანების საფლავთა მაჩრდილობელი ხე.

ერთად ცხოვრების მესამოცე წელს მაიკლ ფელანი მოეხვია თავის ახალგაზრდა ცოლს და თითები მუქმუქმუნა დაუსვა. ფრენსისმა დაინახა, მისი მომავალი დედა როგორ შეადრწუნა პირველმა, და რამდენადაც ფრენსისი მიხვდა, მისთვის გულისამრევმა სასიყვარულო შეხებამ. პირმშო შვილის, ფრენსისის ოთახი მშობლების საძინებლის გვერდით იყო. ამიტომ მას წლების მანძილზე ესმოდა დამღამობით მშობლების კინკლაობა და შშვენვირად იცოდა, რომ დედა მუდამ ეწინააღმდეგებოდა ქმარს. როცა მაიკლი მაინც ახერხებდა მის დაუფლებას — ძალით ან მუქარით, ამ საქმის გასარჩევად მღვდელს ჩავრევო. ფრენსისს ესმოდა დედის აღშფოთებული დუდლუნი იმაზე, რომ სქესობრივი კავშირი ცოდვას, თუკი ეს შთამომავლის ვასაჩენად არ ხდებოდა, როგორც იმთავითვე ჰქონდა ჩაგონებული... მას ისიც კი საზიზღრობად მიაჩნდა, რომ ხალხმა იცოდა მათი სქესობრივი კავშირის ამბავი, რაც შვილების დაბადებით მთავრდებოდა. და დედის ეს წუხილი მთელი სიცოცხლე უზომოდ ახარებდა ფრენსისს.

ახლა, როცა ქმარი მას პერანგს ხდიდა, შეძრწუნდა ექვსი შვილის ქალწული დედა, რის ნამდვილ მიზეზს ფრენსისი პირველად ახლა მიხვდა და რაც ისევე ნათლად იხატებოდა დედის თვალებში 1879 წელს, როგორც სასაფლაოზე, კანი ქორფა და ვარდისფერი ჰქონდა კუბოს შიგნით გამოკრული თავთასავით, მაგრამ მიუხედავად ახალგაზრდული ფერ-ხორცისა, ისეთივე უსიცოცხლო იყო, როგორც მისი წითელი კაბის აბრეშუმი, კუბოში რომ ჩააცვეს. იგი თავისი დღე

¹ ირლანდიის ქრისტიანი ძმები — რელიგიური საზოგადოება, რომელიც ზრუნავდა ღარიბ ბავშვთა განათლებაზე.

და მოსწრება მკვდარი იყო, გაიფიქრა ფრენსისმა და ცხოვრებაში პირველად შეებრაღა თვითდაკოდილი, მონაზვნებისა და მღვდლებისაგან დასაჭურისებული ქალი. იმ წუთში, როდესაც მისი ნორჩი სხეული მოვალეობის გამო ნებდებოდა ქმარს, ფრენსისმა იგრძნო, „რკინის ქალწული“¹ წლითიწლობით სულ უფრო როგორ აქცევდა თავის მარწუხებში, სანამ სულ მოლად არ ჩაუკლა ვნება, სანამ არ აქცია ცივ და უსიცოცხლო ადამიანად და არ დაამსგავსა გრანიტის ანგველდებს.

ზიგლინოვიქა

— აჩუ — შეუძახა ცხენს როსკამმა და ბებერი ჯაგლაგიც დაღმა, კოლონი-სტრიტისკენ წაჩანჩაღდა.

— ძველ-მანებს ვყი-ღულობთ, — ყვიროდა როსკამი, — ძველმანებს ვყი-ღულობთ, — ეს ძახილი სინამდვილეში ორი ნოტისაგან, დო-სა და სი-ბემოლისაგან ან იქნებ ფა და მი-ბემოლისაგან შემდგარი სიმღერა იყო. ფელანების სახლის მოპირდაპირე ფანჯარაში ქალმა გამოყო თავი.

— უკანა პარმაღთან მოდით, გაზეთები, აბაზანა და ძველი ტანსაცმელი მაქვს, — დაიძახა ქალმა.

როსკამი ფორნიდან ჩამოხტა.

— აბა ჰე, — უთხრა ფრენსისს.

— არ მინდა შესვლა, მაგ ქალს ვიცნობ.

— მერედა რა?

— არ მინდა მნახოს მისის მიღონმა, მთელი ცხოვრება ვიცნობდი ძაგათ, ქმარი რკინიგზელი ჰყავს. ჩემი ნათესავები ეგერ იმ სახლში ცხოვრობენ. ამ ქუჩაზე დავიბადე. არ მინდა მეზობლებმა მნახონ, მაწანწალას რომ ვგავარ.

— ხარ კალეც მაწანწალა.

— მე და შენ ეს ვიცით, იმათ კი არა. ოღონდ ამ ქუჩაზე არა, და შემდეგში ყველაფერს მარტო მე გაპოვზიდავ, გამიგე?

— დამიხე, თანაშემწედ რა მგრძნობიარე მაწანწალა ამიყვანია.

როსკამი ძველმანებისთვის მარტო წავიდა, ფრენსისმა კი ქუჩის მეორე მხარეს დედა დაინახა საშინაო კაბითა და წინსაფრით, იგი მალულად უყრიდა მარილს დოგერტების ეზოში დარგულ ნორჩ ნეკერჩხალს, რომელსაც ტოტები ფელანების ყვავილებსა და პამიდორებზე გადმოეხარა. ქეთრინ ფელანმა უთხრა თავის სეხნია ქეთრინ დოგერტის, ამ ხის ნაგავი და ჩრდილი ფელანებისათვის სასურველი არ არისო. ქეთრინმა ქვედა ტოტები, სადაც მისწვდა, შეაჭრა, შემოთა ტოტების შეჭრა კი მეზობლებში ხელმარჯვეობით ცნობილ ჩვიდმეტი წლის ფრენსისს სთხოვა. ფრენსისიც ავიდა ხეზე და ნორჩ ნეკერჩხალს ძლიერი, ცოცხალი ხელები მოახერხა. მაგრამ ყოველ მოჭრილ ტოტზე უამრავი ყლორტი ამოიყარა და არბორ-ჰილზე ყველაზე გაფოთლილ ხედ იქცა, რამაც ქეთრინ ფელანი კიდევ უფრო აღაშფოთა და კიდევ უფრო მეტი მარილი დააყარა მესერს ქვეშ გამომძვრალსა და ფელანების ნაკვეთში თავხედურად შემოჭრილ ფესვებს.

— დედა, რას ერჩი მაგ ხეს, რატომ ახშობ? — ჰკითხა ფრენსისმა.

— იმიტომ, რომ ხეს სხვის ეზოში გადმოძრომის უფლება არა აქვს, თუ გვინდა, ხეს ჩვენ თვითონ დავრგავთ ჩვენს ეზოში, — თქვა მან და მარილი კიდევ მიუმატა. ხის ფოთლები აქა-იქ ჩამოჭკნა, ერთი ტოტი სულაც გახმა, მაგრამ მარილებამ შედეგი მაინც არ გამოიღო: ნეკერჩხალი ორჯერ უფრო მეტად გა-

¹ შუა ხაუკუნეების წამების იარაღი.

იზარდა. მწვანე გიგანტი ახლა შამბნარში იდგა და მზისკენ მიისწრაფოდა დოკერტების ყოფილი ეზოდან.

1938 წელს მცხუნვარე შუადღის მზის ქვეშ მღვარი ხე განახევრებულიყო იმასთან შედარებით, რაც ორმოცი წლის წინათ — 1897 წლის ივლისში იყო, როდესაც ფრენსისი ზედ იჯდა და თავზემით ტოტსა ხერხავდა მან გაიგონა, როგორ გაიღო და დაიხურა დოკერტების ახალი სახლის უკანა კარი. ქვემოთ რომ ჩაიხედა, ქეთრინ დოკერტი დაინახა სურსათის ჩანთით, უბურა-ნაცრისფერი შლაპა, ეცვა რუხი ატლასის სამეჯლისო ფეხსაცმელი და შეტი არაფერი. იგი ჩავიდა უკანა ვერანდის კიბეზე და ახალი ფარდულისკენ გაეშურა, სადაც დოკერტების ცხენი და ლანდო იდგა.

— მისის დოკერტი, — დაუყვირა ფრენსისმა და ხიდან ჩამოხტა, — როგორ ბრძანდებით?

— ქალაქში მივდივარ, ფრენსის, — მიუვო ქალმა.

— ტანსაცმელს არ იცვამთ?

— ტანსაცმელს? — მან დაიხედა შიშველ ტანზე, მერე დამცინავად მოიღერა ყელი, თვალები გაუფართოვდა და გაუშტერდა.

— მისის დოკერტი, — უთხრა ფრენსისმა, მაგრამ ქალს არ უპასუხნია და არც განძრეულა.

თავისი გაკეთებული ვერანდის მოაჯირიდან ფრენსისმა აიღო მწვანე ტილო, გვერდითი ფანჯრის ფარდად რომ ხმარობდნენ, გაახვია შიგ შიშველი ქალი, აიტაცა, შინ შეიყვანა, უკანა სასტუმროში სავარძელზე დასვა და, სანამ მხრებიდან ტილო ჩამოუცურდებოდა, მის ტანსაცმელს დაუწყო ძებნა. საკუჭნაოს კარზე დაკიდებული ხალათი იპოვა, ქეთრინი ფეხზე წამოაყენა, ხელები სახელოებში გააყოფინა, ქამარი შემოარტყა, უკვე ჩაცმულს შლაპის ლენტი გაუნასკვა და ისევ სავარძელზე დასვა.

პატარა კარადაში შოკოლადის ვისკის მიაგნო, ბუფეტში — ჭიქას, ჭიქაში მეთხედი ვისკი დაასხა, ქალს პირთან მიუტანა და სთხოვა გადაეყლაპა. ქეთრინმა მოსვა, გაიღიმა და თქვა:

— გმადლობ, ფრენსის, ასე რომ ზრუნავ ჩემზე.

ქალს თვალები დაეწმინდა, აღარც გაფართოებული ჰქონდა. მოეშვა, სახე მლოუბა.

— უკეთ ხართ? — ჰკითხა ფრენსისმა.

— მე კარგად ვარ, ძალიან კარგად, შენ როგორა ხარ, ფრენსის?

— გინდათ წავალ და ქმარს მოგიყვანო?

— ქმარს? ჩემი ქმარი ნიუ-იორკშია, ვშიშობ, ვერ მიაგნებ. ჩემი ქმარი რად გინდა?

— ან იქნებ რომელიმე ნათესავი მოგიყვანოთ? მგონი, რაღაც შეტევა გქონდათ.

— შეტევა? რა შეტევა?

— იქ, უკანა ეზოში.

— ეზოში?

— ჩაუცმელი გახვედით. ხალათი მე ჩაგაცვით. შინ შიშველი შემოგიყვანეთ.

— შენ შემომიყვანე?

— გაგახვიეთ ამ ტილოში და შემოგიყვანეთ, — და სავარძელზე მივდებულ ტილოზე მიუთითა. ქეთრინმა ტილოს შეხედა, ხელი ილლიაში შეიყო და შიშველი მკერდი მოისინჯა. როდესაც ქეთრინმა კვლავ შეხედა ფრენსისს, იგრძნო, რომ ქალის სახეში ერთად შერწყმულიყო მთვარის დიდებულება, სუ-

ღის გამყინავი სიმარტოვე და სიტურფე... მისაღები სასტუმროს შორეულ კუთხეში კი ფრენსისმა ქეთრინ დოგერტის ცხრა წლის ბიჭის — მარტინის შუბლი და თვალები დაინახა — იგი ყველაფერს სკამის ზურგიდან უყურებდა.



გავიდა ერთი თვე. ფრენსისი დოგერტების ფარდულის კარის მუხტოვან აბათავრებდა. ქეთრინმა უკანა პარმალიდან დაუძახა, სასტუმროში შეუძლება, იმავე სავარძელში ჩაჯდა და ხელით მოპირდაპირე სავარძელი შესთავაზა. ფაფუკსაყელლიან გრძელ, ყვითელ კაბაში გამოწყობილი ქალი ფრენსისს მზის სხივად მოეჩვენა.

- ჩაის ხომ არ დალევ, ფრენსის?
- არა, მემ.
- ჩემი ქმრის სიგარას არ მოსწევ?
- არა, მემ, არ ვეწევი.
- ნუთუ სულ არაფერში სცოდავ? იქნებ ვისკის სვამ?
- გავსინჯე, მაგრამ ლუდი მირჩევნია.
- შეშლილი გგონივარ, ფრენსის?
- არა, მემ.
- რასაკვირველია, შენ მართალი ხარ, ფრენსის, მე გიყვი არა ვარ. ის ამბავი ვის მოუყევი?
- არავის, მემ.
- არავის? არც შინაურებს?
- არა, მემ, არავის.
- ვიცოდი, რომ არ იტყოდი, შეიძლება მკითხო, რატომო?
- ფრენსისმა თავი ჩაღუნა.
- ხალხს შეიძლება ვერ გაეგო, სხვა რამ ეფიქრათ.
- რა სხვა რამ?
- ყველაფერი შეიძლება ეფიქრათ. შიმშველი ადამიანი ჩვეულებრივი ამბავი როდია.
- მაშ იმიტომ გაჩუმდი, რომ ჭორებს გადავრჩენილიყავით?
- დიახ, მემ.
- თუ შეიძლება ასე ნუ მეძახი. ასე მსახურები მიმართავენ ხოლმე. ქეთრინი დამიძახე.
- არ შემიძლია.
- ეს ხომ ჩემი სახელია? ყველა ქეთრინს მეძახის.
- ფრენსისმა თავი გააქნია.
- არ შემიძლია, — თქვა და გაიღიმა.
- აბა თქვი: „ქეთრინ“.
- ქეთრინ.
- აი ხომ ხედავ, სთქვი. ერთხელ კიდევ გაიმეორე...
- ქეთრინ.
- დიდებულია. სხვაგვარად აღარ დამიძახო. ამას მოვითხოვ. მე კი ფრენსისს დავიძახებ. ასე დავგარქევს, როცა დავიბადეთ, ეს ნათლობამაც დაადასტურა. მეგობრებს ცერემონიები არ სჭირდებათ, შენ კი მას შემდეგ, რაც ჭორებს გადამარჩინე, ჩემი ნამდვილი მეგობარი გახდი.

მეძველმანის ფორნიდან — ამ ახალი პერსპექტივიდან — ფრენსისისათვის ნათელი გახდა, რომ ქეთრინი არა მარტო მის ცხოვრებაში იყო იშვიათი ჩიტი, არამედ ყველაზე იშვიათი ჩიტი იყო მათ შორის, ვისაც კი ოდესმე კოლონი-სტრიტზე დაეხუდა. მუშა ირლანდიელების ქუჩას ქეთრინის სახით დახვეწილი, ფაქიზი სული მოევლინა, და ქუჩამაც არ დაახანა მტრული და შური ალსავსე მზერის შეგებება. მაგრამ რამდენიმე წლის მერე, როცა იგი ახალ სახლში ჩასახლდა — შემცირებულ ასლს რომ წარმოადგენდა ელკ-სტრიტზე არსებული დიდი სახლისა, სადაც ქეთრინი დაიბადა, სადაც ტროპიკული ორქიდეასავით იზრდებოდა და ცხოვრობდა მანამ, სანამ ცოლად არ გაჰყვა მწერალ ედუარდ დოგერტის, ვისი საქმიანობა, სიტყვა, ლაპარაკი და ეროვნება წყველად და ანათემად ქცეულიყო ქალის მამისთვის. ქმარმა საზღაურად ქეთრინს ეს სახლი აუშენა, აქ ქალს შეეძლო შემდგომაც ისე ეცხოვრა, როგორც ჭუპრს საკუთარ პარკში — ოღონდ ააშენა ისეთ რაიონში, სადაც თავს არასოდეს იგრძნობდა უცხოდ. მის აშენებას მიახარჯა მთელი კაპიტალი და დასამთავრებლად იძულებული გახდა მეზობლობაში ფრენსისისთანა მუშახელი ექირავებინა. ქალის მომხიბლაობამ, გულუხვობამ, მისმა უბრალოებამ და სხვა ადამიანურმა ღირსებებმა მეზობელთა უმრავლესობის მტრობა მეგობრული ინტერესითა და აღტაცებითაც კი შეცვალა.

ქეთრინის გარეგნობამ პირველი ნახვისთანავე განაცვიფრა ფრენსისი, განაცვიფრა თავზე გვირგვინით შემორკალურმა ქერა თმამ, მუქმა ელვარე თვალებმა, ხორცსავსე ტანმა, დიდებულებამ, დედოფლურმა მიხრა-მოხრამ და უსწორმასწორო კბილებმაც კი, მის სილამაზეს განუმეორებელს რომ ხდიდა. ეს ქალღმერთი შიშველი რომ შევიდა მის ცხოვრებაში და ხელშიაც ჰყავდა აყვანილი, ახლა ფრენსისის წინ იჯდა სავარძელში, გაფართოებული თვალებით მისჩერებოდა და წინ გადახრილი ეკითხებოდა:

- როდისმე ვინმე გყვარებია?
- არა, მ... მე ჯერ ახალგაზრდა ვარ.
- ქეთრინს გაეცინა. ფრენსისი გაწითლდა.
- ქალები თუ გესიზმრება?
- ხანდახან.
- მე დაგსიზმრებივარ?
- ერთხელ.
- სასიამოვნო იყო?
- არა, არც ისე.
- მართლა? როგორ დაგესიზმრე?

— თვალებს ვერ ხუჭავდით, თვალდაუხამხამებლად მიყურებდით და შემეშინდა.

— ეს სიზმარი ჩემთვის გასაგებია. იცი, ერთმა დიდმა პოეტმა რა თქვა? სიყვარული ადამიანში თვალების გზით შედისო... ამიტომ ერთხილად უნდა იყო რომ მეტიმეტად ბევრი რამ არ დაინახო, მადა უნდა შეიზღუდო. ადამიანთა უმრავლესობისათვის სამყარო მეტიმეტად მშვენიერია და მისმა მშვენიერებამ შეიძლება დაგელუპოს. ვისიმე გულის წასვლა თუ გინახავს როდისმე?

- გულის წასვლა? არა.
 - მაშინ მე გაჩვენებ, როგორ მისდით ხოლმე გული, ჩემო კარგო.
- ის ადგა, შუა ოთახამდე მივიდა, ფრენსისს შეხედა, თვალები დახუჭა, ნო-

ხზე დაეცა, სახე კედლისკენ იბრუნა და მარჯვენა ხელი თავზე მოივლო. ფრენისი უსიტყვოდ მისჩერებოდა.

— კარგად გამოგივიდათ, — თქვა ბოლოს.

ქალი არ განძრეულა.

— შეიძლება უკვე ადგეთ.

ქალი არც ახლა შერხეულა.

მაშინ ფრენისმა ხელში აიყვანა და სავარძელში ჩასვა. ქალს უფრო დაეხილა და გასწორდა.

— ეს დედამ მასწავლა, — თქვა ქეთრინმა, — მითხრა, საზოგადოებაში ძნელი სიტუაციისას ამან შეიძლება გიხსნასო. ერთხელ ეს ცოცხალ სურათებშიც გავითამაშე და დიდხანს მიკრავდნენ ტაშს.

— ჰო, კარგად გამოგივიდათ, — უთხრა ფრენისმა.

— მე შეშინდითა კატალეპსიის შეტევაც გავითამაშეო.

— ეგ რაღაა?

— რომელიმე მდვომარეობაში რომ გაირინდები და აღარ გაინძრევი, აი, ასე, — თქვა და თვალებდაუხამხამებლად, გაფართოებული თვალებით გაშეშდა.

იმ დღეს, როდესაც ფრენისმა ქეთრინს ახალი საჩრდილობლები ჩამოუკიდა, ქალმა იგი სადილად მიიწვია. ქმრის შინ არ ყოფნისას, როცა ბიჭიც სკოლაში იყო, ქეთრინი მასთან სალაპარაკოდ ყოველთვის პოულობდა დროს. მან ფრენისს უსიტყვოდ გამოუტანა ასთაკვა gratin^{*}, სატაცური პოლანდიური საწებლით და „ბლან-დე-ბლანი“. აქედან ფრენისს მარტო უსაწებლო სატაცური ეჭამა. შერე ქალი პირდაპირ დაუჯდა და ასევე უსიტყვოდ შეუდგა ჭამას. ფრენისიც ღუმდა.

— გემრიელია, — თქვა ბოლოს ფრენისმა.

— მართლა? ღვინო მოგწონს?

— მაინცდამაინც არა.

— საუკეთესო ღვინოა, მალე შეგიყვარდება.

— ალბათ.

— კიდეც დაგესიზმრე?

— ერთხელ, მაგრამ არ შემეძლია მოყოლა.

— უნდა მომიყვე.

— სულელური სიზმარი იყო.

— სიზმარი ასეთიც უნდა იყოს.

— ჰო, თითქოს პატარა ჩიტე იყავით, თანაც ისეთივე, როგორც ცხოვრებაში. მოვიდა ყვავი და გადაგსანსლათ.

— ყვავი ვინდა იყო?

— ნამდვილი ყვავი იყო, ყვავები ჩიტებს მუდამ ჭამენ ხოლმე.

— გინდა გამიფრთხილდე, ფრენის?

— არ ვიცი.

— დედაშენმა ჩემზე რა იცის? იცის, რომ მეგობრულად ვსაუბრობთ ხოლმე?

— მე დედას არაფერს ვეუბნები.

— კარგია. დედას ჩემზე არასოდეს არაფერი უთხრა. ის დედაა შენი, მე კი

* ორცხობილათი (ფრანგ.).

ქეთრინი ვარ და ქეთრინად დავრჩები მთელი სიცოცხლე, ვერასოდეს ვერსად შეხვდები ჩემნაირს.

— მეც ეგრე მგონია.

ჭამას რომ მორჩნენ, ქეთრინმა ორივე ჭიქა შეავსო და სავარძლის წინ რვაკუთხა პატარა მაგიდაზე დადგა, სადაც ჩვეულებრივ იჯდა ხოლმე ფრენსისი კი თითქმის უკვე თავისად ქცეულ სავარძელში მოთავსდა. ფრენსისმა ჭიქა გამოცალა, ქეთრინმა კვლავ შეუვსო. ისინი საუბრობდნენ სატაცურზე და ასთაკვზე, ქალმა აუხსნა, რას ნიშნავდა gratiné და მენში დაჭერილი ასთაკვისაგან ოღბანიში მომზადებულ კერძს რატომ ერქვა ფრანგული სახელი.

— შესანიშნავი რამეები შემოდის საფრანგეთიდან, — უთხრა ქეთრინმა, ღვინისა და სიამოვნებისაგან ვაბრუებული ფრენსისი კი თავისუფლად გრძნობდა თავს და მთელი ყურადღება ქალისთვის მიეპყრო. — თუ გაგიგონია წმინდა ანტონი ეკვიპტელი? იგი ხორციელმა ვნებამ აცდუნა, გეტყვი ჩემს პოეტზედაც, რომელიც უკვე ოცდაათი წელია გარდაიცვალა, მაგრამ მაინც გამჭოლად მხედავს, მხედავს იმ ქალის დარად, გალიაში რომაა გამომწყვდეული და კბილებით ცოცხალ ბოცვერსა გლეჯს¹. კმარა, ეუბნება მას ყარაული, არ შეიძლება ერთბაშად შეჭამო, რაც მთელი დღე უნდა გეკმარა. ო, პატარა ფრენსის, ჩემო ბოცვერო, შენ ჩემი არ უნდა გეშინოდეს. მე არ დაგგლეჯ ნაკუნ-ნაკუნად, შენ ბევრი ნაზი ღირსებით ხარ აღსავსე, მშვენიერო ფრენსის, ნუ იტყვი ჩემზე ცუდს, ნუ იტყვი ქეთრინი luxuria² ვნებისთვის არის შექმნილი. იცოდე, რომ მე ანტონი ვარ და ეშმაკი შენი სიწმინდით მაცდუნებს — ჩემს სახლში, სამზარეულოში, ეზოში, ჩემს საყვარელ ხეზე — მაცდუნებს შენით, ჩემო სათუთო ფრენსის, ხელში შიშველი რომ ამიყვანე.

— მე არ შემეძლო ქუჩაში შიშველი გამეშვით. დაგაპატიმრებდნენ.

— ვიცი, რომ არ შეგეძლო, ამიტომაც გავიხადე, — თქვა ქეთრინმა, — მე სხვა რამ არ ვიცი, არ ვიცი, როგორი იქნება შედეგი, ძალა მეყოფა თუ არა გავუძლო ცდუნებას, თვითნებურად რომ შემაქვს ჩემს ცხოვრებაში. მხოლოდ ის ვიცი, რომ ჩემი სიყვარული ათასი მხრივ არის მიმართული, ასე კი არ უნდა იყოს, ვინაიდან ეს კახპის ხვედრია. ჩემი პოეტი ამბობს, რომ გალიაში დამწყვდეული ქალი, კბილებით ბოცვერს რომ გლეჯს, ჩვენი სააქაო ცხოვრების ჭეშმარიტი და საშინელი სახეა და არა ქალისა, აუხდენელ იმედებს რომ დასტირისო... მკვდარია იგი, ო, რა მკვდარია, და რა სამწუხაროა ეს ყველაფერი... შენ, რა თქმა უნდა, კარგად გესმის, რომ მკვდარი არა ვარ. მე უბრალო ქალი ვარ, ნებაყოფლობით რომ გახდა მონა შესანიშნავი ადამიანისა და იმ ცხოვრების წესისა, ის საიდუმლოს რომ ეძახის, მე კი — დიდებულ საპყრობილეს. ანტონი განდევნილად ცხოვრობდა და ხშირად მიფიქრია ასეთ ცხოვრებაზე, რათა შევპუებოდი მტერს. მაგრამ ქმარი მალმერთებს, მეც ვალმერთებ, ორივე კი—ჩვენს ერთადერთ შვილს. ჩვენ ვართ ოჯახი კეთილგანწყობის, წარმატების, იარათა ფაქიზად განკურნების. ჩვენ უერთმანეთოდ ვიტანჯებით, გწყურია ერთმანეთთან სიახლოვე, და მაინც შენ აქ ხარ, მე შენზე ვოცნებობ, მწყურია დავტკბე იმით, რისი გამხელაც ვერ გავიბედი. ვოცნებობ იმ სიხარულზე, რისი წარმოსახვა არც კი ძალგიძს. შენ გწამს, რომ ღმერთი არის, ფრენსის? ცხადია, გწამს. მეც მწამს. ისიც მწამს, რომ მას ვუყვარვარ, რომ უყვარს ჩემნაირი ბავშვების მაცდუნებელი. ფიქრობდი კი, ფრენსის, როცა ხიდან ვიხმობდი, რომ შედიოდი ისეთ სამყაროში, სა-

1 შარლ ბოდლერი — ლექსი პროზად, — „ქალი მონსტრი და კაკლუცი“.

2 აქ: ავხორცული.

დაც მე ესახლობ? თვალები რომ დაეხუჭო, მაკოცებ? ან შეტევა თუ დამემართა, გამიხსნი კაბას, უკეთ რომ ვისუნთქო?



ქეთრინი 1912 წლის ხანძრის დროს დაიღუპა, ძმათა სკოლას რომ გაუჩნდა და დოგერტების სახლსაც მისწვდა. ფრენსისი ქალაქში არ იყო, გარდაცემულ თმი წაიკითხა და დაკრძალვაზე ჩამოვიდა, კუბო დაეხურათ და ფრენსისს ქეთრინი აღარ დაუნახავს.

ქეთრინის საფლავს ოლბანის სოფლის სასაფლაოზე რამდენიმე ხნის შემდეგ ისე მოედო ბაბუაწვერები, რომ იგი სასაფლაოს ყვავილთა პარიკმახერებისთვის კურიოზად იქცა. ზუსტად ისევე, როგორც ქეთრინი და ფრენსისი კრეჭდნენ ნეკერჩხალს, ის კი უფრო და უფრო იბუჩქებოდა, ქეთრინის საფლავის გამარგვლაც უფრო აჩქარებდა სარეველას ზრდას, თითქოსდა თითო ამოგლეჯილ ფესვზე ასობით ახალი ფესვი ჩნდებოდა. ისე რომ, ქეთრინის სიკვდილიდან ათი წლის შემდეგ მისი სამარე სასაფლაოს ღირსშესანიშნაობად იქცა ტურისტებისათვის, რომლებსაც აოცებდათ ქალის უკანასკნელი საცხოვრისის გაზაფხულივით გადაყვითლება.

— რა ჰქენი, კარგად დაისვენე? — ჰკითხა როსკამმა.

— აქ დასასვენებლად როდი ვარ, — მიუგო ფრენსისმა, — ყველაფერი წამოილე?

— ყველაფერი, — და როსკამმა ფორანზე ერთი ილღია ძველი ტანსაცმელი დაყარა.

ფრენსისს თვალში მოხვდა კარგად ნახელავი რბილსაყელოიანი სუფთა თეთრი პერანგი.

— ამ პერანგს ვიყიდი, — თქვა და გროვიდან გამოაძრო, — ოცდახუთ ცენტად მომცემ?

როსკამი ფრენსისს ისე დააშტერდა, თითქოს მის წინ ლურჯხოლებიანი ვომბეშო იყო.

— ხელფასიდან დამიქვითე, — უთხრა ფრენსისმა.

— მაწანწალებს სუფთა პერანგი რად უნდათ?

— ჩემი უკვე ყარს.

— უყურე ერთი, რა პეწენიკ და მგრძნობიარე მაწანწალას გადაყვივარ...

ქეთრინმა სასადილო მაგიდაზე რაღაც გახსნა, ფრენსისს ხელი მოჰკიდა, სავარძლიდან წამოაყენა და ლურჯი სამუშაო პერანგი გაუხსნა.

— ძველი პერანგი გაიხადე, — უთხრა და თეთრი კარგად ნახელავი აბრეშუმის პერანგი წინ გაუშალა. ეს ფრენსისისათვის ისეთივე საკვირველი რამ იყო, როგორც ხამანწკები და „შატო პონტე-კანე“, რასაც ახლახან გაუსინჯა გემო.

წელამდე რომ გაშიშვლდა, ქეთრინმა, მისდა გასაკვირად, ჯერ აკოცა, მერე კი თითები ისე დაუსვა ზურგზე, თითქოს მის ბეჭებს იკვლევსო. ფრენსისს

ბროლის ლარნაკივით ეჭირა ქალი — ეშინოდა არა მარტო მისი სისუსტის, არამედ საკუთარისაც. ქალმა რამდენიმე სანტიმეტრი უკან რომ დაიხია, ფრენსისი ფრთხილად შეეხო ქალის სახესა და ყელს, მოეფერა მის მოშიშვლებულ მხრებსა და კისერს, მერე ქვემოთ დაუყვა საყელის ხაზს ბლუზის დილისაკენ. მაშინ, თითქოს მათ თითებს რეპუტიცია ადრევე ჰქონდათ გავლილი, ქეთრინის ხელმაც მკერდზე გადაინაცვლა, ვაჟის სათუთად მოძრავ ხელს შეეხებოდა მხრიდან ჩამოიძრო პერანგის უმაქნისი ბრეტელი. ვაჟის თმზე დასვა კარგად გაიშვორა მარჯვენა მხარზე.

— მოგწონს ჩემი ნაიარევი? — ჰკითხა ქალმა და შეეხო ვარდისფერნაწიბურიან თეთრ ოვალურ ნაჭრილობებს, იქ, სადაც მარცხენა ძუძუს პორცვი იწყებოდა.

— არ ვიცი, არ ვიცი, მოგწონს თუ არა ნაიარევი.

— შენ ერთადერთი მამაკაცი ხარ, გარდა ჩემი ქმრისა და ექიმ ფიცროისა, ვინც ეს ნაიარევი ნახა.

— რატომ ვაქვს ნაიარევი?

— სასტუმრო „დილაევანში“ მომხდარი ხანძრის დროს გავარვარებული რკინის ჯოხი ჩამოვარდა და ზედ დამეცა.

— ჰო, გამიგონია, რომ იქ იყავით. ბედი გქონიათ, ყელზე რომ არ მოგხვდათ.

— ო, მე საერთოდ ბედნიერი ვარ, — თქვა ქეთრინმა, ხელახლა მოეხვია ვაჟს და ერთმანეთს აკოცეს.

ფრენსისმა უბრძანა თავის ხელებს ქალის მკერდისკენ გაცურებულიყვნენ, მაგრამ ისინი არ ემორჩილებოდნენ. მხოლოდ მაშინ, როცა ქალის თითებმა მისი ბეჭებიდან ილღისაკენ გადაინაცვლა, ვაჟის თითებმა გაბედეს ილღისთან მოეკიდა ხელი. როცა ქალმა ისევ უკან დაიხია, რათა ვაჟის ხელები უფრო მოხერხებულად შეხებოდა მის ნაჭრილობებს, ფრენსისმა ნება მისცა თავის თითებს მოესინჯა მკერდს შორის ღარი, სხეულის სითეთრე და მისი მკერდის სისავსე.

ფრენსისმა ახალი პერანგი რომ ჩაიცვა და ძველი ფორნის ბოლოს ისროლა, ქუჩის იქით ქეთრინი დაინახა, პარმადიდან ხელს უქნევდა. ქალმა იგი შეიყვანა საძინებელში, სადაც ადრე არასოდეს ყოფილა. ისინი იდგნენ ერთმანეთის პირისპირ, საქორწინო საწოლით დაშორებულნი, და შეერთებულნი სიყვარულის წლებითა და ოცნებათა საუკუნეებით.

ქეთრინისნაირი ქალები იშვიათია: მან აიძულა ფრენსისს მის თვალწინ ძოვობა პერანგი, მერე კი თან წაეღო და სადმე სახლის გარეთ დაემალა, სანამ არ გამოიგონებდა რაიმე საბაბს, საიდან უნდა ჰქონოდა ჩვიდმეტი წლის მუშა ბიჭს პერანგი, რომელიც შეიძლება სცმოდა ნატიფ პოეტს, თეატრის მსახიობს, ანდა მდიდარზე მდიდარ ხე-ტყის მრეწველს. ფრენსისმაც მოიგონა — თითქოსდა სპორტულ კლუბში პოკერის თამაშისას ერთ მოთამაშეს ფული გაუთავდა და ფრენსისს შესთავაზა, ფსონად ახალ პერანგს ჩამოვალო, ფრენსისმა პერანგი შეათვალა, მოეწონა, ფსონზე დათანხმდა და მოიგო.

დედამ, უეჭველია, არ დაუჯერა ეს ამბავი, მაგრამ არც ქეთრინთან დაუკავშირებია ახალი პერანგის ამბავი. თუმცა შემთხვევას არ გაუშვებდა ქეთრინი არ გაეკიდა, რადგან იცოდა, ფრენსისს სიყვარული თუ არა, მოვალეობის გრძნობა მაინც გაუჩნდებოდა ამ ქალის, ამ მავნე ხის პატრონის მიმართ.

ეგ ქალი თავხედი და ქედმაღალიაო (არ არის მართალი, თქვა ფრენსის-
მა), ბოდოშა და ცუდი დიასახლისიაო (შედი და ნახე, უთხრა ფრენსისმა). თავს
იწონებს, მთელი დღე წიგნით ფანჯარასთან ზისო (ფრენსისმა არ იცოდა, წიგნი
როგორღა გაემართლებინა და გაგულიხებული უსიტყვოდ გავიდა ოთახიდან)

ფანჯარაში, რომელსაც ქეთრინის მშთანთქმელი ცეცხლის ენები ელამუნე-
ბოდა, ფრენსისმა საკუთარი თავი და ქეთრინი დაინახა, რა ხარბად მჩუჭუნენ
ერთმანეთს, რაც არ მომხდარა, რა ნეტარ აღერსში გართულიყვნენ, რა
ლება მომხდარიყო, და შემდეგ სურვილთა შერწყმა, რაც ყოველთვის ხდება და
მოხდება.

ჰყვარებიანთ კი მათ როდესმე ერთმანეთი? არა. მათ ერთმანეთი არასოდეს ჰყვა-
რებიანთ. მათ მუდამ უყვარდათ ერთმანეთი. მათ შეიცნეს სიყვარული, რომელსაც
ქეთრინის პოეტი ყბად აიღებდა და ჩირქს მოსცებდა. მათ ჩირქი მოსცებს თა-
ვიანთ წარმოსახვას სიყვარულის მუტაციით, რომელსაც ქეთრინის პოეტი ხოტბას
შეასხამდა და დიდებით შემოსაედა. სიყვარული ყოველთვის არასრულყოფილია,
ეგი მუდამ სიცრუეა. სიყვარულო, შენ ჩემი სულის სუფთა პერანგი ხარ, არა-
შორსმჭვრეტელო, სულელურო საყვარულო.

— აჩუ, — შეუძახა ცხენს როსკამმა.

მზე ზენიტისკენ მიისწრაფვოდა. ფორანი ბორცვიდან ქვემოთ დაეშვა და
ცხენმა კოლონი-სტრიტიდან ჩრდილოეთისკენ გაუხვია.

(დასასრული შემდეგ ნომერში).



პერსიანი



პიესა

თარგმნა დიდი მთავარი ილია

მოქმედი პირები: ვერა, მიხალი, ბერჯიხი.

ვერასა და მიხალის ბინა. ფართო სასტუმრო ოთახი. იატაკიდან ერთი საფეხურის სიმაღლეზე, ოთახის სიღრმეში, მოჩანს მყუდრო სასაღილო ოთახი, რომელიც ფანჯრით სცენის გარეთ სამზარეულოს უერთდება. მარცხნივ დერეფანში გამავალი კარია, მარჯვნივ დიდი ბუხარი, თანამედროვე ავეჯის დიდი გარნიტურის შუაში ანტიკვარული მაგიდა დგას. ოთახში ნაირ-ნაირი ძველებური, საინტერესო ნივთია. მაგალითად, მოდერნის სტილის ფირნიში, ჩინური ლარნაკი, ბაროკოს ანგელოზის პატარა ფიგურა, ინკრუსტირებული ზარდახშა, ხალხური მოხატულობა მინაზე, რუსული ხატი, ძველებური ავანდასტები, საფქვავეები, ნიშაში ხის გოთური მადონაა, ბუხრის თავზე როკოკოს სტილის მუსიკალური საათი დგას, საათის ზემოთ, კედელზე, თურქული ხანჯალია ჩამოკიდებული. სასაღილო ოთახი სოფლურ ყაიდაზეა მოწყობილი — კედელზე საზიდარას ბორბალი ჰკიდია, იატაკზე ხალიჩაა ფარდავია დაგებული, ფარდავზე რამოდენიმე სპარსული ხალიჩაა... ბუხრის წინ დათვის თავიანი ტყავი აფენია. ოთახის წინა კლანზე, მარცხნივ, მოჩუქურთმებული სადმსარებლო დგას — იგი აშკარად რომელიღაც ეკლესიიდან არის წამოღებული. ინტერიერში არც სტერეოსისტემები გამორჩენიან. სუფრის გასაწყობი ჭურჭლის გორგოლაჭებიან პატარა მაგიდაზე ფერად-ფერადი ბოთლებია ჩამწყობებული. იქვეა სირჩები, ყინული, საკმაზიანი ნიუარებით სავსე საინი.

ფარდის აწევისას კარებში გამოჩნდება ბერჯიხი, ეტყობა, ამწუთის მოსულია, ზურგს უკან ყვავილების თაიგული უჭირავს. ვერა და მიხალი მის შესახვედრად გაემართებიან.

ვერა. როგორ გაგვახარე...

მიხალი. გვეშინოდა, ვაითუ არ შემოიაროსო.

ვერა. ლამის გული გადაგვიღიე ლოდინით.

მიხალი. რას დალევ? დალევ ვისკის?

ბერჯიხი. შეიძლება...

(მიხალი სასმელის მოსამზადებლად გორგოლაჭებიან მაგიდასთან მიდის. ოდნავ დაბნეული ბერჯიხი ყვავილებს აწვდის ვერას.)

ვერა. რა მშვენიერია. (ხიყვარულით შეჰყურებს ყვავილებს). შენ მუდამ ასეთი ყურადღებიანი ხარ (თაიგულს ყნოსავს). თანაც, რა საუცხოო სურნელი აქვს! დიდი მადლობელი ვარ, ბერჯიხ... (ყვავილების ლარნაკში ჩასაწყობად ვერა სცენის სიღრმეში მიდის. ბერჯიხი ოთახს ცნობისმოყვარეობით ათვალიერებს. მცირეოდენი ქაუზა).

ბერჯიხი. ვატყობ, აქ რაღაცები შეგიცვლიათ...

პერა. (სცენის სიღრმიდან) გიყვარდეს, გაშალა ფრთები მიხალმა. ხომ იცი როგორია, რაღაც თუ დაიწყო, ვიდრე ბოლოში არ გაუა, ხელს ვერ გაამ-
ვებინებ..

მისალი. კო, როგორც იქნა, მოვრჩი გუშინწინ. პირველი სტუმარი ^{შეზა}
ხარ. ჩათვალე, რომ დღეს ჩვენ პატარა ვერნისაჟი ვეაქვს... ჩაგივლო ყინული?

ბერჯინი. რა ვიცი, შეიძლება...
(ვერა სცენის სიღრმიდან ბრუნდება. ბერჯინი კვლავ აქეთ-იქით იყურება.)

ბერჯინი. ეს ამდენი რამ სად იშოვე?

მისალი. ზუსტად ასეა, ქალაქის არც ერთი კოლექციონერი და ანტი-
კვარი არ დამიტოვებია. რაღაც კავშირები უკვე მქონდა, ზოგიერთთან ახლა
მოვაგვარე საქმეები. მთავარია, არ მოგებზრდეს და ხელი არ ჩაიქნოს..

პერა. რას იტყვი, მგონი, არც ისე ურიგოდ გამოვიდა?

ბერჯინი. კმ..

პერა. სიმართლე გითხრა, ასე არც ველოდი. მოგეხსენება, ბინას თავი-
სი სახე, თავისი სტილი რომ მისცე, მარტო ძველებური ნივთების ცოდნა სა-
კმარისი არ არის, უნდა იშოვო კიდევაც... გარდა ამისა, გემოვნებაც უნდა
გქონდეს — უნდა იცოდეს, სად ან როგორ დადგა, ახალ ავეჯს რომ შეუხამო...
მიხალი კი ამ საქმის ნამდვილი ოსტატია. შეგიძლია თავად დარწმუნდე —
ხომ ხედავ, ერთი პატარა ხინჯიც კი არაფერში გაჰპარვია..

(მიხალი ფერას და ბერჯინს ჭიქებს აწვდის, შერე ქაჯის ჭიქას ასწევს და
ბერჯინს მიმართავს.)

მისალი. ჩვენს შეხვედრას გაუმარჯოს!

პერა. რომ იცოდეს, როგორ გვენატრებოდი...

მისალი. სიტყვამ მოიტანა და, ამ ბინის გამო ერთ აღიაქოთსა და ხათა-
ბალაში რომ ვიყავი, სულ შენ მახსენდებოდი — რომ ნახვებს, ნეტავი რას
იტყვის-მეთქი...

ბერჯინი. ესე იგი, თქვენ გაგიმარჯოთ.

(ცოტას მოხვამს. მცირეოდენი პაუზა.)

მისალი. ვერა რომ არა, ვერაფერს კავხდებოდი. ყველაფერში მხარს
მიბამდა. მეტსაც ვეტყვი, თვითონაც არანაკლებ ირჯებოდა. მაგალითად, აი ის
თურქული ხანჯალი — რას იტყვი, როგორია? ადგილიც, მე მგონი, შესანიშნა-
ვად შეურჩია.

ბერჯინი. კო, ხედგამოჭრილმა...

მისალი. აი ხედავ! ხანჯალიც თვითონ იშოვა და ამ ადგილზეც თვითონ
ჩამოკიდა. ყველაზე გასაკვირი კი ისაა, წარმოდგენაც არ მქონდა, აგერ, ბუხ-
რის თავზე მეც სწორედ რაღაც ამდაგვარს რომ ვაპირებდი. რას იტყვი, ხომ
მშვენიერია?

ბერჯინი. მშვენიერია...

(თავს ოდნავ უხერხულად გრძნობს.)

პერა. ბერჯინს, რატომ დგახარ, დაჯექი.

ბერჯინი. გმადლობთ...

(სხდებიან. კვლავ პაუზა. ბერჯინი ისევ აქეთ-იქით იყურება. ვერა და მიხალი
თვალყურს სიამოვნებით აღევნებენ. ბერჯინი მხერას საადმსარებლოზე შეა-
ჩერებს.)

ბერჯინი. ეს რაღაა?

მისალი. როგორც ხედავ, საადმსარებლოა.

ბერჯიხი. ეს საიდანღა მოიტანე?

მიხალი. შენ წარმოიდგინე, ბედმა გამიღიმა. ყური მოვკარი, რომელი-ღაც ეკლესიას იღებენო. მაშინვე მანქანაში ჩავჯექი და იმ ადვილისაკენ გავექანე. ა, ბატონო, შედეგი კი აგერაა! სულ რაღაც სამასად შევიძინე დარაჯისაგან.

ბერჯიხი. სამასად?

მიხალი. აბა რა გეგონა. ნამდვილი ბაროკოა, უჩუხუძო ნამდვილი ბაროკო!

ბერჯიხი. მერედა, რად გინდა, რა უნდა უყო?

მიხალი. როგორ თუ რა უნდა ვუყო? შენ რა, არ მოგწონს?

ბერჯიხი. არა, რატომ არ მომწონს...

მიხალი. მართლაც ზღაპრული რამ არის. მე და ვერა ალტაცებულები ვართ. ვერა, ხომ ასეა?

ვერა. ჩემებული ნამუშევარია. ამ ნადავლით მიხალმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

(კვლავ მცირედენი დაბნეულობა.)

ვერა. სასადილოზე რაღას იტყვი?

ბერჯიხი. (შეხედავს) კარგია...

ვერა. ღმერთმანი, ჩინებული იღეაა. ყველაფერი ისე უბრალოდ, სოფლის ყაიდაზეა მოწყობილი...

ბერჯიხი. კმ...

(კვლავ პაუზა.)

მიხალი. გინდა გითხრა, ყველაფერზე მეტად რა მეამაყება?

ბერჯიხი. მითხარი.

მიხალი. აი ის გოთური მადონა! იმდენი ჯექებე... მინდოდა, ზუსტად იმ ნიშაში ჩამჯდარიყო. ჯინაზე, ხან ოდნავ დიდი მხედებოდა, ხან ოდნავ პატარა.

ბერჯიხი. შენც ამდგარიყავი და გაგედიდებინა ეს ნიშა.

მიხალი. არა, ძმაო, სწორედ მაგის გაკეთება არ მინდოდა. მთავარი პროპორციაა-მთელი ეშხი ამაშია...

ვერა. ხედავ, სად მულაუნდება მიხალის ხასიათი! ხომ გეცნობა? ოღონდ ნიშას ხელი არ ახლოს, მზადაა, მთელი დღე თავქუდმოგლეჯილმა ირბინოს.

მიხალი. თქვენ? თქვენ როდისღა მოჰკიდებთ ხელს?

ბერჯიხი. რას?

მიხალი. რას და, ბინას.

ბერჯიხი. რა ვიცო...

მიხალი. მისმინე, დროა საქმეს შეუდგე, როდემდე გინდა იცხოვრო ასე ლტოლვილივით?

ბერჯიხი. ეჰ, რა ვიცი, არ მცალია.

მიხალი. კარგი, დავუშვათ შენ არ გცალია, ევა? ევას რაღა უშლის, დრო არა აქვს თუ რა?

ვერა. ევასთვის მე მგონი, აუცილებელიც კია, ასე უსაქმოდ მაინც არ იქნება.

მიხალი. თუ რამე პრობლემას წააწყდება, ჩვენ დავეხმარებით, უყურადღებოდ არ დავტოვებთ.

ვერა. მიხალი ამ საქმის ცოცხალი ენციკლოპედიაა, იცის, რით დაიწყოს და როგორ აკეთოს.

მიხალი. ყველაფერს დაწვრილებით აეუხსნი — საქმე ვისთან დაიჭიროს და სად რა იშოვოს...

მერა. ბერჯიხ, კაცმა რომ თქვას, რატომ არ უნდა სცადოს?

ბერჯიხი. ევა ასეთ რამეებს მაინცდამაინც...

მერა. ვე ჩვენთვის ცნობილი ამბავია... იქნებ შენ დაგერწმუნებინა...

მიხალი. ეშმაკმა დალაზეროს, ხომ უნდა მოუხერხოს იმ ბინას, რადგან...

მერა. თუ გინდა იცოდე, ჩემი და მიხალის აზრით, ადამიანთა ცხოვრებას, როგორც თვითონ იწყობს ცხოვრებას. როდესაც შენს სახლს, შენს ბინას, როგორც იტყვიან, თავისი სახე და თავისი ლაზათი აქვს, იგი შენს ცხოვრებასაც თავის სახეს, თავის ლაზათს აძლევს, შენ გინდა თუ არ გინდა, ჩნდება სხვა, ახალი რიტმი, ახალი პარამეტრები, სხვა შინაარსი და სხვა წესი. ხომ ასეა, მიხალ?

მიხალი. ასეა, ბერჯიხ, ასეა... აბა რა ცხოვრებაა, როდესაც ვერ ამჩნევ, რას ჭამ და რა ჭურჭლიდან ჭამ, როგორ იშოსები, რით იბან და რით იმშრალე, რაზე წევხარ და სად გძინავს. თუ ეცდები, თვითონვე დარწმუნდები, რომ ერთს მეორე მოჰყვება, მეორეს მესამე და იქმნება მთელი ჯაჭვი... და აი, შენ თურმე უკვე დაადექი იმ გზას, რომელსაც... რას გაძლევს? რას და, იზრდება, იზვეწები, აღიზარ კულტურის ახალ საფეხურზე, საკუთარ თავთანაც და სხვებთანაც პარმონიულ ცხოვრებას იწყებ... ასე არ არის, ვერა?

მერა. რა თქმა უნდა, ბერჯიხ, რა თქმა უნდა! აი შენ და ევასაც რომ გესწავლათ ცხოვრება, მაშინ ალბათ უკეთესად შეეგუებოდით ერთმანეთს.

ბერჯიხი. ისედაც შეგუებულები ვართ.

მერა. ბერჯიხ!

ბერჯიხი. სერიოზულად...

მერა. პო, ვიცი, შენ ამაზე ლაპარაკი არ გიყვარს. მაგრამ დამიჯერე, ბერჯიხ, მე და მიხალი ამ ბოლო დროს სულ შენზე და ევაზე ვფიქრობთ... სინდისს ვეფიცები, ჩვენთვის სულაც არ არის სულერთი, როგორ იცხოვრებთ!

მიხალი. ბერჯიხ, ხომ იცი, მე და ვერას შენ მიმართ სულ სხვა დამოკიდებულება გვაქვს...

მერა. ჩვენთვის შენ ყველაზე მახლობელი ადამიანი ხარ, ხომ იცი, რომ ძალიან გვიყვარხარ, შენ სალბათ წარმოგვინაც არა გაქვს, რა ძალიან გეწაღია, რომ ბოლოსა და ბოლოს დააღწიო თავი...

ბერჯიხი. რას უნდა დაუაღწიო?

მერა. კარგი, კარგი, გვეყოფა ამაზე ლაპარაკი... ავანთო ბუხარი?

ბერჯიხი. თუ ჩემ გამო გინდა, არ ღირს...

მიხალი. მაშინ იქნებ მუსიკისთვის მოგვესმინა?

მერა. იცი რა, ბერჯიხ, შვეიცარიიდან მიხალმა უამრავი ახალი ფირფიტა ჩამოიტანა...

ბერჯიხი. ახლა არა, მერე, კარგი?

(**პაუზა.** გაისმის მუსიკის ხმა — უკრავს ბუხრის თავზე დადგმული საათი. ამ ხმაზე ბერჯიხი შეკრთება. წყდება/საათის მელოდია. იხუჭ პაუზა.);

მერა. აბა ახლა მოგვიყვი, როგორ ხარ, როგორ ცხოვრობ — ყველაფერი ისევ ისე ძველებურადაა?

ბერჯიხი. გამოიცანი — ყველაფერი ძველებურადაა...

მერა. შენ ახლა მართლა ლუდის ქარხანაში მუშაობ?

ბერჯიხი. დიახ...

ჰერა. რა საშინელებაა!

(პაუზა. ვერა მიხალს ქორგოლაჭებისან ჰავიდაზე მოუთითებს).

ჰერა. მიხალ, რა გჭირს?!

მიხალი. ახლავე...

(მიხალს საკმაზიანი ნიჭარებით სავსე ხაინი მოაქვს და ბერჯიხს წინ უდგამს.)

ჰერა. მიირთვი!

ბერჯიხი. რა არის ეს?

მიხალი. შემწვარი გრუმბლია — ვერას საფირმო კერძი.

ბერჯიხი. გრუმბლი?! პირველად შესმის.

ჰერა. ჩვენ კი ამ ბოლო დროს სულ თავზე საყრელად გვაქვს, მიხალმა სავსე ყუთი ჩამოიტანა შევიცარიიდან.

მიხალი. ვერა ამ კერძს დიდებულად ამზადებს.

ჰერა. მთავარია, მომენტი არ გაუშვა — კარგად რომ გაიბერება და პა და პა, საცაა უნდა გასკდეს...

მიხალი. გასინჯე, არ გაინტერესებს, როგორია?

(ბერჯიხი ნიჭარას იღებს, ჭამს, სატენს ყოვლით გულდაგულ ფხეკს ნიჭარიდან. ვერა და მიხალი დაძაბულები შესცქერიან.)

მიხალი. რას იტყვი, მოგწონს?

ბერჯიხი. გემრიელია...

მიხალი. არა, ხომ გემრიელია?

ბერჯიხი. ჩემთვის მოამზადე?

ჰერა. რაც არ უნდა იყოს, დღეს ჩვენ ვერნისაფი გვაქვს!

ბერჯიხი. ოდნავ თითქოს მაყვლის გემო აქვს.

ჰერა. ალბათ ვუღპიკის გამო — რამოდენიმე წვეთი ვუღპიკი დაუმატე გემოსთვის.

ბერჯიხი. რა დაუმატე?

მიხალი. რაღა, ვუღპიკი...

ჰერა. რეცეპტი მე თვითონ მოვიგონე...

ბერჯიხი. პოო?

მიხალი. ნამდვილი მიგნებაა! ასე არ არის? ვერაფერს იტყვი, სამზარეულოში ვერა მართლაც რომ გენიოსია. კვირა არ გაივლის, რაღაც ახალი არ მოიფიქროს. მერუდა, რა ფანტაზია აქვს! რა გვექონდა სადილად გასულ შაბათს? პო, გამახსენდა! ნიგვზით შეზავებული ღვიძლი. იცი, ბერჯიხ, ნამდვილი დელიკატესია, ისეთია, სულ თითებს ჩაიკვნეტ! აი, შენ თუ მოგივიდოდა გრუმბლის ვუღპიკით შეზავება თავში აზრად?

ბერჯიხი. მე?

მიხალი. ასეღაც ვიცოდი.

(საინს გვერდზე გასწევს და ხელსახოცს იღებს.)

ჰერა. პირადად მე მიხალისათვის გემრიელი საჭმლის მომზადებაზე უფრო არაფერი მსიაძაოვნებს. თვითონაც ისეთია იოტისოდენა არაფერი გამოეპარება, ყველაფერს შეგიქებს. როცა რაიმე ისეთ წარმატებას მივალწევ, მაშინ ხომ უბედნიერესი კაცია. სხვამ შეიძლება ღეჭოს, ღეჭოს ავტომატივით და რას ვჭამო, ზედაც არ დახედოს. ასეთი კაცისთვის თავის შეწუხება, ცხადია, არცა ღირს.

ბერჯიხი. გასაგებია...

მიხალი. მოდი ახლა მეორე მხრიდანაც შევხედოთ. როცა კაცს შინ ასეთი დიდებული ვაზში გელოდება, ასეთი პატარა ვასტრონომიული სასწა-

ული, ბუნებრივია, გული შინისკენ გაგიწევს, აქეთ-იქით ხეტიალი თავში აზრადაც არ მოგივა. შენ მეტყვი, წვრილმანიო, ჩემის აზრით კი, ოჯახს სწორედ ასეთი რამეები მატებს სიმაგრეს, და შენც გრძნობ, რომ შენი სახლი შენი ციხე-სიმაგრეა. რას იტყვი, ასე არ არის?

ბერჯიხი. ჰო, ასეა...

(პაუზა.)

მერა. ევა? ევა რაღას შურება? სულ ვერ ისწავლა კერძის შემზადება?

ბერჯიხი. ევამ ეგ ყოველთვის იცოდა...

მერა. ცოდნით კი იცოდა, მაგრამ, როგორ?

ბერჯიხი. რა ვიცი, მე მომწონს.

მერა. აი, რას ნიშნავს მიჩვევა! არ მინდა გაწყენინო, მაგრამ ის შნიცელი, თქვენ რომ საშობაოდ გქონდათ... მგონი, საშობაოდ იყო არა?

ბერჯიხი. დიახ.

მერა. მაპატიე, მაგრამ ის შნიცელი კი არა!.. რომ გახსოვს, მიხალ?

მიხალი. ჰმ, მახსოვს, აბა რა!

ბერჯიხი. ევრა მაშინ რაღაც ვერ იყო კარგად, ნერვები ვერ ჰქონდა წესრიგში.

მერა. ბერჯიხ, მაპატიე, მაგრამ, განა შეიძლება, დიასახლისმა თავს ასეთი რამის უფლება მისცეს? მაინც რას ჭამთ, რა კერძებს აკეთებს?

ბერჯიხი. საღამოობით თითქმის იშვიათად გვაქვს ცხელი კერძი...

მერა. შაბათ საღამოსაც?

ბერჯიხი. შაბათობით ხანდახან ვხარშავთ რაღაცას, ვთქვათ, ხორცს...

მიხალი. მომისმინე, ბერჯიხ, ცხადია, ეს ჩემი საქმე არ არის, მაგრამ ცუდი არ იქნებოდა, ევა სადმე კურსებზე მოგეწყო, სუარებელი თავისუფალი დრო აქვს.

მერა. ევა?! რას ბრძანებთ! ევამ და, რაღაც კურსებზე იაროს?!

მიხალი. არა, ეს ისე, სხვათა შორის ვთქვი.

მერა. რა თქმა უნდა, ცოტაოდენი კერძების მომზადება რომ ესწავლა, რა ჯობდა, მაგრამ მოვისმენს და დაგიჯერებს რაიმეს? ის ხომ სულ ოცნებაშია, სულ სადღაც ზეცაში დაფრინავს!

ბერჯიხი. ევას მომზადებულ საჭმელს მე არ ვწუნობ.

მიხალი. ბერჯიხ!

ბერჯიხი. ჰო, სერიოზულად.

მიხალი. ეჰ, ვიცი, არ გიყვარს შენ ამაზე ლაპარაკი, მაგრამ დამიჯერე, მე და ვერა ამ ბოლო დროს სულ თქვენზე ვფიქრობთ და ვლაპარაკობთ. ვფიცავ, ჩვენთვის სულაც არ არის სულერთი, თქვენ როგორ იცხოვრებთ.

მერა. ჩვენ შენთვის მხოლოდ სიკეთე გვინდა, ბერჯიხ. ხომ იცი, შენზე ახლობელი მეგობარი არაფერს გყვავს, ვერ წარმოიდგენ, როგორ გვიყვარხარ მეცა და მიხალსაც, როგორ სულითა და გულით გვწააღია, თავი დააღწიო ბოლოსა და ბოლოს...

ბერჯიხი. რას უნდა დავაღწიო?

მიხალი. კარგი, კარგი, გაუჩუმდები... ავანთო ბუხარი?

ბერჯიხი. თუ ჩემთვის გინდა, ნუ აწთებ, არ ღირს...

მერა. მაშინ იქნებ მუსიკა მოგვესმინა? ჰო, იცი, მიხალმა შვეიცარიიდან უამრავი ახალი ფირფიტა ჩამოიტანა...

ბერჯიხი. მერე... მერე იყოს, კარგი?

(პაუზა. კვლავ გაისმის ბურჯის თავზე დადგმული მუსიკალური საათის ხმა. ბურჯი შეკრთება. საათის ხმა მიწყდება, კვლავ პაუზა.)

მისაღი. კაცმა რომ თქვას, მაინც რას აკეთებ იმ შენი ლუდის ქარხანაში?

ბერჯისი. ლუდს ვასხამ.

მისაღი. კასრებში?

ბერჯისი. უჰჰუ...

მისაღი. კაი უძირო ორშოა ალბათ, არა?

ბერჯისი. არც მაინცდამაინც ისეთი.

(პაუზა.)

მისაღი. (ვერას). პეტია არ ვაჩვენოთ ბურჯისს?

პერა. ახლა არა, მერე — ჯერ სძინავს.

ბერჯისი. მაინც როგორი ბიჭია?

მისაღი. ფანტასტიური! ფანტასტიური ბიჭუნაა! აგერ ახლა შევიცარია-ში ვიყავი, იქიდან რომ დაუბრუნდი, ვეღარც კი ვიცანი. ათ დღეში ისე გაზრდილა, პირდაპირ წარმოუდგენელია!

პერა. რომ იცოდე, როგორი ცნობისმოყვარეა.

მისაღი. გეფიცები, თქროს თავი აქვს.

პერა. ისეთი მგრძნობიარე ბიჭია.

მისაღი. ისეთი მეხსიერება აქვს.

პერა. ისეთი ლამაზია.

მისაღი. ისე არა, ამ დილასაც ისეთი რამ მკითხა... (ვერას) შენთვის თქმა ვერც კი მოვასწარი. მოდის და მეუბნება — მამა, შეიძლება ბაყაყი წყალში დაიხრჩოსო? რას იტყვი, ხომ მოგწონს? არა, ნამდვილი მზეცია!

პერა. მართლა ასე გკითხა? ბაყაყი წყალში დაიხრჩოსო?!

მისაღი. შენ არა გჯერა, არა? სიტყვა-სიტყვით ასე მითხრა: მამ, შეიძლება ბაყაყი წყალში დაიხრჩოსო?

პერა. აი, სასწაული! ასეთი რამ მე ალბათ თავში აზრადაც არ მომივიდოდა — შეიძლება თუ არა ბაყაყი წყალში დაიხრჩოსო! არა, საოცარია, დიდებულია!

მისაღი. გესმის, ბურჯის, ხანდახან ასე მგონია, ცხოვრების ერთადერთი აზრი შეილია... კაცი უნდა ჩასწვდე დაბადების საიდუმლოს, მის არსს, მიიღო მისი გამოწვევა, ისწავლო მისადმი პატივისცემა. შეილის გაჩენა და გაზრდა ცხოვრების უზარმაზარი სკოლაა. არა, თვითონ თუ არ განიცადე, ამას ვერავეინ ავიხსნის...

პერა. ჰო, ბურჯის, ჰო! ეს არის სრულიად განსაკუთრებული განცდა, აი ისეთი, ყველაფერს რომ დაგავიწყებს. ერთ მშვენიერ დღესაც მოგვევლინება რაღაც პაწაწა, ცოცხალი არსება და იცი, რომ ეს შენია, შენი სისხლი და ხორცია, რომ შენ არა, არც ის იქნებოდა. ის კი აგერ არის და თავისი სამყაროც აქვს. უყურებ, როგორ იზრდება შენ თვალწინ. როგორ ადგამს პირველ ნაბიჯებს, ტიტინს როგორ იწყებს, რაღაცას როგორ ხვდება, როგორ გეკითხება რაღაცას... მითხარი, განა სასწაული არ არის?

ბერჯისი. რა თქმა უნდა...

მისაღი. იცი, ბავშვის დაბადების შემდეგ ადამიანში რაღაც ხდება, როგორღაც უფრო ღრმად, ახლებურად სწვდება ცხოვრებას, უფრო სხვაგვარად უყურებ ადამიანებს. გინდა თუ არ გინდა, ჩნდება სხვა ახალი პარამეტრები, სხვა რიტმი, სხვა შინაარსი, ასე არ არის, ვერა?



მერა. რა თქმა უნდა, ასეა! ყველაფერზე შენა ხარ პასუხისმგებელი — როგორი გაიზრდება, რა გრძნობების პატრონი იქნება, როგორ იცხოვრებს...

მისაალი. და არა მარტო ეს... შენ იგი შენი სურვილით მოიყვანე ამქვეყნად, შენ გაუშვი ამ ცოდვილ მიწაზე, მომავალშიც შენგან ეზიარება ამ ცხოვრების თამაშის წესს. ჰოდა, ნება უნდა იბოძოს და, ყველაფერზე შენ უნდა ავი პასუხი! ყველაფერზე, რაც მის ირგვლივ ხდება, გესმის?

ბერჯინი. კმ...

მისაალი. რას იზამ, ადრე მეც სხვაგვარად ვუყურებდი ცხოვრებას, სხვაგვარად ვუყურებდი ამას, ახლა კი... ბავშვი კაცს ახალსა და ახალ პორიზონტებს უშლის. შესაბამისად იცვლება ფასეულობებიც. უცებ ხვდები, რომ შენთვის თურმე იმაზე მნიშვნელოვანი არაფერია, თუ რას გააკეთებ შეილისათვის, როგორ სახლში აცხოვრებ, რა გზებზე დააყენებ, რით და როგორ უზრუნველყოფ. და ამ შენი უზარმაზარი პასუხისმგებლობის შეგრძნებით შენ თვითონვე გაოცებული ხარ — თურმე აქამდე რა სისულელეებზე არ ფიქრობდი, ის კი არა, ლამის ისტორიულ მნიშვნელობასაც კი აძლევდა...

მერა. არა, მისაალ, ერთხელ კიდევ მითხარი, რათ, როგორ გკითხა? ბაყაყი წყალში დაიხრჩოსო, არა? მიღი ახლა და გაიგე, რა აზრები უტრიალებს იმ პატარა თავში... პირდაპირ დაუჯერებელია!

ბერჯინი. კმ...

(პაუზა.)

მისაალი. ბერჯინ, თქვენ? თქვენ რაღას აპირებთ?

ბერჯინი. როგორ თუ რას ვაპირებთ?

მისაალი. აქამდე რას უყურებთ, ბავშვი რატომ არ გყავთ?

ბერჯინი. რა ვიცი...

მერა. რატომ და, ალბათ ევას არ უნდა და იმიტომ...

ბერჯინი. ევა წინააღმდეგი არ არის.

მერა. ვერაფერი გამიგია, ეტყობა, ეშინია, საქმე და საწვალელებელი მომემატებაო. მართლა რომ უნდოდეს, დიდხანია ეყოლებოდა კიდევაც!

მისაალი. განა უარესი არ არის, ასე რომ წვალობთ? ვისთვის როგორ, მე კი ვგრძნობ, რომ ბავშვი თქვენთვის ნამდვილი ხსნა იქნება. ბევრ რამეს სულ სხვა თვალთ შეხედავდით — უფრო ფხიზლად, უფრო რეალურად, თუ გნებავს, უფრო ბრძნულადაც.

მერა. თქვენც უფრო შეხმატკბილებულები იქნებოდით, ცხოვრების ინტერესი გაგიჩნდებოდათ.

მისაალი. ევასთვის ეს პირდაპირ წამალივით იქნებოდა.

მერა. აი ნახავ ველარც კი იცნობდი!

მისაალი. იქნებ ისევ იგრძნოს თავი ქალად!

მერა. იქნებ ცოტა მაინც მიხედოს სახლს!

მისაალი. ოჯახის სისუფთავეზე იზრუნოს.

მერა. ოჯახის წესრიგზე.

მისაალი. შენზე.

მერა. საკუთარ თავზე.

მისაალი. სერიოზულად გეუბნები, ბერჯინ, ხომ უნდა გადაწყვიტოთ ბოლოს და ბოლოს — ბავშვი თქვენთვის აუცილებელია.

მერა. ვერ წარმოიდგენ, როგორ სულითა და გულით გეწადია!

მისაალი. ჰო, ბერჯინ, ჰო!

ბერჯინი. მჯერა...

(პაუზა.)

მერა. რა თქმა უნდა, არიან ქალები, რომლებსაც სულაც არ აინტერესებთ შვილის ყოლა. რომც ჰყავდეთ, სულაც არაფრად დაგიდევენ, ასეთ დროს სხვა რაღა დაგრჩენია, თუ შეგეცოდება ის პატარა...

მიხალი. ეინც ამბობს, ბავშვი პანაცეაა, მშობლების მაგივრად/ის გადაჭრის პრობლემებსო, არ არის სწორი, ამისათვის წინაპირობებია საქმრო.

მერა. რა თქმა უნდა, აი, მაგალითად, მიხალი იდეალური მამაკაცის როგორმე სახლში ზედმეტი კაპიკი რომ შემოიტანოს, სამსახურში მთელ დღეს ისე თავაუღებლად მუშაობს, ზოგჯერ მეცოდება კიდევაც. მთელ თავისუფალ დროს ჩვენთან ატარებს, სახლში ამ ბინის მოწყობაზეც, არ იტყვი, რა ორომტრიალში იყო? ხომ არ გგონია, საღამოს მაინც დაჯდეს ან წამოწვეს, მაშინაც სულ ციბრუტივით ტრიალებს. და ამ ყველაფერს აი ამ ბავშვის გამო აკეთებს — კულტურულ გარემოში გაიზარდოს, ლამაზი ნივთების დაფასება ისწავლოსო. ხომ ასეთი მოუცლელია, დროს მაინც პოულობს ბავშვის მისახედად და ბავშვთან სათამაშოდ.

მიხალი. ვერა! ვერას არ იტყვი, როგორი მარჯვე და ყოჩაღია? ეს მაღაზიებში სირბილიო, ეს ბავშვიო, ეს სამზარეულოო, ეს სარეცხიო, ეს სახლის დალაგებაო... თან სულ გამოწყობილია, სულ ფორმაშია... არა, ძმაო, რაც დრო გადის, სულ უფრო აღტაცებული ვარ ჩემი ცოლით!

მერა. რაც მთავარია, შეხმატკბილებული ცოლქმრობა გვაქვს.

მიხალი. რაც მართალი მართალია, ერთმანეთის უსიტყვოდაც გვესმის. მთელი ეს ხანი ერთხელაც არ მახსოვს, რამეზე სერიოზულად წავკამათებულიყავით.

მერა. მე მიხალის საქმეები მაინტერესებს, მიხალს ჩემი... მიუხედავად ამისა, სულაც არ ვზღუდავთ ერთმანეთს.

მიხალი. მართალია, ერთმანეთის მიმართ ძალიან ყურადღებიანები ვართ და ძალიან გვიყვარს ერთმანეთი, მაგრამ ის რომ ტკიპებივით მივეკრათ და გვერდზე გახედვის საშუალება არ მივცეთ — არა...

მერა. სალაპარაკოსა და სასაუბროს ხომ რა გამოგვიღვეს... სხვათა შორის, იუმორის გრძნობაც კი ერთნაირი გვაქვს.

მიხალი. ბედნიერებაც ერთნაირად გვესმის.

მერა. ერთნაირი რამ მოგვწონს და ერთნაირი რამ გვიტაცებს.

მიხალი. გემოვნებაც ერთნაირი გვაქვს.

მერა. ოჯახსა და ოჯახურ პრობლემებსაც ერთნაირად ვუყურებთ.

მიხალი. რაც მთავარია, ჩვენ შორის სრული ფიზიკური ჰარმონია სუფევს.

მერა. დიახ, დიახ, ეს მეტად მნიშვნელოვანი მომენტია!.. მიხალი ამ მხრივ შეუდარებელი მამაკაცია, საამისოდ ყველაფერი გააჩნია — ჯანმრთელი ეგოიზმიც, გულისხმიერებაც, თვითგვემაც... იცით, თან ისეთი ცოფიანია, თან ისეთი ნაზია, ისეთი უშუალოა სიყვარულში, ისეთი ვერგილიანია, ისეთ რამეს მოიგონებს...

მიხალი. არა, ბერჯიხ, ეგ მაგის დამსახურება უფროა, ისეთი მაცდური და მომხიბვლელია...

მერა. ვერ წარმოიდგენ, ბერჯიხ, რა ხშირად ვაკეთებთ ამას. იცი, რატომ? ყოველთვის ისე ვახერხებთ, თითქოს პირველად ვიყოთ ერთად, თან სულ სხვაგვარად, ყოველთვის სხვადასხვანაირად. და ყოველი ეს შეხვედრა თვითუღი ჩვენთაგანისათვის როგორღაც დაუვიწყარი და განუმეორებელია:

ამ დროს ორივენი მთელი არსებით, მთელი გატაცებით ვეძლევიტ ერთმანეთს და ამას არაფერი აქვს საერთო მოსაწყენ ჩვევასთან, სტერეოტიპთან.

მიხალი. ვერას აზრით, კარგი ცოლი მხოლოდ კარგი დიასახლისი და კარგი დედა კი არა, უპირველეს ყოვლისა, კარგი საყვარელი უნდა იყოს. ვერას ეს სისხლსა და ხორცში აქვს გამჯდარი. აი, რატომ უვლის თავის თავს, როგორც ამას წესი და რიგი და, რაც მთავარია, სექსი მოითხოვს, თან რა ვიღარე-ბაშიაც არ უნდა იყოს, რა საქმეც არ უნდა ჰქონდეს და რითაც უნდა უნდა დაკავებული...

ჰერა. აი, გუშინწინ ხომ გახსოვს, მიხალ? იატაკს ვრეცხავდი და ვხედავ, არ მომადგა აღრიანად...

მიხალი. უპ, ეგ კი მართლა...

ჰერა. რა გგონია, რატომ არ დარბის მიხალი სხვა ქალებთან? იმიტომ, რომ მშვენივრად იცის, შინ ვინ ელოდება — ვიღაც უმაქნისი გომბიო კი არა, ნამდვილი ქალი, რომელსაც შეუძლია მიიღოს კიდევაც და გასცეს კიდევაც.

მიხალი. მართალია, ვერა მუდამ მომხიბვლელი იყო, მაგრამ პეტეის და-ბადების შემდეგ კიდევ უფრო აყვავდა და გაიფურჩქნა. აბა შეხედე — ისე აივ-სო, თითქოს გადმოღენაზეო.

(მიხალი ვერას მკერდზე კაბის საკინძეს უხსნის.)

მიხალი. რას იტყვი?

ბერჯინი. გადასარევია...

მიხალი. თუ იცი, რეებს უკეთებ?

ბერჯინი. რეებს უკეთებ?

მიხალი. აი, უყურე — ჯერ ყურში ვკოცნი, — მერე ყელზე, — მერე ყურ-ში, — მერე ისევ ყელზე. — ვერა გიძდება, — მეც ვგიძლები...

(მიხალი ვერას ჰკოცნის. ვერა აღელვებულია.)

ჰერა. კარგი ახლა, ძვირფასო, გაჩერდი, თავი შეიკავე.

(მიხალი ჩერდება.)

მიხალი. კარგი, რახან ასეა, ჯერ ცოტა ვილაყბოთ, მერე უფრო მეტს ვაჩვენებ.

ბერჯინი. კი მაგრამ, ჩემს სულაც არ გერიდებათ?

ჰერა. სულელსო, შენ ხომ ჩვენი საუკეთესო მეგობარი ხარ!

მიხალი. სიამოვნებით გაყურებიან, რა შეიძლება კაცმა მოიგონოს.

(პაუზა.)

ჰერა. თქვენ? თქვენი საქმე როგორღაა?

ბერჯინი. როგორ თუ როგორღაა?

ჰერა. წევხართ კიდევ ერთად.

ბერჯინი. ისე, ხანდახან...

ჰერა. ალბათ, ძალიან იშვიათად?

ბერჯინი. რა ვიცი, როგორ უთხრა...

ჰერა. მაინც, მაინც?

ბერჯინი. ჩვეულებრივ...

ჰერა. ალბათ, ჰა და ჰა, დიდი გაჭირვებით, ოღონდ კი როგორმე ბოლომდე ჩაათავოთ.

ბერჯინი. რაც შეგვიძლია და როგორც შეგვიძლია.

ჰერა. არა, ევასი მე ვერაფერი გამიგია! ამ საქმეში მაინც შეეცადოს რა-ღაცას.

მიხალი. იქნებ შენ შეაჯანჯღარო, ცოტა აზრზე მოიყვანო, ჰა, ბერჯინ?

ბერჯინი. ამას ჩვენთვის მაინცდამაინც დიდ მნიშვნელობა არა აქვს.

მერა. ცდები, ძმაო, ცდები. არა, ამაზე კარგი და მნიშვნელოვანი სხვა რა უნდა იყოს? ამაზე უკეთესი კაცს სხვა რა უნდა გინდოდეს? გაიგე, ბერჯინ, ეს არც თუ ისე ძნელი საქმეა, სამაგიეროდ უფრო დაგაახლოვებდათ, ურთიერთობას მოგიწესრიგებდათ.

მისალი. განსაკუთრებით ვერას ისე შეცვლიდა, ისე უნდა შეცვლიდა, ვეღარც კი იცნობდი!

მერა. გამოხალისდებოდა, თუეს ქალად იგრძნობდა.

მისალი. თჯახსა და სახლკარზე გული დაედებოდა.

მერა. შენც უკეთესად მოგხედავდა.

მისალი. თავის თავსაც.

მერა. შენზე ხომ ლპარაკიც ზედმეტია. ძველებურად იმ შენ ძმაკაცებთან ერთად დუქან-დუქან აღარ ირბენდი.

მისალი. მიმტან ქალებს არ დაუწყებდი დევნას.

მერა. ისე არ ილოთებდი.

ბერჯინი. როდის იყო ქალებს დავდევი?

მერა. ბერჯინ!

ბერჯინი. სერიოზულად...

მერა. ვიცი, არ გიყვარს ამაზე საუბარი, მაგრამ, დამიჯერე, ბერჯინ, ამ ბოლო დროს მე და მიხალი სულ შენზე და ევაზე ვფიქრობთ. გეფიცები, ჩვენთვის სულაც არ არის სულერთი, თქვენ როგორ იცხოვრებთ!

მისალი. შენთვის მხოლოდ სიკეთე გვინდა...

მერა. შენ ხომ ჩვენი საუკეთესო მეგობარი ხარ, ვერ წარმოიდგენ, როგორ გვიყვარხარ, როგორ გვინდა, ბოლოსა და ბოლოს, თავი დააღწიო როგორმე...

ბერჯინი. რას უნდა დაუღწიო?

მერა. კარგი, კარგი, არ გვინდა ახლა ამაზე ლპარაკი. ავანთო ბუხჩრი?

ბერჯინი. თუ ჩემს გამო უნდა ავანთო, არ ღირს...

მისალი. მაშინ იქნებ მუსიკისათვის მოგვესმინა?

მერა. კო, მართლა, მიხალმა შეეცადარიდან უამრავი ახალი ფირფიტა ჩამოიტანა...

ბერჯინი. ახლა არა, მერე, კარგი?

(პაუზა. ისევ უკრავს საათი ჩუხრის თავზე. /საათის ხმა მიწყდება. კვლავ პაუზა.)

მისალი. აი ეს კი მართლაც კარგი რამ არის! აი, ამას ჰქვია ნივთი!

ბერჯინი. რა ნივთი?

მისალი. რაღა, აი ეს მადონა.

ბერჯინი. კმ...

მისალი. შენ თუ გრძნობ დრამატულ დამაბულობას ამ ნივთსა და აი ამ ხანჯალს შორის?

ბერჯინი. კმ...

(პაუზა.)

მერა. თქვენ აღბათ ვუღპიკს სულაც ვერ ყიდულობთ?

ბერჯინი. ვერა.

მერა. ვინდა, თქვენც ჩამოგიტანოთ მიხალმა შეეცადარიდან?

ბერჯინი. კო?

მისალი. სიამოვნებით, მაგაზე აღვილი რა არის!

(პაუზა.)

პერა. კიდე, კიდე გადაიღე!

ბერჯინი. გმადლობთ, საკმარისია...

(პაუზა.)

მისალი. კი მაგრამ, ევას გარეშე რატომ მოხვედი?

ბერჯინი. რელაც ვერ იყო კარგად.

მისალი. ცხადია, რა ჩემი საქმეა, მაგრამ ცუდი არ იქნება ჩანდახან ხალხშიც თუ გაიყვან. ეს მაინც იქნება მიზეზი, ცოტა რიგიანად დაივარცხნოს, თვალები დაიხატოს, ფერ-უმარილი წაიხვას და სახე გაიღამა-ზოს...

ბერჯინი. თმას ყოველთვის ივარცხნის.

პერა. ბერჯინ!

ბერჯინი. პო, სერიოზულად.

მისალი. კარგი, კარგი, ვიცი არ გიყვარს ამაზე ლაპარაკი, მაგრამ ამას შენი გულისთვის გეუბნებით...

პერა. ხომ იცი, ძალიან გიყვარხარ!

მისალი. შენ, ძმაო, ჩვენი საუკეთესო მეგობარი ხარ!

ბერჯინი. ვიცი...

(საათი ისევ უკრავს.)

მისალი. შეეცარიიდან ჩემი ღია ბარათი თუ მიიღე?

ბერჯინი. აჰ, ის ბარათი შენი გამოგზავნილი იყო?

მისალი. კი მაგრამ, ვერ მიხვდი?

ბერჯინი. ისე, შეიძლებოდა მივმხუდარიყავი კიდევაც, მაგრამ...

(პაუზა.)

პერა. როგორ თქვა პეტეიმ? ბაყაყი წყალში დაიხრჩობა თუ არაო, არა?

მისალი. ხომ წარმოგიდგენია!

პერა. საოცარია, პირდაპირ საოცარია!

(პაუზა.)

მისალი. (ბერჯინ) გადაიღე.

ბერჯინი. საკმარისია, გმადლობთ...

(პაუზა.)

პერა. შენ თუ იცი, კიდევად დაეღივართ?

ბერჯინი. სად?

პერა. სად და, საუნაში.

ბერჯინი. პოო?

პერა. თითქმის ყოველკვირა მივდივართ. ვერ წარმოიდგენ, რა კარგია! იცი რა, ნერვებისთვის პირდაპირ...

მისალი. არ გინდა, ჩვენთან ერთად წამოხვიდე?

ბერჯინი. არაა!

პერა. ვითომ, რატომ არა?

ბერჯინი. არ მცალია...

მისალი. მაპატიე, მაგრამ, სულ ტყუილა... ცოტა გამაგრდებოდი ფიზიკურად და სულიერად, ცოტა წესრიგში მოიყვანდი შენს ნერვებს. დრო მაინც-დამაინც ბევრი არ დაგეხარჯებოდა. არ მესმის, განა არ გიორჩევნია იმ შენს ვაიმშაკაცებთან ერთად დუქნების თვლას?

ბერჯინი. ვისზე მეუბნები?

მისალი. ვისზე და, იმ შენს-ვაიმშაკაცებზე, ლანდოვსკია თუ ვინცაა!

ბერჯინი. ჩემთვის ისინი სულაც არ არიან ვაიმშაკაცები.

მერა. ბერჯიხ!

ბერჯიხი. სერიოზულად...

მერა. კარგი, კარგი, ვიცი არ ვიყვარხ ამაზე ლაპარაკი, მაგრამ ჩვენ ხომ ამას შენ სასიკეთოდ გეუბნებით.

მისალი. ხომ იცი, ძალიან გვიყვარხარ.

მერა. ჩვენ ხომ შენ საუკეთესო მეგობრად გთვლით!

ბერჯიხი. ვიცი...



(პაუზა. საათი ჩსევ ჭკრავს.)

მისალი. იცი, ვერამ რა შითხრა?

ბერჯიხი. რა?

მისალი. რაღა, მომავალ წელს კიდევ ერთ ბავშვს გაჩუქებო.

ბერჯიხი. მომილოცავს.

მერა. მე მგონი, მიხალი ამას იმსახურებს..

(პაუზა.)

მერა. ის თუ იცი, რა ჩამომიტანა შვეიცარიიდან?

ბერჯიხი. რა ჩამოვიტანა?

მერა. ნუშის ელექტრო საჩურჩი...

მისალი. ახლავე გაჩვენებ — პირდაპირ სასწაული რამაა!

მერა. თან პრაქტიკულიც...

მისალი. ვერა ძალიან ბევრ ნუშს ხმარობს — ხომ წარმოგიდგენია, რამდენ დროს დაზოგავს!

ბერჯიხი. წარმოგიდგენია...

(პაუზა.)

მერა. გადაიღე...

ბერჯიხი. გმადლობთ, საკმარისია.

(პაუზა.)

მისალი. მომისმინე, ბერჯიხ!

ბერჯიხი. კმ..

მისალი. თუ წერ კიდევ საერთოდ?

ბერჯიხი. ისე, ცოტას...

მისალი. ასედაც ვიცოდით.

ბერჯიხი. სამსახური დავიწყე, არც დრო მყოფნის და ვერც გულს ვუღებ...

მისალი. მანამდე? რამდენადაც ვიცი, არც მანამდე წერდი ბევრს?

ბერჯიხი. კო, არც ისე ბევრს ვწერდი.

მერა. მომისმინე, იქნებ იმიტომ მოუწყვე ქარხანაში, თავი გინდა იმართლო, აქაოდა, ამის გამო ვეღარ ვწერო?

ბერჯიხი. არაა!

მისალი. მაშ რატომ წერ ასე ცოტას? იქნებ თავს ვერ აბამ, იქნებ კრიზისი გაქვს?

ბერჯიხი. რა ვიცი, ვერ გეტყვი... ეს უდროობა, ეს უიმედობა, მოკლედ...

მისალი. მაპატიე, ბერჯიხ, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება მაქვს, უდროობასაცა და ლუდის ქარხანასაც, უბრალოდ, იმიზეზებ, ნამდვილი მიზეზი კი პირადად შენშია, ყველაფერზე ხელი გაქვს ჩაქნეული, თითის განძრევაც კი გეზარება. ნაცვლად იმისა, რომ იბრძოლო და ყოველგვარი სიძნელე გადალახო.

ვერა. მიხალი მართალია. ბერჯიხ, ბოლოსა და ბოლოს, დროა ხელში აიყვანო თავი.

ბერჯიხი. გავარკვიო ჩემი დამოკიდებულება ოჯახთან და ევასთან, არა?

ვერა. მოიწესრიგო ოჯახური ცხოვრება.

მიხალი. ბინას მიხედო, ცოტა მაინც დაამსგავსო რაღაცას.

ვერა. დრო ასე არ გაფლანგო.

მიხალი. არ იქეიფო ამდენი.

ვერა. ხანდახან საუნამიც იარო.

მიხალი. მოკლედ, იცხოვრო ჯანსაღი, წესიერი, გონივრული ცხოვრებით.

ბერჯიხი. მაინც რას ვაკეთებ ასეთ არაგონივრულს?

მიხალი. ბერჯიხ!

ბერჯიხი. სერიოზულად...

მიხალი. ვიცი, არ გიყვარს ამაზე ლაპარაკი, მაგრამ, ჩვენ ხომ ამას შენთვის ვლაპარაკობთ...

ვერა. ხომ იცი, როგორ გვიყვარხარ!

მიხალი. შენ ჩვენი საუკეთესო მეგობარი ხარ!

ვერა. რომ იცოდე, როგორ გვინდა, თავი დააღწიო ბოლოსა და ბოლოს როგორმე...

მიხალი. ავანთო ბუხარი?

ბერჯიხი. თუ ჩემ გამო გინდა, არ ავანთო.

ვერა. მაშინ იქნებ მუსიკისთვის მოგვესმინა? კო, მართლა, მიხალმა შევიცარიიდან უამრავი ახალი ფირფიტა ჩამოიტანა...

ბერჯიხი. მუსიკისათვის? არა, ახლა არა.

(პაუზა. საათი ისევ უკრავს.)

მიხალი. მომისმინე, ბერჯიხ!

ბერჯიხი. კმ...

მიხალი. მითხარი — თღონდ სერიოზულად, მართალია, რასაც იმ ლუდის ქარხანაზე ამბობენ?

ბერჯიხი. რას ამბობენ?

მიხალი. თღონდ, არ გაბრაზდე. ჩვენთვის, უბრალოდ, გაუგებარია — მაინც, რა აზრი აქვს ამას?

ვერა. რატომ უნდა დაღუპო საკუთარი თავი, რატომ უნდა დაეშვა რაღაც ლუდის ქარხნამდე, რატომ უნდა ძარცვო საკუთარი ჯანმრთელობა?

მიხალი. მაინც რა გინდა მაგით დაამტკიცო? ასეთი რამეები, ჩემო ძმაო, დიდობანია აღარავის უკვირს.

ბერჯიხი. რა მექნა, სხვა გამოსავალი არა მქონდა.

მიხალი. ბერჯიხ, აბა, რას ლაპარაკობ! გგონია, მართლა დამაჯერებ, რომ ამ შენი თავის პატრონს რაიმე უკეთესის მოფიქრება არ შეგეძლო? მთავარია, თვითონ მოგესურვებია. დარწმუნებული ვარ, ცოტა სადავე რომ მოგეწია, სადაც საჭირო იყო, თავისთვის ძალა დავეტანებინა, კარგა ხანია უკვე სადმე რედაქციაში იჯდებოდი.

ვერა. ჭკუა შენ არ გაკლია, შრომისმოყვარეობა და ნიჭი — მერედა, როგორ წერდი! ახლა კი ცხოვრებას გაურბიხარ და ბუჩქებში იმალები.

მიხალი. ცხოვრება მკაცრი და გაუტანელია, ქვეყანა შუაზე გაიხლიჩა, ჩვენ უკვე დიდობანია ჩამოგვეწერეს, აღარავის ეჭირდებით. ყველაფერი აირ-

დაირია, მერე და მერე კიდევ უფრო უარესი იქნება — სულ ველარაფერს დაწერ. აბა რა აზრი აქვს, თავი კედელს ურტყა და ხიმტზე წამოეგო?

მერაბ. აზრზე არა ვარ, რა გადაეკიდე ამ კომუნისტებს?

ბერჯიხი. რა კომუნისტებს?

მისაალი. აი ის კოგოუტია და კიდევ ვინ იცო ვინ არა? თუ ღმერთი გწამს, გამაგებინე, რა გაქვს იმითთან საურთო? ნუ ხარ უსუსო-ხანტი და დაუდევარი, მიაფურთხე იმით ყველას და შენ შენი გზით წაგვიშლი...

მისაალი. ვიცი, იმ ბიწიერი წრიდან გამოსვლა ადვილი არ არის, მაგრამ რადაც არ უნდა დაგიჯდეს, უნდა გამოხვიდე. ეს შენი ერთადერთი შანსი და გამოსავალია, ამაში შენ ვერაგინ დაგეხმარება, შენს თავს შენვე უნდა უშველო — არც ისეთი სუსტი და უნებისყოფი ხარ, მოერევი!

მერაბ. აბა, შემოგვხედე, იცხოვრებდი შენც ასე ბედშიერად!

მისაალი. მოწყობილ ბინაში.

მერაბ. ღამაზ ნიეთებს შორის, შენს ნებაზე.

მისაალი. შენს ჭკვიან, ელეგანტურ ცოლთან ერთად.

მერაბ. მერე ერთი კარგი ბიჭუნაც გეყოლებოდათ.

მისაალი. გექნებოდა კარგი სამსახური.

მერაბ. კარგი ხელფასი.

მისაალი. სადაც მოისურვებდი, იქ ივლიდი, გინდა შვეიცარიაში და გინდა...

მერაბ. არც საჭმელ-სასმელი მოგაკლდებოდათ და...

მისაალი. არც ჩასაცმელი.

მერაბ. საუნაში ივლიდით.

მისაალი. ხანდახან მეგობრებსაც მოიწვევდით.

მერაბ. ბინას აჩვენებდით.

მისაალი. ბავშვს გააცნობდით.

მერაბ. მუსიკას მოუსმენდით.

მისაალი. გრუმლში სატენს ჩატენადით.

მერაბ. ადამიანურად იცხოვრებდით.

(ბერჯიხი ჩუმად წამოდგება, კარისაკენ უკან-უკან გაუბედავად მიდის. მერაბ და მისაალი გაოგნებულები წამოხტებიან.)

მისაალი. ბერჯიხ!

ბერჯიხი. კვ...

მისაალი. რა იყო, რა დაგეძარტა?

ბერჯიხი. რა უნდა დამმართოდა?

მერაბ. სად მიდიხარ?

ბერჯიხი. უკვე წასვლის დროა.

მერაბ. კი მაგრამ, სად მიდიხარ?

ბერჯიხი. სახლში...

მერაბ. სახლში? რატომ?

ბერჯიხი. გვიანაა, ხვალ ადრე უნდა ავღგე.

მისაალი. არა, ეს შეუძლებელია!

ბერჯიხი. უნდა წავიდე...

მერაბ. მე შენი ვერაფერი გამიგია, ჩვენ ხომ ვერცისაფი გვაქვს?

მისაალი. გვინდოდა, ოთახებიც გვეჩვენებინა...

მერაბ. ავეჯიც.

მისაალი. ერთი ბოთლი მაინც დაგეცალა!

ვერა. გრუმბლი მაინც გეჭამა.

მიხალი. პეტრასთვის შეგეხედა.

ვერა. მიხალი შვეიცარიის ამბებს მოყვებოდა.

მიხალი. ვერა ბუხარს აანთებდა.

ვერა. ფირფიტებს მოვისმენდით.

მიხალი. გვეგონა დარჩებოდი ამაღამ.

ვერა. ნახავდი, როგორ მოვესიყვარულებოდი ერთმანეთს.

მიხალი. ცოტაოდენ ოჯახურ სიტბოს იგრძნობდი, შენს სახლში ხომ...

ვერა. რაღაცას ვიტყვოდით, რაღაც ახალი აზრები მოგვივიდოდა.

მიხალი. იქნებ ამოგვეთრიე იმ ჭაობიდან.

ვერა. ცოტა ფეხზე დაგვეყენებინე.

მიხალი. წაგვეხალისებინე, მდგომარეობიდან გამოგვეყვანე.

ვერა. გვენახვებინა, რა არის ბედნიერება.

მიხალი. სიყვარული.

ვერა. ოჯახური სიმშვიდე.

მიხალი. ჯანსაღი ყოფა.

ვერა. და ეს ყველაფერი შენთვის, შენ სასიკეთოდ გეჩნდა.

მიხალი. ჩვენ ხომ ისე გვიყვარხარ.

ვერა. შენ ხომ ჩვენი საუკეთესო მეგობარი ხარ.

მიხალი. შეიძლება, კაცი ასეთი უმაღური იყოს?

ვერა. განა რით დავიმსახურეთ, ლამის რაღას არ ვაკეთებთ შენი გულისათვის.

მიხალი. ნეტავი ვისთვის აცხო ვერამ მთელი დღე ეს გრუმბლი?

ვერა. ვისთვის იყიდა მიხალმა ეს ვისკი?

მიხალი. ვისთვის ვინახავდი ამ ფირფიტებს? ვისთვის გამოვატარე მთელი ვეროპა, ვისთვის დავხარჯე ამდენი ვალუტა?

ვერა. ჩავიცვი, გამოვეწყე, თვალები დავიხატე...

მიხალი. რა გგონია, ვისთვის აულოკეთ ასე ეს ბინა? რისთვის დავდექით ასე თაფდაყირა? რისთვის ვირბინეთ, დავიქანცეთ? ხომ არ გგონია, ჩვენი გულისათვის?

(ბერჯიხი უკვე კარებში დგას.)

ვერა. ბერჯიხ! ასე ხომ არ დაგვტოვებ! არა, შენ ამას არ იზამ! ასე არ მოგვატოვებ! რომ იცოდე, რამდენი რამ გვინდოდა კიდევ გვეთქვა! დაბრუნდი. ბერჯიხ, გეხვეწები, ნუ წახვალ!

მიხალი. შენ ხომ ნუშის საჩურჩისათვის არც კი შეგიხედავს!

ბერჯიხი. ნახვამდის. მაღლობელი ვარ გრუმბლისათვის...



ეროვნული
ბიბლიოთეკა



დალი ფანჯიკია



ქართული მხატვრული თარგმანი

(XIX-XX სს)

XIX-XX საუკუნის ქართული თარგმნილი ლიტერატურა ხასიათდება ერთი საერთო ნიშნით — ესაა მკაფიოდ გამოკვეთილი ევროპული ორიენტაცია, რომელსაც ნიადაგი შეუმზადა, ერთი მხრივ, მნიშვნელოვანმა პოლიტიკურმა მოვლენამ — საქართველოს შეერთებამ რუსეთთან და, მეორე მხრივ, ქართველი ერის შინაგანმა, ისტორიულად განპირობებულმა მზაობამ, რომ იგი უფრო დასავლეთს ეკუთვნოდა, ვიდრე აღმოსავლეთს თავისი სულიერი წყობით, რწმენით, კულტურული ფესვებითა და განვითარების ტენდენციებით.

ხსენებული ორიენტაციის პირველი პრაქტიკული გამოვლენა ვოლტერიანობას და განმანათლებლობას უკავშირდება. XVIII საუკუნის ფრანგი განმანათლებლის ვოლტერის რაციონალისტური ფილოსოფიითა და „განათლებული აბსოლუტიზმით“ გაყვნილი ნაწარმოებების მთარგმნელები იყვნენ ალექსანდრე ამილახვარი, დავით ბატონიშვილი, დავით ციციშვილი, ალექსანდრე ჭავჭავაძე და იასე გარსევანიშვილი. დავით ბატონიშვილმა 1814 წელს რუსულიდან თარგმნა მონტესკიეს წიგნი „გულის ხმის ყოფისათვის სჯულთასა, ქმნილი უფლისა მონტესკუსაგან“, 1849 წელს დავით ციციშვილმა ასევე რუსულიდან თარგმნა ფრანგი განმანათლებლის ჟან-ჟაკ რუსოს ცნობილი ტრაქტატი „ხელი შეუწყო თუ არა მეცნიერებისა და ხელოვნების აღორძინებამ ზნეობის განწმენდას?“, რაც მოწმობს რუსეთში გადახვეწილი ქართვე-

ლი მოაზროვნეების ინტერესს განმანათლებლური იდეებისადმი.

ქართული თარგმანის ისტორიის ამ ეტაპის თვალსაჩინო ფიგურაა ალექსანდრე ჭავჭავაძე, რომელმაც ჩინებული განათლების წყალობით საკმაოდ ბევრი თარგმანი შემატა ქართულ ლიტერატურას: პუშკინის ლექსები, ეზოპესა და ლაფონტენის იგავ-არაკები, რასინის მონოლოგები, კორნელის ტრაგედია „სინა“, ვოლტერისა და ჰიუგოს ლექსები და მრავალი სხვა, რომელთა უმეტესობა არ გამოქვეყნებულა და, ამდენად, ხელმისაწვდომი ვერ გახდა ფართო საზოგადოებრიობისათვის.

ცნობილია, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილს 1841 წელს უთარგმნია გერმანელი ავტორის ლაიპევიცის ტრაგედია „იულიუს ტარენტელი“, მართალია, რუსულიდან, მაგრამ ეს ფაქტი მაინც რჩება გერმანული ლიტერატურისადმი ინტერესის პირველ გამოვლენად. ამ თარგმანს ჩვენამდე არ მოუღწევია, ისევე როგორც შექსპირის „რომეო და ჯულიეტას“, რომელიც, ბარათაშვილისავე გადმოცემით დ. ყიფიანს ფრანგულიდან უთარგმნია, მაგრამ ხსენებული ტრაგედიის თარგმნის ფაქტიც შეიძლება შექსპირისადმი ინტერესის გამოვლენად მივიჩნიოთ.

დიდია ილიას ღვაწლი ქართული თარგმნილი ლიტერატურის განვითარების საქმეში და არა მხოლოდ იმიტომ, რომ სტუდენტობის წლებში უთარგმნია გოეთეს, სკოტის, შილერის, ბაირონის, ჰაინეს, რიუკერტის, ანდრე შენიეს, პუშკი-

ნის, ლერმონტოვის, ტომას მურის ლექსები, უფრო მნიშვნელოვანია მისი პოზიცია მშობლიური ლიტერატურისათვის თარგმანის როლის გააზრებისა და აქედან გამომდინარე, სათარგმნი ნაწარმოების შერჩევის საქმეში, რაც კარგად ჩანს ნის ცხოვრულ წერილში „ორიოდე სიტყვა თავად რევას შალვას ძის ერისთავის მიერ კახლოვის „შემლილის“ თარგმანზედა“. ამავ პოზიციის ნაყოფია ივ. მაჩაბელთან ერთად შექსპირის „მეფე ლირის“ თარგმანი, რამაც სათავე დაუდო ივ. მაჩაბლის მთარგმნელობით მოღვაწეობას.

ილიას თვალსაზრისს იზიარებს თეორიულადაც და პრაქტიკულადაც აკაკი, რომელმაც ეზოპეს, ლაფონტენისა და კრილოვის იგავ-არაკების გადმოქართულებული თარგმანების გარდა არაერთი მნიშვნელოვანი მოსაზრება დაგვიტოვა თარგმანის არსისა და ერის კულტურაში მისი მნიშვნელობის თაობაზე.

საერთოდ, XIX საუკუნე თარგმანთა სიმრავლით ხასიათდება, მაგრამ ამ დროის უდიდეს მონაპოვრად რჩება ივ. მაჩაბლის შემოქმედება. ილიასთან ერთად თარგმნილი „მეფე ლირი“ 1877 წელს გამოქვეყნდა, ოთხმოცდაათიან წლებში კი ივ. მაჩაბელმა დამოუკიდებლად თარგმნა „ჰამლეტი“, „ოტელო“, „მაკბეტი“, „რიჩარდ მესამე“, „იულიოს კეისარი“, „ანტონიოს და კლეოპატრა“ და „კორიოლანოსი“. ამ თარგმანებმა, რომლებიც თავის გენიალურ დედანს ეჯიბრებიან სიტყვის გამომსახველობითი ძალით, დიდი წვლილი შეიტანეს ქართული თარგმანისა და ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებაში. გარდა ამისა მიიზიდეს საუკეთესო ქართველი მსახიობები და ააღორძინეს ქართული თეატრი.

ქართული თეატრის ინტერესების შესაბამისად იღვწოდნენ აგრეთვე ლავრ. არდაზიანი, ანტ. ფურცელაძე, დ. ყიფიანი, მ. ყიფიანი, რომლებმაც მაჩაბელზე ადრე თარგმნეს შექსპირის რამდენიმე ტრაგედია, მაგრამ ეს თარგმანები რუ-

სულიდან იყო შესრულებული, ისედაც სუსტი ყოფილა და არცაა შემორჩენილი.

ივ. მაჩაბლის მთარგმნელობითი მეთოდის ერთგულება ჩანს XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის დასაწყისის თარგმანებში. ესენია: ნიკ. ჯანაშიას მიერ თარგმნილი სერვანტესის „ქიხოტი“, ერკმან-მატრიანის „კლეზი კაცის ისტორია“ (ივ. მაჭავარიანი), თედო სახოკიას თარგმანები: ვაზოვის „დამონებულნი“, მოპასანის, ემილ ზოლას მოთხრობები, ბოკაჩოს „დეკამერონი“, გარდა ამისა თედო სახოკიასაც, ივ. მაჩაბელის მსგავსად, დიდი წვლილი მიუძღვის ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებაში და იმ ტრადიციის დამკვიდრებაში, რომ ქართული თარგმანების ენა ყოფილიყო ბუნებრივი, უცხო სინტაქსისაგან დაცული და მკითხველს იგი აღექვა, როგორც მშობლიური ლიტერატურის ნიმუში.

XX საუკუნის პირველი ათწლეული ლიტერატურული უხვაგობის ხანაა და ქართული კულტურის მოამაგე არტურ ლაისტი მთარგმნელებს მოუწოდებს, თავიანთი მოღვაწეობით შეუწყონ ხელი ლიტერატურის აღმავლობას, მაგრამ ოციან წლებამდე თარგმნილ ლიტერატურას არ შემატებია მნიშვნელოვანი ნაწარმოებები. ამ წლებში კი ევროპიდან რუსეთის გავლით ჩვენამდე აღწევს დეკადენტური პოეზია და ქართულად ითარგმნება მისი რამდენიმე ნიმუში: ედმონდ როსტანის „შორეული დედოფალი“ (სანდრო შანშიაშვილი), ჟურნალ „შვიდ მათობში“ იბეჭდება ოსკარ უაილდის „სალომეს“ თარგმანი (პ. იაშვილი), ჟურნალ „პარნასში“ მისივე მცირე პროზის ნიმუშები, „მშვილდოსანში“ ტეოფილ გოტიეს „ხელოვნება“ და პოლ ვერლენის „პოეტური ხელოვნება“ (ვ. გაფრინდაშვილი), ს. თავაძე თარგმნის ემილ ვერპარნის „ქალაქის სულს“, მისივე ლექსს „აჯანყება“ თარგმნის ივ. წულუკიძე, ხოლო „მკვდელს“ პაოლო იაშვილი, პ. იაშვილს ეკუთვნის არტურ რემბოს

„მთვრალი ხომალდის“ თარგმანიც, რომელიც შესრულებულია თოთხმეტმარცვლიანი თეთრი ლექსით. ჟურნალ „კავკასიონში“ იბეჭდება მსოფლიო კლასიკური ლიტერატურის ნიმუშები, იქვე ქვეყნდება ედგარ პოს იგავი „სიჩუბე“. მთარგმნელი ერეკლე ტატიშვილი აზრობრივი სიზუსტის პარალელურად ამჟღავნებს ქართული ენის ნიუანსების დიდ ცოდნას. ამავე ჟურნალში იბეჭდება ედგარ პოს „ჟორანის“ თარგმანი, შესრულებული კონსტანტინე ჭიჭინაძის მიერ, რომელმაც შემდგომში მრავალი ჩინებული თარგმანი შესძინა ქართულ ლიტერატურას.

20-იანი და 30-იანი წლები შეიძლება XX საუკუნის თარგმნილ ლიტერატურაში ძიების წლებად ჩაითვალოს. სათარგმნი მასალის შერჩევა ამ წლებში უმეტესად სტიქიურ ხასიათს ატარებს, თუმცა ამავე ეპოქაში ნელ-ნელა იკვეთება მთარგმნელთა მთელი პლეადა, რომელთა სახელებიც შემდგომში ქართული თარგმანის აღმავლობას (განაპირობებს. მათგან ეპოქალური მნიშვნელობისაა გერონტი ქიქოძის შემოქმედება, რომელიც ძირითადად XIX საუკუნის ფრანგულ ლიტერატურას მოიცავს და ბრწყინვალე თარგმანების გარდა თარგმნილი ავტორების ლიტერატურული პორტრეტების შექმნის ტრადიციასაც ამკვიდრებს. მისი შემოქმედების მთავარი ნიშანია ერთმანეთისაგან სტილით განსხვავებული ნაწარმოებების არჩევანი და თარგმანში ამ განსხვავების წარმოჩენის წარმატებული ცდაც. ეს ნაწარმოებებია: შუა საუკუნეების ფრანგული ლეგენდის საფუძველზე შექმნილი რომანი „წიგნი ტრისტანისა და იზოლდასი“, სადაც მთარგმნელმა ზუსტად გადმოიღო არქაიზებული სტილი, ბალზაკის „შაგრენის ტყავი“, „მხედართმთავრის ცოლი“, „ძმადნაფიცვი“, სტენდალის „წითელი და შავი“, „იტალიური ქრონიკები“, მერიმეს „მატეო ფალკონე“, „კლარა გაზულის თეატრი“, ალფონს დოდეს „წერილები ჩემი წისკვილიდან“, ანატოლ ფრანსის „ღმერთებს

სწყურიათ“. მასვე ეკუთვნის მ. ლერმონტოვის რომანის „ჩვენი დროის გმირის“ თარგმანიც. გ. ქიქოძემ ასევე უდიდესი წვლილი შეიტანა ახალი ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში, ხოლო ქართულ თარგმნილ ლიტერატურაში განამტკიცა დედნის-ნიქნის თარგმნის ტრადიციები. გერონტი ქიქოძის შემოქმედებით მთავრდება მთელი ეპოქა ქართულ თარგმნილ ლიტერატურაში, 40-იანი წლებიდან დღემდე კი დაგროვდა იმდენი მასალა, რომ მიზანშეწონილია მისი მსოფლიო ლიტერატურის მიხედვით დაყოფა და ამ ფონზე დვაწლმოსილი მთარგმნელების სახელების წარმოჩენა.

ინგლისურენოვანი ლიტერატურის სფეროში აღსანიშნავია ივ. მაჩაბლის მემკვიდრეობის ექვს ტომად გამოცემა (1953-1960 წწ.) გ. გაჩეჩილაძისა და ნ. ყიასაშვილის კომენტარებით. პარალელურად გრძელდება შექსპირის თარგმნა. გ. გაჩეჩილაძემ თარგმნა „აურზაური არაფრის გამო“, „ორი ვერონელი აზნაური“, „ცხოვრება და სიკვდილი მეფე ჯონისა“, „რიჩარდ მეორე“, ვ. ჭელიძემ „რომეო და ჯულიეტა“, „მეფე ლირი“, „ვენეციელი ვაჭარი“, „ქარიშხალი“, „ზაფხულის ღამის სიზმარი“, „მეფე ჰენრი IV“, „უინძორელი მხიარული ქალები“, რომლებიც ერთ კრებულად გამოიცა 1971 წელს. ითარგმნა აგრეთვე „ამაო გარჯა სიყვარულისა“ (ე. კვიციანიშვილი), „ჭირვეულის შორჯულეა“, „მეთორმეტე ღამე“ (ს. ფაშალიშვილი), „როგორც გენებოთ“ (მ. ქარჩავა), „მეფე ლირისა“ და „ჰამლეტის“ რამდენიმე ნაწყვეტი (კ. გამსახურდია). 1952 წელს გამოიცა შექსპირის სონეტების გ. გაჩეჩილაძისეული, 1968 წელს კი რ. თაბუკაშვილისეული თარგმანები. ამგვარად, 70-იან წლებში დასრულდა შექსპირის მთელი მემკვიდრეობის ქართულად თარგმნა, რაც უნიკალური მოვლენაა ქართული თარგმანის ისტორიაში.

30-იან წლებში დაიწყო ჩარლზ დიკენსის შემოქმედების თარგმნა, ოლონდ ეს

თარგმანები რუსულიდან იყო შესრულებული და მრავალი ხარვეზიც გააჩნდა. დიკენსი მხოლოდ 50-იან წლებში ითარგმნა დედნიდან, „ნიკოლას ნიკლბი“ თარგმნა ვ. ჭელიძემ, „პიკვიკის კლუბის ჩანაწერები“ კი თარგმნეს მ. იანქოშვილმა და ნ. კეშელავამ. 30-იან წლებშივე ღვივდება ინტერესი ბაირონისადმი, მაგრამ დღემდე ბაირონი ქართულად მწირადაა წარმოდგენილი. პოემებიდან თარგმნილია „სიბნელე“ (მ. გაჩეჩილაძე), „მანფრედი“, ნაწყვეტები „ჩაილდ პაროლდის მოგზაურობიდან“ „კაენი“ (ვ. ჭიჭინაძე), „სარდანაპალი“ (მ. ქარჩავა), „შილონის პატიმარი“, ნაწყვეტი „ჩაილდ პაროლდის მოგზაურობიდან“ (თ. ერისთავი), ბაირონის ლირიკის კრებულში (1965) ძირითადად პწკარედით შესრულებული თარგმანები შევიდა. ზემოხსენებული კრებულიდან სპეციალისტები გამოარჩევენ თ. ერისთავის მიერ დედნიდან შესრულებულ თარგმანებს. უკანასკნელ წლებში ბაირონის მემკვიდრეობას იკვლევს და თარგმნის ი. მერაბიშვილი.

ომისშემდგომ წლებში გამოიცა გ. გაჩეჩილაძის თარგმნილი „ინგლისელი პოეტები“, „ინგლისური ბალადები“, „ბალადები რობინ კუდზე“, 50-იან წლებში ვ. ჭელიძემ თარგმნა დ. დეფოს „რობინზონ კრუზო“, ხოლო ალ. გამყრელიძემ XIX საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი რომანი უ. თეკერის „ამაოების ბაზარი“. ამავე წლების მნიშვნელოვანი ფაქტია ჯონ მილტონის „დაკარგული სამოთხის“ ვ. ჭელიძისეული პოეტური თარგმანის გამოცემა, მილტონის პოემა „სამსონი“ კი თარგმნა ე. კვიციანიშვილმა.

60-იანი წლებიდან მოყოლებული ინტენსიურად ითარგმნება ინგლისური, მოტლანდიური და ამერიკული ლიტერატურა. მათგან გამორჩეულია რ. ბერნსის ლირიკის თარგმანები თ. ერისთავისა, შ. ბრონტეს „ჯეინ ეარი“, (თ. მალრაძე, ზ. ხანანაშვილი), ვ. გოლზუორთის „ფორსაიტების საგა“ (ე. მალრაძე, ვ. ჭელიძე), „მესაკუთრე“ (ე. მალრაძე), მისივე

მოთხრობები, (ალ. გამყრელიძე, ნ. ბაღრიაშვილი და სხვები), ვ. სკოტის „აივენპო“ (ვ. ჭელიძე), ო. უაილდის „დორიან გრეის პორტრეტი“ (თ. მალრაძე), მაინრიდის ათტომეული, ე. ვოინიჩის „კრაზანა“ (ს. კლდიაშვილი), ვ. ჟუჟუტის „ფლუტარდი“. (რ. თვარაძე), ივანოვსკის „მოდგმა“ (ჯ. მჭედლიშვილი), პ. მელვილის „მოზი დიკი“ (გ. გეგეჭკორი, ტ. ჭანტურია), უ. ფოლკნერის „ქალაქი“, „სოფელი“ (რ. თვარაძე), ჯეკ ლონდონის მოთხრობები (მთარგმნელთა ჯგუფი), „მარტინ იდენი“ (ვ. ჭელიძე), „დიდი სახლის პატარა დიასახლისი“ (თ. მალრაძე), ჯ. ჩოსერის „კენტურბერიული მოთხრობები“, ინგლისური პოეზია (გ. ნიშნიანიძე), ჯ. ჯოისის „ულისე“ (ნ. ყიასაშვილი), ს. მოემის „მთვარე და ექვსპენსიანი“ (ა. ჭეიშვილი), ა. კონან დოილის „მერლოკ პოლმსის თავგადასავალი“ (ე. მალრაძე), ტრუმენ კეპოტის მოთხრობები „ბალასის ჩანგი“ (ვ. ტატიშვილი), მარკ ტვენის „უფლისწული და მათხოვარი“, „პეკლბერი ფინის თავგადასავალი“ (თ. დიასამიძე), „ტომ სოიერის თავგადასავალი“ (გრ. ყიფშიძე), ჯ. სვიფტის „ლემუელ გულივერის მოგზაურობა“ (მ. ქარჩავა), ე. ჰემინგუეის „ვის უხმობს ზარი“ (ი. გურგულია, ე. ფალავა), ჯონ სტაინბეკის „ტორტილა ფლექტი“, „ზამთარი ჩვენი მღელვარებისა“, ჯ. სელინჯერის „თამაში ჭვავის ყანაში“, ე. ჰემინგუეის „მშვიდობით, იარაღო“, „აღმოხდების მზე“, „განუკრელი დღესასწაული“ (ვ. ჭელიძე), ი. სტოუნის „წყურვილი სიცოცხლისა“ (მ. ნათაძე), თ. დრაიზერის „კერი“ (თ. ზანდუკელი), ტ. ს. ელიოტის პოეზია (ზ. რატიანი) და სხვა.

ფრანგული ლიტერატურის თარგმანებში იკრძნობა გ. ჭიქოძის მემკვიდრეობის ზეკავლენა, კერძოდ, მის მიერ შემუშავებული ზოგადფრანგული ნატიფი სტილის შემოქმედებითი ათვისების შედეგია

ირ. ქავჭარაძის თარგმანები ბალზაკის „პოლკოვნიკი შაბერი“ და „გობსეკი“, სადაც მთარგმნელი ავლენს დიალოგის ბუნებრივად აგებისა და პროზის რიტმის დაცვის ჩინებულ უნარს; ბალზაკის „ეჟენი გრანდე“ და „ოცდაათი წლის ქალი“, მ. დრიუონის „კერპთა დამხობა“, (თ. ქიქოძე), „კურტიზან ქალთა ბრწყინვალეობა და სილატაკე“ (რ. დოდაშვილი), ანტუან ფრანსუა პრევოს „მანონ ლესკო“ (ქ. ირემაძე), მერიმეს „შარლ IX მეფობის ქრონიკა“ (ჯ. ჭუმბაძე) და სხვა. სამავიეროდ სრულიად განსხვავებული მანერითაა შესრულებული და საფიქრებელია, დედნის სტილის ზუსტი დაცვითაც, მოპასანის „ლამაზი მეგობრის“ მიხ. ჯავახიშვილისეული თარგმანი, ფლობერის „მადამ ბოვარი“ (არ. ჭუმბაძე), მისივე „სალამბო“ კი (კ. ქილარჯიანი, მ. გიგინეიშვილი) ყურადღებას იპყრობს სტილიზებული არქაიზაციით, რაც საფიქრებელია, ესადაგებოდეს დედნის სტილს.

XIX-XX საუკუნის ფრანგული ლიტერატურა სტილთა მრავალფეროვნებით ხასიათდება და ქართულ თარგმანებშიც მეტ-ნაკლები სიზუსტითაა ასახული ეს მრავალფეროვნება, თუმცა ფრანგული ლიტერატურა საერთოდ არც ისე უზვადაა ქართულად წარმოდგენილი. აქ შეიძლება დავასახელოთ ლუი არაგონის „ვნების კვირა“ (არ. და ზ. ჭუმბაძეები), ერვე ბაზენის „ერთ ცეცხლს გაანელებს მეორე ცეცხლი“, დიდროს „მონაზონი“ (დ. კახაბერი), ჟიულ ვერნის რვატომეული, მორის დრიუონის „რკინის მეფე“ (მ. ბაქრაძე, თ. კოპლატაძე), ალბერ კამიუს „შავი ქირი“ (გ. ბუაჩიძე, კ. ჯავრიშვილი), „უცხო“ (ნ. იორდანიშვილი), ფრ. მორიაკის „პატარა მაიმუნი“ (კ. ქილარჯიანი). აღ. დიუმას „სამი მუშკეტერი“, „ოცდაათი წლის შემდეგ“, „გრაფი მონტე კრისტო“ (თ. საჯაია), „დედოფალი მარკო“, (ჯ. ჭანტურაია). ფრანგული ლიტერატურის მთარგმნელთაგან ნაყოფიერებით გამოირჩევა ნ. ქადეიშვილი. მან თარგმნა ე. ზოლას „ნანა“, „ფული“, „ქალთა ბედნიერება“, როჟე მარტინ დი-

უგარის „ტიბოს ოჯახი“, ფ. ერიას „უზნეო ბავშვები“, ფრანსუაზ საგანის „სალამი, სევდავ“, „გიყვართ ბრამსი?“, მერიმეს მოთხრობები.

XVII საუკუნის დიდი დრამატურგების მიერ კორნელის, ჟან რასინისა და ჟან-ბატისტ მოლიერის დრამები და კომედიები თარგმნეს ო. ჭილაძემ, ნ. ქადეიშვილმა, დ. წერედიანმა, გ. გეგეჭკორმა, რ. დოდაშვილმა, გ. ეკიზაშვილმა. ფრანსუა რაბლეს „გარგანტუა და პანტაგრუელის“ ორი თარგმანი მოგვეპოვება — ე. ბაგრატიონისა და გ. გოგიაშვილისა: ჟან-ჟაკ რუსოს „ჟიული ანუ ახალი ელონიზა“ თარგმნა ნ. აგიაშვილმა. ვ. პიუგოს „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“ — შ. პაპუაშვილმა, რომენ როლანის „კოლა ბრუნინი“, „ბეთპოვენის ცხოვრება“ — გ. გეგელიამ, „მიქელანჯელოს ცხოვრება“ — ნ. იორდანიშვილმა.

ფრანგული პოეზია, კერძოდ ვიქტორ პიუგო, შარლ ბოდლერი, პოლ ვერლენი, პოლ ელუარი, ემილ ვერპარნი, გიომ აპოლინერი, ჟაკ პრევერი, სტეფან მალარმე მალალ დონეზუა თარგმნილი (გ. გეგეჭკორი, მ. სალუქვაძე, ს. გელაძე, ლ. ლოლობერიძე, გ. ნიშნიანიძე, ნ. თარგამაძე, თ. ჩხენკელი), დ. წერედიანის მიერ თარგმნილი ფრანსუა ვიოონის დიდი და მცირე ანდერძი კი ქართული თარგმნილი ლიტერატურის უმნიშვნელოვანეს ქმნილებათა რიგს მიეკუთვნება.

70-იანი წლებიდან ინტენსიურად ითარგმნება ფრანგული დრამატურგია: სემუელ ბეკეტის „გოდოს მოლოდინში“ (თ. ცინცაძე), ე. იონესკოს დრამები (დ. კახაბერი), ჟან ანუის „ანტიგონე“, „მედეა“, „ორკესტრი“ (ი. ბაჩიაშვილი), „ანტიგონე“ (ძმ. ჭილაძეები), ე. როსტანის „სირანო დე ბერვერაკი“ (მ. ქვლივიძე).

გერმანულენოვანი ლიტერატურის (გერმანული, ავსტრიული, შვეიცარიული) პირველი ნიმუშები XIX ს. ორმოციან წლებში ითარგმნა. ეს იყო ფრ. შილერის „ხელთათმანი“ (გ. ერისთავი), ა. ლაიზე-

ვიცის ტრაგედია „იულიუს ტარენტელი“ (ნ. ბარათაშვილი), მაგრამ ამ თარგმანებს ჩვენამდე არ მიუღწევია. ილიას და ა. ჭავჭავაძეს თარგმნილი აქვთ გოეთეს, შილერის, ჰაინეს რამდენიმე ლექსი, რომელთაგან ზოგიერთი შესულია ჰაინეს ერთტომეულში. ამასთან დასტურდება, რომ ილიას თარგმანები დედნიდანაა შესრულებული.

გერმანულენოვანი ლიტერატურის თარგმნა ძირითადად მაინც XX საუკუნეში იწყება. 1908 წელს პეტრე მირიანაშვილმა თარგმნა გოეთეს „ფაუსტი“, 1927 წელს „ფაუსტი“ თარგმნა დიმიტრი ონიაშვილმა, რომელიც 1962 წ. ო. ჯინორიასა და დ. ლაშქარაძის რედაქციით გამოიცა და დღემდე „ფაუსტის“ სრულ თარგმანად რჩება. 80-იან წლებში გამოქვეყნდა გ. ჯორჯანელისა და ი. ქემერტელიძის თარგმანების ფრაგმენტები, მოგვიანებით გამოიცა გ. ჯორჯანელის თარგმანის პირველი წიგნი, დღეს კი „ფაუსტის“ თარგმანზე მუშაობს დ. წერეთლიანი, რომელსაც გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე ნაწყვეტი. გოეთეს ლირიკა, პოემები და ბალადები თარგმნილი აქვთ კ. ჭიჭინაძეს, კ. გამსახურდიას, ხ. ვარდოშვილს, ვ. ბეწუკელს, ა. გელოვანს, ო. ჯინორიას, გოეთეს დრამები „გიოც ფონ ბერლიხინგენი“, „იფიგენია თავრიზში“ და „ეგმონტი“ თარგმნა ვ. ბეწუკელმა. ქართულად გვაქვს „ახალგაზრდა ვერტერის ვნებანის“ ორი თარგმანი, პირველი კ. გამსახურდიას ეკუთვნის (1928 წ.), მეორე კი ო. ზუციშვილს (1983). აღსანიშნავია, რომ კ. გამსახურდიას თარგმანი უფრო ზუსტია სტილური შესაბამისობის თვალსაზრისით, ო. ზუციშვილის თარგმანი კი აზრობრივად არის ვაცილებით ზუსტი და სანდო. უკანასკნელ წლებში ითარგმნა რომანი „სულთა ნათესაობა“ (ლია თაკვარელია).

ფრიდრიხ შილერის „ხელთათმანის“ თარგმნიდან 25 წლის შემდეგ, 1876 წელს, ნ. ავალიშვილმა თარგმნა დრამა „ყაჩაღები“, „დონ კარლოსი“ 1927 წელს თარგმნა ს. შანშიაშვილმა, მასვე ეკუთვნის „ყაჩაღებისა“ და „ვილჰელმ ტელის“

თარგმანები, შილერის სხვა დრამები კი (მათ შორის ხელშეწოდებულ „დონ კარლოსი“), „ორლეანელი ქალწული“, „მარტინ სტიუარტი“ და „ტურანდოტი“ თარგმნა ვ. ბეწუკელმა. შილერი ინტენსიურად იდგმებოდა ქართულ სცენაზე და ბევრი გამოჩენილი მსახიობის შემქმნელი საეტაპო მნიშვნელობაც შეიძინა. გამოცემულია შილერის თხზულებათა სამტომეული.

გერმანული კლასიკური ლიტერატურიდან ყველაზე სრულად ჰაინრიხ ჰაინეს წარმოდგენილი. ჰაინეს ლირიკას სხვადასხვა დროს თარგმნიდნენ: ი. ბაქრაძე, ჭ. ლომთათიძე, შ. მღვიმელი, კ. ჭიჭინაძე, ხ. ვარდოშვილი, (300 ლექსი), კ. კალაძე, გრ. აბაშიძე, გ. გეგეჭკორი, ი. ქემერტელიძე, ა. გელოვანი (130 ლექსი), მათ შორის დედნიდან თარგმნიდნენ მხოლოდ ი. ქემერტელიძე და ა. გელოვანი, ხოლო ჰაინეს საუკეთესო მთარგმნელად ი. ქემერტელიძე უნდა ვაღიაროთ, ჰაინეს პროზა — „მოგზაურობის სურათები“ ჩინებულად თარგმნეს ჯორჯანელმა.

ქართულად გვაქვს გერმანული განმანათლებლობის უდიდესი წარმომადგენლის გოტჰოლდ ეფრაიმ ლესინგის დრამები: „მინა ფონ ბარნჰელმი“ (გ. ნადირაძე), „მის სარე სამსონი“ (ე. ხოშარაული), „ემილია გალოტი“, „ნათან ბრძენი“ (ვ. ბეწუკელი) და ესთეტიკური თხზულება „ლაოკოონი“ (ა. გელოვანი).

გერმანული ეპოსის შესანიშნავი ძეგლი „სიმღერა ნიბელუნგებზე“ (კ. ჭიჭინაძე) სამჯერაა გამოცემული. ასევე რამდენჯერმე გამოიცა ძმ. გრიშების ზღაპრები, „ტილ უილენშმიგელის თავგადასავალი“, რასპეს „ბარონ მიუნჰაუზენის თავგადასავალი“, ფრ. ვოლფის, ვ. პაუფის ზღაპრები.

გერმანული რომანტიკოსის ნოვალისის შემოქმედებიდან თარგმნილია რომანი „ჰაინრიხ ფონ ოფტერდინგენი“ (ნ. გოგოლაშვილი) რამდენიმე ზღაპარი და ორიოდ ლექსი, ნ. გოგოლაშვილს ეკუ-

თენის აგრეთვე ე. თ. ა. ჰოფმანის „კატა მურის ცხოვრებისეული ფილოსოფიის“ თარგმანიც.

XX საუკუნის გერმანული ლიტერატურის უდიდესი ფიგურაა თომას მანი. ქართულად თარგმნილია მისი მოთხრობები (ნ. რუხაძე, კ. ჯორჯანელი, პ. ჩარკვიანი, ც. ჩხეიძე, ო. წერეთელი, ი. სურგულაძე, დ. ფანჯიკიძე), რომანები „ბუნდენბროკები“, „ჯადოსნური მთა“, „ელთაბანდ ფელიქს კრულის აღსარება“ თარგმნა დ. ფანჯიკიძემ, „ლოტე ვაიმარში“ მ. პაპუაშვილმა. ქართველი მკითხველისთვის ცნობილია თ. მანის უფროსი ძმაც ჰაინრიხ მანი. თარგმნილია მისი ნოველები და რომანი „ანრი IV სიჭაბუკე“ (ვ. ბენუკელი). დიდი გერმანელი მწერლის პერმან პესეს შემოქმედებიდან თარგმნილია „მოხილვა დილის ქვეყნისა“ (რ. ყარალაშვილი, რ. ქებულაძე), „ტრამალის მგელი“, „დამსვენებელი“ (ნ. გოგოლაშვილი), მცირე პროზა და ესეები (დ. ფანჯიკიძე). თარგმნილია ლ. ფრანკის მოთხრობები, რომანები: „მარცხნივ, სადაც გულია“ (ლ. ცაგარეიშვილი), „მატილდა“ (ნ. კალანდარიშვილი), „ქრისტეს მოწაფეები“ (ნ. ამაშუკელი); ფრანც კაფკას მოთხრობები (ნ. კაკაბაძე, ზ. კაკაბაძე), რომანი „პროცესი“ (ნ. ამაშუკელი); რობერტ მუზილის „სამი ქალი“ (თ. პატარაია).

საქართველოში ჯერ კიდევ 20-იანი წლებიდანაა პოპულარული ავსტრიელი მწერალი შტეფან ცვაიგი. მისი „ამოკი“ ითარგმნა 1927 წელს (ლ. ჯაფარიძე). თარგმნილია რომანები „მაგელანი ამერიკო — უკვდავების ხიზანი“, (ა. გელოვანი), „ფანტასტიკური ღამე“, „მოუთმენლობა გულისა“, „კაცობრიობის სეპტემბერი საათები“, „ჟოზეფ ფუშე“ (კ. ჯორჯანელი), „მარიამ სტიუარტი“ (ნ. კალანდარიშვილი). თარგმნილია მისი ყველაზე ცნობილი ნოველებიც.

ცნობილი გერმანელი დრამატურგის გერჰარდ ჰაუპტმანის დრამა „ავადმყოფი ხალხი“ 1908 წელს თარგმნა ივ. ახა-

ლშენიშვილმა, 1910 წელს მას მოჰყვა „ფეიქრები“, 50-იან წლებში ითარგმნა „მზის ჩასვლის“ წინ.

ერის მარია რემარკის „დასავლეთის ფრონტი უცვლელია“ ჯერ კიდევ 1929 წ. თარგმნა კ. გამსახურდიამ. 50-იან, 60-იან წლებში ითარგმნა რომანები: „სამი მეკობარი“, (ვ. კარბულაშვილი), „ტრიუმფალური თალი“ (ა. გელოვანი), „უამი სიცოცხლისა და უამი სიკვდილისა“ (ჯორჯანელები), „ნასესხები სიცოცხლე“, „შავი ობელისკი“ (ო. ხუციშვილი). ქართულად თარგმნილია ლიონ ფოიხტვანგერის რომანები „ესპანური ბალადა“ (ლ. ხუჭუა, მ. კოდუა), „ცრუ ნერონი“ (დ. წერეთელი, ჯ. ქარჩხაძე), „პერცოგის უსახური ასული მაულტაში“ (ე. კვახაძე); ბერნჰარდ კელერმანის „ძმები შელენბერგები“, „სიკვდილის როკვა“ (ნ. კალანდარიშვილი) „გვირაბი“ (ც. ცხენოსანიძე, მ. ბაჩლელი), ქართველი მკითხველისათვის თითონ რამდენიმე ნაწარმოებითაა ცნობილი ბეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი გერმანული მწერლები: ვ. ბრედელი, ა. ზეგერსი, ფ. ფიუმანი, პ. კანტი, პ. ვ. რიხტერი, ბ. აპიცი, ბ. უზე და სხვანი. თარგმნილია გიუნთერ გრასის ცნობილი რომანი „დედალი ვირთაგვა“ (ნ. გოგოლაშვილი), უ. პლენცდორფის „ახალგაზრდა ვ.ს ახალი ვნებანი“ (დ. ფანჯიკიძე) და სხვა. ამ თაობის მწერალთაგან გამოირჩეულია ჰაინრიხ ბიოლი. თარგმნილია მისი რომანები „კლოუნის თვალთახედვა“ (ნ. ამაშუკელი), „უკაცო სახლი“ (თ. პატარაია), „და არ უთქვამს არცერთი სიტყვა“ (ნ. რუხაძე).

შვეიცარიული ლიტერატურის უდიდეს წარმომადგენელს მაქს ფრიშს ქართველი მკითხველი იცნობს ორი რომანით: „ჰომო ფაბერ“ და „ვიქნები თუნდაც ვანტენბაინი“ (დ. ფანჯიკიძე), მის თანამედროვეს ფრ. დიურენმატს კი მოთხრობებით „მოსამართლე და მისი ჯალათი“ (კ. ჯორჯანელი), „ბერძენი ეძებს ბერძენს“ (ნ. გოგოლაშვილი), „ავარია“ (ნ. რუხაძე).

80-იან, 90-იან წლებში ითარგმნა დიდი გერმანელი პოეტის რაინერ მარია რილკეს პოეზია. გამოქვეყნებული თარგმანებიდან სანიმუშოა ვ. კოტეტიშვილის თარგმანები. თარგმნილია რომანი „მალტელაურიდს ბრიგეს ჩანაწერები“ (ნ. გელაშვილი).

დასასრულ, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს გერმანული ლიტერატურის გამოცემისა და რედაქტორების დარგში დ. ლაშქარაძისა და ო. ჯინორიას ღვაწლი.

რუსული ლიტერატურა ისტორიულ გარემოებათა გამო ახლობელი იყო ქართული კულტურისათვის და დღესაც შეუძლებელია უარვყოთ მისი სასიკეთო ზეგავლენა. გარდა იმისა, რომ რუსული ენის მეშვეობით მსოფლიო ლიტერატურის მრავალი ნიმუში გახდა ხელმისაწვდომი ქართველი მკითხველისათვის, საკუთრივ რუსული ლიტერატურის თარგმანებმაც გაამდიდრა ქართული თარგმნილი ლიტერატურა. XIX ს. 60-იან და 70-იან წლებში „ივერიაში“, „დროებაში“, „კვალში“, „ჯეჯილში“ იბეჭდებოდა ლევ ტოლსტოისა და ივანე ტურგენევის ნაწარმოებები. აღსანიშნავია ი. ჭავჭავაძის მიერ თარგმნილი ტურგენევის „ლექსები პროზად“. მას შემდეგ ითარგმნა რომანი „მამები და შვილები“, „გახაფხულის ნიაღვრები“, მოთხრობები.

ლ. ტოლსტოი ქართულად შედარებით უკეთაა წარმოდგენილი. თარგმნილია მისი გენიალური რომანები „ომი და მშვიდობა“ (ი. აგლაძე), „ანა კარენინა“ (ლ. ტიტვინიძე, თ. საყვარელიძე), „აღდგომა“, სევასტოპოლური მოთხრობები (ე. უბილაძე) და რუსული პროზის მშვენიერება „პაჯი მურატი“.

თ. დოსტოევსკის შემოქმედების თარგმანებიდან აღსანიშნავია რომანები „დანაშაული და სასჯელი“ (ივ. და ა. ახალშენიშვილები), „ყმაწვილი“ (ვ. ჩხეიძე), რამდენიმე რომანი თარგმნა რ. ქებულაძემ: „იდიოტი“, „ემშაკნი“, „თეთრი ღამეები“, „მოთამაშე“, მოთხრობა „უგვანო ანეკდოტი“ და სხვა.

მ. ლერმონტოვის შემოქმედება ქართულად თითქმის სრულადაა წარმოდგენილი. ლექსები და პოემები თარგმნილი აქვთ მ. ლებანიძეს, გ. გეგეჭკორს, ბ. ნადირაძეს, მ. ნიშნიანიძეს, თ. ჩხენკელს, ო. შალამბერიძეს, დ. გაჩეჩილაძეს, ნ. ჭავჭავაძეს, პიესა „მასკარადი“ (ნ. ჭავჭავაძე) ჩილაძემ, ხალხო რომანი „ჩვენი დროის გმირი“ ბრწყინვალედ თარგმნა გ. ქიქოძემ.

ქართველი მკითხველი კარგად იცნობს ნ. გოგოლის შემოქმედებას. „თარგმნილია „ტარას ბუღბა““ (ა. და ი. ახალშენიშვილები), „პეტერბურგული მოთხრობები“ (თ. ბებურიშვილი, თ. დეკანოზიშვილი, ა. სოკოლოვა), „მკვდარი სულები“ (დ. კასრაძე), „რევიზორი“ (ვ. გუნია), „სალამოები დიკანკის მახლობლად ხუტორში“. მისი პიესა „რევიზორი“ ბევრი ქართველი დიდი მსახიობისათვის ტალანტის გამოჩენის ასპარეზად იქცა.

ა. პუშკინის ლექსები თარგმნილი აქვთ ი. ჭავჭავაძეს, ა. ჭავჭავაძეს, XX საუკუნეში კი მას საუკეთესო პოეტები თარგმნიდნენ. საკმარისია დაეხსახელოთ პ. იაშვილი, ვ. გაფრინდაშვილი, ა. კალანდაძე, მ. ლებანიძე, ჯ. ჩარკვიანი, ს. ჩიქოვანი, დ. წერეთლიანი, ო. ჭილაძე, ო. ჭელიძე, თ. ჩხენკელი, მოთხრობები თარგმნილი აქვთ ი. აგლაძეს, კ. გამსახურდიას, ირ. ჭავჭავაძეს, მ. პატარიძეს, შ. დადიანს.

არ დარჩენილა არცერთი მნიშვნელოვანი რუსი მწერალი და პოეტი, ქართულად რომ არ იყოს თარგმნილი, მაგრამ სხვადასხვა გარემოებათა გამო ზოგჯერ დარღვეულია პროპორციები. მაგ. ქართულად მწირადაა წარმოდგენილი ა. გრიბოედოვი, ლ. ტოლსტოი, ივ. ტურგენევი, ანტ. ჩეხოვი, თარგმნილი კი არის საბჭოთა ეპოქის ბევრი არც თუ მნიშვნელოვანი მწერალი. გამონაკლისია ჩ. აითმატოვის „და დღე იყო გრძელი წუთისოფელზე“ (რ. ქებულაძე) და „საჯალათო კუნძი“ (ა. ბრეგაძე).

თარგმნილია დიდი პოეტების ს. ესენინის, ა. ახმატოვას, ა. ბლოკის, ბ. პასტერ-

ნაკის მემკვიდრეობის მცირე ნაწილი, მათ შორის აღსანიშნავია ლ. ლოლობერიძის, თ. ჩხენკელის, გ. გევეჭკორის, თ. ქელიძის თარგმანები. XX საუკუნის სხვა პოეტთაგან ქართველი მკითხველი შედარებით უკეთ იცნობს ნ. ტიხონოვის, ნ. ზაბოლოცკის, ბ. ახმადულინას, ი. ვოზნესენსკის, ე. ვეტუშენკოს შემოქმედებას.

რუსული საბჭოთა პროზა მეტ-ნაკლებად ცნობილია ქართველი მკითხველებისათვის. თარგმნილია მ. შოლოხოვის „წყნარი დონი“ და „ვატხილი ყამირი“, ა. ტოლსტოის „გზანი წამებისანი“, მაქსიმ გორკის „დედა“ და „არტამონოვების საქმე“ (გ. ლორთქიფანიძე, თ. მალღაფერიძე), ა. ფადეევის „ახალგაზრდა გვარდია“, მ. ზოშჩენკოს, მ. ბულგაკოვის ნაწარმოებები, მათ შორის „ოსტატი და მარგარიტა“ (გ. კიკილაშვილი).

უკრაინული ლიტერატურიდან ჯერ კიდევ XIX საუკუნეში აკაკი თარგმნიდა ტ. შევჩენკოს, ნ. ლომოურის თარგმანები იბეჭდებოდა „ივერიაში“. დღეს თარგმნილია მისი პოეზიის ძირითადი ნაწილი. ქართულად გვაქვს მ. ბაქანის პოეზია, რომელსაც თარგმნიდნენ საუკეთესო ქართველი პოეტები ი. აბაშიძე, გრ. აბაშიძე, ს. ჩიქოვანი, ა. მირცხულავა და სხვები. ქართულად გვაქვს ი. დრაჩის, მ. რილსკის, პ. ტიჩინას, ლ. უკრაინკას ნაწარმოებები.

იტალიური ლიტერატურიდან მნიშვნელოვანია დანტე ალიგიერის „ღვთაებრივი კომედიის“ არასრული თარგმანი, შესრულებული კ. გამსახურდიასა და კ. ჭიჭინაძის მიერ, თარგმნილია აგრეთვე დანტეს „ახალი ცხოვრება“ (ბ. ბრეგვაძე, თ. ჩხენკელი).

ბერძნულ-რომაული ლიტერატურისადმი ისტორიულად დადასტურებული ინტერესის შედეგია ის მრავალრიცხოვანი თარგმანები, რომლებიც ქართულად მოგვეპოვება. პომპროსის „ილიადასა“ (რ. მიმინოშვილი) და „ოდისეას“ (პ. ბერაძე) პოეტური თარგმანები, ამავე ეპოსის პროზაული თარგმანი (ზ. კიკნაძე, თ. ჩხენ-

კელი), პლუტარქეს „პარალელური ბიოგრაფიები“ (ა. ურუშაძე), პლატონის დიალოგების (ნადიმი, ფედონი, ძონი, დიდი პიპია, მენონი, კრიტონი), ევრიპიდეს „მედეას“ ბრწყინვალე თარგმანები, შესრულებული ბაჩანა ბრეგვაძის მიერ, გიკლა სარიშვილის ვრცელი შემოქმედება: ბერძენი ლირიკოსები, ესქილეს ტრაგედიები, ევრიპიდეს „იფიგენია ტავრიდელი“, ლონგეს „დაფნისი და ქლოე“, პელიოდორეს „ეთიოპია“, დემოსთენეს რამდენიმე სიტყვა; ჰესიოდეს პოემები (რ. მიმინოშვილი, ნ. გველესიანი), სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“, „ანტიგონე“, „ოიდიპოსი კოლონოსში“ (გ. ხომერიკი), ესქილეს „მიჯაჭვული პრომეთე“ (ა. ქუთათელი), ევრიპიდეს „ბაკხი ქალები“ (ზ. კიკნაძე), არისტოფანეს „ფრინველები“ (ე. კვიციანიშვილი), პეროდოტეს „ისტორია“ (თ. ყაუხჩიშვილი), ქსენოფონტეს „ანაბაზისი“ (თ. მიქელაძე), აპოლონიოს როდოსელის „არკონავტიკის“ პროზაული (ა. ურუშაძე) და პოეტური (ა. გელოვანი) თარგმანები, ანაკრეონტი (თ. კალატოზი), ორფიკული არკონავტიკა (ნ. გელაშვილი), ციცერონის სიტყვები, ვერგილიუსის „ენეიდა“ (რ. მიმინოშვილი), ოვიდიუსის „მეტამორფოზები“ (ნ. გელაშვილი, ნ. ტონია), მისივე „სატრფიალო ელეგიები“ (მ. ლარიბაშვილი), პორაციუსის „ოდები“ (გ. იმნაძე), მისივე „პოეტური ხელოვნება“ (ა. ურუშაძე), მარკუს ავრელიუსის „ფიქრები“ (ბ. ბრეგვაძე), საფოს, ალკეოსის, ანტიკური სამყაროს სხვა პოეტი ქალების ლირიკის ნ. ტონიასეული ჩინებული თარგმანები, ლ. კვირიკაშვილის რედაქციით გამოცემული ბიზანტიური ლიტერატურის ქრესტომათია ხუთ ტომად, ხოლო ყოველივე ამას უმატება ახალი ბერძნული ლიტერატურის რამდენიმე ნიმუში: კაზანზაკისისა და ელიტისის ნაწარმოებები (თ. მესხი) და ი. ორჯონიკიძის მიერ თარგმნილი თანამედროვე ბერძენი პოეტები.

ინდური ლიტერატურიდან ქართველი მთარგმნელების ყურადღებას უპირველეს ყოვლისა იპყრობს რაბინდრანათ თაგორის

შემოქმედება. თავორი ბენგალიურ ენაზე წერდა, მაგრამ მრავალი ნაწარმოები, მათ შორის პოეტურიც, თვითონვე აქვს თარგმნილი ინგლისურ ენაზე. ქართული თარგმანების ნაწილი რუსულიდან, ნაწილი კი ინგლისურიდანაა შესრულებული და თავმოყრილია მსოფლიო ლიტერატურის ოთხმოცტომეულის ერთ ტომში. „ვიტანჯალი“, „ბენგალია“, „კპონიკა“ თარგმნა თ. ჩხენკელმა, მოთხრობები და ლექსები ლ. კალანდაძემ, ნ. ხომერიკმა, დ. ინწკირველმა და ვ. გამყრელიძემ. კრებული შეადგინა თ. ჩხენკელმა, წინასიტყვაობა და შენიშვნები ეკუთვნის ც. გამყრელიძეს. ინგლისურად თავორისავე თარგმნილი ოთხმოცამდე ლექსი ჩინებულად თარგმნა ლანა ლოლობერიძემ. ინდური ფილოსოფიურ-რელიგიური ძეგლი „უპანიშადები“ თარგმნა ლ. აღიმონაკმა.

ესპანურენოვანი ლიტერატურის ინტენსიური თარგმნა 70-იან, 80-იან წლებში დაიწყო. მანამდე ქართულად თარგმნილი იყო სერვანტესის „დონკიხოტი“, იგი XX საუკუნის პირველ წლებში არცთუ ურიგოდ თარგმნა ნ. ავალიშვილმა. 90-იან წლებში კი გამოიცა „დონკიხოტის“ ბაჩანა ბრეგვაძისეული თარგმანი, რომელიც ჯერჯერობით მწვერვალად ითვლება მის შემოქმედებაში. თარგმნილია დუდერიკო გარსია ლორკას პიესები და ლექსები, ყველაზე უხვად კი თარგმნილია გაბრიელ გარსია მარკესის შემოქმედება. მარკესის პირველი თარგმანები ეკუთვნის ე. ახვლედიანს. ესენია რომანი „მარტოობის ასი წელიწადი“ და მოთხრობა „გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკა“. მარკესის მრავალი ნაწარმოები თარგმნა თ. გვახალიამ. რომანები „სიყვარული ჟამიანობის დროს“, „ავბედითი ჟამი“, „სიყვარულსა და სხვა დემონებზე“, „გენერალი თავის ლაბირინთში“, მოთხრობები, მასვე ეკუთვნის მიგელ ოტერო დე სილვას რომანის „როცა მეტირება, არ ვტირი“ თარგმანი; ე. ახვლედიანმა თარგმნა ხუან გოიტი-სოლოს რომანები „კუნძული“, „ცირკი“, „რომაული გალიეკოსი“, „დონია ბარბა-

რა“, ანა-მარია მატუტეს „ჯარისკაცები ტირიან ღამით“, მ. ტიტენინიჩის თარგმნილია: რამონ დე ვალიე ინკლანის „ტირანი ბანდერასი“, მიგელ დე უნამუნოს „ბურუსი“, „აბელ სანჩესი“, დონ სებასტიანოს „მოჭადრაკის ნოველა“ გამორჩეულ თარგმანთა რიცხვს მიეკუთვნება მანუელ ნეიშვილის თარგმნილი ხუან რამონ სიმენესის „პლატერო და მე“.

პოლონური ლიტერატურიდან საქართველოში პოპულარულია ადამ მიცკევიჩი მისი პოეზიის მთარგმნელები არიან ალ. მირცხულავა, თ. ჩხენკელი, ა. აბულაშვილი, თ. ბექიშვილი, გრ. აბაშიძე, დ. ივარდავა, ო. ქელიძე. ასევე ცნობილია პ. სენკევიჩის ორი რომანი: „ჯვაროსნები“ (ვ. ძიძიგური) და „ვიდრე ჰხვალ, უფალო?“ (ნ. ავალიშვილი). პოლონური პოეზიის ცალკეული ნიმუშები თარგმნილი აქვს მ. ქელივიძეს.

ნორვეგიული ლიტერატურა წარმოდგენილია პენრიკ იბსენის დრამებით. ესენია: „ბრანდი“ (ვ. ბეწუკელი), „მოჩვენებანი“, „ხალხის მტერი“, „პერ გიუნტი“ (ა. გელოვანი), „ნორა“ (ვ. ბეწუკელი).

ფინურ ლიტერატურას ვიცნობთ კარელურ-ფინური ხალხური ეპოსით, რომელიც თარგმნეს მ. მაჭავარიანმა, შ. ჩანტლაძემ და გ. ძნელაძემ.

უნგრული ლიტერატურის პირველი თარგმანი, იანოშ არანის ლექსი „ეპ. რამდენი დაღუპულან“ XIX ს. ბოლოს გამოქვეყნდა, შედარებით ინტენსიური თარგმნა კი XX ს. 50-იან წლებში იწყება. 1955 წ. გამოიცა უნგრული მოთხრობების პირველი კრებული (ე. კეჭაღმაძე), კალმან სიქსათის რომანები თარგმნა რ. ორჯონიკიძემ, 1977 წ. გამოიცა მორ იოკაის რომანები „გულქვა კაცის შვილები“ და „ოქრო კაცი“ (ლ. მაისურაძე). თარგმნილია იოჟეფ კატონის ისტორიული დრამა „ბანკ ბანი“ (ვ. შაჰნაზარი, მ. ქვლივიძე), ლაიოშ მაროტას პიესა „ჯორდანო ბრუნო“ (მ. ქვლივიძე, ლ. ლლონტი), მაგდა საბოს ისტორიული დრამა „ის ღამაში, მზიანი დღე“, იშტვან ორდენის

ტრაგიკომედია „ლაიოს ტორტის ოჯახი“ (მ. სალაძე), იმრე მადაჩის „ადაშიანის ტრაგედია“ (ნ. გურუშიძე). უნგრულ პოეზიას სხვადასხვა დროს თარგმნიდნენ ი. ნონეშვილი, ი. ქემერტელიძე, თ. ბევიშვილი, მაგრამ გრ. აბაშიძის მიერ თარგმნილი მანდორ ჰეტეფი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტია ქართულ თარგმნილ ლიტერატურაში.

ჩეხური ლიტერატურის თარგმნაში დიდი წვლილი მიუძღვის ე. ერისთავს. მან თარგმნა ტურეკ სვატოპლუკის „ბოტისტროი“, კ. ჩაპეკის „მკვლელობა ქოხში“, ჩეხური ზღაპრები. აღსანიშნავია შ. გვინჩიძის ღვაწლიც. მან თარგმნა იან ღრდას ნოველები „მუნჯი ბარიკადები“ და „წითელი თორტიზა“, ნოველები, იაროსლავ ჰაშეკის „ყოჩაღი ჯარისკაცი შვეიკი“. იან ოტჩენაშეკის ცნობილი ნაწარმოებები „რომეო, ჯულიეტა და წყვილი“ თარგმნა თ. ჯავახიშვილმა, კ. ჩაპეკის ნოველები თარგმნა ნ. ამაშუკელმა.

მკვდარი ენებიდან, ბაბილონურიდან და შუმერულიდან თარგმნის ზ. კიკნაძე. ხამურაბის კანონები, ვილჰამეშის ეპოსი, შუამდინარეული პოეზია ქართული საუკეთესო თარგმანების რიცხვს მიეკუთვნება.

იაპონური, ჩინური ლიტერატურა რუსულიდან ითარგმნება, მაგრამ მათ უმეტესობას გააჩნია მხატვრული ღირებულება. აღიარებულია თ. ჩხენკელის თარგმანები: ზო ძიუის, ლაო ძის პოეზია, იაპონური ტანკები. კობო აბეს რომანები „ქალი ქვიშაში“ (ა. ბრეგაძე), „წითელი პარკი“ (ჯ. თითმერია), აკუტაგავას „უსიერ ტყეში“ (ლ. ავალიანი), იასუნარი კავაბატას „თოვლიანი მხარე“, მისივე მოთხრობები (ლ. მჭედლიშვილი).

ძველებრულ პოეზიას ვიცნობთ ჯ. აჯაიშვილის ჩინებული თარგმანებით.

აღმოსავლური პოეზია ძირითადად სპარსული პოეზიითაა წარმოდგენილი. დედნიდან, მაღალ დონეზეა თარგმნილი საიდის „ბუსტანი“ (დ. კობიძე), ძველი ირანული, ანუ ავესტური პოეზია (გ. ახვლედიანი, მ. ანდრონიკიშვილი). ნიზამი გან-

ჯელის პოემა „ლეილი და მეჯნუნი“. (მ. თოდუა), ნიზამი განჯელის, ფირდუსის, ანარის, აბუსაიდის, ჯელალ ედ-დინ რუმის, ჰაფეზის პოეზია (ვ. კოტეტიშვილი, მ. თოდუა, ნ. ბართაია, ა. ჭელიძე, ა. გვახარია, გ. ლობჯანიძე).

არაბული ლიტერატურის მნიშვნელოვანია „ათას ერთი ღამის“ რეატიომეული, რომლის თარგმნისათვის თ. მარგველაშვილსა და ნ. ფურცელაძეს მიენიჭათ ივ. მაჩაბლის პრემია.

ზემოთ განხილული ემპირიული მასალის არსებობამ განაპირობა საქართველოში თარგმანმცოდნეობის განვითარება, რომელიც სამ ასპექტს მოიცავს. ესენია: ლიტერატურული ურთიერთობანი, თარგმანის ისტორია და თარგმანის თეორია. ლიტერატურული ურთიერთობების დარგში აღსანიშნავია დ. ლაშქარაძის, შ. რევიშვილის, ო. ბაქანიძის, ვ. კავთიაშვილის, ნ. უბილავას, მ. ბიბილეიშვილის, ს. თურნავას ნაშრომები. თარგმანის ისტორიის დარგში გამოჩნეულია კ. კეკელიძის „მთარგმნელობითი მეთოდი ძველ ქართულ ლიტერატურაში და მისი ხასიათი“, ხოლო ქართული თარგმანის თეორიის შექმნის პირველი ცდა გ. გაჩეჩილაძის სახელს უკავშირდება. მისი წიგნი „მხატვრული თარგმანის თეორიის საკითხები, რეალისტური თარგმანის პრობლემა“ 1959 წელს გამოვიდა და დღესაც ამ დარგის მნიშვნელოვან ნაშრომთა შორის იხსენიება. 1988 წელს გამოვიდა ჩემი წიგნი „თარგმანის თეორია და პრაქტიკა“, 1995 წელს მონოგრაფია „თარგმანის ახალი თეორიები და სტილის ეკვივალენტობის პრობლემა“, 1997 წელს ნ. საყვარელიძის „თარგმანის კომუნიკაციურ-პრაგმატული ეკვივალენტურობის პრობლემა“, 1998 წელს ი. მერაბიშვილის „პოეტური ტექსტი და მისი თარგმანი, როგორც ლინგვისტური კვლევის ობიექტი“. თარგმანის ცალკეულ საკითხებზე დაწერილ გამოკვლე-

ფებში გამოირჩევა თ. კობლატაძის, ზ. ქუმბურიძის, რ. თვარაძის, გ. წიბახაშვილის, მ. ნათაძის, პ. იაშვილის, ვ. ჭელიძის, ნ. კაკაბაძის, თ. ჩხენკელის, თ. კობახიძის, რ. ჩხეიძის, ლ. ბრეგაძის ნაშრომები.

ერთი შეხედვით ქართული თარგმანმცოდნეობა ღარიბულად არ გამოიყურება, მაგრამ იშვიათია ისეთი ნაშრომები, სადაც დედნისა და თარგმანის შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე შეფასდებოდა ამა თუ იმ მთარგმნელის ღვაწლი. თვით ივ. მაჩაბლის შემოქმედებაზეც კი, რომელიც ქართული თარგმანის ეტალონად არის აღიარებული, არ არსებობს სერიოზული გამოკვლევა, მისი თარგმანები ლამის აპრიორულადაა დედნის კონვენიალურად მიჩნეული. ასევე, ყოველგვარი ანალიზის გარეშე ივსება გამორჩეულ მთარგმნელთა სია მაჩაბლიდან მოყოლებული დღემდე.

კანონზომიერი იქნება დავსვათ კითხვა: მამ რის საფუძველზე ხდება მთარგმნელთა გამორჩევა? რა კრიტერიუმებით ფასდება ჩვენში თარგმანი? ჩემი აზრით, იშვიათი გამონაკლისის გარდა, თარგმანის შეფასება ჩვენში ენის დონეს არ სცილდება, უფრო მეტიც, გაბატონებულია ყოველად აბსურდული აზრი: როგორ დაწერდა ავტორი ამ ნაწარმოებს, იგი რომ ქართველი ყოფილიყო, „ქართველობაში“ კი მხოლოდ და მხოლოდ გამართული ქართულით წერა ივსებისხმება ჩემი აზრით, გამართული ქართული არის ის აუცილებელი წინაპირობა, რის საფუძველზეც თარგმანს ლიტერატურულ ფაქტად მივიჩნევთ, მის გამორჩეულ ფაქტად აღიარებას კი დედანთან მისი სტილისტური ადეკვატურობის ხარისხი განაპირობებს. სტილისტური ადეკვატურობის ცნება თავის მხრივ სწორედ იქაა საძებარი, რომ უცხო ავტორი არ შეიძლება ქართველივით წერდეს, „სიუცხოვე“ ყოველი თარგმნილი ნაწარმოების აუცილებელი თანმდევი ნიშანია და რაც მთავარია, იგი გამართული ქართული ენით თარგმნას სულაც არ უპირისპირდება.

დავუბრუნდეთ ენის დონეზე თარგმანის

შეფასების საკითხს და შევეცადოთ ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების ფონზე გაეიაზროთ იგი. ცნობილია, რომ ქართულმა სალიტერატურო ენამ განვითარების თავისებური გზა განვლო, მან თავის მწვერვალს მიაღწია XII საუკუნეში და უნივერსალური სახით შემოინახა „ვეფხისტყაოსანში“. მას შემდეგ გაჩნდა ხუთსაუკუნოვანი ვაკუუმი და ენის განვითარების პროცესი ფაქტიურად განახლდა „ვეფხისტყაოსნის“ ბაზაზე. უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვით, რომ XVII-XVIII სს ქართული ლიტერატურის ენობრივ ბაზისად კვლავ „ვეფხისტყაოსანი“ რჩება, ენის თვისობრივი განახლება-განვითარება კი დაიწყო მოგვიანებით, კერძოდ, XIX საუკუნეში. ვასაკვირი სულაც არ არის, რომ ენის ერთ-ერთ რეფორმატორად ივ. მაჩაბელი მოგვევლინა. თარგმანს სამართლიანად უწოდებენ „ბუნებრივ, გიგანტურ ენობრივ ექსპერიმენტს“, რადგან უცხო ლიტერატურის ნიმუში თავისთავად მოითხოვს მშობლიური ენისადმი სპეციფიკურ დამოკიდებულებას, იგი გაიძულებს მშობლიურ ენას შეხედო, როგორც ერთ დიდ საგანძურს და იქიდან დასახული მიზნის შესაბამისად ამოძებნო ენობრივი ერთეულები. ივ. მაჩაბლის სტრატეგიული მიზანი იყო შექსპირის ტრაგედიების სათარგმნელი სტილისტური სისტემის შექმნა, (ცნობილია, რომ მას არ უთარგმნია შექსპირის არცერთი კომედია) და შექმნა კიდევ ეს სისტემა — ზეაწეული, სიტყვაუხვი, აბლიკაციებით, ანუ ქართული ლიტერატურიდან ამოკრებილი შედარებებით, ეპითეტებით, მსამზარეული ფრაზებით გამდიდრებული, და დაგვიტოვა „თავისი“ შექსპირი, რომელსაც თავიდანვე ჰქონდა დამოუკიდებელი მხატვრული ღირებულება და ათეული წლების მანძილზე ესადაგებოდა ქართულ თეატრალურ სტილისტიკასაც. აქედან შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ მაჩაბლის თარგმანებს აჩნდა თავისი ეპოქის კვალი და ეს იყო მისი ერთ-ერთი აბსტრაგირებული სტილისტური ნიშანი. მე ვერ გამოვდგები იმის მსაჯულად, რამდენად ზუსტია დედანთან სტილისტური შესატ-

ყვისობის მიხედვით მაჩაბლის თარგმანები, მაჩაბლის ფენომენი ამ შემთხვევაში მხოლოდ ენობრივი თვალსაზრისით მაინტერესებს. მაჩაბლის ენამ, ანუ შექსპირის ტრაგედიების სათარგმნელმა სტილისტურმა სისტემამ, ისეთი ზეგავლენა მოახდინა ქართულ თარგმანზე, რომ ამ ენით ითარგმნა არამარტო შექსპირის სხვა ტრაგედიები, არამედ იგი იქცა ქართული თარგმანის უნივერსალურ ენად, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მან დაამკვიდრა ტრადიცია, საუკეთესო თარგმანად მიგვეჩნია მხოლოდ მასთან მიახლოებული ენით შესრულებული თარგმანი.

მაჩაბლის შემდეგ ერთიანი სტილისტური სისტემის შექმნის ცდას ვხედავთ გერონტი ქიქოძის შემოქმედებაში. ესაა ზოგადფრანგული ნატიფი სტილი, რომელიც მცირე ვარიაციებს განიცდის სხვადასხვა ფრანგი ავტორების თარგმნისას, ხოლო როგორც სტილისტური ფენომენი მძლავრ ზეგავლენას ახდენს ფრანგული ლიტერატურის სხვა მთარგმნელებზე. სტერეოტიპი პირველად ირღვევა კარლო ქილარჯიანის ფრანსუა მორიაკის „პატარა მაიმუნში“ სადაც აშკარად ჩანს ყოველგვარი გავლენისგან თავისუფალი მთარგმნელის ცდა შექმნას დედნის სტილისტური ადეკვატი.

კ. ქილარჯიანის მაგალითი შემთხვევით არ მომიყვანია, ჩემი შემდგომი მსჯელობა უნივერსალური ენის მარწუხებიდან დაღწევის სხვა მაგალითებს საფუძველზე მიიწინააღმდეგებდა წარვმართო და შეძლებისდაგვარად დავხატო ქართული თარგმანის პანორამა.

როცა თარგმანის უნივერსალურ ენაზე ვსაუბრობთ, მხედველობაში გვაქვს ენა, როგორც სტილისტური ფენომენი, რომელსაც გააჩნია თავისი სტილისტური მახასიათებლები, ანუ აბსტრაგირებული ნიშნები, და მთარგმნელები ცდილობენ ნებისმიერი უცხო ნაწარმოების შინაარსი ამ ენის სამოსელში გაახვიონ. 40-იან და 50-იან წლებში ივ. მაჩაბლისა და გ. ქიქოძის შემოქმედებით ნასაზრდოებ ენას შენაკადივით ერთვის კ. გამსახურდიას სტილის ყველაზე მკაფიოდ გამოხატული ელემენტები და

საბოლოოდ ყალიბდება ე. წ. თარგმანის ენა — მდიდარი, არქაიზებული და ზეაწეული. ასეთი უნივერსალური ენის არსებობას ამჩნევს ახალგაზრდა ენათმეცნიერი ა. თაყაიშვილი და „ცისკრის“ ფურცლებზე იმართება დისკუსია თარგმანში არქაიზებისაგან განტვირთვით დასამედროვე ენის დამკვიდრების მომხრე ენათმეცნიერსა და ე. წ. „არქაისტებს“ შორის. ა. თაყაიშვილის მთავარი დებულებაა, რომ არქაიზებული ენა არ შეიძლება საფუძველად დაედოს არათუ თანამედროვე ლიტერატურის თარგმანებს, არამედ ძველი ლიტერატურული ძეგლების თარგმანებსაც კი, რადგან თარგმანი უპირველეს ყოვლისა თანამედროვეებისთვის სრულდება და მას უნდა აჩნდეს თავის ეპოქის კვალი. ამ დისკუსიაში ერთი რამაა ხაზგასასმელი: არცერთი მხარე არ წამოსწევს დედნისა და თარგმანის სტილისტური შესაბამისობის პრობლემას, ეს პრობლემა მხოლოდ ცალკეული გამორჩეული მთარგმნელების წინაშე დგება და ისინი ნელ-ნელა ამკვიდრებენ ენასთან ერთადერთ სწორ დამოკიდებულებას — მშობლიური ენა აღიქვან როგორც ერთიანი დიდი საგანძური, საიდანაც მოუწევთ კონკრეტული მიზნის მისაღწევად ენობრივი ერთეულების მოძიება და ორგანიზება. ამ თეზისის საფუძველზე შევეცდები რამდენიმე თარგმანის გამოყოფას, სადაც ჩემი აზრით, ჩანს დედნის სტილის გადმოცემის და არა ერთი სტილისტური ნიშნით აღბეჭდილი „სამუშაო ენის“ დედანთან მისადაგების ცდა.

ერთ-ერთი პირველი მაგალითია ჯორჯანელების მიერ თარგმნილი ჰაინეს „მოგზაურობის სურათები“, სადაც ჰაინეს თამამ-თამაშით თხრობას, ირონიასა და იუმორს, კვაზისერიოზულ ტონს და ლირიკულ გადახვევებს თითქმის ყოველთვის ეძებნება ადეკვატი და მით უფრო გასაოცარია, რომ მთარგმნელებს ზოგჯერ მაინც სძლევთ შემოთ ხსენებული უნივერსალური ენის ელემენტების გამოყენების ცდუნება, კერძოდ, ისინი თარგმანს საგანგებოდ „ამდიდრებენ“

კ. გამსახურდიას ინტონაციებითა და ოკაზიური შესიტყვებებით, ნაცნობი ასოციაციები კი სტილისტურ აფეთქებებს იწ-

ვევს და თარგმანის ესთეტიკური ზემოქმედების ძალაც სუსტდება.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ე. წ. კლასიკური ლიტერატურა ასე თუ ისე იტანს უნივერსალური ენით თარგმნას, უფრო სწორად, ამ ენის ნიჭიერად გამოყენების შემთხვევაში იქმნება დედნის სტილის რეპროდუქციის შთაბეჭდილება, მაგრამ არქაიზებული ენით თანამედროვე პროზისა და პოეზიის თარგმნა საფუძველშივე გამორიცხავს დედნისა და თარგმანის ადეკვატურობას. ამის საუკეთესო მაგალითია ტომას სტერნზ ელიოტის პოეზიის ტრადიციული ქართული პოეტიკით, ანუ უნივერსალური პოეტური ენით თარგმნის წარუმატებელი ცდა, რაზეც სამართლიანად წერდა თავის დროზე თ. კობახიძე („კრიტიკა“ № 3, 1986).

50-იან წლებში ჩვენში შემოაღწია ერნესტ ჰემინგუეის პროზამ, რომელიც ვერ ჯდებოდა ტრადიციული პროზის სტილისტიკაში და მთარგმნელებისგან მოითხოვდა ახალი გზების ძიებას. ეს გზები გაიკვალა ვახტანგ ჭელიძის, ი. გურგულიასა და ე. ფალავას თარგმანებში, რაც მთავარია, მკითხველმა დაინახა, რომ ჰემინგუეი არის ახალი პროზის დამამკვიდრებელი მწერალი.

ამავე თვალსაზრისით მინდა გამოვეყო კიდევ ერთი თარგმანი — ჯ. სელინჯერის „თამაში ჭვავის ყანაში“, სადაც ვხედავ მთარგმნელის ვ. ჭელიძის მიზანს ქართულ ენაში ამოძებნოს რომანის გმირის მეტყველების ადეკვატები. დედნის სტილისადმი ერთგულება აქ მეღავენდება სწორად მიგნებულ რიტმულ-ინტონაციურ სურათშიც და სალიტერატურო ენის მიღმა მდგომი შრეების ელემენტების სელექციაშიც. ვგულისხმობ თარგმანში ისეთი ჟარგონის ჩართვას, რომელიც გასაგებია ყველა თაობისათვის და ემოციურადაც ზომიერადაა დატვირთული. ამ გზას ვადექი მეც, როცა ვთარგმნე უ. პლენცდორფის „ახალგაზრდა ვ.-ს ახალი ვნებანი“.

70-იან წლებში სამართლიანად გახმაურდა დ. წერედიანის სახელი. იგი არ გაპყოლია ქართველი მთარგმნელების გატკეპნილ გზას, ფრანსუა ვიიონის „მცირე ან-

დერძში“ წინ წამოსწია მისი ძირითადი სტილისტური ნიშნები: მჩქეფარება, სითამამე, უხეშობა, ირონია, ხოლო სიძველე მხოლოდ იმ დოზით მიანიშნა, რომ მკითხველს იგი არ ჰგონებოდა თანამედროვე პოეტი.

ქართული

სიძველის ასეთივე გზით მინიშნების გზას ადგას „არქაისტების ბანაკის“ წვერი ბაჩანა ბრეგვაძე. პლატონის, მარკუს ავრელიუსის, არისტოტელეს, ლაროშფუკოს, პასკალის მხატვრულ-ფილოსოფიური პროზის სათარგმნელად მას თითქოს ერთიანი სტილისტური სისტემა აქვს შემუშავებული, რომელიც დარბაისლური ინტონაციით, ლოგიკურობით, აზრის სინათლით ხასიათდება, მაგრამ ამ სისტემის წიაღში ყოველი ავტორისათვის იქმნება ვარიაციები, საბოლოოდ კი ვლენულობთ ერთ დიდ შემოქმედებას, რომელსაც ავვირგვინებს „დონკიხოტი“.

ქართული ენის სიმდიდრის გამოვლენის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია ფრანსუა რაბლეს „გარგანტუა და პანტაგრუელის“ გ. გოგიაშვილისეული თარგმანი. ოდნავ გადამეტებული არქაულობა, ეტყობა, მთარგმნელის პოზიციის შედეგია და არა ე. წ. უნივერსალური არქაიზებული ენის გამოყენების სურვილი.

ენისადმი სწორ დამოკიდებულებას ვხედავ მარკესის „მარტოობის ასი წელიწადის“ თარგმანშიც (მთარგმნ. ე. ახვლედიანი). მარკესის ეპიკური თხრობის მანერის გადმოსაცემად მთარგმნელი გამიზნულად იყენებს ქართული ზღაპრის ინტონაციას, როცა ნახევრად დაუჯერებელ ამბებს გადმოგვცემს, დახვეწილ, ამაღლებულ ლექსიკას, როცა რომანტიკულ პასაჟებს თარგმნის და სადა ენობრივი ფონის შესაქმნელ ელემენტებს, როცა ირონიის გამოხატვაა საჭირო.

ზემოსხენებული ნიშნებით გამოირჩევა აგრეთვე ე. თ. ა. პოფმანის „კატა მურის ცხოვრებისეულ ფილოსოფიის“ თარგმანი (ნ. გოგოლაშვილი), სადაც სხვადასხვანაირად იხატება კატისა და ადამიანის „ენობრივი პორტრეტები“.

ცხადია, კიდევ შეიძლება რამდენიმე

თარგმანის დასახელება, მაგრამ ჩემი ძირითადი თეზისის საილუსტრაციოდ ესეც კმარა, ხოლო თანამედროვე ქართული თარგმანის პანორამა ნაკლები რომ არ გამოგვივიდეს, ჩამოვთვლი სხვა მთარგმნელების სახელებსაც, რომელთა შემოქმედება აპრიორულად, თუ სათანადო ანალიზის საფუძველზე საყოველთაოდ ადვილებული. ესენია: თ. ერისთავი, ზ. კიკნაძე, გ. გეგეჭკორი, თ. ჩხენკელი, ვ. კოტეტიშვილი, გ. ნიშნიანიძე, ჯ. აჯიაშვილი, მ. გიგინეიშვილი... ამ არასრულ სიას ჩემს სახელთან ერთად ახალგაზრდა მთარგმნელების თ. გვასალიასა და ზ. რატიანის სახელებს დავუმატებდი.



ქართული თარგმანის ისტორიაში ღირსშესანიშნავი მოვლენა იყო 1968 წელს თარგმნილი ლიტერატურის ალმანახ „ხომლის“ დაარსება. მისი პირველი რედაქტორი ვახლდათ ვახტანგ ჭელიძე, რედაქციის კი შედიოდნენ: ვ. ბეწუკელი, ც. თოფურიძე, მ. კვესელავა, ვ. კოტეტიშვილი, ვ. ქოჩორაძე, ნ. ყიასაშვილი. გარდა იმისა, რომ „ხომლი“ იყო თარგმნილი ლიტერატურის პირველი პერიოდული გამოცემა, იგი ისტორიულ მნიშვნელობას იძენს იმითაც, რომ მის პირველივე ნომერში ერთბაშად გამოჩნდა ქართული თარგმანის დონე, იქ თავი მოიყარა იმ დროს აქტიურად მოღვაწე მთარგმნელთა უმეტესობამ და ამავე დროს ნათლად დაეინახეთ ქართველ მთარგმნელთა და მკვლევართა ლიტერატურული ინტერესებიც. ეს ინტერესები რომ ფართო სპექტრს მოიცავდა, დასტურდება იმ მასალით, რაც „ხომლის“ პირველ ნომერში დაიბეჭდა. ეს იყო: ერნესტ პემინგუეის რომანი „ვის უხმობს ხარი“ (მთარგმნ. ინოლა გურგულია და ეთერ ფაღავა), ძველევგვიპტური პოეზია (მურმან ლებანიძე), ფრანსუა მორიაკის „პატარა მაიმუნი“ (კარლო ქილარჯიანი), პაფუზის ყაზალები (ვახუშტი კოტეტიშვილი), ლუი არაგონის „რომაული სამართალი აღარ არსებობს“ (ვიოლეტა ვეზირი-

შვილი), ნგუენ ჩუნგ თხანის „სა-ნუსტყე“ (ქეთევან ჭილაშვილი), ფრანგული ლექსები (ვივი გეგეჭკორი), ჯეიმს ჯოისის მოთხრობები (ლია იმერლუშვილი), პაინრის პაინეს ლექსები (გ. ბეწუკელი), ჯერომ სელინჯერის მოთხრობები (ვახტანგ ჭელიძე), მ. კვესელავას ნ. ყიასაშვილის, თ. ერისთავის წერილები.

ცხადია, შემოთ ჩამოთვლილი თარგმანების მხატვრული დონე ერთნაირი არაა, მაგრამ „ხომლის“ პირველივე ნომრის საერთო დონე იყო მაღალი და ეს ფაქტი ქართული ორიგინალური ლიტერატურის იმდროინდელ აღმავლობასაც ეხმიანებოდა. იმთავითვე განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ორმა ახალგაზრდა მთარგმნელმა ინოლა გურგულიამ და კარლო ქილარჯიანმა, რომლებიც, სამწუხაროდ, ადრე წვიდნენ ამ ქვეყნიდან და თავიანთი ნიჭის შესაფერი კვალი ვერ დატოვეს ქართულ თარგმნილ ლიტერატურაში. კარლო ქილარჯიანმა „ხომლში“ წარმატებული დებიუტის შემდეგ ხელი მოჰკიდა ფლობერის „სალამბოს“ თარგმნას, რომელიც მისი ვარდაცვალების შემდეგ დაასრულა მანან გიგინეიშვილმა.

„ხომლი“ თავიდანვე მიზნად ისახავდა ქართველი მკითხველისათვის გაეცნო მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებები, მაგრამ მისი არეალის მიღმა რჩებოდა საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურა და ამ ხარვეზის შესავსებად მას მალე მოჰყვა ალმანახი „ცისარტყელა“ (რედაქტორი კ. ლორთქიფანიძე). ეს პროცესი საბოლოოდ დასრულდა 1974 წელს ორივე ალმანახის ბაზაზე ალმანახ „საუნჯის“ დაარსებით, რომელიც დღეს ეურნალად იწოდება და წარმატებით აგრძელებს „ხომლის“ ტრადიციებს.

შემოსვენებულ ალმანახებში წლების მანძილზე იბეჭდებოდა თუ ყველა თარგმანი არა, თითქმის ყველა ქართველი მთარგმნელის თითო ნამუშევარი მაინც. მათ ფურცლებზე ჩნდებოდა და ქრებოდა ახალი სახელები, მაგრამ უმეტესობა მკვიდრდებოდა მკითხველის მესხიერებაში და ამგვარად იქმნებოდა თანამედრო-

ვე ქართული თარგმანის თითქმის სრულყოფილი პანორამა, მაგრამ „საუნჯის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული თარგმანები უმეტეს შემთხვევაში მის ფურცლებზევე რჩება, წიგნად გამოუცემელი თარგმანი კი მასობრივ მკითხველამდე ვერ აღწევს და, ამგვარად, ქართულ საზოგადოებაში ნელ-ნელა სუსტდება თარგმნილი ლიტერატურის შემეცნებითი როლი. ამ ვითარებაში საუკეთესო გამოსავალია მცირეფორმატიანი, იაფი გამოცემები, რაც ჩვენში გამომცემლობა „ლომისმა“ დაამკვიდრა და რჩეულთა ბიბლიოთეკის სერიით გამოსცა არაერთი საინტერესო წიგნი. მათ შორის საკმარისია დავასახელოთ: სოსე ორტეგა ი ვასეტის „ხელოვნების დეკლარაცია“, ჟან-პოლ სარტრის „სარკის მეორე მხარე“, მარსელ პრუსტის „წიგნის კითხვა“, ართურ შოპენჰაუერის „ცხოვრებისეული სიბრძნის აფორიზმები“, ნიკოლაი ბერდიაევის „ერი და კაცობრიობა“, ალექსეი ლოსევის „დუ-

მილი“, მიგელ დე უნამუნოს „სულის სიღრმეში“, პოლ გოგენის „ნოა ნოა“, ანდრე ჟიდის „ხელოვნების საზღვრები“, თომას მანის „რიჰარდ ვაგნერი“, ალბერ კამიუს „სიზიფეს მითი“, ჰერმან ჰესეს „ფიქრი და განსჯა“, რიჰარდ ვაგნერის „მიმლოცველობა ბეთჰოვენთან“ და ა. შ.



უპონორარობისა და წიგნად გამოცემის უპერსპექტივობის მიუხედავად, ქართველ მთარგმნელთა ერთი ნაწილი აგრძელებს შემოქმედებით საქმიანობას, ითარგმნება პოეზიაც, პროზაც, მათ შორის არცთუ იშვიათია დიდტანიანი ნაწარმოებებიც, რაც შეიძლება დავინახოთ „საუნჯის“ უკანასკნელი წლების ნომრებში. ეს კი იმის საწინდარია, რომ ქართული თარგმანის ისტორია გრძელდება, ივსება ახალი სახელებითა და ახალი შემოქმედებითი გამარჯვებებით.





ბესარიონ ბელინსკისა და ნიკოლაი გოგოლის მიმოხილვა

მკითხველისათვის კარგად არის ცნობილი არსებობა ბელინსკის გახმაურებული „წერილისა გოგოლს“, ასევე მრავალი სხვაგვარი ტყუილ-მართალი გოგოლის ცხოვრების ბოლო წლებისა: თითქოს ფსიქიურად დაავადდა, დაწვა „მკვდარი ხულების“ მეორე ტომის ხელნაწერები, ერთხელ, მეორედ... განუდგა თავის პირვანდელ, დიდების შობტან შემოქმედებას და დაწერა საეჭვო ღირებულების წიგნი „ნარჩევი ადგილები მეგობრებთან მიმოწერიდან“, რომელმაც ამთავითვე აზრთა უჩვეულო სხვადასხვაობა გამოიწვია.

„წერილი გოგოლს“ იყო პასუხი გოგოლის წერილზე ბელინსკისადმი, რომელსაც წინ უძღოდა ბელინსკის გამკილავი სტატიები „ნარჩევ ადგილებსა...“ და „მკვდარი ხულების“ მეორე გამოცემის შესახებ ჟურნალი „სოფრემნიკის“ 1847 წლის მეორე და პირველ ნომრებში. ორივე წერილის ხულისკვეთება ერთი და იგივე იყო—ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს და, თუ მწერალი სახეებით მეტყველების ნაცვლად „რაღაც დიად ჭეშმარიტებათა მაუწყებლის ტონს“ იხუმებს, ეს ტალანტის კვდომის ნიშანია.

მისი ნიჭის თაყვანისმცემლის უარყოფითმა შეფასებამ გული სტკინა მწერალს და მან კრიტიკოსს სევდიანი წერილით უპასუხა, რომელშიც სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ მისი სოფრემნიკის ადამიანი გაანაწყენა. ბელინსკის ნამდვილი რისხვა სწორედ ამ წერილმა გამოიწვია და პასუხად შეიქმნა სახელგანთქმული „წერილი გოგოლს“, რომელიც დღეს ბელინსკის შემოქმედების მწვერვალად ითვლება და მის თხზულებათა კრებულებში შეიტანება ძირითად, შემოქმედებით ნაწილში და არა მიმოწერების განყოფილებაში.

პასუხის გაუცემლობა „წერილზე გოგოლს“ შეუძლებელი იყო და გოგოლმაც დაწერა პასუხი, რომელიც ძალე თვითონვე დაიწუნა და, ჩვეულებისამებრ, ნაკუწებად აქცია. ჩვენ მიერ თარგმნილი ვარიანტის ტექსტი მკვლევართა მიერ სწორედ ამ ნაკუწებისაგან არის აღდგენილი. ბელინსკის კი გაეგზავნა მეორე, მცირე მოცულობის გაწონასწორებული ვარიანტი, რომელიც შთამბეჭდავი ნიმუშია იმისა, თუ როგორ ხვდებიან დიდი ადამიანები მწვავე, სამართლიან თუ უსამართლო კრიტიკას.

ვფიქრობთ, ქართველ მკითხველს დააინტერესებს გოგოლის ავბედითი „ნარჩევი ადგილების“ გამოქვეყნებასთან დაკავშირებული დრამატული მონაკვეთი რუსული ლიტერატურის ისტორიაში, მით უმეტეს, რომ ამ წიგნის გარშემო —

საუბარია მის საქმიან ანალიზზე — დღემდე ლიტერატორთა შორის დუმილია დაწესებული.

„გადარჩენილ ნაწევებში ძალიან ბევრია ისეთი გვერდები, რომლებიც უნდა მიეკუთვნონ ყველაზე საუკეთესოს, რაც კი ოდესმე შეუქმნია გოგოლს... რაც შეეხება მისი ტალანტის წმინდად იუმორისტულ მხარეს, — თითოეული გვერდი, ყველაზე ნაკლებ იღბლიანად მიგნებულაც კი ადასტურებს იმას, რომ ამ მხრივაც გოგოლი ყოველთვის რჩებოდა ძველებურ, დიდ გოგოლად“.

ჩვენი მიზანი „ნარჩევი ადგილებით...“ მკითხველის დაინტერესებისა გვსურს გავამაგროთ კიდევ ერთი და უპირველესი ავტორიტეტის — ლევ ტოლსტოის აზრით, რომელიც რუსული ლიტერატურის ბუმბერაზმა 1909 წლის 9 მარტს ჩაწერა თავის დღიურში. „ბევრს ვფიქრობდი გოგოლსა და ბელინსკიზე. მეტად საინტერესო შედარებაა. რა მართალია გოგოლი თავისი უმსგავსოებით და რა თავიდან ბოლომდე ტყუის ბელინსკი მთელი მისი ბრწყინვალეობით და ზიზღიანი სიტყვებით რომელიღაც ღმერთზე“. გოგოლი ეძებს ღმერთს ეკლესიის რწმენაში, — იქ, სადაც ის შებღალულია, მაგრამ მაინც ეძებს ღმერთს... სოლო ბელინსკი, მეცნიერებისადმი რწმენის წყალობით, რომელიც ისეთივე უგუნურებაა, თუ უარესი არაა, — მაგრამ ამჟამად უფრო მავნეა, ვიდრე რწმენა ეკლესიისა, არ საჭიროებს არავითარ ღმერთს. რა თემაა ფრიად საჭირო სტატიისათვის!“

სამწუხაროდ, ტოლსტოის არ დასცალდა ამ „ფრიად საჭირო“ სტატიის დაწერა.

პოსარგმნელი

ბ. ბელინსკი „სოვრემენიკი“, № 1 1847.

ჩინიკოვის თავგადასავალი, ანუ მკვლარი სულეტი,
ნ. გოგოლის კომედი. მეორე გამოცემა. მოსკოვი, 1846.

არც დრო და არც ადგილი არ გვაძლევს საშუალებას, წამოვიწყოთ დაწვრილებითი ახსნა-განმარტებანი „მკვდარი სულეების“ ვარშემო, მით უმეტეს, რომ ამას ჩვენ უეჭველად გავაკეთებთ ახლო მომავალში, როცა შევთავაზებთ „სოვრემენიკის“ მკითხველს არა ერთ სტატიას გოგოლის თხზულებათა და განსაკუთრებით — „მკვდარი სულეების“ შესახებ. ჯერჯერობით კი მოკლედ მოვჭრით, რომ ჩვენი გულწრფელი, ღრმა რწმენით „მკვდარი სულეტი“ ძალზე მაღლა დგას რუსულ ლიტერატურაში, რადგან მასში ცოცხალი საზოგადოებრივი აზრის სიღრმე ოსტატურად ერწყმის სახეების იმ ვიით მხატვრულობას და ეს რომანი, რატომღაც პოემად წოდებული, წარმოადგენს რა-

მდენადაც ეროვნულ, იმდენად მაღალმხატვრულ ნაწარმოებს. მას აქვს თავისი ნაკლოვანებანი, მნიშვნელოვანი და უმნიშვნელო, ამ უკანასკნელთ მიეკუთვნება უსწორმასწორობანი ენისა, რომელიც გოგოლის ტალანტის ისეთივე სუსტი მხარეა, რა სიძლიერისაცაა მისივე თბრობა, მისი სტილი. მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები კი გვხვდება ყველგან, სადაც ავტორი ძალისძლად ცდილობს პოეტიდან, მხატვრიდან იქცეს რაღაცნაირ წინასწარმეტყველად და ამ დროს ვარდება რამდენადმე გაბუქულ და მაღალფარდოვან ლირიზმში. საბედნიეროდ, ამგვარი ლირიული ადგილები რომანში ბევრი არაა და ისინი შეიძლება გამოტოვებულ იქნას კითხვის დროს ისე, რომ არაფერი დაიკა-

რგოს თვით რომანით მიღებული სიამოვნებისგან.

მაგრამ, საუბედუროდ, ეს მისტიკურ-ლირიული გადახვევები „მკვდარ სულელებში“ არ არის შემთხვევითი შეცდომები ავტორისა, არამედ, შესაძლოა, ჩანასახიც იყოს მისი ტალანტის სრული კვდომისა რუსული ლიტერატურისათვის... ივიწყებს რა მხატვრის მოვალეობას ავტორი იჩემებს ტონს რაღაც დიად ჭეშმარიტებათა მაუწყებლისა, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ პარადოქსებია თავის ნამდვილ გზას აცდენილი ადამიანისა, და როგორც მცდარი თეორიები და სისტემები, ყოველთვის დამღუპველად მოქმედებს ხელოვნებასა და ტალანტზე. ასე მაგალითად, შარშან გამოქვეყნდა გოგოლის სტატია ჟუკოვსკის მიერ „ოდისეის“ თარგმანის შესახებ, ერთობ გაჯერებული წინასწარმეტყველის ზეალმატებული ტონის პარადოქსებით, ასე რომ ერთმა უნიჭო მწერალმა თავს ნება მისცა დაეწერა უხეში და შეურაცხყოფელი სტატია ამ თემაზე, თუმცა საფუძვლიანი და მართებული გოგოლის პარადოქსების მხილების თვალსაზრისით. ამ ამბავმა დაამწუხრა გოგოლის მეგობრები და მისი ტალანტის თაყვანისმცემლები და გაახარა მისი მტრები. მაგრამ ყველაფერი ამით არ დამთავრებულა. „მკვდარი სულელების“ მეორე გამოცემა გამოვიდა წინასიტყვაობით, რომელმაც... დაგვაშინა უფრო მეტად, ვიდრე რუსულ ლიტერატურულ მატრიანეში გახმაურებულმა ზემოხსენებულმა სტატიამ „ოდისეის“ თარგმანის შესახებ. ეს წინასიტყვაობა გვინერგავს გრძნობას ცხოველი საშიშროებისა, რაც მოელის „რევიზორისა“ და „მკვდარი სულელების“ შემქნელის სახელს მომავალში (წარსულში მას ხინჯი არ ჰქონია); იგი ემუქრება რუსულ ლიტერატურას დიდი ნაადრევი დანაკლისით. ეს წინასიტყვაობა თავისთავადაც უცნაურია, მაგრამ მისი ტონი... c'est le ton qui fait la musique,* როგორც იტყვიან ფრანგები... ამ ტონში იმდენი ზღვარგადასული მორჩილება და თვითგა-

ნქიქებაა, რომ ძალაუნებურად მკითხველს სრულიად საწინააღმდეგო გრძნობათა არსებობაში აეჭვებენ.

„ვინც არ უნდა იყო მწიფი, ჩემო მკითხველო, რა წოდებისა, რა ადგილზეც არ უნდა იდგე, მაღალი ჩინით ხარ პატივდებული, თუ უბრალოდ ხარ ეკუთვნი, — თუ ღმერთს შენთვის წერა-კითხვის უნარი მოუცია და ხელთ ჩემი წიგნი ჩაგივარდება, — გთხოვ დამეხმარო“.

ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს არის წინასიტყვაობის დასაწყისი წიგნისათვის „მოსკოველი ვაჭრის ტრიფონ კორობეინიკოვისა და მისი ამხანაგების მოგზაურობა იერუსალიმში, ეგვიპტესა და სინაის მთაზე 1583 წელს“? — არა, რა თქმა უნდა: ეს გახლავთ დასაწყისი პოემა „მკვდარი სულელების“ მეორე გამოცემის წინასიტყვაობისა... მაგრამ განვაგრძოთ —

„წიგნში, რომელიც ამჟამად დევს შენ წინაშე და ალბათ უკვე წაკითხულიც გაქვს პირველ გამოცემაში,** გამოსახულია ადამიანი, რომელიც ჩვენივე სახელმწიფოდანვეა აღებული. დაიარება იგი ჩვენს რუსულ მიწაზე, გზად ხვდება ყველა ფენის ადამიანებს — კეთილშობილთაც და უბრალოთაც. იგი უფრო იმისთვის არის გამოყვანილი, რომ გვაჩვენოს რუსი ადამიანის, მანკიერება და ნაკლი, და არა მისი ღირსებანი და კეთილი თვისებები. სხვა ადამიანებიც, მის გარშემო რომ ტრიალებენ, ასევე იმისთვის არიან გამოყვანილი, რომ დაგვანახონ ჩვენი სისუსტე და ნაკლოვანება; უკეთესი ადამიანები და ხასიათები სხვა ნაწილებში იქნებიან წარმოდგენილი. ამ წიგნში ბევრი რამ არასწორადაა აღწერილი და არა ისე,

*. ტონი ქმნის მუსიკას (ფრანგ.).

** . ავტორი ხუმრობაგაშეებით ფიქრობს, რომ მის წიგნს დაბალი ფენის წარმომადგენლებიც კითხულობენ... იმასაც ხომ არ ფიქრობს ავტორი, რომ განზრახ ამ მიზნით შეისწავლეს წერა-კითხვა და დაეწაფნენ ლიტერატურას? (ბელინსკის შენიშვნა).

როგორც არის სინამდვილეში რუსეთში, რადგან მე არ შემიძლო ყველაფერი მცოდნოდა: ერთი ადამიანის სიცოცხლე მეტიმეტად მცირეა საიმისოდ, რომ გაიგოს მეასედიც კი ყოველივესი, რაც ხდება ქვეყანაზე. ამასთან ჩემი დაუდევრობის, მოუმწიფებლობისა თუ სიჩქარის გამო დავუშვი მრავალი შეცდომა და იაღლიში. ასე რომ, ყველა გვერდზე იპოვის კაცი გასასწორებელს: ამიტომ მე გთხოვ შენ, მკითხველო, გამისწორო, ნაწერი. ნუ მეტყვი უარს ამ საქმეზე, რაოდენ დიდი განათლებისაც არ უნდა იყო და მაღალი ცხოვრებით ცხოვრობდე (?), რა უღიმღამოდაც არ უნდა ჩანდეს შენს თვალში ჩემი წიგნი, რა წერილმან საქმედაც არ უნდა გერწვენებოდეს მისი შესწორება და შენიშვნების გამოგზავნა, — მე მაინც გთხოვ, გააკეთო ეს. ხოლო თუ შენ არა ხარ დიდი განათლებისა და წოდებაც უბრალო გაქვს, ნუ ჩათვლი შენს თავს ისეთ ბრიყვად*, რომელსაც არ შეუძლია რამე მასწავლოს“, — და ა. შ.

ასე და ამგვარად, ჩვენი მოკრძალებული ავტორი შესთხოვს ყველას და თითოეულს „გააკეთონ შენიშვნები მთელ მის წიგნზე, არ გამოტოვონ არც ერთი ადგილი“ და ნუ წაიკითხავენ მას ისე თუ კალამს არ მოიმარჯვებენ და საფოსტო ქაღალდს ცხვირწინ არ დაიდებენ, მერე კი უგზავნონ ავტორს თავიანთი შენიშვნები. ამრიგად, რუსი ადამიანი ჩვენ ვერ უნდა

წარმოვიდგინოთ სხვანაირად, თუ არა გადაშლილი „მკვდარი სულებით“ მუხლებზე, კალმით ხელში და საფოსტო ქაღალდის ფურცლით მაგიდაზე; სამეფოც, რასაკვირველია, იგულისხმება. განსაკუთრებით ცუდ დღეში ~~ადამიანებთან~~ არა დიდი განათლების მქონენო, ~~მეცხოვრებნი~~ მაღალი ცხოვრებით მცხოვრებნი“ და უბრალო წოდებისანი: წერა არ იციან, არადა საჭიროა... იქნება სჯობდეს ყველა მათგანი საზღვარგარეთ გაემგზავროს ავტორთან პირადად სალაპარაკოდ, — მართლაც, სიტყვებით ახსნა ხომ უფრო ადვილია, ვიდრე წერილობით... მართალია, ეს მგზავრობა ცოტა ძვირი დაუჯდებათ, მაგრამ სამაგიეროდ შედეგი როგორი იქნება!...

ვის სჭირდება ეს ფარსი? — იკითხავ, შენ, მკითხველო. გიპასუხებთ გოგოლის ერთ-ერთი კომედიის გმირის სიტყვებით: „წადი და პკითხე ხანდახან იმ კაცს, რისგან აკეთებს, რასაც აკეთებს.“...

ამ ფანტასტიკურ წინასიტყვაობაში არის ერთი ფრიად დამაიმედებელი ცნობა, რომ „იქნება შემდგომად გამოცემა ახალი (ე. ი. ახალი გამოცემა) ამა წიგნისა. განსხვავებული და უკეთესი“. ღმერთო, როგორ გაძვირდება მაშინ წინა ორი გამოცემა!... მართლაც, სანამ მეორე გამოცემა გამოვიდოდა, პირველის ფასმა სამი მანეთიდან ვერცხლით ათ მანეთამდე აიწია...

ბ. ბელინსკი, „სოვრეჰენიკი“, № 2. 1847.

ნარჩევი აღბილები ნიკოლაი გოგოლის მიმოწერიდან მემოზრებებისადმი, ს. პეტერბურგი. 1847.

ეს არის ყველაზე უცნაური და ჭკუისსასწავლებელი წიგნი, რაც კი რუსულ

*) როგორც ჩანს, ავტორს უნდოდა ეთქვა — უმეცრადო. აღსანიშნავია, რა ოსტატურად ახერხებს იგი უბრალო ადამიანების გამხნეებას, რომ ისინი მისი სიდიადის წინაშე არ აცახცახდნენ... (ბელინსკის შენიშვნა).

ენაზე გამოცემულა. მიუკერძოებელი მკითხველი მასში პპოვებს, ერთის მხრივ, მძიმე დარტყმას ადამიანის სიამაყეზე და, მეორეს მხრივ შინაგანად გამდიდრდება საინტერესო ფსიქოლოგიური ფაქტების გაცნობით, რაც მის საწყალ ადამიანურ ბუნებას შეეხება... ისე კი, ოღნავაც არ იქნება მართალი ის, ვისაც ამ წიგნის კი-

თხვისას მონაცვლეობით შეიპყრობს ხან მძიმე სევდა, ხან ბოროტი სიხარული, — სევდა იმის გამო, რომ უზარმაზარი ტალანტის ადამიანი ისევე შეიძლება დაენარცხოს ძირს, როგორც ყველაზე ჩვეულებრივი, სიხარული კი იქიდან, რომ შეუძლებელია ყოველგვარი ცრუ, გაჭიანურებული და არაბუნებრივი შეინიღბოს და არ დაისაჯოს თავისივე უხამსობის მიზეზით. ამ წიგნის აზრი არც თუ ისე მწუხარებისმომგვრელია. აქ საქმე მხოლოდ ხელოვნებას ეხება და რაც ყველაზე უარესია, ეს არის ის, რომ — ხელოვნებამ კიდევ ერთი ადამიანი დაკარგა.

რამდენი წიგნი გამოსულა ეპიგრაფებით, რომლებიც ოდნავადაც არ უხდებიან მას და არც არაფერს განმარტავენ, ამ წიგნს კი, რომელიც სულ უეპიგრაფოდ გამოვიდა, რამდენი მათგანი დაამშვენებდა, მაგალითად, როგორ მოუხდებოდა ასეთი ეპიგრაფი: «Суета сует и всяческая суета» ან ასეთი: „Du sublime au ridicule il n'y a qu'un pas!“. მაგრამ ნუ ვილაპარაკებთ იმაზე, რა არის და რა არ არის მასში, ვილაპარაკოთ იმაზე, რაც არის შიგ... შესავლიდან ვგებულობთ, რომ ავტორი სიკვდილის პირას იმყოფებოდა. ავადმყოფმა დაწერა ანდერძი. ამაში არაფერია არაბუნებრივი და ეს ყველას შეიძლება დაემართოს. მაგრამ არის ერთი ძალზე უჩვეულო რამ, რაც ჯერ არც ერთ კერძო პირს არ შემთხვევია. ნ. ვ. გოგოლის ანდერძი, რომელიც წიგნში მთლიანადაა მოყვანილი, არ შეიცავს არავითარ ოჯახურ წვრილმანებს, რომლებიც მასში, ცხადია, არც უნდა ყოფილიყვნენ. სამაგიეროდ, იგი მთლიანად შედგება ინტიმური საუბრისაგან რუსეთთან... ანუ: ავტორი ლაპარაკობს და არიგებს, რუსეთი კი უსმენს და პირობას აძლევს, რომ შეუსრულებს. აქვეა ლაპარაკი, როგორც გოგოლის შემოქმედების გვირგვინზე, რაღაც „გამოსა-

თხოვარზე“, რომელიც გამიზნულია მაღალი სულის მკითხველისათვის ჭკუის სასწაელებლად და სიამოვნების მისანიჭებლად... მერე ნათქვამია, რომ ავტორმა დაწვა ყველა ხელნაწერი, როგორც უვარგისი... მათ ნაცვლად უნდა ავტორი სთხოვს მკითხველს, გამოსცეს ეს წერილები, 1844 წლიდან მოყოლებული, რომლებიც ასევე მაღალი სულის მკითხველისათვის სარგებლობის მოსატანად არიან გამიზნული. აი, რა სიტყვებით მთავრდება ანდერძი:

VII. ვიბარებ... მაგრამ გამახსენდა, რომ ამის მოთხოვნის უფლება უკვე აღარა მაქვს. გაუფრთხილებლობის გამო მე დავკარგე საკუთრების უფლება; ჩემი სურვილისა და თანხმობის გარეშე გამოქვეყნდა ჩემი პორტრეტი. მრავალ მიზეზთა გამო, რომლებზედაც არ ღირს ლაპარაკი, მე არ ვაპირებდი ამას. არავისთვის მიმიყიდა საჯარო გამოცემის უფლება და უარით ვისტუმრებდი ყველა წიგნით მოვაჭრეს, რომლებიც დღემდე მომმართავენ წინადადებებით, და მხოლოდ იმ შემთხვევაში ვაპირებდი თანხმობის მიცემას, თუ ღმერთი ინებებდა და დავამთავრებდი ნამუშრომს, რომლითაც ჩემი გონება იყო დაკავებული მთელი ცხოვრების მანძილზე, თანაც დავამთავრებდი ისე, რომ ყველა ჩემს თანამემამულეს ერთხმად ელიარებინა, რომ მე პატიოსნად მოვიხადე ჩემი ვალი, და გამოთქვამდნენ სურვილს ეხილათ სახის ნაკეთები ადამიანისა, რომელიც ამხნობამდე უხმაუროდ იღწვოდა და არ სურდა ესარგებლა დაუმსახურებელი პატივით. ამას ერთვოდა შემდეგი გარემოება: ასეთ შემთხვევაში შესაძლოა ჩემი პორტრეტი გაყიდულიყო მრავალ ეგზემპლარად და მნიშვნელოვანი შემოსავალი მოეტანა მხატვრისთვის, რომელიც მის გრავირებას შეასრულებდა. ეს მხატვარი უკვე რამდენიმე წელია მუშაობს რომში რაფაელის უკვდავი „უფლის ფერისცვალების“ გრავირებაზე. მან ყველაფერი გასწირა ამ შრომისათვის, მომაკვდინებელი შრომისათვის, რომელმაც მთანთქა მისი წლები და ჯანმრთელობა,

* ამაღლებულიდან სასაცილომდე ერთი ნაბიჯია (ფრანგ.)

და ისეთი სრულყოფით შეასრულა თავისი საქმე, რომელიც ამჟამად დასასრულს უახლოვდება, როგორც არ შეუსრულებია ქვეყნად არც ერთ გრაფიორს. მაგრამ მაღალი ფასისა და ამ საქმის მცოდნეთა მცირერიცხოვნობის გამო ესტამპი ვერ ვრცელდება ისეთი რაოდენობით, რომ აანაზღაუროს მასზე დახარჯული შრომა. ჩემი პორტრეტი დახმარებას გაუწევდა მას. ახლა კი ჩემი გეგმა დამსხვრეულია უკვე ერთხელ გამოქვეყნებული გამოსახულება, ვისიც არ უნდა იყოს, იქცევა ყველას საკუთრებად, ვინც კი გრაფირებას და ლითოგრაფიას ეწევა. მაგრამ თუ მოხდა ისე, რომ ჩემი სიკვდილის შემდეგ გამოცემული წერილები რაიმე სარგებლობას მოუტანს საზოგადოებას, (თუნდაც მხოლოდ გულწრფელი განზრახვით სარგებლობის მოტანისა) და ჩემი თანამემამულენი გადაწყვიტენ იხილონ ჩემი პორტრეტი, მაშინ ჩემს ყველა გამომცემელს ვთხოვ, დიდსულოვნად უარი თქვან თავიანთ უფლებაზე. ხოლო იმ მკითხველებს, რომლებმაც ყოველივე სახელგანთქმულის მიმართ გადამეტებული პატივისცემის გამო უკვე შეიძინეს ჩემი რომელიმე პორტრეტი, ვთხოვ გაანადგურონ იგი ამ სტრიქონების წაკითხვისთანავე, მით უფრო, რომ იგი ცუდადაა შესრულებული და არც მსგავსებაა დაცული, და შეიძინონ მხოლოდ ის, რომელზედაც იქნება წარწერა: „გრაფიორი იორდანოვი“. ამით ისინი გააკეთებენ, სულ ცოტა, სამართლიან საქმეს. და კიდევ უფრო უკეთესი იქნება, თუ ისინი, ვისაც ამის საშუალება აქვს, შეიძენენ ესტამპს: „უფლის ფერისცვალება“, რომელიც, თვით უცხოელთა აღიარებით, არის საგრაფიორო საქმის მწვერვალი და სახელს გაუთქვამს რუსულ ხელოვნებას.

ეს ანდერძი ჩემი სიკვდილისთანავე გამოქვეყნდეს ყველა ჟურნალსა და უწყებაში, რათა უნებურად არავინ იქცეს ჩემ წინაშე უდანაშაულო დამნაშავედ და არ აენოს საკუთარ სულს“.

ბ-ნი გოგოლი თხოვს თანამემამულეებს,

წაკითხონ მისი ახალგამოცემული წიგნი „ნარჩევი ადგილები მეგობრებთან მიმოწერიდან“ რამდენჯერმე, ხოლო მათ შორის შეძლებულებს თხოვს, შეიძინონ იგი „რამდენიმე ეგზემპლარად და დაურჩონ იმათ, ვისაც მისი შექენა სურს“. სირიაში წმინდა ადგილების მოსახლეობლად გამგზავრების წინ იგი თხოვს შენდობას ყველას, ვის წინაშეც დანაშაული მიუძღვის, აგრეთვე მათ, ვისთვისაც არაფერი დაუშავებია... აღიარებს, რომ ადამიანების მიმართ მის ქცევაში ბევრი რამ იყო უსიამოვნო და ძნელად ასატანი.

„ნაწილობრივ ეს იმის გამო ხდებოდა (ამბობს იგი), რომ მე თავს ვარიდებდი შეხვედრებსა და ახალ ნაცნობობას, ვგრძნობდი, რომ ჯერჯერობით არ შემეძლო ადამიანებისათვის ჭკვიანური და საჭირო სიტყვა შეთქვა (არაფრისმაქნისი და უსარგებლო სიტყვის თქმა კი არ მსურდა), ამავ დროს მწამდა, რომ ურიცხვ ნაკლოვანებათა გამო საკუთარი თავის აღზრდა ხანდახან მაინც უნდა მეწარმოებინა ადამიანებისაგან მოშორებით, ნაწილობრივ კი ეს ხდებოდა წერილმანი პატივმოყვარეობის გამო, რომელიც მხოლოდ იმათ ახასიათებთ, ვინც წუმბედან თავის დაღწევის გზით გავიდა ხალხში და ამიტომაც თავს ნებას აძლევს ქედმაღლურად შეაფასოს სხვები“.

შესავლისა და ანდერძის შემდეგ იწყება წერილები. ამ წერილებში ავტორი წარმოგვიდგენს საკუთარ თავს, როგორც ავადმყოფობის წყალობით თვალემახილილს, აღსავსეს სიყვარულით, თვინიერებით და, განსაკუთრებით, მორჩილებით... მათი შინაარსი სრულ შესაბამისობაშია ამგვარ სულისკვეთებასთან. ეს არის არა წერილები, არამედ უმაღლესი მკაცრი და, ხანდახან, მრისხანე დარიგებანი მასწავლებლისა... იგი ასწავლის, არიგებს, ურჩევს, ამხელს, კიცხავს, შეუნდობს და ა. შ. მას ყველანი მიმართავენ კითხვებით და ისიც არავის სტოვებს უპასუხოდ... იგი სწორედ ასე ლაპარაკობს: „ყველა რაღაცნაირი ინსტინქტით მომმართავდა მე,

მთხოვდნენ რჩევასა და დახმარებას“. იქვე, რამდენიმე სტრიქონის შემდეგ კი: „ბოლო ხანებში მე ვღებულობდი წერილებს იმ ადამიანებისგანაც, რომლებსაც თითქმის სულ არ ვიცნობდი, და ვპასუხობდი ისე, როგორც ვერ ვუპასუხებდი ადრე. და ამ დროს (?) მე არაფისზე ჭკვიანი არა ვარ“. შემდგომ ამისა მოდის ახსნა-განმარტება, რომ მისი დაბრძენება გამოიწვია ავადმყოფობამ. სხვა წერილში, აძლევს რა მეგობარს რჩევას სამეურნეო დარგში, ავტორი ამბობს: „ოღონდ კარგად ჩაწვდი მას და არ წააგებ; ორი ადამიანი უკვე მოვიმადლიერე ამით. ერთი მათგანია შენი ახლობელი K.* ხედავთ, იგი თავის თავს უკვე თვლის რადიკალურ cure du village*-ად, ან სულაც თავის პატარა კათოლიკური სამყაროს პატრიარქად. უსმინეთ მის რჩევას და განცვიფრდით...“

ლაპარაკობს რა ქალის მნიშვნელობაზე საზოგადოებაში ერთი ქალბატონისადმი მიწერილ წერილში, ავტორი აღმოგვიჩენს რუსეთში გავრცელებული მტაცებლური მომხვეჭელობის მთავარ მიზეზს. ბოროტების მიზეზის პოვნა — თითქმის იგივეა, რაც მისი განკურნება, და „მიმოწერის“ ავტორიც პოულობს მას... ისმინეთ: მთავარი მიზეზი მოხელეთა მექრთამეობისა მომდინარეობს „მათი ცოლების მფლანგველობიდან, რომლებიც დახარბებულნი არიან, იბრწყინონ ყველანაირ საზოგადოებაში, და ამისთვის ფულს ითხოვენ თავიანთი ქმრებისაგან“... უნდა ვაღიაროთ: ჩვენ გაგვაოგნა ამ უცნაური აღმოჩენის სიღიადემ... მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამით არ დავკმაყოფილებულვართ, უფრო შორს წავედით: ვიფიქრეთ, ვიფიქრეთ და მოვიფიქრეთ, რომ რასაკვირველია, კარგია, თუ მოხელეთა ცოლები შეწყვეტენ საზოგადოებაში პრანჭვასა და კობტაობას, მაგრამ კიდევ უფრო უკეთესი იქნება, თუ ამასთან ერთად სხვა ცუდ ჩვევებსაც მო-

იშლიან — დილა-საღამოს ჩაის ან ყაენის მას, ხოლო შუადღით სადილობას, ისევე როგორც არანაკლებ მავნე ჩვევას — დაიფარონ ტანის სიშიშველე ჯვალის ტილოზე, ან ნეჭის ქსოვილზე უფრო ძვირადღირებული სამოსელებით შემთხვევაში ცოლებს აძარცხს მტაცებლათ ფული წაგლიჯონ თავიანთ ქმრებს, ხოლო ქმრებისთვის ჯაბაგირიც კი ზედმეტი იქნება, არათუ ქრთამს არ აიღებენ... ზნეობა სრულად აღდგება... ამაზე შეიძლება არ დაგვეთანხმონ მხოლოდ ე.წ. პრაქტიკული ადამიანები, რომლებიც ყველფერს შეიცნობენ არა ზემთავონებით, არამედ სადი აზრით და დაკვირვების საფუძველზე... ასეთ ადამიანებს შეუძლიათ ამტკიცონ, რომ პეტრე დიდაძე ჩვენში არ არსებობდა მოდები, ქალები გამოკეტილი იყვნენ ქმრების სახლებში, ხოლო მექრთამეობა ჰყვაოდა, და შეუდარებლად უფრო ძლიერ, ვიდრე დღეს... ვკონებ ისიც კი თქვან, რომ, რაკი კარგად იცნობენ ადამიანის ბუნების სისუსტეს, შეუძლებლად თვლიან გაბრწყინების სურვილი გაუქრონ ერთი ყაიდის ადამიანებს, ხოლო სხვანი უმალ სიკვდილზე დათანხმდებიან, სანამ უარს იტყვიან გაბრწყინებაზე, და, რომ რაკილა ქონებრივი თანასწორობა არის ოცნება განუხორციელებელი, ამიტომაც ვერავითარი „მიმოწერა“ ვერ აიძულებს ვერცერთ კოროსს, არ ისურვოს კრეზობა, ან არ შემურდეს მისი, რადგან ეს ეწინააღმდეგება ადამიანის ბუნებას და ერთი-ორი გამონაკლისის არსებობა სრულიად არაფერს ნიშნავს. მაგრამ რა მოსასმენია ამ პრაქტიკული ადამიანების მოსაზრებანი, ისინი ხომ თავიანთ აზრებს გონებიდან, მსჯელობიდან, ცდებისა და სწავლისგან იძენენ — ამქვეყნიური, მიწიერი და ცოდვით სავსე წყაროებისგან... მათ რომ უსმინო, ეს ადამიანები, იმასაც გეტყვიან, რომ მხოლოდ ჯანმრთელ სხეულში შეიძლება ბუდობდეს ჯანმრთელი სული, რომ გამართულად აზროვნება შეუძლია მხოლოდ ტვინს, რომელიც არავითარი აშლილობით არ არის გატანჯული... დაისმეთ

*. სოფლის მღვდელი (მოძღვარი) (ფრანგ.)

ყურნი ამგვარი თავისუფალი აზრებისაგან და მიაფურთხეთ („მიმოწერის“ ავტორის საყვარელი გამოთქმა) ამ ერესის მქადაგებლებს! აი, რას ლაპარაკობს ამის თაობაზე ჩვენი ავტორი:

„პოი, როგორ გვჭირდება სატკივრები!“ მრავალ სასარგებლო შედეგთაგან, რომლებიც მათგან მივიღე, გაგიმხელ მხოლოდ ერთს: არ ვიცი, როგორი ვარ ახლა, მაგრამ ვიცი, რომ ვარ უკეთესი, ვიდრე ვიყავი; თუ არა ეს სატკივარი, გავიფიქრებდი, რომ უკვე ვარ ისეთი, როგორიც უნდა ვიყო. აღარას ვიტყვი იმაზე, რომ ჯანის სიმართლე, რომელიც განუწყვეტლივ უბიძგავს რუს ქაცს აკეთოს რაღაც ნახტოვაჟი და თავი მოიფონოს სხვაზე უკეთესი თვისებაებით, მეც ათას სისულელეს ჩამადენინებდა. თანაც სიფხიზლის წუთებში, რომელსაც ზეციური მადლი ტანჯვათა შორისაც გამოძირევს ხოლმე, მეწვევიან აზრები, შეუდარებლად უკეთესნი წინანდელზე და მბრძნობ, რომ ამ დროს ყველაფერი, რაც ჩემი კალმის ფერიდან გაგოვა, უწინდელზე მნიშვნელოვანი იქნება“.

ახლა უკვე შეჭველია, ისევე, როგორც ორჯერ ორი ოთხია, რომ ავადმყოფობა ბევრად სჯობია კარგადმყოფობას. ჯანმრთელი ადამიანი, განსაკუთრებით კი რუსი, თავმომწონეობას ეჩვევა და ცხვირს იბზევს, მაშინ როცა ავადმყოფობისას ის ნათლად ხედავს, რომ აქამდე მხოლოდ სისულელეებს სჩადიოდა, ეხლა კი ჭკუა მოემატა და ნახეთ, რა ყოჩალი გახდა! იგი უკვე თვითონაც ამჩნევს, რომ წერილთა უკეთესად წერს, და თუ მთელ ქვეყანას პირიქით ჰგონია, შეუძლია მთელ ქვეყანას „მიაფურთხოს“ — მიჰქარავ, ყეყეო!.. თქვენ ფიქრობთ, რომ საზოგადოებას, თუნდაც რჩეულს, არ შეიძლება ასე ელაპარაკო? ფაქტი ერთია, რომ „მეგობრებთან მიმოწერიდან ნარჩევ ადგილებში“ რჩეული საზოგადოების ადამიანები ხელაღებით მოიხსენიებიან „სულელ ჭკუის კოლოფებად“. საერთოდ, სიტყვამ მოიტანა და ჩვენი მორჩილი დამრიგებლის დამოკიდებულება როგორც თავისი

ადებულების, ისე სრულიად უცნობი ადამიანების მიმართ, ცოტა არ იყოს, ზედმეტად აღმოსავლური გულწრფელობით გამოირჩევა. „კრიტიკა (მისი აზრით) დაიღალა და დაიბნა უახლესი, გამოცხადებით თავსატეხი ნაწარმოებების სულელეებში, დარდისაგან აქეთ უკეთესი ლიტერატურას ზურგი აქცია და უაზრობათა ჩმახვა იწყო“. პოდა, იმისათვის, რომ უშველოს ამ სადარდებელს და კრიტიკა სწორი გზით წარმართოს, მან დაწერა შესანიშნავი კრიტიკული სტატია ჟუკოვსკის მიერ თარგმნილ „ოდისეაზე“ სადაც, თავისთავად ცხადია, არავითარ უაზრობათა ჩმახვას ადგილი არ ჰქონია. მაგრამ უკეთესს გეტყვით: „რა სულელეები არიან გერმანელი მეცნიერები, რომლებმაც მოიგონეს, რომ პომეროსი მითური პიროვნებაა, ხოლო მთელი მისი შემოქმედება — ხალხური სიმღერები და რაფსოდიები“. როგორც ვვახსოვს, მთავარი მომხრე ამგვარი შეხედულებისა იყო პროფესორი ვოლფი, რომელიც, ცხადია, გენიოსი არაა, მაგრამ არც მთლად სულელია... მაგრამ უბედურება ის არის, რომ ამ აზრს იზიარებდა გოეთეც, რომელიც, მართალია, გერმანელი იყო, მაგრამ ნამდვილად არავის თვალში არ გამოჩენილა სულელად... რას იტყვიან გერმანელები, როცა გაიგებენ, რომ მათი გოეთე ჩვენთვის არც მეტი, არც ნაკლები — სულელია? თუმცა, ნება თქვენია და, ვგონებ, ეს მართლაც ასე უნდა იყოს, რადგან ჩვენმა ავტორმა არ იცის ბერძნული ენა, რომელიც ასე ნაცნობია ვოლფისა და გოეთესათვის, და მგონი არც გერმანული უნდა იცოდეს წესიერად და ამასთან მსჯელობს არა გონებით, არა ცოდნით, არამედ ზეშთავგონებით: აქედან გამომდინარეობს, რომ იგი არ ცდება და გოეთე მართლაც სულელია! არა, გოეთე მართლაც სულელია და ამ ამბავს აღარაფერი ეშველება!.. და საერთოდ, როდემდე უნდა ველოდიავით ვიღაც გერმანელებს?..

მაგრამ, მოდი, ვნახოთ ავტორის განსაკუთრებით საინტერესო მსჯელობა

სლავიანოფილებზე, რომელიც მისი პატრიარქალური გულანდილობის მთელი ღირსებით გამოიჩინა...

„კამათი ჩვენი ევროპული და სლავური საწყისების შესახებ, რომელმაც, როგორც შენ ლაპარაკობ, ჩვენს სასტუმრო ოთახებში შეაღწია, მხოლოდ იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენ დაეიწყეთ გამოღვიძება, მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ ვერ გაგვიღვიძია; ამიტომ რა გასაკვირია, რომ ორივე მხრიდან ძალიან ბევრი უგუნური აზრები გაისმის. ყველა ეს სლავიანისტი და ევროპეისტი, იგივე აღმოსავლეთლები და დასავლეთლები, — ხოლო სინამდვილეში რანი არიან, ვერ გეტყვი, რადგან ჯერჯერობით ისინი მხოლოდ იმის კარიკატურად მეჩვენებიან, რაც სურთ რომ იყონ, — ყველა ისინი ერთი და იმავე საგნის ორ მხარეზე ლაპარაკობენ და ვერკი ხედებიან, რომ სინამდვილეში არ კამათობენ და არც ერთმანეთს ერჩიან. ერთი მეტისმეტად ახლოს მივიდა შენობასთან, ასე რომ მის მხოლოდ ერთ ნაწილს ხედავს; მეორე მეტისმეტად დაშორდა მას, ასე რომ, მთელ ფასადს კი ხედავს, მაგრამ ვერ არჩევს ცალკეულ ნაწილებს. ცხადია, სიმართლე უფრო მეტად სლავიანისტების და აღმოსავლეთლების მხარეზეა, რადგან ისინი მაინც მთელ ფასადს ხედავენ და ამიტომ, ასე თუ ისე, მაინც მთავარზე ლაპარაკობენ და არა ნაწილებზე. მაგრამ ევროპეისტების და დასავლეთლების მხარეზეც არის სიმართლე, რადგან ისინი საკმაოდ დაწვრილებით და გარკვეულად ლაპარაკობენ იმ კედლის შესახებ რომელიც მათ თვალწინაა; შეცდომა მხოლოდ ის არის, რომ კარნიზის გამო, რომელიც ამ კედელს აგვირგვინებს, მათი მხერავერ წვდება ნაგებობის სახურავს, გუმბათს და, საერთოდ, ვერაფერს რაც ზევითაა. შეიძლებოდა გვეჩიოა ორივე მხარისათვის—იქნებ ერთს ეცადა და, დროებით მაინც, ახლოს მოსულიყო, ხოლო მეორეს—ცოტათი უკან დაეხია და იქიდან შეეხედა. მაგრამ ამაზე ისინი არ დათანხმდებიან, რადგან სიამაყის სულს ჰყავს შე-

პრობილი ორივე. თითოეული მათგანი დარწმუნებულია, რომ თავად იგი საბოლოოდ და გადაჭრით მართალია, ხოლო მეორე საბოლოოდ და გადაჭრით ტყუის. ყოყობა უფრო სლავიანისტებში შეიმჩნევა: ისინი ტრაბახები არიან, თითოეული მათგანი თვითონვე უკრამ ამერიკა მან აღმოაჩინა და თუ რაიმე პაწია მარცვალს მიაგნო, გოგრის ზომისად გვისახავს. რასაკვირველია, ამ ჭირვეული კვებით ისინი კიდევ უფრო ამხედრებენ თავიანთ წინააღმდეგ ევროპეისტებს, რომლებიც კარგა ხნის წინათაც მზად იყვნენ უკან დაეხიათ, რადგან თვითონაც ბევრ რამეს იგებენ ისეთს, რაც ადრე არ ესმოდათ, მაგრამ ჯიბრზე არიან, არ სურთ თითი მოუკაკვონ მეტისმეტად თავგასულ მეტოქეს.“

სხვა ადგილას ავტორი ასე ლაპარაკობს:

მრავალმა ჩვენგანმა, განსაკუთრებით ახალგაზრდობამ, უკვე იწყო ტრაბახი რუსული ღირსებებით და ფიქრობენ არა იმაზე, როგორ გააღრმავონ და საკუთარ თავში განაეითარონ იგი, არამედ იმაზე, თუ როგორ გამოიტანონ სააშკარაოზე და მოსდონ მთელ ევროპას, „გვიყურეთ, გერმანელებო, ჩვენ თქვენზე უკეთესნი ვართ“. ეს ბაქიაობაა ყველაფრის დამღუპველი. იგი აღიზიანებს სხვებს და ზიანს აყენებს თავად მოტრაბახესაც. ჩვენთან კი, სანამ საქმეს გააკეთებენ, უკვე იკვირებიან ამ საქმით. ტრაბახობენ მომავლით! არა, მე ჩემდათავად მიჩვენია ვიყო დროებით მჭმუნვარე და დარდიანი ჩემი უნიათობის შემყურე, ვიდრე თავდაჯერებით მოვიტყუო თავი“.

აქამდე ჩვენ ვლაპარაკობდით იმ რჩევებზე, რომლითაც ავტორი მოძღვრავს თავის ადებტებს; უნდა დავამთავროთ ეს საინტერესო მატერიები. ავტორის ერთ-ერთ მეგობარს გაუგონარი თავხედობა გამოუჩენია: განუზრახავს ავტორისთვის წერილობით ეცნობებინა, რომ, მისი აზრით, დროა „მკედარი სულების“ მეორე ნაწილიც გამოვიდეს... ამგვარ კადნიერებას არ შეიძლებოდა არ შეეშფოთებინა,

არ დაერღვია ჩვენი ავტორის სიმშვიდე მო-
რჩილებაში და ისიც მძვინვარე პასუხით
დააცხრა თავს არამკითხე მრწველს.

„აი, შენ რომ გეზრუნა და, ნაცვლად
იმისა, რომ უსარგებლო კითხვები გეძლია
(შენი წერილების ნახევარზე მეტი ამ კი-
თხვებითაა აჭრელებული), შეგეგროვები-
ნა საქმიანი შენიშვნები ჩემი წიგნის გარ-
შემო, შენი და სხვა ჭკვიანი ადამიანები-
სა, რომლებიც შენსავით პრაქტიკულ და
საქმიან ცხოვრებას ეწევიან, ყველაფერ
ამისთვის დაგერთო იმ მრავალ მოვლენა-
თა აღწერები და ანეგდოტები, რომლებ-
საც შეხვედრიხარ შენს მახლობლობაში
და მთელ გუბერნიაში, რათა დაგედასტუ-
რებინა, ან გაგებათილებინა ჩემს მიერ
აღწერილი ამბები, ათეულობით რომ
გეხვდება ყველა გვერდზე, — მაშინ შენ
კეთილ საქმეს გააკეთებდი და მეც დიდ
მადლობას გეტყვოდი. როგორ გაფართოვ-
დებოდა ჩემი თვალსაწიერი! როგორ გა-
მომიციოცხლდებოდა გონება და რა წარმა-
ტებით წავიდოდა ჩემი საქმე! მაგრამ, რა-
საც მე ვითხოვ, იმას არაფერს მისრულებს:
ჩემს კითხვებს არაფერს აქცევს ყურადღე-
ბას, მხოლოდ თავისას სცემენ პატივს;
ზოგ-ზოგები ჩემგან რაღაც სიწრფელესა
და გულახდილობასაც კი ითხოვენ და თა-
ვად არ უწყიან, რა სურთ. ვის სჭირდება
ეს უსარგებლო ცნობისმოყვარეობა, ცო-
დნა იმისა, რაც მოხდება მერმის და ეს ამაო
არაფრის მაქნისი აჩქარება, რომელიც,
როგორც ვატყობ, შენც გადაგედო? შეხე-
დე, რა დარბაისლურად და ბრძნულად
ვითარდება მოვლენები ბუნებაში, რა
მწყობრ კანონებს ემორჩილება ყოველივე
და რა გონივრულად გამომდინარეობს
ერთიდან მეორე. მარტო ჩვენ ვაწყდებით
აქეთ-იქით, კაცმა არ იცის, რატომ. ყვე-
ლანი რაღაცნაირი ციებ-ცხელებით ვართ
შეპყრობილი. აბა, აგიწონ-დაგიწონია
ოღესმე შენი სიტყვები, მეორე ტომი ეხ-
ლა აუცილებლად საჭიროაო? მარტო იმ-
ის გამო, რომ ჩემს მიმართ არსებობს სა-
ყოველთაო უკმაყოფილება, მეორე ტო-
მის დაჩქარება ისეთივე სისულელე იქნე-
ბა, როგორც ერთხელ უკვე დავუშეი,

როცა პირველის გამოცემას დავეშურე.
მთლად კი არ გადავსულვარ ჭკუიდან! ეს
უკმაყოფილება მე მჭირდება; უკმაყოფი-
ლო ადამიანი რაღაცას მაინც გეტყვის არ-
სებითს, ან საიდან დაასკენი, რომ მეორე
ტომი მაინცდამაინც ახლად საჭირო? ჩა-
გიხედია ოღესმე ჩემს ტვირთში? შენი
აზრით იგი ახლად საჭირო, ჩემი აზრით,
კი არა უადრეს 2-3 წლისა, ისიც მაშინ,
თუ გარემოება და მოვლენები ხელს შე-
მიწყობენ. ვინ არის ჩვენს შორის მართა-
ლი? ის, ვის თავშიც ეს მეორე ტომი უკ-
ვე ზის, თუ ის, ვინც არც კი იცის, რა
უნდა იყოს იმ მეორე ტომში? უცნაური
მოდა დამკვიდრდა რუსეთში. ადამიანი
მხართეძოზეა წამოწოლილი, ნამდვილ სა-
ქმეს სიზარმაცის გამო არ ეკარება, სხვას
კი აჩქარებს, თითქოს ის სხვა სიხარული-
სგან არ უნდა იყოს, რომ მისი მეგობარი
მხართეძოზეა წამოწოლილი. როგორც კი
დაინახავენ, რომ თუნდაც ერთმა კაცმა
რაღაც საქმეს სერიოზულად მოკიდა ხე-
ლი, უკვე ყოველი მხრიდან აჩქარებენ და
მერე იმასვე გამოლანძღავენ, თუ რამ
ისე ვერ გამოუვიდა — ეტყვიან, რა გაჩ-
ქარებდაო? მაგრამ კმარა, ვამთავრებ
ჭკუის სწავლებას. შენს ჭკვიანურ კითხ-
ვას რაც შეეხება, მე მასზე ვიპასუხე და
თან ისეთი რამეც ვითხარი. რაც ჯერ
არავისთვის მითქვამს. მაგრამ არ იფი-
ქრო, ამ აღსარების შემდეგ, თითქოს ისე
მანინჯი ვიყო, როგორც ჩემი გმირები
არიან. არა, არ ვგაყარ მათ. მე მიყვარს
სიკეთე, ვეძიებ მას და ვიწვი მისი სუ-
რვილით; არ მიყვარს ჩემი სისაძაგლეები,
და ხელს არ ვაფარებ მათ ჩემი გმირები-
ვით; არ მიყვარს ის სიმდაბლენი, რომლე-
ბიც სიკეთეს მაშორებენ. მე ვებრძვი მათ,
კვლავაც შევებრძოლები და განვაგდებ
ჩემგან. და ამაში მე დამეხმარება ღმერთი,
სისულელეა იმის მტკიცება, და ეს აზრი
მალალი წრის ჭკუისკოლოფებისგან მო-
დის, თითქოს ადამიანის აღზრდა მანამ
არის შესაძლებელი, სანამ იგი სკოლის
მოსწავლეა და ამის შემდეგ მისი შეცვლა
შუუძლებელია. მხოლოდ უგუნურ წარჩი-
ნებულთა გოგრაში შეიძლება მომწიფდეს

ეს უგუნური აზრი. მე უკვე მრავალი სა-
ზიზღრობისგან განვთავისუფლდი იმით,
რომ გადავულოცე ისინი ჩემს გმირებს,
დავცინე მათ და სხვებიც ვაიძულე დაეცი-
ნათ მათთვის. ბევრ მათგანს დავაღწიე თავი
იმით, რომ განვძარცვე ისინი წარმტაცი
გარეგნული იერისა და რაინდობის ნიღბი-
სგან, რომლითაც თავმოღერებულად გვე-
ვლინება ყველა ჩვენი უხამსობა, და და-
ვაყენე იმ სისაძაგლეთა გვერდით, რომ-
ლებიც ყველასთვის ადვილი დახანახია.
ხოლო, როდესაც აღსარებისას ანგარიშს
ვაბარებ მას, ვინაც მიბრძანა ვიყო სოფე-
ლში და ვთავისუფლდებოდე ჩემს ნაკლო-
ვანებათაგან, ვხედავ, რომ ჯერ კიდევ
ბევრი მანკიერება დარჩენილა ჩემში,
თუმცა უკვე ის აღარ არიან, რაც იყვ-
ნენ შარშან: წმინდა ძალა დამეხმარა, გან-
ვრიდებოდი მათ. შენ კი გირჩევ, ნუ წა-
უყრუებ ჩემს სიტყვებს, არამედ ამ წერი-
ლის წაკითხვის შემდეგ განმარტოვდი რა-
მდენიმე წუთით და კარგად შეხედე საკუ-
თარ თავს, თვალი გადაავლე მთელ შენს
ცხოვრებას, რომ საქმით შეამოწმო ჩემი
სიტყვების ჭეშმარიტება. ჩემს პასუხში
იპოვი პასუხს სხვა კითხვებზედაც, თუ სა-
კმაოდ დაძაბავ მზერას, და ისიც გახდე-
ბა გასაგები, თუ რატომ არ წარვუდგენ-
დი აქამდე ჩემს მკითხველს დამაიძულებელ
მოვლენებს, არ ვირჩევდი ჩემს გმირებად
კეთილშობილ ადამიანებს. ასეთებს ძალად
ვერ მოიგონებ. სანამ ცოტათი მაინც არ
დაემგვანები მათ, სანამ შენი მოთმინე-
ბითა და ძალისხმევით არ გამოიმუშავებ
რამდენიმე კეთილ თვისებას — უსიცო-
ცხლო იქნება ყოველივე, რასაც დაწერს
კალამი და როგორც ცა დედამიწისგან,
ისე შორს იქნება იგი სიმაღლისაგან.
კოშმარების გამოგონება... მე მათ არც
ვიგონებდი. ეს კოშმარები აწვებოდნენ
ჩემს სულს. რაც იყო სულში, ის გამოვი-
და იქიდან“.

მაგრამ წიგნის ჭკუისდამრიგებლური
ნაწილის ნამდვილ მწვერვალს მწერლის
სამი წერილი წარმოადგენს. ერთ-ერთ მა-
თგანში იგი ასწავლის ცოლ-ქმარს ცოლ-
ქმრულად ცხოვრებას. ვწუხვართ, რომ ამ

წერილის ზომები არ გვაძლევს საშუალე-
ბას, სრულიად გადმოვცეთ მისი შინაარ-
სი. ეს არის სასწაული, მშვენიერება, რო-
მლის მსგავსი არაფერი დამწერილა რუ-
სულ ენაზე და რომელთან შედარებით
ბ-ნ პოგოდინის საზღვარგარეთული ჩანა-
წერებიც კი არაფერია. დახარჩენ ორში
მოცემულია შესაოცარი რჩევები მემამუ-
ლისადმი, თუ როგორ უხელმძღვანელოს
გლეხებს. ერთ მათგანში ყველაზე საყუ-
რადღებოა რჩევა, რომელიც სოფლის სა-
სჯელ-სამართალს ეხება. ვინაიდან, ავ-
ტორის აზრით, ყველანაირ კამათში, სა-
ჩივარში, დავასა და მტრობაში ყოველ-
თვის ორივე მხარეა დამნაშავე, ამიტომ
იგი ასკვნის, რომ მოსამართლის საქმე —
ორივეს დასჯაა.

„ეს აზრი (ამბობს ის), როგორც წყა-
ლგაუვალი ჭეშმარიტება, ღრმად არის
ჩვენს ხალხში ფესვგადგმული. მისი გა-
მოყენებით თვით უბრალო და საშუალო
გონების ადამიანებიც კი იძენენ ძალაუფ-
ლებას და ახერხებენ კამათის შეწყვეტას.
მხოლოდ ჩვენ, მაღალ ადამიანებს არ
გვესმის იგი და სამართლის შესახებ რაღაც-
ნაირი რაინდულ-ვერობული ცნებებით
ვართ გაჟღენთილი. ჩვენ მხოლოდ იმას
ვარკვევთ, ვინ მტყუანია და ვინ — მარ-
თალი; ხოლო თუ ყველა საქმეს გავა-
რჩევთ, მუდამ იმ დასკვნამდე მივალთ,
რომ ორივე მხარეა დამნაშავე. და დავი-
ნახავთ, რომ ძალზე გონიერულად მოიქ-
ცა კომენდანტის ცოლი პუშკინის მოთხ-
რობაში „კაპიტანის ქალიშვილი“, როცა
გარნიზონელი სალდათის დედაკაცთან
ჩხუბის გამოსაძიებლად გაგზავნილ პო-
რუჩიკს (აბანოში რომ წაეკიდნენ ერთმა-
ნეთს ხის კოვზის გულისათვის) ასეთი ინ-
სტრუქცია მისცა: გაარკვიე, ვინ მართა-
ლია და ვინ — მტყუანი და ორივე კი და-
საჯე.“

მეორე წერილში ავტორი ურჩევს მე-
მამულეს, რომ უპირველეს ყოვლისა ხუ-
მრობის გარეშე, გულწრფელი სიტყვებით
დაუმტკიცოს გლეხებს რომ მისთვის, მე-
მამულისთვის ფული — ნულია.

„ლოთებსა და არამზადებს უბრძანე,

რომ კეთილ გლეხკაცებს ისეთივე პატი-
ვი მიაგონ, როგორც ვთქვით, მამასა-
ხლისს, მოურავს, მღვდელს, ან თუნდაც
შენ. რათა როგორც კი შორიდან დაინა-
ხავენ სამაგალითო გლეხს, მსწრაფლ
იშვლიკონ მუდები ყველამ და გზა დაუთ-
მონ. ხოლო თუ ვინმე გაბედავს და რაი-
მე უდიერს აკადრებს იმათ, იქვე გაჯო-
რე, ყველას დასანახად, ასე უთხარი: აი,
შე პირდაუშვანელო ღორი, თავად მჭვარ-
ტლში ხარ ამოსვრილი, თვალები ძლივს
გიჩანს და ისიც კი არ გინდა, პატივი სცე
პატიოსან ადამიანს! ჩაუვარდი ეხლავე
ფეხებში და თხოვე, ჭკუაზე მოგიყვანოს,
არ მოგიყვანს ჭკუაზე და ეგრევე ჩაკვდე-
ბი ძალღივით.

ამ რჩევასაც არა უშავს რა: „გლეხს
ნუ გალახავ. მისთვის სიფათში ჩაკერება
დიდი ვერაფერი ხელოვნებაა: ამის ვაკე-
თება შეუძლია უბნის ბოქაულსაც, თავ-
მჯდომარესაც, მამასახლისსაც კი; გლე-
ხი ამას მიჩვეულია, იგი მხოლოდ ოდნავ
მოიფხანს კისერს და წავა თავისი
გზით...“ ამის შემდეგ ავტორი ასწავლის
მემამულეს, როგორ შეაგინოს გლეხს..
რა ხდება, ბნელა?... სადა ვართ? უხსო-
ვარ დროში ხომ არ გადავბარგდით?...

ეს კიდევ არაფერი. უფრო უკეთესს
გეტყვი: „შენი შენიშვნები სკოლების
თაობაზე სრულიად სამართლიანია. ასწა-
ვლო გლეხკაცს წერა-კითხვა იმისათვის,
რომ ჭარაფშუტული წიგნუკები იკითხოს,
ნამდვილი სისულელეა. მთავარი ისაა,
რომ მას ამისათვის არასოდეს ექნება
დრო. ამდენი შრომის შემდეგ არავითარი
წიგნუკა მის თავში არ შევა და სახლში
მისვლისთანავე მკვდარივით დაიძინებს,
დევეგმირის ძილით“. ან დუქნისკენ გაუ-
ტევს, და საკმაოდ ხშირადაც... მაგრამ ის
არ გვესმის, საიდან მოიტანა ავტორმა,
რომ ხალხი ისე გაურბის ნებისმიერ და-
წერილ ქაღალდს, როგორც ეშმაკს? გა-
საკებია, რომ იურიდიული ქაღალდები
არავის უყვარს და არა მხოლოდ ჩვენს
ხალხს, მით უმეტეს, ვინც წერა-კითხვა
არ იცის; მაგრამ წერა-კითხვისა ჩვენს
ხალხს არ ეშინია; პირიქით, უყვარს კიდევ

და კი არ გაურბის, მიილტვის მისკენ. დაე,
თხოვოს ავტორმა თავის მეგობრებს, გა-
უგზავნონ მას ბ-ნ სახელმწიფო ქონება-
თა მინისტრის 1846 წლის, ანგარიშით,
რომელიც ყველა ოფიციალურ რუსულ
გაზეთშია დაბეჭდილი: უჩუქუნე ნულე წაი-
გებს, თუ რა სისწრაფით უჩუქუნე წერა-
კითხვა უბრალო ხალხში... ხოლო თუ
მოისურვებდა ეცხოვრა იმ რუსეთში,
რომელსაც ასე აქებს სხვადასხვა გერმა-
ნულ ქვეყნებში ყოფნისას და ყურადღე-
ბით დაკვირვებოდა ჩვენს უბრალო
ხალხს, რომელზედაც ასე გადაჭრით მსჯე-
ლობს და არკი იცნობს — უთუოდ და-
რწმუნდებოდა, რომ ესოდენ სწრაფი წი-
ნსვლა უბრალო ხალხში წერა-კითხვის
გავრცელების საქმეში დამყარებულია
სწორედ ხალხში წერა-კითხვის ღრმა
მოთხოვნილებაზე და ძლიერ სწრა-
ფვაზე ცოდნის შექენისაკენ... ავ-
ტორი დაინახავდა, თუ როგორ არ ზო-
გავენ თავს წვერგაუპარსავი გლეხები,
რათა წიგნი ასწავლონ თავიანთ შვილებს
და ხშირად ამას უკიდურესი გალატაკების
ფასად აღწევენ. დიახ, განათლების სიყვა-
რული, ანდაზით რომ გამოხატა — სწავ-
ლა სინათლეა, უსწავლელობა კი — სიბნე-
ლეო, არის რუსი ხალხის ერთ-ერთი სა-
უკეთესო თვისება, — და სწორედ ეს თვი-
სება არ არის აღიარებული მისი ახლო-
მხედველი მაქებრებისა და მლიქვნელების
მიერ, რომლებიც ამის სანაცვლოდ უა-
მრავ სანაქებო თვისებას მოიძიებენ, რო-
მლებიც ან არ არსებობენ, ან მის ჩრდი-
ლოვან მხარეს შეადგენენ.

აღნიშვნის ღირსია შემდეგი. წერილის
დასაწყისში ავტორი ურჩევს მემამულეს,
დაუმტკიცოს გლეხებს გულითადად, ხუ-
მრობის გარეშე, რომ ფული მათ არ აღე-
ლვებთ, ე. ი. არაფრად სჭირდებათ, წე-
რილის დასასრულს კი აიძულებს: „შენ
გამდიდრდები, როგორც კრუხი, იმ ტვინდა-
ბნელებულ ადამიანთა გულის გასახეთ-
ქად, რომლებიც ფიქრობენ, რომ მემამუ-
ლის ინტერესები უპირისპირდებიან გლე-
ხისას“...

განსაკუთრებული ელფერით ხასიათ-

დება ავტორის წერილები ეუკოვსკის მიმართ. აი, რამდენიმე ნიმუში ამგვარი წერილებისა:

„ვისაუბროთ იმ სტატიაზე, რომლისთვისაც სასიკვდილო განაჩენია გამოტანილი, ანუ სტატიაზე სახელოწდებით: ლირიზმი ჩვენი კოეტივისა. უწინარეს ყოვლისა, მადლობა სასიკვდილო განაჩენისთვის! აი, უკვე მეორედ ვარ შენგან გადარჩენილი, პოი, ჩემო ჭეშმარიტო დამრიგებელო და მასწავლებელო! გასულ წელს შენივე სული გადამეღობა წინ, როცა მე ის-ის იყო სოვრემენიკში პლუტონისთვის უნდა გამეგზავნა ჩემი თქმულებები რუს პოეტებზე; ახლა ისევ შენ მიეცი განადგურებას ახალი ნაყოფი ჩემი უგუნურებისა. შენ ერთი ხარ, რომ მაჩერებ, მაშინ, როცა სხვები ყველანი მაჩქარებენ, არ ვიცი, რატომ. რამდენი სისულელის ჩადენას მოვასწრებდი, სხვა მეგობრებისთვის რომ მესმინა! ასე რომ მიიღე ჩემგან, უპირველეს ყოვლისა, სამადლობელო საგალობელი! ეხლა კი შევეხოთ თავად სტატიას. მე სირცხვილი მწვავს ყოველთვის, როცა კი ვიხსენებ, რა სულელი ვარ ჯერ კიდევ და არაფრის ჭკვიანურის თქმა არ შემიძლია. ყველაზე აზრსმოკლებული კი ლიტერატურის შესახებ მსჯელობები და აზრები გამომდის. სწორედ ამ დროს ვხდები მაღალფარდოვანი, გაუგებარი და უმინაარსო. ხოლო საკუთარი აზრი, რომელსაც არათუ ვხედავ გონებით, არამედ ვგრძნობ კიდევ გულით, ვერ გამომიტყვამს. ბევრი რამ ესმის სულს, ხოლო თქმა, ან დაწერა არაფრისა შემიძლია. საფუძველი ჩემი სტატიისა სამართლიანია, მაგრამ გამოვხატე ისე, რომ ყველა გამოთქმამ საწინააღმდეგო შედეგი გამოიღო.“

ზემოხსენებული ცნობილი სტატია: „ოდისეა, თარგმნილი ეუკოვსკის მიერ“ ამ წიგნში შეტანილია წერილის სახით ნ. ი. ...იასადმი. აი, ამ საოცარი სტატიის მთავარი დებულებები:

1. „ოდისეის“ სათარგმნელად საჭიროა მთელი ცხოვრება ემზადებოდე, აუცილე-

ბელია მთარგმნელის ცხოვრებაში მოხდეს მრავალი შინაგანი და ამაღლებული მოვლენა, რომლებიც შთანერგავენ სულში სიმშვიდეს, კარმონიასა და სხვა სანაქებო თვისებებს. ეუკოვსკი სწავლებით აკმაყოფილებს ამ აუცილებელ მოთხოვნებს“.

II. სასურველია მთარგმნელი იყოს ქრისტიანი, რამეთუ წარმართი პომეროსის გაგება და წვდომა შესაძლებელია მხოლოდ ქრისტიანული გრძნობით. ეუკოვსკი ამ მხრივაც საკმარისზე მეტად შედგამოჭრილია. (სჭირდება თუ არა მთარგმნელს ბერძნულის ცოდნა და იცის თუ არა ეუკოვსკიმ ბერძნული, — ამის შესახებ, როგორც ამსოფლიურ, მიწიერ და, შესაბამისად, უმნიშვნელო საკითხზე ავტორი დუმს.)

III. სამაგიეროდ „ოდისეის“ თარგმანი ორიგინალზე გაცილებით უკეთესი გამოვიდა.

IV. თარგმანი ესე აუცილებელია ჩვენს დროში საერთო გაციებისა და გაუგებრობის გამო.

V. „ოდისეა“ მოახდენს ზეგავლენას ჩვენზე, როგორც ყველაზე საერთოდ, ისე თითოეულზე ცალ-ცალკე.

VI. მას ჩვენთან ყველა წაიკითხავს: აზნაურები, მეშჩანები, ვაჭრები, წიგნიერნი. და უწიგნურნი, რიგითი ჯარისკაცები, ბიჭუნები და კოგონები.

VII. ბერძნული პოლითეიზმი, ანუ მრავალმერთიანობა ვერ აცდუნებს ჩვენს გლესკაცს—იგი მოიფხანს კეფას და წამსვე მიხვდება, თუ რა არის ნამდვილი საქმე და რა—ლაყბობა.

VIII. „ოდისეა“ კეთილისმოყვულ გავლენას მოახდენს ჩვენს ლიტერატურაზე: მწერლები და კრიტიკოსები შეწყვეტენ უაზრობათა ჩმახვას, და რაც მთავარია:

IX. „ოდისეა“ გამოასწორებს ევროპის გავლენით წამხდარ მთელ ჩვენს ცივილიზაციას, დაგვაბრუნებს უხსოვარ წარსულში, გავვაახალგაზრდავებს სამი ათეული საუკუნით... არის, თუ არ არის ეს წინსვლა!..

„ერთი სიტყვით (ამბობს ავტორი), თა-

ვიანთი ევროპული სრულყოფილებით და-
ავადებულებსა და ტანჯულებზე „ოდი-
სეა“ იმოქმედებს. ბევრ ახალგაზრდულსა
და მშვენიერს გაახსენებს იგი მათ, რაც
(ვაი-რომ!) დაიკარგა, მაგრამ უნდა დაი-
ბრუნოს კაცობრიობამ, როგორც კანონი-
ერი შემკვიდრეობა, ბევრი ბევრ რამეზე
დაფიქრდება, ამასობაში კი მრავალი კუ-
თვნილება პატრიარქალური დროებისა,
რომელთანაც კავშირი აქვს რუსულ ხა-
სიათს, უჩინრად მოეფინება ჩვენს მიწა-
წყალს და პოეზიის კეთილსურნალებით
ჩაიფრქვევა ჩვენს სულებში ის, რასაც
ვერ შეიტან მასში ვერანაირი კანონებითა
და ძალაუფლებით“.

ჟუკოვსკისადმი მიწერილ ერთ წერილში
ავტორი ამბობს:

„ შენი „ოდისეა“ ბევრ საყოველთაო
სიკეთეს დათესავს, ამას მე შენ ვიწინას-
წარმეტყველებ. იგი გამოაცოცხლებს და
ადრინდელ სიხალისეს დაუბრუნებს ადა-
მიანს, დაღლილს ცხოვრებისა და აზრის
უწესრიგობისაგან. იგი განაახლებს მის
თვალში ბევრ ისეთ რამეს, რაც მან მია-
ტოვა, როგორც მოძველებული და ყოფი-
ერებისათვის უსარგებლო; იგი დააბრუნებს
მას უბრალოებაში“.

ამგვარი დიდი სასიკეთო შემობრუნება,
რასაც ლიტერატურული ნაშრომი გამოი-
წვევს, მით უფრო აუცილებელია, რომ
ავტორის სიტყვებით „ყველაფერი მოიშა-
ლა და განქარდა. უვარგის ძონძად იქცა
დღეს კაცი ყოველი, სამარცხვინოდ გაა-
ქელინა თავი ყველაფერს და იქცა ყვე-
ლაზე უბადრუკ და წვრილმან გარემოება-
თა მონად, და არსად არის ჭეშმარი-
ტი თავისუფლება“.

ყველაფერი ეს ძალიან კარგია. მაგრამ
მე ორ მოკრძალებულ კითხვას დავსვამ
ჩემი მხრიდან. როგორ წაიკითხავს უბრა-
ლო ხალხი „ოდისეას“ გასაგებია, რომ
„ოდისეა“ არ მიეკუთვნება იმ წიგნსკე-
ბის რიცხვს, რომლებსაც ევროპული კაც-
თმოყვარენი გამოსცემენ ხალხისათვის; მა-
გრამ როგორ უნდა წაიკითხოს იგი ხალ-
ხმა, რომელსაც ავტორი ასე გარკვევით
და მკაცრად უკრძალავს წერა-კითხვის

შესწავლას?... ან იქნებ მხოლოდ „სულელ“
გერმანელებს სჭირდებათ წერა-კითხვის
ცოდნა წიგნის წასაკითხავად, ხოლო სლა-
ვიანელისათვის საკმარისია ოდნავ მარტო-
ხანოს კეფა, რომ ნებისმიერი წიგნი წაა-
ბულბულოს წერა-კითხვის უკოდინრად?...
შემდეგ, ვაითუ, ჩვენი დიდი სურვილის
მიუხედავად ბ-ნ გოგოლის მისტიკური წი-
ნასწარმეტყველებანი „ოდისეის“ გავლენ-
ის შესახებ რუსი ხალხის ბედზე არ გა-
მართლდეს და ამ თარგმანმა, მსგავსად
გნედიჩის „ილიადის“ თარგმანისა, არსე-
ბობა განაგრძოს მხოლოდ ერთეულთათ-
ვის? ვინ არ იტყვის მაშინ, რომ:
Наделала синица славы, а моря не
зажгла!..

მაგრამ ამ წიგნის ყველაზე საინტერე-
სო ნაწილს მაინც „მკვდარი სულების“
თაობაზე სხვადასხვა პირებისათვის მიწე-
რილი ოთხი წერილი წარმოადგენს. ამ
ოთხმა წერილმა გაახარა, ალტაცებაში
მოიყვანა, ჭეშმარიტად გააბედნიერა ზო-
გიერთი ლიტერატორი, რომლებიც განსა-
კუთრებით ღელავენ გოგოლის ლიტერა-
ტურული დიდების გამო. ეს რომ საიდუმ-
ლო არ არის, ჩანს იქიდან, რომ მათ არ
დააყოვნეს ბეჭდვითი საშუალებით გამოე-
ხატათ თავიანთი სიხარული, დაივიწყეს რა
ბრძნული რუსული ანდაზა: აჩქარდები—სა-
საცილო გახდებით და არანაკლებ ბრძნული
ფრანგული ანდაზა: bien rira qui rira
le dernier...* ქვემოთ ამონაწერიდან
ყველა ადვილად მიხვდება, ამ წერილები-
დან სახელდობრ რამ ალაფრთოვანა გო-
გოლის ტალანტის მტრები.

„ტყუილუბრალოდ შფოთავთ „მკვდარ
სულებზე“ ზოგიერთ თავდასხმათა გადა-
ჭარბებული ტონის გამო. ამას თავისი და-
დებითი მხარე აქვს. ხანდახან გვჭირდება
ვიყოლიოთ ჩვენზე გაბრაზებულნი. ვინც
სილაშაშითაა გატაცებული, ის ვერ ხედავს
ნაკლს და ყველაფრის პატიებისთვის მზად
არის; მაგრამ გაბრაზებული კაცი შეეცდე-

* იცინის ის, ვინც ბოლოს იცინის
(ფრანგ.)

ბა ამოგვიჩიჩქნოს, რაც კი რამ სიბინძურე გაგვაჩნია და ისე აშკარად დაგვიდოს თვალწინ, რომ გინდა თუ არა, უნდა დაინახო. ჭეშმარიტების მოსმენა ისე იშვიათად გვიწევს, რომ მისი თუნდაც ერთი მარცვლისათვის შეიძლება ავიტანოთ ნებისმიერი შეურაცხყოფელი კილო. ბულგარინის, სენკოვსკის და პოლევოის კრიტიკაში ბევრი რამაა სამართლიანი, დაწყებული თუნდაც იმ რჩევიდან, რომ ჯერ რუსული მართლწერა უნდა ვისწავლო და მერე ვწერო. მართლაც, მე რომ არ მეჩქარა ხელნაწერის გამოქვეყნება და ერთი წელი მაინც გამეჩერებინა, თვითონ დაინახავდი, რომ ასეთი მოუწესრიგებელი სახით იგი არ შეიძლებოდა ხალხს ჩვენებოდა. თვით ჩემზე შეთხზული ეპიგრამები და გამკილავი ლექსებიც კი სასარგებლო იყო ჩემთვის, თუმცა თავდაპირველად მწარედ მომხვდა გულზე. პოი, როგორ გვჭირდება გაუთავებელი წკიპურტები, და ეს შეურაცხყოფელი კილო, ეს მწარე, ძვალ-რბილის გამჭოლი დაცინვები! ჩვენი სულის ფსკერზე იმდენი წვრილმანი, უბადრუკი ცუდმედიდობაა დაბუდებული, იმდენი სამარცხვინო, უხამსი პატივმოყვარეობა, რომ გამუდმებით უნდა გვჩხვლიტონ, გვირტყან, გვგვემონ ყველა შესაძლო იარაღით, და ჩვენც ყოველწამს მაღლიერი უნდა ვიყოთ ჩვენი ჯალათისა.

მაგრამ მე მსურდა მეტი კრიტიკა ყოფილიყო არა ლიტერატორთა, არამედ იმ ადამიანთა მხრიდან, ვინც ცხოვრებისეული საქმითაა დაკავებული. პრაქტიკული ადამიანების მხრიდან; და ამ დროს, თითქოს ჯიბრზეო, ლიტერატორთა გარდა არავის გამოძახილი არ მსმენია, თუმცა „მკვდარმა სულებმა“ ბევრი ხმაური და მითქმა-მოთქმა გამოიწვია, ბევრს მოხვდა გულზე დამცინავი სიმართლე, კარიკატურა; იგი შეეხო არსებულ წყობას, რომელიც გამუდმებით ჩვენს თვალწინაა გადაშლილი; წიგნი სავსეა შეცდომებით, ანაქრონიზმებით, მრავალი საგნის აშკარა არცოდნით, ზოგან განგებ წერია მკითხველის გასაბრაზებელი სიტყვები. ვინძლო რომელიმე მათგანმა ლაზათიანად გამათხნოს და განრისხებულმა მომახალოს

პირში სიმართლე, რომლის გაგებასაც გულწრფელად ვესწრაფვი.

„ერთ სულიერს მაინც მოეწვდინა ხმა! შეეძლო კი ყველას და ძალზე ჭკვიანურადაც შეეძლო. მოხელე ჩინოვნიკს შეეძლო ყველას თვალწინ დაემტკიცებინა ჩემს მიერ აღწერილი მოვლენის დაუჯერებლობა ორიოდ ნამდვილად მომხდარი შემთხვევის მოყვანით და ამით ყოველგვარი ზედმეტი სიტყვების გარეშე დაემტკიცებინა ჩემი შეცდომა, ან პირიქით, ასეთივე წარმატებით დავეცავი და გაემართლებინა ჩემ მიერ აღწერილი. იგივეს გაკეთება შეეძლო ვაჭარსაც და მეამაჟულესაც — ერთი სიტყვით, ნებისმიერ წერა-კითხვის მცოდნეს, როგორც ერთ ადგილზე მჯდომს, ისე მთელი რუსეთის სივრცეზე მოხეტიალეს. გარდა იმისა, რომ ყველა საგანზე საკუთარი აზრი გააჩნია, იმ ადგილიდან თუ საფეხურიდან, რომელზედაც იგი დგას თავისი თანამდებობის წოდებისა თუ განათლების წყალობით, მას შეუძლია შეხედოს იგივე საგანს ისეთი მხრიდან, რომელიდანაც სხვა ვერ შეხედავს. ამ ზღვა ხალხის — მკითხველთა მიერ შეიძლებოდა დაწერილიყო სხვა წიგნი, შეუდარებლად უფრო საინტერესო „მკვდარ სულებზე“, რომელსაც შეეძლო ესწავლებინა არა მარტო ჩემთვის, არამედ მათთვისაც, რადგან, რა დასამალია, — ჩვენ ყველანი ძალიან ცუდად ვიცნობთ რუსეთს.

„ერთ ადამიანს მაინც ამოელო ხმა! თითქოს ყველა ამოწყდაო და რუსეთში რალაცნაირად უსიცოცხლო, მართლაც რომ მკვდარი სულები შინადრობენ. და მერე კიდევ მე მსაყვედურობენ, ცუდად იცნობ რუსეთსო! თითქოს აუცილებლად სულიწმინდის შემწეობით უნდა გამეგო, რა ხდება მის სხვადასხვა კუთხეში, — მესწავლა სწავლების გარეშე! მაინც რა ვხებით უნდა ვისწავლო მე, მწერალმა და თვით მწერლის წოდებისაგან მჯდომარე და კარჩაკეტილ ცხოვრებამისჯილმა, თან ავადყოფმა და იძულებით რუსეთის მოშორებით მცხოვრებმა, საიდან უნდა ვისწავლო? ხომ ვერ გამომადგებიან მას-

წავლებლად ლიტერატორები და ჟურნალისტები, ეს კაბინეტის ხალხი, რომლებიც თავად კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწევიან? მწერალს მხოლოდ ერთი მასწავლებელი შეიძლება ჰყავდეს — მკითხველი. მაგრამ მკითხველმა უარი თქვა ჩემს სწავლებაზე. ვიცი, რომ მძიმე პასუხის გაცემა მომიწევს ღმერთისათვის იმის გამო, რომ ვერ შევასრულე სათანადოდ ჩემზე დაკისრებული საქმე; მაგრამ ისიც ვიცი, ჩემს გამო სხვებიც აგებენ პასუხს. ამას ტყუილ-უბრალოდ არ ვლაპარაკობ. ღმერთია მოწამე, არ ვლაპარაკობ ტყუილ-უბრალოდ!

„გული მიგრძნობდა, რომ პოემის ყველა ლირიკული გადახვევა უკულმართად იქნებოდა გაგებულნი. ისინი ისე ბუნდოვანია, ისე ნაკლებად ესადაგება მკითხველის თვალწინ მიმქროლავ საგნებს, ისე ვერ ეთანხმება მთელი ნაწარმოების ხასიათსა და თავისებურებას, რომ შეცდომაში შეიყვანეს როგორც მოწინააღმდეგეები, ისე მომხრენი. ყველა ადგილში, სადაც კი სიტყვა დამცდა ზოგადად მწერალზე, მე მიგულისხმეს. მე ვწითლდებოდი მაშინაც კი, როცა ახსნა ამ ადგილებისა ჩემს სასარგებლოდ წარიმართებოდა ხოლმე. ახია ჩემზე! არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამომეცა ნაწარმოები, რომელიც თუმცა წესიერ თარგზე იყო გამოჭრილი, მაგრამ შეკერილი იყო ჰაიპარად და თეთრი ძაფებით, მსგავსად სამოსელისა, რომელიც მკერავს ტანზე მისაზომებლად გამოაქვს. მიკვირს კიდევ, რომ ცოტა იყო საყვედურები ხელოვნების და შემოქმედების მისამართით. ამას ხელი შეუშალა ჩემი კრიტიკოსების მძვინვარე განწყობილებამ და ნაწარმოების აგებულებაში ღრმად წვდომის ჩვევისა და სურვილის უქონლობამ. შეიძლებოდა და უნდა თქმულიყო, სად უღალატა მწერალმა საკუთარ თავს და ვერ დაიცვა მისთვის ჩვეული, ერთხელ და სამუდამოდ მიღებული კილო. ისიც კი ვერავინ შენიშნა, რომ წიგნის მეორე ნახევარი პირველზე ნაკლებადაა დამუშავებული, რომ მასში უზარმაზარი ცარიელი ადგილებია, რომ მთავარი და არსებითი გარემოებანი შეკუმშულ-შემოკლებულია. უმნიშვნელო

და მეორეხარისხოვანი კი — განვრცობილი, რომ იმდენად თხზულების შინაგანი სულისკვეთება კი არ გეცემა თვალში, არამედ სიჭრელე ნაწილებისა და ნაკუწონება მისი. ერთი სიტყვით, შეიძლებოდა მრავალი უდავოდ საქმიანი თავდასხმის ჩატარება, კიდევ უფრო მეტად უნდა ეწეულანძლეთ, ვიდრე ახლა მლანძლავენ, და სამართლიანი იქნებოდა.

„ნეტავი შენ, რამ მოგაფიქრა, ადამიანის ასეთ მცოდნესა და გამგებს, არაფრის მაქნისი კითხვების მოცემა, რისი მოცემა სხვებსაც შეეძლოთ? მათი ნახევარი უხეხა იმას, რაც უნდა იყოს მერმის. რა ყრია ამგვარ ცნობისმოყვარეობაში? მარტო ერთი კითხვაა ჭკვიანური და შენი საკადრისი და მე ვისურვებდი იგივე კითხვა სხვებსაც მოეცათ, თუმცა არა ვარ დარწმუნებული, სწორად ვუპასუხებდი თუ არა მას, — სახელდობრ: როგორ მოხდა, რომ ჩემი უკანასკნელი ნაწარმოებების გმირები, და მით უფრო „მკვდარი სულებისა, რომლებიც ძალზე არ გვანან ნამდვილი ადამიანების პორტრეტებს და არც მიმზიდველი თვისებისანი არიან, რატომღაც ახლოს დგანან სულთან, თითქოს მათ შექმნაში რაღაც სულიერ მდგომარეობას მიეღოს მონაწილეობა? ერთი წლის წინ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შენს წინაშეც კი უხერხული იქნებოდა. ახლა კი პირდაპირ გეტყვი: ჩემი გმირები იმიტომ დგანან სულთან ახლოს რომ ისინი შობილნი არიან სულისაგან; ჩემი ყველა ბოლოდროინდელი ნაწარმოები — ჩემი საკუთარი სულის ისტორიაა. უკეთესად რომ აგიხსნა, ჯერ ჩემს თავს განვმარტავ, როგორც მწერალს. ჩემზე ბევრს ლაპარაკობდნენ, რაღაც მხარეებს არჩევდნენ, მაგრამ არსს არ ასახელებდნენ, არსი ესმოდა მხოლოდ პუშკინს. იგი ყოველთვის მეუბნებოდა, რომ ჯერ არც ერთ მწერალს არ ჰქონია ნიჭი, ეჩვენებინა ცხოვრების უხამსობა ისე აშკარად, შეძლებოდა მოეხაზა უხამსობა უხამსი ადამიანისა ისეთი სიძლიერით, რომ ყველა წვრილმანი, თვალისთვის შეუმჩნეველი, მსხვილმანად მოხვედროდა თვალში

მკითხველს. აი, ჩემი მთავარი თვისება, რომელიც მხოლოდ ჩემია და ნამდვილად არა აქვთ სხვა მწერლებს. შემდგომში იგი კიდევ უფრო გაღრმავდა სხვადასხვა სულიერ გარემოებათა დამატების გამო. მაგრამ მე არ შემეძლო ამის გამხელა თვით პუშკინისთვისაც კი.

ეს თვისება მთელი ძალით აისახა „მკვდარ სულებში“. „მკვდარმა სულებმა“ იმიტომ კი არ შეაშინა რუსეთი და ასეთი ხმაური იმიტომ კი არ გამოიწვია, რომ მან გაუხსნა რუსეთს მტკივნეული იარები და შინაგანი დაავადებანი, არც იმიტომ, რომ ასახა ტანჯული უმანკობისა და მოპარპაშე ბოროტების სულისშემძვრელი სურათები. არა, ჩემი გმირები სულაც არ არიან ბოროტმოქმედნი; საკმარისი იყო ნებისმიერი მათგანისთვის თუნდაც რაიმე სასიკეთო ნიშანი შიმენიჭებინა, რომ მკითხველი ჟრთბაშად შეურიგდებოდა ყველა მათგანს. მაგრამ უხამსობამ, უკლებლივ ყველამ შეაშფოთა მკითხველი. შეაშინა, რომ ჩემი გმირებიდან ყველა ერთიმეორეზე მეტად უხამსია; არსად ჩანს თუნდაც ერთი დამამშვიდებელი გარემოება, მკითხველს არა აქვს სულის მოთქმის საშუალება და წიგნის ჩათაყვის შემდეგ ისეთი გრძნობა რჩება, თითქოს ჩახუთული სარდაფიდან მზის სინათლეზე გამოვიდაო. მე უმალ მაპატიებდნენ, თუ დავხატავდი მძვინვარე მტარვალთა შთამბეჭდავ სახეებს, მაგრამ უხამსობის ჩვენება არ მაპატიეს. რუსი კაცი მისმა უბადრუკობამ მეტად შეაშინა, ვიდრე აშკარა ნაკლი და მანკიერება შეაშინებდა.

საუცხოო მივლენაა! შიში უმშვენიერესი! ვისშიც ასე ძლიერია ხიბლი უბადრუკობისადმი, მასში უეჭველად არის ყველაფერი, რაც ეურჩება უბადრუკობას. აი, ამასია ჩემი მთავარი ღირსება; მაგრამ ეს ღირსება, ვიმეორებ, არ განვითარდებოდა ჩემში ასეთი ძალით, მას რომ არ დამატებოდა ჩემი საკუთარი სულიერი გარემოებანი და ჩემი სულიერი ისტორია. არც ერთ ჩემს მკითხველს არ მოსვლია აზრად, რომ როცა დასცინოდა

ჩემს გმირებს, იგი დამცინოდა პირადად მე.“



„ნუ განმსჯით და ნუ იჩქარებთ დასკვნების გამოტანას. თქვენ შეცდებით მსგავსად ჩემი მეგობრებისა, რომლებმაც ჩემგან შექმნეს საკუთარი იდეალი მწერლისა, მწერლის ღირსებათა შესახებ მათივე შეხედულებათა შესაბამისი და წამიყენებ მოთხოვნა, ვყოფილიყავი მათ მიერ შექმნილი იდეალის მსგავსი. მე შემქმნა ღმერთმა და არ დაუმაღავს, რას მავალეზდა. მე გაჩენილი ვარ არა იმისათვის, რომ შევქმნა ეპოქა ლიტერატურაში. ჩემი საქმე გაცილებით მარტივი და შემოსაზღვრულია: ჩემი საქმე არის ის, რაზედაც უნდა ფიქრობდეს კაცი ყოველი, და არა მარტო მე. ჩემი საქმეა — სულის გადარჩენა და ჩემი ცხოვრებით სარგებლობის მოტანა. ამიტომ ვცდილობ, რომ ჩემი მოქმედება იყოს სასარგებლო, და მე უნდა ვწერო სასარგებლოდ. არაფერი მაქვს საჩქარო. დაე სხვებმა იჩქარონ. ვწავ, რაც დასაწავია და ნამდვილად სწორად ვიქცევი, რადგან არაფერს ვიწყებ ლოცვის გარეშე“.

აი, ძირითადად თითქმის ყველაფერი, რომელთაგან ჩვენ მაინც ამოვკრეფთ ყველაზე არსებითს:

I. გოგოლი თავად აღიარებს, რომ იგი უკმაყოფილოა ყველაფრით, რაც აქამდე დაუწერია, ამიტომაც დაწვა „მკვდარი სულების“ მეორე ტომის და სხვა თავის ნაწარმოებთა ხელნაწერები. Ergo*: გოგოლის ტალანტის მტრები მართალი არიან, როცა წლების განმავლობაში გამოჰყავდათ იგი უნიჭო, უგემოვნო მწერლად, რომელსაც მხოლოდ დალაქავებული და ბინძური სურათების ხატვა შეუძლია პოლდე-კოკის სტილში.

II. გოგოლი თავადაც თანახმაა იმაზე, რომ მისი ტალანტის თავისებურება მდგომარეობს უნარში „მოხაზოს უხამსობა უხამსი ადამიანისა ისეთი სიძლიერით,

*. ამრიგად, მაშასადამე (ლათ.).

რომ ყველა წვრილმანი, თვალისთვის შეუმჩნეველი, მსხვილმანებად მოხვდეს თვალში ყველას“. Ergo: ეს არის ტალანტი მცირე და უსუსური...

III. გოგოლი საზეიმოდ აცხადებს, რომ ეთანხმება მათ, ვინც ლანძღავს მის თხზულებებს და არ ეთანხმება მათ, ვინც აქებს. Ergo: გოგოლის მაქებრები წარმოადგენენ ლიტერატურულ პარტიას, რომლებიც იყენებენ მას ჭეშმარიტი, მაგრამ მათთვის საძულველი ტალანტების დასამცირებლად.

IV. გოგოლი თვითონვე ლაპარაკობს, რომ „იგი გაჩენილია არა იმისათვის, რომ შექმნას ეპოქა ლიტერატურაში, არამედ იმისათვის, რომ გადაარჩინოს საკუთარი სული“.* Ergo: ცრუობენ ისინი, ვინც გოგოლს ახალი ლიტერატურული სკოლის მეთაურად აცხადებენ.

V. გოგოლი აღიარებს, რომ „ბულგარინის, სენკოვსკისა და პოლევიის კრიტიკაში ბევრი რამაა სამართლიანი, დაწვებული თუნდაც იმ რჩევიდან, რომ ჯერ რუსული წერა-კითხვა უნდა ესწავლა წესიერად და მერე ეწერა“, და „რომ არ ეჩქარა და ხელნაწერი გამოქვეყნებამდე ერთი წელი მაინც გაეჩერებინა, თვითონ დაინახავდა, რომ ასეთი მოუწესრიგებელი სახით იგი არ შეიძლებოდა ხალხს ჩვენებოდა“ და სხვა. Ergo: „დიკანკის საღამოების“ გარდა ყველაფერი, რაც კი დაუწერია გოგოლს, წმინდა წყლის სისულელეა და არ იმსახურებს არავითარ ყურადღებას.

ამგვარი დასკვნები შეიძლება სამართლიანად და საქმიანად მოეჩვენოს მხოლოდ იმას, ვისაც ეს აწყობს. ძალიან ცდება ყველა, ვინც ფიქრობს, რომ ჩვენი დროის მკითხველი შეიძლება ყველაფერში დაარწმუნო საკუთრად სტატიით, რომ იგი მხოლოდ დაბეჭდილს უჯერებს, თვითონ კი ვერაფერს ხედავს და არც არაფერი ესმის. ასეთი გზით სურთ მათ დაამტკიცონ, რომ გოგოლის დიდება დამყარებული

ლია რომელიღაც ლიტერატურული პარტიის. მყვირალა შეძახილებზე, რომლისთვისაც საჭირო იყო მისი განდიდება საკუთარი მიზნებისათვის. გულუბრყვილო რუსი პუბლიკაც ენდო ამ პარტიას, იყიდა მისი წიგნები და გაეცხრე-უცხრეებოდა, როცა იქ იდგებოდა სრულყოფილი კიდეც არაფერი. ხსენებულმა ლიტერატურულმა პარტიამ მოასწრო დაერწმუნებინა გოგოლის გენიალობაში ფრანგული, და მასთან მთელი ევროპული პუბლიკაც... ეს ყველაფერი კი მოტყუებაა, სიყალბეა. — იმიტომ, რომ გოგოლი უარყოფს თავის ნაწარმოებებს და თავის დიდებას... მხოლოდ ეს არის? ჩვენ კი რა გვესაქმება ყოველივე ამასთან?... — როცა ზოგიერთები აქებდნენ გოგოლის შემოქმედებას, ხომ არ მიდიოდნენ მასთან იმის საკითხავად, როგორ მოსწონს თავად მას თავისი ნაწარმოებები, არამედ მსჯელობდნენ იმ შთაბეჭდილების მიხედვით, რომელსაც ეს ნაწარმოებები ახდენდნენ... ზუსტად ასევე ჩვენ არც ახლა წავალთ მასთან იმის საკითხავად, თუ რას გვიბრძანებს იგი ვიფიქროთ მის ძველ ნაწარმოებებსა და „ნარჩევ ადგილებზე მეგობრებთან მიმოწერიდან“... რატომ უნდა ვინაღვლოთ იმის გამო, რომ იგი არ ცნობს საკუთარი თხზულებების ღირსებას, თუ ეს ღირსებები ცნო საზოგადოებამ? ეს ის ფაქტია, რომლის უარყოფა მასაც არ შეუძლია... არა, ბატონო მოწინააღმდეგენო გოგოლის ტალანტისა, ცოტა ადრე მოგსვლიათ და წყება გამარჯვების ზეიმისა, რომელსაც ვერ მიაღწიეთ და ვერც ვერასოდეს მიაღწევთ! ახლა უფრო მეტად, ვიდრე უწინ, გავრცელდება და წაიკითხება გოგოლის ადრინდელი ნაწარმოებები, ესლა უფრო მეტად, ვიდრე უწინ, დაფასდება მათი ავტორი, რადგან პუბლიკისათვის იგი უკვე წარსულს ეკუთვნის.

მაგრამ თავი გავანებოთ მაძაგებლებს და დავუბრუნდეთ ჩვენს ავტორს. რასაკვირველია, საკუთარი შეცდომებისა და მტრების თავდასხმათა სამართლიანობის მის მორჩილად-ბრძნულ აღიარებაში ბევ-

* ამავე სტატიაში ეს ციტატა სწორადაა მოყვანილი, აქ კი დამახინჯებულია (მთარგმნელი).

რი რამაა ამალღებული, რაც მას განსაკუთრებულ ღირსებას ანიჭებს; მაგრამ თუ საქმეს უფრო უბრალოდ შევხედავთ, ე. ი. არა თავმოყვარეობის, არამედ თვით საქმის თვალსაზრისით, უნდა ითქვას, რომ ავტორი გაცილებით უკეთ მოიქცეოდა, თუ ყოველგვარი აღიარების ნაცვლად გაითვალისწინებდა შენიშვნებს და „მკვდარი სულების“ მეორე გამოცემას უფრო მოწვესრიგებულ სახეს მისცემდა... გარკვეულწილად იგივე შეიძლება ითქვას „ნარჩევ“, მაგრამ ნამდვილად არა „რჩეულ“ ადგილებზე „მეგობრებთან მიმოწერიდან“: იგი შეიძლება გამოქვეყნებულიყო უფრო გამართული ენითაც, უფრო წესიერადაც, ლაზათიანადაც, და საერთოდ, ასე ვთქვათ... მაგრამ, როგორც ჩანს, მორჩილებით გაბრწყინება სიტყვიერად უფრო ადვილია, ვიდრე საქმის კეთება..

არ შეგვიძლია არ გაეჩერდეთ კიდევ ერთ საკითხზე. აი, რას წერს ავტორი ერთ ადგილას: „აი, უკვე თითქმის საუკუნენახევარი გავიდა მას შემდეგ, რაც ხელწიფე პეტრე I-მა თვალები გაგვიწმინდა ევროპული განათლების საწმენდით, მოგვცა ხელში საქმისათვის საჭირო ყველა საშუალება და იარაღი, — და დღემდე ჩვენი სივრცეები ისეთივე უდაბურნი, მწუხარენი და უკაცრიელნი რჩებიან, ისევე ისე მიუსაფარი და პირჭუსია ჩვენს გარშემო ყველაფერი, თითქოს ჯერ კიდევ არა ვართ სახლში, მშობლიურ ჭერქვეშ, არამედ მიგდებული ვართ ობლად შარავნაზე და მოგვესმის რუსეთისაგან ხმები არა ხალისიანი, ნათესაური შეხვედრისა, არამედ რაღაცნაირად ცივი, ჭარბუქში ჩაკარგული საფოსტო სადგურისა, სადაც ერთადერთი, ყველაფრისადმი გულგრილი სადგურის ზედამხედველი უგემურად გვბასუხობს: „ცხენები არ არის“. ამაში ავტორი ჩვენ გვადანაშაულებს და გვადანაშაულებს საფუძვლიანად. მაგრამ ნახეთ, რას ლაპარაკობს იგი იმავე წიგნის სხვა ადგილას: „და დღემდეც კი ევროპელები, ჩვენდა სამარცხვინოდ, მიგვიითითებენ თავიანთ დიდ ადამიანებზე, ვისზე ჭკვიანებიც ხანდახან ჩვენი

არადიდი ადამიანები არიან; მაგრამ იმათ სიკვდილის შემდგომ რაღაც სასარგებლო საქმე მაინც დატოვეს, ჩვენ კი უამრავ საქმეს ვაკეთებთ და ყველაფერი ჩვენთან ერთად მტვერივით აღიგავება პირისაგან მიწისა“. ~~ქვემოთხსენებულ~~ თბო, აი, რას: „თუ რომ ~~ესევე~~ ~~კაცობა~~ პროგორითაც აღწერილია ბიოგრაფია ფონ-ვიზინისა, აღწერილიყო მთელი ხანა ეკატერინეს მეფობისა, რომელიც უკვე დღესვე ფანტასტიკურად გამოიყურება ეპოქის მეტისმეტი სიუხვისა და არაჩვეულებრივი სახეებისა და ხასიათების არაჩვეულებრივი შესლა-შემოხლის წყალობით, შეიძლებოდა დაბეჯითებით გვეთქვა, რომ ამ ნაწარმოების ღირსებისა ევროპას ჯერ არაფერი შემოუთავაზებია“. როგორ მოგწონთ, მკითხველო, ერთმანეთთან თანხმობის თვალსაზრისით, ეს სამი ამონაწერი ერთიად იგივე წიგნიდან?

აი, კიდევ ავტორის ორიგინალური ლოგიკის მაგალითი: იგი ამტკიცებს, რომ არავის შეუძლია დაინახოს რუსი ადამიანი არც პროსტაკოვაში, არც სკოტინინში, არც ფონ-ვიზინისა მიტროფანეში, და ამავე დროს ყველა გრძნობს, რომ არსად სხვაგან, არც ინგლისში, არც საფრანგეთში არ შეიძლებოდა გაჩენილიყვნენ ასეთი არსებანი... როგორც გინდა, ისე გაიგე!

ისმის კითხვა: „რისთვის დაიწერა მთელი ეს წიგნი?“ ეს ისევე ძნელი გადასაწყვეტია, როგორც ის, თუ რატომ დაწერა ავტორმა ასეთი სტრიქონები: „ჰოი, როგორ გვჭირდება ხანდახან საჯაროდ ყველას დასანახად გალაწუნება!“

რა შედეგი შეიძლება მივიღოთ ამ წიგნიდან?

ცხადია, ამ კითხვას ყველა თავისებურად უპასუხებს, და პასუხიც დაახლოებით იმდენი იქნება, რამდენი ადამიანიც მოკიდებს ამ საქმეს ხელს. რაც შეგვეხება ჩვენ, ჩვენ ამ წიგნიდან ის შედეგი მივიღეთ, რომ ვაი. იმ კაცს, ვინც ბუნებაში მხატვრად გააჩინა, თუ იგი, თავისი გზით უკმაყოფილო, სხვა გზით დაიწყებს სიარულს. ამ ახალ გზაზე მას უეჭველად დაცემა მოეღის, რომლის შემდეგ ყოვე-

ლთვის როდია შესაძლებელი წამოდგომა და ძველ გზაზე დაბრუნება. ამასთან დაკავშირებით რატომღაც კრილოვის ლექსები გვახსენდება:

Беда, коль пироги начнет печи сапожник
А сапоги тачать пирожник,
И дело не пойдет на лад,
Да и примечено стократ.
Что кто за ремесло чужое братьяся
любит,
Тот всегда других упрямей и вздорней:

Он лучше дело все погубит,
И рад скорей
Посмечищем статью света
Чем у частных и знающих людей
Спросить или выслушат разумного
совета.

ქართულში

კიდევ სხვა აზრები მუცხლანაძის კვლევა დასკვნებიც გვიკეთებია წიგნზე: „ნარჩვენი ადგილები მეგობრებთან მიმოწერიდან“. მაგრამ... ჩვენი სტატია ისედაც საკმაოდ ვრცელი გამოვიდა.

ბ. ბელინსკის

დაახლ. 20 ივნისი, ახ. სტ. 1847 წ. ფრანკფურტი

მწუხარებით წაგიკითხე თქვენი სტატია ჩემს შესახებ „სოვრემენიკის“ მეორე ნომერში. არა იმიტომ, რომ მე დამამწუხრა დამცირებამ, რის მოყენებასაც შეეცადეთ ყველას დასანახად, არამედ იმიტომ, რომ მასში იგრძნობა ხმა ჩემზე გაბრაზებული ადამიანისა. მე კი არ მინდა გავაბრაზო არავინ, თუნდაც ის, ვისაც არ ვუყვარვარ, მით უმეტეს თქვენ, რომელიც ყოველთვის მიმაზნდით ჩემს მოყვარულ ადამიანად, ოდნავ არ მინდოდა მეწყენინებინა თქვენთვის ჩემი წიგნის არც ერთ ადგილში. მაინც როგორ მოხდა, რომ ყველანი ერთიანად გამინაწყენდნენ მთელ რუსეთში, — ვერ გამიგია. აღმოსავლეთლები, დასავლეთლები და ნეიტრალურნი — ყველანი გამინაწყენდნენ. რაც მართალია, მართალია, განზრახული მქონდა მცირე წკიპურტი წამეკრა ყველა მათგანისთვის, რადგან ამის საჭიროება საკუთარ ტყავზე მქონდა გამოცდილი (ყველას გვჭირდება მეტი მორჩილება); მაგრამ ვერ გავიაზრე, რომ ჩემი წკიპურტი ასე ტლანქი და მოუხეშავი, შეურაცხმყოფელი გამოვიდოდა. ვფიქრობდი, დიდსულოვნად მაპატიებდნენ და ჩემს წიგნში ჰპოვებდნენ უმალ ჩანასახს შერიგებისა, ვიდრე განხეთქილებისა. თქვენ შეხედეთ ჩემს წიგნს განაწყენებუ-

ლი კაცის თვალით და ამიტომ თითქმის ყველაფერი გადასხვაფერებულად აღიქვით. მოდით, გამოტოვეთ ადგილები, რომლებიც ჯერ კიდევ გამოცანაა ბევრისთვის, თუ ყველასათვის არა, და მიაქციეთ ყურადღება იმ ადგილებს, რომლებიც მისაწვდომი და მისაღებია ყველა საღად მოაზროვნე ადამიანისათვის, და მიხვდებით, რომ ბევრ რამეში შეცდით.

ტყუილუბრალოდ არ ვთხოვდი ყველას, წაგიკითხათ ჩემი წიგნი რამდენჯერმე, რადგან წინასწარ ვგრძნობდი მოსალოდნელ გაუგებრობებს. მერწმუნეთ, არაა ადვილი იმსჯელოთ წიგნზე, რომელშიც ჩაიქსოვა სულიერი ისტორია ადამიანისა, ყველას რომ არ ჰგავს, თანაც საკუთარ თავში ჩაკეტილი ადამიანისა, რომელიც ყველა სიკეთესთან ერთად აზრის გამოთქმის უუნარობითაც იტანჯება. არც იმ გმირული გადაწყვეტილების მიღება იყო ადვილი, თანაც გამეხადა საყოველთაო დაცინვის და შერცხვენის საგნად, გამომეჩინა ნაწილი იმ შინაგანი უჯრედისა, რომლის აზრი ძალზე გვიან ვაცხადდებოდა. მარტო ამ გმირობას უნდა აეძულებინა მოაზროვნე ადამიანი, დაფიქრებულიყო, — რაშია საქმე, — და სანამ საკუთარი სიტყვის თქმას იჩქარებდა, გადაეკითხა წიგნი სულიერი მდგომარეობის სხვადასხვა წუთებში, უფრო უმშვიდესა და აღსარებისადმი განმაწყობელ-

ში, რადგან სწორედ ასეთ წუთებში ძალ-
უძს სულს გაიგოს სხვისი სული, ხოლო
ჩემს წიგნში სულის მეტი არაფერია. მა-
შინ არ დაუშვებდით ისეთ აშკარა შეც-
დომებს, რომლებითაც სავსეა თქვენი სტა-
ტია. როგორ შეიძლება, მაგალითად, ჩემი
ნათქვამიდან, რომ კრიტიკაში, სადაც ჩემს
ნაკლზეა ლაპარაკი, ბევრი სიმართლეა, გა-
ვაკეთოთ დასკვნა, თითქოს მე ვამტკიცებ-
დე, კრიტიკოსები, რომლებიც ჩემს ღირ-
სებაზე ლაპარაკობენ, უსამართლონი არი-
ანთ? ასეთი აზრი შეიძლება მოუვიდეს
თავში მხოლოდ გაღიზიანებულ ადამიანს,
რომელიც აგრძელებს მისი გამაღიზიანებელი
მიზნების ძიებას და არ იკვლევს საგანს
გულმშვიდად და ყოველმხრივ. ხომ შეიძ-
ლებოდა საქმე ასე ყოფილიყო, — მე დიდ-
ხანს ვატარებდი თავში და ველოლიავე-
ბოდი აზრს, რანაირად შეთქვა კრიტიკო-
სებზე, რომლებიც ჩემს ღირსებაზე ლაპა-
რაკობდნენ და ამასთან დაკავშირებით მრავ-
ალი მშვენიერი აზრი გამოთქვეს საერ-
თოდ ხელოვნებაზე? იქნებ მსურდა მიუ-
კერძოებლად განმესაზღვრა თითოეულის
ღირსება და უფაქიზესი გამოძახილები ეს-
თეტიური გრძნობისა, რომელიც მეტნაკლე-

ბად ყველა მათგანში არსებობდა? ან იქ-
ნებ მხოლოდ ხელსაყრელ შემთხვევას ვე-
ლოდი, ისეთ შემთხვევას, როცა შესაძლე-
ბელი იქნებოდა ამის თქმა, ან, უკეთ ვი-
ტყვი — როდის შემუძლებოდა ამის თქმა
წესიერების ფარგლებში, ისე, რომ არ დამ-
ბრალებოდა თვითმისჯილობა, ან ცეცხლად სა-
მართლიანობის და მიუკერძოებლობის
გრძნობისა? წერეთ, რანაირი სიმწარითაც
გსურდეთ, გამოიყენეთ, რა სიტყვებიც იც-
ით, ადამიანის დასამცირებლად, ხელი შე-
უწყვეთ ჩემს გამასხრებას თქვენი მკითხ-
ველის თვალში და არ დაინანოთ საამისოდ
თქვენი, შესაძლოა, მგრძნობიარე გულის
ყველაზე უნაზესი სიმები — ყველაფერს
აიტანს ჩემი სული, თუმც არა უტკივი-
ლოდ და მწუხარების გარეშე, მაგრამ მე
მიმძიმს, ძალიან მიმძიმს (ჭეშმარიტად გე-
უბნებით ამას), როცა ჩემ მიმართ პირადი
მტრობა აქვს თუნდაც ბოროტ ადამიანს,
არათუ კეთილს, მე კი თქვენ ყოველთვის
მიმანდით კეთილ ადამიანად. აი ჩემი
გრძნობების გულწრფელი აღწერა.

ნ. ბ.

ნ. ი. კროკოპოვიჩის (ნაწყვეტი)

ფრანკფურტი. 20 ივნისი, ახ. სტ. 1847

...ამ დღეებში „სოვრემენიკის“ 2 №-ში
წავიკითხე ბელინსკის კრიტიკული წერი-
ლი. მან, როგორც ჩანს, მთელი წიგნი მი-
სი მისამართით დაწერილად მიიჩნია და
მასში ამოიკითხა მოხდენილი გალაშქრება
იმ ადამიანთა წინააღმდეგ, ვინც მასავით
ფიქრობს. ეს არ არის მართალი; ჩემს წიგ-
ნში, როგორც დაინახეთ, თავს ვესხმი ყვე-
ლას და ყველაფერს, რაც გადადის უკიდუ-
რესობაში. საფიქრებელია, რომ მან თავის
თავზე მიიღო ის ქიშტი, რომელიც ეკუთვ-
ნოდა საერთოდ ჟურნალისტს. მე ძალზე
დამამწუხრა მისმა გაღიზიანებამ არა გა-
მოთქმათა სიმკაცრის გამო, რომელსაც
თითქოსდა ვერ ვიტანდე, — შენ იცი, მე

ყველაზე უმკაცრესი სიტყვების მოსმენა
შემიძლია, — არამედ იმიტომ, რომ ეს კა-
ცი ათი წლის განმავლობაში ჩემზე კარგის
მეტს არაფერს ლაპარაკობდა. ამ კაცმა,
მიუხედავად მისთვის ჩვეული გადაჭარბე-
ბის და სიფიცხისა, სამართლიანად მიუ-
თითა ჩემს ნაწარმოებთა ბევრ ისეთ თვი-
სებაზე, რომლებიც ვერ შენიშნეს სხვებმა,
განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე
მდგომად რომ თვლიან თავს. და თურმე მე
მიძასუნია უმადურობით ასეთი ადამიანის-
თვის, მაშინ, როცა არასოდეს დამიკარგავს
სიმართლე მათთვისაც კი, ვისაც ჩემი გა-
შაგება სურდათ და მხოლოდ ნაკლს ეძებ-
დნენ ჩემში! არა, ამ შემთხვევაში მხოლო-

ოდ მოვტყუვდი: მე ბელინსკი უფრო ამაღლებული მეგონა, ნაკლებ ახლომხედველი და ნაკლებ წერილმანი დასკვნების გამოტანაში. არ ვიცი, რატომ მიმძიძის ასე უმაღურობის გამო საყვედურის ატანა, მაგრამ ამნაირი საყვედურები მართლაც ყველა სხვა საყვედურზე მეტად მიკლავენ გულს, რადგან სული ჩემი მაღლიერებითაა სავსე, მიყვარს მაღლიერების გამოსატყვა, რადგან ამით თავად განვიცდი სიამოვნებას. გეთაყვა, დაეღაპარაკე ბელინსკის და მომწერე, როგორ არის იგი ამჟამად ჩემ მიმართ განწყობილი, თუ მასში კვლავ დულს

ნალველი ჩემ წინააღმდეგ, დაე გადმოანთხიოს იგი „სოვრემენიკის“ ფურცლებზე, მაგრამ ნუ შეინახავს გულში. სოლო თუ მისი უკმაყოფილება ოდნავ მაინც დაცხრა, აჩვენე მიმდებარე წერილი, რომელიც შეგიძლია წაიკითხო შენცერქოვსში.

ყველაფრიდან ჩანს, რომ მთავრად სოგიერთი ახსნა-განმარტების გაკეთება ჩემი წიგნის თაობაზე, რადგან არა მარტო ბელინსკი, არამედ ისინიც, ვინც მასზე უკეთ მიცნობენ, როგორც პიროვნებას, ისეთ უცნაურ დასკვნებს აკეთებენ, რომ აღარ ვიცი, რა ვიფიქრო...

წერილი გოგოლს

მხოლოდ ნაწილობრივ ხართ მართალი, როცა ჩემს სტატიაში გაბრაზებული ადამიანი დაინახეთ. ეს ეპითეტი მეტად სუსტი და ფაქიზია იმ მდგომარეობის გამოსახატავად, რომელშიც თქვენი წიგნის წაკითხვამ ჩამაყენა. მაგრამ ერთობ ცდებით, როცა ამ მდგომარეობის მიზეზად ასახელებთ თქვენს, მართლაც რომ, არასახარბიელო გამონათქვამებს თქვენივე ტალანტის თაყვანისმცემელთა მისამართით. არა, აქ უფრო მნიშვნელოვანი მიზეზია საძიებელი: თავმოყვარეობის შელახვას შეიძლება მოერიოს კაცი, და იმდენი ჭკუა მეყოფოდა, გავჩუმებულიყავი ამ საგანზე, საქმე რომ მხოლოდ მასში ყოფილიყო, მაგრამ შეუძლებელია ატანა ჭეშმარიტების, ადამიანური ღირსების შეურაცხყოფის გრძობისა; შეუძლებელია დუმილი, როცა რელიგიის საფარქვეშ და მათრახის გამართლებით გვიქადაგებენ სიცრუესა და უზნეობას, როგორც ჭეშმარიტებასა და სიკეთეს.

ღიას, მე თქვენ მიყვარდით მთელი მკზნებარებით, როგორც თავის ქვეყანაზე მიჯაჭვულ ადამიანს უნდა უყვარდეს მისი იმედი, სიამაყე, დიდება, ერთ-ერთი მისი დიად ბელადთაგანი ცნობიერების, განვითარების, პროგრესის გზაზე. და თქვენ მართლაც გქონდათ საფუძვლიანი მიზეზი წამით დაგეკარგათ სულის სიმშვიდე იმ სი-

ყვარულზე უფლების დაკარგვის გამო. იმიტომ არ ვლაპარაკობ, რომ ჩემს თქვენდამი სიყვარულს დიადი ტალანტის ჯილდოდ ვთვლიდი, არამედ იმიტომ, რომ ამ მიმართებით მე წარმოვადგენ არა ერთ, არამედ მრავალ პიროვნებას, რომელთა უმეტესობა არც თქვენ და არც მე თვალთ არ გვინახავს, და რომელთაც თავის მხრივ არასოდეს უნახიხართ თქვენ. არ შემიძლია ოდნავ მაინც მივახვედროთ იმ აღშფოთებაზე, რომელიც გამოიწვია ყველა კეთილშობილ ადამიანთა გულში თქვენმა წიგნმა, და არც იმ ველური სიხარულის ყიჟინზე, რომელიც ატეხეს თქვენმა მტრებმა, როგორც არალიტერატურულმა — ჩინოკოვებმა, ნოზრდევებმა, გოროდნიჩებმა... ისე ლიტერატორებმა, ვისი სახელებიც თქვენთვის კარგად არის ცნობილი. თვითონ ხედავთ, რომ თქვენს წიგნს ზურგი აქციეს იმ ადამიანებმაც, რომლებიც თითქოს სულიერად ახლოს იდგნენ მასთან. იგი თუნდაც რომ ღრმა და გულწრფელი გრძობით ყოფილიყო დაწერილი, მაინც ისეთივე შთაბეჭდილებას მოახდენდა საზოგადოებაზე. და თუ მაინც მიღებულ იქნა (ზოგიერთების გამოკლებით, ვისაც კარგად უნდა იცნობდეთ, რომ არ გიხაროდეთ მათი მხარდაჭერა), როგორც ეშმაკური, მაგრამ მეტად უცერემონიო საშუალება ზეციური გზით პირწმინდად მიწიერი

მიზნის მიღწევისა — ამაში თქვენ თვითონ ხართ დამნაშავე. და ეს არცაა გასაკვირი, საკვირველი მხოლოდ ისაა, რომ თქვენ გიკვირთ ეს ყველაფერი, ვფიქრობ, ამის მიზეზი არის ის, რომ თქვენ ღრმად იცნობთ რუსეთს მხოლოდ როგორც მხატვარი და არა როგორც მოაზროვნე ადამიანი, რომლის როლი ასე უნიათოდ იტვირთეთ თქვენს ფანტასტიკურ წიგნში. ეს მოხდა არა იმიტომ, რომ თქვენ არ ხართ მოაზროვნე, არამედ იმიტომ, რომ მიუჩვიეთ რუსეთის ჭერეტას თქვენი მშვენიერი შორეთიდან; ხომ ცნობილია, რომ არაფერია იმაზე ადვილი, დავინახოთ შორიდან საგნები ისეთად, როგორადაც გვსურს მათი დანახვა, რადგან იმ წარმტაც შორეთში თქვენ ცხოვრობთ მისგან სრულიად უცხოდ, საკუთარ თავში ჩაკეტილი ან ერთგვაროვანი, ისევ თქვენნაირად განწყობილი წრით გარემოცული, რომელსაც დაკარგული აქვს უნარი წინაღუდგეს თქვენს გადუნას მასზე. ამიტომ დაგრჩათ შეუმჩნეველი, რომ რუსეთი ხედავს თავის ხსნას არა მისტიციზმში, ან ასკეტიზმსა თუ პიიტიზმში, არამედ ცივილიზაციის წარმატებაში, განათლებაში, ჰუმანიზმში. მას ჭირდება არა ქადაგებები (ბევრი ისმინა უკვე!), არა ლოცვები (ბევრი ლოცვა უხეპირებია!), არამედ ვადვიძება ადამიანებში ღირსების გრძნობისა, რომელიც საუკუნეების მანძილზე ლაფში და ნეხვში იყო ჩაკარგული, — კანონები და უფლებები, არა საეკლესიო სწავლებათა, არამედ საღი აზრისა და სამართლიანობის შესაბამისნი, და შეძლებისდაგვარად მკაცრი მიდევნება მათი. ამის ნაცვლად დღეს რუსეთი წარმოადგენს საშინელ სანახაობას ქვეყნისა, სადაც ადამიანი ვაჭრობს ადამიანით და არ საჭიროებს საამისოდ თავის მართლებას, რომლითაც ეშმაკურად სარგებლობენ ამერიკელი პლანტატორები, აქაოდა ზანგი ადამიანი არ არისო. ესაა ქვეყანა, სადაც ადამიანები საკუთარ თავსაც კი არ მოიხსენიებენ სახელებით, არამედ მეტსახელებით: ვანკათი, ვასკათი, სტეშკათი და პალაშკათი; ქვეყანა, სადაც არ არსებობს არათუ რაიმე გარანტია პიროვნების, მისი ღირსების და საკუთრების დაცვისა, არამედ უბრალო პოლიციური შეღამხედველობაც კი, სამაგიეროდ არსებობს სხვადასხვა ჯურის უზარმაზარი კორპორაციები სახელმწიფოებრივი ქურდების და მტაცებლებისა! უკვე აღარ უნდა ვთხოვოდ, დროით ნაკარნახები ეროვნული სატკივრები რუსეთისათვის ამეამად არის: ბატონყმობის გაუქმება, ფიზიკური სასჯელის აკრძალვა, შეძლებისდაგვარად მკაცრი შესრულების დაწესება იმ კანონებისა მაინც, რომლებიც უკვე მიღებულია. ამას ხელისუფლებაც გრძნობს (რომელმაც კარგად უწყის, რანაირად ექცევიან ბატონები თავიანთ ყმებს და რამდენს ხოცავენ ყოველწლიურად). რასაც გამოხატავს გაუბედავი ღიმილისმომგვრელი და უნაყოფო ნახევარზომებით თეთრი ზანგების დასაცავად: ვთქვათ, სამწვერიანი როზგის შემოღებით ნაცვლად ერთწვერიანი მათრახისა.

აი საკითხები, რომლებიც საგანგაშოდ მნიშვნელოვანია რუსეთისათვის მის აპათიურ ძილ-ღვიძილში. და ამ დროს დიდი მწერალი, რომელმაც სასწაულებრივად მხატვრული, ღრმად ჭეშმარიტი ქმნილებებით ასეთი მძლავრი ბიძგი მისცა რუსეთის თვითშეცნობას, თითქოს სარკეში ჩაახედაო — გვევლინება წიგნით, რომელშიც ქრისტესა და ეკლესიის სახელით ასწავლის ავაზაკ-მემამულეს, როგორ წაგლიჯოს ვლებებს კიდევ მეტი ფული და თან პირდაუბანელი ღორები უძახოს მათ. და ამას არ უნდა აღეშფოთებინე განა?

მოსაკლავად რომ გაგემეტებინეთ, მაშინაც არ შეგიჯავრებდით მეტად, ვიდრე ამ სამარცხვინო სტრიქონებისთვის... და ამის შემდეგ გსურთ, რომ თქვენი წიგნის მიმართულების გულწრფელობაში დაარწმუნოთ მკითხველი! არა. თქვენ რომ აღვსილიყავით მართლა ქრისტიანული და არა ეშმაკეული მოძღვრებით, სულ სხვა რამეს დაუწერდით თქვენს ადებტს მემამულეთაგან. თქვენ მისწერდით, რომ რაკი მისი გლებები ამავე დროს მისი ქრისტესმიერი

ძმები არიან, და რამდენადაც ძმა არ შეიძლება იყოს თავისი ძმის მონა, მან იგი უნდა გაათავისუფლოს ან, უკიდურეს შემთხვევაში, ისარგებლოს გლეხკაცის შრომით რაც შეიძლება ნამუსიანად და გულის სიღრმეში გამუდმებით იცნობიერებდეს მის წინაშე მტყუანის მდგომარეობას.

ან ეს გამოთქმა რა არის: „პოი, შე პირდაუბანელო ღორო“, რომელ ნოზრდევთან, ან სობაკევიჩთან მოისმინეთ იგი, რათა დიდ აღმოჩენასავით გამოგეცხადებინათ ეს გლეხის სასარგებლოდ და მის ჭკუის სასწავლებლად გამიზნული რჩევა, რომლებიც უიშისოდაც იმიტომ არ იბანენ პირს, რომ თავიანთი ბატონების ჩაგონებით ადამიანად არ თვლიან თავს? ან რას ნიშნავს თქვენი მინიშნება რუსულ ეროვნულ სამართალსა და სასჯელზე, რომლის იდეალი კპოვეთ სულელი დედაკაცის სიტყვებში პუშკინის მოთხრობიდან და რომლის თანახმადაც უნდა გაიწკებლოს როგორც მტყუანი, ისე მართალი? ეს ხომ მართლაც ასე ხდება ჩვენში, თუმცა უფრო ხშირად სცემენ მხოლოდ მართალს, თუ ვერ გაიღებს გამოსასყიდს დანაშაულისაგან — იყოს უდანაშაულო დამნაშავე. და ასეთი წიგნი შეიძლება ყოფილიყო შედეგი რთული შინაგანი პროცესისა, მაღალი სულიერი გასხვივებისა? შეუძლებელია! თქვენ ან ავად ხართ, — და ასეთ შემთხვევაში სასწრაფოდ უნდა შეუდგეთ მკურნალობას, ან... ან... ვერ ვბედავ აზრის დამთავრებას!..

მათრახის მკადაგებელო, უმეცრებისა და ბნელეთის მოციქულო, ობსკურანტიზმისა და ეშმაკეულის ქომაგო, თათრული წესების პანეგირისტო — რას სჩადიხართ! ძირს დაიხედეთ, — თქვენ ხომ უფსკრულის პირას დგახართ... თქვენს მოძღვრებას მართმადიდებელი ეკლესიით რომ ამართლებთ, ეს კიდევ მესმის — იგი ყოველთვის იყო მათრახის დასაყრდენი და დესპოტიზმის მამებელი: მაგრამ რისთვის დაგჭირდათ ქრისტეს მოშველიება? რა საერთო ნახეთ მასსა და რომელიმე, მით უმეტეს, მართლმადიდებელ ეკლესიას შორის?

ქრისტემ პირველმა აუწყა მძლავრი ხმით მსოფლიოს იდეა ძმობის, ერთობის და თავისუფლებისა და მოწამებრივად დაამტკიცა თავისი მოძღვრების ჭეშმარიტება, და ეს მოძღვრება მანამ იყო ხსნა ადამიანებისთვის, სანამ არ შენივთდებოდა და საფუძვლად არ გაიხადებოდა მისი პრინციპი. ეკლესია ნიშნავდა იერარქიას, უთანასწორობის ხელისშემწყობს, ხელისუფლების ლაქიას, იგი იყო მტერი და მოძულე ადამიანთა შორის ძმური კავშირისა, — ასეთად რჩება დღესაც. მაგრამ ქრისტიანული სიტყვის აზრი ახსნა გასული საუკუნის ფილოსოფიამ. ამიტომ ვინმე ვოლტერი, რომელმაც დაცინვის იარაღით ჩააქრო ევროპაში ფანატიზმის და უმეცრების ხანძარი, უფრო მეტადაა ქრისტეს ძე, მისი სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი, ვიდრე ყველა თქვენი მღვდელი, არქიელი, მიტროპოლიტი და პატრიარქი აღმოსავლეთისა თუ დასავლეთის! ნუთუ ეს არ იცით? ეს ხომ დღეს ყველა გიმნაზიელისთვის არის ცნობილი... პოდა, ნუთუ თქვენ, „რევიზორისა“ და „მკვდარი სულების“ ავტორმა, მაინცდამაინც თქვენ უმღერეთ გულიდან ამოსული საგალობელი უმსგავსო რუს სამღვდელოებას, დააყენეთ იგი კათოლიკურ სამღვდელოებაზე მაღლა? ვთქვათ, არ იცოდით რომ მეორე ოდესღაც რაღაცა იყო, მაშინ როცა პირველი არასდროს არაფერს არ წარმოადგენდა, გარდა ხელისუფლების მორჩილი მსახურისა. მაგრამ ნუთუ ის მაინც არ იცით, რომ ჩვენი სამღვდელოება საყოველთაო ზიზლის საგანია რუსი საზოგადოებისა და რუსი ხალხის თვალში? ვისზე ჰყვება რუსი ადამიანი უხამს ზღაპარს? მღვდელზე, მღვდლის ცოლზე, მღვდლის ქალიშვილსა და მღვდლის მოჯამაგირეზე. ვის უძახის რუსი ადამიანი: უჯიშო მოდგმაო, ნასუქი მოზერებით? მღვდელს... არის თუ არა რუსეთში მღვდელი ყველა რუსისთვის ნიშნის? ღორმუცელობის, სიძუნწის, მლიქვნელობისა და უსირცხვილობის, ვითომ ეს ყველაფერი თქვენ არ იცით? უცნაური ამბავია! თქვენი აზრით, რუსი ერი ყველაზე

რელიგიურია მსოფლიოში: სიცრუეა! რელიგიურობის ფუძე პიეტეზმია, მოწიწება, ღვთის შიში, ხოლო რუსი კაცი ღმერთს ახსენებს და ამავე დროს უკანალს იფხანს. იგი ხატის შესახებაც ასე ლაპარაკობს: **სანამ ვარგია, ვილოცებ, დაძველდება და ქოთანს დავაფარებო.**

დააკვირდით კარგად და დარწმუნდებით, რომ რუსი ხალხი ბუნებით ღრმად ათეისტური ხალხია. მასში ჯერ კიდევ ძლიერია ცრურწმენა, მაგრამ კვალიც არა ჩანს რელიგიურობისა. ცრურწმენა ქრება ცივილიზაციის განვითარების შედეგად, მაგრამ რელიგიურობა ხშირად უთავსდება მას; ამის ცოცხალი მაგალითია საფრანგეთი, სადაც ბევრი კათოლიკეა განათლებულ და მცოდნე ადამიანთა შორის და ჯერ კიდევ ბევრია ისეთი, ვინც განშორდა ქრისტიანობას, მაგრამ მაინც ებლაუჭებიან რომელიღაც ღმერთს. რუსი ადამიანი არ არის ასეთი: მისტიური ეგზალტაცია არ ძვეს მის ბუნებაში; ამისათვის მას მეტად საღი და ნათელი, დადებითი გონება აქვს და, ალბათ, ეს იქნება მიზეზი მისი ისტორიული მომავლის სიდიადისა. რელიგიურობით ჩვენში არ გამსჭვალულა არც სამღვდლოება, ვინაიდან არსებობა რამდენიმე განსაკუთრებული, ჩუმი ასკეტური მჭვრეტელობით გამორჩეული პიროვნებისა არაფერს არ ამტკიცებს. მეტი წილი რუსი სამღვდლოებისა ყოველთვის გამოირჩეოდა დიდრონი მუცლებით, სქოლასტიკური პედანტიზმით და ველური უმეცრებით. ნამდვილად საცოდაობაა, დასწამო მას რელიგიური შეურიგებლობა და ფანატიზმი; ის უფრო ქებას იმსახურებს რწმენის საქმეში ინდიფერენტიზმის გამო. რელიგიურობა ჩვენთან მხოლოდ რასკოლნიკურ სექტებში შეიმჩნევა, ასე მკვეთრად რომ უპირისპირდებიან ხალხის ძირითად მასას და რიცხოობრივადაც მის უმნიშვნელო ნაწილს შეადგენენ.

ალარ შევჩერდები დიდხანს დითირამბზე, რომელიც უძვენით რუსი ხალხის სასიყვარულო კავშირს თავის მბრძანებელთა მიმართ. პირდაპირ ვიტყვი: ამ დითირამბმა

არავისში არ ჰპოვა თანაგრძნობა და ძირს დაგცათ იმათ თვალშიც კი, ვინც სხვა მხრივ ძალზე ახლოს იყვნენ თქვენთან სულიერად. რაც შემეხება პირადად მე, მომინდვია თქვენი სინდისისათვის, დატკბეთ თვითმპყრობელობის ღვთიური სილამაზის ჭვრეტით (ეს ნეტარების მომგვრელი და ამბობენ, მომგებიანიცაა თქვენთვის), მაგრამ გირჩევთ, ეს ჭვრეტა კეთილგონიერულად განაგრძოთ თქვენი მშვენიერი შორეთიდან, რადგან ახლოდან ისეთი წარმტაცი არაა და არც თუ უსაფრთხოა... მხოლოდ ერთს შევნიშნავ: როცა ევროპელი, განსაკუთრებით კი კათოლიკე, რელიგიური გრძნობის მოზღვავენას განიცდის, იგი უსამართლო ხელისუფლების მამხილებელი და მსაჯული ხდება, მსგავსად ებრაელი წინასწარმეტყველებისა, რომლებიც უშიშრად ამხელდნენ ამა ქვეყნის ძლიერთა უკანონობას. ჩვენთან პირიქით ხდება: შეეყრება თვით წესიერ ადამიანსაც ავადმყოფობა, რომელსაც ექიმ-ფსიქიატრთა ენაზე *religioza mania* ჰქვია, და იგი უმაღლესი მიწიერ მეუფეს უწყებს გუნდრუკის კმევას, ვიდრე ზეციერს, თან ისე ვადაამლაშებს, რომ იმ მიწიერს ძალიანაც რომ უნდოდეს დააჯილდოვოს თავისი მაქებარი მონური გულმოდგინებისათვის მაინც ვერ იზამს მას, რადგან იცის, რომ შეირცხვენს თავს საზოგადოების თვალში... ეშმაკის ფეხია ეს ჩვენი ძმა, რუსი ადამიანი!..

კიდევ იმას ვიხსენებ, რომ თქვენს წიგნში დიდი და ეჭვმიუტანელ ჭეშმარიტებასავით ამტკიცებთ, რომ ჩვეულებრივი ხალხისთვის წერა-კითხვის ცოდნა არათუ უსარგებლოა, არამედ პირდაპირ მავნეცაა: რა ვითხრათ ამის თაობაზე? დაე შეგინდოთ თქვენმა ბიზანტიელმა ღმერთმა ამ ბიზანტიური აზრისთვის, თუ მხოლოდ, გადმოგქონდათ რა იგი ქალაღზე, არა იცოდით, რასა იქმოდით... მაგრამ, იქნებ გინდათ თქვათ: „კარგი, ვთქვათ მე ვცდები, და ყველა ჩემი აზრი მცდარია. რატომ მართმევენ შეცდომის უფლებას და არ სურთ დაიჯერონ ჩემი გულწრფელობა?“ გიპასუხებთ: იმიტომ, რომ მსგავსი

ნიმართულება რუსეთში კარგა ხანია, მოძველებულია, სულ ცოტა ხნის წინ იგი მხოლოდ ამოწურა ბურაჩეკმა თავის სამოთხეში. ცხადია, თქვენს წიგნში მეტი ჭკუა და ტალანტიც კი იგრძნობა (თუმცა განსაკუთრებით არც ერთი და არც მეორე), ვიდრე მათ თხზულებებში, სამაგიეროდ მათ განავითარეს თავიანთი და თქვენი საერთო თვალსაზრისი მეტი ენერჯითა და თანმიმდევრობით, თამამად მიაღწენ საბოლოო შედეგს, ყველაფერი შესწირეს თავიანთ ბიზანტიელ ღმერთს და არაფერი დაუტოვეს სატანას, მაშინ, როცა თქვენ თითო სანთელი ერთსაც დაუნთეთ და მეორესაც, ჩავარდით წინააღმდეგობაში თუნდაც იმით, რომ იცავდით პუშკინს, თეატრს და ლიტერატურას, რომლებიც თქვენივე თვალსაზრისით (თუ იმდენ პატიოსნებას გამოიჩინებთ, რომ იქნებით თანმიმდევრული) ოდნავაც ვერ გამოდგებიან სულის ხსნისათვის, სამაგიეროდ დიდად ხელს შეუწყობენ მის წაწყვედას... რომელ ჭკუათმყოფელს შეიძლება მოსვლოდა აზრად გოგოლის შედარება ბურაჩეკთან? თქვენ თქვენი შემოქმედებით მეტისმეტად მაღალი ადგილი დაიმკვიდრეთ რუსი მკითხველის თვალში, რომ მან დაიჯეროს თქვენი ნათქვამის გულწრფელობა. რაც ბუნებრივია სულელებში, დაუჯერებელია გენიალურ ადამიანში. ზოგიერთები კინალამ იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ თქვენი წიგნი შედეგია გონების მოშლილობისა, რაც ახლოსაა სიგიჟესთან. მაგრამ მათ სწრაფად უარყვეს იგი — ცხადია, რომ წიგნი იწერებოდა არა ერთი დღე, ან ერთი კვირა, თუ თვე, არამედ შესაძლოა მთელი წელი, ან ორი, ან სამიც კი. მასში არის კავშირები და მთლიანობა; ზერეულე თხრობის მიღმა იმზირება ჩანაფიქრი, ხოლო ჰიმნი ხელისუფალთ კარგად ემსახურება ღვთისმოსავი ავტორის მიწიერ არსებობას. აი, რატომ გავრცელდა პეტერბურგში ხმა, თითქოს თქვენ ეს წიგნი იმისთვის დაწერეთ, რომ მიეწვიეთ ტახტის მემკვიდრის აღმზრდელად. უფრო ადრე პეტერბურგში გახმაურდა თქვენი

წერილი უვაროვისადმი, რომელშიც წუხხართ, რომ თქვენს ნაწარმოებებს რუსეთში უკულმართად განმარტავენ, მერე გამოთქვამთ უკმაყოფილებას თქვენი ადრინდელი ნაწარმოებებით და აცხადებთ, რომ მხოლოდ მაშინ იქნებით კმაყოფილი თქვენი თხზულებებით, რაცაა — მყოფი კმაყოფილი იქნება ის, რომელიც... და ა. შ. ახლა თავად განსაჯეთ, შეიძლება გიკვირდეთ, რომ საკუთარმა წიგნმა დაგცათ საზოგადოების თვალში, როგორც მწერალი, და კიდევ უფრო მეტად, როგორც ადამიანი?

მე თუ რამ გამევეება, თქვენ მთლად კარგად არ იცნობთ რუს საზოგადოებას. მისი ხასიათი განისაზღვრება საზოგადოებისავე მდგომარეობით, რომელშიც ჩქეფენ და ნაპირს გამოდიან ახალი ძალები, მაგრამ მძიმე სატანჯველის წნეხქვეშ მოქცეულნი ვერ პოულობენ გამოსავალს და ქმნიან უსასოობის, სევდის, აპათიის განწყობილებას. მხოლოდ ლიტერატურაშია შემორჩენილი, მიუხედავად თათრული ცენზურისა, სიცოცხლე და წინსვლა. ამიტომ არის ჩვენთან მწერლის სახელი ასე საპატიო და ამიტომ მიიღწევა ასე იოლად ლიტერატურული წარმატება თუნდაც მცირე ტალანტის შემთხვევაში. პოეტის ტიტულმა, ლიტერატურის წოდებამ ჩვენში კარგა ხანია დაჩრდილა ეპოლეტების და ნაირფერადი მუნდირების ყალბი ბრწყინვალება. აი, რატომ ჯილდოვდება სხვაზე მეტად ჩვენთან საყოველთაო ყურადღებით ეგრეთწოდებული ლიბერალური მიმართულებანი თუნდაც მწირი ტალანტის არსებობისას და რატომ ეცემა ასე სწრაფად დიადი ტალანტის პოპულარობა, როცა იგი, ნებით თუ უნებლიეთ, გულწრფელად თუ ანგარიშით თავის თავს უძღვნის თვითმპყრობელობის, მართლმადიდებლობის და ხალხოსნობის სამსახურს. მჭევრმეტყველია მაგალითი პუშკინისა, რომლისთვისაც სულ რაღაც ორი-სამი ერთგულ-ქვეშევრდომული ლექსის შეთხზვამ და კამერიუნკერის ლივრეის ჩაცმამ იკმარა, რომ ერთბაშად გამოთხოვებოდა ხალხის სიყვა-

რულს! ძალიან ცდებით, თუ ხუმრობაგაშვებით ფიქრობთ, რომ თქვენი წიგნის დაცემა გამოიწვია არა მისმა უხეირო მიმართულებამ, არამედ პირდაპირობამ ჭეშმარიტებისა, რომლითაც თქვენ მიმართეთ ყველას და თითოეულს. ვთქვათ, ასე ფიქრობდით კალმოსანთა სამეგობროზე, მაგრამ ხალხი როგორღა მოხვდა ამ კატეგორიაში? ნუთუ „რევიზორსა“ და „მკვდარ სულელებში“ თქვენ ნაკლებ მკაცრად, ნაკლები სიმართლითა და ნიჭიერებით, და ნაკლებად მწარე ჭეშმარიტება აუწყეთ მას? და იგი მართლაც გაცოფდა სიბრაზისაგან, მაგრამ „რევიზორსა“ და „მკვდარ სულელებს“ ამით არა დაკლებიათ რა, მაშინ როცა თქვენი ბოლო წიგნი სამარცხვინოდ ჩაფლავდა. საზოგადოებას აქ ნურაფერს ერჩით: იგი რუს მწერალში თავის ერთადერთ ბელადს ხედავს, მშველელსა და დამცველს თვითმპყრობელობის, მართლმადიდებლობისა და ხალხოსნობისაგან და ამის გამო, თუმც კი მზად არის შეუდოს მწერალს სუსტი წიგნი, არასოდეს აპატიებს მას მავნებლურ წიგნს. ეს მაჩვენებელია იმისა, რაოდენ დიდია ჩვენს საზოგადოებაში, თუმც ჯერ კიდევ ჩანასახად, ჯანსაღი წინათგრძნობა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ რუსეთს აქვს მომავალი. თუ თქვენ ვიყვართ რუსეთი, გაიხარეთ ჩემთან ერთად, გაიხარეთ თქვენი წიგნის დაცემით!..

არც თუ თვითკმაყოფილების გარეშე გამოგიტყდებით, რომ მეჩვენება, თითქოს ცოტათი მაინც ვიცნობ რუს საზოგადოებას. თქვენმა წიგნმა შემამფოთა ცუდი გავლენის შესაძლებლობის გამო მთავრობაზე, ცენზურაზე, მაგრამ არა ხალხზე, როცა პეტერბურგში ხმა დაირხა, მთავრობა აპირებს თქვენი წიგნის გადაბეჭდვას მრავალ ათას ცალად და ყველაზე იაფ ფასებში გაყიდვასო, ჩემმა მეგობრებმა ყურები ჩამოყარეს; მაგრამ მე მაშინვე ვუთხარი მათ, რომ მიუხედავად ყველაფრისა, წიგნს არ ექნება წარმატება და მალე მიივიწყებს ყველა. ასეც მოხდა: დღეს იგი უფრო ცნობილია მასზე დაწერილი სტატიებით, ვიდრე თავისთავად. ასეა, რუს ადამიანში

ღრმად არის გამჯდარი, თუმც კი განუვითარებელი სახით, ჭეშმარიტების ინსტიქტი.

თქვენი მიმართვა შკიტსკელისადმი ალბათ გულწრფელიც იყო, მაგრამ განზრახვა — მიგეტანათ ბურსაზე ჭეშმარიტებამდე — უიმედოდ მარცხიანი. მსგავსი ბრყვილო ღვთისმოშიშობის დრო დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა. საზოგადოებას უკვე ესმის, რომ სულ ერთია, სად ილოცებს და იერუსალიმში ქრისტეს ეძებენ მხოლოდ ისინი, ვისაც არასოდეს უტარებია ის გულში, ან ვინც დაკარგა იგი. ვინც იტანჯება სხვისი ტანჯვით, ვისაც უძძიმს ყურება უცხო ადამიანების ჩაგვრისა, ის ატარებს კიდევ ქრისტეს გულით. და მას არ სჭირდება იერუსალიმში ფეხით გამგზავრება. თქვენ მიერ ნაქადაგები მორჩილება, ჯერ ერთი, არ არის ახალი და მეორეც — სუნი სდის, ერთის მხრივ, საშინელი მედიდურობის და მეორეს მხრივ, საკუთარი ღირსების გრძნობის სამარცხვინო დამცირებისა. სურვილი, იქცე რაღაც აბსტრაქტულ სრულყოფილებად, აღმატებოდა ყველას მორჩილებით, შეიძლება იყოს მხოლოდ სიამაყის, ან გონებრივი სისუსტის ნიშანი, — ორივე მათგანს მივყავართ პირფერობამდე, მლიქვნელობამდე, კიტაიზმამდე. თქვენ უფლება მიეცით თავს, ბინძურ-ცინიკურად გელაპარაკათ არა მარტო სხვაზე (ეს მხოლოდ კადნიერება იქნებოდა), არამედ საკუთარ თავზეც — ეს უკვე საზიზღრობაა; რადგან თუ ადამიანი, რომელიც ლოყაში სცემს მოყვასს, იწვევს სიძულვილს, ადამიანი რომელიც თავისთავს იცემს, ზიზღის ღირსია. არა, თქვენ კი არ განათლდით, მხოლოდ ჩაბნელდით; თქვენ ვერ გაიგეთ ვერც ფორმა და ვერც შინაარსი ჩვენი დროის ქრისტიანობისა. არა ჭეშმარიტება ქრისტიანული მოძღვრებისა მოედინება თქვენი წიგნიდან, არამედ ავადმყოფური შიში სიკვდილისა, ეშმაკისა და ჯოჯოხეთის!

ან ეს რა ენაა, რა ფრაზებია? „ნაგავი და ძონძი გახდა დღეს კაცი ყოველი“, ნუ-

თუ ფიქრობთ, რომ თქვათ **კაცი ყოველი** ნაცვლად ყველასი — ბიბლიურად მეტყველებას ნიშნავს? რა დიდი მიხვედრა იმას უნდა, რომ, როცა ადამიანი მთლიანად მივსყიდება სიცრუეს, მას ღალატობს ჭკუა და ტალანტი? თქვენს წიგნზე თქვენი სახელი რომ არ ყოფილიყო, და ამოგვერიდა მისგან ადგილები, სადაც ლაპარაკობთ საკუთარ თავზე, როგორც მწერალზე, ვინ იფიქრებდა, რომ სიტყვებისა და ფრაზების ეს დაუსრულებელი, უთავბოლო რახარუხი „რევიზორისა“ და „მკვდარი სულების“ ავტორის ნაწარმოებია?

რაც შეეხება პირადად მე, გიმეორებთ: შეცდით, როცა ჩემი სტატია ჩემზე, როგორც ერთ-ერთ თქვენს კრიტიკოსზე ნათქვამი სიტყვების გამო, წყენად მიიჩნიეთ. მარტო ამას რომ გავებრაზებინე, მაშინ მხოლოდ ამ მიმართებით გამოვხატავდი წყენას, სხვა მხრივ კი გულმწივიდად, მიუკერძოებლად ვილაპარაკებდი. ისე კი მართალი ხართ, თქვენი გაბოძახილი თქვენს თავყანისმცემლებზე ორმაგად ცუდია. მე მესმის, რომ ხანდახან წკიპურტი უნდა წაკრა სულელს, რომელიც თავისი მოუზომავი ქებითა და ალტაცების გამოხატვით სასაცილოდ მაჩენს, მაგრამ ესეც ძნელი საქმეა, იმიტომ, რომ რაღაც ადამიანურად უხერხულია თუნდაც ყალბ სიყვარულს უპასუხო მტრულად. მაგრამ თქვენ ხომ მხედველობაში გყავდათ, თუ ბრწყინვალე ნიჭით დაჯილდოებულნი არა, ყოველ შემთხვევაში, არც სულელნი. ამ ადამიანებმა, ვანცვიფრებულებმა თქვენი ქმნილებებით, შესაძლოა უფრო მეტად ალტაცების შეძახილებებით შეგამკეს, ვიდრე საქმეზე ილაპარაკეს, მაგრამ მათი ენთუზიაზმი მომდინარეობს იმდენად წმინდა და კეთილშობილი სათავიდან, რომ თქვენ არ უნდა გეკადრათ მათი ჩაადება თავიანთ-ფეხებიანად. მათი და თქვენი საერთო მტრების ხელში, თან დაგედანაშაულებინათ ისინი თქვენი ნაწარმოების უკუღმართად განმარტების მცდელობაში. ეს თქვენ, ცხადია, განზრახ არ გავიკეთებიათ, მაგრამ გაგიტაცათ თქვენი

წიგნის დედააზრმა, ხოლო ვიახუმსკიმ, ამ თავადმა არისტოკრატიაში, ლიტერატურაში კი ნამდვილმა გლეხუჭამ თქვენი აზრის განვითარებით ნამდვილი დასმენა დაწერა თქვენს პატივისმცემლებზე (ალბათ, ყველაზე მეტად ჩემზე) და წაიღინა, როგორც ჩანს, თქვენს წყენა-ერების გამო, რაკილა იგი, უხეირო რით-მათმწყობი, დიდ პოეტად წარმოადგინეთ. თუ არ ვცდები, ასე თქვით: „მისი მძიმე, თითქოს მიწაზე ეთრევაო, ლექსი“. ყველაფერი ეს ცუდია. ხოლო ის, რომ თქვენ მხოლოდ შემთხვევას ელოდით, რათა სამართლიანობა მიგეზღათ თქვენი ტალანტის თავყანისმცემლებისთვის (რომელიც სინამდვილეში ამაყი მორჩილებით მიუხედავით თქვენს მტრებს), მე ამის შესახებ არაფერი ვიცოდი. არ შემეძლო და, მართალი გითხრათ, არც ვისურვებდი მცოდნოდა. ჩემ წინ თქვენი წიგნი იდო და არა თქვენი ზრახვები. მე იგი ასჯერ წავიკითხე და იქ ვერაფერი ვპოვე, გარდა იმისა, რაც არის მასში. ხოლო რაც არის, იმან ღრმად შეურაცხმყო და სული ამიძღვრია. მე რომ მთლიანად მივცე გასაქანი ჩემს გრძნობებს, ეს წერილი მალე გადაიქცევა სქელტანიან რვეულად. მე არ ვაპირებდი დამეწერა ამ საგანზე, თუმცა ყოველთვის ვიტანჯებოდი უთქმელობისგან, და მიუხედავად იმისა, რომ თქვენ ყველას და თითოეულს მოუწოდეთ საჯაროდ მოეწერათ თქვენთვის უცერემონიოდ, ეთქვათ მხოლოდ სიმართლე. რუსეთში ამას ვერ ვიზამდი, რადგან იქაური „შპეკინები“ წერილებს ხსნიან არა მარტო პირადი ცნობისმოყვარეობის, არამედ სამსახურებრივი მოვალეობის გამოც, პიროვნების დასმენის მიზნით. მაგრამ ამ ზაფხულს დაწყებულმა ჭლექმა საზღვარგარეთ გამომაძევა და ნეკრასოვმა თქვენი წერილი ზალცბრუნში გადმომიგზავნა, საიდანაც ანენკოვთან ერთად მივემგზავრები პარიზს, ფრანაფორტის გავლით თქვენი წერილის მოულოდნელმა მიღებამ მიბიძგა გამომეთქვა ყველაფერი, რაც გულში მედო თქვენს წინააღმდეგ თქვენი წიგ-

ნის გამო. მე არ შემძლია სანახევროდ
ლაპარაკი, ვერ ვიქმნაკებ: ასეთია ჩემი ბუ-
ნება. დაე თქვენ თვითონ, ან მომავალმა
დამიმტკიცოს, რომ ვცდებოდი. მე პირვე-
ლი გავიხარებ ამით, მაგრამ არ ვინანებ
იმას, რაც გითხარით. აქ საქმე ჩემსა და
თქვენს პიროვნებას არ ეხება, არამედ სა-
განს, რომელიც მეტია არა მარტო ჩემზე,
არამედ თქვენზეც. აქ საქმე ეხება ჭეშმა-
რიტებას, რუს საზოგადოებას, რუსეთს.

და აი ჩემი უკანასკნელი, დასკვნითი

სიტყვა. თუ თქვენ გქონდათ უბედურება
ამაყი მორჩილებით განდგომოდით თქვენს
ჭეშმარიტად დიად ნაწარმოებებს, ახლა
ვალდებული ხართ, გულწრფელი მორჩი-
ლებით განუდგეთ თქვენს უკანასკნელ
წიგნს და მისი გამოცემის მძიმე ცოდვა
გამოისყიდოთ ახალი მხილებებით, რომ-
ლებიც გაგვახსენებენ თქვენს აღრინდელს.

ზალცბრუნი,

15 ივლისი, 1847 წ.

პ. მ. ანენკოვის (ნაწყვიტი)

ოსტენდუ. 12 აგვისტო, ახ. სტ. 1847

გავიგე, რომ პარიზში იმყოფებით და
გადავწყვიტე მოგწეროთ. მე მივიღე წე-
რილი ბელინსკისაგან, რომელმაც დამა-
ღონა არა იმდენად შეურაცხმყოფელი სი-
ტყვებით, რომლებიც პირდაპირ ჩემ წი-
ნააღმდეგაა მომართული, რამდენადაც გა-
ბოროტების გრძნობით საერთოდ. ეს უკა-
ნასკნელი დამღუპველია მისი ჯანმრთე-
ლობისთვის. თქვენ ახლა მის სიახლოვეს
ხართ, მოარიდეთ ყველაფერი, რაც
სულს უფორიაქებს. უპირველეს ყოვლისა,
დაარწმუნეთ იმ ამკარა ჭეშმარიტებაში,
რომ გადაჭარბება დღეს ხვედრია ყველა
ოდნავ მაინც მგრძნობიარე გულის ადა-
მიანისა, ვისაც აქვს გარკვეული ხასიათი
და რაღაც რწმენა. ყველა აჭარბებს, რად-
გან არავინაა დაწყნარებული. მე, სხვებ-
თან შედარებით წყნარი და გულგრილი,
სხვაზე მეტად გადავიჭერი უკიდურესობა-
ში: ჩემი წერილების წერისას ჭეშმარიტ-
ად იმ აზრისა ვიყავი, რომ ყველა წოდე-
ბა და თანამდებობა შეიძლება გასპეტაკ-
დეს ადამიანის მიერ და, რაც მაღალია
თანამდებობა, მით უფრო წმინდა უნდა
იყოს იგი; მსურდა განმეხილა ყველა თა-
ნამდებობა და წოდებანი მათ წმინდა სა-
წყისებში და არა იმ სახით, როგორითაც
გვხვდებიან ცხოვრებაში ადამიანთა მიერ
მათი ბოროტად გამოყენების გამო; მე
დავიწყე მაღალი თანამდებობებით; მსუ-

რდა ადამიანებისთვის შემეხსენებინა მათი
მოვალეობების სიწმინდის შესახებ, გამო-
მივიღა კი ისე, რომ ჩემი სიტყვები მი-
იღეს ადამიანისთვის გუნდრუკის კმევად.
რომ არ ავეოლოდი გადაჭარბების გრძნო-
ბას, რომლითაც დღეს ყველაა შეპყრობი-
ლი, შესაძლოა მეთქვა ისე, რომ ბევრ რა-
მეში დამეთანხმებოდნენ ისინიც, ვინც დღეს
ყველაფერში წინ მიდგანან, თუმცა ვგრძ-
ნობ, მაშინაც შემეტყობოდა ცალმხრივობა:
მას შემდეგ, რაც საკუთარი თავის შინა-
გან აღზრდას შევუდექი, დიდი დრო გავა-
ტარე ბიბლიის, მოსეს, პომეროსის —
წარსული დროის კანონმდებელთა კითხ-
ვაში, გადავიკითხე ისტორიები მოვლენე-
ბისა, რომლებიც კარგა ხნის წინ მოხდა
და თავისი დრო მოჭამეს, და ბოლოს, ვაკ-
ვირდებოდი და ანატომიურად შევისწავლი-
დი რა საკუთარ სულს, რათა ჩავწვდომოდი
საერთოდ სულს ადამიანისას და სწორედ
ამ გზაზე შევხვდი მას. ვისაც ყველა
ჩვენგანზე უკეთ ცნობია სული ადამიანი-
სა, ბუნებრივია, რომ მე დროებით უცხო გა-
ვხვდი ყოველივე თანადროულის მიმართ. სა-
მაგიეროდ ჩემში გაიღვიძა ბავშვურმა
ცნობისმოყვარეობამ, ვიცოდე ყველაფერი,
რისი ცოდნაც აღრე არ მსურდა. თითქოს
მაღლიდან მქონდა ნაბრძანები — არ და-
მეწყო ამქვეყნიური ცხოვრების შესწავლა
მანამ, სანამ საკუთარ თავს უკეთ არ გა-

ვიცნობდი. და მე მერვენება, რომ ახლა შემძლია სხვას გაეუსწრო გამოძიების გზაზე: აღარ არის ჩემში არც გალიზიანება, არც ფანატიზმი, არც ვინმეს ვემბრობი, რადგან ყველგან ვხედავ სიმართლის მარცვალს და მრავლად — გადაჭარბებებსა და სიცრუეს. მაგრამ არ ვიცი, მეყოფა თუ არა საამისოდ ფიზიკური ძალა. ჩემი

ჯანმრთელობა, რომელიც ის-ის იყო გამოსწორებას და აღდგენას იწყებდა, კვლავ შეირყა ჩემს წიგნთან დაკავშირებული გამანადგურებელი ისტორიით. ჩემი სულის ყველაზე მგრძობიარე სიმებმა ისეთი დარტყმები მიიღეს, რომ ~~მეცვირეს~~ ~~ვიღაც~~, როგორ ვარ ცოცხალბ ~~და~~ ~~რას~~ ~~გაქცეული~~ ჩემმა სუსტმა სხეულმა...

ა. პ. ტოლსტოის

(დაახლ. 14 აგვისტო ახ. სტ. 1847. ოსტენდე)

...მუხანოვი მიყვებოდა, რომ შეგაწუხათ რუსების მრავალრიცხოვანმა მოზღვაეებამ თქვენს სასტუმროში, რომელთა შორისაც იმყოფება ლიტერატორი ბელინსკი. ბარემ ბელინსკიზეც გეტყვი: ამასწინათ მივიღე მისგან წერილი, რომელიც, მისი სიტყვები რომ ვიხმაროთ, თავად მოითხოვდა დაწერას ჩემი მოწოდების შემდეგ — ეთქვათ ჩემთვის სიმართლე. წერილი ნამდვილად ალალი გულითაა დაწერილი და ამავე დროს განცვიფრებას იწვევს თავის მოსაზრებათა შეუვალობის რწმენით. იგი ხედავს საქმის მხოლოდ ერთ მხარეს და არც კი შეუძლია აუღელვებლად დაფიქრდეს იმაზე, რომ არსებობს იგივე საკითხის მეორე მხარეც. მე პასუხად მხოლოდ ის მივწერე, რომ ჩვენ ყველას

ცუდად გვესმის საკითხები, რომელზედაც ვლაპარაკობთ, რომ უწინარეს ყოვლისა, საჭიროა საკუთარი თავი განვკურნოთ თავდაჯერებულობისა და სწრაფი დასკვნების კეთებისგან. თუ შეხვდებით ანენკოვს, აი იმას, რომელიც — გახსოვთ? — ჩვენთან იყო პარიზში თქვენი თანდასწრებით, ჰკითხეთ, მიიღო თუ არა ჩემი წერილი, რომელიც *poste restante*¹-ზე გავგზავნე ბელინსკისადმი წერილთან ერთად, ვისთანაც ის მეგობრობს.

გემშვიდობებით, ვჩქარობ და ვჯლაბნი ისე, რომ ვერც წაიკითხავთ, ზომიაკოვი ლონდონიდან ჯერ არ გამოჩენილა.

გრაფინიას გადაეცით დიდი მოწიწება.

თქვენი ნ. პ.

თავდაპირველი (შავი) ვარიანტი პასუხისა ბელინსკის წერილზე

(ივლისის ბოლო — აგვისტოს დასაწყისი ახ. სტ. 1847. ოსტენდე)

რით დავიწყო პასუხი თქვენს წერილზე? დავიწყებ თქვენივე სიტყვებით: „გამოფხიზლდით, თქვენ ღვახართ უფსკრულის პირას!“ რა შორს გადაუხვიეთ პირდაპირი გზიდან, რა თავდაყირა იწყეთ საგნების ხედვა. რაოდენ უხეში, უვიცი აზრით გაიგეთ ჩემი წიგნი! რანაირად განმარტეთ იგი! დაე, შთანერგონ წმინდა ძალებმა სიმშვიდე თქვენს ტანჯულ, ნაწამებ სულს, რად დაგჭირდათ შეგვეცვალოთ ერთხელ არჩეული მშვიდობიანი

გზა? რა უნდა ყოფილიყო უფრო დიადი, ვიდრე ჩვენება სილამაზისა ჩვენს მწერალთა შემოქმედებაში, მკითხველთა სულიერი ძალების ამალღება და მათი შემზადება მშვენიერების აღსაქმელად, მათში გაღვიძებული თანაგრძობის შევნებისგან მოვლენილი ტკბილი ფრუანტელი?... ეს გზა მიგიყვანდათ ცხოვრებასთან შერიგებამდე. ეს გზა გაიძულებდათ

1. მოკითხვამდე.

დაგელოცათ ყოველივე არსებული ბუნებაში. რაც შეეხება პოლიტიკურ ვითარებას, საზოგადოება თავისით დაწყნარდებოდა, თუ შერიგების სული დამკვიდრდებოდა იმათში, ვისაც მასზე გავლენა ხელეწიფება. ახლა კი თქვენი სიტყვები ნაღველითა და სიძულვილითაა სავსე. რად გინდოდათ თქვენისთანა მკზნებარე სულის ადამიანს პოლიტიკური ბრძოლის ორომტრიალში, თანამედროვეობის ამ მღვრიე მოვლენებში ჩარევა, რომელთა შორის მოხვედრილი, თქვენზე მეტად მტკიცე და წინდახედულნი, მრავალმხრივი ნიჭის მქონენიც კი თავგზას კარგავენ? როგორ შეძლებთ თქვენი ცალმხრივი, დენტოვიით ფეთქებადი ტკუით, რომელიც მანამ ენთება, სანამ გაიგებს, სად ეძიოს ჭეშმარიტება — როგორ შეძლებთ არ დაიკარგოთ? თქვენ დაიწვეებით, როგორც სანთელი, და სხვასაც დასწვავთ. ო, როგორ მიკვნესის გული თქვენ გამო ამ წამს! ვაითუ მეც დავაშავე, ვაითუ ჩემმა ნაწერებმაც შეუწყვეს ხელი თქვენს გზიდან აცდენას? მაგრამ არა. რანაირი სიმკაცრითაც არ ვიხილაე ჩემს ადრინდელ ნაწარმოებებს, მასში ვერ ვპოვებ სიცრუეს ზოგიერთი თანამედროვე თხზულებისა, რომელსაც შეეძლო ეცდუნებინეთ.

რა უცნაურად დაიბენით. ბურუსს მოუცავს თქვენი ნათელი გონება. რა უკულმართად გაგიგიათ აზრი ჩემი ნაწარმოებებისა. მათ რომ ვწერდი, მე თაყვანს ვცემდი ყველაფერს, რასაც თაყვანი უნდა სცეს ადამიანმა.

არასოდეს დამიციანია იმისთვის, რაც რუსული ხასიათის და მისი დიადი ძალების საფუძველს შეადგენს. მე დავცინოდი მხოლოდ წვრილმანს, მისი ხასიათისთვის შეუფერებელს და უჩვეულოს. ჩემი შეცდომა ის იყო, რომ ძალზე არასრულად წარმოვიდგინე რუსი ადამიანი, არ განმივრცია იგი, არ ჩავწვდომივარ მისი სულის მასაზრდოებელი მძლავრი ნაკადების სათავეებს. მაგრამ ეს არც იყო იოლი საქმე. მართალია, მე თქვენზე მეტად

ვაკვირდებოდი რუს ადამიანს, და ამაში შესწავლად გარკვეული ნიჭი ნათელმხილველობისა, მაგრამ მაინც არ დავბრმავებულვარ საკუთარი თავით, მხერა ნათელი მქონდა. ვხედავდი, რომ ჯერ არ მოვმწიფებულვარ საიმედოდ, ერთმ შევეჭიდო იმაზე უფრო მნებულყოფანი უმჯობესებს, რაც ჩემს თხზულებებში აღვწერე, და უფრო ძლიერ ხასიათებს. მკითხველს შესაძლოა ყველაფერი გაზვიადებული და ნაძალადევი მოსჩვენებოდა. სწორედ ეს დაემართა ჩემს წიგნს, რომელსაც ასე გამეტებით დაესხით თავს. თქვენ მას აელვარებული თვალებით შეხედეთ და ყველაფერი სხვანაირად აღიქვით. თქვენ იგივე იცანით. არ დავიწყებ მის დაცვას. როგორ ვუპასუხო რომელიმე თქვენს ბრალდებას, როცა ყველა მათგანი მიზანს აცდენილია? მე თვითონ ვესხმოდი მას თავს და კვლავაც დავესხმი. იგი გამოიცანაჩქარევიად და ფაციფუციით, რაც უჩვეულოა ჩემი წინდახედული და განსჯისადმი მიდრეკილი ხასიათისთვის. მაგრამ მე მართალი ვიყავი საკუთარი თავის წინაშე. არავის მილაქუცება და თავის მოქონვა არ მიცდია. მხოლოდ ის მსურდა, შემეჩერებინა რამდენიმე მსურვალე თავი, რომელთაც ელოდათ საშიშროება რეტი დასხმოდათ და ჩაკარგულიყვნენ არეულობის შორევეში, მთელი მსოფლიო რომ მოიცვა. მე ზედმეტობაში გადავიტყერი, მაგრამ დაბეჯითებით გეუბნებით, ეს უნებურად მომივიდა. ანგარებიანი მიზნები მაშინაც არ მქონია, როცა ჯერ კიდევ აყოლილი ვიყავი ამქვეყნიურ ცდუნებებს, მით უმეტეს ეხლა, როცა დროა სიკვდილზე ვიფიქრო. არავისთვის არაფრის დატყუება არ მდომებია. ჩემი ბუნება მკარნახობს, რომ არის ხიბლი სიღარიბეში. ის მაინც გაგხსენებოდათ, რომ მე საკუთარი კუთხეც არ გამაჩნია და იმაზე ვზრუნავ, კიდევ უფრო შევამსუბუქო ჩემი პატარა სამგზავრო ჩანთა, რათა უფრო იოლად შევიძლო ამ სოფელთან გამოთხოვება. თქვენ თავის შეკავება გმართებდათ ჩემი მისამართით იმნაირი

ეჭვების გამოთქმისაგან, რომლითაც მე ვერ გავბედავდი გამესვარა უკანასკნელი ნაძირალას სახელიც კი. ეს უნდა გახსოვდეთ.

თქვენ თავს იმართლებთ, რომ განრისხებული ხართ. მაგრამ როგორ ბედავთ განრისხებით ილაპარაკოთ ესოდენ მნიშვნელოვან საგნებზე და ვერ ხედავთ, რომ მრისხანება გაბრმავებთ და გიკარგავთ სიმშვიდეს?..

თქვენ ცბიერად მიიღეთ ჩემი სიტყვები ხელმწიფისადმი, რომლებითაც ვახსენებთ მისი წოდების სიწმინდესა და მაღალ მოვალეობებს. თქვენ მათ პირმოთნეობას უწოდებთ, არ ხართ მართალი. თითოეულ ჩვენგანს სჭირდება შეხსენება იმისა, რომ მისი წოდება წმინდაა, მით უმეტეს, ხელმწიფეს, ვისაც განგებამ მილიონებზე ზრუნვის ძნელი და საშინელი ხვედრი არგუნა. უნდა იცოდეს, რა მკაცრი პასუხი მოეთხოვება უზენაესისგან. რატომ უნდა ვახსენებდეთ ერთმანეთს წოდებათა სიწმინდეს? დიახ, ჩვენ ერთმანეთსაც უნდა ვახსენებდეთ ჩვენი წოდებებისა და მოვალეობების სიწმინდეს. უამისოდ ადამიანი მატერიალურ გრძნობათა კაობში ჩაეფლობა.

თქვენ ამბობთ, რომ მე ვუმღერე საგალობელი ჩვენს მთავრობას. არავისთვის არსად არ მიმღერია. მხოლოდ ის ვთქვი, რომ მთავრობა ჩვენისთანებისაგან შედგება. ჩვენ ჩვენივე სამსახურებრივი წინსვლის შედეგად ვხვდებით მთავრობაში.

რატომ მოგეჩვენათ, რომ გუნდრუკი ვუკმე ჩვენს უხამს, თქვენი სიტყვები რომ ვიხმართ, სამღვდელოებას? ნუთუ ასე იფიქრეთ ჩემი სიტყვების გამო, აღმოსავლეთის ეკლესიის მოძღვარი ცხოვრებითა და საქმით უნდა მოძღვრავდესმეთქი? საიდან გავიჩნდათ სული ასეთი მძულვარებისა? მე ბევრი მინახავს ცუდი მღვდელი და შემოძლია მათ შესახებ მრავალი სასაცილო ანეკდოტი მოვყვე, იქნებ თქვენზე მეტიც. სამაგიეროდ ისეთნიც შენხვედრია, ვისი ცხოვრების სიწმინდე

და გმირობა მაოცებდა და ვხედავდი, რომ ისინი იყვნენ პირმშონი არა დასავლეთის, არამედ აღმოსავლეთის ეკლესიისა. ამრიგად, მე თუ ვუგალობე სამღვდელოებას, არა უხამსა და ჩვენი ეკლესიის შემარცხვენელს, არამედ სამღვდელოებას, რომელიც ამაღლებს ჩვენს უმეცობას.

რა უცნაურია ეს ყველაფერი! რა უცნაურია, რომ იძულებული ვარ თავი დავიცვა ბრალდებათაგან, რომლებიც არც მე და არც ჩემს წიგნს არ ეხებიათ. თქვენ ამბობთ, რომ ასჯერ წაიკითხეთ ჩემი წიგნი, მაშინ როცა თქვენივე სიტყვებიდან ჩანს, რომ იგი ერთხელაც არ წაგიკითხავთ. არის სიმართლის თითო-ორილა გამონაშუქი სოფიზმებისა და ცხარე ყმაწვილური შეძახილების უზარმაზარი გროვის ფონზე, მაგრამ რა უვიცობა იმზირება თითოეული გვერდიდან! თქვენ განაცალკევებთ ეკლესიას ქრისტესა და ქრისტიანობისაგან, იმ ეკლესიას, იმ მოძღვართ, ვინც თავიანთი მოწამებრივი სიკვდილით ბეჭედი დაასვეს ქრისტეს ყოველ სიტყვას, რომლებიც ათასობით იხოცებოდნენ მკვლელთა დანებითა და ხანჯლებით, ლოცულობდნენ მათივე სულის ხსნისათვის და ბოლოს ისე დაღალეს თავიანთი ჯალათები, რომ გამარჯვებულნი ფეხქვეშ ჩაუვარდნენ დამარცხებულებს, და მთელმა ქვეყანამ ირწმუნა მათი სიტყვა. აი ამ მოძღვართა, ამ მოწამე ეპისკოპოსთა — საკუთარი მხრებით რომ ზიდეს ეკლესიის სიწმინდის ტვირთი—განცალკეება გწადიათ ქრისტესაგან, როცა მათ ქრისტეს უსამართლო განმმარტებლებს უწოდებთ. მაშ ვის შეუძლია თქვენი აზრით, უკეთესად და უფრო ზუსტად განმარტოს დღეს ქრისტეს მოძღვრება? ნუთუ ახლანდელ კომუნისტებსა და სოციალისტებს, რომლებიც გვასწავლიან, ქრისტე მდიდართა ძარცვა-გლეჯას ქადაგებდაო? გამოფხიზლდით, ვოლტერს უწოდებთ ქრისტიანობის მსახურს და ამბობთ, რომ ეს ცნობილია ყველა გიმნაზიელისათვის. მე კი გიმნაზიაში სწავლის დროსაც არ ვიყავი აღფრთოვანებული ვოლტერით. იმდენი ჭკუა მაშინაც მქონ-

და, ვოლტერში გაქნილი და ენაკვიმატი კაცი დამენახა და არა ღრმად მოაზროვნე. ვოლტერით არასოდეს იყვნენ აღფრთოვანებული დიდი და მომწიფებული გონების ადამიანები. იგი აღაფრთოვანებდა მხოლოდ სწავლამოუბთავრებელ ახალგაზრდობას.

2.

არ შეიძლება ზერელე ჟურნალისტური განათლებით ასეთ საკითხებზე მსჯელობა. ამისთვის ეკლესიის ისტორიის შესწავლაა საჭირო. საჭიროა ხელახლა, დაფიქრებით წაიკითხოთ კაცობრიობის მთელი ისტორია პირველწყაროებში, და არა მსუბუქი ბროშურებით მოთხრობილი, რომლებიც ღმერთმა უწყის, ვისი დაწერილია. ეს ზედაპირული ენციკლოპედიური ცნობები არათუ არ ძაბავენ, პირიქით, ფანტავენ გონებას.

რა უნდა ვითხრათ მკაცრ შენიშვნაზე, რომ რუსი გლეხი არ არის მიდრეკილი რელიგიისაკენ და, ღმერთზე როცა ლაპარაკობს, მეორე ხელით წელს ქვევითა ნაწილს იქექავს, შენიშვნაზე, რომელსაც თქვენ ისეთი რიხით წარმოთქვამთ, თითქოს მთელი ცხოვრება რუსი გლეხკაცის გვერდით გავეტარებინოთ?

არა, ბესარიონ გრიგორის-ძევ, არ შეიძლება რუს გლეხზე იმსჯელოს მან, ვისაც მთელი ცხოვრება პეტერბურგში, მსუბუქი საჟურნალო სტატიების წერასა და ფრანგი რომანისტების კითხვაში გაუტარებია.

რა საბუთის წარმოდგენა შეგიძლიათ დასამტკიცებლად, რომ იცნობთ რუსი ხალხისა და საერთოდ ადამიანის ბუნებას? რა შეგიქმნიათ ისეთი, რომელშიც გამოჩნდებოდა ეს ცოდნა? ეს დიდი საგანია და ამის შესახებ წიგნები შეიძლება დაიწეროს. მაშინ თქვენ შევრცხვებოდათ იმ უხეში აზრისა, რომელიც მიაწერეთ ჩემს რჩევებს მემამულისადმი.

... ..
თქვენს აზრებს მემამულის შესახებ ფონეიზინის დროინდელ შეხედულებათა სუნი სდის. მას შემდეგ რუსეთში ბევრი რამ შეიცვალა, მრავალმა სიახლემ იჩინა თავი.

ბიზუიციუსა

... ..
ბევრ რამეზე გვმართებს დაფიქრება, სანამ თავშეუკავებელი რაინდული თუ ყმაწვილური მგზნებარებით ვიმპერმეტყველებთ თავისუფლებაზე, რათა ეს თავისუფლება მონობაზე უარესი არ აღმოჩნდეს.

... ..
მე გამაოცა გაბედულმა თავდაჯერებამ, რომლითაც აცხადებთ: „მე ვიცნობ ჩვენს საზოგადოებას და მის სულსო“ და თავსაც დებთ ამაზე. როგორ შეიძლება თავის გამოდება ამ ყოველწამს ცვალებადი ქამელეონის ცოდნაზე? რ მონაცემებით დაამტკიცებთ საზოგადოების ცოდნას? რა საშუალებები გაგაჩნიათ საამისოდ? გიჩვენებიათ ოდესმე თქვენს ნაწარმოებებში, რომ ძალგიძთ ღრმად ჩასწვდეთ ადამიანის სულს? გაქვთ კი ცხოვრების საკმარისი გამოცდილება? თქვენ მოწყვეტილი ხართ ადამიანებსა და სამყაროს, ეწვეით საჟურნალო მუშაკის მშვიდობიან ცხოვრებას ფელეტონურ სტატიებზე ყოველდღიურ შრომაში, პოდა, საიდან უნდა იცნობდეთ იმ ვეებერთელა ურჩხულს, რომელიც წამდაუნწუმ გვიგებს მახეს, რომელშიც ებმებიან მსოფლიოსა და კაცობრიობაზე ზრუნვით გართული ახალგაზრდა მწერლები, მაშინ როცა უამრავი საკითხია მოსაგვარებელი უშუალოდ ჩვენს სიახლოვეს? ჯერ ისინი უნდა მოგვარდეს და მაშინ საზოგადოება თავისით წავა სწორი გზით, ხოლო თუ უგულვებელვეყოფთ ვალდებულებებს ჩვენს გარშემო მყოფ ადამიანთა წინაშე და გამოვეკიდებით საზოგადოებრივ საკითხებს, ვერც ერთს ვარკებთ რასმე და ვერც მეორეს. ბოლო ხანებში მრავალ სრულიად გზასაცდენილ, მაგრამ თავისთავად მშვენიერ ადამიანს შევხვედრივარ. ერთნი

ფიქრობენ, რომ გარდაქმნებით და რეფორმებით, სხვა წყობილებაზე გადასვლით შეიძლება გამოსწორდეს ქვეყანა; სხვანი ფიქრობენ, რომ განსაკუთრებული, საკმარისად მდარე ლიტერატურით, რომელსაც თქვენ ბელეტრისტიკას უწოდებთ, შეიძლება საზოგადოების აღზრდა-განვითარებაზე ზემოქმედება, მაგრამ საზოგადოების კეთილდღეობა არ მიიღწევა არც არეულობებით და არც მგზნებარე თავების მოღვაწეობით. შინაგანი დუდილი არ დაცხრება კარგი კონსტიტუციის მიღებით, საზოგადოება ყალიბდება თავისთავად. იგი შედგება ერთეულებისგან. საჭიროა, თითოეულმა ერთეულმა მიხედოს თავის თავს, მისსავე მოვალეობას. ადამიანს სჭირდება გახსენება იმისა, რომ იგი მატერიალური ცხოველი კი არ არის, არამედ მაღალი ზეციური მოქალაქეობის წევრია. სანამ იგი მაღალი ზეციური მოქალაქის ცხოვრებით არ იცხოვრებს, მანამდე არ მოწესრიგდება აქაური, მიწიერი მოქალაქეობა.

თქვენ ამბობთ, რომ რუსეთი დიდხანს და უშედეგოდ ლოცულობდაო. არა, რუსეთი არ ლოცულობდა უშედეგოდ და უსარგებლოდ. როცა იგი ლოცულობდა, გადარჩებოდა კიდევ. მან ილოცა 1612 წელს და გადაურჩა პოლონელებს, ილოცა 1812 წელს და გადაურჩა ფრანგებს. იქნებ ლოცვაში იმას გულისხმობთ, როცა ასიდან ერთი ლოცულობს, ხოლო დანარჩენები დიდიდან საღამომდე ღრეობენ და ათასნაირი სანახაობებით ერთობიან, უკანასკნელ ქონებას აგირავენ, რათა დატკბნენ კომფორტით, რომელიც მოგვიტანა უთავბოლო ევროპულმა ცივილიზაციამ?

მოდით თავი ვანებოთ საეჭვო დებულებებს და პატიოსნად შევხედოთ საკუთარ თავს. შევეცადოთ მიწაში არ ჩავფლათ ჩვენი ტალანტები, ნამუსიანად მოვეკიდოთ საქმეს. მაშინ ყველაფერი კარგად იქნება და საზოგადოებაც თავისთავად გამოსწორდება. ამ საქმეში ბევრს ნიშნავს ხელმწიფე. მას ბოძებული აქვს თანამდებობა, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანი

და მაღალია. ჩვენში ხელმწიფისაგან იღებენ მაგალითს, საკმარისია მან უეშმაკოდ, ტკუით მართოს, რომ ყველაფერი თავისთავად ისე წარიმართება როგორც საჭიროა. ვინ იცის, იქნებ მოუვიდეს აზრად ცხოვრების დარჩენილი ნაწილი მოქალაქეობით გაატაროს, განმარტოვებული მატერიალური სამეფო კარის მიღმა, ყველა ამ დაგროვილი სიბინძურისგან მოშორებით. პოდა, ყველაფერი თავისით შეტრიალდება ძალიან უბრალოდ. მოხელენი დაინახვენ, რომ არ არის საჭირო მდიდრულად ცხოვრება და შეწყვეტენ პარვას. ხოლო პატივმოყვარე, როცა ნახავს, რომ თანამდებობებს არც ფულით და არც განსაკუთრებული პატივით არ აჯილდოვებენ, მიატოვებს სამსახურს. განერიდეთ თქვენც თავხედებულთა ამ სამყაროს, რომელიც სულს ლაფავს და რომლისთვისაც არც თქვენ, არც მე არა ვართ გაჩენილნი. ნება მომეცით გაგახსენოთ თქვენი ძველი შრომები და თხზულებანი. ნება მომეცით გაგახსენოთ თქვენი ძველი გზა (...) ლიტერატორი სხვა რამისთვის არსებობს. იგი უნდა ემსახურებოდეს ხელოვნებას, რომელსაც ადამიანთა სულებში შეაქვს უმაღლესი შემრიგებლური ჭეშმარიტება და არა მტრობა, სიყვარული ადამიანისადმი და არა გაბოროტება და სიძულვილი. დაუბრუნდით თქვენს სარბიელს, რომელიც ასეთი ყმაწვილური ამჩატებით მიატოვეთ. ხელახლა შეუდექით სწავლას. იმ პოეტებისა და ბრძენკაცების წიგნებს მიეძალეთ, რომლებიც სულს ავითარებენ. აკი თვითონვე გითქვამთ, რომ ჟურნალისტური საქმიანობა ანიავებს სულს და ამის შედეგად რალაცნაირი სიცარიელეც გიკრძვნიათ საკუთარ თავში. სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. გაიხსენეთ, რომ არც თუ ბრწყინვალე განათლება გაქვთ მიღებული, უნივერსიტეტის კურსიც არ დაგიმთავრებიათ. შეივსეთ ეს ნაკლი დიდი ნაწარმოებების, და არა ცხელ გულზე დაწერილი, ახლომხედველთა მაცითუნებელი თანამედროვე ბროშურების კითხვით.

3.

მე თავს ვარიდებ ლაპარაკს ისეთ თემებზე, რომელზედაც აზრის გამოთქმის უფლება კაცმა მხოლოდ დიდი გამოცდილების ფასად შეიძლება შეიძინოს. არ მაქვს უფლება განვსაჯო ღმერთის საქმენი. მე უნდა ვილაპარაკო არა ღმერთზე, არამედ იმაზე, რაც ჩვენს ვარშემოა, რაც უნდა ასახოს მწერალმა, მაგრამ ისე, რომ ყველას მოუნდეს ღმერთზე ლაპარაკი(...).

4.

ჩემი წიგნი სულაც არ არის ისე ზედმიწევნით ბოლომდე მოფიქრებული, როგორც თქვენ გგონიათ, პირიქით, იგი იბუჭდებოდა ფაცრ-ფუცით. მასში ისეთი წერილებიც შევიდა, რომლებიც ბეჭდვის კვალდაკვალ იწერებოდა, მრავალი რამ მასში ბუნდოვანია და იქნებ სულ სხვა რამეზეც მოგვეთხრობდეს, (...) მაგრამ იმ ზომამდე დაბნევა, როგორც თქვენ დაიბენით, ყველაფრის ასეთი უცნაური აზრით გაგება!.. მხოლოდ რისხვით, ცნობისმიმხდელი და თავბრუდამხვევი რისხვით შეიძლება აიხსნას ამგვარი დაბნეულობა.

5.

ჩემი სიტყვები წერა-კითხვის ცოდნის თაობაზე თქვენ პირდაპირი, ვიწრო აზრით გაიგეთ. ეს სიტყვები მე ვუძღვენი

მემამულეს, რომლის გლეხებიც მიწის მუშები არიან. გამეცინა კიდევ, როცა თქვენ ისინი წერა-კითხვის წინააღმდეგ მიმართულად წარმოადგინეთ. თითქოს ეს საკითხი აბლახან დასმულყო და ჩვენი დიდი წინაპრების უმეცრეობა მოფილიყოს გადაჭრილი. ჩვენმა წინაპრებმა, თვით უსწავლელებმაც კი, დაგვარწმუნეს, რომ სწავლა საჭირო რამაა. მაგრამ ეს არ არის მთავარი. აზრი, რომელიც განქოლავს ჩემს წიგნს, ისაა, რომ უნდა განვანათლოთ უმაღლესი ნასწავლნი, ვიდრე უსწავლენი. (განვანათლოთ უპირატესად ისინი, ვისაც ახლო შესება აქვთ ხალხთან, აი ის წვრილფეხა მოხელენი და ხელისუფალნი, ყველა მათგანი რომ წერა-კითხვის მცოდნეა და თანამდებობებს ბოროტად იყენებენ. მერწმუნეთ, სწორედ ამ ბატონებისთვის უნდა გამოიცეს წიგნები, რომლებიც, თქვენი აზრით, სასარგებლოა ხალხისათვის. ხალხი ნაკლებად გარყვნილია, ვიდრე ის ნასწავლი მოსახლეობა. ამ ბატონებისთვის გამოცემული წიგნები უნდა იყოს ისეთი, რომ აუხსნან მათ საიდუმლო, როგორ მოექცნენ ხელქვეითებს, არა იმ ფართო აზრით, რომელშიც მეორდება სიტყვები: არა იპარო, არა იცრუო, გახსოვდეს, რომ შენი მსახური ისეთივე ადამიანია, როგორიც შენ და ასე შემდეგ, არამედ აუხსნან, როგორნი უნდა ვიყოთ, რომ არ გვინდოდეს პარვა, და მეუფებდეს სიმართლე...

ბ. ბ. ბელინსკის

ოსტენდე, 10 აგვისტო, (ახ. სტ. 1847 წ.)

მე არ შემეძლო სწრაფად მეპასუხა თქვენს წერილზე, სული ჩემი გადაიღალა, ჩემში ყველაფერი შეძრულია, შემოიძლია ვთქვა, რომ არ დამრჩენია არც ერთი მკრძნობიარე სიმი, რომელზედაც კრილობა არ მიეყენებინათ ჯერ კიდევ

მანამ, სანამ თქვენს წერილს მივიღებდი. თქვენი წერილი უკვე თითქმის გრძნობათაგან დაცლილმა წავიკითხე, მაგრამ მაინც არ მეყო ძალა მასზე პასუხის გაცემისა. ან კი რა გიპასუხოთ? ღმერთმა უწავის, იქნებ არის კიდევ თქვენს სიტყ-

ვებში გარკვეული სიმართლე. გეტყვით მხოლოდ იმას, რომ მე მივიღე ორმოცდაათამდე სხვადასხვა წერილი ჩემი წიგნის თაობაზე. არც ერთი არ ჰგავს მეორეს. ვერ იპოვიან ორ ადამიანს, რომლებიც ერთი აზრის იქნებოდნენ ერთსა და იგივე საგანზე: რასაც უარყოფს ერთი, იმას ამტკიცებს მეორე, და ამავე დროს ორივე მხარეს ერთნაირად ჭკვიანი და კეთილშობილი ადამიანები დგანან. ჯერჯერობით მე მხოლოდ ის მეჩვენება უცილობელ ჭეშმარიტებად, რომ სრულებით არ ვიცნობ რუსეთს, რომ ბევრი რამ შეიცვალა იმ დროიდან, რაც მე იქ არ ვყოფილვარ, რომ თითქმის ხელახლად მაქვს შესასწავლი ყველაფერი, რაც მასში არის დღეს. ხოლო ყოველივე აქედან მე ის დასკვნა გამოვიტანე, რომ არ უნდა გამოვაქვეყნო არაფერი, არათუ არავითარი ცოცხალი სახეები, არამედ ჩემს ნაწერთა ორიოდ სტრიქონიც კი მანამ, სანამ რუსეთში არ ჩამოვალ და არ დავინახავ ყველაფერს საკუთარი თვალებით და არ შევეხები საკუთარი ხელებით. იმასაც ვხედავ, რომ მრავალმა ჩემმა ბრალმდებელმა, ჩემგან ბევრი რამის უცოდინრობის დამტკიცება რომ მოისურვეს, თავად გამოამელავენ მრავალი საგნისა და ჭეშმარიტების მრავალი კუთხის უცოდინრობა. კიდევ ბევრი გმინვაა მოსასმენი და მრავალნაირი სატანჯველია ასაწონ-დასაწონი. მე ისიც მგონია, ყველა ჩვენგანს არ ესმის დღევანდელი დღე, რომელშიც აშკარად იგრძნობა სულისკვეთება ძირფესვიანი აღმშენებლობისა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე: როგორც არ უნდა ვთქვათ, ყველაფერი დღის სინათლეზე გამოდის, ყველა საგანი გათვალისწინებას თხოულობს, ძველი და ახალი ერთმანეთთან საბრძოლველად ირაზმებიან, და როგორც კი ერთ რომელიმე მხარეს მოექცევიან უკიდურესობაში, პასუხად მეორეშიც ზღვარს გადადიან, მომავალი საუკუნე გონივრული ცნობიერების საუკუნე

ნე იქნება. იგი სიფიცხის გარეშე აწონდაწონის ყველაფერს, გაითვალისწინებს საგანთა ყველა მხარეს, ურომლისოდაც შეუძლებელია პოვნა გონივრული ზომიერებისა. იგი გვიბრძანებს მიმოვიხედოთ ბრძენკაცის მრავლისმეტყველანობა და არ გამოვიჩინოთ წარსული დროის რაინდთა ფიცხელი მგზნებარება. ჩვენ ბავშვები ვართ იმ მომავალი საუკუნის წინაშე. მერწმუნეთ, რომ მეცა და თქვენც თანაბრად ვცოდავთ მის წინაშე. ორივენი უკიდურესობაში გადავიჭვრით. მე, ყოველ შემთხვევაში, ამას ვაღიარებ, მაგრამ აღიარებთ კი თქვენ? როგორც მე გამომჩნა მხედველობიდან თანამედროვე საქმენი და ბევრი სხვა რამ, რისი გათვალისწინებაც საჭირო იყო, ზუსტად ისევე გამოგჩნათ თქვენც; როგორც მე ზედმეტად ჩავიკეტე საკუთარ თავში, ისე თქვენ ზედმეტად გაიფანტეთ. როგორც მე მჭირდება ვიცოდე მრავალი რამ, რაც თქვენ იცით და ჩემთვის კი უცნობია, ისე თქვენთვისაა საჭირო ცოდნა ნაწილისა მაინც იქიდან, რაც მე ვიცი და თქვენ ტყუილუბრალოდ უგულვებელყოფთ.

ჯერჯერობით კი იზრუნეთ თქვენს ჯანმრთელობაზე. გაანებეთ დროებით თავი თანამედროვე საკითხებს. თქვენ მათ შემდგომში დაუბრუნდებით, უფრო ცინცხალი გონებით და მეტ სარგებლობას მოუტანთ როგორც საკუთარ თავს, ისე სხვებსაც.

სულით და გულით გისურვებთ სულიერ სიმშვიდეს, უპირველეს მადლს, ურომლისოდაც ადამიანი ვერ იმოქმედებს გონივრულად ვერანაირ ასპარეზზე.

6. გოგოლი

ამ წერილთან ერთად ვუგზავნი წერილს ანენკოვს. პკითხეთ, მიიღო თუ არა მან იგი. წერილი გაგზავნილია poste restante-ზე.

ნ. გოგოლი

ავტორისული აღსარება



ყველა თანახმაა იმაზე, რომ ჯერ არც ერთ წიგნს არ გამოუწვევია იმდენი განსხვავებული აზრი, რამდენიც „ნარჩევ ადგილებს მეგობრებთან მიმოწერიდან“. ყველაზე შესანიშნავი კი, რაც ჯერ არ მომხდარა ლიტერატურაში, არის ის, რომ მითქმა-მოთქმათა და კრიტიკის საგანი გახდა არა წიგნი, არამედ ავტორი, — ეჭვისა და უნდობლობის ნიშნით იქნა გარჩეული თითოეული სიტყვა, ყველა ჩქარობდა გამოეცნო, საიდან იყო იგი ნასესხები. ცოცხალი ადამიანის მფეთქავ სხეულზე ტარდებოდა ის საზარელი ანატომია, რომლისგანაც ცივი ოფლი ასხამს ყველას, იმათაც კი, ვინც მტკიცე ჯანმრთელობითაა გამოირჩეული. მაგრამ რა ხულისშემძვრელი და თავზარდამცემიც არ უნდა ყოფილიყო კეთილშობილი და პატიოსანი ადამიანისათვის მრავალი დასკვნა და ბრალდებანი, მე გადავწყვიტე ამეტანა ყველაფერი და მესარგებლა ამ შემთხვევით, ვით განგებისგან მოვლენილი შესაძლებლობით — განმეხილა საკუთარი თავი კიდევ უფრო მკაცრად. მე არც ადრე უკუმიგდია რჩევები, აზრები, გაკიცხვა და საყვედურები, რადგან სულ უფრო და უფრო ვრწმუნდებოდი, რომ საკმარისია გააუფნებლო შენში ის განსაკუთრებით მგრძნობიარე ნერვები, რომლებიც ადამიანის გაღიზიანებასა და აღშფოთებას განაგებენ, და მოიყვანო შენი თავი ყველაფრის მშვიდად აღქმის მდგომარეობაში, რომ მყისვე გაიგონებ იმ საშუალო ხმას, რომელიც მხოლოდ მაშინ მიიღწევა, როცა იკრიბება ყველა ხმა და გაიაზრება ორივე მხარის უკიდურესობანი, — მოკლედ, იმ ყველასათვის ნაცნობ საშუალებდო ხმას, რომელზედაც ტყუილად არ ამბობენ, ხმა ღვთისა და ხმა ერისაო. მაგრამ ამჯერად, მიუხედავად იმისა, რომ მრავალი საყვედური ქეშმა-

რიტად სასარგებლო იყო ჩემი სულითვის, მე მაინც ვერ ვაღიგონებ ეს საშუალო ხმა და არ შემიძლია ვთქვა, როგორ ჩაიარა ამბავმა და რად შეიძლება ჩაითვალოს ჩემი წიგნი.

საბოლოო ჯამში მე მოვისმინე სამი სხვადასხვა აზრი: პირველი, რომ ეს წიგნი ნაყოფია ადამიანის გაუგონარი სიამაყისა, ვინც შთაინერგა რწმენა, რომ აღემატება ყველა თავის მკითხველს, იმსახურებს მთელი რუსეთის ყურადღებას და შეუძლია გარდაქმნას საზოგადოება; მეორე, რომ წიგნი არის დაწერილი კეთილი, მაგრამ მაცდური მშვენიერების ტყვეობაში მოხვედრილი ადამიანის მიერ, რომელსაც თავბრუ დასხმია ქებისა და საკუთარი ღირსებით ტკობისაგან, და რომელიც ამის გამო დაიბნა და გზა აერიო; და მესამე, რომ წიგნი არის ნაწარმოები ქრისტიანისა, რომელიც სინამდვილეს საღი თვალთ უყურებს და ყველა საგანს თავის ადგილს მიუჩენს. ყველა ამ თვალსაზრისის მხარეს ერთნაირად განათლებული და ჰკვირანი ადამიანები დგანან, და ერთნაირად მორწმუნე ქრისტიანები. აქედან გამომდინარეობს, რომ არც ერთი ამ მოსაზრებათაგანი, სამართლიანი ნაწილობრივ, არ შეიძლება იყოს სამართლიანი მთლიანად.)

ყველაზე სამართლიანი იქნებოდა ამ წიგნისთვის დაგვერქმია უტყუარი სარკე ადამიანისა — მასში არის ყველაფერი, რაც საერთოდ არის ადამიანში: უპირველეს ყოვლისა, სიკეთის სურვილი, რამაც განაპირობა თვით შექმნა წიგნისა — იგი არსებობს ყველა ადამიანში, ვინც კი გრძნობს, რა არის სიკეთე — გულწრფელი აღიარება საკუთარი ნაკლოვანებებისა და მასთან ერთად მაღალი აზრი საკუთარ ღირსებებზე; გულწრფელი სურვილი სწავლისა და ამასთან რწმენა იმისა, რომ

შენც შეგიძლია მრავალი რამ ასწავლო სხვას; მორჩილება და იმავედროულად სიამაყეც, ან იქნებ სიამაყე თვით მორჩილებაში; სხვათა გამტყუნება ისეთ საქმეში, რომელშიაც არც თვითონ ხარ მთლად უცოდველი და იქნებ სხვაზე მეტადაც იმსახურებდე საყვედურს. მოკლედ, აქ არის ყველაფერი, რაც არის ნებისმიერ ადამიანში, ოღონდ მოშლილია პირობითობისა და წესიერების საზღვრები და ის, რაც ჩვეულებრივ ადამიანის სულის სიღრმეშია ჩამარხული, აქ გამოტანილია საამკარაოზე: განსხვავება კიდევ ის არის, რომ ყველაფერი ეს აქ გაისძის ყვირილივით და ჩვეულებრივზე მეტად ხმაბაღდა, როგორც მწერალში, ვისშიაც ყოველივე გულში ნადები გარეთ მიისწრაფვის; მეტი სიკაშკაშით ხვდება თვალს, როგორც გამონაშუქი ადამიანისა, ვისაც განგები-საკან სხვაზე მეტი ნიჭი და უნარი რგებია წილად. მოკლედ, მთელი წიგნი შეიძლება გამოდგეს დასტურად პეტრე მოციქულის სიტყვებში მოქცეული დიადი ქეშმარიტებისა, რომელმაც თქვა, რომ ადამიანი თავიდან ბოლომდე ცრუა.

მაგრამ ამ დასკვნამდე, რომელიც, შესაძლოა ყველა სხვაზე სამაროლიანი იყოს, არავინ მისულა, რადგან წიგნის საზეიმო კილომ და უჩვეულო თხრობამ მეტნაკლებად შეცდომაში შეიყვანა ყველა. მისი გამოცემისას სიკვდილის განუწყვეტელი შიშის ქვეშ ვიმყოფებოდი. ეს შიში თან მდევდა მთელი ავადმყოფობის განმავლობაში, მაშინაც კი, როცა აღარაფერი იყო საშიში და მე უნებურად გადავიკერი ჩემთვის უჩვეულო და ცოცხალი ადამიანისათვის სწორედ რომ შეუფერებელ კილოში. იმის შიშით, რომ ვერ მოვასწრებდი დამთავრებას ნაწარმოებისა, რომელიც გამუდმებით მიტრიალებდა თავში ბოლო ათი წლის განმავლობაში, მე გამოვიჩინე წინდაუხედაობა და ნაადრევად გავამხილე ზოგი რამ ისეთი, რაც უნდა თქმულიყო რომელიმე მოთხრობითი ნაწარმოების გმირის მიერ. შემდეგ ეს გადაიზარდა უადგილო ქადაგებაში, რომე-

ლიც უცნაურად ეღერდა ავტორის პირიდან, რაღაცნაირ მისტიკურ, გაუგებარ ადგილებში, რომლებიც არ ესადაგებოდნენ დანარჩენ წერილებს. დაბოლოს, მრავალგვარი იყო კილოც თვით წერილები-სა, რომლებიც მიეწერებოდა ნსწვწასხვა ხასიათისა და თვისებებისა და ამის სულიერი მდგომარეობის სხვადასხვა ეამს. ზოგი მათგანი იწერებოდა მაშინ, როცა სხვათაგან მიღებულ საყვედურებზე დაყრდნობით ვზრდიდი საკუთარ თავს; როცა, რასაც ვთხოვდი და მოუთხოვდი ყველასგან, ვალდებულად ვთვლიდი თავს, იგივე გამეცა და ამით დავხმარებოდი სხვებსაც; დანარჩენები იწერებოდა მაშინ, როცა ვგრძნობდი, რომ საყვედურები ჩემთვის უნდა შემენახა, ხოლო სხვებთან ლაპარაკისას მეხელმძღვანელა მხოლოდ ძმური სიყვარულით. ამის გამო იყო, რომ ღმობიერება და სიმკაცრე თითქმის გვერდიგვერდ აღმოჩნდნენ ერთმანეთთან. დაბოლოს, წიგნში არ შევიდა ბევრი სტატია, რომელთაც ბევრი რამ უნდა დაეკავშირებინათ ერთმანეთთან და განეპარტათ ყოველი მათგანი. უნდა ვთქვა, რომ ჩემი საკუთარი უმეცრება და აზრის გამოთქმის უუნარობა — შემადგენელი ნაწილები არცთუ ბოლომდე ორგანიზებული მწერლისა — ხელს უწყობდა იმას, რომ შეცდომაში შეეყვანა არა მხოლოდ მკითხველი და წარმოეშვა ურიცხვი რაოდენობა უმისამართო დასკვნების და შედეგებისა. სიამაყე აღმოაჩინეს იმ სიტყვებში, რომლებიც შესაძლოა სულ საწინააღმდეგო მიზნით იყო მოყვანილი; სადაც ნამდვილად იყო სიამაყე, ის იქ ვერავინ დაინახა. დაარქვეს თვითდაკნინება იმას, რაც სრულიადაც არ იყო თვითდაკნინება. და რაც ყველაზე მთავარია, არ აღმოჩნდა ორი ისეთი ადამიანიც კი, სრულიად თანხვედრილი აზრი რომ ჰქონოდა, როცა საქმე წიგნის დაწვრილებით გარჩევაზე მიდგებოდა ხოლმე, რამაც სრულიად სამართლიანად ათქმევინა ზოგიერთს, რომ ჩემს წიგნზე მსჯელობისას ყველა უფრო მეტად საკუთარ

თავს წარმოაჩენდა, ვიდრე მე, ან ჩემს წიგნს. რასაკვირველია, ყველაფერი ჩემი ბრალია. ამიტომ ჩემს ზნეობრივ თვისებებზე თავდასხმათა გამო, რა შეურაცხყოფელიც არ უნდა იყოს იგი ადამიანისათვის, ვისაც საბოლოოდ არ დაუკარგავს კეთილშობილება, მე არავისი დადანაშაულება არ შემიძლია.

გაკვრით გაეკეთებ ორ შენიშვნას, რომლებიც ჩემს ზნეობრივ თვისებებს შეეხებიან. მე განმაცვიფრა იმ გარემოებაში, რომ ჭკვიანმა ადამიანებმა სრულიად ნათელი სიტყვების ჩხრეკა იწყეს და ერთ-ორ ადგილზე ჩაბლაუჭებით ისეთი დასკვნები გამოიტანეს, რომლებიც ძირეულად ეწინააღმდეგებიან მთელი ნაწარმოების სულისკვეთებას. მე ძალზე უცნაურად მეჩვენა, რომ ერთი-ორი სიტყვიდან, რომლითაც მივმართე შემამულეს, ვისი ყმებიც ზამთარ-ზაფხულ მიწაზე მომუშავე გლეხები არიან, გამოიტანეს დასკვნა, თითქოს მე სახალხო განათლების წინააღმდეგ ვიბრძვი, მით უფრო, რომ მთელი ცხოვრება ვოცნებობდი დამეწერა სასარგებლო წიგნი უბრალო ხალხისათვის, მაგრამ თავი შევიკავე იმის გამო, რომ შიში ვიგრძენი — კაცი მეტიშეტად ჭკვიანი უნდა იყო, რომ იცოდეს, რა მიაწოდო უპირველესად ხალხს. ხოლო სანამ ასეთი ჭკვიანური წიგნები არ გაგვანია, ვფიქრობდი, იქნებ ეკლესიის მოძღვრის ცოცხალი სიტყვა უფრო სასარგებლო და საჭირო იყოს-მეთქი, ვიდრე სხვა ყველაფერი, რისი თქმაც მისთვის შეუძლია ჩვენს მწერალ ძმას. რაც თავი მახსოვს, ყოველთვის სახალხო განათლების მომხრე ვიყავი, მაგრამ მეჩვენებოდა, რომ თვით ხალხის განათლებაზე მეტად საჭირო და საჩქაროა იმათი განათლება, ვინც ახლოა ხალხთან და ჩაგრავს მას. დაბოლოს, მე ვფიქრობდი, რომ ვაცილებით მეტ ყურადღებას იმსახურებს არა მიწათმოქმედთა, არამედ ის მცირერიცხოვანი ფენა, რომელიც ამჟამად იზრდება და ფლობს სხვადასხვა წერილმან თანამდებობებს, და განძარცული ყოველ-

გვარი ზნეობისაგან — მიუხედავად ცოტაოდენ წერა-კითხვის ცოდნისა — ყველას ზიანს აყენებს, რათა ღარიბთა ხარჯზე იცხოვროს. სწორედ ამ ფენისათვის მივიჩნევდი უფრო მეტად საჭიროდ წიგნებს ვინიერი მწერლები, ვიდრე რომლებიც, რაკი იგრძნობდნენ [[თავიანთი]] მტრულეობას, შეძლებდნენ კიდევ მასზე შემოჭმედებას, ხოლო ჩვენებური მხენელ-მთესველი მე ისედაც ყველა სხვაზე ზნეობრივი მგონია, რომელიც სხვაზე ნაკლებ საჭიროებს მწერლის შეგონებებს.

არანაკლებ უცნაურად მეჩვენა, რომ ჩემი წიგნის იმ ადგილიდან, სადაც ვლაპარაკობ, ჩემს წინააღმდეგ მიმართულ კრიტიკაში ბევრი რამაა სამართლიან-მეთქი, დაადგინეს, რომ თურმე მე უარყოფ საკუთარ თხზულებათა ღირსებებს და არ ვეთანხმები კრიტიკოსებს რომლებიც ჩემს სასარგებლოდ ლაპარაკობენ.* მე ძალიან კარგად მახსოვს და არასოდეს დამავიწყდებიან კრიტიკოსები, ჩემი უმცირესი დამსახურებანი რომ წარმოაჩინეს და ამით ხელოვნებისადმი სიყვარულის მაგალითებად იქცნენ — მათ აღამაღლეს პოეტურ ქმნილებათა მნიშვნელობა საზოგადოების თვალში. მაგრამ განა უხერხული არ იქნებოდა საკუთარ ღირსებებზე ლაპარაკი, ან კი რა საჭირო იყო? ჩემს ლიტერატურულ ნაკლოვანებებზე კი ავლაპარაკდი, რადგან სწორედ რომ დრო იყო ამისა ფსიქოლოგიურ მიზეზთა გამო, ჩემი წიგნის მთავარ არსს რომ შეადგენენ. რა ძნელი მისახვედრი ეს არის!

არანაკლებ უცნაური იყო იმ დასკვნის გაკეთება, რომ, წარმოვადგინე რა მიმზიდველად ჩვენი რუსული ელემენტები, მე ამით უარყავი ევროპული განათლების აუცილებლობა და ზედმეტად მივიჩნიე

* ანდერძზე ყურადღების გამახვილება არ შეიძლებოდა. მასში საკუთარ თავს მკაცრად ასამართლებ, რადგან ემზადები უზენაეს სასამართლოზე მის წინაშე წარსადგენად, ვის წინაშეც არავინაა მართალი (ნ. ვ. გოგოლის შენიშვნა).

რუსებისათვის კაცობრიობის განვითარებისა და სრულყოფის რთული გზის ცოდნა. უწინაც მჯეროდა და ახლაც, რომ რუსი მოქალაქე ჩახედული უნდა იყოს ევროპის საქმეებში. მაგრამ ამავე დროს ყოველთვის მწამდა, რომ უცხოურის გაცნობისკენ ამ სანაქებო ლტოლვისას თუ მხედველობიდან გამოტოვებ მშობლიურ საწყისებს, ეს ცოდნა კარგს არაფერს მოგიტანს, გზიდან აგაცდენს, გაგიფანტავს და დაგიბნევს აზრს, ნაცვლად მისი თავმოყრის და გაძლიერებისა. უწინაც და ახლაც დარწმუნებული ვიყავი, რომ საჭიროა ღრმად და სრულყოფილად შევიცნოთ ჩვენი რუსული ბუნება, რომ მხოლოდ ამ ცოდნით შეიძლება ვიგრძნოთ, რისი გადმოღება გვმართებს ევროპიდან, რომელიც თავისით არასოდეს გაგვიმხელს ამას. მე ყოველთვის იმ აზრისა ვიყავი, რომ ნებისმიერ საქმეში რაიმე ახლის შემოტანამდე საჭიროა არა კანტიკუნტად, არამედ ძირეულად შევისწავლოთ ძველი; სხვანაირად მეცნიერების ყველაზე სასარგებლო აღმოჩენებიც კი უსარგებლო იქნება. სწორედ ამიტომ ვლაპარაკობ მე უპირატესად წარსულზე და ძველზე. ერთი სიტყვით, ეს ცალმხრივი დასკვნები ჭკვიანი ადამიანებისა, რომლებსაც მე არასოდეს ვთვლიდი ცალმხრივებად, ეს გამოკიდებანი ცალკეულ სიტყვებზე და არა ჩემი ნაწარმოების აზრსა და სულიანკვეთებაზე ჩემთვის იმის მაჩვენებელია, რომ არც ერთ მათგანს არ წაუკითხავს იგი დაწყნარებულ მდგომარეობაში და სანამ ქვეყანას მოველინებოდა, მანამ დამკვიდრდა მასზე რაღაც აკვიატებული, წინასწარ გამზადებული შეხედულება. ყურადღებას ამახვილებდნენ მხოლოდ იმაზე, რაც იწვევდა გაღიზიანებას და განამტკიცებდა ამ აკვიატებულ შეხედულებას, და გვერდს უვლიდნენ ყველაფერს, რასაც შეეძლო იგი გაექარწყლებინა, ხოლო მკითხველი — დაეშოშმინებინა. ძალიან ამ უცნაური გაღიზიანებისა იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ დაარღვია ყველა საზღვარი თავაზიანობისა, რომელიც ჯერ

კიდევაც შემორჩენილი საერთოდ მწერლის მიმართ დამოკიდებულებაში. ავტორს თითქმის პირში დაუწყეს მტკიცება იმისა, რომ იგი ჭკვიდან შეიძალა და აღვედნენ რჩევა-დარიგებებს გონებრივი მოშლილობის სამკურნალოდ. უკვე შეწყვეტილი და ვმალ, რომ ამაზე შეტყობის მოკვამობამ დამამწუხრა, რომ ასევე ჭკვიანმა და თან არავალიზიანებულმა ადამიანებმა ბეჭდვითი გზით განაცხადეს, რომ ჩემს წიგნში არაფერია ახალი, და თუ რამ მაინც ახალია, ის სიცრუეა და არა ჭეშმარიტება. ეს მე სისასტიკედ აღვიქვი. რაც უნდა იყოს, ამ წიგნში ჩემი საკუთარი აღსარებაა, ჩემი სულისა და გულის გამოხატურობა, მე ჯერ საბოლოოდ არ გამოცხადებულვარ უსინდისო ადამიანად, რომელსაც არაფერში არ შეიძლება ენდო. მე შეიძლება შევცდე, დავიბნე, იქნება ვიცრუო კიდევ; რამდენადაც ადამიანი ცრუა საერთოდ; მაგრამ უწოდო სიცრუე ყველაფერს, რაც ჩემი ხელიდან და გულიდან გადმოიღვარა — სისასტიკეა. ეს უსამართლობაა, როგორც უსამართლობაა თქმა იმისა, რომ ჩემს წიგნში არაფერია ახალი. აღსარება ადამიანისა, რომელიც რამდენიმე წელი საკუთარ თავში იყო ჩაკეტილი, რომელიც თავის თავს მოწაფესავით ზრდიდა და სურდა გამოესყიდა, თუნდაც მოგვიანებით, სიტყაბუკეში დაკარგული დრო, ამასთან არა ჰგავს სხვას და აქვს ზოგი რამ ისეთი, რაც მხოლოდ მისი საკუთრებაა — დიას, ამ ადამიანის აღსარება არ შეიძლება არ შეიცავდეს რაიმეს ახალს. რაც არ უნდა იყოს, ისეთ საქმეში, სადაც სულია ჩათრეული, არ შეიძლება ასე გადაწყვეტილად გამოიტანო განაჩენი. აქ ყველაზე ღრმა სულთმაძიებელიც კი დაფიქრდებოდა. როცა საქმე სულს ეხება, ძნელია გაასამართლო თვით ჩვეულებრივი ადამიანიც კი. არის საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარებიან გულგრილ განხილვას, რაოდენ ჭკვიანიც არ უნდა იყოს განმხილველი. მათი ჩაწედლობა ხდება მხოლოდ იმ სულიერი მდგომარეობის წუთებში, როცა ჩვე-

ნი სული განწყობილია აღსარებისათვის, საკუთარ თავთან სასაუბროდ, საკუთარი, და არა სხვათა დანაშაულის საძებნელად. მოკლედ, იმ რიხიან და შეუვალ კილოში, რაითაც წარმოთქმული იყო ეს განაჩენი, მე დავინახე დიდი თვითდაჯერება მოსამართლისა საკუთარი ჭკუისა და თვალსაზრისის უზენაესობაში. ამას ვამბობ არა ვინმეს სასაყვედუროდ, არამედ მხოლოდ იმის საჩვენებლად, რომ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ჩვენ გველის საშიშროება არ აღმოგჩნდეთ იგივე მანკიერების ტყვეობაში, რომლისთვისაც ეს-ეს არის ჩვენი ძმა და მეგობარი გამოვლანძღეთ; მაგალითად, ვუსაყვედუროთ მედიდურობა სხვას და იქვე, ჩვენივე სიტყვებით არ დავამტკიცოთ საკუთარი მედიდურობა; ვუსაყვედუროთ სხვას შეუწყნარებლობა და იქვე არ აღმოგჩნდეთ უღმობელი თავად. კეთილშობილი ადამიანის სახელს იმსახურებს, თუ მეტს არა, ის, ვისაც ჰყოფნის ძალა თუნდაც მთელ ქვეყანას მოჰპოვინოს თავისი შეცდომის ამბავი.

მაგრამ კმარა. საკუთარი ზნეობის გამართლებისთვის არ ამოვიდგი ენა. ამჯერად მხოლოდ იმ კითხვაზე პასუხის ვაცემას ვაპირებ, რომელიც ერთხმად დამისვენს ჩემი ადრინდელი ნაწარმოებების მკითხველებმა, — კითხვაზე: რატომ მივატოვე ის საქმე და ასპარეზი, რომელიც უკვე ჩემად მქონდა დავუღლებული, სადაც სრული ბატონ-პატრონი ვიყავი თითქმის და ხელი მოვკიდე სხვას, ჩემთვის სრულიად ახალს და უცნობს?

... მე მსურდა ჩემს ნაწარმოებებში წარმოემჩინა უპირატესად ის მაღალი თვისებანი რუსული ბუნებისა, რომლებიც ვერ არიან დაფასებული ჯეროვნად, და ასევე უპირატესად ის სიმდაბლენი, რომლებიც ვერ არიან ჯეროვნად გამასხრებულნი და დაგმობილნი.

... რათა ჩემი ნაწარმოებების წაკითხვისას წარმოგვიდგეს რუსი ადამიანი მთლიანად, მისი სულისა და ნიჭის მრავალფეროვანი საგანძურით, რაც მას სხვა ეროვნებებთან

შედარებით ჭარბად აქვს მომადლებული, და თავის უამრავ ნაკლოვანებებთანად, რაც აგრეთვე ყველა სხვა ეროვნებაზე მეტი აქვს. ვიმედოვნებდი, რომ ძალა ღირისმისა, რაის მარაგი საკმაოდ მქონდა, შემაძლებინებდა ისუკამომეხსატყვეს ღირსებანი, რომ მათ შესწავლას შეეძლებოდა რუსი ადამიანი, ხოლო ძალა სიცილისა, რომლის მარაგიც ასევე მეგულეობდა, შემაძლებინებდა ამ ნაკლოვანებათა ისე ნათლად გამოხატვას, რომ მას მკითხველი უთუოდ შეიძულებდა, გინდაც თავის თავში ეცნო იგი. მაგრამ ამავე დროს ისიც ვიგრძენი, რომ ყველაფერ ამას მხოლოდ მაშინ მივადწევ, როცა კარგად ვავიგებ, რა არის ნამდვილი ღირსება ჩვენი ბუნებისა და რა — ნამდვილი ნაკლი. კარგად უნდა აწონ-დაწონო და შეაფასო ერთიცა და მეორეც და ნათლად განუმარტო საკუთარ თავს, რომ არ ჩათვალო ღირსებად ის, რაც ცოდვას ჩვენი და დაცინვით არ დააკნინო, თუ რამ ღირსება გაგვაჩნია. მას შემდეგ, რაც მიმითითეს, რომ მე დავცინი არა მხოლოდ ნაკლოვანებას, არამედ მთლიანად ადამიანს, რომელშიც იგია დაბუდებული. მეტიც დავცინი ადვილსა და თანამდებობასაც კი, რომელიც მას უკავია (ეს კი ნამდვილად არასოდეს მომსვლია აზრად), მე მივხვდი, რომ სიცილთან ფრთხილად უნდა ვიყოთ, მით უმეტეს, რომ იგი გადამდებია, და საკმარისია ვინმემ, სხვაზე მეტად გონებამახვილმა, დასცინოს საქმის ერთ მხარეს, რომ მის ხუმრობას წამსვე აიტაცებენ შედარებით ჩლუნგნი და უჭკუონი და მთელ საქმეს გაამასხრებენ.

ამიერიდან უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, ჩემი დაკვირვების საგანი გახდა ადამიანი და მისი სული. მე დროებით ვანებე თავი ყველაფერ თანამედროვეს; მივაპყარ მთელი ყურადღება იმ მარადიული კანონების ძიებას, რომელიც ამოძრავებს ადამიანებს და საერთოდ, კაცობრიობას. ჩემს საკითხავ წიგნებად იქცნენ წიგნები კანონმდებლების, სულთ-

მაძიებლების და ადამიანის ბუნებაზე დამკვირვებლებსა. ყველაფერი მიტაცებდა, სადაც კი ლაპარაკი იყო ადამიანსა და მისი სულის შეცნობაზე, მაღალი წრის ადამიანის აღსარებიდან განდევილისა და შეუდაბნოეს აღსარებამდე. და ამ გზაზე მავალი, შეუცნობლად, თითქმის რომ არ ვიცოდი, ისე, მე მივედი ქრისტესთან და ვნახე, რომ მასშია ადამიანის სულის გასაღები და რომ ჯერ არავინ სულთამცოდნეთაგან არ ასულა ისეთ სიმაღლეზე სულის შეცნობის საქმეში, რომელზედაც იდგა ის. გონებისმიერი რწმენით ვირწმუნე მე ის, რასაც სხვები ნათელი რწმენით იგებენ და რაც მე აქამდე მხოლოდ ბუნდოვნად და მიახლოებით მესმოდა. იგივე დასკვნამდე მიმიყვანა საკუთარი სულის ანალიზმაც. მე დავინახე მათემატიკური სიცხადით, რომ უმაღლეს გრძნობებსა და სულის მოძრაობაზე წერა არ შეიძლება მხოლოდ წარმოასახვით: რაღაც მცირე ნაწილაკი მაინც უნდა ჰქონდეს შენში იმისა, რასაც ეძიებდი. მოკლედ, — უნდა გახდეს უკეთესი.

არა მგონია ვინმე მოხიბლულიყოს ჩემი საჯარო განცხადებით მის თაობაზე, რომ მსურს ვიყო უკეთესი, ვიდრე ვარ ახლა. მე მიმაჩნია მაცდუნებლად ის, რომ ყველას დასანახად ვნატრობდე და ვიწვოდე სრულყოფის სურვილით, რამეთუ მისთვის მოვიდა ძე ღვთისა დედამიწაზე, რომ ეთქვა: „იყავით სრულყოფილი, როგორც მამა თქვენი ზეციერია სრულყოფილი“.

ბრალდებათა შესახებ კი, თითქოს მე მორჩილებით ტრაბახის მიზნით გამოვამჟღავნე თვითდაკნინება, რომელიც ვინძლო სიამაყეზეც უარესია, ვიტყვოდი, რომ არც მორჩილებას და არც თვითდაკნინებას ადგილი არ ჰქონია. ამ დასკვნამდე მისულნი მოტყუდნენ განსხვავებულ საგანთა გარეგნული მსგავსებით. ჩემი თავი ხშირად მეც საზიზღრად მომჩვენებოდა, მაგრამ არა მორჩილებისა გამო, არამედ იმიტომ, რომ, რაც დრო ვადიო-

და, ჩემს გონებაში მით უფრო ნათლად იკვეთებოდა იდეალი მშვენიერი ადამიანისა, ის წარმტაცი სახე, რაც უნდა ჰქონდეს დედამიწის მკვიდრს და ამის შემდეგ ყოველთვის მესიკვდილებოდა/საკუთარი თავის შეხედვა. უკეთესი უნდა იქონილებოდა, არამედ უმაღლესი უნდა იქონილებოდა ალექსანდრის შურიან ადამიანს, როცა იგი, ხედავს რა სხვის ხელში უკეთეს ნივთს, ზიზღით აგდებს თავისას და აღარ უნდა მისი შეხედვა, კარგავს მოსვენებას. ამასთან მე წილად მხვდა ბუნდოვნება ჩემი ცხოვრების მანძილზე, განსაკუთრებით კი ბოლო დროს, შევხვედროდი რამდენიმე ისეთ ადამიანს, ვის ღირსებებთან შედარებით ჩემი სულიერი ავლადიდება წვრილმანად მეჩვენებოდა და ყოველთვის ვბრაზობდი საკუთარ თავზე, რომ არ მაქვს ის, რაც აქვთ სხვებს. აქ ბრალი უნდა დაედოს საერთოდ შურიან ბუნებას ჩემსას და სხვა არაფერს.

... ამავე დროს მიემართე მოწოდებით „მკვდარი სულების“ ყველა მკითხველს — ცოტა არ იყოს ამპარტავნული და არც თუ მახვილგონიერიული მოწოდებით. ძალიან კარგად ვიცოდი, რომ ბევრნი სასაცილოდ ამიგდებდნენ, მაგრამ მზად ვიყავი ამეტანა ნებისმიერი დაცინვა, ოღონდ კი მიზნისთვის მიმედწია. ვფიქრობდი, რომ ხუთი-ექვსი კაცი მაინც მოისურვებდა ჩემი თხოვნის შესრულებას ისე, როგორც მე მსურდა. კაცმა რომ თქვას, მე არც ვთხოვლობდი „მკვდარი სულების“ შესწორებას: მსურდა ამ საბაბის გამოყენებით ხელში ჩამეგდო კერძო წერილები, მოვონებები სხვადასხვა ხასიათის პიროვნებებზე, ვინც კი ვის შეხვედრია ცხოვრებაში, აღწერები შემთხვევებისა, რომელთაც რუსული სუნი ასდით. ვიცოდი რა, რომ ყველა მათგანს მოსდევს სიზარმაცე, უჭირთ სამუშაოდ წელის ათრევა და რაიმეს ამოჩიქნა თავისი მეხსიერებიდან, ვფიქრობდი, რომ იქნებ „მკვდარი სულების“ წაკითხვამ ხელი გაანძრევინოს ადამიანს, განსაკუთრებით, თუ ქალაქი

და ფანქარი ექნა ახლომასლო-მეთქი. გამოვატყადა ჩემი მისამართი და ვთხოვე მკითხველს მოეწერათ მხოლოდ ისეთი რამ, რის დაბეჭდვასაც არ მოისურვებდნენ, საერთოდ კი ვაცილებით სასარგებლოდ ვთვლიდი ისინი საჯაროდ ცნობილად შექცია. გულის სიღრმეში ვიპედლოვებდი, რომ „მკვდარი სულების“ კითხვა წააქეზებდა ზოგიერთს ეკეთებინა საკუთარი ჩანაწერები, რომ მრავალი მათგანი იგრძნობდა შემობრუნებას საკუთარი თავისკენ, რადგან თვით ავტორს დაემართა ასეთი რამ „მკვდარი სულების“ წერისას. მე ვფიქრობდი, რომ ის, ვინც ცხოვრების მიმწუხრს შემფოთებულია უსარგებლოდ გატარებული ცხოვრების გამო — რომ ძალზე ცოტა რამ გააკეთა თავისი მიწაწყლის სასიკეთოდ, მომეტებულად იგრძნობდა, რომ ადამიანთა, მათი ხასიათებისა და თავისი დროის ცხოვრებისეული შემთხვევების მართალი და ცოცხალი აღწერით შევძლოთ რუსეთი ვაეცნოთ ახალგაზრდობისათვის და ამით საუკეთესოდ გამოესყიდათ თავისი წარსული უმოქმედობის დანაშაული. ხოლო ახალგაზრდას, რომელიც პირველ ნაბიჯებს დგამს სამოქმედო ასპარეზზე, ჯერ არაფერზე გაცხიებია გული და ამიტომ გაფაციცებით აკვირდება ცხოვრებას, ახალისებს ცნობისწადილი, შეეძლება ასახოს თანამედროვე ეპოქა ისე, როგორც წარმოუდგება იგი ჭაბუკის ახალგაზრდულ მხერას.

მოკლედ, ბავშვურად ვფიქრობდი და ზოგ რამეში შევცდი. მე მეგონა, რომ მკითხველთა გარკვეულ ნაწილში არსებობდა რაღაც სიყვარული. ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რომ ადამიანები ჩემი გამოთქმებით ლანძღავდნენ და დასცინდნენ ერთმანეთს და ამით გავხდი ცნობილი. მე ვიპედლოვებდი, რომ სიცილის საფარს მიღმა ისინი შეიგრძნობდნენ ჩემს კეთილ ბუნებას, რომ არ ვიცინოდი ბოროტად. ჩემს მოწოდებას არავინ გამოეხმაურა, ჟურნალებმა კი დამცინეს.* ამას იმიტომ ვლბაპარაკობ, რომ ვაჩვენო, როგორ ვახმარდი მთელ ძალ-ღონეს ჩემი საქმიანობის შენარჩუნებას, ვიყენებდი

ყველა საშუალებას, რასაც კი შეეძლო წინ წაეწია ჩემი სამწერლო მოღვაწეობა, რომლის მიტოვება ფიქრადაც არ მომსვლია.



... თითქმის ყველას ჩემი მწერალთაგან, რომელთაც არ გეგლოფიქ შემოქმედების უნარი, აქვთ ნიჭი, რომელსაც მე ვერ დავარქმევ წარმოსახვას. ეს არის უნარი — შორს მყოფი საგნები წარმოვიდგინოთ ისე ცხადად, თითქოს ისინი ჩვენს თვალწინ ყოფილიყვნენ. ეს ნიჭი მხოლოდ მაშინ იჩენს თავს, როცა ვმორდებით ჩვენი აღწერის საგანს. ამიტომაც, რომ პოეტები მეტწილად ირჩევენ მათგან დროით დაშორებულ ეპოქას და წარსულში გადაიჭრებიან ხოლმე. განგვაშორებს რა ყველაფრისაგან, რაც გვაკრავს გარშემო, წარსულს გადავყავართ სულის იმ წყნარ, უშფოთველ მდგომარეობაში, რომელიც აუცილებელია მოქმედებისათვის. მე არ მქონია სწრაფვა წარსულისაკენ. ჩემი ფიქრის საგანი იყო თანამედროვეობა და ცხოვრება ისეთი, როგორც არის იგი დღევანდელობაში — იქნებ იმის გამო, რომ ჩემი გონება ყოველთვის მიხრილი იყო არსებულისა და რაც შეიძლება, მეტად შესაგრძნობი სარგებლიანობისაკენ. რაც დრო ვადიოდა, მით უფრო ძლიერდებოდა ჩემში სურვილი, ვყოფილიყავი თანამედროვეობის მწერალი. მაგრამ ამავე დროს იმასაც ვხედავდი, რომ თანამედროვეობის აღწერისას შეუძლებელია იყო ამალღებულად განწყობილ და მშვიდ მდგომარეობაში, რაც აუცილებელია დიდი და მწყობრი სამუშაოსთვის. თანამედროვეობა მეტისმეტად ცოცხალი და მოძრავი რამაც, მეტისმეტად გამაღიზიანებელი; მწერლის კალამი უნებურად და შეუმჩნეველად სატირისკენ იხრება. გარდა ამისა, როცა იმყოფები ადამიანთა შორის და ასე თუ ისე

* იკულისხმება ბელინსკის სტატია „სოვრემნიკის“ 1847 წლის № 1-ში, (მთარგმნელი).

ურთიერთმოქმედებ მათთან, ხედავ მხოლოდ იმათ, ვინც ახლოს არიან შენთან; მთელ მასას ვერ ხედავ, ვერ აულებ მწერას. მე დავიწყე ფიქრი იმაზე, რანაირად დამელწია თავი სხვათა რიგებიდან და დავმდგარიყავი ისეთ ადგილზე, საიდანაც მთელ მასას დავინახავდი და არა მარტო ჩემს გვერდით მყოფთ, — თითქოს, და თუ განუშორდებოდი აწმყოს, გადავაქცევდი მას წარსულად ჩემთვის. შერყეულმა ჯანმრთელობამ და მცირე უსიამოვნებებმა, რომლებსაც ახლა იოლად ვიტან, მაგრამ მაშინ მათი გადატანა არ შემეძლო, მაიძულეს უცხო მხარეში გადავხვეწილიყავი. არასოდეს მქონია ლტოლვა და სიყვარული უცხო ქვეყნებისადმი. მე არც ის შეუცნობელი ცნობისმოყვარეობა მაწუნებდა, რომელიც წვავს მთაბეჭდილებებზე სულწასულ ჭაბუკებს. მაგრამ, უცნაური ამბავია, ბავშვობისას, როცა ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე ვიყავი, ჯერ კიდევ მაშინ, როცა მხოლოდ სახელმწიფო სამსახურზე ვფიქრობდი და არა მწერლობაზე, ყოველთვის მეჩვენებოდა, რომ ცხოვრებაში მელის რაღაც დიდი მსხვერპლის გაღება და რომ სწორედ ჩემი მამულის სამსახურისთვის მე უნდა აღვიზარდო სადღაც შორს მისგან. მე არც ის ვიცოდი, როგორ უნდა მომხდარიყო, ან რისთვის იყო ეს საჭირო; ვფიქრობდი ამაზე, მაგრამ საკუთარ თავს ისე აშკარად წარმოვიდგენდი, რომელიღაც უცხო მიწაზე, სამშობლოს ნატვრით სევდაშეპყრობილს, ეს სურათი ისე მუდმივად თან მდევდა, რომ დარდს ვერ ვაღწევდი თავს.

მე ვარ მწერალი, რომელსაც არ აკლია უნარი შემოქმედებისა; გარდა ამისა, მაქვს ცოტაოდენ იმის ნიჭიც, რომ ავიყოლიო მკითხველი. საერთო მდინარებას მინებებული, რომელიც არა ჩვენი სურვილით, არამედ ხდება სურვილით მისი, ვინც... ვფიქრობ, ვინა ვარ, ისევე, როგორც ფიქრობენ სხვები. ვგრძნობ, რომ ჯერ კიდევ შორს ვარ იქიდან, რისკენაც მივისწრაფვი, ამიტომ სიტყვით გამოსვლისაგან

თავის შეკავება მმართებს. თვით ჩემი ახლადგამოსული მეგობრებთან მიმოწერაა ამის დამამტკიცებელი საბუთი. თუკი ეს წიგნი, რომელიც მკვლევარს გარდა არაფერია, როგორც ამბობენ, თვით თავისი ბუნდოვანებით მკვლევარს გზიდან აცდენას და მცდარი განხილვებისა და ახერხებს; თუ ამ წერილებიდან, როგორც ამბობენ, მკითხველს ცოცხალ სურათებად აღებეჭდება გონებაში მთელი ფრაზები და გვერდები, — რაღა მოხდებოდა მაშინ, თუ იგივე სათქმელს, ნაცვლად წერილებისა, ცოცხალი სახეების საშუალებით ვიტყვოდი რაიმე მოთხრობით ნაწარმოებში? მე ხომ ვიცი, რომ ამ საქმეში გაცილებით ძლიერი ვარ, ვიდრე მსჯელობაში. დღესდღეობით კრიტიკას კიდევ შეუძლია მეკამათოს, მაშინ კი ძნელად, რომ ვინმე გამმკლავებოდა. ჩემი სახეები იმდენად მაცდურნი იქნებოდნენ, ისე ღრმად ჩაებეჭდებოდნენ ადამიანებს გონებაში, რომ კრიტიკა მათ იქიდან ვერ ამოგდებდა. ისიც არ უნდა დაგვაფიწყდეს, რომ იქ გამოყვანილი მოქმედი პირნი და ხასიათები ჩემი საკუთარი რწმენის მადასტურებელნი იქნებოდნენ, ხოლო ჩემი რწმენა კი... როცა ვადარებ ამ წიგნს ჩემგან განადგურებულ „მკვდარ სულებს“, არ შემეძლია მაღლი არ ვუძღვნა უფალს მისი განადგურების ჩაგონებისთვის. ამ წერილების კრებულში მე უფრო მაღალ ხედვის წერტილზე მაინც ვდგავარ, ვიდრე განადგურებულ „მკვდარ სულებში“. აქ ბევრ ადგილას მხოლოდ გამოთქმათა ბუნდოვანება თუ აბნევს მკითხველს, თორემ იგივე აზრი უფრო გასაკებად რომ ყოფილიყო გამოთქმული, მრავალნი შეწყვიტდნენ ჩემთან კამათს. განადგურებულ „მკვდარ სულებში“ გაცილებით მეტად იყო გამოხატული ჩემი გარდატეხის მდგომარეობა, გაცილებით ნაკლებად იყო განსაზღვრული მამოძრავებელი ძალის მთავარი საწყისები და აზრი მისი, სამაგიეროდ მრავლად იყო გასართობები და უმირებიც მაცდურად გამოიყურებოდნენ.

ერთი სიტყვით — როგორც პატიოსანი ადამიანი, მე ვაღიარებდი ვიყავი დამედო კალამი მაშინაც კი, თუ მისდამი ლტოლვას ვივრძობდი.

ამ საქმეს კეთილგონიერულად მიდგომა სჭირდება. ყველანი, ვინც ქარაფშუტულად შირჩევენ განვავრძო წერა და ამავე დროს მლანძღავენ ბოლო წიგნისათვის, ვაღიარებდი არიან განიხილონ მთელი ამბავი დაწვრილებით და არ გამოტოვონ არც ერთი გარემოება, როგორც არ ტოვებს მათ არც ერთი წესიერი მოსამართლე მსჯავრის გამოტანისას.

ჩემთვის ალბათ განსაკუთრებით ძნელია მწერლობაზე უარის თქმა, რადგან მუდამ ეს იყო ერთადერთი საჯანი ჩემი ფიქრებისა, როცა სხვა ყველაფერი უარყოფილი, ცხოვრების ყველა სატყუარაზე უარი ვთქვი და, ვითარცა განდევნილი, კავშირი გავწყვიტე ყველაფერთან, რაც ძვირფასია ადამიანისათვის — რათა არაფერზე მეფიქრა, გარდა ჩემი საქმისა. არ იყო ადვილი მწერლობაზე უარის თქმა; საუკეთესო წუთები ჩემი ცხოვრებისა დგებოდა მაშინ, როცა მე, ბოლოს და ბოლოს, ვამთავრებდი ქალაქზე გამმოტანას იმისა, რაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში მწიფდებოდა ჩემს აზრებში; იმიტომ, რომ მე დღესაც ასე მჯერა, რომ არ არსებობს უფრო მაღალი სიამოვნება, ვიდრე სიხარული შემოქმედებისა. მაგრამ, კიდევ ვიმეორებ, როგორც პატიოსან კაცს შეჰფერის, რომ მე უნდა დამედო კალამი მაშინაც კი, თუკი მისგან მოწოდებას ვივრძობდი.

არ ვიცი, მეყოფოდა თუ არა საამისოდ პატიოსნება, წერის უნარი რომ არ წამრთმეოდა, — ვინაიდან, — გულწრფელად მოგახსენებთ, — ცხოვრება ჩემთვის ერთბაშად დაკარგავდა ფასს, რადგან ჩემთვის არ ვწერო იგივეა, რაც არ ვიცოცხლო. მაგრამ არ არსებობს განსაცდელი, რომელსაც სანაცვლოდ შვება არ მოჰყვებოდეს, დასტურად იმისა, რომ შემოქმედი ერთი წუთითაც არ ტოვებს ადამიანს

უყურადღებოდ. გული კაცისა არასოდეს ცარიელდება, მას არ შეუძლია არსებობა სურვილის გარეშე. როგორც დროებით ნასვენნი მიწა ახალ ბალახს აღმოატყენებს, — სანამ კვლავ სახნისის ქვეშ არ აღმოჩნდება, მათით განუყოფელია განაყოფიერებული, — *ეს ხსენებენ მტკიცე* — ჩემი აზრები თავისთავად დაუბრუნდნენ იმას, რაზეც ვფიქრობდი და ვოცნებობდი ბავშვობიდანვე. მე გამიჩნდა სურვილი მემსახურა ნებისმიერ, თუნდაც ყველაზე წვრილმან და უჩინარ თანამდებობაზე, მაგრამ მემსახურა ჩემი მიწა-წყლისათვის, მემსახურა ისე, როგორც ოდესმე მსურდა, და კიდევ უფრო უკეთესად, ვიდრე ოდესმე მსურდა...

... ერთი მთავარ მიზანთაგანი წმინდა ადგილებში ჩემი მოგზაურობისა იყო სურვილი, მელოცა მზურვალედ და მიმელოკურთხევა ჩემი მოვალეობის პატიოსნად აღსრულების, ცხოვრებაში შებიჯებისათვის თვით მისგან, ვინც გაგვიმხილა ცხოვრების საიდუმლო, მელოცა იმ მიწაზე, რომელსაც მისი ტერფები ეხებოდნენ; მეთხოვა დავეკვლიანებინე ძალითა და მხნეობით იმ საქმისათვის, რომლისთვისაც ვზრდიდი და ვამზადებდი საკუთარ თავს. ამაში მე ვერაფერს ვხედავ უცნაურს, რამეთუ მოწაფეც სწავლის დამთავრების შემდეგ მასწავლებელთან მიიჩქარის ხოლმე მაღლობის სათქმელად. რაკილა შვილი მაშის საფლავეზე მიიჩქარის საპოლვაწეო ასპარეზზე გასვლის წინ, მე რატომ არ უნდა მოვიყარო მუხლი იმ საფლავის წინ, რომელსაც ეთაყვანება ყველა და საიდანაც იღებენ დარიგებას, სადაც ზემთაგონებით იმსკვალება ყველა, პოეზიისაგან შორს მყოფნიც კი? უცნაური ალბათ ის არის, რომ ამის შესახებ საჯაროდ განვაცხადე, მაგრამ იმ დროს მე ახლადგამოკეთებული ვიყავი მძიმე ავადმყოფობისაგან. თავს სუსტად ვგრძნობდი და არ მეკონა, თუ შევიძლებდი ამ მოგზაურობას. იმიტომ მოვისურველოცათ ჩემთვის მათ, ვისი ცხოვრებაც

ერთიან ლოცვად იყო ქცეული. მე არ ვიცოდი, რა მომემოქმედა, რომ ჩემს ხმას განდევილთა სენაკებში შეედწია და იმას ვფიქრობდი, ეგება ჩემი წიგნის მკითხველთაგან მიეწვდინა ვინმეს ხმა მათთვის. მე სხვებსაც ვთხოვდი ელოცათ ჩემთვის, რადგან არ ვიცოდი, ვისი ლოცვა უფრო სასურველი იქნებოდა მისთვის, ვის წინაშეც ვლოცულობთ ყველა. ვიცი მხოლოდ ის, რომ ჩვენს შორის უსაზიზღრესი ხვალ შეიძლება გახდეს უსათნოესი და მისი ლოცვა აღმოჩნდეს ღმერთთან ყველაზე ახლოს. ამისთვის არ შეიძლებოდა ჩემი ნამეტნავად გაკიცხვა, არამედ საჭირო იყო შესრულება თხოვნისა, იმიტომ რომ, გავიხსენოთ: მთხოვნელს მიეცით.

როგორ მოხდა, რომ ყველაფერი უნდა აეუხსნა მკითხველს, თვითონაც ვერ გამიგია. ვიცი მხოლოდ, რომ უგულითადეს მეგობრებისთვისაც კი არ მქონია ოდესმე სურვილი ჩემი იღუმალის ნააზრვეის გაზიარებისა. მე მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი არაფერი გამემხილა ჩემი სულიერი ისტორიისა და, რანაირი ხმაც არ უნდა დარხეულიყო ჩემს შესახებ, ყველაფერი უდრტვინველად ამეტანა იმ იმედით, რომ როცა გამოვიდოდა მეორე და მესამე ტომები „მკვდარი სულებისა“, ყველაფერი აიხსნებოდა მათით და არავინ იკითხავდა: რა კაცია ამის ავტორი? — მიუხედავად იმისა, რომ ავტორი მთლიანად ამოფარებული უნდა იყოს, და იქნებოდა კიდევ, თავის გმირებს. მაგრამ რაკი დაუწყე ზოგიერთი ახსნა-განმარტების მიცემა ჩემს ნაწარმოებებს, უკვე იძულებული გავხდი საკუთარ თავზეც მელაპარაკა, რადგან ნაწარმოებები მჭიდროდ იყო დაკავშირებული ჩემი სულის ამბავთან. ღმერთმა უწყის, იქნებ იყო ამაში მისი ნებაც, ვის უნებართვოდაც არაფერი ხდება ქვეყანაზე, იქნებ ეს იმიტომაც მოხდა, რომ კიდევ ერთხელ მომცემოდა საშუალება შემეხედა საკუთარი თავისთვის. მე აშკარად განვიცადე გარკვეული სიამაყის გრძნობა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მოვახერხე განვთავისუფლებულიყა-

ვი მრავალი ნაკლისაგან. ეს სიამაყე ჩემში განუწყვეტლად იარსებებდა და კაცი-მეილს არ მოუვიდოდა აზრად მიეთითებინა ამის შესახებ ჩემთვის. ცნობილია, რომ საკმარისია ადამიანებთან ურთიერთობისას მიაღწიო გარკვეულ თანაბრად მშვიდი ხასიათის და შემხურობლობის გამოხატვას, რომ ისინი ვერც ერთ შენს ნაკლს ვერ დაინახავენ. მაგრამ როცა წარდგები უცნობი ადამიანების, მთელი საზოგადოების პირისპირ, და მისხალ-მისხალ აგიწონიან ყველა შენს საქმესა და საქციელს, და ყველა შესაძლო რწმენისა და ცრურწმენის, სულ სხვადასხვა აზრის მქონე ადამიანები თავ-თავისებურად შემოგხედავენ, და თავს დაგატყდება ყველა მხრიდან სამართლიანი, თუ უსამართლო საყვედურების ნაკადი, მისდაუნებურად, თუ შეგნებულად ჩაგცხებენ ყველაზე მკრძნობიარე სიმებში, — ამ დროს, გინდა თუ არ გინდა, საკუთარ თავს მაინც ისეთი მხრიდან შეხედავ, რომლიდანაც სხვა შემთხვევაში არასდიდებით არ შეხედავდი; დაიწყებ შენს თავში ისეთ ნაკლოვანებათა მოძიებას, რის მოძიებას აღრე ფიქრადაც არ გაივლებდი. ეს არის ის საშინელი სკოლა, რომლისგანაც ნამდვილად შეიშლები ქკუიდან, ან ისწავლი მეტს, ვიდრე ოდესმე. სირცხვილისგან აღმოდებულმა გადავიკითხე მრავალი რამ ჩემს წიგნში, და მაინც მადლობას ვწირავ ღმერთს, რომ მომცა ძალა მისი გამოცემისა. მე უნდა მქონოდა სარკე, რომელშიც შემეძლებოდა ჩახედვა ჩემი თავის უკეთ დასანახავად. ამ წიგნის გარეშე კი ასეთი სარკე არ მექნებოდა. ამრიგად, ეს წიგნი, გულწრფელად გამიზნული სხვათათვის სარგებლობის მოსატანად, პირველ რიგში სასარგებლო აღმოჩნდა ჩემთვის.

ესლა კი ნებას ვთხოვლობ, ვთქვა ორიოდ სიტყვა იმის შესახებაც, თუ რამდენად სასარგებლო შეიძლება იყოს იგი სხვებისთვის. ნუთუ ასე უსარგებლოა ჩემი წიგნი, განსაკუთრებით კი დღევანდელი, თანამედროვე საზოგადოებისათვის?

მე მეჩვენება, რამ ყველა მისმა განმქიქებულმა რალაცნაირი დაჭყეტილი თვალებით შეხედა მას, რალაცნაირად მეტისმეტად გაცხარებით, საკურო იყო უფრო გულმშვიდად განესაჯათ. ნაცვლად იმისა, რომ მთელი საზოგადოების სახელით სიმართლისათვის მეტროპოლედ გამოსულიყვნენ და მოეწყოთ ჩემი გასამართლება მთელი რუსეთის თვალწინ, საქმეს უფრო მარტივად უნდა მიდგომოდნენ, განეხილათ, თუ რას წარმოადგენს ეს წიგნი თავისი საფუძვლებით და არ შეჩერებულყვნენ მის ნაწილებსა და წერილმანებზე მანამ, სანამ სრულად არ გაარკვევდნენ მის შინაგან აზრს. აქედან წარმოიშვა არაფრისმაქნისი გამოდევნებანი და შარის მოღება ცალკეულ სიტყვებზე და ზოგიერთი მათგანისთვის ისეთი აზრის მინიჭება, როგორც მე არასოდეს შეიძლებოდა მქონოდა.

დავიწყებ იქიდან, რომ მე ყოველთვის მექნებოდა უფლება მეთქვა ყველაფერი, რაც მითქვამს ჩემს წიგნში, თუ უფრო მარტივად და მოკრძალებით ვილაპარაკებდი. საზოგადოების ჭკუის სწავლება იმ აზრით, რაც ზოგიერთებმა მომაწერეს, არასოდეს განმიზრახავს. სწავლება მე მხოლოდ იმ უბრალო აზრით მესმის, რაითაც ეკლესია გვავალებს ვასწავლოთ ერთმანეთს და ისეთივე სიამოვნებით მივიღოთ რჩევა-დარიგებანი სხვათაგან, როგორსაც გვანიჭებს მისი გაცემა. მე კი მაშინ მართლა მზად ვიყავი სხვისგანაც მიმეღო რჩევა. არასოდეს წარმომედგინა საზოგადოება სასწავლებლის სახით, რომელიც სავსეა ჩემი მოწაფეებით, ხოლო საკუთარი თავი — მასწავლებლად. მე ჩემი წიგნით კათედრაზე არ ავსულვარ და არ მომიტხოვია, იმით ესწავლა ყველას. მე მოვედი ჩემს თანამოძებებთან, თანასკოლელებთან. როგორც სწორუფლებიანი თანასკოლელი; მოვიტანე რამდენიმე რვეული, რომლის ჩაწერა მოვასწარი იმ მასწავლებლის სიტყვებიდან, ვისგანაც ყველა ვსწავლობთ; მოვიტანე ასარჩევად, რომ თითოეულს აეღო ის,

რაც მას სჭირდება. აქ იყო წერილები, რომლებიც თავის დროზე მიეწერე სხვადასხვა ხასიათის, სხვადასხვა მიდრეკილებების ადამიანებს, და ამასთან თავიანთი სულიერი განვითარების სხვადასხვა დონეზე მყოფთ, — ეგვიპტელებელიც იყო თანაბრად ჰქონოდა ვეცდნენ კვიკრობდი, რომ ყოველი მათგანი აირჩევდა იმას, რაც მას სჭირდებოდა, სხვა დანარჩენს კი არ მიაქცევდა ყურადღებას. ის აღარ მიფიქრია, რომ მათგანი ხელს შეცდომით სხვისთვის გათვალისწინებულ რვეულს სტაცებდა და გაბრაზებული მითავდა ყვირილს: „ეს მე არ მჭირდება“. არავითარი ახალი მეცნიერება მე არ მიქადავია. ვითარცა მოსწავლე, რომელმაც ზოგი რამ სხვებზე უკეთესად შეითვისა, მე მხოლოდ იმის ახსნას ვცდილობდი მათთვის, თუ როგორ დაესწავლათ უფრო ადვილად გაკვეთილები, რომელსაც გვაძლევს ჩვენი მასწავლებელი. ვფიქრობდი, რომ წიგნის წაკითხვის შემდეგ მეტყობდნენ: „მადლობელი ვარ, ძმობილო“ და არა: „გმადლობ, მოძღვარო“. რომ არა ანდერძი, რომელიც საკმაოდ გაუფრთხილებლად ჩავრთე წერილებში და სადაც მივანიშნებდი, რომ ყველა ავტორი ვალდებულია თავისი პოეტური ქმნილებით რალაცას ასწავლიდეს მკითხველს, არავის მოუვიდოდა აზრად მოეწერა ჩემთვის, თითქოს მოციქულობას ვიბრალედდე, მიუხედავად თავდაჯერებული და სადაც ღირიკულად საზეიმო მეტყველებისა.

ხოლო იმ მოსაზრებას კი, თითქოს ჩემი წიგნი ზიანის მომტანი იქნება, არც ერთ შემთხვევაში არ შემიძლია დავეთანხმო. მიუხედავად ყველა მისი ნაკლოვანებისა, მასში მეტისმეტად აშკარადაა გამოხატული სიკეთის სურვილი. მიუხედავად მრავალი გაუგებარი და ბუნდოვანი ადგილისა, მთავარი მასში ნათლად ჩანს და მისი წაკითხვის შემდეგ იმ დასკვნამდე მიდიხარ, რომ ყოველივე არსებულის უმაღლესი ინსტანცია არის ეკლესია და ცხოვრების საკითხთა გადაწყვეტაც

მასშივეა. აქედან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ წიგნის წაკითხვის შემდეგ მკითხველი უარეს შემთხვევაში მიაკითხავს ეკლესიას, ეკლესიაში კი კპოვებს მასწავლებლებს, რომლებიც ურჩევენ, თუ რა მიიღონ ჩემი წიგნიდან, თითოეულმა ცალ-ცალკე, ან შესაძლოა, ჩემი წიგნის ნაცვლად მისცენ სხვა — უფრო მნიშვნელოვანი და სასარგებლო, რომლის შემდეგ იგი მიატოვებს ჩემს წიგნს, როგორც მოსწავლე ანებებს თავს მარცვლებით კითხვას, როცა უწყვეტად კითხვას ერევა.

დასასრულ უნდა შევნიშნო: მსჯელობანი ჩემი წიგნის გარშემო მეტწილად წარმოადგენენ მეტისმეტად ურყევ და მწვავე გადაწყვეტილებებს. ვერც ერთმა მათგანმა, ვინც მე მსაყვედურობდა ჭეშმარიტი თავმდაბლობისა და მორჩილების არქონას, თავის მხრივ ვერ გამოამჟღავნა თავმდაბლობა ჩემთან დამოკიდებულებაში: დავუშვათ, რომ მე, სიამაყეშეპყრობილმა, ოდეს თაყვანისცემელთაგან ჩემთვის მოწერილ მრავალ ჭეშმარიტ თუ ყალბ ღირსებას ვემყარებოდი, მართლა წარმოვიდგინე, რომ ყველაზე მაღლა ვდგავარ და ამიტომ შემიძლია სასამართლო მოუწყუო სხვებს. მაგრამ რაზე დაყრდნობით გამასამართლებდნენ სხვანი, თუკი ვერ იგრძნობდნენ, რომ ჩემზე მაღლა დგანან? ყველა შემთხვევაში, იმისათვის, რომ გამოიტანო, რის შესახებაც არ უნდა იყოს, საბოლოო განაჩენი, საჭიროა იმაზე მაღლა გრძნობდე თავს, ვისაც ასამართლებ. შეიძლება გამოთქვა ერთი ან ორი შენიშვნა, შევიძლია გამოთქვა მოსაზრებანი და რჩევაც მისცე ადამიანს; მაგრამ ამ მოსაზრებათა საფუძველზე გამოიტანო საბოლოო დასკვნა მთლიანად ადამიანზე, ვადაქრით გამოცხადო იგი შესლილად, უწოდო ცრუ და მატყუარა, რომელსაც ღვთაებრიობის ნიღაბი აუკრავს, მიაწერო მდაბალი და საზიზღარი მიზნები, — ეს იმ რიგის ბრალდებებია, რომლის მიწერას ყველაზე

გამოუსწორებელი არამზადისთვისაც ვერ გავბედავდი. მე მეჩვენება, რომ სანამ ასეთ განაჩენს გამოიტანდე, წამით უნდა შევძრას განცდამ საშინელებისა და წარმოიდგინო, რა დღეში იქნებოდი თვითონ, ამგვარი ბრალდება რომ დაგტყდომოდა თავზე საჯაროდ, ყველას დასწინააღმდეგ არ იქნებოდა ზედმეტი, სანამ ბრალდებას გამოაცხადებდე, გაგეფიქრა: „ხომ არ ვცდები? მეც ხომ კაცი ვარ, ადამიანი. აქ სულის ამბავია. სული კაცისა უძიროა, ყოველთვის ყველასათვის ვერ იქნება მისაწვდომი და არ შეიძლება ვენდოთ საგანთა გარეგნულ მსგავსებას ზოგიერთ ნიშან-თვისებათა მიხედვით. ხშირად ხომ ყველაზე გამოცდილი ექიმებიც კი ეოთ ავადმყოფობას მეორედ ღებულობდნენ და თავის შეცდომას მხოლოდ მაშინ იგებდნენ, როცა კვეთდნენ უკვე უსიცოცხლო გვამს“. არა, რა ნაკლოვანებებიც არ უბადა იყოს „მეგობრებთან მიმოწერაში“, მასში ბევრი რამ არის ისეთი, რომელსაც ყველა უცებ ვერ გაიგებს. დაე, ნურავინ დაიწყებს მტკიცებას, რომ წიგნი ორჯერ თუ სამჯერ აქვს წაკითხული. ზოგმა შეიძლება ათჯერაც წაკითხოს და უშედეგოდ. იმისათვის, რომ რამდენადმე იგრძნო იგი, უნდა გქონდეს ან ძალზე უბრალო და კეთილი სული, ან უნდა იყო ძალზე მრავალმხრივი და ყოვლისმომცველ აზროვნებასთან ერთად გქონდეს მაღალი პოეტური ნიჭი და სული, რომელსაც ძალუძს სრული და ღრმა სიყვარული.

არ შემიძლია არ ვაღიარო, რომ ამდენმა დავიდარაბამ და გაუგებრობამ ძალიან გამტანჯა, მით უფრო, რომ დარწმუნებული ვიყავი, ჩემს წიგნში უმაღლ შერიგების მარცვალა ჩადებული, ვიდრე განხეთქილებისა. სული ჩემი გადიდალა ამდენი საყვედურისგან, ზოგი მათგანი ისეთი თავზარდამცემი იყო, რომ მტერს არ ვუსურვებდი მის მოსმენას. ამასთანავე არ შემიძლია გულითადი მადლობა არ ვუტუნა იმათ, ვისაც სხვაზე ნაკლებად არ შეეძლო ჩემი მიწასთან გასწორება, მაგ-

რამ იგრძნეს, რომ საყვედურები ისედაც მეტისმეტად ბევრი დაგროვდა ჩემი დაუძღვრებული სხეულისათვის ასატანად, ჭირისუფლის კეთილისმსურველი

ხელით დამაყენეს ფეხზე და მიბრძანეს, ფარ-ხმალი არ დამეყარა. ღმერთმა უშველოს მათ. მე არ ვიცი მეტი გმირობა, ვიდრე დაცემულისთვის ხელის გაწვდენაა.



ქართული
ენების ინსტიტუტი

ზურღან ბემაზაშვილი

უილიამ შექსპირის ტრაგედია „ჰამლეტის“ ზოგიერთი დეტალი და მათი ქართულად თარგმნის ინტერპრეტაციები

ტრაგედიის დასაწყისშივე გვხვდება ბუნდოვანი სიტყვები — A piece of him, რითაც პასუხობს პორაციო ბერნარდოს შეკითხვას, ვინ მოდისო. ეს სიტყვები კრიტიკოსთა თუ მთარგმნელთა მიერ მრავალნაირად იქნა გაგებული და განმარტებული. ვარბურტონმა თავის გამოცემაში (1747 წ.) ჩაურთო მითითება, რომ ამ სიტყვებთან ერთად პორაციო ხელს უწვდის ბერნარდოს. პითი და სტივენსი მიიჩნევენ, რომ ეს სიტყვები ხუმრობითაა ნათქვამი. ჩისვიჩი (1860 წ.) ფიქრობს, რომ ფილოსოფოსი პორაციო თავს წარუდგენს როგორც ადამიანს, რომელიც თავის გარეგნულ იერს წარმოაჩენს მთლიანი არსის ნაწილად. მოლტკე (1871 წ.) ასეთ ახსნა-განმარტებას გვთავაზობს: „შექსპირი წინასწარი განზრახვით ათქმევინებს ამ სიტყვებს პორაციოს. ეს არ წააგავს ბერნარდოს პასუხს — ფრანცისკოს რომ ეუბნება, რომ ნამდვილად იგი დგას სადარაჯოზე. ამით ბერნარდოს სურს, თქვას რომ „იგი“ ხაზს უსვამს თავის იქ ყოფნას სულით და სხეულით, რაკი არც ის და არც მარცელო არ ეჭვდებიან, საკუთარი თვალთ ნამდვილად რომ იხილეს აჩრდილი. პორაციოს კი სურს ეჭვი გამოთქვას ამ საკითხთან დაკავშირებით, იგი მთელი არსებით, — სულით და ხორციით, არ მოსულა აქ, — იგი მხოლოდ

თავისი ხორციელი არსების ნაწილითაა მოსული საგუშაგოზე.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ სიტყვებში, ხუმრობანარევი, მაგრამ ღრმა აზრია ჩადებული. არც ის უნდა იქნას დავიწყებული, რომ მიუხედავად ღრმა, ფილოსოფიური სულისა და გონებისა, რითაც პორაციო ხასიათდება, იგი მაინც ახალგაზრდა მიწიერი ადამიანია და იმ საშინელ სიცივეში (ლამის გათავდა კაცი. ამიტომ მისი პასუხი „A piece of him“-ასე ვთარგმნეთ — „პა და პა, ის ვარ“. ამ სიტყვებით გამოხატულია სკეპტიკური დამოკიდებულება, რომლითაც მოვიდა პორაციო დაუჯერებელი აჩრდილის სანახავად.

1603 წლის ფოლიოში ამ სიტყვებს ამბობს მარცელუსი, 1604 წლის ფოლიოში კი პორაციო. კოლიერი ამ ჩასწორებას ეთანხმება (1843). პადსონიც (1856) თვლის, რომ ეს სკეპტიციზმი კარგად მიესადაგება სტუდენტ პორაციოს ბუნებას. ელცე (1857) ეთანხმება აზრს, რომ ამ სიტყვებს მარცელუსი უნდა წარმოთქვამდეს.

„მე არაფერი შემიმჩნევია“, — ყოველი სიტყვა, რასაც წარმოათქმევინებს შექსპირი თავის გმირებს, არის მათი სუ-

ლიერი მდგომარეობის და ჭეშმარიტი გრძნობების უზუსტესი გამოხატულება. ბერნარდომ უკვე ორჯერ იხილა მეფის აჩრდილი, ახლა მესამედ მოდის შუალამისას, სადაც მოჩვენება გამოეცხადა, და დარწმუნებულია, რომ იგი ისევ გამოჩნდება —

„მოჩვენება, რაც ორჯერ დავლანდეთ, საზარლად თვალწინ გამოგვეცხადა.“

ახლა ბერნარდო ელის, რომ მესამედ კვლავ იხილავს ამ საშინელებას. ასეთ სულიერ მდგომარეობაში ადამიანს თავზარს სცემს ყოველი უეცრად დანახული საგანი, — მთვარის მკრთალი ნათელი იქნება ის თუ იღუმალებით აღსავსე ქარის ავი სისინი... და აი, ბერნარდოს ესმის მოახლოებული ნაბიჯების ხმა და მისი შეძახილიც — „ჰეი, ვინა ხარ?“ ყურში ჩაგვესმის როგორც უეცარი, ანგარიშმიუცემელი შიშის წამოძახილი და არა როგორც ორი გუშაგის ჩვეულებრივი შეხმინება. შიშს დიდი თვალეზი აქვს, იგი ნთქავს ყოველგვარ გრძნობას და სიტყვებსაც არაჩვეულებრივ სიმწვავეს ანიჭებს. შექსპირი უმიზნოდ როდი გვეუბნება, რომ ბერნარდომ ყურები გააფაციცა და სუნთქვა შეიკრა, როდესაც ნაბიჯების ხმა შემოესმა. ვერც გუშაგად მდგომი ფრანცისკო იცნობს ამხანაგის შიშით სავსე ხმას და პასუხობს: „ეგ შენ მითხარი, შესდექ, ნიშანი!“ ამ ხმის გაგონებაზე ბერნარდო მშვიდდება და პაროლს ეუბნება:

„დღეგრძელი იყოს მეფე!“

გუშაგი უკვე იცნობს თავის შემცველს და სახელით მიმართავს მას. რაც ამის შემდეგ ხდება, გასაოცარი მაგალითია იმისა, თუ რა დიდ ყურადღებას აქცევს შექსპირი ყოველ წვრილმან დეტალს. გვიჩვენებს ბერნარდოს სურვილს, სხვაზე ადრე დაინახოს აჩრდილის გამოცხადება, დამალოს, რომ ადრეც იხილა იგი და არც ის თქვას, სწორედ ამიტომ რომ გამოცხადდა ასე ზუსტად საგუშაგოზე ამხანაგის შესავლელად: „ზუსტად რომ დროზე გამომეცხადე,“ — ეუბნება მას ფრანცისკო. დამაჯერებლად და ბუნებრივად ეღერს ბერნარ-

დოს პასუხიც: „სწორედ ახლახან თორმეტჯერ დაჰკრა“. იგი ურჩევს ფრანცისკოს, წავიდეს და დაისვენოს... ხოლო, როდესაც ფრანცისკო მიდის, ვითომ სულერთი იყოს, ისე დაადევნებს კითხვას: „რომ წყნარად იყო აქ ყველაფერი?“ ~~ბერნარდო~~ ~~არ~~ ეკითხება, რათა თავისი კავალეტური გასცეს, ეშინია მარტო დარჩენის, ამიტომ ისე, სასხვათაშორისოდ ეუბნება ფრანცისკოს:

„... აბა, ღამე მშვიდობის, თუ პორაციოს, მარცელუსს შეხვდე, უთხარი, ცოტა ფეხს მოუჩქარონ.“

შემდეგ კი, გახარებული, რომ დიდხანს არ მოუწია მარტო დგომა, ესალმება მოსულებს: „მობრძანდი, პორაციო, სალამი ღირსეულ მარცელუსს“. ბერნარდოს დამშვიდებული ხმა მარცელუსს აფიქრებინებს, რომ აჩრდილი უკვე გამოეცხადა მას და მაშინვე ეკითხება ბერნარდოს:

„ამ ღამით ხომ არ გამოჩენილა?“

ბერნარდოს პასუხის შემდეგ:

„მე არაფერი შემიმჩნევია“ —

მარცელუსი პორაციოს ურწმუნობაზე იწყებს ლაპარაკს.

გასაოცარია ამ სცენის ლაკონური შეზღუდულობა, შესაძლოა ასეთი მრავალფეროვნება ასე მოკლე სცენაში არც ერთ დრამაში არ იყოს გადმოცემული.



„მოგცლიათ ერთი, არავინ მოვა,“ — ამბობს პორაციო, თუმცა დაუფარავი ცნობის მოყვარეობით და ინტერესით მოიკალათებს გუშაგებთან და ბერნარდოს ნაამბობს მიაპყრობს ყურს. აჩრდილი რომ გამოცხადდება, ეს პორაციოს არ სჯერა მაგრამ როგორც კი ეს უკანასკნელი გამოჩნდება, დაელაპარაკება კიდევ და მის შეჩერებასაც ცდილობს. მასში ორი საწყისი იბრძვის, ერთის მხრივ გამოცდილება და ცოდნა, მეორე მხრივ — მოშლილი, აწეწილი შეგრძნება. თუმცა იგი ისე სწრაფად არ ნებდება ამ მოვლენას როგორც გუშაგები, რა-

დგან გონებრივად უფრო ახლოს დგას. ამიტომ ბრძოლაც უფრო ხანგრძლივია. აჩრდილი მაინც აიძულებს, გადაფითრდეს და აკანკალებს, რაც ნერვიული სისტემის უკიდურესი დაძაბვის ნიშანია, „ეს კი, შესაძლოა, ხელს უწყობს პალუცინაციებს“ (გ. ა. კრემლევი, „ჰამლეტის მამის აჩრდილის შესახებ შექსპირის ტრაგედიაში“).

ვოლტერი: „ამ ტრაგედიის ჭკუაგადასული ორომტრიალიდან ჰამლეტის მამის აჩრდილის გამოცხადება გამოირჩევა როგორც ერთ-ერთი დიდი და ღრმა შთაბეჭდილების მომხდენი სცენა.“

შექსპირის მიბაძვით ვოლტერმა თავის „სემირამიდაში“ გამოიყვანა ნინას აჩრდილი.

„შექსპირის აჩრდილის წინაშე თმა ყალყზე უდგება მორწმუნესაც და ურწმუნოსაც. აჩრდილი გამოცხადდება მეტად საშიშდროს, გვიან ცივ გარინდებულ ღამეში, იდუმალ, ავისმომასწავებელ სიჩუმეში, ... ციხე-სიმაგრის პირდაფრენილი ქონგურების გარემოცვაში, ვოლტერის აჩრდილი კი ბავშვების შესაშინებელ საფრთხობელადაც არ გამოდგება. დღისით, მზისით, სახელმწიფოს წარჩინებულ მოხელეთა კრებაზე გამოცხადდება და მის გამორჩენას ჭეჭა-ქუსილით გვამცნობს ავტორი (ა. პ. სუმაროკოვი, „რჩეული ნარკვევები“).

ორპირი და უგვანოა, — ყველას ყველაფერზე კვერს უკრავს, მაგრამ ისე ცბიერია, რომ სხვების დაცინვას არ იმჩნევს.

„... frailty thy name is woman!“ Frailty, — წარმოსდგება ლათინური სიტყვისაგან — fragilitas, — გადატ. სისუსტე, სინაზე; სიმყიფე, მტვრევადობა. შმიდტის „შექსპირის ლექსიკონში“, განმარტებულია: სისუსტე, როგორც მორალური, ასევე ფიზიკური. ქართულად ეს ფრაზა თარგმნილია ასე — „არარაობავ,

დედაკაცი უნდა გერქვას შენ!“ (რაც შემდგომში მოარულ გამოთქმად იქცა...).

შექსპირი ქალს არ უწოდებს „არარაობას.“ მან შეიძლება ქალს უწოდოს ცბიერი, როსკიპი, მოლაღატე და ა. შ. მაგრამ „არარაობას“ ქალს არ აკადრებს. შექსპიროლოგი შპანიერი ერთობ უფრო სწორედ ვარაუდს გვთავაზობს: „დედოფალი (გერტრუდა — ზ. გ.) — ინგლისია, რომელმაც ისევე სწრაფად და იოლად უარყო კათოლიციზმი და აღიარა ლუთერანიზმი, როგორც დედოფალმა მიივიწყა პირველი ქმარი და შეერთო მეორეს.“

ჰამლეტს ჭეშმარიტად მეფური ბუნება აქვს, ესაა მისი უმთავრესი თვისება, — თავს ყველგან ისე გრძნობს როგორც შინ. შეუძლია თავისუფლად ესაუბროს მეზღვაურებს მათს ენაზე, მესაფლავეებს — საფლავის გათხრის დროს სასაფლაოზე, მსახურებს — მეფის კარზე, სასახლეში.

ბ. გ. ბელინსკი: „ჰამლეტის საუბარი აჩრდილთან ნამდვილი მონოლოგია, ერთობ გრძელი, თანაც რიტორიკული მონოლოგი. ეს არ არის შექსპირის ბრალი, და არც ჰამლეტის, — ეს XVI საუკუნის თავისებური დაავადებაა, რომლის ხასიათი წარმოქმნილია ფართო ცოდნით გამოწვეული სიამაყისაგან, — მსჯელობის მფლანგველობისა და ტვინის ზომავადასული ჭყლეტისაგან.“

მონტევიუ: „ბევრჯერ ჰამლეტს არასწორად აფასებენ და ამბობენ, რომ იგი გაუბედავი ბუნების ადამიანია. მისმა სევდიანმა მონოლოგებმა წარმოშვა მიზეზი, რომ ჩაეთვალათ იგი არასაკმაო ენერჯის კაცად. ეს შეცდომაა. ჰამლეტი ერთ-ერთი ყველაზე ვაჟკაციური ახალგაზრდაა, როგორც კი შეიძლება წარმოიდგინოს ადამიანმა. მის მამაცობას საზღვარი არ გააჩნია, მისი დაპირება საიმედო და მტკიცეა. მას ვაჟკაცის ყველა თვისება გააჩნია. ჰამლეტს ჰყოფნის გამბედაობა, შესაშური სიმშვი-

დით, აღუშფოთებლად და უყოყმანოდ გაპყვეს აჩრდილს. მიუხედავად ასეთ სიტუაციაში გარდუვალი შეცბუნების გრძნობისა, იგი თითქმის ბრძანების ტონით ეუბნება აჩრდილს: „საით მიგყავარ? მეტს არ წამოვალ!“

შექსპიროლოგებსა და ლიტერატურის კრიტიკოსებს ჰამლეტის შემლილად თავის მოჩვენების შესახებ ბევრი მოსაზრება გააჩნიათ.

ბელინსკი: „... ჰამლეტი ნამდვილად შემლილია, მაგრამ იმდენად არა რომ გონიერება დაეკარგოს, მან მხოლოდ დროებით დაკარგა საკუთარი თავი, არსება. თუმცა ჭკუა და გონება თან ახლავს და სანთლის შუქი მზის ბრწყინვალეობად არ ერვენება.“

ბრიერ დე ბოისმონი: — „ჰამლეტი გადაწყვეტს, რომ თავისი მოვალეობის აღსასრულებლად, ე. ი. შურის საძიებლად, თავი უნდა შემოიხლუდოს, დაიცვას თავი ყოველგვარი საფრთხისაგან, რომელიც ემუქრება, ამიტომ აუცილებელია თავის მოვიჯიანება.“

დოქტორი სტირნსი: „უნდა ითქვას, რომ ჰამლეტის საუკეთესო მეგობარი პორაციო, არც ერთხელ არ ახსენებს პრინცის ჭკუაზე შემლას და არც სინანულს გამოთქვამს. იგი ალბათ ამას გააკეთებდა, რომ არა სცოდნოდა, რომ პრინცის შემლილობა მოჩვენებითია და ამას განსაკუთრებული მიზანი აქვს.“

დოქტორი კონოლი: „ჰამლეტი მოითხოვს საიდუმლოს დაცვას, რომელსაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. ეს მისი ზასიათის ერთ-ერთი მაჩვენებელია, რაც ფსიქიატრიაში ცნობილია როგორც სულიერი ავადმყოფობის დაწყების სიმპტომი.“

ოფელია:

„პრინცი ჰამლეტი კამზოლჩახსნილი, უქუდოდ, წინდებტალახიანი, წვივსაკრავნი კი ჩამოჩაჩული ბორკილებივით ეკიდა მუხლზე.“

ნარესი: „ელისაბედ დედოფლის მეფობის ეპოქაში ჩაცმულობის თავისებური დაუდევრობა აუცილებლობად ითვლებოდა გამიჯნურებული კაცისათვის; გამოჯნურებული განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ იმას, რომ წვეცსატრავები ქონდათ ჩამოჩაჩული“ (თუმცა ^{წინა} ^{გვერდზე} რომ ჰამლეტს მოდის გამო ქონდეს ტანისამოსი ასე აჩაჩულ-დაჩაჩული... — ზ. გ.).

გონზაგოს მკვლელობა.

გ. სარაზინი: „საფიქრებელია, რომ 1592 წელს შექსპირი იყო ჩრდილოეთ იტალიაში, სადაც გაიგო მარკიზ გონზაგოს მკვლელობის ამბავი. მარკიზი დაქირავებულ მკვლელებს მოაკვლევინა მისმა ძმისშვილმა.“

ი. ს. ტურგენევი: „ჰამლეტი დიდ ტანჯვას განიცდის და ეს უფრო სულის დამაწყულულებელია, ვიდრე დონ-კიხოტის ტანჯვა-ვაება. მას სცემენ გაუთლელი და უხეში მწყემსები, მისგანვე განთავისუფლებული ბოროტმოქმედნი. ჰამლეტი თვით იგვემება, თვითონვე აყენებს თავის თავს ჭრილობებს, მასაც უპყრია ხელთ მახვილი: ანალიზმის ორლესული მახვილი.“

„ყოფნა, არყოფნა...“

ბრიერ დე ბუამონი: „ეს არის მარადიული მონოლოგი. ჩვენ ვხედავთ ადამიანის ტანჯულ მდგომარეობას, რომელსაც ცხოვრება მხოლოდ მელანქოლიურ, სევდიან აზრებს აღუძრავს. არც ერთი ცოცხალი, მხიარული ფიქრი. არც ერთი სხივი იმედისა, რაც გაანათებს მის არსებობას, და უბედური უფლისწულის გონებას მოიცავს არყოფნის სურვილი. ამის შედეგია თვითმკვლელობის აზრი. მაგრამ ამ სურვილს წინ აღუდგება ჰამლეტის ეჭვი ღმერთისა და იმქვეყნიური ცხოვრების არსებობაზე. იგი ებრძვის თავის სკეპტიკურ ფილოსოფიას, რომელსაც ვიტენბერგში ეზიარა და რომლის სიყალბე პირველად დაანახა მამის

აჩრდილმა... ჰამლეტს ერთი ნაბიჯილა და-
რჩა ჭკუაზე გადაცდენამდე, ამიტომ არ
არის გასაკვირი, რომ ასე ხშირად მსჯე-
ლობენ მისი გონების ნორმალურობაზე.“

დ. ე. ავერკიევი (სანკტ-პეტერბურგი,
1893 წ.) — „ვისაც კი სურს შეაქოს დიდი
ინგლისელი-დრამატურგის მძლე გონება,
ამ მონოლოგს მიმართავს. მონოლოგს ისე
ხშირად გამოყოფენ ტრაგედიისგან, რომ,
როგორც ბ-ი ლუისი მართებულად შე-
ნიშნავს, — აქტიორებიც კი აღარ აქცევენ
ყურადღებას მის მნიშვნელობას ტრაგედი-
აში და კითხულობენ როგორც სიკვდილ-
სიცოცხლის რაობაზე მსჯელობის მშვენიერ
მონოლოგს.“

„მონასტერში წადი, მონასტერში!“
ოფელიასთან ჰამლეტს უცებ ავიწყდება,
რომ შეშლილის როლი უნდა ითამაშოს.
მის მიმართვაში ქალიშვილისადმი ჟღერს
გულწრფელი გრძნობა...“ — ჯონსონი.

ი. ნიკოლაევი: „თუ ჰამლეტი ოფელია-
სადმი თითქმის სიმკაცრეს იჩენს, ეს იმი-
თაა გამოწვეული, რომ მან (ოფელიამ) ვერ
გამოიჩინა სულის სიმტკიცე და უღალატა
ჰამლეტს.“

თუმცა ჰამლეტი სხვათა თანდასწრებით,
როდესაც გაახსენდება, რომ შეშლილის
როლი უნდა ითამაშოს, ზომიერად მეტად
უხეშია ოფელიას მიმართ, რაც ვერაფრით
ვერ აიხსნება გარდა იმისა, რომ ჭკუაარე-
ულად მოაჩვენოს თავი მეფეს, დედოფალ-
სა და პოლონიუსს. აი, როგორ ესაუბრება
იგი ოფელიას:

ჰამლეტ. შეიძლება თქვენი კაბის კალ-
თებთან წამოვწვე?

ოფელია. არა, მილორდ.

ჰამლეტ. მე მინდოდა მეთქვა, თავი და-
გადოთ-მეთქი კალთაზე?

ოფელია. დიას, მილორდ.

ჰამლეტ. თქვენ ხომ არა გგონიათ, რომ
რაიმე უხეირო აზრი მიდევს გულში?

ოფელია. მე არაფერი გგონია, მი-
ლორდ.

ჰამლეტ. ქალწულის ფეხებს შუა წო-
ლაზე ოცნებაც კი მშვენიერია.



კოლრიჯი: „ჰამლეტის მძიმე მდგომარე-
ობა მსახიობებისადმი საუკეთესო მაგალი-
თია იმისა, თუ როგორ აღწევს შექსპირი
სცენების მრავალფეროვნებას, ისე, რომ
ტრაგედიის მოქმედების ძირითადი ხაზი არ
გაწყდეს.“

პანტომიმა შეიცავს ყველა დეტალს და-
წვრილებით, თუ როგორ მოკლეს (მოწამ-
ლეს) ჰამლეტის მამა.

როზენკრანცი და გილდესტერნი.

ჰამლეტის აზრით, მტერი არის მტერი,
აქ არ არსებობს გრადაციები. იგი ელაპა-
რაკება ამ ორ ადამიანს და ორივესთვის
ერთი და იგივე პასუხი აქვს. ინტონაცია
კი ერთგვაროვანია. მისი თითქმის უხეში
და მოკლე პასუხები წონასწორობას აკარ-
გვინებს გილდესტერნს. იგი თავს უკრავს
უფლისწულს და გადის. ჰამლეტი განაგრ-
ძობს ლაპარაკს როზენკრანცთან, არ იმჩ-
ნევს (ან თითქოს ვერ ამჩნევს), რომელ
მათგანს ელაპარაკება.

ამ ორი ადამიანისათვის თავიდანვე
ცნობილია მეფის განზრახვა—დალუპოს ჰა-
მლეტი. ეს გარკვეულ სპეციფიკასა სძენს
მათ აქტიორულ თამაშს.

ოსრიკის გამოჩენაზე ჰამლეტი დაბალი
ხმით გადაულაპარაკებს პორაციოს, —
„Dost know this water-fly?“ აქ ერ-
თხელ კიდევ ჩანს შექსპირის პრინ-
ციპი, რომ გარკვეული, განსაზღვრული
მნიშვნელობის გარეშე არ იხმაროს არც
ერთი სიტყვა. ამ სტრიქონში აქ-
ცენტია სიტყვაზე Water—fly. თა-
რგმნილია მრავალნაირად — „ჭრიჭინა“,

МОШКА, МОТЫЛЬК და ა. შ.

„იცნობ, პორაციო, ამ ჭრიჭინას?“

(ივ. მაჩაბელი)

«Знаешь ты эту мошку?»

(ბ. პასტერნაკი)

«Знаешь ты этого мотылька?»

(კ. რ.).

«Ты знаешь эту мошку?»

(М. Л. Лозинский)

არც ერთი თარგმანი არ ეთანხმება ორიგინალს. შექსპირი ხმარობს ამ სიტყვას, რათა ზუსტად დახატოს ოსრიკის პორტრეტი. „Water-fly“ — არის მწერი, რომელიც წყლის ზედაპირზე, მაღალი ფეხებით ერთობ ცქვიტად დასრიალებს. განსაკუთრებით უყვარს დამყაყებელი გუბეები, მდინარის ფშანებში ჩარჩენილი პატარ-პატარა ტბორები, ჭანჭრობები, ასეთ ადგილებში გრძნობს იგი თავს ლაღად და ცქვიტად, თავის სტიქიაშია. ოსრიკი — ახალგაზრდა დიდებული, ძალიან მდიდარი, დიდი მამულების პატრონი, — მეფის ჩამყაყებულ კარზე ერთობ ლაღად გრძნობს თავს და ცქვიტად დაქრის აქეთ-იქით როგორც Water-fly, რომლის ზუსტი ქართული შესატყვისია „ტანაჯორი.“ ეს სიტყვა ნახმარი აქვს რუსთველსაც:

„კაცი, ჩემგან განატყორცნი, ბრუნავს, ვითა ტანაჯორი;“

„ვეფხისტყაოსანზე“ დართულ ლექსიკონში ტანაჯორი განმარტებულია როგორც — „ერთგვარი პატარა, ბუზის მავარი მწერი“, — რაც არ არის სწორი. რუსთველს ძალიან კარგად მოეხსენებოდა, რასაც აღარებდა გატყორცნილ, გასრიალებულ ადამიანს... ტანაჯორი არ არის ბუზის მსგავსი. იგი მოგრძო, ვრძელფეხება წყლის მწერია.

„მე ინგლისში გავემგზავრები“, — შექსპირი არ იძლევა იმის ახსნა-განმარტებას, თუ საიდან შეიტყო ეს პამლეტმა. ხოლო ერთ-ერთ მომღვენო სცენაში, როცა მეფე განუცხადებს პამლეტს, რომ ინგლისში აგზავნის, პრინცი ვაკვირვებას გამოხატავს, თითქოს ამის შესახებ არაფერი იცოდეს. მაილსი თვლის, რომ, როცა პამლეტი დედამისთან მიდიოდა, მაშინ მოჰკრა ყური

მეფის საუბარს როზენკრანცთან და გილდესტერნთან.

ოფელიას სიმღერა.



მელოდია, ოფელია *ქრჩქ მღერის*, დაახლოებით ისაა, რომელსაც შექსპირის დროს და ჩვენამდე გადმოცემით მოაღწია. ძველი ნოტები დაიწვა თეატრ დრური-ლეინის ხანძრის დროს 1812 წელს. ვინმე ლინლეის, მუსიკის დიდ მოყვარულს, მოსმენილი ჰქონია, როგორ მღეროდა ამ სიმღერას ქ-ნი ფილდი თეატრში და დაუმახსოვრებია მოტივი. იგივე გააკეთა ერთმა სწავლულმაც, დაიმახსოვრა სხვა მსახიობი ქალის მიერ შესრულებული სიმღერა. მელოდიები ერთმანეთს დაემთხვა. განსხვავება მხოლოდ შესრულების ტემპში იყო. ამიტომ თავს უფლება მისცეს განეცხადებინათ, რომ ეს იყო ოფელიას პირველი სიმღერა. ჩვენ ხელთა გვაქვს ნოტები, რომლებიც ჩაწერილი იყო ბეგარს-ოპერაში (1728 წ.) და ჯენერას ფრიმასონში (1731 წ.). (ზ. გ.).

„ხაბაზის ქალიშვილი ბუ იყო“

ეს გამოთქმა თუ ანდაზა აღებულია გლოსტერშირში ერთობ გავრცელებული ლეგენდიდან: ერთხელ მაცხოვარმა სთხოვა ხაბაზის ცოლს მისთვის პური გამოეცხო. ქალიშვილმა როცა დაინახა, დედამისმა გულუხვად მოზილა ცომი, ჩუმად მოაკლო მას. პურმა კი ცხობის დროს მოიმატა და უზარმაზარი ზომისა გახდა. განცვიფრებულმა ქალიშვილმა ბუსავით დაიკივლა. მაცხოვარმა სიძუნწის გამო დასაჯა იგი და ბუდ გადააქცია. ოფელიამ იცის ეს ლეგენდა და შემდეგ ასე აგრძელებს:

ჩვენ კი ვიცით, რაცა ვართ, არ ვიცით, რა ვიქნებით.

ვალენტინის დღე.

პოლიველი: „არსებობს თქმულება, თითქოს ქალიშვილი, რომელიც კაცს 14 თებერვალს, ვალენტინის დღეს, შეხვდება, მისი საბედოა.“

კონი: „ვალენტინის დღის ჩვეულება ჯერ კიდევ წარმართობის დროიდან მოდის. უმაწვილკაცები დაწერდნენ თავიანთ გულისწორთა სახელებს და ურნაში ჩაყრიდნენ, მერე კი იქიდან ყველას თავისი გულისწორის სახელი ამოქონდა. ვალენტინის დღისადმი მიძღვნილ სიმღერას მღერის ოფელია:

ხვალე ვალენტინის დღეა,
უთენია, პირველ სხვით,
შენს სარკმელთან მოვალ, რათა
გავხდე შენი ვალენტინი.

წამოდგები, ტანთ ჩაიცვამ,
გამომიღებ კარებს ნებით.
შინ შემიშვებ ქალწულს, თუმცა
ქალწულად ვერ დავბრუნდები.

სიტყვები აღებულია 1593 წლის ფრანგული ბალადიდან.

შემოდინ ლაერტი და სხვები, შემდეგ ახალ ტექსტში ასეა, — იგი იძახის „სად არის მეფე?“ ადრეულ გამოცემებში იყო — შემოდის შეიარაღებული ლაერტი და იძახის — „სად არის ის მეფე?“

უზარმაზარი კონტრასტია ტრაგედიის ორ გმირს ჰამლეტსა და ლაერტსს შორის: კრიტიკას მრავალჯერ გამოუთქვამს აზრი ამის შესახებ, — ერთნი ლაერტზე მალლა აყენებენ ჰამლეტს, ხოლო მეორენი ლაერტს აქებენ. ცნობილი შექსპიროლოგი აპოლონ გრიგორიევი ამის შესახებ წერს: „თითქოს ნათლად, უბრალოდ ვითარდება ტრაგედიის სიუჟეტი, იკვეთება ჰამლეტის ხასიათი, მაგრამ უფრო ნათელი და აშკარაა ის კონტრასტი, რომელიც წარმოიქმნება ჰამლეტს და ლაერტსს შორის. ალბათ არსად არ არის შექსპირი ისეთი ანგარიშიანი როგორც ამ შემთხვევაში. ჰამლეტმა მოკლა პოლონიუსი. მისი ვაჟიშვილი, რაღაც მოდური გმირის მსგავსი ტიპი, ფრანგული სკოლის რაინდი, რომელიც სულ იოლად ღიზიანდება (საპირისპიროდ ჰამლეტი-

სა, რომელიც მეტისმეტად მელანქოლიურია), ადამიანი, ვინც ისე მდიდრულად როდია დაჯილდოებული ბუნებისაგან როგორც უფლისწული, მოქრის შორეული პარიზიდან, რათა შური იძიოს მამის მკვლელობისათვის. იგი სავსეა შურისძიების გრძობით, მისი ყოველი ნერვული დაძაბულობა და ეს უბიძგებს მკვლელობისაკენ, თუმცა ჯერ არ იცის, ვინ არის მკვლელი. მეფემ იდუმალ დაამარხვინა პოლონიუსი და ამით ეჭვი მიატანინა საკუთარ თავზე. ლაერტსი შურისძიებას აპირებს მხოლოდ გადმოცემის თუ მითქმა-მოთქმის საფუძველზე და არა ღირსეული მამის აჩრდილის დავალებით, — მას არ გააჩნია ჰამლეტის არც ძალა, არც არანაირი საშუალება. „თუმც იმ მცირედით, რაც იმასა აქვს, სურს გააკეთოს ძალიან ბევრი“. ის საშინლად ბობოქრობს კლავდიუსის წინაშე... წამლავს დაშნას, რათა გარდუვალად მიაღწიოს საწადელს. ამით იგი ჩირქსა სცხებს თავის რაინდულ ღირსებას, თუმც ამას ღირსების საქმედ მიიჩნევს. მაშინ როდესაც ჰამლეტისათვის შურისძიება მძიმე მოვალეობაა.“

ქერმან ტურკი: „არაჩვეულებრივად დახვეწილად აქვს შექსპირს გადმოცემული დაპირისპირება ჰამლეტსა და ლაერტსს შორის. ჰამლეტი — ობიექტური მიზანსწრაფულობის ადამიანია, ლაერტი — სუბიექტივიზმით შეზღუდული პირი. ჰამლეტი გენეტიკურად არის დიადი სულის ადამიანი, იგი ყოველთვის ცდილობს შეინარჩუნოს სულის სიმშვიდე, შინაგანი თავისუფლება და სიძინჯე. ლაერტსი ჩვეულებრივი ახალგაზრდა კაცია, რომელიც ძალიან იოლად ექცევა სხვა ადამიანის თუ მდგომარეობის გავლენის ქვეშ.“

როდესაც ლაერტსი მამის სიკვდილს და მისი იდუმალი დამარხვის ამბავს შეიტყობს, მემბოხეებს ჩაუდგება სათავეში და გამძვინვარებული შეიჭრება სასახლეში, მეფემდე მიაღწევს და ანგარიშსწორებას მოსთხოვს მას, ამ დროს ლაერტსს ყველაფერი ავიწყდება, — ფიცი, ერთგულება, სინდისი და მოკრძალება მონარქის წინაშე და მისი მოქმედება კარდინალურად ეწინააღმდეგება ჰამლეტის კეთილშობილ ბუნებას. შურისძიებით ანთებული ეგოისტი,

რომელსაც ამქვეყნად ველარაფერი აოკებს, ადვილად ექცევა მეორე დიდი ეგოისტის კლავდიუსის გავლენის ქვეშ.

ჰამლეტი პოლონიუსის მოკვლას განგების სასჯელად მიიჩნევს და თავადაც განგების „იარაღად და ღვთის რისხვად“ წარმოუდგენია თავი, ხოლო ლაერტის თავისი ნებით თანხმდება მეფეს, შურისძიების იარაღად იქცეს: „და ამ საქმეში თქვენ მიწინამძღვრეთ, მილორდ“, — ეუბნება იგი კლავდიუსს.

ერთი მცირე შტრიხი ჰამლეტის პორტრეტისათვის. ხშირად გვინახავს ილუსტრაცია, — სასაფლაო, ბინდი, ჰამლეტი ადამიანის თავისქალით ხელში...

ა. გრიგორიევი: „მე მახსენდება პოლ დელაროშის სურათიდან გაკეთებული ესტამპი, — ჩრდილოეთის ცა შეღამებისას, მიტოვებული სასაფლაო და ჰამლეტი. იგი უძრავად, ქვის ქანდაკებასავით ზის საფლავზე და გაურკვეველი, ავადმყოფური, მკრთალი ღიმილით უმიზნოდ მისჩერებია სივრცეს. ჰამლეტი აქ თითქოს სამუდამოდ დაჯდა.“

იგი თავისუფალია და დილეტანტურად ტკბება სიკვდილზე ფიქრით, ჰამლეტი აქ თავის სტიქიაშია, მთლიანად აქ არის, ერთი სიტყვით, — ესაა უნაყოფო მოაზროვნე, სიკვდილთან მოთამაშე კაცი.“

პროფესორი დოუდენი: „ჰამლეტის სიცოცხლის ბოლო წუთები უმშვენიერესია მის ცხოვრებაში: მან ხელიდან გამოსტაცა მოწამლული თასი თავის მეგობარს პორაციოს და იხსნა იგი სიკვდილისაგან, საკუთარი ხმა ფორტინბრასს შეაწია, რათა იგი დანიის მეფედ აერჩიათ. „დრო რომ მქონდეს...“ ბევრ რამეს მოგიყვებოდითო, მაგრამ მან ვერ შეძლო ის... საიდუმლოს არსი და გული თან გაიყოლა.“

ბელინსკი: „ჰამლეტი კვდება. აბსურდული ცხოვრების შემხედვარე მაყურებლის

სულს ნათელი ეფინება, თუმცა უნებური სევდაც ეუფლება, მაგრამ ეს სევდა წყნარი და მოზეიმეა. მაყურებელი აღარა ხედავს ამ ცხოვრებაში შემთხვევითობას, მხოლოდ გარდუვალობაა და იგი ურიცხვად/ ჭეშმარიტ სინამდვილეს.“

ეროვნული
ბიზნიუსი

გოეთე: „შექსპირის „ჰამლეტი“, რაც არ უნდა სთქვან, მაინც ტვირთად აწევს სულს, როგორც ყოველად უიმედოდ ამოუცნობი საკითხი.“

გონჩაროვი: „...ჰამლეტი ტიპიური როლი არ არის. მას ვერავინ ითამაშებს და არც არასოდეს დაბადებულა ის მსახიობი, რომელიც მას ითამაშებდა. შეიძლება ითამაშონ ოტელო, ლირი და შექსპირის ტრაგედიების მრავალი სხვა როლები, რომელთა შინაარსები და ხასიათები ნათელია. ლირში, მიუხედავად მისი ძალისა, დაძაბული პათოსისა, ფსიქოლოგიური ფაზები თანამიმდევრულად ვითარდება, მკაცრად, ერთიმეორის შემდეგ იხსნება მაყურებლის თვალწინ.“

...მაგრამ ეს ასე არ არის „ჰამლეტში“. ჰამლეტის თამაში არ შეიძლება, ჰამლეტი რომ ითამაშო, უნდა იყო ისეთი, როგორც შექმნა შექსპირმა.

...ამრიგად აქტიორი, რომელიც ჰამლეტს თამაშობს, სულთ უნდა იყოს ჰამლეტი, რომ ნაწილობრივ მაინც წარმოადგინოს შექსპირის გმირი“.

1899 წელს, ლონდონში, დიდი წარმატება ხვდა გამოჩენილ ფრანგ მსახიობს სარა ბერნარს, რომელმაც ჰამლეტის როლი შეასრულა. კრიტიკოსთა მრავალ შენიშვნაზე სარა ბერნარმა უპასუხა:

„მოწყალეო ბატონებო!

მე ყველა თქვენს კრიტიკულ შენიშვნას ვერ ვუპასუხებ, მაგრამ მათ შორის არის ერთი შენიშვნა, რომელზედაც მსურს პასუხის გაცემა.

მე მსაყვედურობენ, რომ ჩემი ინტერ-

პრეტაციით ჰამლეტი სიცოცხლით სავსე და ვაჟკაცურია. ეტყობა, ინგლისში მიღებულია ჰამლეტის წარმოსახვა როგორც ვიტენბერგის მოღუშული პროფესორისა. მე ასე მგონია, რადგან შექსპირიც ამბობს, რომ ჰამლეტი ვიტენბერგის სტუდენტია. ამბობენ, თითქოს მე თქმულებათა მიხედვით არ ვთამაშობ! მაგრამ სად არის ეს თქმულება? ყოველ მსახიობს თავისი თქმულება შემოაქვს. იმასაც მისაყვედურებენ, რომ XVI საუკუნის ტანისამოსი მაცვია. დიახ, რა თქმა უნდა, ჰამლეტი XI საუკუნეს უნდა მივაკუთვნოთ, თუ მხედველობაში მივიღებთ დრამის უცნაურ დასაწყისს, მაგრამ ფილოსოფია ჩვენთვის უფრო ახლობელ საუკუნეებს განეკუთვნება. აქ ადამიანის აზრები ნაკლებად უხეშია, უფრო დახვეწილია. გარდა ამისა, შექსპირი ლაპარაკობს ზარბაზნებზე, საარტილერიო შედღუპებზე და XVI (და არა XI ს.) საუკუნის ტექნიკურ ტერმინოლოგიასაც ხმარობს.

მსაყვედურობენ იმასაც, რომ საკმაოდ არ მაოცებს და არცთუ მაინცადამაინც მუშინია აჩრდილისა. ჰამლეტი წინასწარი განზრახვით მოდის აჩრდილის სანახავად, იგი ელის მის გამოჩენას. აი, რას ამბობს ჰამლეტი: „ხმას ვავცემ, თუნდაც მიწა გაიხსნას და მაიძულოს, რომ მე დავდუმდე“. ეს სულით დაკნინებული და ლაჩარი კაცის სიტყვები არ არის. როდესაც ჰამლეტს აჩრდილი უხმობს, იგი მახვილს გაამიშვლებს და სიკვდილით ემუქრება მეგობრებს, თუ რომელიმე წინ გადაუდგება. სუსტი კაცი ამას ვერ გააკეთებს.

„თქვენ, ჯენტლმენებო, ვერ
შემაკავებთ,
ზეცის შეწევნით აჩრდილად ვაქცევ
იმას, ვინც მე წინ გადამიდგება.
მე ვთქვი, მომცილდით! გასწი,
მოკყევი!“

ჰამლეტი ოცნებობს როცა მარტოა ადამიანებთან კი იგი ლაპარაკობს, ლაპარაკობს, რათა დამალოს თავისი აზრები...

მე მსაყვედურობენ, რომ სამლოცვე-

ლოს სცენაში ძალიან ახლოს მივდივარ დაჩოქილ მეფესთან. ჰამლეტს მისი მოკვლა უნდოდა, მაშასადამე, ახლოს უნდა მისულიყო, მაგრამ, როდესაც იგი მონანიების სიტყვებს გაიგონებს, გაახსენდება, რომ ამ დროს მოკლულის სულს ზეცაში გასწევს, აი, ამიტომ არ კლავს მეფეს, აქ გაუბედაობას ადგილი არა აქვს. უფრო ლოგიკური იქნება, თუ ვიტყვით, რომ იგი გარკვეული მიზნით არ კლავს. მას უნდა ცოდვაში ჩაფლული მეფე მოკლას და არა ცოდვათა მომზანიებელი, სურს, მისი სული ჯოჯოხეთში გაგზავნოს და არა ზეცაში.

ჰამლეტში უნდა დაინახონ მაინცდამაინც ქალური, ყოყმანით სავსე ბუნება. მე ვხედავ მასში მტკიცე, ვაჟკაცურ სულს, თუმცა წინდახედულს. იხილავს თუ არა მამის აჩრდილს და მკვლელზეც ეჭვს მიიტანს, ჰამლეტი გადაწყვეტს შურისძიებას. მაგრამ ოტელოსაგან განსხვავებით, რომელიც დაუფიქრებლად მოქმედებს, ჰამლეტი ჯერ გაიაზრებს, სანამ ამოქმედდებოდეს, ეს კი დიდი ძალისა და დიდი ხულიერი სიმტკიცის ნიშანია.

ჰამლეტს უყვარს ოფელია. იგი უარს ამბობს ამ სიყვარულზე, სწავლაზე, ყველაფერზე, რათა მიაღწიოს თავის მიზანს და აღწევს კიდევ მას! ჰამლეტი კლავს მეფეს, როგორც კი მოახელთებს ყველაზე შავბნელ, დანაშაულებრივ ცოდვაზე, მაგრამ კლავს მაშინ, როდესაც სრულიად დარწმუნებულია ამაში!

ინგლისში რომ გააგზავნიან, ჰამლეტი პრველსავე ხელსაყრელ შემთხვევაში გადადის მტრის ხომალდზე და ეცნობა მათ, რათა ტყვედ აიყვანონ, რადგან დარწმუნებულია, რომ უკანვე დააბრუნებენ მას. ცივად, გულგრილად გასწირავს სასიკვდილოდ როზენკრანცსა და გილდესტერნს. ეს არის ახალგაზრდა, ძლიერი და მტკიცე კაცის საქციელი.

თუ ის ოცნებობს, ოცნებობს ყოველთვის თავის ჩანაფიქრზე, შურისძიებაზე. თვითმკვლელობა ღვთისგან რომ არ ყოფილიყო აკრძალული, იგი თავს მოიკლავ-

და, მთელი ქვეყნიერებისადმი ზიზღით გამსჭვალული. რაკი თვითმკვლელობა აკრძალულია, ჰამლეტი მკვლელობას მიმართავს!

და ბოლოს, მოწყალეო ბატონებო, ნება მიბოძეთ, მოგახსენოთ, რომ შექსპირი თავისი გენიოსობის წყალობით მთელ მსოფლიოს ეკუთვნის, ფრანგთა, გერმანელთა, რუსთა ჭკუა-გონებას უფლება აქვთ აღტაცებულნი იყვნენ მისით და ეს-მოდეთ მისი.“

ზემოხსენებულ სახელმწიფოებს რომ ახსენებდა, შესანიშნავი მსახიობი გულისხმობდა მთელი მსოფლიოს ქვეყნებს. მათ შორის, რა თქმა უნდა, საქართველოსაც, სადაც ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში 1886 წელს, შეიქმნა უილიამ შექსპირის გენიალური ტრაგედია „ჰამლეტი“ ივანე მაჩაბლისეული ბრწყინვალე ქართული თარგმანი.

25 აგვისტო, 1998 წ.



მანანა ქართველიშვილი

უოლტერ რელი — უილიამ შექსპირი?

მსოფლიო საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ XVIII-XIX საუკუნეების ანტიშექსპიროლოგთა მიერ გამოთქმულია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ უ. შექსპირად აღიარებული დიდი ინგლისელი დრამატურგი და პოეტი სინამდვილეში არ არსებობდა, ვინაიდან მისად მიჩნეული 37 პიესა და 154 სონეტი დაწერა სხვა პირმა, რომელიც ხშირ შემთხვევაში კონკრეტული ისტორიული პიროვნებაა. დღეისათვის იმ პირთა რაოდენობა, რომლებიც გამოცხადებულია შექსპირად, აღწევს 57-ს. ითვლება ისიც, რომ შესაძლებელია ამ გენიალურ ნაშრომებს მოღვაწეთა პატარა ჯგუფი ქმნიდა (2, 3 ან 4 კაცის შემადგენლობით), ან პოეტთა უფრო დიდი გაერთიანება. აქედან გამომდინარე კი, ეს სახელი და გვარი ან ფსევდონიმია, ან რაიმე საიდუმლო აზრის შემცველი ცნება, ან მართლაც სახელი და გვარია, მხოლოდ ვისი, ეს დღესაც დავის საგანია. ჩვენთვის კი ეს საკითხი იმდენადაა საინტერესო, რამდენადაც იგი კავშირშია უოლტერ რელის სახელთან, რომელიც მოღვაწეობდა ოქროს

ხანად წოდებულ ეპოქაში, კერძოდ, XVI საუკუნეში, დედოფალ ელისაბედ I მმართველობისას. უ. რელი დიდი ინგლისელი შემოქმედი და პოლიტიკოსია. მრავალმხრივია მისი მოღვაწეობის სფერო და შესაბამისად დიდია მისი ღვაწლიც ყველა მიმართულებით. რელი იყო წამყვანი პოლიტიკოსი და სამეფო კარის პირველი მოხელე. ითვლებოდა დედოფლის ყველაზე უახლოეს ფავორიტად გრაფ ესექსთან ერთად. ჰქონდა მებრძოლისა და ორგანიზატორის ნიჭი. იყო მსტოვარი და დიპლომატი, მეკობრე და მოგზაური, მეზღვაური და კოლონიზატორი, მეომარი და ვიცე-ადმირალიც ფლოტისა, კომერციული საქმოსანი და ბიზნესმენი. ფართოა მისი როგორც მეცნიერის და შემოქმედის მოღვაწეობის სპექტრიც. ის იყო მათემატიკოსი, მკვლევარი, ნავიგატორი, კონსტრუქტორი და კარტოგრაფი, ქიმიკოსი, ფარმაკოლოგი და ექიმი, სელექციონერი, ალქიმიკოსი და ასტროლოგი, ფილოსოფოს-თეოლოგი, ლიტერატორ-ესეისტი, ისტორიკოსი, მწერალი, პოეტი და მუსიკოსი. ეს კი ის პი-

როგნებაა, რომელიც გამოყვანილია შექსპირის ნაშრომთა თანაავტორად. თუმცა ერთი თეორიის თანახმად, რელიც არის ერთ-ერთი იმ უცნობთაგანი, რომელიც თითქოსდა ეფარებოდა დიდი ინგლისელი დრამატურგის სახელსა და გვარს და ასე ქმნიდა პოეტურ შედეგებს. კერძოდ, მითითებულია, რომ შექსპირს ჰყავდა ორი დამხმარე უ. რელის და ქრ. მარლოს სახით. ეს უკანასკნელი კი, როგორც გვატყობინებს ერთი წყარო, მოკლულია რელის მიერ, რათა დარჩენილიყო შექსპირის ნაშრომების ერთადერთ ავტორად. სხვა მონაცემებით, რელი ჯ. დონთან და ფრ. დრეიკთან ერთად ქმნიდა შექსპირისად მიჩნეულ პოეტურ სტრიქონებს. არსებობს ასეთი აზრიც, რომ პიესებს წერდა პოეტთა დიდი კოლექტივი რელის ხელმძღვანელობით, რომელიც ერთიანდებოდა მის მიერვე შექმნილ აკადემიურ საზოგადოებაში, სახელწოდებით „ლამის სკოლა“. უ. რელისთან ერთად ცნობილია მათი სახელი და გვარებიც. ესენია: რობ. გრინი, ჯორჯ ჩაფმანი, ქრ. მარლო, უილიამ პერბერტი, ბენ ჯოისონი, ედუარდ დაიერი, თომას ლოდჯე, ნიკოლას გრეტონი, ჯ. დონი, დილი და სხვები.

ერთი მოსაზრებით კი რელი მაშინ ქმნიდა ამ ნაშრომებს, როცა 1603-1617 წლებში იჯდა ციხეში.

ამდენად, უ. რელი ყველაზე ანგარიშგასაწევი კანდიდატია იმათგან, ვინც მიჩნეულია შექსპირად, ხოლო იმის თაობაზე, თუ რამ განაპირობა მისი დაკავშირება ამ საკითხთან, შეიძლება ითქვას შემდეგი: კერძოდ, როგორც ირკვევა, გენიალურ ინგლისელ დრამატურგთან გაიგივებული ყველა პიროვნება შერჩეულია ერთი საზომით, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ეს პირები მეტ-ნაკლებად ფლობდნენ წერის უნარს, მათ შესახებ (მცირე გამოწაკლისით) შემორჩენილია მცირე ბიოგრაფიული მონაცემები და თითქმის ყველა მათგანის ცხოვრება ხასიათდებოდა ექსტრაორდინალური ყოფითი მომენტებით და რაც მთავარია, ვკუთვნოდნენ არისტოკრატიულ ფენას, ან სოც შემთხვევაში იყვნენ „უგვანონი“, მა-

გრამ სასახლის კარზე იყვნენ დაწინაურებულინი და შესაბამისად, მაღალი რანგის მოხელენი. კონკრეტულად, რელიც ხომ ის ისტორიული პიროვნებაა, რომელიც ცნობილი მწერალი და ნიჭიერი პოეტიცაა და ელისაბედ I კარზე გამოირჩევა კიდევ თავისი ექსტრა-ორდინალური ყოფით და არის ერთ-ერთი პირველი კარისკაციც?

პირველად კი, რელისთან დაკავშირებით ხსენებული გაიგივების ფაქტორი მკვიდრობს ამერიკელ დელია ბეკონთან. მისი აზრით, გამომდინარე იქიდან, რომ შექსპირთან არ მკვიდრობს ინდივიდუალური სტილი, მოწმობს იმას, რომ პიესებს ქმნიდა თავისუფალ მოაზროვნეთა მცირერიცხოვანი ჯგუფი, რომელსაც ლიდერობენ ფრ. ბეკონი და უ. რელი.

ჩვენ შევეცდებით გამოვიყენოთ ის ფაქტები, რომლებსაც ესა თუ ის ავტორი ასახელებს მხოლოდ იმიტომ, რომ ამით გამოთქვამს ვარაუდს ამ ორი შემოქმედის იგივეობის თაობაზე. მაგ. 1. ე. როლინსის აზრით, შექსპირის და რელის სტილში შეიმჩნევა მსგავსება. 2. სხვა შეხედულებით, არც რელს არც შექსპირს არ აქვს მოძღვრების სქემა და მათი იდეები თავსდება მთელი ქრისტიანული იდეოლოგიის ჩარჩოებში. 3. შექსპირის მსგავსად რელის პოეზიაშიც გადამწყვეტი ლირიკული ხაზია. 4. გარდა ამისა, ორივესთან პიროვნების ტრავედია იწყება იმ მომენტიდან, როცა პირი ეშვება ყოფიერების მაღალი საფეხურიდან და უღრმავდება საკუთარ სულს, რის საფუძველზეც შეიცნობს საკუთარ შეობას და ამიტომაც იტანჯება ცოდვათა გამო. 5. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ისიც, როგორც თვლიან ავტორები, რომ რელთან მკვიდრობს შექსპირის მსგავსი მონოლოგი. 6. ასევე ორივე შემოქმედი იყენებს მეტაფორებს და ფრთიან ფრაზებს პოეტური სტრიქონების შექმნისას. 7. ფაქტია ისიც, რომ ერთიც და მეორეც იდეალურ ხელისუფლებად მიიჩნევენ ეროვნულ ცენტრალიზებულ მონარქიას ძლიერი, იდეალურად აღზრდილი მონარქით სათავეში, რომელიც იცავს არისტოკრატიის ინტერესებს (ორივე მაკიაველისტია),

ნ. რელიც და შექსპირიც გამოხატავენ რა არისტოკრატიული ფენის ინტერესებს, შესაბამისად, გამორიცხავენ კიდევ დაბალ ფენის უფლებებს, უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ ისინი არც ასახავენ ამ ფენის ყოფა-ცხოვრებას და ეს მაშინ, როცა სტრატეგორდელი უ. შექსპირი III წოდების წარმომადგენელია. 9. მითითებულია ისიც, რომ მათ შემოქმედებაში აირეკლება ღრმა პატრიოტული და გმირული სული-სკვეთება და პიროვნული ექსტაზიც. 10. გასაგებია ისიც, რომ შექსპირი ერკვეოდა როგორც ტოპოგრაფიაში, ისე მედიცინაში, ფსიქოლოგიაში და სამართლშიც. ცნობს იურიდიულ ტერმინებს და ამჟღავნებს ბიბლიის ცოდნას. ყოველივე ამაში კი რელიც დახელოვნებულია. 11. და ბოლოს, ორივე მათგანი სიყვარულში მელანქოლიური და ტრაგიკულია.

ამგვარად, დასახელდა ის ფაქტორები, რომლებიც თითქოსდა ადასტურებს ამ ორი დიდი ინგლისელის შემოქმედებათა მსგავსებას, მაგრამ მე ვიტყვოდი, რომ ეს მონაცემები თავისთავად არაფერზე არ მეტყველებენ და მით უმეტეს შეუძლებელია. მათით იმის დამტკიცება, რომ რელიც ქმნიდა შექსპირის გენიალურ ნაშრომებს ან მარტო, ან ვინმესთან ერთად, გამომდინარე იქიდან, რომ ანალოგიური პარალელების გავლება შეიძლება ნებისმიერ სხვა დიდ შემოქმედთანაც.

ლიტერატურაში მითითებულია იმის თაობაზეც, რომ რელიც და შექსპირი იცნობდნენ ერთმანეთს. ალბათ ასეც იყო, რადგან უ. შექსპირმა პიესაში *love's labour's lost* ერთ-ერთ თავის პერსონაჟში (დონ ადრიანო დე არმადო) მოგვცა რელის სრული პიროვნული პორტრეტი, რადგან არმადოც არის დაუღლედი მოგზაური, პოეტი, დენდი, ამბიციური სულისკვეთების მქონე, გმირული ქმედების მოყვარული, მელანქოლიური სიყვარულში და ბოლოს სელექციონერიც. ითვლება, რომ ოტელოშიც, თავად ოტელოს პერსონაჟისათვის, როცა პოეტი ეხება მის მოგზაურობებს, (შექსპირი ზოგ რამეს სესხულობს უ. რელის ბიოგრაფი-დან.

ამავე დროს, შექსპირი, ერთი თეორიის თანახმად, ჩათვლილია რელის ჯგუფის „ღამის სკოლის“ წევრადაც და ეს მაშინ, როცა სტრატეგორდელი დრამატურგის მფარველად მიჩნეული გრაფი საუტემპტონი გრაფ ესექსის უახლოესი მეგობარია. ეს უკანასკნელი კი რელიცს მხარდობდა.

ვეცნობით იმასაც, რომ შექსპირი გაერთიანდა რელის ჯგუფში ფსევდონომით დონ ადრიანო დე არმადო. ეს კი, როგორც ვიცით, მისი იმ პერსონაჟის სახელია, რომელიც რელის პროტოტიპია.

ამდენად, ეს მონაცემებიც იგივეობის ფაქტორთან დაკავშირებით მოვიყვანეთ, კერძოდ, ზემოთ ხსენებული მოსაზრებების საფუძველზე თითქოსდა იკვეთება აზრი, რომ რელისა და შექსპირის პოეტურ შემოქმედებათა შორის ანალოგიურობის ხვედრითი წილი დიდია, რასაც ჩემი აზრით, სრულიად უარყოფს ერთი მონაცემი. ლაპარაკია იმის შესახებ, რომ რელი ძირითადად მეტაფიზიკოსი პოეტი და ეს მკვიდრობს მასთან სიუჟეტის წარმოსახვის დროსაც. კერძოდ, მის ნაშრომებში რეალური პერსონაჟების ნაცვლად მოქმედებენ ირეალური, ალევორიული სახეები, რომლებსაც მისტიკური დატვირთვა აქვთ მინიჭებული მხოლოდ და არ იგულისხმება მათში რომელიმე ისტორიული პირი, ეს მაშინ, როცა შექსპირთან, ჩემი აზრით ძლიერი მისტიკური დატვირთვის მიუხედავად, უფრო მკვეთრია რეალისტური ისტორიული ხაზი და პერსონაჟებიც კონკრეტული პიროვნებები არიან, ან წარმოდგენენ პროტოტიპებს.

გარდა ამისა, რელის ყველა პოეტურ ნაშრომში მკვიდრობს დედოფალ ელისაბედის კულტი და თანაც მისტიკური სახეცვლილებით. ეს არის ასახვა მოკვდავი დედოფლის, როგორც იდეალური მონარქისა და ქალის და ამავე დროს, ასახვა საღვთო სიბრძნის — სოფიასიც. შექსპირი კი საერთოდ არ იხსენიებს მას, თუნდაც როგორც თანამედროვე მმართველს და მით უმეტეს, არც მისტიკურ დატვირთვას აძლევს ამ სახეს.

ამდენად, ეს მნიშვნელოვანი შემოქმედე-

ბიოთი ალიბია შექსპირისათვის რელთან მიმართებაში.

რაც შეეხება ფაქტს მათი ნაცნობობის შესახებ, უნდა ითქვას შემდეგი: უ. შექსპირი, არსებული მონაცემებით, რელის საუკეთესო მეგობარმა ბ. ჯონსონმა მიიყვანა ხსენებულ საზოგადოებაში. მითითებულია ისიც, რომ იგი წევრია ესექსის თაოსნობით შექმნილი სხვა ლიტერატურული გაერთიანებისა. რაშია საქმე? როგორ შეეძლო ერთ პიროვნებას ეთანამშრომლა ორ ერთმანეთთან დაპირისპირებულ ჯგუფში, ან როგორ ახერხებდა დაეძალა როგორც ერთის, ისე მეორისათვის (იგულისხმება რელი და ესექსი), რომ ის მეგობრობდა მის მტერთან? უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი სხვადასხვა ეტაპებზე დაუახლოვდა ხსენებულ წრეებს. შესაძლებელია, ის რელის საზოგადოებაში გაერთიანდა 1586—1592 წლებში, როცა ლონდონს მოვლენილი შექსპირის კვალი ქრება და უმცირესი მონაცემებიც კი არ მოწმობს მის არსებობას. ნუთუ საიდუმლოდ ესწრება სხდომებს, რომელიც რელის თაოსნობით ტარდებოდა? თუ ამოვალთ იქიდან, რომ იგი ფსევდონიმით იყო შესული ღამის სკოლაში, მაშინ ამ მოსაზრების დაჯერებაც შეიძლება. თუმცა უნდა აღინიშნოს ერთი რამ — ავტორთა ერთი ნაწილის მოსაზრებით, უ. შექსპირის ხსენებული ნაშრომი, სადაც არმადოს სახეა წარმოდგენილი, ითვლება რელის თორმეტთავიანი პოემის „ოკეანის სიყვარული გინციასადმი“ წინა დაკარგულ ნაწილებად. მაგრამ შესაძლებელია კი, რომ პოეტმა ისეთი ზუსტი პორტრეტი დახატოს საკუთარი თავისა, რომ უარყოფითი თვისებებიც კი რეალურად წარმოაჩინოს?

ანტიშექსპიროლოგთა საწინააღმდეგოდ მოქმედებს ისიც, რომ შექსპირის ყველა პიესა აგებულია თეატრალური კანონების გამოყენებით, რაშიც რელი, ჩემი აზრით, არ უნდა ყოფილიყო გარკვეული. ის მოსაზრება, რომ ის მალავდა ამ უნარს, რადგან არისტოკრატ იყო და ელისა-

ბედის ეპოქაში არისტოკრატისათვის სამარცხვინო მოვალეობად იყო მიჩნეული პიესების თხზვა, ჩემი აზრით, არ შეესაბამება სიმართლეს, თუნდაც იმით, რომ პიესების შეთხზვის ნიჭი რომ ჰქონოდა, არ დაიმალებოდა. ხომ ცნობილია, რომ ეს პიროვნება ქმნიდა ბოქმურ სიმღერებს და ეს საქმიანობაც არანაკლებ დამამცირებელი იყო პიესების თხზვაზე?

გარდა ამისა, აწ უკვე ხსენებული ბ. ჯონსონი იხსენებს შექსპირს 1623-1637 წლებში, როცა რელი უკვე მკვდარია. ცნობილია, რომ ის ამ უკანასკნელის ახლობელია. შესაბამისად, მას ექნებოდა კიდევ ინფორმაცია რელის შექსპირთან შესაძლებელი იგივეურობის თაობაზე, მაგრამ იგი ღუმს ამის შესახებ.

და ბოლოს, ისეთი ცნობილი პიროვნების ბიოგრაფიიდან, როგორცაა უ. რელი, შეუძლებელია გამკრალიყო საკმაოდ მნიშვნელოვანი მონაცემები, რაც დაადასტურებდა, რომ რელი შექსპირია.

ამგვარად, მე გამოვიცხავ ამ ფაქტის შესაძლებლობას, თუმცა მივიჩნევ, რომ გამომდინარე იმ ეპოქაში არსებული წესიდან, რომ პოეტური ნაშრომი იბეჭდებოდა ცალკეულ სტროფებად, ხშირად ავტორის ვინაობის გარეშეც და ისეც კი ხდებოდა, რომ არც გამომცემელმა უწყოდა თუ ვისი იყო ნაშრომი, სრული შესაძლებელია, უ. რელისა და უ. შექსპირის შემოქმედებასთან დაკავშირებითაც მიმდინარეობდეს დავა ამა თუ იმ ნაშრომის ავტორობაზე და დამტკიცდეს, რომ ერთსაც და მეორესაც ერთმანეთის ნაშრომები აქვთ მიკუთვნებული.

საერთოდ კი, როგორც მთელი ანტიშექსპიროლოგიის მიმართ, ასევე რელისთან დაკავშირებითაც უნდა ითქვას, რომ არსებული მტკიცებანი, რითაც მკვლევარები თავს უფლებას აძლევენ დაადასტურონ იგივეობის ფაქტი, ჩემი აზრით, არამართო არასრული და ზედაპირულია, არამედ უპერსპექტივოც, რადგან ამაში რაციონალური მარცვალი არ მოიძიება.

